ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

დიმიტრი სილაქაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის ორგანიზაცია და შეიარაღება

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე

თბილისი

2023

აბსტრაქტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921წწ.), თავისი არსებობის არასრული სამი წლის განმავლობაში მეტწილად საომარ მოქმედებებში იყო ჩართული ან ომის საფრთხის წინაშე იდგა. ქვეყნისათვის, რომელიც მუდამ არსებობის ზღვარზე იდგა, შეიარაღებული ძალები პრიორიტეტი გახლდათ და ბიუჯეტის თითქმის მესამედი სწორედ თავდაცვაზე იხარჯებოდა. დაფინანსებისა და პრიორიტეტულობის მიუხედავად, როგორი და რამდენად ეფექტური იყო ის სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც რესპუბლიკამ შექმნა? სწორედ ეს არის ამ დისერტაციის მთავარი კითხვა. ქართულ ისტორიოგრაფიაში არ გვაქვს ნაშრომი, რომელიც სრული სახით გვაჩვენებდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და შეიარაღების სრულ სურათს.

კვლევის მიზანია, ძირითადად აქამდე უცნობ , ასევე ცნობილ წყაროებზე დაყრდნობით პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: 1) როგორი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები? 2) რა ადამიანური სამხედრო რესურსი გააჩნდა რესპუბლიკას? 3) როგორი იყო ჯარის ორგანიზაციული ფორმა, საშტატო სტრუქტურა, დანიშნულება, პირადი შემადგენლობის რაოდენობა სხვადასხვა პერიოდში? 4) როგორ ხედავდნენ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ლიდერები ჯარის განვითარების სტრატეგიას? 5) როგორი იყო ჯარისკაცთა მორალური სახე? 6) რა იარაღს და რა რაოდენობის საბრძოლო მასალას ფლობდა რესპუბლიკა? რამდენად საკმარისი იყო ეს იარაღი და საბრძოლო მასალა სხვადასხვა მასშტაბის და ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტებისათვის? 7) როგორ ფინანსდებოდა ჯარი ბიუჯეტიდან და რამდენად ყოფნიდა ეს ფინანსები ნორმალური ფუნქციონირებისათვის?. ეს სწორედ ის კითხვებია, რომელზედაც ამ დისერტაციაშია პასუხი გაცემული, რაც საბოლოო ჯამში გვაჩვენებს თუ როგორი ტიპის და რა პოტენციალის მქონე შეიარაღებული ძალების ჰყავდა რესპუბლიკას.

Abstract

During incomplete three years of its existence, the Democratic Republic of Georgia (1918-1921) used to be mainly involved in various scale hostilities or was experiencing the threat of war. Accordingly, for the country that was always on the verge of existence, the armed forces became of a great priority and almost a third of the budget used to be spent on defense. Regardless of funding and priority, How effective was the military organization that the republic created. This is the main question of this thesis. In Georgian historiography, we do not have a work that would show us a complete picture of the formation, organizational structure and armament of the armed forces of the Democratic Republic of Georgia.

The purpose of the study is to to answer the following questions based on previously unknown, as well as known sources: what the armed forces of the Democratic Republic of Georgia were like, what human military resources the republic had, what was the organizational form of the army, staff structure, purpose, number of personnel in different periods, how the military and political leaders of the country saw the strategy of the army's development, what was the moral character of the soldiers, what amount of ammunition the republic possessed, if these weapons and ammunition were sufficient for military conflicts of various scales and intensity, how the army was being financed from the budget and if these financing was enough for normal functioning. These are the questions that are answered in this thesis, which ultimately shows us what type and potential of the armed forces the republic had.

შინაარსი

წინასიტყვაობა ---------- 1

თავი 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია 1917-1921 წლებში ---------- 11

1.1. ქართული შეიარაღებული ძალების შექმნის საფუძვლები და მისი ორგანიზაცია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ---------- 11

1.2. დამოუკიდებლობის გამოცხადება, შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია და პირადი შემადგენლობის რაოდენობა 1918-1919 წლებში ---------- 33

1.3. ცვლილებები შეიარაღებული ძალების ორგანიზაციაში , პირადი შემადგენლობის რაოდენობა 1919-1921 წლებში და სოციალური და მორალური ხასიათის პრობლემები ---------- 66

თავი 2. რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის შეიარაღება ---------- 112

2.1 შაშხანები, ტყვიამფრქვევები, არტილერია და იარაღის შოვნის მცდელობები ---------- 112

2.2 ჯავშანტექნიკა - ჯავშანმატარებლების რაზმი ---------- 174

2.3 ჯავშანტექნიკა - ჯავშანმანქანები ----------192

2.4 ჯავშანტექნიკა - ტანკები ---------- 201

2.5 რესპუბლიკის ავიაცია ----------211

2.6 რესპუბლიკის ფლოტილია ----------229

ბოლოსიტყვაობა ----------248

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა ---------- 251

წინასიტყვაობა

1934 წლის 24 მაისს, საფრანგეთში, პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფი ქართველი მეცნიერი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბუბლიკის დამფუძნებელი კრების ოპოზიციონერი დეპუტატი ექვთიმე თაყაიშვილი ჩამოთვლიდა რა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებს სხვადასხვა სფეროში ბოლოს წერდა : ,,მე აღარ გავაგრძელებ სხვა თვალსაჩინო საქმეების აღნუსხვას, ვიტყვი მხოლოდ, რომ წარმატება აშკარა იყო და რომ უხეშ ძალას ანექსია არ მოეხდინა, საქართველო დღეს ერთი სამაგალითო პატარა სახელმწიფო იქნებოდა."[1] ექვთიმეს ნახსენები უხეში ძალა საბჭოთა რუსეთი იყო, რომელმაც 1921 წლის თებერვალ-მარტში , მის მიერ 9 თვის წინ იურიდიულად აღიარებულ რესპუბლიკას ომის გამოუცხადებლად წითელი არმია შეუსია და ხუთკვირიანი ომის შემდეგ დაიპყრო კიდეც. უხეში ძალასთან გასამკლავებელი ინსტრუმენტი სახელმწიფოთა ხელში, პირველ რიგში შეირაღებული ძალაა, რომლის პირდაპირი დანიშნულებაც სწორედ ესაა - ომისას ანუ კლაუზევიცისეული ფორმულირებით პოლიტიკის სხვა მეთოდებით გაგრძელების დროს ქვეყნის დაცვა. გადარჩენისთვის ბრძოლა კი რესპუბლიკას არ აკლდა. ის საერთოდაც ცეცხლსა და ქარიშხალში, რუსეთის რევოლუციისა და მსოფლიო ომის ხანაში, ფრონტისპირა რეგიონში დაიბადა და მისი არსებობის მცირე დროის განმავლობაში მოსვენებული , მშვიდობიანი პერიოდი თითქმის არც ჰქონია. სულ რაღაც სამი წლის[2] განმავლობაში, ომებისა თუ სხვადასხვა მასშტაბისა და ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტების ჩამონათვალი ძალიან დიდია: რუსეთის სამოქალაქო ომის მძლავრი ტალღები; ქვეყნის შიგნით საბჭოთა რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ბოლშევიკური აჯანყებები ; ომი და მუდმივი დაძაბულობა რუსეთის თეთრ მოძრაობასთან; ომი ოსმალეთთან; ტერიტორიული დავის საფუძველზე წარმოშობილი ომი სომხეთის რესპუბლიკასთან; ომი ოსმალეთის ნანგრევებზე წარმოქმნილ ე.წ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკასთან; ომი საბჭოთა რუსეთთან.

---

[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა). ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 347. ფურცელი 8-9. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის აბრევიატურის დამოწმების ოფიციალური ვერსია არ არსებობს, ამის ნაცვლად ისტორიკოსები რამდენიმე პარალელურ ვერსიას იყენებენ . მე გამოვიყენებ უფრო ტრადიულ აბრევიატურას - სცსა-ს. ასევე სინონიმებად არის დამკვიდრებული აღწერა და ანაწერი, მე ვიყენებ აღწერას.

[2] აქ ვგულისხმობ რესპუბლიკისწინა გარდამავალ პერიოდსაც, კერძოდ ამიერკავკასიის კომისარიატისა და შემდეგ ფედერაციული რესპუბლიკის ხანას.

რესპუბლიკის საფრთხეთაგან ყველაზე რთული და სახიფათო მის ჩრდილოეთიდან მოდიოდა. რუსეთის რევოლუციების შემდეგ, დამპყრობლისაგან განთავისუფლებული საქართველო, ისევ რუსულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ჩათრევას უფრთხოდა. რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინავრებდა და მათ თითქოს ნაკლებად ეცალათ ამიერკავკასიისთვის, თუმცა ამის მიუხედავად პერიოდულად რესპუბლიკის არსებობას საფრთხეს უქმნიდნენ როგორც ,,თეთრები", ისე ბოლშევიკები. მათ შორის გამარჯვებული ძალა ისევ ამიერკავკასიას, რომ მიუბრუნდებოდა ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

თეთრი რუსეთი, განსაკუთრებით კოლჩაკ-დენიკინის ფორმაციისა კავკასიას უბრალოდ და მარტივად რუსეთის განუყოფელ ნაწილად აცხადებდა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის სურვილი კი პირობითად შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ: გეოპოლიტიკური ფაქტორი; იდეური და პიროვნული. გეოპოლიტიკური ფაქტორში შეგვიძლია გავაერთიანოთ კავკასიის რეგიონის სტრატეგიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები. საბჭოთა რუსეთი შიშობდა, რომ საქართველოს გარეშე მისთვის რთული იქნებოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ეფექტური კონტროლი, ამავდროულად საქართველოს უყურებდნენ როგორც ანტანტის პოტენციურ საყრდენს კავკასიაში. იდეურ ფაქტორად შეგვიძლია ჩავთვალოთ ბოლშევიკთა ილუზიები მსოფლიო რევოლუციის შესახებ. ამ ილუზიის ჩარჩოებში საქართველოსა და კავკასიის ეფექტური კონტროლი კარგი პლაცდარმი იქნებოდა მომავალში თურქეთსა და ირანში რევოლუციის/სოციალიზმის ექსპორტისათვის. პიროვნული ფაქტორი შეგვიძლია ორად გავყოთ. რუსი ბოლშევიკები მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის კოლონიალურ პოლიტიკას ემიჯნებოდნენ, საქართველოს მაინც რუსული სივრცის ნაწილად მიიჩნევდნენ და მის გასვლას ამ სივრციდან ვერ ეგუებოდნენ. ამ დამოკიდებულებას ერთი უხერხული მომენტიც ახლდა თან, საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკაში, ,,ლენინური" ერების თვითგამორკვევის პოლიტიკის იდეის განმახორციელებლად აცხადებდა თავს და ამიტომ წარმოაჩენდნენ, რომ თითქოს ისინი საქართველოს კი არ ებრძოდნენ, არემედ აჯანყებული ქართველი ხალხს ეხმარებოდნენ. პიროვნული ფაქტორის მეორე ნაწილი, რუსეთის კომპარტიის ქართული წარმოშობის წევრების მოტივაცია იყო. სასწორზე იდგა მათი პირადი

პრესტიჟისა და გავლენის საკითხი, საქართველო იმ სივრცის ნაწილი უნდა ყოფილიყო, სადაც მათი ძალაუფლება ვრცელდებოდა, მათ შორის მრავლად იყვნენ ისეთნიც ვისაც საქართველოს განვითარებისთვის ეს მტკივნეული ნაბიჯი აუცილებლად მიაჩნდათ. ეს ბოლო ფაქტორი, ზემოთ ჩამოთვლილ ყველაზე ნაკლებად მნივნელოვანი იყო და მისი არსებობა-არარსებობა არაფერს არ ცვლიდა. რესპუბლიკისთვის ასევე მნიშვნელოვანი საფრთხე იყო ოსმალეთის იმპერია, ხოლო შემდეგ კი მის ნანგრევებზე წარმოქმნის პოლიტიკურ ერთეულებთან სამხრეთის სადავო საზღვრების საკითხი. საზღვრები სადავო იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორისაც.

ამ დროს, ამ საფრთხეების ფონზე, როგორი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები? რა ადამიანური სამხედრო რესურსი გააჩნდა რესპუბლიკას? როგორი იყო ჯარის ორგანიზაციული ფორმა? საშტატო სტრუქტურა? დანიშნულება? როგორ ხედავდნენ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ლიდერები ჯარის განვითარების სტრატეგიას? როგორი იყო ჯარისკაცთა მორალური სახე? რა იარაღს და რა რაოდენობის საბრძოლო მასალას ფლობდა რესპუბლიკა? რამდენად საკმარისი იყო ეს იარაღი და საბრძოლო მასალა სხვადასხვა მასშტაბის და ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტისათვის? როგორ ფინანსდებოდა ჯარი ბიუჯეტიდან და რამდენად ყოფნიდა ეს ფინანსები შეიარაღებული ძალების ნორმალურ ფუნქციონირებას?. ეს ის კითხვებია, რომელზე პასუხების ძიება გვაძლევს წარსულის სურათის აღდგენის საშუალებას და გვაჩვენებს თუ როგორი და რისი შემძლე შეიარაღებული ძალა ჰყავდა რესპუბლიკას.

რესპუბლიკის დამარცხების შემდეგ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობდნენ როგორც პოლიტიკოსები, ისე სამხედროები, რომელთა სხვადასხვა დონის პასუხისმგებლობასაც წარმოადგენდა შეიარაღებული ძალების მშენებლობა და გამართული ფუნქციონირება. ემიგრაციის წლებში დაწერილი სამხედროთა თუ პოლიტიკოსთა მემუარები და პოლემიკური ხასიათის წერილები, ძირითადად მაინც დამარცხების შემდეგი პოლიტიკური დაპირისპირების ამსახველი დოკუმენტებია სადაც ყველა საკუთარი თავის გამართლებას და მოწინააღმდეგის გაშავებას ცდილობს. ამრიგად ასეთი ტიპის წყაროების პირდაპირ, უკრიტიკოდ მიღება ისტორიკოსის მხრიდან დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა. მიუხედავად ამისა წყაროთა ეს ჯგუფი

მაინც მეტად მნიშვნელოვანია , რადგანაც, ამბების თვითმხილველებისა და მონაწილეების მონათხრობია, მართალია სუბიექტური, ხშირ შემთხვევავში წინასწარი განზრახვით შედგენილი, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი. სწორედ ეს მემუარები თუ პოლემიკური ხასიათის წერილები, გარკვეულწილად ეპოქის ატმოსფეროსაც აცოცხლებს და სხვა ტიპის წყაროებთან შეჯერებით სიმართლის დადგენაში გვეხმარება. საბჭოთა საქართველოში რესპუბლიკის არმიაზე თითქმის არაფერი არ იწერებოდა, თუ იწერებოდა ,,ანტიმენშევიკური“ პროპაგანდის ნაწილს წარმოადგენდა და ძირითადად ჯარის ნაწილებში ბოლშევიკური მოძრაობის გაზვიადებულ ისტორიას წარმოაჩენდა.[3] დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთმა გამორჩეულმა გენერალმა, გიორგი მაზნიაშვილმაც საბჭოთა თბილისში გამოსცა ცენზურა გავლილი მოგონებები, რომელიც გარკვეულწილად ,,მენშევიკური“ მთავრობის სალანძღავი , პროპაგანდისტული ხასიათის წიგნია. 1980-იან და 1990-იან წლების საქართველოში, ,,პერესტროიკის“ ხანასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიით დაინტერესება გაიზარდა და რაც მთავარია ისტორიკოსებს თავისუფლად წერის საშუალება გაუჩნდათ , თუმცა მათთვის პრობლემას ურთულესი სოციალ-ეკონომიკური გარემო და წყაროთა სიმწირე წარმოადგენდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ხარისხობრივად მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ ისევ ემიგრაციაში იყო. 1990-იან წლებში რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალების შესახებ განსაკუთრებით საინტერესო სტატიები და დოკუმენტები ქვეყნდებოდა ჟურნალ ,,მხედარში“, ისტორიკოსმა ვახტანგ გურულმა კი გენერალ ვასილ გაბაშვილისა და იმჟამად პოლკოვნიკ გიორგი კვინიტაძის მიერ 1918 წლის დასაწყისში შემუშავებული ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი გამოაქვეყნა.[4] თავიდან გამოიცა ქართველ სამხედროთა და პოლიტიკოსთა მემუარები და პოლემიკური ხასიათის სტატიები. ჩემი დაინტერესება, უფრო სამართლიანი იქნება ვთქვა, რომ საკითხთან ირიბი გადაკვეთა 2000-იანი წლების დასაწყისში მოხდა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, ჩემ ყურსა და გონებას რომელიც საქართველოს სამხედრო ისტორიის ჰიპერბოლიზებული ვერსიებით იყო

[3] ტრისტან ლაბარტყავა. რევოლუციური მოძრაობა ჯარის ნაწილებში საქართველოში 1917-1921წწ. თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“, 1977.

[4] გურული ვახტანგ. ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან. (ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი). ისტორიული ნარკვევი. დოკუმენტები (1917-1918). თბილისი: ,,მერიდიანი“, 1998.

სავსე, რიგითი სატელევიზიო სიუჟეტიდან იმ დროისათვის მეტად უცნაური რამ მოესმა - 1921 წლის თებერვალში 40 000 კაციანმა წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო რომლის ჯარიც 60 000 კაცს ითვლიდაო. მართალია დღეს ვიცი, რომ სატელევიზიო სიუჟეტის ამ მტკიცებაში მხოლოდ ნაწილობრივაა სიმართლე, მაგრამ ჩემთვის იმხანად საშუალო სკოლის მოსწავლისთვის გაუგებარი იყო როგორ შეიძლებოდა რიცხვით მცირე მოწინააღმდეგეს უფრო მრავალრიცხოვანი ქართველების დამარცხება, როდესაც მანამდე ჩემს მიერ წაკითხული წიგნები სულ სხვა რამეს მიყვებოდა. მაშინვე არ მიცდია საქმეში გარკვევა, რადგანაც იმხანად უფრო ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების ისტორია მიზიდავდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა საკითხისადმი ინტერესი ჩემ ქვეცნობიერში ღრმად ჩარჩა და წლების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიით დაინტერესებისას ბუნებრივად ამოტივტივდა. საკითხით დავინტერესდი მაშინ, როდესაც წარსულის გაზვიადებული, ცრუ ჰეროიზმით გაჯერებული აღქმა ჩემგან უკვე შორს იყო და ვცდილობდი ყველაფრისთვის დაკვირვებული თვალით შემეხედა. დროთა განმავლობაში დავიწყე მუშაობა რათა ზემოთ ჩამოთვლილი კითხვებისთვის პასუხები გამეცა, რაც საბოლოო ჯამში სხვადასხვა სამეცნიერო სტატიასა თუ ამ დისერტაციაში აისახა.

დისერტაცია ორ ძირითად თავად იყოფა . პირველ თავში ქრონოლოგიური პრინციპით დაცვით ვაჩვენებ თუ როგორ ყალიბდებოდა რეგულარული ჯარი და სახალხო გვარდია. რა ისტორიული, ადამიანური და იდეური საფუძველი ედო ჯარის შექმნის პროცესს, ამაში იგულისხმება როგორც 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდელი წინაპირობები, ისე თებერვლის რევოლუციიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდელი გარდამავალ ხანა. ნაჩვენებია როგორი იყო შეიარაღებული ძალის ორგანიზაცია, რა ტიპის დისკუსია მიმდინარეობდა ქვეყანაში ჯარის შექმნის და მისი ტრანსფორმაციის პროცესში, როგორი იყო სამხედროთა თუ პოლიტიკოსების ხედვა. რა გავლენას ახდენდა გლობალური, რეგიონალური და ადგილობრივი პროცესები ჯარის მშენებლობის საქმეზე. როგორ ყალიბდებოდა და იცვლებოდა საშტატო სტრუქტურა , რამდენი ჯარისკაცი უნდა ყოფილიყო ჯარსა და გვარდიაში და რამდენი იყო ხოლმე რეალურად სხვადასხვა პერიოდში. როგორი იყო სამხედროთა მორალური სულისკვეთება და რამდენად იყვნენ მატერიალურად

უზრუნველყოფილნი, იძლეოდა თუ არა რესპუბლიკის ეკონომიკური შესაძლებლობები ჯარის სრული მობილიზაციის საშუალებას. ნაშრომის მეორე თავში ნაჩვენებია, რა შეიარაღება და საბრძოლო მასალები გააჩნდა ქართულ ჯარს. განხილულია თუ რამდენად იძლეოდა ქართული ჯარის იარაღისა და საბრძოლო მასალის ოდენობა, რესპუბლიკის ადამიანური რესურსის სრულად ან ნაწილობრივ მობილიზებისა და გამოყენების საშუალებას . ასევე გამოკვლეულია იარაღის შეძენის მცდელობის დეტალები საერთაშორისო პროცესების პარალელურად, რადგანაც ამ პროცესის წარმატება თითქმის სრულად სწორედ ამ უკანასკნელზე იყო დამოკიდებული. მეორე თავში ასევე ნაჩვენებია, სხვადასხვა ტიპის საბრძოლო საშუალებების გამოყენების მაგალითები რესპუბლიკის ომებიდან. ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მხოლოდ ის არ არის, რომ უამრავი ახალი ინფორმაცია შემოაქვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის შესახებ . სიახლე იმაშიც მდგომარეობს, რომ ერთიანი გამოკვლევა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შესახებ , სადაც ნაჩვენები იქნებოდა მისი ჩამოყალიბების, ფუნქციონირების და განვითარების ერთიანი სურათი აქამდე არ არსებობდა.

წყაროები და ლიტერატურა: დისერტაციის მთავარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა საქართველოს ეროვნული არქივის, ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებში დაცული დოკუმენტებია, რომელთა დიდი ნაწილი აქამდე ქართული ისტორიოგრაფიისთვის უცნობი იყო. ეროვნული არქივის ფონდებიდან პირველ რიგში გამოსაყოფია სამხედრო ხასიათის ფონდები, კერძოდ: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს; სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა და სამხედრო სამინისტროს სამხედრო საბჭოს ფონდები. ამ ფონდებში ვხდებით მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის, მისი ფუნქციონირების, სხვადასხვა ეტაპზე ჯარის პირადი შეამდგენლობის რაოდენობის, დეზერტირობის თუ სამხედროთა ხელთ არსებული საბრძოლო საშუალებების შესახებ. ჩამოთვლილი ფონდებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ასეულობით საარქივო საქმეს მოიცავს და შეუცვლელია, საკმაოდ ნაკლულია სამხედრო სამინისტროს ფონდი და მისი საქმიანობის მხოლოდ გარკვეულ ფრაგმენტებს მოიცავს. სამხედრო ხასიათის ფონდებთან ერთად ძალიან

მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ორგანოს - ჯერ ეროვნული საბჭოსა, ხოლო შემდეგში კი დამფუძნებელი კრების ფონდები. სწორედ საკანონმდებლო ორგანოში შედიოდა სამხედრო ხასიათის კანონპროექტები, რომელთა შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო დისკუსია იმართებოდა სამხედრო კომისიაში. ძირითადად სწორედ ამ ფონდებშია დაცული რეგულარული ჯარისა და გვარდიის შტატების დეტალები, დისკუსია თუ რა ტიპის შეიარაღებული ძალა სჭირდებოდა რესპუბლიკას, მსჯელობა ჯარის მშენებლობის პროცესში არსებული პრობლემების შესახებ და ა.შ. არანაკლები მნიშვნელობისაა მთავრობის საქმეთა მმართველობის ფონდი, სადაც სამხედრო უწყების შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტია დაცული. მნიშვნელოვანია საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდიც. ეს ფონდი განსაკუთრებით შეუცვლელია ევროპაში იარაღის შეძენის თუ უფასოდ მიღების საკითხების კვლევისას. იარაღის შეძენა/მიღების საკითხის გასარკვევად ისტორიკოსების ბექა კობახიძისა , გიორგი მამულიასა და გიორგი ასტამაძის დახმარებით - დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის არქივებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი საარქივო საქმე მოვიპოვე, რაც ძალიან გამომადგა.

დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ძალიან გამომადგა რესპუბლიკის პერიოდში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები, როგორც სამხედრო თემატიკის, ასევე პარტიული, სამთავრობო , იუმორისტული თუ ლიტერატურული გამოცემები.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული სუბიექტური ხასიათისა: გიორგი კვინიტაძის; გიორგი მაზნიაშვილის; ილია ოდიშელიძის; ალექსანდრე ზაქარიაძის; ალექსანდრე ჩხეიძის; ვალოდია გოგუაძის; აკაკი კვიტაიშვილის; ვალიკო ჯუღელის; აკაკი ჩხენელის; გივი ღამბაშიძის თუ პროცესის სხვა მონაწილეების მემუარებს, დღიურებსა თუ პოლემიკური ხასიათის წერილებს გვერდი ვერ ავუარე, თუმც განსაკუთრებული სიფრთხილით ვეპყრობოდი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართული ჯარის ფორმირების, ორგანიზაციის და ფუნქციონირების სრული სურათის ამსახველი კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არსებობს, მაგრამ არსებობს ნაშრომები, რომლებიც 1917-1918 წლებში ჯარის ფორმირების და ორგანიზაციის გარკვეულ ასპექტებს მოიცავენ.[5] თუმცა, ამ

[5] არჩილ ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი: ,,არადანი", 2007; მიხეილ ბახტაძე. ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭო (1917 წლის დეკემბერი -1918 წლის თებერვალი).*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ისტორიის, არქეოლოგიის,*

ნაშრომების ავტორთა მიზანი 1917-1918 წლებში ჯარის ჩამოყალიბების სრული სურათის ჩვენება არ ყოფილა და თითოეულ შემთხვევაში, კვლევას თავისი კონკრეტული მიზანი ჰქონდა.

ქართული ჯარის ფუნქციონირების განსახილველად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა რა რაოდენობის შაშხანები, ტყვიამფრქვევები, არტილერია და საბრძოლო მასალები გააჩნდა რესპუბლიკას . ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი ავტორი უნდა მოვიხსენიო, რომლებიც საკითხს მეტ-ნაკლებად ვრცლად შეეხნენ. არჩილ ჩაჩხიანი 2007 და შემდეგ 2022 წლებში გამოცემულ მონოგრაფიაში, რომელიც სომხეთ-საქართველოს ომს ეხება, სწორად აღნიშნავს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას თითქმის დაცარიელებული სამხედრო არსენალი დახვდა. ავტორი გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძეზე დაყრდნობით წერს, რომ პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე რუსული არმია 1917 წელს ახალ შეტევას გეგმავდა და თბილისის და ქუთაისის გუბერნიის ფარგლებში არსებული საწყობებიდან იარაღის და საბრძოლო მასალა ფრონტის ახლოს გადაიტანეს.[6] ეს მართლაც ასე იყო, თუმცა ავტორი საკითხს მეტად აღარ აკონკრეტებს. ჩვენ შემთხვევაში კი მეტი კონკრეტიკის საშუალება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულმა საქართველოს სამხედრო საწყობების დოკუმენტაციამ მოგვცა, სადაც არითმეტიკული სიზუსტითაა განსაზღვრული რესპუბლიკას მისი არსებობის საწყის თუ შემდგომ ეტაპზე რა რაოდენობის იარაღი და საბრძოლო მასალები გააჩნდა, ასევე გვაქვს გენერალური შტაბის გათვლები თუ რამდენი სჭირდებოდათ. ქართულ საწყობებში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალების მარაგები, გენერალური შტაბის გაანგარიშებებები გაანალიზებული მაქვს იმ პერიოდის ომების საბრძოლო მასალების ხარჯვის მასშტაბების განხილვის ფონზე. არჩილ ჩაჩხიანი, სწორად მიუთითებს , რომ ქართული ჯარი 1918 წლის ზაფხულზე რუსეთიდან აფხაზეთში შეჭრილი

ეთნოლოგიის და ხელოვნებათმცოდნეობის სერია. თბილისი. N1, 2019; მიხეილ ბახტაძე. ორი დოკუმენტი ქართული არმიის ჩამოყალიბებისა და მდგომარეობის შესახებ (1918-1919წლები). საქართველოს ეროვნული არქივის 2018 წლის საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი. 2019 ; დოდო ბერიძე. საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია (1917 წლის ნოემბერი -1919 წლის იანვარი). სადოქტორო დისერტაცია. ახალციხე. 2017; ვახტანგ გურული. ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან. (ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი). ისტორიული ნარკვევი. დოკუმენტები (1917-1918). მერიდიანი. თბილისი: ,,მერიდიანი", 1998.

[6] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გვ.165; არჩილ ჩაჩხიანი.სომხეთ-საქართველოს ომი. ნაწილი I. ,,სომხური საკითხის" დასმიდან დაპირსპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე. თბილისი: ,,არადანი", 2022. გვ.434.

ბოლშევიკების დამარცხების შედეგად ალაფის სახით იარაღს და საბრძოლო მასალას იგდებდა ხელთ, თუმცა ცდება როდესაც ეყრდნობა 1955 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ შემუშავებულ მემორანდუმს ,,Communist Takeover and Occupation Georgia" და წერს, რომ სამი წლის განმავლობაში საქართველოს დასავლეთიდან დახმარების სახით არ მიუღია არც ერთი თოფი, ქვემეხი და საბრძოლო მასალა.[7]

საკითხს უფრო დეტალურად შეეხო ისტორიკოსი შოთა ვადაჭკორია. მისი თავდაპირველი დასკვნა, რომ ქართულ ჯარს მემკვიდრეობით მცირე რაოდენობის იარაღი დარჩა მართებულია და იმავე არგუმენტს ემყარება, რასაც არჩილ ჩაჩხიანი გვთავაზობს. თუმცა ავტორის შემდგომი დასკვნების არცთუ მცირე ნაწილი საარქივო მასალის მხოლოდ ერთი ნაწილის გაცნობის გამო მცდარია, მაგალითად მას აქვს ნანახი და გამოყენებული საარქივო დოკუმენტები პარიზში მყოფი ქართული დელეგაციის მიერ იარაღის შეძენის მცდელობის შესახებ, მაგრამ არ აქვს ინფორმაცია დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მიერ 1920 წელს სხვადასხვა პირობით იარაღის შეზღუდული პარტიების საქართველოსთვის გადაცემის შესახებ და წერს, რომ საქართველოს მათგან არაფერი არ მიუღია. მას არ გააჩნია ინფორმაცია იტალიიდან ვაზნების შეძენის საკითხზე. აკეთებს მცდარ დასკვნას, თითქოს პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტისპირა რაიონებში იარაღის და საბრძოლო მასალების გადაზიდვის შემდეგ თბილისის არსენალში საერთოდ არაფერი არ იყო დარჩენილი და მხოლოდ 1918 წლის მარტში, ალექსანდროპოლიდან[8] და ყარსიდან გადმოტანილი საბრძოლო მასალებით ნაწილობრივ შეივსო არსენალი. ეს ინფორმაციაც სიმართლის მხოლოდ ერთ ნაწილს შეიცავს. ამ ადგილებიდან ქართველებმა მართლად გადაიტანეს თბილისში საბრძოლო მასალები, მაგრამ მტკიცება, რომ თბილისის არსენალში საბრძოლო მასალები საერთოდ აღარ იყო მცდარია, რასაც საარქივო დოკუმენტები ადასტურებენ. იარაღი და საბრძოლო მასალა საწყობებში იყო , ოღონდ მცირე რაოდენობით, რასაც ამ საწყობების შესახებ არსებული სხვადასხვა ცნობა გვიჩვენებს, რაც ავტორს არ უნახავს. ავტორს ასევე არ აქვს ინფორმაცია, 1918 წელს გერმანიაში შეძენილი იარაღის შესახებ. ავტორს შედარებით სრულად, მაგრამ სრულყოფილად

[7] არჩილ ჩაჩხიანი.სომხეთ-საქართველოს ომი. ნაწილი I. გვ.436-437
[8] დღევანდელი სომხეთის რესპუბლიკის ქალაქი გიუმრი.

მაინც არ აქვს ნაჩვენები 1921 წლის თებერვალ-მარტში საფრანგეთისგან იარაღის შეძენის პერიპეტიები. [9] მთლიანობაში მისი დასკვნა, რომ ქართული ჯარი იარაღის და საბრძოლო მასალის დეფიციტს განიცდიდა სწორია, მაგრამ სიზუსტე და დეტალიზაცია აკლია. რიგ შემთხვევაში მას ან ინფორმაცია არ აქვს, ან აქვს არასრული ინფორმაცია რაც ზოგჯერ მცდარ დასკვნებს აკეთებინებს. საქართველოსთვის იარაღის გადაცემა/შესყიდვის საქმეში , საერთაშორისო გარემოს და დიდ სახელმწიფოთა მიერ საქართველოსადმი პოლიტიკის განსაზღრის უკეთ გაგებაში ყველაზე მეტად დამეხმარა ბექა კობახიძის დისერტაცია[10] და გიორგი მამულიასა და რამიზ აბუტალიბოვის ერთობლივი მონოგრაფია.[11] ქართულ ავიაციისა და ფლოტის შესახებ აღსანიშნავია ნუგზარ გელოვანის მიერ 1990-იან წლებში ჟურნალ მხედარში გამოქვეყნებული სტატიები,[12] თუმცა რადგანაც იმ დროისათვის საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო , ,,ჰარვარდისა" და ,,ლევილის" კოლექციების საქართველოში დაბრუნებამ საშუალება მომცა ბევრი ახალი დეტალით შემევსო ავიაციისა და ფლოტის ისტორია. ფლოტზე წერისას აუცილებლად გამოსაყოფი და გამოსარჩევია ჟურნალ არსენალის რედაქტორის, თემურ ჩაჩანიძის მაღალკვალიფიციური, პოპულარული ხასიათის სტატიები. [13] ჯავშანმატარებელთა რაზმის შესახებ აღსანიშნავია შოთა ვადაჭკორია წიგნი რაზმის მეთაურის, ვალოდია გოგუაძის შესახებ.[14]

---

[9] შოთა ვადაჭკორია.ევროპული დაპირებები და ვაზნების გარეშე დარჩენილი საქართველო (1919-1921წლები). ახალი საარქივო დოკუმენტები. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები N 1 (14), თბილისი: ,,უნივერსალი", 2014, გვ.404-411; შოთა ვადაჭკორია. საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ქრონიკიკა (1921 წელი). თბილისი: ,,ირიდა",2021 გვ.18-50.

[10] ბექა კობახიძე. საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.თბილისი: ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა", 2015.

[11] Георгий Мамулиа. Рамиз Абуталыбов. Страна Огней. В борьбе за свободу и независимость. Политическая история Азербайджанской емиграции. 1920- 1945 гг. Париж- Баку: , ,,CBS", 2014.

[12] ნუგზარ გელოვანი. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან. ჟურნ. *,,მხედარი".* N2, 1992.; ნუგზარ გელოვანი. სამხედრო-საჰაერო ძალები 1918-1921 წლების საქართველოში, ჟურნ. *„მხედარი".* N1-4, 1994.

[13] თემურ ჩაჩანიძე. ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან. ჟურნ. *,,არსენალი".* N3, 2004;; თემურ ჩაჩანიძე. ომი სამოქალაქო გემებით. ჟურნ. *,,არსენალი".* N12(17), 2005; თემურ ჩაჩანიძე. ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან. ჟურნ. *,,არსენალი"* N6(23), 2006; თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 1. ჟურნ. *,,არსენალი".* N22 (143), 2011; თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 2. ჟურნ. *,, არსენალი".* N23 (144, 2011; თემურ ჩაჩანიძე. კრეისერ ,,კარლოსის" ქართველი არტლერისტები. ჟურნ. *,,არსენალი"* N3 (205), 2015.

[14] შოთა ვადაჭკორია. ქართული ეპოსიდან ამოზიდული ლეგენდა (ვალოდია გოგუაძე). თბილისი: ,,პარნასი", 2014.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია 1917-1921 წლებში

1.1 ქართული შეიარაღებული ძალების შექმნის საფუძვლები და მისი ორგანიზაცია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე

მსოფლიო ომის სანგრების კოშმარმა, დიდმა ადამიანურმა მსხვერპლმა, ომისგან გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ომის მეოთხე წელს 1917 წლის თებერვალში რუსეთის იმპერია რევოლუციამდე მიიყვანა. ჯანყმა პეტროგრადში[15] მონარქია დაამხო და ძალაუფლება დროებით მთავრობისა და რევოლუციური ხელისუფლების ორგანოების - მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ხელში გადავიდა. ამიერკავკასიის მართვა დროებითი მთავრობის მიერ შექმნილ სამხარეო მმართველობის ორგანოს, ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომს) დაევალა. ,,ოზაკომის" პარალელურად, რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები ისევე როგორც მთელ რუსეთში კავკასიაშიც შეიქმნა .

რევოლუციური ეიფორია ნათელი მომავლის ილუზიას აჩენდა. რევოლუციონერთა თაობების ნაბრძოლ-ნაოცნებარი - ოცნება სოციალურად სამართლიანი და უფლებრივად დემოკრატიული სახელმწიფო შექმნისა თითქოს ხელის ერთ გაწვდენაზე იყო. მომავალს იმედით უყურებდნენ იმპერიის მიერ დაპყრობილი ერებიც. ისინი, იმპერიალისტურ მსოფლიოში სადაც პატარა ერების სრული დამოუკიდებლობა თითქმის შეუძლებელი ამბად მოსჩანდა, მომავალს, დემოკრატიული რუსეთის ქვეშ, საკუთარ პოლიტიკურ ავტონომიაში ხედავდნენ . ამ ყველაფრის მიღმა კი მსოფლიო ომი ისევ მძვინვარებდა, ხალხს შიოდა , ხოლო პოლიტიკური პარტიები ერთმანეთთან მწვავე ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი. ქართველი პოლიტიკოსები მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის მომავლის ფორმირებაში, ისინი იყვნენ ცენტრშიც, დროებით მთავრობასა თუ დეპუტატთა საბჭოებში და წამყვანი ადგილი ეჭირათ კავკასიურ, რეგიონალური მართვა-გამგეობის ორგანოებში. ამ ყველაფრის პარალელურად კი 1917 წლის აპრილში ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა ინტერპარტიული კრება გამართეს, ჩამოაყალიბეს ინტერპარტიული ბიურო რომელსაც აგვისტოდან ინტერპარტიული საბჭო უწოდეს.

[15] პეტერბურგის სახელი 1914-1924 წლებში.

საბჭოს წევრები მიმდინარე მომენტში, დიდი ცვლილებების ეპოქაში ქართველი ერის წინაშე არსებულ პრობლემებსა და მომავალზე მსჯელობდნენ. ცდილობდნენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას და სხვა საკითხთა შორის, 1917 წლის 16 აგვისტოს საბჭოს სხდომაზე ქართველთა სამხედრო კავშირის მოხსენების მოსმენის შემდეგ გადაწყვიტეს დეპუტაციის გაგზავნა პეტროგრადში, რათა მთავრობისათვის ქართული პოლკების დაარსების ნებართვა ეთხოვათ. პეტროგრადშივე გააგზავნეს დეპეშა დროებით მთავრობასა თუ რევოლუციური მმართველობის პარალელურ ორგანოებში მყოფ გავლენიან ქართველებთან - აკაკი ჩხენკელთან, ირაკლი წერეთელსა და ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძესთან, რათა საკითხის დადებითად გადაწყვეტის საქმეში თავისი ავტორიტეტი და გავლენა გამოეყენებინათ, კიდევ ერთი დელეგაცია საბჭოდან კავკასიის არმიისა და იმავდროულად პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის სარდალ, გენერალ მიხეილ პრჟევალსკისთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა. [16] ვიდრე შემდგომი მოვლენების მსვლელობას თვალს მივადევნებდეთ, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რა ადამინურ რესურსზე დაყრდნობით შეიძლებოდა ქართული პოლკების შექმნა და საერთოთ რა როლი და გამოცდილება ჰქონდათ ქართველებს რუსეთის იმპერიის სამხედრო სისტემაში.

რუსეთის იმპერიის მიერ მე-19 საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიის შემდეგ ქართველებს რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში მოუწიათ ჩადგომა. ათიათასობით ქართველი იბრძოდა მე-19 საუკუნეში რუსეთის წარმოებულ ომებში კავკასიის საბრძოლო მოქმედებათა თეატრზე: ირანისა და ოსმალეთისა წინააღმდეგ თუ კავკასიურ ომში.[17] ამ ომებში ქართველები მილიციურ რაზმებში იყვნენ გაერთიანებულნი, რომელთაც ძირითადად არარეგულარული მილიციური ქვედანაყოფების სახე ჰქონდა, თუმცა 1831 წლიდან 1870-იანი წლების ჩათვლით რამდენიმე მუდმივი ქართული მილიციური რაზმიც ჩამოყალიბდა: ქართული პოლკი

[16] საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილ-ნოემბერი) დოკუმენტები და მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ზაირა გერგედავა-ჭელიძემ თბილისი: ,,მერიდიანი", 1999. გვ.30-31- დოკუმენტში პრჟევალსკი მოხსენიებულია როგორც კავკასიის არმიის სარდალი, თუმცა ცნობილია , რომ ის იმ დროს ამავდროულად ფრონტის სარდალიც იყო.

[17] ხათუნა თოდაძე. ქართული სამხედრო ფორმირებები XIX საუკუნეში. თბილისი: ,,ტექნიკური უნივერსიტეტი", 2013, გვ.61 ; 73; Модест Богданович. Восточная Война 1853-1856 годов. Том IV. Санкт-Петербургъ: ,,Въ Типографии Ф. Сушинскаго" , 1876, С .346-348; Материалы для описания Русско-Турецсой Войни 1877-1878 г. г. На Кавказско-Малоазиатскомь театрь. Сь Планами. Томь I. Составлень Въ Военно-Историческомь отдель Кавказскаго Военнаго округа подь редакцией Генерал-лейтенанта Чернявскаго. Санкт-Петербургъ. 1904, Приложения. С. 174-175; 182-183; 186-187; 190-195; Шамше Мегрелидзе. Грузия В Русско-Турецкой Войне 1877-1878 г. г. Батуми: ,,Госиздат Адж. АССР", 1955,С .47

- ჯარი (მოგვიანებით ქართული ქვეითი დრუჟინა); ქუთაისის ცხენოსანი პოლკი; გურიის ქვეითი დრუჟინა და სხვა.[18] მართალია ეს ქვედანაყოფები მუდმივი მილიციური სამხედრო ნაწილები იყო, მაგრამ ისინი იმპერიაში ირეგულარულ სამხედრო ქვედანაყოფებად იწოდებოდა , რადგანაც მათ არ გააჩნდათ დაკომპლექტების , სწავლებისა თუ ორგანიზაციის ერთიანი მუდმივი სრუქტურა. ამ ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახური ვადა სხვადასხვა დროს რამდენიმე თვიდან წლამდე გრძელდებოდა, პერიოდულად იცვლებოდა დაკომპლექტების პრინციპიც , სავალდებულოდან - დაქირვებულამდე.[19] მუდმივი მილიციური ნაწილებისგან განარჩევდნენ დროებით მილიციას და სახალხო ლაშქარს. ეს უკანასკნელი ძირითადად მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა.

რუსეთის იმპერია 1880-იან წლებამდე კავკასიელების მოქმედ სამხედრო სამსახურში გაწვევას ერიდებოდა. ,,სალდათობა" საქართველოს მოსახლეობაში პოპულარულობით არ სარგებლობდა და ხმები ამ ვალდებულების ქართველებზე შესაძლო გავრცელების შესახებ ყოველ ჯერზე მოსახლეობის მღელვარებით სრულდებოდა.[20] იმპერიის ხელისუფლება კავკასიის ომის დასრულებამდე და კავკასიაში ფეხის საბოლოო მომაგრებამდე ამ არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმისგან თავს იკავებდა. მათი ეს პოლიტიკა 1886 წლამდე გაგრძელდა. 1886 წელს იმპერიაში მიიღეს გადაწყვეტილება სამხედრო-სავალდებულო სამსახურში კავკასიის ადგილობრივი, არამუსლიმი მოსახლეობაც გაეწვიათ, რისი აღსრულებაც 1887 წლიდან დაიწყეს. კავკასიის ერებისთვის გაწვევა თავდაპირველად შეღავათიან პირობებში მიმდინარეობდა. მათ იწვევდნენ მცირე რაოდენობით, ჩვეულებრივზე შემცირებული დროით და სპეციალურად მათთვის შექმნილ ,,ტუზემცურ" ქვედანაყოფებში, რომლებიც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე იდგნენ. 1887 წელს სულ 2400-მდე ახალწვეული გაიწვიეს ,,ტუზემცურ" ქვედანაყოფებში, აქედან მხოლოდ 1369 იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები.[21] 1893 წლიდან ქართველებისთვის ისევე როგორც სხვა კავკასიელებისთვის შეღავათები გაუქმდა და

[18]სცსა. ფონდი 1087. აღწერა 1. საქმე.797. ფურც.1; ხათუნა თოდაძე. ქართული სამხედრო ფორმირებები XIX საუკუნეში. გვ.80-83 ; Владимир Казин. Казачьи Войско. Санкт-Петербургъ: ,,Типография В. Д. Смирнова", 1912 с.42-43

[19] სცსა. ფონდი 1087. აღწერა 1. საქმე.797. ფურც.1.

[20] ერმილე ბურჭულაძე. ყირიმის ომი და საქართველო. თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო", .1960 გვ.37; ხათუნა თოდაძე.ქართული სამხედრო ფორმირებები XIX საუკუნეში. გვ.65-79.

[21] სცსა. ფონდი 1087. აღწერა 1. საქმე 808. ფურც.1-3.

მათ უკვე მთელი კავკასიის სამხედრო ოლქის მასშტაბით იწვევდნენ, როგორც ,,ტუზემცურ“, ისე ჩვეულებრივ სამხედრო ქვედანაყოფებში. ამავე დროს გაუქმდა სამსახურის ვადის შეღავათიც და თუ 1887 წელს გაწვეულები მხოლოდ სამ წელს მსახურობდნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში და შემდეგ რეზერვში ირიცხებოდნენ, 1893 წლიდან კი ნამდვილი სამსახურის ვადა ხუთ წლამდე გაეზარდათ, შემდეგ კი 13 წელი რეზერვში ირიცხებოდნენ. 1899 წლიდან კი ,,ტუზემცური“ ქვედანაყოფები საერთოდ გაუქმდა და თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის ახალწვეულები უკვე იმპერიის ნებისმიერ სამხედრო ოლქში შეიძლება გაეწვიათ, ზუსტად იმავე პირობებში რა პირობებშიც რუსები და იმპერიის სხვა სლავი ერები მსახურობდნენ.[22]

იზრდებოდა კავკასიიდან გაწვეულთა რიცხვიც. თუ 1887 წელს კავკასიიდან 2400 კაცი გიწვიეს , 1892 წელს უკვე მათი რიცხვი 5186-ზე, ხოლო 1901 წელს კი 13 191-ზე ავიდა, კონკრეტულად თბილისისა და ქუთაისი გუბერნიიდან 1892-1901 წლებში, ათი წლის განმავლობაში ჯარში 30 413 ახალგაზრდა გაიწვიეს, მათგან 22 970 ანუ 75.5 % ქართველი იყო, გაწვეულთაგან მეორე ადგილზე სომხები იყვნენ 4056 ახალწვეულით, რაც ამ ორი გუბერნიიდან გაწვეულთა 13.3 %-ს შეადგენდა.[23]

ქართველებისათვის რუსეთის იმპერიის ჯარში სამხედრო-სავალდებულო სამსახური უფრო და უფრო მიუღებელი ხდებოდა, განსაკუთრებით იმის შემდეგ რაც მათი გაწვევა კავკასიის ფარგლებს გარეთაც დაიწყეს. მოგვიანებით რევოლუციონერი და უფრო გვიან კი დამოუკიდებელი საქართველოს ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაური ვალოდია გოგუაძე, იმ ჯარისკაცთა ერთ-ერთ პირველ ნაკადში მოხვდა , რომელიც კავკასიისგან მოშორებით, ოდესის სამხედრო ოლქში გაიწვიეს. მის მემუარში ნათლად მოსჩანს რუს და ქართველ ჯარისკაცებს შორის არსებული კულტურული შეუთავსებლობა. გოგუაძე იხსენებდა, რომ მათ ბრიგადაში 17 ქართველი იყო, უფროსები მათ კარგად ეპყრობოდნენ, თუმცა რუსი ჯარისკაცების ნაწილი მათ ,,თათრებს“ ეძახდა და დედასაც აგინებდა, რაც ქართველებისთვის მძიმე ასატანი იყო და საქმე ფიზიკურ დაპირსპირებამდე მიდიოდა. რუსებს უკვირდათ

[22] სცსა. ფონდი 1087. აღწერა 1. საქმე 994. ფურც.26-27

[23] Население Кавказа какь источникь комплектования Армии. по Даннымь десятилетия 1892-1901гг. Секретно. Составиль Генеральнаго штаба Капитань Андриевский. Тифлись; ,,Типография штаба Кавказскаго военнаго округа“, 1906, с.26-27; Таблици N1 и 2 - с.1-17 - აღსანიშანვია, რომ კაპიტან ანდრიევსკის შედგენილ ცხრილებში ქართველები დაყოფილნი არიან ქართველებად , იმერლებად, მეგრელებად , სვანებად და სამურზაყანოელებად. აქედან პირველი სამი ერთ გრაფაშია მოქცეული, ხოლო სვანები და სამურზაყანოელები კი კიდე დამატებით ცალ-ცალკე გრაფაში.

მათი აზრით ისეთ უმნიშვნელო რამეზე, როგორიც დედის გინება იყო როგორ ბრაზდებოდნენ ქართველები და რატომ იწყებდნენ ჩხუბს. ბოლოს მეთაურმა, გასცა ბრძანება, რომ ქართველებისთვის არ შეეგინებინათ.[24] იგივე პრობლემაზე მიუთითებდა საიმპერატორი არმიის გენერალური შტაბის კაპიტანი ანდრიევსკი. იგი თავის საიდუმლო კვლევაში - ,,კავკასიის მოსახლეობა როგორც არმიის დაკომპლექტების წყარო" წერდა, რომ ქართველებს შორის სამხედრო სამსახურისგან თავის არიდების მაღალი პროცენტის ერთ-ერთი განმაპიrობებელი ფაქტორი სხვა მიზეზებთან ერთად მათი ამაყი, თავმოყვარე და ფეთქებადი ხასიათი იყო.[25] საერთოდ ქართველთა შორის სამხედრო სავალდებულო სამსახურის თავის არიდების პროცენტი ძალიან მაღალი იყო. მაგალითად რუსეთში სამხედრო-სავალდებულო სამსახურის თავის არიდების პროცენტი 1774-1883 წლებში 2.85%-ს შეადგენდა, ხოლო კავკასიაში, 1892-1901 წლებში კი 9.7%-ს, კავკასიის ქართულ გუბერნიებში ეს მონაცემი კიდევ უფრო მაღალი იყო, კერძოდ თბილისის გუბერნიაში 13.5%, ხოლო ქუთაისისაში 14.9%.[26] კაპიტანი ანდრიევსკი ჯარისგან თავის არიდების ასეთ მაღალ პროცენტს ზემოთ აღნიშნული ხასიათის თავისებურებებთან ერთად სხვა მრავალი ფაქტორითაც ხსნიდა: ქართველებს არ ჰქონდათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გამოცდილება და თავისუფალ მილიციურ სამსახურს იყვნენ ნაჩვევნი; მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სამშობლოსგან შორს ყოფნა; მონაცემები თვალნათლივ უჩვენებდა რომ 1899 წლიდან, ანუ იქიდან როდესაც ქართველები კავკასიის მიღმაც გაიწვიეს ჯარისგან თავის არიდების მაჩვენებელმა მკვეთრად მოიმატა, ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო ახალწვეულთა დიდი ნაწილში რუსული ენის არცოდნა, კიდევ უფრო დიდ პრობლემებს ქმინდა კლიმატური ფაქტორი - მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს კავკაასიის სამხედრო ოლქის გარდა ძირითადად მაინც სამხრეთის სამხედრო ოლქებში იწვევდნენ იქაური კლიმატიც კი ცუდად მოქმედებდა მათზე. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა სასუნთქი ორგანოები ვერ ეგუებოდა განსხვავებულ კლიმატს და კავკასიის მკვიდრთა სიკვდილიანობა,

[24] ვალოდია გოგუაძე. მოგონებანი. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. გურამ შარაძის საერთო რედაქციით. ტომი III. თბილისი: ,,გულანი", .1992, გვ.366.

[25] Население Кавказа какь источникь комплектования Армии. С.45.

[26] Население Кавказа какь источникь комплектования Армии. С.29-33; 40. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა: ზუგდიდის (28.9%); სენაკის (28.2%); გორის (27.2%) და დუშეთის (23.0%) მაზრები, საპირისპირო აუხსნელ გამონაკლისებს წარმოადგენდნენ შორაპნის მაზრა იყო თავის არიდების 2.1 %-იანი მონაცემით და თბილისის მაზრა 2.0%-ით.

რუსეთის სხვა რეგიონების მკვიდრ ახალწვეულთა სიკვდილიანობის მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატებოდა.[27] ჯარში გაწვეულთა სიკვდილიანობის და დაავადმყოფების მაღალ მაჩვენებელზე ქართველმა ხალხმა 1907 წელს ჰააგაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას შესჩივლა. კონფერენციისადმი გაგზავნილი პეტიცია-მემორანდუმი, რომელსაც 3000-მა ადამიანმა მოაწერა ხელი, საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევას და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებას შესჩიოდა, ამასთანავე დოკუმენტში აღწერილი იყო ყველა ის ჩაგვრა და უსამართლობა, რასაც იმპერიის მხრიდან ქართველი ხალხის მიმართ ჰქონდა ადგილი. ქართველები ითხოვდნენ სახელმწიფოებრიობის აღდგენას ავტონომიის სახით და რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნას. პეტიციაში რუსულ ჯარში ქართველების სამხედრო სამსახურის პირობები და მისი თანამდევი შედეგები ნაწილობრივ გადაჭარბებულად იყო წარმოდგენილი, თუმცა მთლიანობაში პრობლემის არსს სწორად ასახავდა. პეტიციის ავტორები წერდნენ, რომ საქართველოს თბილს ჰავას ნაჩვევი ახალგაზრდები ჩრდილოეთ რუსეთსა და ციმბირში იგზავნებოდნენ, რაც სამხედრო ექიმების თქმით ჰავის სისასტიკის გამო 100-დან 47 მათგანის სიკვდილით ან ავადმყოფობით სრულდებოდა.[28]

სამხედრო-სავალდებულო სამსახურისადმი ქართველების ნეგატიური დამოკიდებულების საპირისპიროდ, განსაკუთრებით ქართულ არისტოკრატიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა პროფესიული სამხედრო სამსახური. დიდი სამხედრო ტრადიციების მქონე ქართველი თავად-აზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი, საკუთარი პროფესიული თუ პიროვნული რეალიზების გზას ოფიცრობაში ხედავდა. საიმპერატორო არმია სავსე იყო ქართველი ოფიცრებით, მათ შეხვდებოდით ყველგან - კავკასიის , თურქესტანის, ვარშავისა თუ ამურისპირეთის სამხედრო ოლქებში. მომავალი ოფიცრების მოსამზადებლად თბილისში 1860-იანი წლებიდან იუნკერთა ქვეითი სამხედრო სასწავლებელიც გაიხსნა, 1870-იან წლებში კი სკოლის ასაკის მოზარდთათვის თბილისშივე სამხედრო გიმნაზიაც დაარსდა, რომელიც 1880-

[27] Население Кавказа какь источникь комплектования Армии. С.39-46.

[28] ქართული დიპლომატიის ისტორია. ქრესტომათია. რეინ მეტრეველი რედაქტორობით. თბილისი: ,, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2004, გვ.443-450; გიორგი გოგუა . იპოვე შენი გვარი 1907 წლის პეტიციაში რუსეთის წინააღმდეგ. https://www.radiotavisupleba.ge/a/ipove-sheni-gvari-peticiashi-rusetis-cinaagmdeg/29127639.html

იანი წლებიდან კადეტთა კორპუსად გადაკეთდა.[29] თბილისისა თუ იმპერიის სხვა ქალაქების ოფიცერთა სამხედრო სასწავლებლების დასრულების შემდეგ ზოგიერთი ქართველი ოფიცერი უმაღლეს სამხედრო განათლებასაც იღებდა და გენერალური შტაბის აკადემიას , ან კიდევ საარტილერიო და საინჟინრო აკადემიებს ასრულებდნენ. ზოგიერთი მათგანი გენერალიც ხდებოდა, უფრო მეტიც სრული გენერლობაც[30] არ იყო იშვიათი ქართველებში. მართალია სამხედრო ოლქებს არა, მაგრამ მშვიდობიანობის პერიოდში სამხედრო ოლქების შემდეგ ყველაზე მსხვილ შენაერთებს, საარმიო კორპუსებს ქართველი გენერლებიც მეთაურობდნენ. მაგალითად 1885 წლიდან 1897 წლამდე კავკასიის საარმიო კორპუსს მორიგეობით სათავეში ედგნენ კავალერიის გენერლები ზაქარია ჭავჭავაძე და ივანე ამილახვარი.[31]

სარაევოს გასროლამ და მსოფლიო ომის დაწყებამ, ხალხის მანამდე არნახული მასების ჩართვა გამოიწვია ომში. მილიონიანი არმიები უკვე ათასობით კილომეტრებზე გადაჭიმულ ფრონტებზე იბრძოდნენ . ამხელა მასების ბრძოლის ველზე გამოყვანა მასობრივ მობილიზაციას მოითხოვდა და საერთოდაც იმხანად მობილიზაციის გამოცხადება, შემობრუნების წერტილს მიღმა იდგა და სახელმწიფო რომელიც მობილიზაციას იწყებდა, ფაქტობრივად პანდორას ყუთს ხსნიდა და გარდაუვალ ომში ერთვებოდა. მასობრივი მობილიზაცია შეეხოთ ქართველებსაც. კლიმატი და ეთნოკულტურული თავისებურებები ქვემეხთა გრიალში არავის აინტერესებდა. ქართველები ყველა ფრონტზე იბრძოდნენ , იქნებოდა ეს კავკასიის ფრონტი თუ ბრძოლა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ევროპის

---

[29] С. В. Волков. Русский Офицерский корпус. Москва: ,,Центрполиграф“, 2003, С. 143; 148-150; მამუკა გოგიტიძე, ზაზა ჯაფარიძე. სამხედრო კადრების სამჭედლო. თბილისი: ,,საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“, 2018. გვ.22;28-29.

[30] რუსეთის იმპერიის არმიაში გენერალ-მაიორისა და გენერალ-ლეიტენანტის წოდებების მაღლა თითოეული ჯარის გვარეობის სრული იდგა გენერალი. ქვეით ჯარში ეს იყო - ინფანტერიის გენერალი, კავალერიაში - კავალერიის გენერალი, არტილერიაში კი - არტილერიის გენერალი, საინჟინრო ძალებში კი ინჟინერ-გენერალი. ამათ მაღლა წოდებრივად იდგა გენერალ-ფელდმარშალი.

[31] М. Д. Гогитидзе. Военная елита Кавказа. Т I. Генералы и Адмиралы из Грузии. Тбилиси: ,, Научно-исследовательский центр истории грузино-кавказских отношений'', 2007, с.32-34, 313-314 - ორივე გენერალს კავალერიის სრული გენერლობის შემდეგ , გენერალ-ადიუტანტის საპატიო სიმბოლური წოდებაც მიენიჭათ. ამ საპატიო წოდებას იმპერატორი გამორჩეულ სრულ გენერლებსა და ფელდმარშლებს ანიჭებდ და ისინი იმპერატორის ,,სვიტის“ უფრო წევრებად ითვლებოდნენ. კავკასიის არმიის რაინდები , როგორც ჭავჭავაძეს და ამილახვარს უწოდებდნენ სამხედრო კარიერის გარდა აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქართული საზოგადოების საქმიანობაში. იყვნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების დამფუძნებელი და აქტიური წევრები. ამ მხრივ განსაკუთრებით ივანე გამოირჩეოდა, მან გორის მაზრის სოფლების ნაწილში გაიყვანა გზა, გახსნა სკოლა და აფთიაქი. ეხმარებოდა გლეხებს , მისი ხარჯებით ჩაუტარდა რესტავრირება სამთავისის ტაძარს, გორიჯვრის ციხესა და ეკლესიას.

მიწებზე. ომში მონაწილეობა 102-მა ქართველმა გენერალმა[32] და ათასობით სხვადასხვა წოდების მქონე ოფიცერმა მიიღო. ამ უკანასკნელთა ერთი ნაწილი ომამდე კადრის ოფიცერი იყო, ხოლო მეორე ნაწილი კი ომისას დაჩქარებული წესით მომზადდა და პრაპორშიკთა სკოლების რამდენიმე თვიანი კურსის გავლის შემდეგ გახდა ოფიცერი. მობილიზაციის შედეგად სულ რამდენი ადამიანი გაიგზავნა საქართველოდან პირველ მსოფლიო ომში უცნობია. ამის აღმნუსხველი პირდაპირი წყაროები არ გაგვაჩნია, თუმცა სხვადასხვა, მეორად წყაროზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში 180- 200 000-მდე გაწვეული სახელდება,[33] არსებობს უფრო თამამი მოსაზრებები, რომ ომში 300 000-მდე ქართველი მონაწილეობდა.[34] მთლიანობაში ეს იყო მასა ხალხისა , რომელთა ცოცხლად და ჯანსაღად გადარჩენილი ნაწილი დამოუკიდებელი ქართული ჯარის დაკომპლექტების მთავარი წყარო უნდა გამხდარიყო, ადამიანები დიდი სამხედრო გამოცდილებითა და თან ომისაგან მორალურად გადაღლილ-გამოფიტულნი. მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, რუსულ არმიაში რამდენიმე ქართული ქვედანაყოფიც შეიქმნა. 1915 წელს ჩამოყალიბდა მოხალისეთა ორი - თბილისისა და ქუთაისის დრუჟინა, რომელიც მოგვიანებით ქართულ მსროლელ ბატალიონად გადაკეთდა , ხოლო 1916 წელს ამ ბატალიონის ბაზაზე შეიქმნა ქვეითი პოლკი , რომელსაც ქართული ცხენოსანი პოლკიც დაემატა.[35] ერთი ქართული ქვედანაყოფი - ქართული ლეგიონი, კავკასიის ფრონტის ოსმალურ მხარესაც ჩამოყალიბდა. რაზმის შექმნის ინიციატივა იმ ქართველ პოლიტიკოსებს ეკუთვნოდათ, რომელთაც საქართველოს რუსეთის იმპერიისგან განთავისუფლება გერმანიის მეშვეობითა და მისი მფარველობის ქვეშ წარმოედგინათ. ლეგიონის ჩამოყალიბება გერმანია-ოსმალეთის ხელშეწყობით დაიწყო და ძირითადად

---

[32] М.Гогитидзе, В. Михайлов. Генералы-Грузины Русской Армии в Первой Мировой Войне 1914-1918гг. Санкт-Петербург: ,,Полторак", 2020, С. 5-143 სიაში შეყვანილი გენერლების ნაწილი ომის წინ ატარებდა გენერლის წოდებას, ნაწილმა ეს წოდება ომის მიმდინარეობისას - იმპერიის, დროებითი მთავრობისა თუ ამიერკავკასიის კომისარიატისა და ფედერაციის დროს მიიღო . აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ გენერალთა ნაწილს ქართული მხოლოდ გვარიღა ჰქონდა შერჩენილი და ჩემი აზრით უფრო ზუსტი იქნება მათ ქართველი გენერლის ნაცვლად, უბრალოდ ქართული წარმოშობის გენერლები ეწოდოს.

[33] გიორგი გოცირიძე. პირველი მსოფლიო ომი და ქართველები. თბილისი: ,,უნივერსალი", 2009, გვ.109-112; მიხეილ ბახტაძე. ორი დოკუმენტი ქართული არმიის ჩამოყალიბებისა და მდგომარეობის შესახებ (1918-1919წლები). *საქართველოს ეროვნული არქივის 2018 წლის საერთაშორისო კონფერენციის მასალები.* თბილისი.2019 , გვ. 336;340. - აღნიშნული კონფერენციის მასალების კრებულის მხოლოდ ელექტრონული ვერსია არსებობს . იხ. https://archive.gov.ge/ge/sametsniero-publikatsiebi/erovnuli-arkivis-saertashoriso-konferentsiis-krebuli-2018-1

[34] გიორგი გოცირიძე. პირველი მსოფლიო ომი და ქართველები. გვ. 112-117

[35] А. Дерябин, Р. Пласиос-фернандес. Гражданская война в России 1917-1922. Национальные армии. Москва: ,,АСТ", 2000, С.37-38; А. Ю. Безугольный. Демократическая республика Грузии и ее вооруженные силы.1918-1921 гг. *,,Вопросы истории".* Москва. №10, 2009, С.89-90.

ოსმალეთში მცხოვრებ მუსლიმი ქართველებისა და ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ჯარისკაცებისგან უნდა დაკომპლექტებულიყო. ლეგიონის პირად შემადგენლობას, რომელსაც გერმანელი ინსტრუქტორები წრთვნიდნენ არასოდეს მიუღწევია დაგეგმილ 3 000 კაცამდე და სხვადასხვა პერიოდში 450 -1200 მებრძოლის ფარგლებში მერყეობდა. 1917 წლის დასაწყისში ლეგიონი დაიშალა და მისი ერთი ნაწილი ,,ქართული ასეული", ოფიცერ შლიპაკის მეთაურობით რუმინეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს, სადაც კოტროცენის მუსლიმ ტყვეთა ბანაკის დაცვა ევალებოდათ. ლეგიონის წევრები რუმინეთში 1918 წლის ივლისამდე დარჩნენ, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდნენ.[36]

ასეთი წინაპირობები და გამოცდილება ჰქონდათ ქართველებს რუსეთში სამხედრო სამსახურის, იმ დროისათვის როდესაც 1917 წლის 16 აგვისტოს საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს წევრებმა რუსეთის დროებით მთავრობასა და კავკასიის ფრონტს ქართული რეგულარული სამხედრო ნაწილების შექმნა სთხოვეს. აგვისტოშივე კავკასიის ფრონტის სარდალმა კარგად მიიღო ინტერპარტიული საბჭოს დელეგაცია და აღუთქვა რომ შეადგენდა ადგილობრივ სათადარიგო ქართულ სამხედრო ერთეულს. 19 სექტემბრის სხდომაზე ქართველ სამხედროთა კავშირის წარმოამდგენელმა იოსებ გედევანიშვილმა ინტერპარტიულ საბჭოს აცნობა, რომ მთავრობისგან უკვე მოვიდა ქართული პოლკების შექმნის ნებართვა.[37] სიხარული ნაადრევი გამოდგა. გენერალი ილია ოდიშელიძე, პირველი მსოფლიო ომის უმეტესი დროის განმავლობაში პირველი არმიის შტაბის უფროსი იყო, კავკასიაში დაბრუნებამდე კი 1917 წლის სექტემბერში მე-3 არმიას სარდლობდა, ოქტომბრიდან დაშლის პირას მყოფ კავკასიის ფრონტის კავკასიის არმიას ჩაუდგა სათავეში. 1919 წლის დასაწყისში მან შეადგინა დოკუმენტი თუ როგორ დაარსდა ქართული ჯარი, სადაც წერდა, რომ კავკასიის ფრონტის კომისარი დიმიტრი დონსკოი საკითხს ღია წინააღმდეგობას უწევდა. დონსკოი პარტიულ წრეებში ამბობდა, რომ ქართველებისა და სხვა ერებისგან უამრავ წერილს იღებდა ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნის თხოვნით, მაგრამ ის ამ წერილებს მაუდის ქვეშ ინახავდა და კავკასიაში ვერავინ

[36] ლაშა ბაქრაძე. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. საქართველოს ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918წწ. თბილისი: ,,პეგასი",თბ.2010 გვ.156; 182-183; გიორგი გოცირიძე. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო. გვ.140-141.

[37] საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილ-ნოემბერი). გვ.36;68

ვერასდროს იხილავდა ეროვნულ ნაწილებს, პირად საუბრებში კი უფრო შორს მიდიოდა და აცხადებდა უმალ კავკასიას ჩაახრჩობდა სისხლში ვიდრე ამას დაუშვებდა.[38] მე-14 საუკუნის რუსი მთავრისა და ცნობილი მხედართმთავრის სეხნიის დიდი რიხით ნათქვამ ამ სიტყვებს ძალზე სწრაფად სერიოზული ბზარები შეეპარა. კავკასიის ფრონტის რუსული არმია რევოლუციური დროის ქაოსმა მოიცვა, არმიაში დიდი გავლენა მოიპოვეს ბოლშევიკებმა, ჯარისკაცთა დიდი მასები თვითნებურად ტოვებდნენ პოზიციებს. გენერალ ოდიშელიძესთან ერთად ფრონტზე მყოფმა დონსკოიმ ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა, ის შეხვდა პოზიციებიდან მოხსნილ მსხვილ სამხედრო შენაერთებს რომელთაც მისი თხოვნა ფრონტზე დაბრუნებულიყვნენ მტრულად მიიღეს და კომისარი ფიზიკურად რომ არ გასწორებოდნენ იძულებული გახდა ჯარისკაცებს გამოჰპარვოდა.[39] ნანახმა და განცდილმა დიმიტრი დონსკოი გატეხა , შეიქმნა საფრთხე კავკასიის ფრონტის ჯარისგან სრულად დაცლისა. ოქტომბრის ბოლოს კავკასიის სამხედრო ოლქში გაიცა ბრძანება, სათადარიგო პოლკებიდან ქართველი ჯარისკაცები ქართულ პოლკებში გაეშვათ, დაიგეგმა 8 ქართული პოლკის შედგენა.[40] 1917 წლის 5 ნოემბერს კი ფრონტის სარდალმა გენერალმა პრჟევალსკიმ ბრძანება გასცა, დაწყებულიყო ქართული საარმიო კორპუსის ფორმირება , კორპუსში უნდა ყოფილიყო: ორი მსროლელი დივიზია; 2 სამთო-სარტილერიო ბრიგადა; ცხენოსანი ბრიგადა; სამთო-ცხენოსანი ბატარეა; მორტირების დივიზიონი; საინჟინრო ბატალიონი და სათადარიგო პოლკი.[41] კავკასიის ფრონტზე ქართული კორპუსის ფორმირებასთან ერთად დაიწყო, სომხური, რუსული, მუსლიმური (აზერბაიჯანული) კორპუსებისა და კავკასიაში მცხოვრები სხვა ერებისგან უფრო მცირე ზომის სამხედრო რაზმების ჩამოყალიბება.[42] პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა 25 ოქტომბერს [43] პეტროგრადში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ. ამიერკავკასია ბოლშევიკებს არ დაემორჩილა და შეიქმნა

[38] მიხეილ ბახტაძე. ორი დოკუმენტი ქართული არმიის ჩამოყალიბებისა და მდგომარეობის შესახებ (1918-1919წლები). გვ.340-341.

[39] მიხეილ ბახტაძე. იქვე. გვ.341.

[40] საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილ-ნოემბერი). გვ.95.

[41] . Дерябин, Р. Пласиос-фернандес. Гражданская война в России 1917-1922. Национальные армии. С.38.

[42] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. Париж: ,,Ymca-Press“. 1985, с20; გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი 1917-1925. თბილისი:,, სახელგამი“, 1927, გვ.4.

[43] რუსეთში იმ დროს იულიუსის კალენდარი მოქმედებდა. ეს კალენდარი 1918 წლის 18 აპრილამდე კავკასიაშიც გამოიყენებოდა, ამიტომ 18 აპრილამდე მომხდარი ამბები იულიუსის კალენდრით იქნება ნაჩვენები ან კიდევ პარალელურად, იულიუსისა და გრიგორიუსის კალენდრებით.

დროებითი მმართველობის ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატი, რამაც ის ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახადა. ამიერკავკასიის მმართველობაში, ისევე როგორც კავკასიაში მცხოვრები ხალხების ეროვნულ თუ სოციალურ მისწრაფებებში, კავკასიის ფრონტზე თუ ჯარების ჩამოყალიბების პროცესში საშინელი ქაოსი სუფევდა. მთავრობასა და არმიის სარდლობას მიაჩნდა, რომ ეროვნული ნაწილები უკეთ დაიცავდნენ მშობლიურ მიწას ოსმალური არმიის შემოტევისაგან ვიდრე კავკასიის ფრონტის დემორალიზებული, რევოლუციური სულისკვეთებით განმსჭვალული ჯარისკაცები, რომელთაც აღარც ომის გაგონება და აღარც ოფიცრების ბრძანებების შესრულების სურვილი აღარ ჰქონდათ, რომლებიც ფრონტს თვითნებურად, მასობრივად ტოვებდნენ და სახლისაკენ მიიჩქაროდნენ, გზად კი სადაც გაივლიდნენ ყველგან არევ-დარევას იწვევდნენ. ამ ჯარების ფრონტიდან გამოქცევისა თუ გამოყვანის პარალელურად, მათ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეროვნული ნაწილები ანაცვლებდნენ. თუმცა ეროვნული კორპუსების ჯარისკაცების ძირითადი მასა, სწორედ რუსული არმიის ჯარისკაცები იყვნენ, რომელთა საბრძოლო-მორალური განწყობა თითქმის ისეთივე იყო, როგორიც ზოგადად არსებობდა დაშლის პიას მყოფ ჯარში. ამიტომ არც მათგან ჩამოყალიბდა ბრძოლისუნარიანი სამხედრო ძალა. კავკასიის ფრონტსა და მის ზურგში არსებულ ქაოსური გარემო, გენერალი მაზნიაშვილის მოგონებაში მკაფიოდაა ნაჩვენები: ,, არსებული სამხედრო ნაწილები ჯერ კიდევ წინად იყვნენ გახრწნილი და, რომ დაინახეს ეროვნული ჯარების მოწყობა უფრო გაიხრწნენ. ჯარის კაცები სამსახურის მაგივრად დადიოდნენ მიტინგებზე, ქეიფობდნენ და პირად საქმეებს აწყობდნენ. ყაზარმებში დადიოდნენ მხოლოდ დასაძინებლად. ქალაქი გავსებული იყო მოხეტიალე ჯარის კაცებით. დადიოდნენ უფასოდ ტრამვაიზე, ამტვრევდნენ და აფუჭებდნენ რონოდებს, მუქარით აიძულებდნენ ვატმანებს მათ ნებაზე ეტარებიათ რონოდები და სხვა.“[44] კავკასიის ფრონტზე 1916 წელს რუსებმა საკმაოდ ღრმად წაიწიეს წინ, აიღეს ტრაპიზონი, ერზერუმი და ერზინჯანი, მაგრამ 1917 წელს მრავალი მიზეზის გამო ორივე მხარეს ფაქტობრივად ძალა გამოეცალა და ფრონტზე მხოლოდ ლოკალური შეტაკებები თუ ხდებოდა. 1917 წლის დეკემბრის დასაწყისში ამიერკავკასიის კომისარიატსა და ოსმალეთს შორის ერზინჯანში დაიდო შეთანხმება საბრძოლო მოქმედებების

[44] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. გვ.4.

შეწყვეტის შესახებ, დადებული ზავის დარღვევის შესახებ მხარეებს ერთმანეთი საბრძოლო მოქმედებების განახლებამდე ორი კვირით ადრე უნდა გაეფრთხილებინათ.[45] ერზინჯანის ზავი რეალურად დროებით აჩერებდა ომს და საბოლოო შეტევის წინ ორივე მხარისთვის სულის მოთქმისა და მომზადების საშუალება უნდა ყოფილიყო. როგორც შემდეგში აღმოჩნდა მოსამზადებლად ოსმალეთს მეტი პოტენციალი ჰქონდა და უკეთაც მოემზადა.

ეროვნული კორპუსების შექმნას კავკასიის ფრონტის და კავკასიური არმიის სარდლობა ედგა სათავეში, მათ დახმარებას უწევდნენ ამა თუ იმ ერის ეროვნული საბჭოები. ქართული კორპუსის შემთხვევაში ეს იყო საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც 1917 წლის ნოემბრის ბოლოს, საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია. ყრილობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების, მუშათა საბჭოების, ეროვნული უმცირესობების, ჯარის, ქალაქების თვითმართველობის, სხვადასხვა სოციალური ფენებისა თუ სხვა ჯგუფების წამომადგენლები. ეროვნულ საბჭოში შეიქმნა სამხედრო საქმეთა კომისია, რომელსაც სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი ხელმძღვანელობდა.[46] საბჭოში განიხილებოდა და კავკასიური ჯარის სარდლობასთან თანხმდებოდა: ომისა და მშვიდობის საკითხები; ქართული კორპუსის ჩამოყალიბების პროცესი; როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი ქართული ჯარი; სამობილიზაციო გეგმები და ა.შ.[47] 1917 წლის 14 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატში, უკეთესი კოორდინაციის მიზნით სპეციალური ორგანო - ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭო შეიქმნა. საბჭოში უნდა განხილულიყო ეროვნული ნაწილების ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები.[48] 1918 წლის თებერვალში ფუნქციონირება დაიწყო ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანომ - სეიმმა, რომლის სამხედრო კომისიამ ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს ფუნქციები გადაიბარა.[49]

---

[45] ენდრიუ ანდერსენი. საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918-1921 წლებში. ინგლისურიდან ქართულად თარგმნა მერი ბიწაძემ. თბილისი: ,,მწიგნობარი", 2020, გვ.44-45.

[46] ნონა ჭანტურია. ეროვნული საბჭო და მისის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის. თბილისი: ,,უნივერსალი", 2006, გვ.41.

[47] დოდო ბერიძე. საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია (1917 წლის ნოემბერი -1919 წლის იანვარი). სადოქტორო დისერტაცია. ახალციხე: 2017. გვ.151-161.

[48] მიხეილ ბახტაძე. ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭო (1917 წლის დეკემბერი -1918 წლის თებერვალი). *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნებათმცოდნეობის სერია.* თბილისი. N1, 2019, გვ.51-58.

[49] მიხეილ ბახტაძე. ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭო .გვ.59.

ქართული კორპუსის მეთაურად პოლკოვნიკი სტეფანე ახმეტელი (ახეტელაშვილი), ხოლო შტაბის უფროსად კაპიტანი იოსებ (სოსო) გედევანიშვილი დაინიშნა.[50] ამ ოფიცრების სამხედრო წოდებებიც კი ნათელ წარმოდგენას იძლევა ასეთ მაღალ სამეთაურო თანამდებობაზე მათი დანიშვნის მიზანშეუწონლობის შესახებ.[51] სამიოდე თვეში ისინი შეცვალეს კიდეც და 1918 წლის 27 თებერვალს კორპუსის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ვასილ გაბაშვილი, ხოლო შტაბის უფროსი კი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე გახდა.[52] ქართული სამხედრო ნაწილების შექმნის პროცესი კუს ნაბიჯებით მიიწევდა წინ, 1917 წლის დეკემბრის დასაწყისში მხოლოდ ორი პოლკი იყო შექმნილი, დანარჩენი პოლკების შევსება კი თითქმის უიმედო საქმედ მოსჩანდა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ რეგულარული შენაერთების შევსების მიზნით შეიმუშავა და 1917 წლის 30 დეკემბერს დაამტკიცდა სამობილიზაციო პროექტი, რომლის მიხედვითაც 19 წლის ახალგაზრდების 6 თვით ჯარში გაწვევა გამოცხადდა, ასევე 20-32 წლამდე ასაკის იმ ჯარისკაცთა გაწვევა ვინც გაიქცნენ ჯარიდან ან თავის დროზე არ გამოცხადდნენ.[53] 1918 წლის იანვარში ახალციხე-არტაანის მიმართულების დაცვის მნიშვნელობის გამო გადაწყდა დაწყებულიყო ქართული კორპუსის მესამე ქვეითი დივიზიის შედგენა.[54] დადგენილებები დადგენილებებად დარჩა და არც მობილიზაციამ გამოიღო განსაკუთრებული შედეგი და ვერც დივიზიების შევსება ვერ მოხერხდა. 1918 წლის 25 თებერვლისათვის ფორმირებული იყო: ქართული კორპუსის მმართველობა; ორი დივიზია; ცხენოსანი ბრიგადა; მორტირების დივიზიონი; გორის ცალკეული მსროლელი ბატალიონი;

---

[50] ალექსანდრე ზაქარიაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. გურამ შარაძე.ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ.IV. თბილისი: ,,მეცნიერება", .2003, გვ.197.

[51] გენერალი კვინიტაძე ამ ოფიცრების დანიშვნის უკან სოციალ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტური პარტიების ინტერესს ხედავდა, რადგანაც სტეფანე ახმეტელის ძმა სვიმონ ახმეტელი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მნიშვნელოვანი წევრი იყო, ხოლო იოსებ გედევანიშვილი თავად იყო სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი . იხ: Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С.20-21; ამ საკადრო გადაწყვეტილებაზე იგივე აზრის იყო გენერალი გიორგი მაზნიაშვილიც. გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. გვ.12-13

[52]ახალი ამბები. გაზ. *,,ერთობა"*. N48 , 1918 წ. 1 მარტი. გვ.2; გიორგი კვინიტაძეს მემუარში შეცდომა მოსდის როდესაც წერს , რომ კორპუსის მეთაური და შტაბის უფროსი აირჩიეს რეორგანიზაციის პროექტის მეორე განხილვის დროს ანუ 27 მარტს, ასევე იგი ალექსანდრე ზაქარიაძეს შეცდომით პოდპოლკოვნიკად მოიხსენიებს. იხ. Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С.26. ზაქარიაძესაც შეცდომა მოსდის საკუთარ ნაშრომში როდესაც წერს, რომ გენერალი გაბაშვილი კორპუსის მეთაურად დაინიშნა 1 მარტს, ხოლო თვითონ კი შტაბის უფროსად მხოლოდ 15 მარტს. იხ: ალექსანდრე ზაქარიაძე. გვ.207.

[53] ნონა ჭანტურია. ეროვნული საბჭო და მისის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის. გვ.45-46.

[54] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 183. ფურც.8.

ცხენოსანი ასეული და საეტაპო ბატალიონი.[55] რეალურად კი ფორმირებული იყო ამ სამხედრო ნაწილების ჩონჩხი და ქვედანაყოფები შევსებული არ იყო. მაგალითად გორში მდგარი მეოთხე და თელავში მდგომი მერვე პოლკები რეალურად ბატალიონის ზომის ქვედანაყოფებს წარმოადგენდა. მეოთხე პოლკის პირადი შემადგენლობა 1918 წლის თებერვლისათვის 650-მდე ჯარისკაცს,[56] ხოლო მერვე პოლკი კი 500-დან - 600-მდე ჯარისკაცს ითვლიდა.[57] ქართული კორპუსის პოლკების შესახებ მოგვიანებით უფრო მძიმე სურათს ხატავდა კავკასიის არმიის სარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე, ქართული ჯარის შექმნის შესახებ შედგენილ დოკუმენტში 1919 წლის თებერვალში. გენერალი წერდა, რომ კორპუსი 200-300 კაციანი პოლკებისგან შედგებოდა, რომლებიც უფრო არასამწყობრო ბანდებს ჩამოჰგავდა.[58] ქართული ჯარის ნაწილებში არსებულ არასაბრძოლო განწყობას, მასობრივ დეზერტირობას, ძარცვა-გლეჯის სურვილს, კიდევ უფრო ამძაფრებდა ბოლშევიკური აგიტაცია-პროპაგანდა. ამის მძაფრი გამოვლინება 1918 წლის დასაწყისში ქართულ პოლკებში ჩატარებული ჯარისკაცთა მიტინგები გამოდგა, რაც ზოგიერთ მათგანში შეარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდა. 1918 წლის თებერვალში შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეს: ქუთაისში განლაგებულმა 115-ე პოლკმა, ასევე გორის მეოთხე და თელავში მდგარმა მერვე ქართულმა პოლკებმა. ჯარისკაცებმა დაიკავეს ადმინისტრაციული შენობები, სამივე ქალაქში მხოლოდ ბრძოლის შედეგად მოახერხეს წითელი გვარდიის მებრძოლებმა ჯარის ნაწილების დაშოშმინება, ამ შეტაკებებს თან მსხვერპლიც ახლდა როგორც გვარდიელებს, ისე ჯარისკაცებსა და მილიციელებს შორის.[59]

---

[55] Дерябин, Р. Пласиос-фернандес. Гражданская война в России 1917-1922. Национальные армии. С.38.

[56] ტრისტან ლაბარტყავა. რევოლუციური მოძრაობა ჯარის ნაწილებში საქართველოში 1917-1921წწ. გვ.100.

[57] თელავის ამბები. გაზ. *„ერთობა“*, N45, 1918 წ. 24 თებერვალი. გვ.2.

[58] მიხეილ ბახტაძე. ორი დოკუმენტი ქართული არმიის ჩამოყალიბებისა და მდგომარეობის შესახებ (1918-1919წლები). გვ.340-341.

[59] ტრისტან ლაბარტყავა.რევოლუციური მოძრაობა ჯარის ნაწილებში საქართველოში 1917-1921წწ. გვ.97-105; მდგომარეობა გორში. გაზ. *„ერთობა“*. N31, 1918 წ. 8 თებერვალი. გვ.2; ქუთაისის ამბები; ბოლშევიკების პროვოკაციული გამოსვლა გორში. გაზ. *„ერთობა“*. N32, 1918 წ. 9 თებერვალი. გვ.2; ქუთაისის ამბები. გაზ. *„ერთობა“*. N36,1918 წ. 14 თებერვალი. გვ.3; უწესობა თელავში. გაზ. *„ერთობა“*. N42, 1918 წ. 21 თებერვალი. გვ.2; ქუთაისის ამბები. გაზ. *„ერთობა“*. N43, 1918 წ. 22 თებერვალი. გვ.2; თელავის ამბები. გაზ. *„ერთობა“*. N45, 1918 წ. 24 თებერვალი. გვ.2. საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსი ტრისტან ლაბარტყავა აღნიშნულ გამოსვლებს მთლიანად ბოლშევიკური აჯანყების ელფერს აძლებს, თუმცა იმდროინდელი პრესის მასალებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პოლკის ჯარისკაცები მართალია ბოლშევიკებისაგან იყვნენ წაქეზებულნი მაგრამ, უფრო მეტად ძარცვა-გლეჯაზე იყვნენ ორიენტირებულნი და რაიმე მკაფიო მიზანი ჯარისკაცთა ფართო მასის მოქმედებაში არ ჩანს. გაზეთ ერთობის ერთ-ერთ წერილში ასევე გამოთქმულია მოსაზრება , რომ თებერვლის დასაწყისში გორში ბოლშევიკები იმიტომ აქეზებდნენ ჯარისკაცებს, რომ ამით როგორმე ხელი შეეშალათ 10 თებერვალს დაგეგმილ ამიერკავკასიის სეიმის შეკრებისათვის. იხ: შაქრო ჯავახიშვილი. ქართული პოლკის მოღვაწეობა ქ. გორში. გაზ. *„ერთობა“*. N53, 1918 წ. 7 მარტი. გვ.3-4; დაღუპულთა განსხვავებულ რაოდენობას ასახელებს საბჭოთა ავტორი და მენშევიკური გაზეთი ერთობა. ლაბარტყავა ყოველგვარი დამოწმების გარეშე წერს, რომ თელავის ყაზარმებში

ასეთ რთულ ვითარებაში, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა ოფიცერთა შეკრება ჯარების ახალი ორგანიზაციის შესამუშავებლად. შეიქმნა კომისია გენერალ ვასილ გაბაშვილის ხელმძღვანელობით, კომისიაში ასევე შევიდნენ გენერალი კოტე აფხაზი, გენერალი ანდრია ბენაშვილი, გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი, პოლკოვნიკი გიორგი კვინიტაძე[60] და სხვები. კომისიამ მოხსენების შემუშავება გიორგი კვინიტაძეს დაავალა და მოიწონა კიდეც, ამის შემდეგ მოხსენება ეროვნული საბჭოსათვის უნდა წარედგინათ ვასილ გაბაშვილსა და გიორგი კვინიტაძეს. 1917 წლის 27 თებერვალს გენერალ-ლეიტენანტმა ვასილ გაბაშვილმა და პოლკოვნიკმა გიორგი კვინიტაძემ ეროვნულ საბჭოს ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი წარუდგინეს, საბჭოში პროექტი მოიწონეს, თუმცა გამოითქვა შენიშვნებიც.[61] გიორგი კვინიტაძე ამის შესახებ იხსენებდა - ,,ბევრი არ მეთანხმებოდა. თავი და თავი ის იყო, რომ მათი აზრით, არმიაში უნდა შეგვექმნა კომიტეტები და იქ ნებადართული ყოფილიყო პარტიული პროპაგანდა.''[62] 27 მარტს საბჭოში პროექტის მეორე განხილვა მოეწყო.[63] სხდომას ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობდა, კვინიტაძე მემუარებში ირწმუნებოდა, რომ ჟორდანიას პოზიციამ და განცხადებამ - ,,რა დროს კომიტეტებია, როცა მტერი საზღვარს მოგვადგაო" (გულისხმობდა ოსმალების შეტევის განახლებას კავკასიის ფრონტზე) გამოიწვია პროექტის დამტკიცება და ამავდროულად ნოე რამიშვილის გაცეცხლება, რომელმაც ჟორდანიას უთხრა - ,,ნოე, დღეს ვერ გცნობ". კვინიტაძის მტკიცებით პროექტი დამტკიცდა პირობით - ,,იმოქმედეთ ამ მოხსენების მიხედვით, მაგრამ შემდგომ

მოკლეს 60 ჯარისკაცი და ნაწილი კი ყაზარმების ირგვლივ იხ.ლაბარტყავა. გვ.105-106; გაზეთ ერთობის 24 თებერვლის ნომერში მერვე პოლკის მხრიდან 4 დაღუპული სახელდება . იხ. *,,ერთობა".* N45, 1918 წ. 24 თებერვალი. გვ.2.

[60] 1918 წლის თებერვლისათვის გიორგი კვინიტაძე ჯერ კიდევ პოლკოვნიკის წოდებას ატარებდა. გენერალ-მაიორის წოდება მას 1918 წლის 2 მაისს მიენიჭა ამიერკავკასიის მთავრობისაგან. იხ: სცსა. ფონდი1969. აღწერა 1. საქმე 661. ფურც.4, მამუკა გოგოიტიძის ნაშრომში კვინიტაძისათვის გენერლალ-მაიორის წოდების მინიჭების თარიღად შეცდომითა მითითებულია 1918 წლის 9 მარტი. იხ: М. Д. Гогитидзе. Военная елита Кавказа. Т. I. С.173 .

[61] ვახტანგ გურული. ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან. (ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი). გვ.16.

[62] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С .23 - აქ და შემდეგშიც კვინიტაძის ციტატები მოყვანილია ნინო ქაჯაიასა და ნონა გოგიჩაიშვილის თარგმანის მიხედვით. კვინიტაძე გიორგი. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობა 1917-1921 წლებში. რუსულიდან თარგმნეს ნინო ქაჯაიამ და ნონა გოგიჩაიშვილმა. წიგნი1 თბილისი: ,,ლომისი". 1998; კვინიტაძე გიორგი. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობა 1917-1921 წლებში. რუსულიდან თარგმნეს ნინო ქაჯაიამ და ნონა გოგიჩაიშვილმა. წიგნი2 თბილისი: ,,ლომისი". 1998.

[63] ვახტანგ გურული. ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან.გვ. 16. ავტორს პროექტის მეორე განხილვის თარიღად მითითებული აქვს 17 მარტი, რაც სავარაუდოთ ტექნიკური ხარვეზია, რადგანაც გამოცემულ დოკუმენტში პრეოქტის განხილვის თარიღად მითითებულია 27 მარტი.

შეიძლება, რამე შევცვალოთ". [64] რეორგანიზაციის პროექტი აღნიშნული იყო, რომ ქართული კორპუსი ბრძოლის უნარს სრულიად მოკლებული იყო და რეალურად საკუთარი მოსახლეობისთვის სახიფათო ბრბოს წარმოადგენდა. კორპუსის შედგენა არაკომპეტენტურ ხალხს ებარა, მოშლილი იყო დისციპლინა, ჯარი არ იყო პოლიტიკისგან თავისუფალი, არ არსებობდა ოფიცერთა საზოგადოება და ჯარისკაცთა ღირსების სასამართლოები, პროექტის ავტორთა აზრით საჭირო იყო ერთი ხელიდან მართვა, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდებოდა ძალების საერთო მიზნისთვის გაერთიანება. ჯარში ადგილი არ უნდა ჰქონოდა პოლიტიკურ და პარტიულ აგიტაციას, სამხედრო მოსამსახურეები არ უნდა ყოფილიყვნენ რომელიმე პარტიისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები, სამხედრო ნაწილებში უნდა აღმდგარიყო მეთაურთა სრული ძალაუფლება , დაარსებულიყო ღირსების სასამართლოები და გაუქმებულიყო არჩევითი კომიტეტები. საქართველოს ეროვნულ საბჭოში უნდა შექმნილიყო სამხედრო საბჭო, რომელიც იქნებოდა საქართველოს უმაღლესი მუდმივმოქმედი სამხედრო ორგანო სამხედრო სამინისტროს შექმნამდე. საბჭოს წევრები უნდა ყოფილიყვნენ გამოცდილი ოფიცრები და უნდა დამტკიცებულიყვნენ ეროვნული საბჭოს მიერ. საბჭოს უცვლელი წევრი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჯარის სათავეში მყოფი პიროვნება, წევრებს არ შეეძლოთ დაეკავებინათ სხვა თანამდებობა, რომელიც მათ ხელს შეუშლიდა საბჭოს წევრის მოვალეობის შესრულებაში, სამხედრო საბჭოს უფლება ჰქონდა საბჭოში დროებით შეეყვანა სპეციალისტები. სამხედრო საბჭოში გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო ხმათა უმრავლესობით. იმ შემთხვევაში თუ სამხედრო საბჭოს პროექტს დაიწუნებდნენ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, განსახილველად უნდა გადასულიყო ეროვნულ საბჭოში, ეროვნული საბჭოს დამტკიცებულ პროექტს კი კანონის ძალა გააჩნდა.

შეიარაღებული ძალების სათავეში უნდა მდგარიყო ერთი პირი, რომელსაც ჯარების განვითარების შესაბამისად ეწოდებოდა ან კორპუსის მეთაური ან კიდევ არმიის სარდალი. ის უნდა დანიშნულიყო ეროვნული საბჭოს მიერ, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მისი ცოდნა და გამოცდიელება. უმაღლეს თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყო ადამიანი რომელიც ომის დროს უკვე მეთაურობდა დივიზიას.

[64] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С .24

სარდალს უნდა დამორჩილებოდა მთელი შეიარაღებული ძალები, ხოლო იგი თავის მხრივ ემორჩილებოდა საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას. პროექტის მიხედვით საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა შედგენილიყო რეგულარული ჯარისა და რეზერვისაგან, კომისია კატეგორიული წინააღმდეგი იყო მხოლოდ მილიციური ჯარების შექმნისა, რისი მთავარი საფუძველიც იყო ის გარემოება, რომ მილიციური ტიპის ჯარი სრულიად მოუმზადებელი იქნებოდა მტრის შემოტევის შემთხვევაში დაუყოვნებლივი ბრძოლების დასაწყებად, მილიციური ჯარის არსებობა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მეზოებელი ქვეყნების ჯარებიც მილიციური სისტემის იქნებოდნენ, ან კიდევ იქნებოდა ქვეყნის ტერიტორიის ხელშეუხებლობის მყარი გარანტია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სანამ მილიციური ნაწილები წინ აღუდგებოდნენ და მზად იქნებოდნენ საომარი მოქმედებისათვის, ქვეყანა უკვე ოკუპირებული იქნებოდა. პროექტის მიხედვით ქართულ საველე არმიაში უნდა ყოფილიყო სამი ქვეითი დივიზია , ერთი ცხენოსანი ბრიგადა , საარმიო არტილერია და სხვა დამხმარე ნაწილები. იმ დროის სამხედრო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ჯარები უნდა განლაგებულიყვნენ ორ მიმართულებაზე; 1. ბათუმი-ტრაპიზონი-ზღვის სანაპირო; 2. ახალციხე-არდაგანი-ოლთისი. ჯარის დაკომპლექტება უნდა დამყარებოდა ტერიტორიულ პრინციპს. ქვეყნის ტერიტორია უნდა დაყოფილიყო სადივიზიო ოლქებად, სადივიზიო ოლქები კი თავის მხრივ დაიყოფოდა საპოლკო ოლქებად სადაც დაბინავდებოდა შეკრებილი ჯარი. ამ ყოველივეს დადებითი შედეგები უნდა მოჰყოლოდა: პოლკი სადაც იქნებოდა განლაგებული მჭიდროდ დაუკავშირდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას , ამიტომ გასაწვევ ახალგაზრდას პოლკთან ბუნებრივი კავშირი ჯერ კიდევ გაწვევამდე ექნებოდა, ეს გამოიწვევდა დეზერტირობის შემცირებას და მობილიზაციის სისწრაფეს, ასევე გაწვევა ერთსა და იმავე ასეულში მოხდებოდა არა სიმაღლის, არამედ სათვისტომოების მიხედვით. ამრიგად, თანასოფლელები ერთ ასეულში მოხვდებოდნენ და ამ ასეულების ბრძოლისუნარიანობა ამაღლდებოდა, ხოლო დანაშაული კი მოიკლებდა. პროექტში ასევე საუბარი იყო ოფიცერთა შემადგენლობის, შეიარაღების, სურსათის, აღჭურვილობის, ჯარების დაბინავების, წესდებათა გადამუშავების, ჩაცმულობის, დამაცირებელი სასჯელების გაუქმებისა,

დისციპლინის აღდგენის, მეთაურთა თვითნებობის და ძალაუფლების გადაჭარბების შემთხვევაში დასჯის შესახებ.[65]

პროექტის საფუძვლიან განხორციელებას პირველ რიგში კავკასიის ფრონტზე ოსმალური არმიის მიერ საბრძოლო მოქმედებების განახლებამ შეუშალა ხელი. ერზინჯანის დროებითი ზავი მუსლიმი მოსახლეობის შევიწროებისგან დაცვის მოტივით ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალში დაირღვა და ოსმალურმა არმიამ ერზინჯანი, ერზერუმი და ტრაბზონი დაიკავა. საბჭოთა რუსეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ოსმალეთისთვის კავკასიის კომისარიატში შემავალი ყარსის, ბათუმისა და არდაგანის ოლქების ოსმალეთისთვის ფაქტობრივმა გადაცემამ და შემდეგში ამ საკითხზე ოსმალეთსა და კომისარიატს შორის ტრაბზონში გამართულმა უშედეგო მოლაპარაკებებმა, 1918 წლის მარტში ომი ახალ ფაზაში გადაიყვანა. იმ დროისათვის კი ქართული კორპუსი სანახევროდაც არ იყო დაკომპლექტებული და ჯარისკაცთა საბრძოლო-მორალური სულისკვეთებაც დაბალი გახლდათ. საქმეს არც 1918 წლის 24 მარტს გამოცხადებულმა ახალმა მობილიზაციამ უშველა .[66] ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ოსმალური არმიის 37-ე დივიზიამ 1918 წლის 1 აპრილს ბათუმი მცირე ბრძოლით, მარტივად აიღო და 3000 ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ ჩაიგდო.[67] ქართული კორპუსის მცირერიცხოვანმა ძალებმა და წითელმა გვარდიელებმა მხოლოდ 7 აპრილს, მდინარე ჩოლოქთან ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებისა და მოწინააღმდეგისთვის მნიშვნელოვანი ზარალის მიყენების შემდეგ მოახერხეს ოსმალური დივიზიის შეჩერება .[68] ბათუმის მცირე ბრძოლით დაკარგვიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, გენერალი ოდიშელიძე წერდა, რომ ბათუმის დაცემამ მიახვედრა ყველა, რომ არმიას მეტი ყურადღება და რესურსი უნდა დათმობოდა.[69] იმ პერიოდის იუმორისტული პრესა, ბათუმის სირცხვილის გამო ჯარისკაცებს აქილიკებდა[70] და ამით მათი სინდისს აღიზიანებდა , პარალელურად კი ლიტერატურული ,,თეტრი და ცხოვრება“ ბათუმში, ანარიის ფორტის გმირ

[65] ვახტანგ გურული. ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან. გვ.36-59.
[66] კანონი მობილიზაციის შესახებ. გაზ. *,,ერთობა“.* N71, 1918 წ. 28 მარტი. გვ.1-2.
[67] W.E.D Allen, Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A History of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921. ,,Cambridge University press", 1953, P.465.
[68] გიორგი მაზნიაშვილი.მოგონებანი. გვ.39-41; მაზნიაშვილს შეცდომით აქვს დასახელებული ბრძოლის თარიღად 6 აპრილი. სინამდვილეში ჩოლოქთან ბრძოლა მოხდა 7 აპრილს. იხ: ვალოდია გოგუაძე. ჩოლოქის ხიდთან. გაზ. *,,ერთობა“.* N84, 1918 წ. 12 აპრილი. გვ.2.
[69] მიხეილ ბახტაძე. ორი დოკუმენტი საქართველოს არმიის ჩამოყალიბების და მდგომარეობის შესახებ. გვ.342
[70] ჟურნ. *,,ეშმაკის მათრახი“.* N106, 1918 წ. 26 მაისი. გვ.3.

დამცველებს რომელთაც ახალგაზრდა, 23 წლის კაპიტანი სიმონ შავგულიძე მეთაურობდა და რომელთაც სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლეს გმირობის შარავანდედით მოსავდა და ჯარს მათი მაგალითით ამხნევებდა და თან ანამუსებდა კიდეც .[71] ბათუმის დაკარგვის პერიოდის ემოცია, ხალხში გაჩენილი შურისძიების გრძნობა 9 წლის შემდეგ პოეტმა ტიციან ტაბიძემ ასახა ლექსში - ,,და გარიბალდის წითელი ქუდი“ :

ცხრაას თვრამეტის ვიგონებ აპრილს
და თათრებიდან დაქცეულ ბათომს.
ვხედავ ქართველ ჯარს იარაღაყრილს
და ეს სირცხვილი დღესაც ძვალს ათბობს.
გვიდუღდა სული შურისძიების,
ამ ცა და ქვეყნის გადარევაში
ჩვენი წყურვილი იყო - ეგების
აგვეღო თათრის ერთი რევანში.
ზემოთში ვდგევართ... და მტერს მოველით.
ყველა ჩვენგანი ფალავანია.
სახეში გვირტყავს ქარი სოველი,
გულები ციხის გალავანია.[72]

ამ ემოციას, ორგანიზაციული სახე ნაკლებად მიეცა და გერმანიის მხარდაჭერით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორიოდე კვირის შემდეგ ქართული კორპუსის პირადი შემადგენლობა მხოლოდ 10 227 ჯარისკაცისგან შედგებოდა.[73] ჯარისკაცთა ეს რაოდენობა არათუ საარმიო კორპუსს, არამედ ერთ დივიზიას თუ დააკომპლექტებდა. თუმცა სწორედ ეს მცირე ძალა, ბატალიონის ზომის პოლკები, პოლკის ზომის დივიზიები და დივიზიის ზომის საარმიო კორპუსი გახდა ქართული რეგულარული ჯარის ჩანასახი და საფუძველი.

რეგულარული ჯარის პარალელურად, რევოლუციიდან დამოუკიდებლობამდე პერიოდში, საქართველოში იქმნებოდა მოხალისეობის პრინციპზე დაფუძნებული წითელი გვარდია, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახალხო

[71] ევგენი ფურცხვანიძე. ბათომის გმირები . ჟურნალი თეატრი და ცხოვრება 1918 წლის 2 ივნისი , N8. გვ.5-6
[72] ტიციან ტაბიძე. პოეზია , თარგმანები. სამტომეული. წიგნი 1. თბილისი: ,,გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურს მუზეუმი“, .2015, გვ.146.
[73] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც 736.

გვარდიად გარდაიქმნა . გვარდიის თავდაპირველი დანიშნულება რევოლუციის შემდგომ არსებულ ანარქიულ ვითარებაში წესრიგის დამყარება იყო, რასაც გვარდია წარმატებით ართმევდა თავს.[74] გვარდიამ 1917 წლის 29 ნოემბერს/ 12 დეკემბერს[75] თბილისის არსენალი წარმატებული სამხედრო ოპერაციის შედეგად აიღო და იქ განთავსებული ,,გაბოლშევიკებული" რუსული გარნიზონი განაიარაღა. ეს გარნიზონი თბილისს დიდ საფრთხეს უქადდა. გარდა მათი განიარაღებისა გვარდიამ ხელში ჩაიგდო არსენალში შენახული იარაღი. 1918 წლის 12 დეკემბრიდან , რესპუბლიკაში გვარდიის დღე დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა, ტარდებოდა სამხედრო აღლუმები, სადღესასწაულო მიტინგები, ისროდნენ ზარბაზნებიდან და კარგადაც ილხენდნენ. 1921 წლის 12 დეკმებერს კი, წითელი არმიის მიერ ოკუპირებულ თბილისში უჩვეული რამ მოხდა. თბილისის სკოლების მოსწავლეებმა 12 საათზე სასკოლო მერხები თვითნებურად მიატოვეს და ნაძლადევში, დამოუკიდებელი საქართველოს ომებში დაღუპული მებრძოლების ძმათა სასაფლაოსკენ აიღეს გეზი, იქ მისულებმა რესპუბლიკის ჰიმნი ,,დიდება" იმღერეს და ძმათა სასაფლაოზე ფიცი დადეს: ,, მამებმა შვილებს ანდერძი დაგვიდეს - ჩვენი ვალია ანდერძი შევასრულოთ და დახოცილ მებრძოლთა ძვლებს ფიცი მივცეთ, ფიცი მტკიცე, უშიშარი, რომ ჩვენ გავაგრძელებთ მათ გზას და სამშობლოსა და დემოკრატიისათვის ისევე ერთგულად დავდებთ თავს, როგორც ეს აქ განსვენებულმა მამებმა მოიმოქმედეს. ... დღეს, ქართველი ერის გლოვის მეათე თვის თავზე საქართველოს სახალხო გვარდიის დღეს, ჩვენ აქ მოვედით, რომ მოვიგონოთ დახოცილი მებრძოლები და მამათაგან დადებულ ანდერძს კიდევ ერთხელ შევფიცოთ".[76]

გვარდია თავდაპირველად საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისიის, ხოლო 1918 წლის აპრილიდან კი წითელი გვარდიის მთავარი შტაბის მიერ იმართებოდა. უსაფრთხოების კომისიის 1918 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით, წითელი გვარდია მონაწილეობას მიიღებდა ქვეყნის დაცვაში , როგორც დამოუკიდებელი საბრძოლო ერთეული, მაგრამ დაემორჩილებოდა საერთო სარდლობას.[77] გვარდილებმა ჩაახშევს

---

[74] ზაქარია გურული. მოგონება. თბილისი: ,,არტანუჯი", 2005, გვ.33-34.

[75] გვარდიელებმა არსენალი 1917 წლის 29 ნოემბერს აიღეს, მაგრამ როდესაც საქართველოში 1918 წლის 18 აპრილიდან გრიგორიუსის კალენდარი დამკვიდრდა, არსენალის აღების დღემ 29 ნოემბრიდან 12 დეკემბერს გადაინაცვლა და 1918 წლიდან, სწორედ 12 დეკემბერს დღესასწაულობდა რესპუბლიკა გვარდიის დღეს.

[76] ირაკლი ხვადაგიანი. 12 დეკემბრის ანდერძი - http://liberali.ge/articles/view/3821/12-dekembris-anderdzi; სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 80. ფურც.28-30.

[77] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 3. ფურც.4.

ქართული პოლკების შეიარაღებული გამოსვლები: ქუთაისში, თელავსა და გორში. ჩამოყალიბებიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე პერიოდში გვარდიამ დიდი როლი ითამაშა კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი რუსული ნაწილების უკანდახევის დროს ქვეყანაში მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში, მცირე მასშტაბის ბოლშევიკური აჯანყებების ჩახშობაში, ბანდიტური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლაში, სოჭის ოლქიდან აფხაზეთში შემოჭრილი ბოლშევიკური სამხედრო რაზმების დამარცხებაში, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში და ა.შ. გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე, რომელიც 1919-1921 წლებში საქართველოს არმიის გენერალურ შტაბს ედგა საათავეში, მოგვიანებით აღნიშნავდა - მიუხედავად იმისა, რომ გვარდიელნი ორგანიზაციულად მოუწყობელნი იყვნენ, ისინი იყვნენ იდეურნი, ბოლშევიკებთან ბრძოლაში ყოველმხრივ საიმედონი.[78] გვარდიას ჰქონდა ნაკლიც. მოხალისენი, რომელიც საკუთარი ნებით იღებდნენ იარაღს ხელში, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ მეთაურს ზოგჯერ თვითნებურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. მაგალითად ჩოლოქთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ხაშურელმა გვარდიელებმა გენერალ მაზნიაშვილის ნებართვის გარეშე დატოვეს ფრონტი და ხაშურში დაბრუნდნენ.[79] დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისთვის ქვეყნის სამხედრო ძალას , მცირერიცხოვან საარმიო კორპუსთან ერთად , მოხალისე წითელგვარდიელები წარმოადგენდნენ.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე აქტიურად განიხილებოდა სახალხო მილიციის შექმნის იდეაც. ეს სწორედ სამხედრო სამსახურის ის ტიპი იყო, რომელსაც როგორც ზემოთ ვნახეთ ჰააგის კონფერენციისადმი 1906 წელს გაგზავნილი პეტიციაში ითხოვდნენ ქართველები. ეს იყო სამხედრო ორგანიზაციის ტიპი, რომელსაც ყველაზე პოპულარული სოციალ-დემოკრატიული პარტია მუდამ პირდებოდა მოსახლეობას.[80] საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1917 წლის 26 დეკემბერს განიხილა კიდეც სახალხო მილიციის შექმნის იდეა და პროექტი, რომელიც საბჭოს სამხედრო სექციამ შეიმუშავა. სხდომაზე ყველა პარტიამ პრინციპულად მოიწონაა სახალხო მილიციის შექმნის იდეა.[81] სამხედრო სექციის თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი

[78] ალექსანდრე ზაქარიაძე.. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა . გვ.199.
[79] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. გვ.45-46.
[80] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (შემდეგში სუიცა). ფონდი 94. აღწერა 1. საქმე 44. ფურც.27.
[81] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 5. ფურც,2-14.

ამტკიცებდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო მუდმივი ჯარის შენარჩუნება და ეს იმ რთულ პირობებში, როცა საჭირო იყო ანარქიის ჩაქრობა და რევოლუციური მონაპოვარის დაცვა, ამ სირთულეებს საუკეთესოდ გაუმკლავდებოდა მთელი ხალხის შეიარაღების გზით სახალხო მილიციის შექმნა .[82] ზოგიერთი დეპუტატი გამოთქვამდა შიშს, რომ შესაძლოა მილიციის შექმნის მცდელობას ხელი შეეშალა რეგულარული ჯარის - საარმიო კორპუსის დაკომპლექტებისთვის და ყველა მილიციაში ჩაწერილიყო.[83] საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ეს შიში არ გაიზიარა და სახალხო მილიციის დებულება დაამტკიცა კიდეც.[84] დებულების მიხედვით მილიციაში აუცილებლად უნდა ჩაწერილიყო 18-45 წლამდე ასაკის ყველა ის მოქალაქე, რომლებიც არ მსახურობდა რეგულარულ ჯარში. ისინი ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის მიერ შერჩეულ ქართველ ოფიცრებს უნდა გაეწრთვნათ, ხოლო ადგილობრივი კომისრები და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოები მათ უნდა დახმარებოდნენ, მაგრამ არ უნდა ჩარეულიყვნენ წრთვნის პროცესში. უნდა შემდგარიყო ,,ვზვოდები" და ,,დრუჟინები", სახალხო მილიციას ვარჯიშისათვის უნდა გამოეყენებინა საკუთარი ან ადგილობრივი მილიციის იარაღი, თუ იარაღი არ იქნებოდა საკმარისი, მაშინ მათ იგი უნდა გადასცემოდათ მახლობელი ქართული პოლკის საწყობიდან. რაიონებისა და მაზრების მიხედვით განისაზღვრა უფროს და უმცროს ხელმძღვანელთა/ინსტრუქტორთა შტატი, ასევე გაიწერა ორთვიანი საწრთვნელი პროგრამა (სროლა, ხიშტის ხმარება, სანგრების მოწყობა, დაზვერვა, სალაშქრო მოძრაობა, რუკებზე მუშაობა, გაფანტული წყობა და ა.შ).[85] სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრესა ცდილობდა მილიციის მოწყობის საქმის პოპულარიზაციას. 1918 წლის 1 თებერვალს გაზეთი ერთობა წერდა, რომ იმ დღიდან იწყებოდა სახალო მილიციის შედგენა, მათი დიდი ხნის ოცნების, მათი პროგრამის ერთი მოთხოვნილებათაგანის ხორცის შესხმა, მუდმივი ჯარი საფრთხეს წარმოადგენდა საგარეო მშვიდობისა და შიდა დემოკრატიისათვის, განსხვავებით საყოველთაოდ შეიარაღებული ხალხისაგან, თუმცა რადგანაც მილიციის შედგენა

[82] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 5. ფურც,2-3.

[83] დოდო ბერიძე. ეროვნული საბჭოს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია. გვ.158-159, სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 5. ფურც.9-12.

[84] ნონა ჭანტურია. ეროვნული საბჭო და მისის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის. გვ.44-45.

[85] საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო სექცია. სახალხო მილიციის დებულება საქართველოში. გაზ. *,,ერთობა".* N18, 1918 წ. 24 იანვარი. გვ.3.

დროს მოითხოვდა, საჭირო იყო მუდმივ ჯარში დროებით ხალხის გაწვევა, ხოლო მილიციის შექმნა კი საშვილიშვილო საქმე იყო, იგივე სახალხო ჯარის რომელიც გარე და შიდა საფრთხეებს წარმატებით გაუმკლავდებოდა .[86] კავკასიის ფრონტზე განვითარებულმა მოვლენებმა, ოსმალური არმიის ამიერკავკასიაზე შეტევამ სახალხო მილიციის შექმნას ხელი შეუშალა. მილიცია არც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არ შექმნილა.

მთლიანობაში სოციალ-დემოკრატები რეგულარულ ჯართან ერთად გვარდიასაც საყოველთაო მილიციის შექმნისკენ მიმავალ გზაზე გარადამავალ საფეხურად მიიჩნევდნენ, ერთვარ ჩანასახად , საინიციატივო ჯგუფად, რომელიც ხედავდა ქვეყნის და რევოლუციის გასაჭირს და ნებაყოფლობით იღებდა იარაღს ხელში ამ მაღალი იდეალების დასაცავად ; მომავალში შესაქმნელ მილიციაში სამსახური კი სავალდებულო უნდა ყოფილიყო.[87]

1.2 დამოუკიდებლობის გამოცხადება, შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია და პირადი შემადგენლობის რაოდენობა 1918-1919 წლებში

1918 წლის მაისში, ბათუმში ოსმალეთისა და ამიერკავკასიის ფედერაციის სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს, კარგად ჩანდა, რომ ოსმალეთი იოლად ისარგებლებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის სისუსტითა და მის სუბიექტებს შორის არაერთსულოვნებით , რაც ამიერკავკასიის ფედერაციას კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩააგდებდა. ამ დროს ქართველებმა ისარგებლეს გერმანულ სამხედრო-პოლიტიკურ წრეებთან ძველი კონტაქტებით, თავის მხრივ, პირველ რიგში კი გერმანელი სამხედროებიც დაინტერესდნენ კავკასიაში მოკავშირით და საქართველომ გერმანიის მფარველობით ,1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ქართული საარმიო კორპუსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიად გადაიქცა. სამხედრო მინისტრის მოადგილემ, გენერალმა კვინიტაძემ, 1918 წლის 2 ივნისს მთავრობის სხდომაზე სამხედრო უწყების დროებითი მმართველობის გეგმა წარადგინა, რომელიც

[86] სახალხო მილიცია . გაზ. *„ერთობა“.* N25, 1918 წ. 1 თებერვალი . გვ.1.
[87] წითელი გვარდია. გაზ. *„ერთობა“.* N63, 1918 წ. 18 მარტი. გვ.1.

მთავრობამ დაამტკიცა კიდეც. გეგმის მიხედვით, სამხედრო საქმის სათავეში იდგა სამხედრო სამინისტრო, რომელსაც მართავდა: სამხედრო მინისტრი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი (მოადგილე), სამხედრო საბჭო, კანცელარია. ამინისტრის მოადგილე ითავსებდა მთავარსარდლის ფუნქციასაც. ჯარი იმართებოდა საველე და გენერალური შტაბის მიერ. საველე შტაბი პასუხისმგებელი იყო, სამწყობრო ნაწილების გაწრთვნაზე. საველე შტაბს არმია მშვიდობიანობის პერიოდში ისე უნდა გაეწრთვნა, რომ ნებისმიერ მომენტში ომისათვის მზად ყოფილიყვნენ. საველე შტაბთანვე არსებობდა მომარაგების საამართველო, ხოლო გენერალური შტაბი წარმოადგენდა აკადემიურ ორგანოს და ევალებოდა სამხედრო გეგმების შემუშავება და ზურგის სამუშაოების შესრულება - კერძოდ კი ქვეყნის დაცვისა და სამობილიზაციო გეგმების შედგენა, ტოპოგრაფია, კანონპროქტების მომზადება და ა.შ.[88] გაუქმდა კორპუსის სარდლის თანამდებობა და ჯარი დაექვემდებარა მთავარსარდალს, რომელიც როგორც აღვნიშნე ამავდროულად სამხედრო მინისტრის მოადგილეობასაც ითავსებდა , საარმიო კორპუსის შტაბი კი გადაკეთდა საქართველოს რესპუბლიკის არმიის საველე შტაბად.[89] მთავრობის მიერ განხორციელებული ეს ცვლილებები დროებით ხასიათს ატარებდა და დღის წესრიგში შეიარაღებული ძალების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა დადგა . ქვეყანაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება კი რბილად რომ ვთქვათ საკმაოდ რთული იყო. ქვეყნის რეალურ სამხედრო ძალას მცირერიცხოვანი პოლკები - ნაკლებად საიმედო პირადი შემადგენლობით და იდეურად საიმედო, მაგრამ მოხალისეებისაგან დაკომპლექტებული გვარდიის ნაწილები წარმოადგენდნენ. გერმანიის შუამდგომლობითა და დანარჩენი საქართველოს მფარველობის დაპირებით, ოსმალეთს გადაეცა და მათ ჯარს ეკავა ბათუმის ოლქი, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, აქა-იქ ბოლშევიკები გლეხს აჯანყებდნენ, ქვეყნაში კი მფარველ ძალად შემოდიოდა გერამანული სამხედრო მისია საკუთარი ჯარებითურთ. ხალხი კი ომისა და გაჭირვებისგან გადაღლილიყო.

პირველი და უმთავრესი საკითხი რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმირების პროცესში დაისვა, გახლდა ის თუ რა ტიპის

[88] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 1. ფურც.16-17.
[89] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 183. ფურც.9.

უნდა ყოფილიყო ქვეყნის სამხედრო ძალა. ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალის, სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის ჯარის იდეალი – ეს იყო შვეიცარიული სახალხო მილიციის სისტემის მსგავსი შეიარაღებული ძალა, თუმცა ისინი მოცემულ სიტუაციაში არსებული რთული ვითარებიდან გამომდინარე რეგულარული არმიის შექმნის წინააღმდეგნი არ იყვნენ, ამავდროულად არ სურდათ წითელი გვარდიის გაუქმება. მომავალში კი, როდესაც ქვეყანაში და მის გარშემო მშვიდობა დაისადგურებდა და ქვეყანასაც ეყოლებოდა საკმარისი რაოდენობით გაწრთვნილი მამაკაცი, ჯარის ორგანიზაციის ორი სახე – რეგულარული არმია და სახალხო გვარდია უნდა გამხდარიყო მილიციური ჯარის საფუძველი. სამხედრო მაღალჩინოსანთა დიდი ნაწილისათვის მიუღებელი იყო ორი ტიპის შეიარაღებული ძალის შექმნა. 1918 წლის 17 ივნისს, ეროვნული საბჭოს[90] სამხედრო კომისიაში გაიმართა მსჯელობა გვარდიის კანონ-პროექტის შესახებ, სხდომას კომისიის წევრების გარდა სპეციალურად მოწვეული სამხედრო სპეციალისტებიც ესწრებოდნენ. იმ დროისათვის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე და შემდგომში მთავრობის თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანია გვარდიის არსებობის აუცილებლობას ანარქიის და რევოლუციის პირობებში წესრიგის დაცვის აუცილებლობითა და ფინანსური სირთულეების გათვალისწინებით ასაბუთებდა. ის ამტკიცებდა, რომ გვარდია გამოდგებოდა გარეშე მტრისაგან ქვეყნის დასაცავად იქამდე სანამ არმია მობილიზებას შეძლებდა, ასევე გვარდია როგორც კადრი, გამოდგებოდა მომავალში შვეიცარიული მილიციის ტიპზე გადასვლისას. ეროვნულ-დემოკრატი დავით ვაჩნაძე არ დაეთანხმა ნოე ჟორდანიას არგუმენტებს. მისი მტკიცებით ორგვარი ჯარის შექმნა უფრო მძიმედ დააწვებოდა ქვეყნის ბიუჯეტს. შინაური ანარქიის ჩაქრობას კი უკეთ მოახერხებდა ერთ მთავარსრდალს დამორჩილებული ერთი სახის ჯარი, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდნენ არა მხოლოდ მუშები, არამედ ვაჭრებიცა და სხვა სოციალური წრის ადამიანები. მისივე თქმით, ქვეყნის მოსახლეობა კულტურულად არ იდგა შვეიცარიის სიმაღლეზე და აქ შვეიცარიული ტიპის მილიციის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა და ვერც სახალხო გვარდია ივარგებდა მომავალი მილიციის

[90] დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული საბჭომ რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოდ იქცა. 1918 წლის 4 ოქტომბრიდან, ეროვნული საბჭოს გადაერქვა სახელი და ეწოდა პარლამენტი, ხოლო 1919 წლის 14-16 თებერვლის საყოველთაო არჩევნების შემდეგ, 1919 წლის 12 მარტიდან ფუნქციონირება დაიწყო არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ – დამფუძნებელი კრებამ.

კადრად. ამავე სხდომაზე, ჯარსა და გვარდიას შორის ანტაგონისტური განწყობის ჩამოყალიბებაზე გაამახვილა ყურადღებ გენერალმა კოტე აფხაზმა: „გვარდიის პრივილეგიები მაინც და მაინც დაიბადება. მაგალითად ავიღოთ გუშინდელი დიდი ამბით სანდარში მოკლული გვარდიელის დამარხვა, ეს ჰგვანდა რუსეთის თვითმყრობელ მთავრობის მიერ გოროდოვოის დამარხვას. რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ ფაქტს უბრალო ჯარის კაცზედ რომელიც ისევე სამშობლოსათვის კვდება და ამოდენა ყურადღებას კი არავინ აქცევს მის სიკვდილს. ამისათვის ეს სახალხო გვარდია არ უნდა გავაცალკეოთ და უნდა დაუმორჩილოდ სამხედრო სამინისტროს როგორც სხვა რეგულიარული ჯარი."[91] სხდომაზე სამხედრო სპეციალისტის სტატუსით მიწვეულმა გენერალმა, მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ მილიციური ჯარი დაიწუნა - კულტურული, ფინანასური და გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე, ხოლო სახალხო გვარდიის კანონპროექტი მისი თქმით არ ითვალისწინებდა მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს. ამის შემდეგ სხდომის ოქმი მეტად მცირე ინფორმაციას იძლევა იქ აღნიშნულია, რომ კვინიტაძეს უპასუხა ჟორდანიამ და კამათი შუაღამემდე გაგრძელდა, რის შემდეგაც დისკუსია შეწყდა და როგორც აღმოჩნდა სხდომის წევრების უმეტესი ნაწილი გვარდიის წინააღმდეგი არ იყო, ამიტომ გადაწყდა კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა მომავალი დღისათვის გადადებულიყო.[92] მეორე დღეს კომისიამ კანონპროექტი მუხლობრივად განიხილა, ცვლილებები შეიტანა და ეროვნულ საბჭოს გადაუგზავნა. სხდომის ოქმი მეტად მშრალია და მოცემულია მხოლოდ კანონპროექტში შეტანილი ცვლილებები. ამ სხდომის დეტალებს ვრცლად მოგვითხრობს გენერალი კვინიტაძე.[93] თუ გენერლის მეტად სუბიექტურ მემუარს ვენდობით , იგი წინააღმდეგი იყო გვარდიის ტიპის ორგანიზაციისა, მაგრამ თანხმდებოდა მისი არსებობის აუცილებლობაზე, არმიის ჩამოყალიბებამდე. კანონპროექტის განხილვისას, თითოეულ პუნქტზე მიდიოდა

---

[91] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 193. ფურც.1-2 , აღნიშნული სხდომის დოკუმენტი სრულად გამოქვეყნებულია ჟურნალ მხედარში– იხ. ოქმი ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომისა, 17 ივნისი 1918 წელი. სამხედრო-ისტორიული ჟურნალი *„მხედარი“.* N1. თბილისი.1991. გვ.64-66, ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია სახალხო გვარდიის კანონპროექტის მიღების პროცესის ამსახველი სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებიც.

[92] ოქმი ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომისა, 17 ივნისი 1918 წელი. ჟურნ.*„მხედარი“.* N1 თბილისი. 1991, გვ.65.

[93] გენერალი კვინიტაძე საკუთარ მემუარებში წერს, რომ აღნიშნული სხდომა გაიმართა დაახლოებით 20 ივნისს იხ. Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С.46, რაც შეცდომაა. ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომები გაიმართა 17, 18 და 20 ივნისს. გენერალი კვინიტაძე საკუთარ მემუარში აღწერს სხდომაზე კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას, რაც შედგა არა 17 ან 20 ივნისის, არამედ 18 ივნისის სხდომაზე. ამასთანავე, 20 ივნისის სხდომის დამსწრეთა შორის გენერალი კვინიტაძე საერთოდ არ ფიგურირებს (იხ. სცსა.ფონდი 1836. აღწერა.1.საქმე.193.ფურც.3) და არც კანონპროექტის განხილვა არ მომხდარა ამ დღეს. რაც შეეხება იმას თუ ვინ ესწრებოდა 18 ივნისის განხილვას, საერთოდ არ აქვს მითითებული სხდომის მდივანს. კვინიტაძის მემუარის მიხედვით სხდომას ესწრებოდა სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, რომელიც არც 17-ში და არც 20-ში სხდომის დამსწრეთა შორის არ ფიგურირებს.

დავა, კვინიტაძე ასაბუთებდა გვარდიის როგორც შეიარაღებული ძალის გამოუსადეგარობას, რამაც ნოე ჟორდანია ძალიან გააბრაზა და აღელვებულმა განაცხადა , რომ - ,,შეუძლებელია სამხედრო სამინისტროს სათავეში[94] იდგეს გვარდიისადმი ასე მტრულად განწყობილი პიროვნება.”[95] კომისიამ კანონპროექტში ცვლილებები შეიტანა და განსახილველად ეროვნულ საბჭოს გადასცა. მთავარი ცვლილება კანონპროექტის მეორე მუხლში შევიდა, რომლის მიხედვითაც გვარდიაში სამსახური არ ათავისუფლებდა სამხედრო სამსახურისაგან, მანამდე წარდგენილ ვარიანტში კი ეწერა, რომ გვარდიაში მიიღებდნენ ისეთ პირებს რომლებიც არ იყვნენ სამხედრო სამსახურში გასაწვევნი.[96] რა განსხვავება იყო ამ ორ ვარიანტს შორის? ან საერთოდ რატომ იყო ეს ცვლილება მნიშვნელოვანი? . კვინიტაძის აზრით ამ მუხლის მნიშვნელობა ის იყო, რომ იმ პერიოდში, პარალელურად მუშავდებოდა სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების კანონი, რაც 2 თვის შემდეგ 20 აგვისტოს დაამტკიცეს. სამხედრო ბეგარის და მუდმივი ჯარის შევსების კანონის თანახმად 20-დან 45 წლამდე მოქალაქეები სამხედრო ვალდებულებად ითვლებოდნენ, ხოლო ომის დროს შეიძლება გაწვეულიყვნენ მამაკაცები 17 დან – 50 წლამდე, შესაბამისად სამხედრო სამსახურის ასაკის მამაკაცების გაწვევა ომის დროს უნდა მომხდარიყო რეგულარულ ჯარში, გვარდიის წევრები კი ამავე ასაკის მამაკაცები იყვნენ და გვარდიის კანონის მეორე მუხლის თანახმად , გვარდიის წევრობა მათ სამხედრო სამსახურისაგან არ ათავისუფლებდათ. ასე, რომ - ,,მობილიზაციის შემთხვევაში ისინი ჯარის ნაწილებში უნდა დაფანტულიყვნენ.[97] კანონპროექტის პირველი ვარიანტი, კი უფრო მეტად იძლეოდა ინტერპრეტირების საშუალებას - პუნქტი შეიძლება წაკითხულიყო ისე, რომ გვარდია არ ათავისუფლებდა არმიიდან მხოლოდ წვევამდელებს და არ იყო დაკონკრეტებული, რომ გვარდიაში სამსახური არ ათავისუფლებდა სამხედრო სამსახურისაგან არამარტო წვევამდელს, არამედ საერთოდ არავის. მთლიანობაში კანონის ნებისმიერი სახით წაკითხვა უფრო თეორიული ხასიათის გამოდგა ვიდრე პრაქტიკული, რადგანაც ეს თუ პრაქტიკაში განხორციელდებოდა ასეთ შემთხვევაში გვარდია ფაქტობრივად უნდა

---

[94] იმ დროს კვინიტაძე იყო მთავარსარდალი და სამხედრო მინისტრის მოადგილე.
[95] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С . 51.
[96] ჟურნ. *,,მხედარი“*. N1 თბილისი.1991, გვ.61, 64.
[97] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С .51

გაუქმებულიყო. პრაქტიკაში გვარდიელები ომის დროს არ ნაწილდებოდნენ რეგულარულ არმიაში და საკუთარი ქვედანაყოფებით გადიოდნენ ბრძოლის ველზე. სამხედრო კომისიის შემდეგ, 1918 წლის 21 ივნისს სახალხო გვარდიის კანონპროექტის განხილვა უკვე ეროვნულ საბჭოში დაიწყო. სხდომაზე ნოე ჟორდანიამ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა, მან ისაუბრა გვარდიის დამსახურების შესახებ, იმაზე, რომ გვარდია მუდმივ ჯარს ხელს არ შეუშლიდა და ისინი ერთობლივად შეებრძოლებოდნენ მტერს, გვარდია იქნებოდა ერთგვარი რეზერვი არმიისათვის და მომავალში გვარდიის გაფართოებით, ნიადაგი შეუმზადდებოდა სახალხო მილიციას.[98] 1918 წლის 2 ივლისს ეროვნულმა საბჭომ ყველა პროცედურის გავლის შემდეგ სახალხო გვარდიის კანონი დაამტკიცა. კანონის მიხედვით, გვარდიის მიზანს რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვა წარმოადგენდა. გვარდიაში სამსახური შეეძლო ნებისმიერ მოქალაქეს რომელიც არ ირიცხებოდა ნამდვილ სამხედრო სამსახურში და გვარდიაში სამსახური არავის ათავისუფლებდა სამხედრო ბეგარისაგან. სახალხო გვარდიელი ვალდებული იყო, მთავრობის მოწოდებისთანავე გამოცხადებულიყო საკუთარ რაიონულ შტაბში იმ იარაღით და აღკაზმულობით რომელიც მას ჰქონდა მიბარებული შტაბისაგან. მოხალისეთათვის გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, თუმცა სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების დროს მათ მთავრობისაგან დახმარება ეძლეოდათ, ხოლო ინსტრუქტორები და ოფიცრები სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისაგან ხელფასს იღებდნენ. გვარდიის მმართველი ორგანო იყო მთავარი შტაბი, რომელსაც ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარე შტაბის მიერ წარდგენილი კანდიდატებისაგან. მთავარი შტაბი რეგიონებში ფუნქციონირებდა რეგიონალური შტაბების მეშვეობით. სახალხო გვარდიის გაწვევა შეეძლო მთავრობის თავმჯდომარეს, თუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ უფლებით სარგებლობა, გვარდიის გაწვევის უფლება ჰქონდა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს. საგანგებო ვითარებაში ამ ფუნქციით სარგებლობა შეეძლო მთავარ და რაიონულ შტაბებს. რაც შეეხება გვარდიისა და რეგულარული არმიის ურთიერთდამოკიდებულებას, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისათვის გამოყოფილი თანხა შედიოდა სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაში. სამხედრო სამინისტროს უნდა გადაეცა გვარდიისათვის ყოველგვარი მოწყობილობა, რასაც ამ

[98]ჟურნ. *,,მხედარი“*. N1 თბილისი.1991, გვ.67.

უკანასკნელის საჭიროება მოითხოვდა. მთავარი შტაბი ასევე სამინისტროსაგან იღებდა ნებართვას ამა თუ იმ ნაწილის შედგენისას, რომელთა გაწრთვნაზე თვითონ უნდა ეზრუნათ.[99] 1918 წელს მიღებული სახალხო გვარდიის კანონში არ დაკონკრეტებულა სახალხო გვარდიის ქვედანაყოფების რაოდენობა და არც საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა გაწერილა. გვარდიაში ამ პერიოდისათვის არსებობდა რამოდენიმე რეგულარული სამხედრო ნაწილი დაზუსტებული შტატების გარეშე, ხოლო ნაწილი კი 1918 წლის ბოლომდე ჩამოყალიბდა. ეს ქვედანაყოფები იყო: საგანგებო ქვეითი ბატალიონი; საარტილერიო ქვედანაყოფი; ტყვიისმფრქვევლთა რაზმი; ჯავშანმატარებლების რაზმი; ჯავშანმანქანების რაზმი; ცხენოსანი დივიზიონი და მოტოციკლისტ-მეტყვიამრქვევეთა რაზმი. ამის გარდა, გვარდიის თითოეული რაიონული შტაბი, საჭიროების შემთხვევაში კრებდა სხვადასხვა რაოდენობის მებრძოლს დაწყებული რამოდენი ათეულიდან დამთავრებული რამდენიმე ასეულ კაცამდე და აგზავნიდა ბრძოლის ველზე. 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში არსებობდა პროექტი შექმნილიყო სახალხო გვარდიის თბილისის ქვეითი მსროლელი პოლკი - 12 ასეულის, სადაზვერვო, კავშირის და მესანგრეთა კომანდებისაგან შემდგარი, ასეულის მეთაურები დაინიშნენ კიდეც,[100] მაგრამ, მალე სომხეთთან ომიც დაიწყო და პოლკი არ შექმნილა. 1919 წლის აპრილ-მაისში, სახალხო გვარდიის რეგულარული ნაწილები უკვე უკეთ იყო ორგანიზებული და ამ ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა მთლიანობაში 1673 კაცს ითვლიდა.[101] 1919 წლის 1 ივნისისათვის შედგენილი მომავალი საბიუჯეტო წლის სახალხო გვარდიის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ირკვევა, რომ სახალხო გვარდიის მუდმივ ნაწილებში იმ დროისათვის შტატით უნდა ყოფილიყო 2045 კაცი, ხოლო სარეზერვო 18 ბატალიონისათვის მშვიდობიანობის პერიოდის კადრად განსაზღვრული იყო 1200 გვარდიელი.[102] 1919 წლის მეორე ნახევარში კი სახალხო გვარდიის რეგულარული და სარეზერვო ბატალიონების შტატები ოფიციალურად დადგინდა, თუმცა სანამ ამას შევეხებით საინტერესოა რეალურად რა რაოდენობის მებრძოლის გამოყვანა შეეძლო

---

[99] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. თბილისი: ,,ივერთა მხარე“, 1990, გვ.16-18.

[100] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე3. ფურც.234,238.

[101] არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). თბილისი: ,,საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“, 2014, გვ.306.

[102] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 1. საქმე.34 ფურც.23-24.

გვარდიას ბრძოლის ველზე 1918 წელსა და 1919 წლის პირველ ნახევარში. 1918 წლის 19 ნოემბრის სახალხო გვარდიის მთავრი შტაბის სხდომაზე პროვინციების გვარდიის ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა საკუთარი მუშაობის შესახებ წაიკითხეს მოხსენება, მათ მიერ დასახელებული ციფრების მიხედვით იმხანად პროვინციებში მზად იყო 2545 გვარდიელი, ხოლო კარგი მუშაობის შემთხვევაში ისინი იმედოვნებდნენ, რომ გვარდიელთა რიცხვს 6700-8200 კაცამდე აიყვანდნენ.[103]

სომხეთ-საქართველოს ომში 1918 წლის დეკემბერში, საწყობებიდან გვარდიელებზე გაცემული შაშხანების მიხედვით ისტორიკოსი არჩილ ჩაჩხიანი ასკვნის, რომ ბორჩალოს საომარ მოქმედებათა თეატრზე გვარდიას 1300 მებრძოლი ყავდა გაყვანილი.[104] ამ ომის დროს მობილიზებულ გვარდიელთა რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, გარდა საბრძოლო მოქმედების არეალისა, თბილისში საყარაულო სამსახურისათვის 500-ზე მეტი გვარდიელის გაწვევა იყო განსაზღვრული.[105] საერთოდაც ომისას საწყობებიდან გაცემული იარაღი გვარდიელების რაოდენობის განსაზღვრისას ვერ იქნება მნიშვნელოვანი არგუმენტი, რადგანაც ცნობილია , რომ გვარდიელებს იარაღი მშვიდობიანობის დროსაც ჰქონდათ მიბარებული. სომხეთ-საქართველოს ომის ბოლოს მობილიზებული გვარდიელების რაოდენობა 6000-მდე უნდა ყოფილიყო. ამის თქმის საშუალებას სხვადასხვა წყაროს ანალიზი იძლევა. საქართველოს არმიის გენერალური შტაბის ცნობით, 1919 წლის 1 იანვრისათვის სომხეთ-საქართველოს ომისას მობილიზაციის გამო არმიაში 28 511 ჯარისკაცი ირიცხებოდა.[106] გენერალური შტაბის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრისათვის 1920 წელს შედგენილი ცნობის მიხედვით სომხეთ-საქართველოს ომისთვის სულ 38 500 კაცი იყო მობილიზებული.[107] საერთო მობილიზებულთა რიცხვს თუ 28 511 ჯარისკაცს გამოვაკლებთ, ასევე 2000-ზე ცოტა მეტ ოფიცერს რომელთაც შტატის მიხედვით უნდა ემსახურათ ჯარში, ასევე ომისას შედგენილ მოხალისეობრივი ხასიათის რამდენიმე სამხედრო რაზმს, დანარჩენი 6000-მდე კაცი გვარდიელი გამოდის. 1919 წლის თებერვლიდან გვარდიის ნაწილები ჩაბმულნი

[103] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 3. ფურც. 211-213.
[104] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპასიონისტრური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გვ.212;459 .
[105] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 3. ფურც. 257.
[106] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც.739.
[107] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 238. ფურც.28.

იყვნენ ახალციხის ფრონტზე ე.წ ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის" რესპუბლიკასთან ომში. გენერალ კვინიტაძის მონაცემებით, რომელიც ამ სამხედრო ოპერაციას სარდლობდა წერდა, რომ თებერვალ-მარტში მის განკარგულებაში იყო 5 000-ზე მეტი გვარდიელი.[108] 1919 წლის მარტშივე აფხაზეთში გენერალ დენიკინის ,,თეთრი რუსეთის“ ძალების წინააღმდეგ გვარდიას მობილიზებული ყავდა 3 000 მებრძოლი.[109] გამოდის, რომ გვარდიის რაიონული შტაბების 1918 წლის ნოემბრის პროგნოზი მალევე გამართლდა და 1918 წლის ბოლოს და 1919 წლის პირველ ნახევარში გვარდიის რეგულარულ და არაეგულარულ ნაწილებს ერთდროულად 6000 - 8000-მდე კაცის მობილიზება შეეძლოთ.

დისკუსია გვარდიის შექმნის მიზანშეწონილობაზე, პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ხშირად იმართებოდა, არც დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ არ შეწყვეტილა და დღესაც გრძელდება. რა შედეგები მოყვა ორი ტიპის შეიარაღებული ძალის ჩამოყალიბებას? პირველ რიგში წარმოიშვა ანტაგონიზმი ამ ორ ძალას შორის. ანტაგონიზმს ბუნებრივ ერთად, რომელისთვისაც მინიმუმ ცუდად კოორდინირებული ორი პარალელური ორგანიზაციის არსებობის ფაქტიც საკმარისი იყო, ხელოვნური საფუძველიც გააჩნდა. გვარდიელებსა და ჯარისკაცებს შორის უსიამოვნო ინციდენტებიც ხდებოდა. 1919 წლის 7 იანვარს ფოთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის კლუბში ,,შობის ხის“ საღამო იმართებოდა, კლუბში ფოთის გარნიზონის ჯარისკაცები და ოფიცრებიც შევიდნენ, დათვრნენ, ჩხუბი ატეხეს და გვარდიელი შარაშიძე სასტიკად სცემეს, ცემის დროს ყვიროდნენ რომ შარაშიძე წითელგვარდიელი, შესაბამისად მათი მოსისხლე მტერი იყო. რამდენიმე ადამიანი დაჭრეს კიდევაც, როდესაც კლუბისკენ რამდენიმე გვარდიელი შარაშიძის საშველად დაიძრა, ზოგიერთმა პროვოკატორმა ჯარისკაცებს უთხრა , რომ გვარდია მათ დასახოცად მოდიოდა, მაშინ ეს ჯარისკაცები და ოფიცრები თავიანთი ყაზარმებისკენ წავიდნენ და ჯარისკაცები გამოყარეს გვარდიასთან საბრძოლველად, საბოლოოდ შუამავლებმა ყველანი დაამშვიდეს.[110] ფინანსურად არა, მაგრამ მორალურ დონეზე იგრძნობოდა განსხვავებული დამოკიდებულება ჯარისა და გვარდიის

[108] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С 92.
[109] არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). გვ.296.
[110] სცსა. ფონდი 1863. აღწერა 1. საქმე 661. ფურც. 347.

მიმართ. ქვეყანაში დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისის შემდეგ, ყველაზე დიდი ზარ-ზეიმით თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში 12 დეკემბერი - სახალხო გვარდიის დღე აღინიშნებოდა. ეს დღე, მართლაც გამორჩეული იყო რესპუბლიკის ისტორიისთვის, მაგრამ ჯარი ასეთ დაფასებას მოკლებული იყო, თუ არ ჩავთვლით ჯარის შიგნით სხვადასხვა პროფესიული დღის შედარებით მოკრძალებულ აღნიშვნას. რესპუბლიკის დროს ხშირად, შეიარაღებული ძალებისადმი მისალმების შემდეგი ფორმულა გამოიყენებოდა – გაუმარჯოს/მივესალმებით ჩვენს სახელოვან გვარდიას და ნორჩ ჯარს. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 12 მარტის პირველ ისტორიულ სხდომაზე, სტუმრის რანგში დასასწრებად ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და პარლამენტის პრეზიდიუმის გაერთიანებულმა სხდომამ, სახალხო გვარდიას გამოუყო ხუთი ადგილი, ხოლო სამხედრო სამინისტროს კი მხოლოდ სამი.[111] გვარდია ჯარს თითქოს როგორც უმცროს ძმას ისე უყურებდა. მაგალითად, 1920 წლის მაისში, სახალხო გვარდიის მესამე კონფერენცია ძმურ სალამს უძღვნიდა ნორჩ თანამებრძოლ რეგულარულ ჯარს და პირდებოდა, რომ მთელი სახალხო გვარდია გვერდში ამოუდგებოდა ახალგაზრდა ჯარს და მასთან ერთად დაიცავდა ქვეყანას.[112] გვარდია მშვიდობიანობის პერიოდში არ ემორჩილებოდა სამხედრო სამინისტროს, რაც შეიარაღებულ ძალებს შორის კოორდინაციას ასუსტებდა, რასაც ყველაზე ცუდი შედეგები ბრძოლის ველზე მოყვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გვარდია ომის დროს ვალდებული იყო საერთო სარდალს დამორჩილებოდა, ყოველთვის ეს ასე არ ხდებოდა. სომხეთ-საქართველოს ომში როდესაც სამტრედიელმა გვარდიელებმა ორჯერ აიღეს სტრატეგიული სიმაღლე შულავერთან და დაღამებისას ორივეჯერ დატოვეს ღამის სიცივისა და სოფელ სარაჩლოში ჩაის დალევის სურვილის გამო,[113] საბჭოთა რუსეთთან 1921 წლის ომში ოსიაურთან გამართულ ბრძოლაში, გვარდიელები ღამით საკუთარი ინიციატივით მოიხსნენ ფრონტიდან და ბრძოლის ველზე მარცხენა ფლანგი სრულიად მოაშიშვლეს, რამაც გამოიწვია გენერალ კვინიტაძის მიერ დაგეგმილი ოპერაციის ჩაშლა და ქართველთა

[111] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 394. ფურც.1.
[112] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 92. ფურც.28.
[113] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპასიონისტრური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გვ.390.

მარცხი.[114] სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ დისციპლინის პრობლემა არმიისთვისაც არ იყო უცხო და მთლიანობაში მაინც საერთო პრობლემას წარმოადგენდა. პრობლემებთან ერთად, გვარდია ძალიან ეფექტური იყო ქვეყნის შიგნით ბოლშევიკური აჯანყებების და მცირე მასშტაბის საგარეო საფრთხეების წინააღმდეგ, თუმცა სრულმასშტაბიან სამხედრო კონფლიქტებშიც ეფექტურად წარმოაუჩენიათ გვარდიის ქვედანაყოფებს თავი. გვარდიას მართავდნენ არა პროფესიონალი სამხედროები, არამედ მმართველი პოლიტიკური ძალის სოციალ-დემოკრატებისაგან დაკომპლექტებული მთავარი შტაბი , საოლქო და რაიონული შტაბები, მაგრამ საბრძოლო ქვედანაყოფების მეთაურები კი პროფესიონალი სამხედროები იყვნენ. გვარდიის შემადგენლობაში შედიოდა პირველი რესპუბლიკის გამორჩეული სამხედრო ნაწილები: მრისხანე ჯავშანმატარებელთა რაზმი და საკავალერიო დივიზიონი, რომელსაც რუსეთის სამხედრო ატაშე პავლე სიტინი თავის საიდუმლო მოხსენებებში ქართული შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ საუკეთესო ქვედანაყოფად მოიხსენიებდა.[115] და მაინც რა იყო ის მიზეზები რის გამოც მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არ გააუქმა გვარდია?

ერთ-ერთი მიზეზი ალბათ მართველი სოციალისტური ძალის იდეალიზმი, მათთვის სამხედრო ძალების მოწყობის საუკეთესო ვარიანტი – შვეიცარიული სახალხო მილიცია იყო, რასაც ყოველთვის აღნიშნავდნენ, მაგრამ პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე რეგულარულ ჯარის ჩამოყალიბებაზე უარს არ ამბობდნენ. მომავალში კი როდესაც ქვეყანაში და მის გარშემო სიმშვიდე დაისადგურებდა, მათი აზრით სახალხო გვარდია – შვეიცარიული მილიციის კადრად გამოადგებოდათ. მათი იდეალიზმის კიდევ ერთი გამოვლინება გახლდათ ის, რომ გვარდიაში ინერგებოდა პრინციპები, რომლის მიხედვითაც გვარდიელები უფრო მეტად ეყრდნობოდნენ ,,მასიურ შეგნებას" ვიდრე მკაცრ სამხედრო დისციპლინას. ეს ჩანაფიქრი მეტად კეთილშობილური გახლდათ, მაგრამ იმ რთულ დროში, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელმწიფოსა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობების პერიოდში, გარეშე მტერთან ბრძოლაში ნაკლებად გამოსადეგი. მმართველი პოლიტიკური ძალის

[114] დიმიტრი სილაქაძე. ოსიაურის ბრძოლა. (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი). *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. I.* თბილისი: ,,მერიდიანი", 2011, გვ.254.
[115] სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 5. ფურც.38 .

სურვილი , მომავალში მილიციური ჯარის შექმნის შესახებ სრულ თანხვედრაში იყო მოსახლეობის სურვილებთანაც.

მმართველი პოლიტიკური ძალის იდეალიზმთან ერთად, არსებობდა რეალური საფრთხეები რის გამოც სოციალ-დემოკრატებმა გვარდიის გაუქმება არ დაუშვეს. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ – ბოლშევიკური საფრთხე ჯარის ნაწილებში, რისი მაგალითებიც დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე პერიოდში უკვე ვნახეთ კიდეც და ეს გამოსვლები გვარდიელებმა ბრძოლით ჩაახშეს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, ბოლშევიკების არალეგალური მუშაობა ქართული ჯარის ნაწილებში არ შეწყვეტილა და რამდენიმე მცირე მასშტაბის შეიარაღებული გამოსვლაც მოხდა.[116] სოციალ-დემოკრატები მინიმუმ პირველ ხანებში ბოლომდე არ ენდობოდნენ ოფიცერთა კორპუსს, ჯერ კიდევ ახლო ხანებში – რევოლუციამდე, ბარიერის მეორე მხარეს მდგომ ადამიანებს, ეშინოდათ მათში ,,ბონაპარტიზმის" შესაძლო გამოვლინების და რუსეთის შემთხვევაში დროებით მთავრობის წინააღმდეგ კორნილოვის ამბოხისა და სამხედრო დიქტატურის დამყარების მცდელობის მაგალითიც ჰქონდათ. ეშინოდათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ქვეყანაში შემოსული გერმანელების შესაძლო ალიანსის და მათ მიერ სამხედრო გადატრიალების მოწყობისა. ეროვნულ-დემოკრატი რევაზ გაბაშვილი საკუთარ მემუარებში წერს, რომ მას გერმანული სამხედრო-დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა ბარონმა კრესენშტაინმა შემდეგი წინადადებით მიმართა: ,,თქვენი მთავრობა სრულებით არ ფიქრობს სახელმწიფოს აშენება-გამაგრებაზედ, არამედ მხოლოდ რევოლუციონურ ცაცრვა-გლეჯაზედ. ამას ბოლო უნდა მოეღოს! მე ვხედავ, თქვენ არა გაქვთ საკმაოდ დიდი ორგანიზაცია, საბოლოო გადატრიალება მოახდინოთ. სამაგიეროდ, მე უკვე იმდენი ჯარი მყავს, 24 საათში შემიძლია განვაიარაღო მაგათი გვარდიის ბანდები და, - ხელი გაიშვირა სასახლისაკენ, - თითო კამარაზედ, თითო მინისტრი ჩამოვკიდო. მაგრამ, ეს იქნებოდა გარეშე ძალის ჩარევა შინაურ საქმეებში, რასაც მე ვერ ვიზავ როგორც საქართველოს მეგობარი. თუ თქვენ თვითონ მოახერხებთ, გინდ ერთი საათით, სასახლის დაჭერასა და მთავრობის გარეკვას; გამოაცხადებთ ამ მომხდარ გადატრიალებას, მაშინ მე მთელი ჩემი უფლებით და ჯარით დავიცავ ახალ რეჟიმსაო".[117] გაბაშვილის მემუარის თანახმად, მისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა, თუმცა მისივე თანაპარტიელს

[116] ტრისტან ლაბარტყავა. რევოლუციური მოძრაობა ჯარის ნაწილებში საქართველოში 1917-1921წწ. გვ.122-124; 144-145; 173.

[117] რევაზ გაბაშვილი. რაც მახსოვს. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. გურამ შარაძის საერთო რედაქციით. ტ.3 თბილისი: ,,გულანი", 1992, გვ.250-251.

გრიგოლ ვეშაპელსა და პარტიის კიდევ ერთ წევრს, ეს აზრი ჭკუაში დაჯდომიათ და ქართველ ოფიცრებთან გაქცეულან, რომელთაც ამაზე კატეგორიული უარი განუცხადებიათ, იმ მოტივით, რომ მათთვის წარმოუდგენელი იყო საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ წასვლა.[118] ამავე ისტორიას, ოღონდ სრულიად საპირისპიროდ იხსენებდა თვითონ კრესენშტაინიც საკუთარ მემუარში, რომელიც მან 1943 წელს დაწერა, სახმელეთო ჯარების არქივს გადასცა და მიუთითა, რომ მემუარი ეყრდნობოდა პირად დღიურს და დაწერა არა გამოსაქვეყნებლად, არამედ მხოლოდ ოჯახისათვის. გერმანელი გენერალი წერს - მისთვის გასაგები იყო ის, რომ საქართველოს მთავრობაში მყოფი თავდაჯერებული მარქსისტები, როგორც კაიზერული გერამანიის გენერალსა და არისტოკრატს უნდობლად ეკიდებოდნენ და მათ შინაგან საქმეებში ჩარევის ეშინოდათ. - ,,ამ უნდობლობას ეროვნულ-დემოკრატების მოუხეშავი საქციელიც აძლიერებდა. მათი პარტია, ძირითადად, უფლებააყრილი თავადაზნაურებისაგან, ექსპროპრირებულ მიწისმფლობელთაგან, დათხოვნილ ოფიცერთაგან და მოკლედ, ყველანაირი კონსერვატიული და რეაქციული ელემენტებისაგან შედგებოდა. ამ საზოგადოებრივი იერარქიითაც აგრეთვე ჩვენთან ახლოს მდგომმა ბატონებმა ხელგაშლილად მიგვიღეს, მაშინვე სცადეს ჩვენით ესარგებლათ და არც მალავდნენ რასაც ჩვენგან ელოდნენ – ჩვენ მათ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დამხობასა და თავიანთი ძველი უფლებების აღდგენაში უნდა დავხმარებოდით.'' მისივე მტკიცებით გერმანელებს, დიდი ტაქტი და თავშეკავება დასჭირდათ სოციალ-დემოკრატების დარწმუნებაში, რომ მათ საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდნენ.[119] ის, რომ ოპოზიციურ ძალთა და მათთან დაახლოებული სამხედროთა ნაწილი მზად იყო გერმანელების დახმარებით სისხლი დაეღვარა და საკუთარი მთავრობა ამ გზით დაემხო კარგათ ჩანს გიორგი მაჩაბლის მიერ სპირიდონ კედიასადმი 1928 წელს მიწერილ პირად წერილში. მაჩაბელი ნანობდა, რომ მან, სპირიდონმა, მიხაკო წერეთელმა და სხვებმა არ დაუჯერეს ლეო კერესელიძეს, არ ისარგებლეს კერესელიძის ლეგიონით და გერმანელებით, ამის ნაცვლად ადვილად დათანხმდნენ კრესს სოციალისტურ მთავრობასთან თანამშრომლობაზე.[120] ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს იმის მტკიცებას, თუ რომელმა მხარემ

[118] რევაზ გაბაშვილი. რაც მახსოვს. გვ.251

[119] ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი. ჩემი მისია კავკასიაში. გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა. ქუთაისი: ,,მოწამეთა“, 2002, გვ.78-79.

[120] მასალები სპირიდონ კედიას პირადი არქივიდან. შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ. თბილისი: ,,ბონა კაუზა“, 2007, გვ.47; ოთარ ჯანელიძე. გენერალ ფონ-კრესის მემუარები და 1918-1921 წლების ქართული სინამდვილე. *ანალები.* N7 , 2011 , თბილისი: ,,უნივერსალი“, 2011, გვ.257-258.

რომელს შესთავაზა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, მთავარია ირკვევა ასეთი წინადადებისა და განწყობის რეალურად არსებობა. ამ ამბავმა , როგორც ჩანს მთავრობის ყურამდეც მიაღწია სწორედ ამაზე უნდა მიანიშნებდეს , ეროვნულ საბჭოში სახალხო გვარდიის კანონის მიღების პროცესში 1918 წლის 21 ივნისს გამართულ დებატებზე ნოე ჟორდანიას გადაკრული სიტყვა ეროვნულ-დემოკრატების უცხო ძალებთან თანამშრომლობაზე - ,,ნაც-დემოკრატებმა სთქვეს, რომ თუ 90 პროცენტი მასისა თქვენ მოგდევთ და ჩვენისთანა უმნიშვნელო პარტიის რატომ გეშინიათო, ჩვენ თქვენი კი არ გვეშინია, უბედურება იმაშია, რომ თქვენ იმედებს ამყარებთ სხვა ძალებზე, რომელიც ჩვენი ერის ფარგლების გარეშეა (ტაში).”[121] სოციალ-დემოკრატები ვერ შეელივნენ ერთგულ სამხედრო ძალას, ,,წითელ გვარდიას" და გარდაქმნეს ის სახალხო გვარდიად , რითაც დაუშვეს ორი ტიპის შეიარაღებული ძალის არსებობა ქვეყნაში. მთლიანობში უნდა ითქვას, რომ 1918 წლის ზაფხულში სახალხო გვარდიის სისტემის დაკანონება არა მხოლოდ პარტიული მოსაზრებით მიღებული გადაწყვეტილება, არამედ ობიექტური საფრთხეებიდან ნაკარნახევი გადაწყვეტილება იყო.

სახალხო გვარდიის კანონის დამტკიცებიდან თვენახევრის შემდეგ, 1918 წლის 20 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მიღო: რეგულარული არმიისა ორგანიზაციის კანონი; რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის დებულება და დებულება სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების შესახებ. კანონის დამტკიცებას წინ დიდი სამუშაოები უძღოდა. ქართული რეგულარული არმიის შექმნით დაინტერესებული იყო გერმანული სამხედრო-დიპლომტიური მისიაც. გერმანული მისიის მეთაურს, ეს საქმე გერმანიიდან გამომგზავრებამდე გერმანიის გენერალური შტაბის პირველმა გენერალ კვარტერმეისტერმა , აღმოსავლეთის ოპერაციების მეთაურმა , სამხედროთა შორის თანამდებობრივად მეორე და ფაქტობრივად კი პირველმა კაცმა, გენერალმა ერიხ ლუდენდორფმა დაავალა.[122] 1918 წლის 10, 11 და 12 ივლისს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიამ განიხილა გერმანელებისა და ქართული შტაბის მიერ შედგენილი სამხედრო მმართველობის ორგანიზაციის პროექტები. 12 ივლისის სხდომაზე

[121] ჟურნ. *,,მხედარი“*. N1 თბილისი.1991, გვ.69.

[122] კრესენშტაინი. ჩემი მისია საქართველოში . გვ.56-57; ლუდენდორფი დიდათ იყო დაინტერესებული ეფექტური ქართული არმიის შექმნით, რომელიც გერმანიის მხარეს იომებდა. ეს ჩანს 1918 წლის 12 ივნისს მიეს მიერ უკრაინაში , საარმიო ჯგუფ ,,კიევის" შტაბის უფროსის გენერალ ვილჰელმ გრიონერისადმი გაგზავნი წერილში. იხ: მიხეილ ბატხაძე. გენერალ ლუდენდორფის ერთი წერილის შესახებ. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები III.* თბილისი: ,,მერიდიანი“, 2011, გვ.303-309.

პოლკოვნიკმა კარგარეთელმა მხარი დაუჭირა გერმანულ პროექტს, კერძოდ საარტილერიო და ტექნიკური უწყებები პირდაპირ დამორჩილებულიყო გენერალურ შტაბს და არ ყოფილიყო ცალკე როგორც ეს ქართველი სამხედროების პროექტში იყო წარმოდგენილი, ფინანსური თვალსაზრისით მან გერმანული პროექტი ამჯობინა. გენერალი აფხაზი დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა წარმოდგენილ პროექტებში და მისი აზრით, მორალური თვალსაზრისით მცირე ცვლილებებით ქართული შტაბის პროექტის დამტკიცება უმჯობესი იქნებოდა. სოციალ-დემოკრატმა კონსტანტინე საბახტარაშვილმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის სპეციალისტი არ იყო, კარგათ ამჩნევდა, რომ გერმანული პროექტი, უფრო მარტივი და ცენტრალისტური იყო, რასაც დიდი მნიშვნელობა გააჩნდა სახედრო უწყებაში. გენერალმა ბენაშვილმა ორივე პროექტი დაიწუნა, ხოლო გენერალმა მდივანმაც, კოტე აფხაზის მსგავსად ვერ დაინახა დიდი განსხვავება წარმოდგენილ პროექტებს შორის და ქართული ვარიანტის დამტკიცება მოითხოვა.[123] შემდეგ კენჭი უყარეს სამხედრო სამინისტროს განყოფილებების პროექტებს და ნაწილის შემთხვევაში ქართული პროექტი მიიღეს, ხოლო ნაწილში გერმანული. გადაუწყვეტელი დარჩა გენერალურ შტაბის ორგანიზაციის რომელ ვარიანტს მიიღებდნენ. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოები იყო და მოგვიანებით როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების კანონის განმარტებით წერილით ვიგებთ, გერმანული პროექტი თითქმის სავსებით იქნა მიღებული, რადგანაც მათი პროექტი ცენტრალისტური და ფინანსური თვალსაზრისით უფრო მისაღები იყო.[124] კანონის მიღებამდე ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიისა და მთავრობის სხდომებზე რომელთაც უფლებამოსილ პირებთან ერთად სამხედრო სპეციალისტებიც ესწრებოდნენ წარდგენილი კანონპროეტის განხილვის პარალელურად გრძელდებოდა მსჯელობა რას უნდა მინიჭებოდა უპირატესობა მილიციას თუ რეგულარულ ჯარს, სადაც გენერალმა ალექსანდრე გედევანიშვილმა, უამრავი სამხედრო, ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული არგუმენტით დაასაბუთა რეგულარული ჯარის შექმნის აუცილებლობა.[125] სამხედრო კომისიის სხდომებზე განიხილებოდა ჩამოსაყალიბებელი ქვედანაყოფების შტატების საკითხი, ამას ძალიან დიდი დრო

[123] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 193. ფურც.6-8.
[124] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 183. ფურც.11.
[125] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 193. ფურც.9-11.

მიჰქონდა და ამიტომ 5 აგვისტოს სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატმა დავით ვაჩნაძემ განაცხადა, რომ შტატების განხილვას ბოლო არ უჩანდა და კიდევ დიდი ხანი დასჭირდებოდა მათ შემუშავებას, რაც აფერხებდა რეგულარული არმიის ორგანიზაციას და საჭირო იყო სასწრაფოდ კანონების მიღება. სხდომის თავმჯდომარემ, მდივანმა მას უპასუხა, რომ კანონები შევიდოდა ეროვნულ საბჭოში და შტატები კი როგორც არა საჩქარო შემდეგში გამოიცემოდა.[126] ამით ფაქტობრივად გადაწყდა მიღებულიყო კანონები რეგულარული არმიისა ორგანიზაციის, რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა, სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების შესახებ, ხოლო სამხედრო ნაწილების კონკრეტული , დაზუსტებული შტატები, რომელზეც მსჯელობა მიდიოდა მოგვიანებით დამტკიცებულიყო. 13 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ თითქმის უკამათოდ ერთსულოვნად მიიღო წარდგენილი კანონპროექტი და საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად გადასცა სარედაქციო კომისიას, რომლის მიერ უკან დაბრუნებული ვარიანტი საბოლოოდ დაამტკიცა 20 აგვისტოს.[127] მიღებული კანონის მიხედვით რესპუბლიკის რეგულარული ჯარი შედგებოდა: ორი ქვეითი დივიზიის; ერთი ცხენოსანი ბრიგადის; ერთი საარმიო არტილერიის ბრიგადის; სანაპირო ჯარის; საპიორთა ბატალიონის; სატექნიკო ბატალიონის; საავტომობილო ასეულის; ჯავშნოსანი ასეულისა და საავიაციო გუნდისაგან. ქვეითი დივიზია შედგებოდა სამი პოლკის (თითოეულში სამი ბატალიონი და სხვა კომანდები), ცხენოსანთა ერთი ესკადრონის, ერთი საარტილერიო ბრიგადის (საპოლკო არტილერიის ერთი 3 ბატარიანი დივიზიონი (18 სამთო ზარბაზანი); ორი სამთო არტილერიის დივიზიონი თითოეულში ორი სამთო ბატარიით (16 სამთო ქვემეხი); ერთი 2 ბატარიანი მსუბუქი დივიზიონი (8 მსუბუქი ზარბაზანი); ერთი 3 ბატარიანი ჰაუბიცის დივიზიონი (12 ჰაუბიცა); ერთი საზენიტო წყობა (2 ზარბაზანი); და სხვა მცირე კომანდები), ერთი

---

[126] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 193. ფურც. 16.

[127] სცსა. ფონდი1836. აღწერა1. საქმე 187. ფურც. 11, 17. საინტერესოა რომ კანონპროექტის დამტკიცების დროს პირველ და მეხუთე მუხლებში ტერმინი ,,რეგულარული არმია" შეიცვალა ,,რეგულარული ჯარით", მაშინ როდესაც კანონის სახელი დარჩა - ,,საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა". კანონის მიღების საქმეში საკუთარი როლის შესახებ გენერალი კრესენშტაინი წერდა - რომ საქართველოს მთავრობა მარქსისტული უტოპიებისა და სხვა ფაქტორების გამო , აშკარა წინააღმდეგობას წევდა, ვარგისი რეგულარული ჯარის შექმნაზე, ამიტომ მან საქართველოს მთავრობას მიმართა, რომ სანამ არ შექმნიდნენ ძლიერ არმიას, როგორც დამოუკიდებლობის გარანტს, გერმანიასგან საჭირო სესხზე შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, ამავდროულად მან ბერლინში ითხოვა, რომ სესხზე მოლაპარალებები ქართულ მხარესთან იქამდე გაეჭიანურებიათ , სანამ საქართველოს მთავრობა არმიის ჩამოყალიბების საკითხში დათმობაზე არ წავიდოდა. მისი აზრით, სწორედ ამ ზეწოლამ გამოიღო შედეგი. – იხ. კრესენშტაინი. ჩემი მისია კავკასიაში გვ.90

საპიორთა ასეულის, დივიზიის საბარგო ქარავნისა და სანიტარული დაწესებულებისაგან. ცხენოსანი ბრიგადა შედგებოდა ცხენოსანთა სამი პოლკის, ერთი სათადარიგო ესკადრონისა და ცხენოსანთა სამთო საარტილერიო დივიზიონისაგან. საარმიო არტილერიის ბრიგადა შედგებოდა: ერთი მსუბუქი, ერთი მძიმე და ჰაუბიცების ორი დივიზიონისაგან, თითოეული დივიზიონი შესდგებოდა სამი ბატარეისაგან, ამის გარდა ბრიგადაში იყო ორი საზენიტო წყობა.[128] კანონის განმარტებით წერილში, აღნიშნული იყო, რომ სამის ნაცვლად ორი დივიზიის შექმნის გადაწყვეტულება უმთავრესად ფინანსური პრობლემების გამო გადაწყვიტეს. როგორც აღვნიშნე კანონის მიღებისას სამხედრო ნაწილების ზუსტი შტატების შემუშავება ვერ მოესწრო, თუმცა კანონის განმარტებით წერილით ირკვევა, კანონის მიმღებნი ვარაუდობდნენ რომ არმიის პირადი შემადგენლობა 35 200 კაცამდე ავიდოდა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათ გარშემო თავს მოიყრიდა მთელი შეიარაღებული ხალხი – 200 000 ჯარისკაცამდე.[129]

რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის დებულების მიხედვით, საქართველოს შეიარაღებული ძალების უზენაეს ორგანოს წარმოაგდენდა ეროვნული საბჭო, რომლის აღმასრულებელი ორგანოს წარმოადგენდა მთავრობა, ეს უკანასკნელი კი თავის უფლებას შეიარაღებული ძალების მიმართ სამხედრო სამინისტროს მეშვეობით ახორციელებდა. სამხედრო სამინისტროს სათავეში იდგა სამხედრო მინისტრი. კანონში არ იყო ასეთი დათქმა, მაგრამ რესპუბლიკის არსებობის პატარა მონაკვეთში ყველა მინისტრი სამოქალაქო პირი იყო – სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები. ომის შემთხვევაში, მთავრობის საგანგებო დეკრეტით ინიშნებოდა მთავარსარდალი, ოპერატიულ გადაწყვეტილებებში მთავარსარდალი სრული თავისუფლებით სარგებლობდა. დებულების მეხუთე მუხლის თანახმად სამხედრო მინისტრს ჰყავდა ერთი ამხანაგი (მოადგილე), იგი გახლდათ მინისტრის უმთავრესი მრჩეველი და თუ საკითხს არ ჰქონდა პრინციპული, პოლიტიკური ან საბიუჯეტო ხასიათი, მას შეეძლო საქმის დამოუკიდებლად გადაწყვეტა. სამხედრო სამინისტრო შედგებოდა ექვსი განყოფილებისაგან: საერთო; პირადი შემადგენლობის, გენერალური შტაბის, საადმინისტრაციო, სამხედრო სასანიტარო და სამხედრო საბეითლო

[128] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. გვ.53-54.
[129] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 183. ფურც.10.

განყოფილებისაგან.[130] სამინისტროს საერთო განყოფილების სათავეში იდგა გენერალური შტაბის შტაბ-ოფიცერი, მას მოვალეობას შეადგენდა სამინისტროში შემოსული ფოსტის (გარდა გენერალური შტაბის სახელზე მოსული ფოსტისა) გახსნა, განხილვა, განაწილება, მინისტრის ბრძანებებისა და განკარგულებების საბოლოო რედაქტირება. პირადი შემადგენლობის განყოფილებას სათავეში ედგა შტაბ-ოფიცერი, გენერლის წოდებით. განყოფილება განაგებდა ოფიცერთა და მოხელეთა, დანიშვნა-გათავისუფლების, გადაყვანა-გადმოყვანის, დაჯილდოების საქმეს. საადმინისტრაციო/ადმინისტრაციული განყოფილებას სათავეში ედგა უმაღლესი სამხედრო განათლების ან სათანადო ადმინისტრაციული გამოცდილების მქონე გენერალი. განყოფილება შედგებოდა 5 სექციისაგან: 1) საბიუჯეტო - განაგებდა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას; 2) სასურსათო - განაგებდა ჯარის კმაყოფას სურსათ-სანოვაგით; 3) საბარგო და საავეჯო - განაგებდა ჯარის შემოსვა-შეკაზმვისა და საბარგო საკითხებს; 4)საბინაო/სასადგომო - განაგებდა ჯარების დაბინავების, ყაზარმების მოწყობის და გათბობა-განათების საკითხებს; 5) საპენსიო - განაგებდა სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრთათვის პენსიებისა და სხვა ტიპის დახმარებების საკითხებს. სანიტარულ განყოფილებას სათავეში ედგა სამხედრო ექიმი. განყოფილება განაგებდა საკითხებს რომელიც შეეხებოდა ჯარის სანიტარულ საქმეს. სამხედრო-საბეითლო განყოფილებას სათავეში ედგა სამხედრო ბეითალი. განყოფილება შეიმუშავებდა ჯარში არსებულ საბეითლო საქმის საკითხებს. საადმინისტრაციო (ადმინისტრაციული) განყოფილების საქმეს შეადგენდა სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შედგენა, ჯარის ხელფასების გაცემა, კვება, შემოსვა, დაბინავება და ა.შ სამინისტროს გამყოფილებათაგან თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული გახლდათ გენერალური შტაბის განყოფილება, რომელსაც სათავეში ედგა გენერალური შტაბის უფროსი, რომელიც ომის დროს ინიშნებოდა არმიის საველე შტაბის უფროსად. გენერალური შტაბი შედგებოდა ექვსი სექციისაგან:

1. საოპერაციო - ამ სექციას ევალებოდა ჯარის შედგენა და ორგანიზაცია, მობილიზაცია, დაზვერვა, ჯარების გაწრთვნა და აღლუმი, ტერიტორიის დაცვა და რკინიგზის საქმე, საზღვრების დაცვა და საველე ჯარების ოპერაციები ომის დროს.

[130] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. გვ.49-50.

2. საორგანიზაციო – სექცია შეიმუშავებდა საკითხებს, რაც შეეხებოდა ახალგაზრდების ჯარში გაწვევას, დისციპლინას, სამხედრო სკოლებს, სამსახურის წესრიგს, ჯარის შინაური ცხოვრების ვითარებას და სამხედრო გამოცემათა საქმეს.

3. საარტილერიო – სექცია განაგებდა ჯარისათვის ზარბაზნების, შაშხანების და სხვა საომარი იარაღისა და მასალის მიწოდების საქმეს, საარტილერიო ქარხნების, საწყობების, მსროლელთა სკოლებისა და სასწავლო პოლიგონების საქმეს.

4. საინჟინერო-სატექნიკო – სექცია უზრუნველყოფდა ტექნიკურ ნაწილებს მათთვის საჭირო მასალით და აგრეთვე განაგებდა საინჟინრო-ტექნიკურ სკოლას.

5. სამხედრო-საზღვაო – სექცია შეიმუშავებდა სამხედრო-საზღვაო საკითხებს

6. სამხედრო-საისტორიო არქივი – განაგებდა სამხედრო საისტორიო მასალების შეკრების, შენახვის და სამეცნიერო მიზნით გამოყენების საქმეს. ომის დროს სექციას უნდა მოეგროვებინა საბუთები ფრონტზე. [131]

ერთ-ერთი მთავარი საკითხი რის გარშემოც თავიდანვე წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა გახლდათ სამხედრო სამინისტროს სათავეში სამოქალაქო პირის დანიშვნა. ჯერ კიდევ სამხედრო მმართველობის დებულების დამტკიცებამდე მისი განხილვის პროცესში, ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის 1918 წლის 12 ივლისი სხდომაზე სამხედრო მინისტრმა, სოციალ-დემოკრატმა გრიგოლ გიორგაძემ განაცხადა, რომ მასა და მის თანაშემწეს (მოადგილე) შორის არ იყო ორგანული დამოკიდებულება და ორივენი ერთმანეთის დამოუკიდებლად გამოსცემდნენ განკარგულებებს, გერმანელების პროექტის გაცნობისა და მათთან საუბრის შემდეგ იგი მიხვდა, რომ ამის მიზეზი ის არის, რომ სამხედრო მინისტრი და მისი თანაშემწე უნდა იყვნენ სამხედრო პირები-სპეციალისტები, მხოლოდ მაშინ შეძლებდნენ ისინი საქმის გაზიარებას და მთელი ჯარის აღზრდა - მოწყობის თვალყურის დევნებას.[132] თუმცა სამხედრო მინისტრმა ორიოდ თვეში აზრი შეიცვალა და როდესაც გენერლებმა კოტე აფხაზმა და ილია ოდიშელიძემ გამოთქვეს საკუთარი აზრი სამხედრო სამინისტროს სათავეში სამხედრო პირის დანიშვნის შესახებ მან განაცხადა - ,,დღევანდელ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში პროპაგანდა სამხედრო მინისტრის როგორც სამოქალაქო პირის წინააღმდეგ, იქნებოდა ბოროტმოქმედება და თავისი შედეგებით მომაკვდინებელი.''[133] გენერალი კვინიტაძე, უარყოფითად აფასებდა სამხედრო უწყების სათავეში სამოქალაქო პირის ყოფნას და სამოქალაქო სამხედრო მინისტრ გრიგოლ გიორგაძის შესახებ ერთ კურიოზულ ფაქტს იხსნებდა - ,,ერთხელ, ბატალიონის

[131] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. გვ.50-53; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 176. ფურც.3-4.
[132] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 193. ფურც.7.
[133] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 332. ფურც.7.

გასტუმრებისას, მეთაურს ვუთხარი, ორი ქვემეხი წაიღე-მეთქი და სამხედრო მინისტრმა მკითხა – ბატონო გიორგი, ორი ქვემეხი რამდენი ზარბაზანია?.[134] მიუხედავათ ამისა , 1919 წლის მარტში როდესაც გიორგაძე, სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე ნოე რამიშვილმა ჩაანაცვლა, 52-მა გენერალმა, შტაბისა და ობერ ოფიცერმა გამოსამშვიდობებელ წერილში, მინისტრის მუყაითობას, საქმის სიყვარულს, მოვალეობის შეგნებას, დინჯ მუშაობას და თავაზიანობას გაუსვეს ხაზი.[135]

ისტორიკოს არჩილ ჩაჩხიანის აზრით, იმ პერიოდში საქართველოში, რუსული არმიის მართვის იდენტური სტრუქტურა არსებობდა და მისთვის აუცილებელი იყო სამინისტროს სათავეში სამხედრო პირი ყოფილიყო. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად, მას მოჰყავს ის არგუმენტი, რომ - ,,არმიის ტვინი", ანუ გენერალური შტაბი უშუალოდ სამხედრო სამინისტროში შედიოდა და მის ერთ-ერთ განყოფილებას წარმოადგენდა, სადაც სამხედრო მინისტრი მთავარ განმკარგველ და პასუხისმგებელ ფიგურას წარმოადგენდა წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც. იქვე ისტორიკოსს მოჰყავს ევროპული ქვეყნების მაგალითი, სადაც მეოცე საუკუნის დასაწყისიდან სამხედრო სამინისტრო და გენერალური შტაბი სტრუქტურულად და ფუნქციურად ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო და იქ სამხედრო მინისტრი მხოლოდ პოლიტიკური ფიგურა გახლდათ და თავისი უწყების სტრატეგიულ-პოლიტიკურ კურსს განსაზღვრავდა.[136] კანონში არ იყო დაკონკრეტებული სამხედრო მინისტრი სამხედრო პირი უნდა ყოფილიყო თუ სამოქალაქო, თუმცა სულ სამოქალაქო იყო, ასეთი კონკრეტიკა არ იყო მისი პირველი მოადგილის მიმართაც , თუმცა ქართულ სინამდვილეში სამხედრო მინისტრის პირველი მოადგილე ყოველთვის სამხედრო პირი იყო[137] და თუ საქმეს პრინციპული, პოლიტიკური ან საბიუჯეტო ხასიათი არ ჰქონდა , იგი დამოუკიდებლად უძღვებოდა საკითხებს, სამხედრო სამინისტროს

---

[134] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С.8– მართალია კვინიტაძეს არ აქვს დაკონკრეტებული მინისტრის სახელი და გვარი, მაგრამ წერს , რომ ამ დროს იგი მინისტრის თანაშემწე გახლდათ, ცნობილია, რომ კვინიტაძე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაახლოებით ერთი თვის მანძილზე სამხედრო მინისტრ, გრიგოლ გიორგაძის თანაშემწე/მოადგილე იყო.

[135] სამხედრო მინისტრის გ. გიორგაძის წასვლის გამო. გაზ. *,,საქართველოს რესპუბლიკა".* N69. 1919 წ. 27 მარტი. გვ.3.

[136] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპასიონისტრური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი.გვ.124-125.

[137] კანონში არ იყო დაკონკრეტებული, რომ მოადგილე სამხედრო პირი უნდა ყოფილიყო თუმცა პრაქტიკაში კანონის მიღების შემდეგ, პირველი მოადგილე მუდამ გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი იყო, ხოლო მეორე მოადგილის თანამდებობაზე სხვადასხვა დროს იყვნენ გენერლები - ზაქარია მდივანი და ილია ოდიშელიძე.

ყველა განყოფილებას სამხედრო პირები ედგნენ სათავეში .[138] გამოდის, რომ რეალურად საქართველოშიც სამხედრო მინისტრი სამხედრო უწყების სტრატეგიულ-პოლიტიკურ კურსს განსაზღვრავდა. 1919 წელს მიღებული ახალი კანონით, სამინისტროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან, სამნეო განყოფილების სათავეში რომელსაც სამნეო კომიტეტი განაგებდა, სათავეში არასამხედრო პირი კალისტრატე გოგუა ედგა,[139] თუმცა სხვა ყველა განყოფილებას ისევ სამხედრო პირი ხემძღვანელობდა და საერთოდაც სამინისტროს თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა პროფესიონალი სამხედროებისგან შედგებოდა, განსაკუთრებით ეს ეხება საკვანძო თანამდებობებს.[140]

სამხედრო ბეგარის და მუდმივი ჯარის შევსების დებულების თანახმად, ჯარი უნდა შევსებულიყო საყოველთაო სამხედრო სამსახურის საფუძველზე. როგორც ძველად რუსეთის იმპერიაში ისე საქართველოში სავალდებულო გაწვევა არ ეხებოდათ მუსლიმებს.[141] სამხედრო ვალდებულად ითვლებოდა პირი 20-დან – 45 წლის ჩათვლით. სამხედრო სამსახურში ყოველი წლის 15 ნოემბერს უნდა გაწვეულიყვნენ ის ახალგაზრდები, რომელთაც მომავალი წლის პირველ იანვრამდე უსრულდებოდათ 20 წელი. სამხედრო სამსახურის საერთო ვადა 25 წლიანი იყო, თუმცა ნამდვილ სამხედრო სამსახურში ახალგაზრდა მხოლოდ 2 წელიწადს ატარებდა, შემდეგ გადაირიცხებოდა თადარიგში 15 წლით და ბოლოს ლაშქარში 8 წლით. მოლაშქრე და სათადარიგო ჯარისკაცები ექვემდებარებოდნენ სამხედრო კონტროლს და პერიოდულად გადიოდნენ წრთვნებს. ვინც ჯარში სამსახურისათვის უვრაგისი იქნებოდა, გაიწვევდნენ არმიაში ისეთი მოვალეობის შესასრულებლად, რაც მის ფიზიკურ აგებულებას შეესაბამებოდა. ჯარში გაწვევის გადადება შეიძლებოდა რამდენიმე შემთხვევაში: თუ კონტიგენტი შეივსებოდა, თუ გასაწვევი პირი იყო საშუალო სკოლის მოსწავლე და წარადგენდა შესაბამის მოწმობას (ასეთი პირებისათვის სამხედრო ბეგარის გადადება შეიძლებოდა 22 წლამდე), თუ პირი მიცემული იყო სამართალში ან მის შესახებ მიმდინარეობდა გამოძიება საქმის დასრულებამდე ჯარში არ

---

[138] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. გვ.49-53.

[139] თუმცა კანონით არ იყო განსაზღვრული ვინ უნდა მდგარიყო ამ კომიტეტის სათავეში - სამხედრო თუ სამოქალაქო პირი.

[140] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.26-39.

[141] სამხედრო კომისიის მიერ ეროვნულ საბჭოში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, მუსლიმი მოქალაქე ჯარში გაწვეული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად გამოთქვამდა ამის სურვილს, მაგრამ საბჭომ მხარი ალექსანდრე ლომთათიძის (სოციალ-დემოკრატი) შესწორებას დაუჭირა, რომლის მიხედვითაც მუხლი საყოველთაო სამხედრო სამსახურის შესახებ მუსლიმ მოქალაქეებს არ ეხებოდათ. იხ. სცსა. ფონდი1836. აღწერა.1. საქმე.169. ფურც.3,10.

გაიწვევდნენ. მძიმე ფიზიკური სენით შეპყრობილებს კი სამუდამოდ ათავისუფლებდნენ ჯარიდან.[142]

კონკრეტული სამხედრო ნაწილების შტატების განსაზღვრაზე მუშაობა გრძელდებოდა, სამხედრო სამინისტროს ამ საკითხში დიდ დახმარებას უწევდნენ გერმანელი მრჩევლები. 1918 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში საქართველოს მთავრობამ მოიწონა სამხედრო სამინისტროს მიერ წარდგენილი ქვეითი, ცხენოსანი, საარტილერიო, ტექნიკური, სასაზღვრო, სამხედრო სამინისტროსა და სხვა ზურგის ნაწილების შტატები და საბოლოოდ დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს გადაუგზავნა.[143] პარლამენტმა აღნიშნული შტატების კანონპროექტები 8 ნოემბრს გადააგზავნა სამხედრო და საფინანსო კომისიებში განსახილველად.[144] კომისიებში განხილვა დაუსრულებლად გრძელდებოდა, ამ დროს სომხეთ-საქართველოს ომიც დაიწყო, ხოლო 1919 წლის იანვრის ბოლოს კი პარლამენტმა დამფუძნებელი კრების დანიშნული არჩევნების წინ მუშაობა შეწყვიტა. ამიტომ რეგულარული არმიის შევსება 1919 წლის ივლისში მომხდარ რეორგანიზაციამდე ფაქტობრივად სწორეთ 1918 წლის 20 აგვისტოს მიღებული კანონებითა (კანონი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ძალთა მმართველობის მოწყობისა ; კანონი შეიარაღებულ ძალთა მოწყობისა; კანონი სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შევსებისა) და 1918 წლის ოქტომბერში მთავრობის მიერ მოწონებული შტატების მიხედვით ხდებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამხედრო სამინისტრომ შეიარაღებული ძალების შევსება მთავრობის მიერ შტატების პროექტის მოწონებამდე, თითქმის მსგავსი შტატებით დაიწყო. მთლიანობაში 1918 წლის შტატების მიხედვით რეგულარული არმიის პირადი შემადგენლობა, სამხედრო სამინისტროსა და ყველა ზურგის ნაწილების ჩათვლით შედგებოდა: 2156 ოფიცრისა და მოხელისაგან, 37 474 ვადიანი სამხედრო მოსამსახურისა და 1630 ნებით დაქირავებულისაგან. სულ: 41 260 სამხედრო მოსამსახურე. რეგულარულ არმიას უნდა ჰყოლოდა 8260 ცხენი.[145]

---

[142] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული. 1918-1921. გვ.55-57.
[143] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 173. ფურც.2-8; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 171. ფურც.2-8; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 174. ფურც. 1-14; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 192. ფურც. 1-20; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 368. ფურც. 1-7,20; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 176. ფურც.1-15.
[144] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 43. ფურც.169.
[145] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 327. ფურც.121.

არმიის უმთავრესი ტაქტიკური ერთეული იყო ქვეითი დივიზია, განისაზღვრა ორი სამ პოლკიანი ქვეითი დივიზიის ჩამოყალიბება. დივიზიებში ასევე შედიოდა საარტილერიო ბრიგადა.

ქვეითი დივიზიისა და ქვეით დივიზიასთან არსებული საარტილერიო ბრიგადის შტატი

დივიზიაში შემავალი ქვედანაყოფები	**პირადი შემადგენლობა, ცხენებისა (საჯდომი, საარტილერიო, ტვირთის გადამზიდი) და საზიდრების (ავტომობილი, სამეურნეო ორთვალა, სალაშქრო სამზარეულო, ეტლი და ა.შ) რაოდენო**
ქვეითი დივიზიის სამმართველოს შტაბი	83 კაცი, 6 ცხენი, 20 საზიდარი
დივიზიის შტაბთან არსებული ცალკეული ცხენოსანი ესკადრონი	119 კაცი, 119 ცხენი, 4 საზიდარი
ქვეითთა სამი პოლკი. თითოეულ პოლკში: პოლკის შტაბი; 3 ქვეითი ბატალიონი (თითოეულ ბატალიონში 3 ქვეითი ასეული და 1 ტყვიისმფრქვეველთა ასეული); ქვეით მზვერავთა ასეული, კავშირის კომანდა, საპიორთა კომანდა; ნაღმ-ყუმბარის მსროლელთა ასეული, სააქიმო კომანდა, ცეცხლის მსროლელთა კომანდა, საწაფი კომანდა, მწყობრგარეთა ასეული, მესაკრავეთა კომანდა	თითოეულ პოლკში: 105 ოფიცერი და მოხელე (აქედან 1 მღვდელი); 2691 ჯარისკაცი. სულ პოლკში: 2796 კაცი. 107 ცხენი, 117 საზიდარი სამივე პოლკში ერთად: 315 ოფიცერი და მოხელე, 8073 ჯარისკაცი. სულ: 8388 კაცი. 321 ცხენი და 351 საზიდარი
საპიორთა განსაკუთრებული/ცალკეული ასეული	195 კაცი
სულ ქვეით დივიზიაში	333 ოფიცერი და მოხელე, 8257 ჯარისკაცი. სულ: 8785კაცი. 446 ცხენი და 375 საზიდარი
ქვეით დივიზიასთან არსებული საარტილერიო ბრიგადაში შემავალი ქვედანაყოფები	პირადი შემადგენლობა, საარტილერიო დანადგარების რაოდენობა. ცხენებისა და საზიდრების რაოდენობა
ბრიგადის სამმართველო	45კაცი, 19 ცხენი და 8 საზიდარი
საპოლკე არტილერიის 3 ბატარეიანი სამთო დივიზიონი (დივიზიონის სამმართველო, სამი 6 ზარბაზნიანი სამთო არტილერიის ბატარეა, მშვიდობიანობის პერიოდში ბატარეა შედგებოდა 3 ქვემეხისგან). სამივე პოლკში ერთად სამი დივიზიონი	დივიზიის სამივე პოლკის არტილერია ერთად :2004 კაცი, 27/54 ქვემეხი, 579 ცხენი და 36 საზიდარი.
2 სამთო დივიზიონი თითოეულ დივიზიონში: (დივიზიონის სამმართველო, ორი 4 ზარბაზნიანი ბატარეა)	ორივე სამთო დივიზიონში ერთად: 840 კაცი და 16 ქვემეხი. 321 ცხენი და 19საზიდარი
მსუბუქი არტილერიის დივიზიონი: (დივიზიონის სამმართველო; ორი 4 ზარბაზნიანი ბატარეა)	342 კაცი და 8 ქვემეხი. 129 ცხენი და 11 საზიდარი
ჰაუბიცების დივიზიონი: (დივიზიონის სამმართველო; სამი 4 ზარბაზნიანი ჰაუბიცების ბატარეა)	498 კაცი და 12 ჰაუბიცა. 186 ცხენი და 15 საზიდარი
სულ ქვეითთა დივიზიასთან არსებულ საარტილერიო ბრიგადაში	**7 დივიზიონი (20 ბატარეა); 63/90 ქვემეხი; 3729კაცი. 1234 ცხენი და 89 საზიდარი**
სულ ქვეით დივიზიასა და დივიზიასთან არსებული საარტილერიო ბრიგადაში	**12 514 კაცი; 63/90 ქვემეხი, 1680 ცხენი და 464საზიდარი.**[146]

ქვეითი დივიზიის შტატების განმარტებით წერილში ნათქვამი იყო, რომ შტატების პროექტზე მუშაობის დროს, მხედველობაში იქნა მიღებული უკანასკნელი დიდი

[146] სცსა. ფონდი1836. აღწერა 1. საქმე 173.ფურც.2-8 - აქ მოცემულია დივიზიის ქვეითი ნაწილების შტატები; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 171. ფურც.8 - აქ მოცემულია დივიზიის შტაბთან არსებული ცალკეული ესკადრონის შტატი; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 174. ფურც.2-12 - აქაა დივიზიის არტილერიის შტატი.; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 192. ფურც.4;6 - აქ მოცემულია განსაკუთრებული/ცალკეული საპიორთა ასეულის შტატი.

ომისა[147] და სხვა ქვეყნების გამოცდილება, ასევე ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. რუსული დივიზიების ოთხ პოლკიანი შემადგენლობის ნაცვლად , ქართულ არმიაში იქნებოდა სამ პოლკიანი დივიზიები, რაც უზრუნველყოფდა დივიზიის უფრო ადვილ მართვას, ეს ასევე შეამცირებდა ,,ხიშტების" რაოდენობას, მაგრამ ხიშტების სიმცირე ანაზღაურდებოდა ტყვიისმფრქვეველთა და ყუმბარების მსროლელთა დანაყოფების შექმნით. ასევე შეიქმნა ახალი ტექნიკური კომანდები, რომლებიც აძლიერებენ ქვედანაყოფების საცეცხლე შესაძლებლობებს, კავშირის საშუალებებს და სწავლებას.[148] დივიზიებთან არსებულ საპიორთა ასეულს ომის დროს ევალებოდა პოზიციების გამაგრებითი სამუშაოების წარმოება, ხიდებისა და გზების გაკეთება ან მწყობრიდან გამოყვანა დივიზიის მოქმედების რაიონში, ხოლო მშვიდობიანობის პერიოდში კი ქვეითი ჯარისკაცებისათვის თხრილების და სანგრების გათხრა.[149] საინტერესოა ის ფაქტი, რომ თითოეულ ქვეით პოლკს საკუთარი მღვდელი ყავდა, ისევე როგორც ცხენოსან პოლკებსა და სანაპირო/სასაზღვრო რაზმებს. [150] როგორც სამხედრო მინისტრის რამოდენიმე ბრძანებაში ჩანს, არსებობდა რესპუბლიკის ჯარების უფროსი მღვდელის თანამდებობა, ეს თანამდებობა 1918 წლის ბოლოსა და 1919 წლის დასაწყისში ეკავა დეკანოზ ანტონ თოთიბაძეს.[151]

დივიზიებთან არსებული საარტილერიო ბრიგადების გარდა, რეგულარულ არმიაში შედიოდა ცალკეული საარტილერიო ბრიგადა.

ცალკეული საარტილერიო ბრიგადის შტატი

ცალკეულ საარტილერიო ბრიგადაში შემავალი ნაწილები	**პირადი შემადგენლობა და საარტილერიო დანადგარების რაოდენობა. ცხენებისა და საზიდრების რაოდენობა**
ბრიგადის სამმართველო	68 კაცი, 18 ცხენი და 10 საზიდარი
მსუბუქი არტილერიის დივიზიონი: (დივიზიონის სამმართველო, სამი 4 ზარბაზნიანი ბატარეა)	498 კაცი და 12 ქვემეხი. 186 ცხენი და 65 საზიდარი
საველე მძიმე არტილერიის დივიზიონი: (დივიზიონის სამმართველო; სამი 4 ზარბაზნიანი ბატარეა, მშვიდობიანობის პერიოდში ბატარეაში იქნებოდა 2 ქვემეხი)	520 კაცი და 6/12 ქვემეხი. 222 ცხენი და 18 საზიდარი
2 საველე მძიმე ჰაუბიცების დივიზიონი თითოეულ დივიზიონში: (დივიზიონის სამმართველო; სამი 4 ჰაუბიციანი ბატარეა,	ორივე დივიზიონში ერთად: 1040 კაცი და 12/24 ქვემეხი. 444 ცხენი და 42 საზიდარი

[147] იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი.
[148] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 173. ფურც.2.
[149] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 192. ფურც.3.
[150] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 171. ფურც.4; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 368. ფურც.6-7.
[151] რესპუბლიკის მთავრობის ბრძანება , რესპუბლიკის ჯარების მიმართ. ჟურნ. *,,რესპუბლიკის ჯარი".* N8, 1919 წ. 26 იანვარი. გვ.1-2.

მშვიდობიანობის პერიოდში ბატარეაში იქნებოდა 2 ქვემეხი)	
სულ ბრიგადაში	**4 დივიზიონი (12 ბატარეა); 30/48 ქვემეხი და 2126 კაცი. 870 ცხენი და 135 საზიდარი**

152

რეგულარული არმიის შემადგენლობაში ირიცხებოდა ცხენოსანი ბრიგადა, რომელიც შედგებოდა სამი ოთხ ესკადრონიანი პოლკის, სათადარიგო ცხენოსანი ესაკდრონისა და ცხენოსანი არტილერიის ბატარეისაგან.

ცხენოსანი ბრიგადის შტატი

ცხენოსანი ბრიგადის ქვედანაყოფები	**პირადი შემადგენლობა, საარტილერიო დანადგარების რაოდენობა. ცხენებისა და საზიდრების რაოდენობა**
ბრიგადის შტაბი	116 კაცი, 106 ცხენი და 19 საზიდარი
სამი ცხენოსანი პოლკი. თითოეულ პოლკში: პოლკის შტაბი; 3 ცხენოსანი ესაკდრონი; ცხენოსან ტყვიისმფრქვეველთა ესკადრონი; კავშირის კომანდა; ცხენოსან საპიორთა კომანდა; საწაფი/სასწავლო კომანდა; მწყობრგარეთა კომანდა; მესაყვირეთა კომანდა	თითოეულ პოლკში: 938 კაცი; 883 ცხენი და 51 საზიდარი სამივე პოლკში ერთად: 2814 კაცი; 2646 ცხენი და 153 საზიდარი
სათადარიგო ესკადრონი	313 კაცი, 305 ცხენი და 7საზიდარი
ცხენოსანი არტილერიის ბატარეა	194 კაცი,116 ცხენი, 4 ქვემეხი და 4 საზიდარი
სულ ცხენოსან ბრიგადაში	**3437 კაცი; 3173 ცხენი; 183 საზიდარი და 4 ქვემეხი**

153

რეგულარულ ჯარში შედიოდა საინჟინრო-სატექნიკო ძალები, რომელიც ექვემდებარებოდა გენერალური შტაბის საინჟინრო-სატექნიკო სექციის უფროსს.[154]

საინჟინრო-სატექნიკო ძალების შტატი

საინჟინრო-სატექნიკო ძალებში შემავალი ქვედანაყოფები	**პირადი შემადგელობა და ტექნიკა**
საპიორთა ბატალიონი	804 კაცი
ტექნიკური ბატალიონი	557 კაცი
განსაკუთრებული საავტომობილო ასეული	231 კაცი, 4 მსუბუქი ავტომობილი; 28 სატვირთო ავტომობილი; 3 ავტომობილი-ცისტერნა; 3 ავტომობილი-სახელოსნო; 8 მოტოციკლი
ჯავშანავტომობილთა ასეული	181 კაცი, 6 ჯავშანავტომობილი, 7 მსუბუქი ავტომობილი, 7 სატვირთო ავტომობილი, 3 ავტომობილი ცისტერნა, 7 ველოსიპედი
საავიაციო ასეული (სამმართველო; ორი საავიაციო რაზმი; საავიაციო სკოლა; საავიაციო პარკი)	739 კაცი. საფრენი აპარატების რაოდენობა არ განსაზღვრულა.
მთავარი საინჟინრო საწყობი, საინჟინრო სახელოსნო ,თბილისისა და ზესტაფონის პროქსილინის საწყობები	144 კაცი

[152] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 174. ფურც.4-13.
[153] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 171. ფურც.3-7; სცსა . ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 174. ფურც.4;14.
[154] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 192. ფურც.4

სულ:	2656 კაცი. 6 ჯავშანავტომობილი; 11 მსუბუქი ავტომობილი; 35 სატვირთო ავტომობილი; 6 ავტომობილი-ცისტერნა; 3 ავტომობილი სახელოსნო; 8 მოტოციკლი და 7 ველოსიპედი

155

საინჟინრო-სატეხნიკო ჯარების განმარტებით ბარათში ახსნილია თითოეული ქვედანაყოფის ფუნქცია როგორც ომიანობის ისე მშვიდობიანობის პერიოდში. საპიორთა ბატალიონის ფუნქცია იყო პოზიციების გასამაგრებელი, გზების გასაყვანი, ხიდების გასადები სამუშაოების წარმოება, ასევე გზებისა და ხიდების მწყობრიდან გამოყვანა, მშვიდობიანობის პერიოდში კი ბატალიონში უნდა მომხდარიყო, ქვეითი და ცხენოსანი ნაწილების საპიორთა და ამფეთქებელთ კომანდების ოფიცრებისა და ჯარისკაცების წრთვნა. სატექნიკო ბატალიონის დანიშნულება იყო, ომის დროს სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფა. მშვიდობიანობის პერიოდში ბატალიონში იწრთვნებოდნენ, ქვეითი, საარტილერიო და ცხენოსანი ნაწილების კავშირის კომანდები. საავტომობილო ასეულის დანიშნულება იყო, ჯარების გადაყვან-გადმოყვანა, სხვადსხვა დანიშნულების ტვირთის გადაზიდვა, დაჭრილების და ავადმყოფების გადაყვანა-გადმოყვანა. ასეულში ასევე მოქმედებდა სასწავლო კომანდა, რომელიც ამზადებდა მძღოლებს მთელი არმიისათვის, ასეულის სახელოსნოში სატრანსპორტო საშუალებების უბრალო და საშუალო ხარისხის დაზიანების შეკეთება შეიძლებოდა, საფუძვლიანი შეკეთება კი არსენალში. ჯავშანავტომობილთა ასეული ბრძოლის ველზე ქვეით ჯარს უნდა დახმარებოდა ტყვიამფრქვევებით და საარტილერიო ცეცხლით. საავიაციო ასეულს უნდა დაეზვერა და დაებომბა მოწინააღმდეგე, საავიაციო ასეულის დაქვემედებარებაში მყოფ საავიაციო პარკში აეროპლანებს არემონტებდნენ, საავიაციო სკოლაში კი მფრინავებს ამზადებდნენ.[156]

[155] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 192. ფურც.3-20; ნუგზარ გელოვანი საავიაციო ასეულის შტატის შესახებ, თავის სტატიაში შეცდომით წერს, რომ მთავრობის მიერ მოწონებული კანონპროექტი დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმის 7 ნოემბრის სხდომაზე, (იხ: ნუგზარ გელოვანი. სამხედრო-საჰაერო ძალები 1918-1921 წლების საქართველოში. ჟურნ. ,,მხედარი", 1994წ. N1-4; გვ.44. სინამდვილეში პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა, რომ კანონპროექტები გადაცემოდა სამხედრო და საფინანსო კომისიებს, პრეზიდიუმის ეს გადაწყვეტილება მეორე დღეს 8 ნოემბერს გაიზიარა პარლამენტმაც, (იხ: სცსა.ფონდი 1836. აღწერა.1 საქმე.42 ფურც.160-161; სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 43. ფურც.169.) მაგრამ როგორც ზემოთ ვწერდით, კომისიებში განხილვა გაიწელა და მთავრობის მიერ მოწონებული შტატების მიხედვით ხდებოდა ნაწილების მოწყობა.

[156] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 192. ფურც.3.

ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოებას იცავდა სანაპირო იგივე სასაზღვრო ჯარი, რომელიც რეგულარული ჯარების შეამდგენლობაში შედიოდა. სანაპირო ჯარების დანიშნულებას შეადგენდა უკანონო იარაღისა და კონტრაბანდის, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებული პირთა ჯგუფების შემოპარვის აღკვეთა. ამავდროულად საქართველოს ტერიტორიის სიმცირე და შესაბამისად ფრონტის სიღრმის სიმცირე, სანაპირო ჯარების მომზადების მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდიდა, რადგანაც, ომის შემთხვევაში სასაზღვრო რაზმს პირველს მოუწევდა მტრის შეჩერება და რაც უფრო დიდ წინააღმდეგობას გაწევდნენ, მით უფრო მეტი დრო იქნებოდა მობილიზაციისა და ფრონტზე ჯარის ნაწილების გადასროლისათვის.[157]

სანაპირო ჯარის შტატი

სანაპირო ჯარის შტატები	**პირადი შემადგენლობა . ცხენებისა და საზიდრების რაოდენობა**
სანაპირო ჯარის სამმართველო	47 კაცი, 4 ცხენი და 4 საზიდარი
სამი რაზმი. თითოეულ რაზმში: რაზმის შტაბი; მწყობრგარეთა კომანდა, კავშირის კომანდა, 4 ნაწილი, 12 უბანი	სულ რაზმში: 1591 კაცი, 372 ცხენი და 6 საზიდარი სამივე რაზმში ერთად: 4773 კაცი; 1116 ცხენი და 18 საზიდარი
სანაპირო რაზმის საამართველოს, სასწავლო რაზმი	39 კაცი და 26 ცხენი
სულ:	**4859 კაცი, 1146 ცხენი და 22 საზიდარი**

158

სამწყობრო ნაწილების გარდა განისაზღვრა სამხედრო სამინისტროს,[159] არსენალის,[160] საარტილერიო საწყობის,[161] თბილისის და ქუთაისის სასადგომო დისტანციის,[162] სამხედრო სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საინტენდანტო დაწესებულებების[163] და სხვა ზურგის დაწესებულებების შტატები. ხოლო სომხეთთან 1918 წლის ბოლოს მომხდარი ომის დროს რესპუბლიკის ჯარების საველე შტაბის დროებითი შტატიც შეიქმნა. სავალე შტაბის შტატში შედიოდა: ჯარის სარდალი, საველე შტაბის უფროსი, ოპერატიული განყოფილება, სადაზვერვო განყოფილება,

[157] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 368. ფურც. 3.
[158] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 368. ფურც.1-7; 20.
[159] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 176. ფურც. 1-15.
[160] სცსა. ფონდი 1836. აღწერა1. საქმე 97. ფურც.2-7.
[161] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1.საქმე 82. ფურც.2-8.
[162] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 178. ფურც. 2-9.
[163] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 175. ფურც. 2-11.

კავშირის განყოფილება, მინდობილობისა და საკომენდანტო ნაწილი. სულ: 2 გენერალი; 4 შტაბ-ოფიცერი; 7 ობერ-ოფიცერი; 5 მწერალი და 21 ჯარისკაცი.[164]

ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის აგვისტოში დამტკიცებულ შეიარაღებულ ძალთა მოწყობის კანონში და არც ოქტომბრის თვეში მთავრობის მიერ მოწონებულ საორგანიზაციო-საშტატოს სტრუქტურაში საერთოდ არაა საუბარი საზღვაო ძალების შესახებ. საქართველოს დასავლეთიდან შავი ზღვა ეკვრის და ერთი შეხედვით ეს გაკვირვებას იწვევს, მაგრამ საქმე იმაში იყო რომ 1918 წლის 28 მაისს გერმანიასთან დადებული ფოთის შეთანხმების დანართი N1-ის მიხედვით, ქართულ ნავსადგურებში მყოფი გემები გადასცა გერმანიის მთავრობას ომის დამთავრებამდე მთლიან და თავისუფალ მფლობელობაში.[165] თუმცა როგორც ზემოთ ვნახეთ გენერალურ შტაბში არსებობდა სამხედრო-საზღვაო სექცია და ქართველები ფლოტს 1918 წელს აფხაზეთში შემოჭრილი ბოლშევიკების წინააღმდეგ: სადესანტო ოპერაციებში; ტვირთის გადაზიდვისა თუ ზღვიდან სახმელეთო ნაწილებისათვის საცეცხლე დახმარებისათვის ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და მის შემდეგაც აქტიურად იყენებდნენ. გერმანიის პირველ მსოფლიო ომში დამარცხებისა და საქართველოდან გასვლის შემდეგ, ჩამოყალიბდა ფოთის სამხედრო ნავსადგურისა და მისი სამმართველოს დროებითი შტატი.[166]

ორგანიზაციის და შტატების განსაზღვრა საქმის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, მთავარი კი ამ ყველაფრის პრაქტიკაში ამოქმედება გახლდათ. საჭირო იყო შეიარაღებული ძალების შევსება, ახალწვეულებითა თუ სათადარიგო ჯარისკაცებით, მათი დაბინავება, აღკაზმა, კვება, წრთვნა და ა.შ. ეს ყველაფერი კი მრავალი პროფესიონალის მცდელობის მიუხედავად, მძიმე ეკონომიკური მემკვიდრეობის, სახელმწიფო მართვის გამოცდილების არქონის, ოფიცერთა, ჯარისკაცთა და სახელმწიფო მოხელეთა ნაწილის გულგრილობის და ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედებების , ბოლშევიკების აგიტაციისა და დეზერტირობის

---

[164] დამატებითი ბრძანება რესპ. ჯარების მიმართ N119 17 დეკემბერი. დროებითი შტატი საქართველოს რესპუბლიკის ჯარის საველე შტაბისა. ჟურნ. *,,რესპუბლიკის ჯარი".* N5, 1918 წ. 29 დეკემბერი. გვ.1-2.

[165] დავით პაიჭაძე. 1918 წლის 28 მაისის ფოთის შეთანხმებანი გერმანიასა და საქართველოს შორის. საქართველოს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. საქართველო ევროპა-ამერიკა. *ინსტიტუტის ყოველწლიური ორგანოს (,,საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან") დამატება. IV.* თბილისი.2000 გვ.33.

[166] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 98. ფურც.60-61; ბრძანება რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ. 15 იანვარი 1919 წ. N6. ჟურნ. *,,რესპუბლიკის ჯარი".* N9, 1919 წ. 26 იანვარი. გვ.5-6

მასობრივი ხასიათიდან გამომდინარე გადაულახავ პრობლემად იქცა. საქმეს კიდევ უფრო ართულებდა ის ფაქტი, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთელი არსებობის მცირე დროის მანძილზე, თითქმის გამუდმებული ომიანობის, ან ომის საფრთხის ფონზე, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები გამუდმებული მობილიზაციისა და დემობილიზაციის ქვეშ იყო, რაც აფერხებდა სამხედრო-სავალდებულო გაწვევას, ჯარის ნორმალურ წრთვნას და ზოგადად შეიარაღებული ძალების მოწყობის საქმეს.

მთავრობის მიერ სამხედრო სამინისტროს მიერ შემუშავებული შტატების მოწონებამდე, ამავე შტატებით დაიწყო რეგულარული არმიის შევსება. ამისათვის 1918 წლის 20 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც სამხედრო-სავალდებულო სამსახურში იწვევდნენ 1896-1899 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს, ხოლო ჯარში უკვე მყოფი 1895 წელს და უფრო ადრე დაბადებულები გადაირიცხებოდნენ თადარიგში არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა. ახალწვეულების გაწვევის ბოლო ვადად 10 სექტემბერი დასახელდა.[167] სამხედრო მინისტრი 1918 წლის 11 სექტემბერს გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალისტთან საუბარში აცხადებდა, რომ მობილიზაცია გარეგნულად თითქოს კარგად წარმოებდა, მაგრამ ჯარისკაცები ჩაიცვამდნენ თუ არა ახალ ტანისამოსს მაშინვე გარბოდნენ ჯარიდან, მინისტრი ასევე აღნიშნავდა გულგრილ დამოკიდებულებას ოფიცერთა მხრიდან, ამას ემატებოდა პურისა და ფეხსაცმლის ნაკლებობა.[168]

მინისტრის სიტყვები სამხედრო ნაწილების აღრიცხვამაც დაადასტურა. 1918 წლის 25 სექტემბრის მონაცემებით არმიის პირადი შემადგენლობა 8908 კაცს შეადგენდა . აქედან : პირველ დივიზია - 2333 კაცი; მეორე დივიზია - 3032 კაცი; საარმიო არტილერიის ბრიგადა - 600 კაცი; ცხენოსანი ბრიგადა - 993 კაცი; სანაპირო ჯარები - 1181 კაცი; საინჟინრო-სატექნიკო ძალები - 769 კაცი.[169] რეალურად გამოდიოდა, რომ არმია ერთი დივიზიის ზომისაც არ იყო, დივიზიები პოლკის ზომის შენაერთებს წარმოადგენდნენ, ხოლო პოლკები კი ბატალიონის ზომისას. დივიზიებში შემავალი თუ ცალკეული საარტილერიო ბრიგადის პირადი შემაგდენლობა არც ცდებოდა

[167] საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918წ.ტფილისი: ,, იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა“, 1919, გვ..61-62.
[168] სამხედრო მინისტრთან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. N39, 1918 წ. 11 სექტემბერი. გვ.2-3.
[169] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 2. საქმე 18. ფურც.46-47.

დივიზიონის, ცხენოსანი ბრიგადა კი ცხენოსანი პოლკის მაშტაბებს. არმიის შევსება ძალიან ნელი ტემპით გრძელდებოდა, 21 ოქტომბერს სამხედრო მინისტრი გიორგაძე მთავრობის თავმჯდომარეს საიდუმლოდ ატყობინებდა, რომ ჯარისკაცთა შტატის შევსებას 60%-მდე აკლდა, ხოლო ცხენებისას კი 80%.[170] ის, რომ 1918 წელს ჯარის შევსების საქმე ჩავარდა, მოგვიანებით საკუთარი მუშაობის ერთი წლის ანგარიშში დაადასტურა გენერალური შტაბის სამობილიზაციო განყოფილებამ. განყოფილების ინფორმაციით რომელიც მხოლოდ ჯარისკაცთა რიცხვს გვაწვდის 1918 წლის 15 ივნისს ჯარში - 10 227 ჯარისკაცი იყო; 1 ივლისს - 11 068; 1 აგვისტოს - 11 477; 1 სექტემბერს -9419; 1 ოქტომბერს - 8652; 1 ნოემბერს - 10 996; 1 დეკემბერს კი -9518.[171]

ჩავარდნილი გაწვევის მიზეზები 10 და 13 ოქტომბერს განიხილეს პარლამენტის სამხედრო კომისიაში. სამხედრო მინისტრის მოადგილე, გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი, 1918 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე ამბობდა, რომ სამხედრო სამინისტროს აზრით ვერანაირმა ცუდმა მდგომარეობამ ვერ უნდა აიძულოს ჯარისკაცი საკუთარი მოვალეობა სამშობლოსადმი პირნათლად არ შეასრულოს - ,,ჩვენც ვიყავით ჯოჯოხეთურ პირობებში, როდესაც მთელი თვეობით და წლობითაც - თხრილებში ვცხოვრობდით, მაგრამ მოვალეობისათვის არ გვიღალატნია. საქართველოსათვის უნდა ავიტანოთ ყოველგვარი გაჭირვება და განსაცხდელი, გინდ სიცოცხლედაც დაგვიჯდეს იგი."[172] პარლამენტის წევრი გენერალი კოტე აფხაზი აღნიშნავდა, რომ ჯარში გაწვევა მოხდა ცუდ პირობებში, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ბოლშევიზმის სულისკვეთებით იყვნენ მოწამლულნი და ეს სენი მოსდეს მთელ სოფლებს. იგი ასევე დასძენდა, რომ სამხედრო სამინისტროს სხვა სამთავრობო უწყებები არ უწყობდნენ ხელს, არ იყო მოწყობილი ადმინისტრაციული აპარატი, სამხედრო მინისტრი არ იყო სამხედრო პირი. კოტე აფხაზი დიდ პრობლემად მიიჩნევდა, იმას რომ ჯარში გაწვევის განკარგულებანი სპონტანური და დაულაგებელი იყო - ,,დღეს ახალგაზრდას ჯარში გაწვევისგან ანთავისუფლებენ; ორი კვირის შემდეგ მას უბრძანებენ და ყაზარმაში გზავნიან; როგორი აზრის იქნება ასეთი ახალგაზრდა და მასთან ერთად მთელი ხალხი მთავრობის შესახებ."[173] ეროვნულ დემოკრატი დათა ვაჩნაძე პრობლემას ხედავდა იმაში, რომ სამხედრო სამინისტროს

[170] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 2. საქმე 18. ფურც.52.
[171] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც.739 მათ გარდა უნდა ვიგულისხმოთ შტატით განსაზღვრული ორი ათასზე მეტი ოფიცერი და სამხედრო მოხელე.
[172] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 332. ფურც.2.
[173] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 332. ფურც.3.

სათავეში არ ედგა სამხედრო პირი, ყაზარმები იყო გაპარტახებული, არ არსებობდა სადისციპლინო წესდება, ჯარისკაცებს ეცვათ აჭრელებული ფორმები რაც დისციპლინას დაბლა სცემდა, სოფლებში პროვოკატორების მიერ ხდებოდა აგიტაცია ჯარში გაწვევის წინააღმდეგ, სასურსათო სამინისტრო ეწეოდა საბოტაჟს საინტენდანტოს წინააღმდეგ, მისი აზრით საჭირო იყო სოფლების განიარაღება და გვარდიის გაუქმება.[174] სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე საბახტარაშვილი ამბობდა, რომ მართალია სამობილიზაციო აპარატი არ იყო სათანადოთ მოწყობილი, მაგრამ თავის მოვალეობას მაინც ასრულებდა, ათი კომისარი სამსახურიდან გაანთავისუფლეს უმოქმედობის გამო და მისი აზრით გაწვევა კეთილსინდისიერად სწარმოებდა, ამას იგი იმით ასაბუთებდა, რომ ქუთაისის გუბერნიაში არ გამოცხადდა გასაწვევთა მხოლოდ 2 პროცენტი, ხოლო თბილისისაში კი 15-20 პროცენტამდე. სოფლების განიარაღების პროცესი კი დაწყებული იყო.[175] თუ საბახტარაშვილის მოყვანილი მონაცემები სიმართლეს შეესაბამება, მაშინ გამოდის, რომ გაწვეულების თითქმის მთელი შემადგენლობა გამოცხადდაა გამწვევ განყოფილებებში და შემდეგ ნაწილი აღარ მივიდა კონკრეტულ ქვედანაყოფში, ნაწილი კი გამოცხადდა და მალევე თვითნებურად მიატოვა სამსახური. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი კი ორგანიზატორებს ადანაშაულებდა და ამბობდა, რომ გაწვევისათვის არაფერი არ იყო მომზადებული, არც ყაზარმები, არც ჩასაცმელი, არც სურსათი.[176] სხდომის ბოლოს სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ თქვა, რომ მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა რაც გამოწვეული იყო ფრონტიდან დაბრუნებული გაბოლშევიკებული ჯარისკაცებისაგან რომელთაც სოფლებში ანარქიული მუხტი შეატანეს, ასევე სალიკვიდაციო ხარჯებისაგან,[177] სამხედრო სამინისტრო ყველაფერს აკეთებდა დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. მან ცილისწამება უწოდა მოარულ ხმებს იმის შესახებ თითქოს იგი პარტიული კადრებით ხელმძღვანელობდა და დასძინა, რომ სოციალ-დემოკრატები სამხედრო სამინისტროს მოსამსახურეთა 1 პროცენტს არ აღემატებოდნენ.[178] 13 ოქტომბრის სხდომაზე ახალი არაფერი თქმულა.

---

[174] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 332. ფურც.4.
[175] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 332. ფურც.4.
[176] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 332. ფურც.4-5.
[177] იგულისხმება კავკასიის ფრონტისა და სამოქალაქო დაწესებულებების სალიკვიდაციო ხარჯები, რისი გადახდაც საქართველოს მოუწია.
[178] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 332. ფურც.5.

სოციალ-დემოკრატები გენერლებს ოდიშელიძესა და აფხაზს უმტკიცებდნენ, რომ ისინი არ იყვნენ წინააღმდეგი მუდმივი ჯარისა, არ უყურებდნენ ცუდი თვალით ოფიცრებს და ამის დასტურად მოყავდათ ირაკლი წერეთლის მოსაზრება, რომ სიკვდილით დასჯილიყვნენ ის ჯარისკაცები ვინც ოფიცრების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი ასევე ამატებდნენ, რომ ჯარისკაცებში ითხებოდა მითები თითქოს გვარდიელები ძალიან კარგ მდგომარეობაში იყვნენ და საჭირო იყო ამ მითების გაფანტვა, ხოლო სამხედრო მინისტრი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური პირი. გენერლები კი პასუხობდნენ , რომ სამხედრო უწყებას სათავეში უნდა ჩადგომოდა სამხედრო პირი, ხოლო გვარდია უნდა დაშლილიყო და მუდმივი ჯარისათვის დაეთმო ადგილი.[179] ეს კი ის საკითხები იყო, რაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო და არაფერი შეიცვლებოდა, რომც შეცვლილიყო ნაკლებად სავარაუდოა ამას ჯარის შევსების პროცესისათვის პოზიტიური შედეგი ჰქონოდა. 1919 წლის 17 თებერვალს გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა მთავრობის თავმჯდომარისადმი მობილიზაციის შესახებ ანგარიში გაუგზავნა . ანდრონიკაშვილი წერდა, რომ გათვალისწინებული იყო 34 000 ახალგაზრდის გაწვევა ჯარში, ამის ნაცვლად კი 1918 წლის ივნის-დეკემბერში ჯარში მხოლოდ 12 025 ახალწვეული მივიდა, საიდანაც 5263 ჯარიდან გაიქცა. გენერალი ჩავარდნილ მობილიზაციას ბევრ რამეს აბრალებდა: ახალწვეულების მცირე პარტიებად გამოცხადებას; საქართველოს ქვეშევრდომობის (მოქალაქეობის) კანონის მოსახლეობისთვის აუხსნელობას რაც ეთნიკურ უმცირესობებს აფიქრებინა რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არ არიან;[180] რუსეთის ეროვნული საბჭოს მიერ სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას; სამოქალაქო ადმინისტრაციის აპარატის სისუსტემ და უავტორიტეტობას; დეზერტირების დაუსჯელობას; სოფლად არსებულმა ანარქიას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გენერალურმა შტაბმა იქამდე სანამ მომავალში ადგილობრივი ადმინისტრაცია გაძლიერდებოდა გააუქმა ჯარის შევსების ტერიტორიული სისტემა

[179] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 332. ფურც.6-7.

[180] 1918 წლის 16 ივლისს მიღებული მოქალაქეობის დებულება , ყოველ მკვიდრს, საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებს ანიჭებდა საქართველოს მოქალაქეობას. სიტყვა მკვიდრი თუ გამოიწვევდა დაბნეულობას , ამ მუხლს იქვე ქონდა შენიშვნა, რომ მკვიდრი ეწოდებოდა იმას, ვინც რესპუბლიკის ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე მიწერილი იყო 1914 წლის 19 ივლისამდე - იხ.საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული. 1918-1921. გვ. 46

და ჯარისკაცთა გაგზავნა მათი საცხოვრებელი ადგილებიდან შორს დაიწყო. გენერალი მიზანშეწონილად მიიჩნევდა, რომ სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების მუხლი გავრცელებულიყო დეზერირის ოჯახზე, ნათესავებს, თანასოფლელებსა თუ ყველა იმ პირზე ვინც ჯარისკაცს ჯარისგან თავის არიდებაში ხელს უწყობდა.[181] გენერალური შტაბის უფროსი არაფერს წერდა ფინანსების ნაკლებობასა და მორალურ ფაქტორებზე რაც ალბათ მთავარ და უმწვავეს პორბლემას წარმოადგენდა.

მშვიდობიანობის პერიოდში ჯარის შტატები ვერაფრით ვერ შეივსო, მხოლოდ სომხეთ-საქართველოს ომის ბოლოს, ომის დროს სათადარიგო ჯარისკაცების გაწვევის შედეგად მოხერხდა შტატების უმეტესი ნაწილის შევსება. გენერალური შტაბის სამობილიზაციო განყოფილების მონაცემებით 1919 წლის 1 იანვარს ჯარში - 28 511 ჯარისკაცი მოგროვდა,[182] ომის შემდეგ კი ეს რიცხვი 1919 წლის 1 თებერვლისთვის ეს რიცხვი 12 588-ზე ჩამოვიდა, მაგრამ ე.წ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის რესპყბლიკის) და აფზახეთში დენიკინთან წარმოებული ომების პერიოდში პირადი შემადგენლობა 1919 წლის 1 აპრილს 18 629-ზე ავიდა, ხოლო ამ საომარი მოქმედებების დასასრულს 1919 წლის 1 მაისისთვის კი 21 404-ზე.[183] გამოდიოდა, რომ დამოუკიდებლობის პირველი წლის განმავლობაში მშვიდობიანობის პერიოდში ჯარისკაცთა რიცხვი 8 000 – 12 000-ის , ხოლო ომებისას კი 18 000 – 28 000-ის ფარგლებში მერყეობდა, ამას თუ შტატით გათვალისწინებულ 2000-ზე ცოტა მეტ ოფიცერს და მოხელეს მივუმატებთ სურათი დიდად არ იცვლება. მშვიდობიანობის პერიოდში ქართული ჯარი, შტატით გათვალისწინებულ რაოდენობა 3-4-ჯერ ჩამოუვარდებოდა და ომის დროსაც სანახევროდ ან ¾-ით თუ ივსებოდა. მთლიანობაში კი 1918-1919 წლებში რეგულარული არმია, გვარდია და სხვა ცალკეული რაზმების სრული შემადგენლობა გენერალური შტაბის მიერ 1920 წლის აგვისტოში საგარეო საქმეთა მიისტრისადმი მიწოდებული ცნობის მიხედვით სომხეთთან ომის დროს 38 500 კაცზე ავიდა , ხოლო 1919 წლის გაზაფხულზე წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დროს 34 000-ზე.[184]

---

[181] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 308. ფურც.1-4.
[182] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც.739.
[183] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც.739.
[184] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 238. ფურც.28.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ 41 260 კაციანი რეგულარული ჯარის ყოლა შეუძლებელი იყო. ამ შტატების დამტკიცებისას საქართველოს , მისი მფარველის გერმანიის იმედი ჰქონდა, რომელიც თავად იყო დაინტერესებული ძლიერი ქართული ჯარის ჩამოყალიბებით და მზად იყო შესაბამისი ფინანსურ თუ სხვა ტიპის დახმარებაც გაეწია ქართული მხარისათვის. 1918 წლის ნოემბერში გერმანია მსოფლიო ომში დამარცხდა და საქართველოს უკვე თავისი ძალებით მოუწევდა გამკლავებოდა ჯარის ჩამოყალიბების პრობლემებს. დამარცხებული გერმანიის ნაცვლად კავკასიაზე კონტროლი დიდმა ბრიტანეთმა აიღო, რომელსაც თავისი სამომავლო პოლიტიკა კავკასიის რეგიონის მიმართ განსაზღვრული არ ჰქონდა. ქართველებმა გადაწყვიტეს შეიარაღებული ძალების რეორგანიზაცია, რაც მუდმივი რეგულარული ჯარის მშვიდობიანო პერიოდის შტატების შემცირებას გულისხმობდა.

1 . 3. ცვლილებები შეიარაღებული ძალების ორგანიზაციაში , პირადი შემადგენლობის რაოდენობა 1919-1921 წლებში და სოციალური და მორალური ხასიათის პრობლემები

1918 წლისა თუ 1919 წლის დასაწყისში პრესის ფურცლებზე მრავალი სტატია დაიწერა მილიციური სისტემისა თუ რეგულარული ჯარის სასარგებლოდ, განხილვები გრძელდებოდა საკანონმდებლო ორგანოში, სამხედრო სამინისტროსა თუ გვარდიის შტაბში. ამასთან ერთად კარგათ ჩანდა, რომ რეგულარული ჯარის შტატების შევსება ძალიან დიდი პრობლემა იყო და მშვიდობიანობის პერიოდში ეს ვერ ხერხდებოდა, ჯარის შევსება ისიც არასრულად მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების დროს ხდებოდა. დღის წესრიგში დადგა შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციის საკითხი. შეიმუშავეს რეორგანიზაციის ორი პროექტი: ერთი სამხედრო მინისტრის მოადგილის ალექსანდრე გედევანიშვილის, ხოლო მეორე გვარდიის ფორმირების განყოფილების უფროსის ვორონოვიჩის მიერ. რეორგანიზაციის პროექტის წარდგენა სთხოვეს გიორგი კვინიტაძესაც, მაგრამ მისთვის მიცემული დროის მცირე მონაკვეთის გამო მან მხოლოდ ჯარის მოწყობის საფუძვლებზე გააკეთა მოხსენება დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიაში. თავდაპირევლად სამხედრო სამინისტროს წარდგენილი პროექტი გვარდიის გაუქმებას, ხოლო გვარდიისა კი არსებული რეგულარული ჯარის გაუქმებას და მილიციურ სისტემაზე გადასვლას ისახავდა მიზნად, მაგრამ საბოლოოდ ორივე სისტემა დატოვეს. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, 1919 წლის აპრილ-

მაისში საკითხის ირგვლივ საინტერესო დისკუსიები გაიმართა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიაში . გთავაზობთ ვრცელ ამონარიდებს კომისიის სხდომებიდან.

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის 1919 წლის 23 აპრილის სხდომა:

სამხედრო მინისტრის ამხანაგი ალექსანდრე გედევანიშვილი - ,,ჯარის ორგანიზაცია არსებობს მუდმივი და მილიციური, თქვენ ყურადღებას შევაჩერებ მუდმივზე. მუდმივის უპირატესობა დღევანდელ პირობებში ყველასათვის ცხადია. მართალია რეგულარული ჯარს, რომელიც ჩვენ გვყავს, აქვს თავისი ნაკლები, მაგრამ ეს აიხსნება არა სისტემის უვარგისობით, არამედ საშინელი რაზრუხის გავლენით, რომელიც მომაკვდინებელ სენად მოედო მთლიანად რუსის ჯარს. მიუხედავად ამისა რეგულარული ჯარი მუდამ პირნათლად ასრულებს საკუთარ მოვალეობას. მილიციურ სისტემას აქვს თავისი უპირატესობები: სწრაფად იკრიბება და სწრაფად ილაშქრებს მტრის წინააღმდეგ, იდეალურად ყოველთვის ეს სისტემა მისაღები და სასურველია, მაგრამ დღევანდელ პირობებში მიზანშეუწონელი და არასასურველი. ამისთვის მარტო სურვილი არ კმარა. ამისთვის საჭიროა ხალხის კულტურული მომზადება. ეს სისტემა მიღებულია შვეიცარიაში, მაგრამ იგი არ არის ნაცადი არც ისტორიულად არც პრაქტიკულად. ჩვენ არ გვაქვს საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთი სისტემა გვიშველის, მაშინ როცა რეგულარული ჯარი არის ნაცადი საშუალება, რომელიც ქმნის დისციპლინას და ძლევამოსილად აღჭურვილ ლაშქარს. მიუხედავად ამისა, მე ღრმად მწამს, რომ თუ არა სახალხო გვარდიის საშუალებით, სხვა გზით ჩვენ არ შეგვიძლია შევქმნათ დღევანდელ პირობებში იმ სახის მუდმივი ჯარი რომელზეც მოგახსენებდით. სახალხო გვარდია არის ის მზა იაჩეიკა, საიდანაც უნდა წარმოიშობოს ჩვენი რეგულარული ჯარი. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ , რომ სამინისტროს გეგმა უნდა შეუთანხმდეს გვარდიის შტაბის გეგმას. უნდა დარჩეს ორი შტაბი გენერალური და სახალხო გვარდიის. მხოლოდ ორივე უნდა ექვემდებარებოდეს სამხედრო მინისტრს. სამხედრო სამინისტროსთან უნდა დაარსდეს უმაღლესი კოლეგია, რომელიც უნდა შედგებოდეს ნახევრად მუდმივი ჯარისა და ნახევრად გვარდიის ნარმომადგენლებისაგან. ამ პრინციპზე უნდა იყოს აგებული გენშტაბის ორგანიზაციაც. ჯარის მატერიალურად დაკმაყოფილება უნდა მოეწყოს ისე, რომ თანასწორ უფლებით სარგებლობდეს ჯარის ყველა ნაწილი, განურჩევლად მდგომარეობისა და სახელმწოდებისა. ორგანო რომელიც განაგებს რჩენის საკითხს უნდა შესდგებოდეს როგორც რეგულარული ჯარის ისე სახალხო გვარდიის წარმომადგენლებისაგან.

სამხედრო მინისტრი ნოე რამიშვილი - რაც შეეხება სახალხო გვარდიის ლიკვიდაციას, ეს მომავლის საკითხია. მომავალი თაობა გადასწყვეტს, თუ როგორი უნდა იყოს ჯარის ორგანიზაცია. დღეს კი ჩვენთვის ცხადია სასურველია გვარდიის აუცილებლობა.

გვარდიის მთავარი შტაბის წევრი რუბენ აუშტროვი - სამინისტროს პროექტში არის სურვილი გამოთქმული მილიციურ სისტემაზე გადასვლისა. ზეპირ მოხსენებაში კი პირიქით თქვით

ალექსანდრე გედევანიშვილი - დღესდღეობით მილიციური სისტემის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ როდესაც ჩვენ მოქალაქეს ექნება საშუალება სკოლაში შეიძინოს საკმაო სამხედრო ცოდნა, მაშინ მე მომხრე ვიქნები ამ სისტემის.

გვარდიის მომწყობი განყოფილების უფროსი ვორონოვიჩი - რეგულარული ჯარი აუცილებელი ატრიბუტია მილიტარისტული ქვეყნებისა. პირიქით დემოკრატიულ ქვეყნებს ახასიათებს მილიციური სისტემა ჯარის ორგანიზაციისა. მაგალითად: შვეიცარია; შვედეთი, ამერიკა; ნორვეგია და ჰოლანდია. საქართველოს ახალგაზრდა რესსპუბლიკა , რა თქმა უნდა დაადგება დემოკრატიის გზას, ფინანსური მოსაზრებანიც ამას გვკარნახობს. ჩვენ ჯარის ორგანიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს სახალხო გვარდია. რა არის იგი? ტიპიური მილიციური სისტემა. განსხვავება მხოლოდ ერთია: პირველი ორგანიზაცია დამყარებულია თავისუფლა ნებაყოფილებაზე, მეორე კი იძულებულებითია. ამიტომ სახალხო გვარდიის ორგანიზაციაში უნდა შევიტანოთ იძულებითი მომენტი. უმთავრესი მოთხოვნილება მდგომარეობს იმაში, რომ როგორც ახლად გაწვეულები, აგრეთვე სათადარიგო ჯარის ნაწილებიც პერიოდულად იკრიბებოდნენ სამხედრო ცოდნის მისაღებად. სამინისტროს პროექტში 3/4 გასაწვევთა სიიდან სახლში რჩება. ეს არაა მილიციურ სისტემასთან დაახლოება, პირიქით, ეს გახლავთ

უკან დახევა. სამხედრო სამინისტროს პროექტი გულისხმობს სახალხო გვარდიის ლიკვიდაციას, ჩვენი პროექტი კი მუდმივი ჯარის გაუქმებას.

ნოე რამიშვილი - სახალხო გვარდია ყოველთვის იყო მორჩილი რესპუბლიკის მთავრობისა, თუმცა მას მართალია ჰქონდა თავისი პოლიტიკური ნებაყოფილება. ის აზრი ვითომ გვარდია ნაკლებად ემორჩილებოდა ჯარის უფროსების განკარგულებას, მცდარ ინფორმაციაზეა შემდგარი . საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავს აცხადებს ნეიტრალურად. ამიტომ მილიციური სისტემის მომხრე ვართ. მაგრამ სანამ არ გვექნება გარანტია იმისა რომ ყველა იწამებს, სანამ ერთა ლიგის ავტორიტეტული დასტური არ გვექნება, სანამ კიდევ არ ვართ უზრუნველყოფილი მტრის შემოსავებისგან, ვერ გავიზიარებ მილიციური სისტემის უპირატესობას, ვორონოვიჩის პროექტი არის გზა ჩვენი ჯარის ორგანიზაციისა მომავალში, მაგრამ დღეს ვერ გავიზიარებთ, ექსპერიმენტები საშიშია. 20 წელის სრულიად არაა საჭირო იმისათვის, რომ მილიციური სისტემა დამკვიდრდეს. ეს საკითხი დამოკიდებულია საერთაშორისო კონიუქტურაზე და იმ გეგმაზე რომელიც გულისხმობს მილიციური სისტემის შემოღებას სახალხო გვარდიის შტაბების განვითარების შემწეობით.

გენერალი ილია ოდიშელიძე - მე არ ვარ წინააღმდეგი სახალხო გვარდიის. მე მწამს დიდი წვლილი აქვს სამშობლოს წინაშე. მაგრამ მე ვაღიარებ: გვარდიამ არაერთხელ და ორჯერ გამოუჩენია თავისი პოლიტიკური და ხშირად სტრატეგიული ნებაყოფილება, რაც სამხედრო თვალსაზრისით სრულიად მიუღებელია. ჯარს არ უნდა ჰქონდეს ასეთი ნებაყოფილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჰკარგავს ძალას და მტრის საჯიჯგნი ხდება."[185]

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის 1919 წლის 26 აპრილის სხდომა:

დამფუძნებელი კრების წევრი მუხრან ხოჭოლავა -,,რამდენად მიზანშეწონილია ორნაირი ჯარის არსებობა და შეიძლება თუ არა ეს ორი ორგანიზაცია სხვადასხვა ორგანოებს ექვემდებარებოდეს?

ალექსანდრე გედევანიშვილი - შეიძლება, მაგრამ ორივე უნდა ემორჩილებოდეს ერთი და იმავე პირს ან ორგანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად დეზორგანიზაციას გამოიწვევს.

ნოე ჟორდანია - რამ უნდა გამოიწვიოს დეზორგანიზაცია, თუ მშვიდ დროს გვარდია დაექვემდებარება მთავრობის ან პარლამენტის თავმჯდომარეს?

ალექსანდრე გედევანიშვილი - სამხედრო მინისტრი რომ გენერალი იყოს, მაშინ გასაგები იქნებოდა ასეთი გაყოფა, მაგრამ სამხედრო მინისტრი პოლიტიკური პირი და პარტიის წევრია და ამიტომ ზედმეტია ორი ცენტრის არსებობა.

ვორონოვიჩი - ჩემი პროექტის არზრია, რაც შეიძლება მეტი მოქალაქე მონაწილეობდეს სამხედრო ბეგარის მოხდაში, რაც აუცილებელია ერის სამხედრო ძლიერებისათვის. სამხედრო სამინისტროს პროექტში სამი მომენტია აღსანიშნავი. 1. განზრახული 12 ბატალიონი ვერ ამოწურავს ნახევარს ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა საერთო რიცხვიდან; 2. არაფერი რეფორმა ამ პროექტის განხორციელებით ფაქტიურად არ ხდება, რეფორმა განმეორებაა წმინდა გერმანული სისტემის; 3. ხარჯთაღრიცხვა გაანგარიშებულია მინიმალური, სინამდვილეში კი ჯარის შენახვა გაცილებით მეტი დაჯდება. სამინისტროს პროექტით გვარდია დროებით რჩება, ჩვენი აზრით გვარდია უნდა დარჩეს და მისი საშუალებით გადავიდეთ მილიციურ სისტემაზე.

პოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე - დღევანდელ პირობებში მხოლოდ ძალდატანებით შეიძლება ჯარში გაწვევა, ჩვენი აზრით კი უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ხალისით მიდიოდნენ. 1. რესპუბლიკაში ორგანიზაცია ჯარისა უნდა იყოს დემოკრატიულ პრინციპზე აგებული; 2. ჯარის უმაღლესი მმართველობა უნდა იყოს მინისტრის და სამხედრო საბჭოს ხელში; 3. წესი ჯარში გაწვევისა და სამსახურის გავლისა უნდა იყოს ისეთი, რომ დაგვაახლოვოს მილიციურ სისტემასთან. გვარდიის პროექტი არ იძლევა არცერთ საბუთს , რომ მისი განხორციელება ჯარს სიძლიერეს მოუმატებს. სრულიად უგულვებელყოფილია ოფიცერთა შემადგენლობის საკითხი. გვარდიის გამოცდილების მიხედვით არ შეიძლება განისაზღვროს ახალწვეულთა მომზადების დროს. გვარდიელი ყოფილი სალდათია - გამოცდილი პოლიტიკურად მომზადებული. პროექტის განსაზღვრული ვადა სამხედრო

[185] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 362. ფურც.7-9.

სამსახურის გავლისა არ კმარა. პროექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ჯარის სიმრავლეს, ჩემთვის კი ხარისხს აქვს მნიშვნელობა და არა სიმრავლეს. საბოლოო ეტაპი ჯარის ევოლუციისა არის მილიციური სისტემა, მაგრამ ჯერ შეუძლებელია

რუბენ აუშტროვი - დაახლოება გვარდიისა და რეგულარული ჯარისა აუცილებელია, საკონტაქტო კომისია სრულიად გამოუდეგარია, საჭიროა ორგანიზაციულად შედუღება. ვორნოვიჩის პროექტი იძლევა ამის საშუალებას. 3 თვე რომელიც უნდა გაატაროს გვარდიელმა და რეგულარულ ჯარში ახლად გაწვეულმა წარმოადგენს ამის საშუალებას. თქვენი პროექტის მიხედვით ახალგაწვეული შედის პირდაპირ რეგულარულ ჯარში, ჩვენის მიხედვით ახლად გაწვეული სანამ რეგულარულ ჯარში წავიდოდეს, ადგილობრივ დარჩეს და იქ შეიძინოს პირველდაწყებითი სამხედრო ცოდნა. ჩვენი პროექტი სჯობს, ამისათვის საკმარისია მიგითითოთ იმაზე რომ გვარდიის მობილიზაცია უფრო სწრაფად ხდება ვიდრე ჯარის. იმიტომ რომ ჩვენ გვყავს ადგილობრივი მუშები და მზა კადრები, რომლებიც დაუყოვნებლივ იკრიბებიან და დარაზმულები მიდიან დანიშნულებისამებრ. თქვენი პროექტით მობილიზაციით გაწვეული ჯარისკაცი პასუხისმგებელია სამხედრო ბეგარის საქმეთა უფროსის წინაშე, ჩვენით კი ამხანაგების წინაშე. მორალური სიმძიმე პასუხისმგებლობისა მეორე შემთხვევაში პასუხისმგებლობა ყველასთვის ცხადია.... პასუხისმგებლობა ამხანაგების წინაშე, საკმარისი გარანტიაა როგორც მინიმუმ დეზერტირობის შესამცირებლად.

ნოე რამიშვილი -მომხრეა მობილიზაციის დროს სამხედრო უწყებამ ისარგებლოს სახალხო გვარდიის ადგილობრივი შტაბებით. უნდა დაარსდეს შერეული კოლეგია, რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის ნაწილებისაგან შემდგარი, გენშტაბიც ამ პრინციპზე უნდა აიგოს. შეერთებული უნდა იყოს ჯარის მარჩენალი ორგანოები. რაც შეეხება ჯარის ორგანიზაციის ევოლუციას მისი გადაჭრა მომავლისთვის გადავდოთ. დღეს კი საჭიროა ის რაც რეალურ მდგომარეობას შეეფერება.

სხდომის ბოლოს დამფუძნებელი კრების, გვარდიისა და სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელთაგან შეიქმნა კომისია , გვარდიის და სამხედრო სამინისტროს პროექტის შესაჯერებლად.[186]

სამხედრო კომისიის 4 მაისის სხდომაზე გენერალი გიორგი კვინიტაძე მიიწვიეს, რომელიც იმჟამად ახალციხეში იმყოფებოდა. მისი მიწვევისა და სხდომაზე გამოსვლის ამბავი ლაკონურად აღწერილია სხდომის ოქმში, დეტალურად კი გენერლის მოგონებებში. გიორგი კვინიტაძეს ახალციხეში გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისაგან მიუვიდა დეპეშა, რომ 2-3 დღეში მთავრობის თავმჯდომარის თხოვნით ჯარების რეორგანიზაციის პროექტი უნდა წარედგინა, ასე მოკლე ვადაში კვინიტაძემ მხოლოდ ჯარის ორგანიზაციის ზოგადი საფუძვლის შემუშავება მოასწრო. კვინიტაძეს არ მოეწონა მანამდე წარდგენილი არცერთი პროექტი, რადგანაც მისი აზრით გვარდიის პროექტი მხოლოდ გარეგნულად იყო მიმსგავსებული მილიციურ სისტემას, ხოლო სამხედრო სამინისტროს პროექტი კი რეალურად ჯარის ახალი ფორმირება უფრო იყო, ვიდრე რეორგანიზაცია. კვინიტაძე წინააღმდეგი იყო ორგვარი ჯარის არსებობისა და საჭიროდ მიიჩნევდა სახალხო გვარდიის გაუქმებას, სამხედრო სამინისტროს სამხედრო პირი უნდა ჩადგომოდა სათავეში, ხოლო არმიის

[186] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 362. ფურც.10-12.

დაკომპლექტება ტერიტორიულ პრინციპზე უნდა გადასულიყო, რაც შეამცირებდა დეზერტირობას და მობილიზაციის შემთხვევაში ბატალიონები სწრაფად ,,შეიწოვდნენ" მობილიზაციით გათვალისწინებულ მოსახლეობას.[187]

ამ თვალსაზრისით გვარდიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მსგავსი იყო კვინიტაძის იდეისა, რადგანაც ვორონოვიჩის პროექტიც ითვალისწინებდა ტერიტორიული შევსების პრინციპს, ქვეყნის საბატალიონო და ბრიგადის რაიონებად და ოლქებად დაყოფას.[188] გენერალ გედევანიშვილს კვინიტაძის ჯარის მოწყობის საფუძვლები მოეწონა, მაგრამ მისი აზრით არსებულ ვითარებაში გვარდიის გაუქმება არ შეიძლებოდა, ხოლო გენერალმა ილია ოდიშელიძემ განაცხადა, რომ კვინიტაძის პროექტი იგივე იყო რაც სამინისტროს მიერ წარდგენილი და მასში ახალი არაფერი იყო, მაგრამ მისი ეს განცხადება განხილვის პროცესში მალევე გაქარწყლდა პროექტებს შორის არსებული დიდი სხვაობის (ჯარის ორგანიზაციის რაოდენობა; დაკომპლექტების წესი, სამსახურის ვადა; მმართველობა და ა.შ) გამო. კვინიტაძის მიერ წარდგენილი ორგანიზაციის საფუძვლებმა ყველაზე დიდი ინტერესი და მოწონება ვორონოვიჩში აღძრა და მან გენერალს უთხრა, რომ გვარდიას შეეძლო მისი პროექტი შეიარაღებული ძალების ერთიანი სისტემის საფუძვლად მიეღო. გენერალ კვინიტაძის მტკიცებით გადაწყდა, რომ მის პროექტს გაითვალისწინებდნენ,[189] თუმცა ეს ასე არ მოხდა. დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ 1919 წლის 30 მაისს დაადგინა შექმნილიყო სამხედრო საბჭო, სამხედრო საბჭოში უნდა შესულიყო სამხედრო მინისტრის მიერ დანიშნული სამი პირი სამხედრო სამინისტროდან და ასევე სამი სახალხო გვარდიიდან. საბჭოს თავმჯდომარეობდა სამხედრო მინისტრი.[190] საბჭომ ფუნქციონირება კანონის დამტკიცებამდე დაიწყო, პირველ სხდომაზე 1919 წლის 2 ივნისს, ახლადშექმნილი ორგანოს წევრებად დაინიშნენ სამხედრო სამინისტროდან: გენერლები ილია ოდიშელიძე; კირილე ქუთათელაძე; ალექსანდრე ერისთავი; სახალხო გვარდიიდან კი - გერასიმე მახარაძე; ილიკო ქარცივაძე და ვლადიმერ ჯიბლაძე, მათ მოადგილეებად რუბენ აუშტროვი და ანდრია ჭიაბრიშვილი.

---

[187] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 362. ფურც.13-14; Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С.127-131

[188] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 368. ფურც.55.

[189] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С. 130.

[190] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 362. ფურც.22-23.

საბჭოს თავმჯდომარის, სამხედრო მინისტრ, ნოე რამიშვილის მოადგილედ დაინიშნა გენერალი ილია ოდიშელიძე.[191]

მოგვიანებით კი, 1919 წლის 29 ივლისს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული შეიარაღებულ ძალთა მართველობის ახალი კანონის მიღების შემდეგ, სამხედრო საბჭოს წევრთა დანიშვნის წესი შეიცვალა, საბჭოს წევრებს სამინისტროსა და გვარდიის შტაბისაგან წარდგენილი სამ-სამი კანდიდატისაგან მთავრობა ნიშნავდა, საბჭოს უნდა ეწარმოებინა შეიარაღებული ძალების ინსპექტირება, საბჭოს დაქვემდებარებაში შედიოდა სამნეო (სამეურნეო) კომიტეტი, სამნეო კომიტეტი სათავეში ედგა სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილებას რომელსაც ევალებოდა ჯარისა და სახალხო გვარდიის : სურსათ-სანოვაგის, აღკაზმულობის , საბრძოლო მასალების, ყაზარმების, სანიტარული საქმის და სხვა მატერიალური-ლოჯისტიკური საკითხების მოწესრიგება.[192] კანონპროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამი იყო, რომ სამხედრო საბჭო , სამხედრო მინისტრთან არსებული სათათბირო ორგანო იყო, რომლის მიზანი ჯარისა და გვარდიის ზედამხედველობა და რთულ სამეურნეო საკითხთა გადაწყვეტა იყო. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებული იყო სამნეო კომიტეტის მოქმედებაზე, რადგანაც ჯარისა და გვარდიის მომარაგების საკითხები ძალიან სათუთ საკითხად ითვლებოდა, განმართებითი ბარათის შემდგენთა აზრით ჯარსა და გვარდიას შორის ყოველგვარი უკმაყოფილება და გაუგებრობა სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვებოდა ხოლმე.[193] მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო საბჭოს და მის დაქვემდებარებულ სამნეო კომიტეტს, უნდა ეწარმოებინა შეიარაღებული ძალების ინსპექტირება, ჯარი და გვარდია ერთმანეთისთვის დაეახლოვებინა და მათი მართვა მშვიდობიანობის პერიოდში უფრო მეტად კოორდინირებული გაეხადა. ემიგრაციის წლებში, საკუთარ მოგონებებში სამხედრო საბჭოს საქმიანობას უარყოფითად აფასებდნენ გენერლები - ილია ოდიშელიძე და გიორგი კვინიტაძე. ილია ოდიშელიძე წერდა, რომ სამხედრო მინისტრის ჩათვლით საბჭოს პროპორცია 4 მენშევიკი 3 გენერლის წინააღმდეგ იყო. მისი თქმით საბჭოს გვარდიელი წევრები სხდომებს აცდნენდნენ და ამის გამო მის მიერ დანიშნული სხდომების დაახლოებით ნახევარი არ შედგა. მისივე თქმით სამნეო კომიტეტიც,

[191] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 1. ფურც.1-2.
[192] სცსა.ფონდი 1833. აღწერა1. საქმე 328. ფურც.2.
[193] სცსა. ფონდი 1833. აღწერა1. საქმე 327. ფურცელი 121.

რომელსაც სათავეში მენშევიკი კალისტრატე გოგუა ედგა თითქმის სრულებით არ ასრულებდა საკუთარ მოვალეობას. გენერალი წერდა, რომ გოგუა სამხედრო უწყების გარდა კიდევ სხვა სამოქალაქო დაწესებულებებშიც მუშაობდა და თავის სამსახურს სამხედრო დაწესებულებაში მეორეხარისხოვნად თვლიდა, ამიტომ მას თითქმის სულ დაეძებდნენ. ოდიშელიძის დასკვნით საბჭოს მუშაობა არაპროდუქტიული იყო.[194] ოდიშელიძის ყველა მტკიცების გადამოწმება რთული საქმეა, თუმცა სამხედრო საბჭოს სხდომის ჩვენამდე მოღწეული 72 სხდომის ანალიზი, რომელიც მოიცავს 1919 წლის 2 ივნისიდან 1920 წლის 13 აპრილამდე პერიოდის გვიჩვენებს, რომ პროპორცია ,,4 მენშევიკი 3 გენერლის წინააღმდეგ" და საერთოდ პოლიტიკოსები გენერლების წინააღმდეგ უმრავლესობაში მხოლოდ 30 სხდომაზე იყვნენ, გენერლები უმრავლესობაში იყვნენ 23 სხდომაზე, ხოლო თანაბარი რაოდენობით კი იყვნენ 19 შემთხვევაში. რაც შეეხება ოდიშელიძის მტკიცებას სხდომების ნახევარის ჩაშლის შესახებ, ჩვენ ვერ შევამოწმებთ თუ რამდენი სხდომა დანიშნა მან, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოს მუშაობის დებულების მიხედვით 1919 წლის 2 ივნისიდან 1920 აპრილამდე უნდა გამართულიყო დაახლოებით 94 სხდომა. ჩვენ ვიცით რომ ამ პერიოდში ჩატარდა 74 სხდომა (აქედან 2 სხდომის ოქმი არ გვაქვს). ესეიგი არ გამართულა საბჭოს მუშაობის დებულებით გათვალისწინებული სხდომების 21.3 პროცენტი. რაც შეეხება სამნეო კომიტეტის თავმჯდომარეს კალისტრატე გოგუას. სამნეო კომიტეტის შექმნისა და მის სათავეში ჩადგომის შემდეგ, ანუ 1919 წლის 25 აგვისტოდან 1920 წლის 13 აპრილამდე შემორჩენილი საბჭოს 56 სხდომიდან კალისტრატე გოგუა სხდომების დიდ უმრავლესობას - 42 სხდომას დაესწრო.[195] ოქმების შინაარსიდანაც მოსჩანს, რომ ის აქტიურად იყო ჩართული საბჭოს საქმიანობაში. ეს ყველაფერი გამორიცხავს ოდიშელიძეს მტკიცებას, იმის შესახებ თითქოს ისინი მუდმივად ეძებდნენ გოგუას. კალისტრატე გოგუას გულითადი დამოკიდებულება სამხედრო სამინისტროში სამსახურისადმი კარგად სჩანს 1920 წლის დეკემბერში, მეგობრისადმი, ყოფილი სამხედრო მინისტრისა და იმჟამად ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის გირგოლ გიორგაძისადმი გაგზავნილ ერთ

---

[194] ილია ოდიშელიძე. საქართველოს დამარცხების მიზეზები. გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ.VI თბილისი: ,,მეცნიერება", 2005, გვ.357-358.

[195] სამხედრო სამინისტროს სამხედრო საბჭოს სხდომის ოქმები. გამოცემის, წინასიტყვაობის და კომენტარების ავტორები დიმიტრი სილაქაძე. თბილისი: ,, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს ეროვნული არქივი", 2021, გვ. 7-9;17-275;

პირად წერილში, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ პოზას პუბლიკისადმი - ,,თუ რა გაჭირვებას განიცდის ჩვენი ჯარი ქე ვიცი, ჩემო გრიშა, მარა რა ვქნა... რო ვერ მოვახერხეთ უკეთესად საქმის მოწყობა... ვმუშაობთ აუარებელს მარა როგორც ხედავ ბევრი არაფერი გამოდის... ერთს ვიტყვი – არსებულ საერთო პირობებში ყოვლად შეუძლებელია საქმის უკეთესად მოწყობა – რომ ამაში არ ვიყო დარწმუნებული – ან და რო ვინმე გამოჩნდებოდეს რომელიც საქმეს უკეთესად გაუძღვება ძმობას გეფიცები ერთ წუთს არ გავჩერდები. დიდი უსიამოვნება ყოველ მხრივ, თან სულიერი ტანჯვა – რო ჯარი ისე ვერაა მოწყობილ-მოვლილი როგორც წესი და რიგია – ეს საშინელი მდგომარეობაა ჩემო გრიშა."[196] გენერალი კვინიტაძე კი საკუთარ მემუარებში წერდა, რომ ის წინააღმდეგი იყო საბჭოს შექმნისა. იგონებდა, რომ მან უარი განაცხადა სამხედრო საბჭოს წევრად დამტკიცებაზე, რადგანაც საბჭოს არასამხედრო წევრები სამხედრო საქმის უცოდინარნი იყვნენ და მისი აზრით საბჭოს გადაწყვეტილები სამხედრო საქმეში გაუთვითცნობიერებელი წევრების სურვილზე იქნებოდა დამოკიდებული.[197] სინამდვილეში კი გენერალი კვინიტაძე საბჭოს წევრობის კანდიდატად დაინიშნა 1919 წლის 13 ოქტომბერს.[198] ამის შემდეგ როგორც ოქმებით სჩანს იგი დაესწრო საბჭოს 29 სხდომას, აქედან 25-ს როგორც სახმედრო საბჭოს წევრი, ხოლო 4-ს კი როგორც დამსწრე. კვინიტაძე აქტიურად იყო საბჭოს საქმიანობაში ჩაბმული. მაგალითად, 1919 წლის 30 ოქტომბერს ის შეიყვანეს კომისიაში, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საკითხი მივლინების დროს დღიური ფულის გაზრდასა და ფრონტზე გამგზავრების დროს ერთდროული დახმარების შეწყვეტის შესახებ.[199] იმავე წლის 4 დეკემბერს კვინიტაძე შეიყვანეს კომისიაში, რომელსაც უნდა შეესწავლა და შეემუშავებინა იარაღის შეკეთებისა და ზოგიერთ სამხედრო ნაწილში შაშხანების შეცვლის საკითხი.[200] გენერალმა სამხედრო საბჭოს 1920 წლის 29 მარტის სხდომაზე განაცხადა, რომ საბჭოს ზოგიერთი დადგენილება იცვლებოდა. ამიტომ საბჭომ დაადგინა - მომავალში მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონოდა, ხოლო თუ საბჭოს დადგენილების შესრულება რაიმე დაბრკოლების გამო შეუძლებელი იქნებოდა ან თუ საჭიროება მოითხოვდა დადგენილების შეცვლას, ამის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობებინათ საბჭოსთვის.[201] მემუარებში არსებული ემოციურობა , სუბიექტივიზმი და ადამიანური გულმავიწყობა

[196] სცსა. ფონდი 1872. აღწერა.1. საქმე.8 ფურც. 54-55.
[197] Генерал Г. И. Квинитадзе. Воспоминания 1917-1921. с. 133-134
[198] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 35. ფურც.1-2.
[199] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 36. ფურც.1.
[200] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 45. ფურც.1-2.
[201] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 69. ფურც.1-2.

გვერდით რომ გადავდოთ დღეს მაინც რთულია სრულად შევამოწმოთ თუ რამდენად სრულდებოდა საბჭოს ყველა დადგენილება რეალურ ცხოვრებაში. თუმცა ამ მხრივ შეგვიძლია შევამოწმოთ საბჭოს იმ დადგენილებების სტატისტიკა, რაც შემდგომში უნდა განეხილა და დაემტკიცებინა მთავრობას. ჩვენამდე შემონახული 72 ოქმის მიხედვით საბჭომ მთავრობასთან შუამდგომლობა დააყენა 54 საკითხთან დაკავშირებით. აქედან მთავრობამ განიხილა 40 საკითხი, საიდანაც დააკმაყოფილა 35, ხოლო 5 საკითხი კი სხვადასხვა მიზეზის გამო ან მთავრობის, ან დამფუძნებელი კრების დონეზე დაიბლოკა. განუხილველი საკითხები უმეტესწილად, მცირე ფინანსურ თემებს შეეხება, რომლის ადრესატად სავარაუდოდ მთავრობამ თავი არ ჩათვალა და შესაძლოა შემდეგში სამინისტროს დონეზე გადაწყდა.[202] შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხედრო საბჭოც იმ რთული , დაძაბული და ამავდროულად დიდი იმედების დროის შვილი იყო და მისი ფუნქციონირებაზეც ეპოქის შესაბამისი სირთულეები იყო აღბეჭდილი.

1919 წლის 29 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ შეიარაღებულ ძალთა რეორგანიზაციის კანონი მიიღო , რომლის საფუძველზეც გაუქმდა 1918 წლის 20 აგვისტოს მიღებული სამხედრო კანონები და 29 და 31 ივლისს დამტკიცდა ახალი კანონები: შეიარაღებულ ძალთა მოწყობის; შეიარაღებულ ძალთა მმართველობის მოწყობის; სამხედრო ბეგარის და შეიარაღებულ ძალთა შევსების; სამხედრო პირთა ხარისხების დებულების შეცვლის; ოფიცერთა და ჯარისკაცთა ფორმის; ჯამაგირების; სამხედრო მფრინავთათვის ჰაერში ფრენისათვის დამატებითი გასამრჯელოს მიღების შესახებ; ასევე დამტკიცეს რეგულარული ჯარის ახალი შტატები.[203] შეიარაღებულ ძალთა მმართველობის მოწყობის ახალი კანონის თანახმად, ომიანობის პერიოდში მთავარსარდალთან თუ მთავრობის თავმჯდომარე ამის საჭიროებას დაინახავდა შეეძლო დაენიშნა სამხედრო-საველე საბჭო, რომელიც განაგებდა ადგილობრივ ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ საკითხებს, მაგრამ საომარი ოპერაციების წარმოებაში მთავარსარდალი ისევ სრულიად დამოუკიდებლად იმოქმედებდა. როგორც ზემოთ ვწერდით დაარსდა სამხედრო საბჭო. ახალი კანონის თანახმად სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილება გადაკეთდა სამნეო განყოფილებად,

[202] სამხედრო სამინისტროს სამხედრო საბჭოს სხდომის ოქმები. გვ. 10;17-275.

[203] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.1-8.

სამხედრო სასანიტარო და სამხედრო საბეითლო განყოფილებები გადაკეთდა სექციებად და შევიდა სამხედრო სამნეო განყოფილების შემადგენლობაში. ამავე განყოფილებაში გადავიდა მანამდე გენერალური შტაბის საარტილერიო და საინჟინრო-სატექნიკო სექციები. სამინისტროს საერთო განყოფილება კი გადაკეთდა სამხედრო სამინიტროს კანცელარიად.[204] გენერალური შტაბის განყოფილებაში დარჩა 4 სექცია: 1) ოპერატიული; 2) სამხედრო საზღვაო; 3)კანცელარია; 4) სამხედრო-საისტორიო არქივის წიგნთსაცავი. თუ გენერალური შტაბის საარტილერიო და საინჟინრო-სატექნიკო სექციები სამნეო განყოფილების დაქვემდებარებაში გადავიდა, მანამდე არსებული საორგანიზაციო სექციის ფუნქცია - ოპერატიულმა სექციამ შეითავსა. სამინისტროში, სამხედრო საბჭოსთან ასევე შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია. ყველა დარგის ჯარის ოფიცრებისა და ნაცვლების/სერჟანტების მოსამზადებლად დაარსდა სამხედრო სკოლა.[205] კანონში არ დაკონკრეტებულა, მაგრამ გადაწყდა სამხედრო მინისტრს დანიშვნობა მეორე ამხანაგი/თანაშემწე, რადგანაც 1 თანაშემწე იმდენათ იყო დატვირთული ადმინისტრაციული საქმიანობით, რომ ჯარების დათვალიერებისა და დარიგებების მისაცემად ვერ იცლიდა.[206] 1920 წლის იანვარში მინისტრის მეორე მოადგილედ გენერალი ილია ოდიშელიძე დაინიშნა, თუმცა უნდა აღინიშნის ის ფაქტიც, რომ მანამდეც პერიოდულად მინისტრს ორი მოადგილე ჰყავდა ხოლმე.[207]

სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების ახალი კანონის თანახმად შემცირდა სამსახურის ვადა ,,ნამდვილ" სამხედრო სამსახურში. 2 წლის ნაცვლად, ქვეითთა ჯარში იმსახურებდნენ – 1 წელიწადისა და 4 თვის განმავლობაში, ხოლო სხვა სახეობის ჯარებში 1 წელიწადსა და 8 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ ჯარისკაცების ენდომებოდათ და საამისოდ ვარგისებიც იქნებოდნენ, შეეძლოთ ჯარში დარჩენა ზედმეტი სამსახურისათვის. სკოლის მოსწავლეთათვის სამხედრო სამსახურის გადავადებამ 22-ის ნაცვლად 21 წლამდე გადმოიწია. ჯარში გაწვევისაგან

[204] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.1-3.
[205] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.1-3.
[206] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 327. ფურც.121.
[207] 1918 წლის 26 მაისიდან დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მინისტრის მოადგილე გენერალი გიორგი კვინიტაძე იყო, მის შემდეგ მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას მუდმივად იკავებდა გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი. 1918 წელს გარკვეული დროის განმავლობაში მინისტრის მეორე მოადგილეები იყვნენ გენერლები ზაქარია მდივანი და ილია ოდიშელიძე . 1920-1921 წლებში კი მინისტრის მეორე მოადგილის თანამდებობას გენერალი ილია ოდიშელიძე იკავებდა.

მუსლიმ მოქალაქეებთან ერთად განთავისუფლდნენ დუხაბორთა რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელნი.[208] 1920 წლის 25 ივნისის დამატებითი კანონით ტექნიკური პროფილის მქონე ქვედანაყოფებში მყოფი ტექნიკური დარგის სპეციალობა მიღებულ ჯარისკაცთა (დურგალი, მეხიდე, ტელეგრაფისტი, ტელეფონისტი, მძღოლი, მფრინავი, ძრავის სპეციალისტი, რადიო-ტელეგრაფის სპეციალისტები) ნამდვილი სამსახურის ვადა ისევ 2 წლამდე გაიზარდა.[209]

მთავრობის 1919 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით ჯარში გაწვევისაგან დროებით გათავისუფლდნენ აფხაზები, მათ ნება მიეცათ მოხალისედ, საკუთარი სურვილით ჩარიცხულიყვნენ არმიაში.[210] ახალწვეულ და სათადარიგო ჯარისკაცთა აღრიცხვა და გაწვევა ჯარის ყველაზე სუსტ წერტილად ითვლებოდა, რადგანაც სამხედრო ბეგარის უფროსთა სამმართველო შორს იდგა ადგილობრივი თვითმართველობებისაგან და საქმეს თავს ვერ ართმევდა, ამ სამსახურის ნაცვლად უნდა შექმნილიყო ადგილობრივ თვითმართველობებთან არსებულ სამხედრო აღრიცხვის ნაწილები. ქვეყნის მაშტაბით სულ - 18 სამხედრო აღრიცხვის ნაწილი.[211] სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების ახალი კანონმა დაადასტურა, 1919 წლის 20 მაისს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონი ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლის მიხედვითაც ოჯახის ერთადერთი მარჩენალნი, ნამდვილი სამსახურისა და სათადარიგო ჯარის ნაცვლად პირდაპირ ლაშქარში ირიცხებოდნენ. ოჯახის ერთადერთ მარჩენალად კი ითვლებოდა ერთადერთი ვაჟი უნარმოკლებული მამისა, ან ქვრივი დედისა, ერთადერთი მარჩენალი ძმა შრომის არშემძლე ობოლი ძმისა, ან გაუთხოვარი დისა, ერთადერთი მარჩენალი შვილიშვილი შრომის უუნარო ბაბუისა და ბებიისა, იგივე პრინციპები ვრცელდებოდა უკანონი შვილზე, გერსა და შვილობილზე.[212] ეს კანონი გააუქმეს 1921 წლის იანვარში, 6-15 თებერვალს დანიშნული ახალწვეულთა გაწვევის წინ.[213] 1919 წლის ნოემბერში სამხედრო სამინისტრომ შეიმუშავა ახალწვეულთა ჯარში გაწვევის წინ სამედიცინო შემოწმების ინსტრუქცია სამხედრო აღრიცხვის ნაწილების ექიმთათვის.

[208] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.3-4.
[209] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 682. ფურც.155.
[210] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 13. ფურც.360.
[211] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 327. ფურც.121; სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.3-4.
[212] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. გვ.268-270; სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.3-4.
[213] სცსა. ფონდი 1969. აღწერა2. საქმე.173. ფურც.116.

ინსტრუქციაში დეტალურად იყო განსაზღვრული ახალწვეულის შემოწმების წესები, როგორ უნდა გაერკვიათ ახალწვეული განგებ ხომ არ იგონებდა ან აზვიადებდა ავადმყოფობას, როგორ უნდა დაეთვალიერებინათ სხეულის ესა თუ ის ნაწილი, როგორ უნდა შეემოწმებინათ ჯარისკაცთა მხედველობა თუ სმენითი უნარი, სიმაღლე, წონა, გულმკერდის გარშემოწერილება და ასე შემდეგ.[214] ერთი წლის შემდეგ, 1920 წლის ოქტომბერში კი დაზუსტდა სია სნეულებებისა და ფიზიკური ნაკლოვანებებისა, რომლებიც წვევამდელს სამუდამოდ ათავისუფლებდა ჯარიდან და ასევე სია იმ სნეულებებისა და ფიზიკური დეფექტისა, რომლის აღმოჩენის შემთხვევაში ახალწვეული ჯარის არასამწყობრო ნაწილში გაიგზავნებოდა . ჯარიდან სამუდამოდ გასათავისუფლებელ სნეულებათა და ფიზიკურ ნაკლთა ჩამონათვალში შედიოდა: ჩიყვი; კეთრი; შაქარი; დამბლა; ნერვის ანთება; რევმატიზმი; ჭლექი; რეგვენობა ანუ ჭკუანაკლებობა; უსწორ-მასწორო გულ-მკერდი, სასქესო ასოს უქონლობა; 14 კბილის არქონა და სხვა. ხოლო არასამწყობრო ნაწილებში შეეძლოთ გაეწვიათ ცალთვალა და ცალყურა ახალგაზრდა, მხედველობის მცირედი დაქვეითებისა და ცალ ყურში სმენა დაკარგულები, არასრული კურდღის ტუჩის მქონენი, ბრტყელტერფიანნი და სხვა.[215]

1919 წლის ივლისის შეიარაღებულ ძალთა მოწყობის კანონის თანახმად შეიცვალა რეგულარული ჯარის შემადგენლობა, შტატები და შესაბამისად პირადი შემადგენლობის რაოდენობა. რესპუბლიკის მთავრობა კარგად ხედავდა, რომ 1918 წლის შტატით განსაზღვრული 2156 ოფიცრისა და მოხელის, 37 474 ვადიანი სამხედრო მოსამსახურისა და 1630 ნებით დაქირავებულის შენახვისა და შევსების ფინანსური შესაძლებლობები არ არსებობდა და ეს მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო სამინისტროსათვის მიცემულმა თანხამ 1918 წლის 1 ივნისიდან - 1919 წლის პირველ ივნისამდე ბიუჯეტის გასავალის ასტრონომიულად მაღალი წილი - 30.29% -ი შეაგდინა.[216] არადა არსებული სიტუაცია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებისა და არდაგანის გათავისუფლება-შემოერთების შემდეგ ამ მიმართულებაზე დამატებით კიდევ ერთი, მესამე დივიზიის შექმნა-განთავსებას მოითხოვდა. ამიტომ რეგულარული ჯარი გადავიდა ,,კადრულ" სისტემაზე, მშვიდობიანობი დროს არმიის

[214] სცსა. ფონდი1969. აღწერა 2. საქმე 135. ფურც.484-490.
[215] სცსა. ფონდი1969. აღწერა 2. საქმე 101. ფურც.34-37.
[216] კონსტანტინე კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა. წიგნი მეორე. დამოუკიდებელი საქართველო და მისი ეკონომიკური მდგომარეობა. პარიზი: ,,სსრკ შემსწავლელი ინსტიტუტი", 1960, გვ.170-171.

შემადგენლობაში ორი დივიზიის ნაცვლად, ჩამოყალიბდა სამი ქვეითი ბრიგადა რომელიც ომის შემთხვევაში უნდა გაშლილიყო სამ დივიზიად. თეორიულად ახალ შტატებზე გადასვლა ქვეყნისათვის უფრო მომგებიანი ჩანდა, თუმცა როგორც შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, ხშირმა საომარმა მდგომარეობა, გამუდმებულმა მობილიზაცია-დემობილიზაციამ, სამობილიზაციო აპარატის ხარვეზებმა, ინფლაციამ და სხვა ფინანსურმა თუ ორგანიზაციულმა პრობლემებმა ხარჯები მაინც არ შეამცირა. რეორგანიზაციის შემდეგ ახალი ქვედანაყოფების ოფიციალური სახელები ,,გადაქართულდა“: პოლკს - რაზმი/ლეგიონი ეწოდა; ბატალიონს - ათასეული; ასეულს - გუნდი; ხოლო ოცეულს - მწყობრი. ოფიციალურ სახელწოდების პარალელურად, ოფიციალურ თუ არაოფიციალური ხასიათის წერილობით წყაროებში ქვედანაყოფები ხან ძველი ტერმინებით იწოდებოდა და ხან ახალით, თუმცა ეს არავის აბნევდა. ახალი ორგანიზაციის მიხედვით რეგულარულ ჯარში მშვიდობინობის პერიოდში ირიცხებოდა: 3 საარმიო ქვეითი ბრიგადა (თითოეულში ბრიგადის შტაბი; 4 ათასეული და არტილერიის დივიზიონი); საარმიო არტილერიის დივიზიონი; ცხენოსანი რაზმი; სანაპირო რაზმი (სამმართველო; თბილისის სადარაჯო ათასეული; 6 რაზმი, სამხედრო ფლოტილია); საინჟინრო-სატექნიკო ძალები (სამმართველო; მესანგრეთა/საპიორთა ათასეული; ცალკეული საავტომობილო, საავიაციო და რადიოტელეგრაფის გუნდები); სამხედრო სკოლა (იუნკერთა ქვეითი გუნდი; იუნკერთა საინჟინრო, ცხენოსანი და საარტილერიო მწყობრი; ნაცვალთა ქვეითი ათასეული და არტილერიის მწყობრი).[217]

ქვეითი ბრიგადის შტატი მშვიდობიანობის პერიოდში

ბრიგადის ქვედანაყოფები	**პირადი შემადგენლობა, ცხენების (საჯდომი, საარტილერიო, ტვირთის გადამზიდი) , საზიდრების (ავტომობილი, სამეურნეო ორთვალა, სალაშქრო სამზარეულო, ეტლი და ა.შ) და საარტილერიო დანადგარების რაოდენობა**
ბრიგადის სამმართველო	33 კაცი; 6 ცხენი და 7 საზიდარი
ქვეითი ათასეული(5 ქვეითი გუნდი; ტყვიისმფრქვეველთა გუნდი;მზვერავთა მცირე გუნდი; მეკავშირეთა მცირე გუნდი; არასამწყობრო მცირე გუნდი; მესაკრავეთა მცირე გუნდი)	683 კაცი; 41 ცხენი და 56 საზიდარი
სულ 4 ქვეითი ათასეულში	2732 kaci; 164 cxeni da 224 sazidari
3 ბატარეიანი საარტილერიო დივიზიონი(დივიზიონის სამმართველო;სამთო ბატარეა; მსუბუქი საჰაუბიცო ბატარეა; საველე მძიმე ბატარეა)	565 კაცი; 215 ცხენი; 28 საზიდარი და 12 საარტილერიო დანადგარი

[217] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.1.

სულ ბრიგადაში:	**3330 კაცი; 385 ცხენი; 259 საზიდარი და 12 საარტილერიო დანადგარი**

[218]

წინა წელს დამტკიცებული შტატებისაგან განსხვავებით, რეგულარული ჯარის ნაწილებში გაუქმდა მღვდლის შტატი, რის ნაცვლადაც სამინისტრომ მღვდლები მოლარის თანამდებობაზე მიიწვია.[219] სამხედრო სამინისტროს დაქვემდებარებაში რჩებოდა ტფილისის სამხედრო ტაძარი, სადაც ორი მღვდელმსახური , ერთი მედავითნე და ორი დარაჯი მსახურობდნენ.[220]

საარმიო არტილერიის დივიზიონი მშვიდობიანი პერიოდის შტატი

დივიზიონში შემავალი ქვედანაყოფები	**პირადი შემადგენლობა, ცხენების, საზიდრების და საარტილერიო დანადგარების რაოდენობა**
დივიზიონის სამმართველო	40კაცი; 15 ცხენი და 5 საზიდარი
4 ზარბაზნიანი სამთო ბატარეა	188კაცი; 77 ცხენი; 7საზიდარი და 4 საარტილერიო დანადგარი
4 ზარბაზნიანი მსუბუქი ჰაუბიცების ბატარეა	155 კაცი; 55 ცხენი; 7 საზიდარი და 4 საარტილერიო დანადგარი
4 ზარბაზნიანი მძიმე საველე ბატარეა	182 კაცი; 68 ცხენი; 9 საზიდარი და 4 საარტილერიო დანადგარი
სულ:	**565 კაცი; 215 ცხენი; 28 საზიდარი და 12 საარტილერიო დანადგარი**

221

ცხენოსანი რაზმის მშვიდობიანი პერიოდის შტატი

ცხენოსანი რაზმი (რაზმის სამმართველო; 3 ცხენოსანი ესკადრონი; ცხენოსან-ტყვიისმფრქვეველთა ესკადრონი; მეკავშირეთა მცირე გუნდი; ცხენოსან მესანგრეთა გუნდი;სასწავლო მცირე გუნდი; უმწყობრო მცირე გუნდი)	**633 კაცი; 568 ცხენი ,44 საზიდარი და 2 მოტოციკლი**

222

საინჟინრო-სატექნიკო ძალების მშვიდობიანი პერიოდის შტატი

საინჟინრო-სატექნიკო ძალებში შემავალი ქვედანაყოფები	**პირადი შემადგენლობა, ცხენების, საზიდრების, მოტოციკლების და ავტომობილების რაოდენობა**
საინჟინრო-სატექნიკო ძალების სამმართველო	11კაცი
მესანგრეთა (საპიორთა) ათასეული	587 კაცი; 12 ცხენი და 5 საზიდარი
ცალკეული საავტომობილო გუნდი	282 კაცი; 59 ავტომობილი (აქედან 4 ჯავშნოსანი) და 12 მოტოციკლი
საავიაციო გუნდი	196 კაცი; 5 ცხენი; 8 ავტომობილი; 4 მოტოციკლი; 3 საზიდარი

[218] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.8-14;39-40.
[219] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე.135 ფურც.228.
[220] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.39.
[221] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.11-14.
[222] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.15-16.

საავიაციო სკოლა	78 კაცი
რადიო-ტელეგრაფის გუნდი	86 კაცი; 4 ცხენი, 2 ავტომობილი; 4 საზიდარი
სულ:	**1240 კაცი; 21 ცხენი; 69 ავტომობილი (აქედან 4 ჯავშნოსანი); 16 მოტოციკლი და 12 საზიდარი**

223

სანაპირო ჯარის მშვიდობიანი პერიოდის შტატი

სანაპირო ჯარის ნაწილები	**პირადი შემადგენლობა, ცხენების, საზიდრების და კატარღების რაოდენობა**
სანაპირო ჯარის სამმართველო	37 კაცი; 10 ცხენი და 2 საზიდარი
ფოთის რაზმი 4 განყოფილებით	461 კაცი; 58 ცხენი; 7 საზიდარი და 2 პატარა კატარღა
ახალციხის რაზმი 4 განყოფილებით	461 კაცი; 58 ცხენი და 7 საზიდარი
სოხუმის რაზმი 3 განყოფილებით	359 კაცი; 47 ცხენი; 6საზიდარი და 2 პატარა კატარღა
დარიალის რაზმი 3 განყოფილებით	359 კაცი; 47 ცხენი; 6საზიდარი
სიღნაღის რაზმი 3 განყოფილებით	359 კაცი; 47 ცხენი; 6საზიდარი
ბორჩალოს/შულავერის რაზმი 3 განყოფილებით	359 კაცი; 47 ცხენი; 6საზიდარი
თბილისის სადარაჯო ათასეული (4 ქვეითი გუნდი; 1 არასამწყობრო მცირე გუნდი)	686 კაცი; 13 ცხენი და 9 საზიდარი
ფლოტილიის სამმართველო და სამხედრო ფლოტილია	35 კაცი და 3 გამანადგურებელი კატარღა: პატარა კახი; ტარიელი და N526
სულ:	**3116 კაცი; 327 ცხენი; 49 საზიდარი 4 მცირე და 3 გამანადგურებელი კატარღა**

224

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიაში ჯარის რეორგანიზაციის პროექტზე მუშაობის პროცესში გენერალმა ალექსანდრე გედევანიშვილმა წამოაყენა იდეა სანაპირო რაზმები გადასულიყო ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ რადგანაც საქართველოს საზღვრები კონფლიქტების არენად იყო ქცეული, სანაპირო ჯარი უნდა დარჩენილიყო იმ უწყების დაქვემდებარებაში რომელსაც ევალობოდა ქვეყნის დაცვა. საბოლოოდ გენერალ ილია ოდიშელიძის კატეგორიული მოთხოვნით სანაპირო ჯარი დარჩა სამხედრო უწყების დაქვემდებარებაში.[225] ასევე შეიმუშავეს სამხედრო სამინისტროს, სამხედრო სკოლის და სხვა ზურგის სამსახურების შტატები.[226] რეორგანიზაციის შემდეგ რეგულარულ ჯარში დარჩა - 1322 ოფიცერი და მოხელე; 14 178 ვადიანი

[223] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.17-21.

[224]ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ. 1 აგვისტო 1919წ. ქ.ტფილისი N162. გვ.3; 80-82. დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.21-25 ბრძანებაში ნათლადაა მითითებული სიღნაღის სანაპირო რაზმის შესახებ და ასეთი სახელის რაზმის არსებობა უამრავი დოკუმენტით დასტურდება, თუმცა შტატების დოკუმენტის ერთ ნაწილში სიღანიღის რაზმი შეცდომით თბილისის რაზმადაა მოხსენიებული.

[225] სცსა. ფონდი1833. აღწერა1. საქმე327. ფურც.1-2.

[226] სცსა. ფონდი1833. აღწერა1. საქმე328. ფურც.28-39.

სამხედრო მოსამსახურე და 1450 ვადის ზევით მსახური და ნებით დაქირავებული - სულ: 16950 სამხედრო და სამოქალქო პირი.[227] ძველი ქვედანაყოფების გადაკეთება ახალი შტატების მიხედვით უნდა დასრულებულიყო 1919 წლის 1 სექტემბრამდე.[228] 1920-1921 წლებში მცირე ცვლილებები შევიდა 1919 წელს დამტკიცებულ შტატებში, რეგულარული არმიის პირადი შემადგენლობა 1920 წლის 25 ივნისის დეკრეტის საფუძველზე გაიზარდა 16 950-დან 19 630 კაცამდე.[229] პირადი შემადგენლობის რიცხვის ზრდას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. სამხედრო უწყება 1919 წლის შტატების პრაქტიკაში გატარების შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დამტკიცებულ შტატებში გარდა კორექტურული შეცდომებისა იყო პრინციპული ხასიათის ნაკლოვანებებიც , რაც ჯარის მოწყობის საქმეს ხელს უშლიდა. აღსანიშნავია, რომ შტატს დაემატა 350 ზედმეტმსახური აქედან 2/3 ნაცვლების ანუ სერჟანტების სახით, ფლოტილიამ კი მიიღო ახალი გამანადგურებელი - ,,ავთანდილი".[230] 1920 წლის ივლისის დასაწყისში ბათუმიდან ბრიტანელების გასვლის შემდეგ ბათუმის აფეთქებული ფორტები ქართულმა ნაწილებმა დაიკავეს და გაჩნდა ბათუმის ციხესიმაგრის მცირერიცხოვანი გარნიზონის შტატი.

ცნობილია, რომ ომის დროს ბრიგადები დივიზიებად უნდა გაშლილიყვნენ, ათასეულები (ბატალიონები) კი 3 ათასეულიან ლეგიონებად (პოლკებად), საარტილერიო დივიზიონები ბრიგადებად, ხოლო ცხენოსანი პოლკი კი ცხენოსან ბრიგადად. საბჭოთა რუსეთის სტარტეგიული დაზვერვის მონაცემებით საომარი დროის შტატით პოლკში უნდა შევსებულიყო 2225 კაცამდე, ომის შემთხვევაში კი ქვეითი ნაწილები უნდა ასულიყო 27 000 კაცზე, ცხენოსანი კი 3000-ზე. დანარჩენი ნაწილების (არტილერია, ტექნიკური ძალები, სანაპირო ჯარები) გაშლის შესახებ რუსულ დაზვერვას ინფორმაცია არ გააჩნდა.[231] საომარი დროის ზუსტი შტატები დამფუძნებელ კრებას არ დაუმტკიცებია, საკანონმდებლო ორგანოსათვის ასეთი პროექტი არც ყოფილა წარდგენილი. საომარი დროის ზუსტად გაწერილ შტატები არც

[227] სცსა. ფონდი 1833. აღწერა1. საქმე327. ფურც.121.
[228] ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ. 1 აგვისტო 1919წ. ქ.თბილისი N162. გვ.5 .
[229] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 17. ფურც.8.
[230] სცსა. ფონდი 1969. არწერა 1. საქმე 288. ფურც.55; 63;65.
[231] Материалы стратегической разведки Р.С.Ф.С.Р . Грузия . Данные о вооруженных силах и краткой обзор политического економического и международного положения Грузии. (По состоянию к 1 Января 1921 Г). Тбилиси: ,,CIPDD“, 1995, стр.15-16.

საქართველოს სამხედრო სამინისტროს არქივში იძებნება , გარდა ერთი დოკუმენტისა სადაც გენერალური შტაბის ოპერატიული სექციის უფროსი სასანიტარო სექციის უფროსს 1919 წლის 25 სექტემბერს გრიფით საიდუმლო დოკუმენტით ატყობინებდა , რომ ომიანობის დროს რესპუბლიკაში გაიშლებოდა 3 ქვეითი დივიზია , 4 საარტილერიო ბრიგადა, საინჟინრო-სატეხნიკო ჯარები და ცხენოსანი ნაწილები , სულ: 1820 ოფიცერი და 44 000 ჯარისკაცი.[232] თუმცა ამის გარდა შესაძლებელი იყო კიდევ შემდგარიყო მეორე რიგის რაზმები და დივიზიები.[233] რაც შეეხება საერთო რეზერვს, სამხედრო უწყებას აღნუსხული ყავდა 164 000 მამაკაცი, აქედან 12 820 უვარგისი აღმოჩნდა სამხედრო სამსახურისათვის, ვადა გაუგრძელდა 10 750 და ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო 10 410.[234] ამ უკანასკნელი ორი კატეგორიის გაწვევა ომის შემთხვევაში შესაძლებელი იყო, შესაბამისად თუ ამის ხელშემწყობი მატერიალური რესურსი და იარაღი ექნებოდა სახელმწიფოს, მობილიზაციის შემთხვევაში რეგულარულ ჯარში 151 180 მებრძოლის გაყვანა შეიძლებოდა. რაც ქვეყნის მოსახლეობის 6,27%-ს შეადგენდა.[235]

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სამხედრო ნაწილებისა, სამხედრო სამინისტროს 1918-1921 წლებში სხვა ცალკეული სამხედრო რაზმებიც ექვემდებარებოდა, ზოგიერთ მათგანს (ოფიცერთა განსაკუთრებული პოლკი, ფხაკაძის რაზმი, ჟორდანიას რაზმი, აჭარის მუსლიმთა ქვეითი ათასეული, ბორჩალოს ცხენოსანი ასეული და ა.შ) უფრო პერიოდული ხასიათი ჰქონდა და ძირითადად 1918 წელს არსებობდა, თუმცა ზოგიერთი მათგანი 1920-1921 წლებშიც ფუნქციონირებდა. ამათ გარდა იყო რამდენიმე მუდმივი ქვედანაყოფიც რომელთაც მუდმივი საშტატო სტრუქტურა გააჩნდათ. 1918 წლის 31 დეკემბერს შეიმუშავეს ქართველ-მაჰმადიანთა ცხენოსანი დივიზიონი შტატის პროექტი რომლის მიხედვითაც დივიზიონში (დივიზიონის შტაბი, ორი ესკადრონი, მწყობრგარეთა კომანდა) ირიცხებოდა 370 კაცი; 368 ცხენი და 11 საზიდარი.[236] ოფიციალურად ცხენოსანი დივიზიონის შედგენის ბრძანება მხოლოდ 1919 წლის 29 ივნისს გაიცა სამხედრო სამინისტროს მიერ, მაგრამ ამავე წლის 9

[232] სცსა. ფურც 1969. აღწერა 2. საქმე 273. ფურც.15.
[233] სცსა. ფურც 1969. აღწერა 2. საქმე 273. ფურც.30.
[234] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 179. ფურც.105.
[235] 1921 წლის მიახლოებითი გამოთვლით საქართველოს მოსახლეობა 2 410 500 ადამიანს შეადგენდა. იხ: ვახტანგ ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბილისი: ,,მეცნიერება“, 1984, გვ.9.
[236] ქართველ-მაჰმადიანთა ცხენოსანი დივიზიონის შტატების პროექტი. ჟურნ. *„რესპუბლიკი ჯარი“.* N11, 1919წ. გვ.2-3.

აგვისტოს დივიზიონი გადაკეთდა ქართველ-მაჰმადიან მოხალისეთა ცხენოსან ესკადრონად , რომელშიც ირიცხებოდა 114 კაცი; 106 ცხენი და 4 საზიდარი.[237] თავდაპირველად არსებობდა იდეა დივიზიონის სრული დაშლისა, მაგრამ 1919 წელს შექმნილმა სამხედრო საბჭომ, პოლიტიკური მოსაზრებით გადაწყვიტა, რომ ერთი ესკადრონი მაინც დაეტოვებინა დივიზიონიდან.[238] 1920 წელს ესკადრონი ისევ ცხენოსან დივიზიონათ გადაკეთდა და 1920 წლის 9 სექტემბრისათვის დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის ცნობით დივიზიონი შედგებოდა ორი ცხენოსანი ესკადრონისა და ტყვიისმფრქვეველთა ასეულისაგან, სულ - 302 კაცი.[239] რესპუბლიკის პერიოდში ასევე შემუშავდა პირველი მსოფლიო ომის დროს, ცენტრალური სახელმწიფოთა მხარეს მებრძოლი ქართული ლეგიონის შტატი. შტატის მიხედვით ლეგიონში უნდა ყოფილიყო: შტაბი, 3 ქვეითი ასეული, 1 ტყვიისმფრქვეველთა ასეული; 1 სამუშაო ასეული. სულ: 526 კაცი; 50 ცხენი, 13 საზიდარი და 3 ტვიამფრქვევი.[240] ზოგიერთ შემთხვევაში ლეგიონის პირადი შეამდგენლობა აჭარბებდა შტატით გათვალისწინებულთა რაოდენობას. სომხეთ-საქართველოს ომში იარაღის საწყობებიდან გაცემული შაშხანების მიხედვით არჩილ ჩაჩხიანი ასკვნის, რომ ლეგიონში ომის დროს 640 კაცი ირიცხებოდა,[241] ლეგიონის მეთაური ლეო კერესელიძე კი წერდა, რომ მას ამ ომში 700 კაცი ყავდა.[242] 1919 წლის ივლისში, გენერალ ართმელაძის მიერ, გენერალური შტაბისადმი გაგზავნილი ტელეგრამიდან კი ირკვევა, რომ იმ დროისათვის ქართული ლეგიონი შედგებოდა 624 კაცისაგან.[243] ქართული ლეგიონის საბრძოლო ისტორიიდან გამოსარჩევია რაზმის არაოფიცალური სამხედრო ექსპედიცია ჩრდილო კავკასიაში, სადაც ქართველი მებრძოლები ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის ჯარებთან ერთად საერთო მტრის, დენიკინის წინააღმდეგ იბრძოდნენ 1919 წლის ზაფხულიდან 1920 წლის დასაწყისამდე.[244]

---

[237] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 98. ფურც.77-78.
[238] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 14. ფურც.1-2.
[239] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე412. ფურც.31.
[240] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 238. ფურც.2-3.
[241] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპასიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გვ.458.
[242] გიორგი მამულია . ლეო კერესელიძის Curriculum Vitae. ჟურნ. *„თანამემამულე“*, N3(24), 2007, გვ.15.
[243] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 238. ფურც.4.
[244] М. М. Вачагаев. Союз Горцев Северного Кавказа и Горская Республика. История несостоявшегося Государства 1917-1920. Москва: „Центрполиграф“, 2018 Стр.176-181; ლეო კერესელიძის Curriculum Vitae ჟურნ. *„თანამემამულე“,* გვ.16.

1919 წლის 19 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო სახალხო გვარდიის ახალი კანონი. კანონში ზუსტად გაიწერა გვარდიის რეგულარული ნაწილების სახელწოდებები, საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა და პირადი შემადგენლობის რაოდენობა. განისაზღვრა სარეზერვო ბატალიონების რაოდენობა, სახელწოდებები, თუ რომელ ოლქში უნდა შეკრებილიყვნენ და რომელი რაიონებიდან. ასევე დაზუსტდა ამ ბატალიონების მშვიდობიანი დროის შტატები. სარეზერვო ბატალიონების საომარი დროის შტატი კანონპროექტის დონეზე განისაზღვრა, რომელიც შეიმუშავა და დაამტკიცა გვარდიის მთავრმა შტაბმა და დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ. საბოლოოდ კი კანონის მიღების პროცესში, მაინც თავი შეიკავეს ამგვარი დაზუსტებისაგან, მაგრამ საფიქრებელია , რომ კანონპროექტში მითითებული რიცხვები ყველაზე ახლოს უნდა იყოს გვარდიის რეზერვის ბატალიონების სამობილიზაციო შესაძლებლობებთან. რადგანაც, კანონპროექტზე მუშაობისას, ეს რიცხვები, ბუნებრივია თავისით არ დაიბადებოდა და კონკრეტულ მონაცემებს დაეყრდნობოდა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ გვარდია ყველა ომის დროს ზუსტად კანონპროექტში განსაზღვრული რაოდენობის ჯარისკაცების გამოყვანას ახერხებდა ბრძოლის ველზე. ახალი კანონის მიხედვით, კიდევ უფრო დაკონკრეტდა გვარდიის მმართველობის დეტალები. სახალხო გვარდიის მმართველ ორგანოდ დარჩა მთავარი შტაბი, რომელიც შემდგებოდა 21 წევრისაგან. წევრებს ირჩევდა გვარდიის ყრილობა ერთი წლის ვადით და ამტკიცებდა მთავრობა, მთავარი შტაბი პირდაპირ ექვემდებარებოდა რესპუბლიკის მთავრობას მთავრობის თავმჯდომარის საშუალებით, მთავრობის სხდომებზე გვარდიის წარმომადგენელს ჰქონდა სათათბირო ხმა. წინა კანონისაგან განსხვავებით, მთავარ შტაბს ემორჩილებოდა საოლქო შტაბები, ხოლო ამ უკანასკნელს სარაიონო შტაბები. სარაიონო შტაბებს ერთი წლის ვადით ირჩევდა ადგილობრივ რაიონის გვარდიელთა საზოგადო კრება, ხოლო საოლქო შტაბს ამავე ვადით მთელი ოლქის გვარდილეთა კრება, რასაც საბოლოოდ ამტკიცებდა მთავარი შტაბი. ახალი კანონით, გვარდიის გაწვევის უფლება დარჩა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელსაც მთავარი შტაბის საშუალებით უნდა განეხორციელებინა მობილიზაცია, უკიდურეს შემთხვევაში ამ უფლებით შეიძლება ესარგებლა საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს და თვით მთავარ შტაბს, მაგრამ არა საოლქო და რაიონულ შტაბებს. თუ 1918 წელს გვარდიის

კანონის მიხედვით გვარდიაში სამსახური არ ათავისუფლებდა სამხედრო სამსახურიდან, 1919 წელს მიღებული კანონის თანახმად გვარდიის მუდმივი ნაწილების შევსება უნდა მომხდარიყო სამხედრო ბეგარისაგან თავისუფალ მოხალისეთა და ჯარში გასაწვევი ახალგაზრდებისაგან, რომლებიც ამ ნაწილებში იმსახურებდნენ ისეთივე პირობებში, როგორიც რეგულარულ ჯარში იყო.[245] 1920 წლის ოქტომბერში კი გვარდიის მეორე ყრილობამ გვარდიის კანონში საკანონმდებლო ორგანოსაგან დაუკითხავად შეიტანა ცვლილება, რომ უფლება ქონდა სამხედრო სამინისტროსაგან მოეთხოვა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვეული კონტიგენტის მაქსიმუმ 20 პროცენტი.[246] გვარდიის კანონში დაფიქსირებული და შემდეგ მეორე ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფაქტობრივად არ შესრულებულა, იმიტომ რომ 1919 წლის კონტიგენტის გაწვევა უკვე დასრულებული იყო. გვარდიას ამის მცდელობები გვარდიის კანონის მიღებამდეც ჰქონდა. 1919 წლის 21 ოქტომბერს გვარდიის წარმომადგენლებმა სამხედრო საბჭოში დააყენეს საკითხი გაწვეულთაგან 1000 კაცის გვარდიაში ჩარიცხვის შესახებ, საბჭომ გადაწყვიტა, რომ თუ არმიაში საკმარისზე მეტი ახალწვეული ჩაირიცხებოდა, მაშინ 1000 ახალწვეული ჩარიცხულიყო გვარდიის მუდმივ ნაწილებში, შესაბამისი შუამდგომლობა წარედგინა მთავრობას.[247] რეგულარულ ჯარს გაწვევამ არ მისცა იმდენი ჯარისკაცი, რომ გვარდიისათვის მიეცა 1000 კაცი, მაგრამ ამ უკანასკნელთ ის მაინც შეძლეს, რომ სამხედრო საბჭოს მიაღებინეს გადაწყვეტილება გვარდიაში უკვე მომსახურე ის ახალგაზრდები, რომლებსაც 1919 წლის გაწვევა უწევდათ, დროებით გვარდიაში დარჩენილიყვნენ.[248] მომდევნო 1920 წლის გაწვევისათვის გვარდიას თადარიგი უკვე დაჭერილი ჰქონდა და 1920 წლის 8 აგვისტოს გვარდიის მესამე კონფერენციის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო იმ გვარდიელთა აღწერა, რომლებსაც ნოემბრის თვეში სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევა უწევდათ, ასეთი პირები უნდა გამოცხადებულიყვნენ საოლქო შტაბებში და შემდეგ კი 1 სექტემბრამდე მთავარ შტაბში. ასევე სასურველად მიიჩნიეს აღეწერათ საიმედო

[245] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 365. ფურც.90.

[246] სახალხო გვარდიის მეორე ყრილობის რეზოლუციები. ჟურნ. *„სახალხო გვარდიელი“*. N4, 1921 წ. 1 თებერვალი. გვ.11. გაზეთში გამოქვეყნებულია, მხოლოდ გვარდიის მეორე ყრილობის რეზოლუციები თარიღის მითითების გარეშე. ცნობილია , რომ გვარდიის მეორე ყრილობა გაიმართა თბილისში 1920 წლის 24-26 ოქტომბერს. იხ. ვალიკო ჩუბინიძე. მოგონება. წ. 2. პარიზი.1953, გვ.127;162.

[247] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე. 32 ფურც.1.

[248] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე. 42 ფურც.1.

ახალგაზრდები, რომელთაც ჯარში გაწვევა უწევდათ და სურდათ ემსახურათ გვარდიულ ნაწილებში ჯარისკაცის პირობებში.[249] ნოემბრის გაწვევა 1921 წლის თებერვლისათვის გადაიდო და 5 თებერვალს გვარდიის მთავარი შტაბი, სამხედრო უწყებას თხოვდა 1900 წელს დაბადებულ გასაწვევ ახალგაზრდებს მუდმივი ნაწილებისათვის, ასევე 1900 წელს დაბადებულ გვარდიელებს რომლებსაც გაწვევა უწევდათ გვარდიის შტაბი აძლევდა არჩევანს, თუ სურვილი ქონდათ გადასულიყვნენ რეგულარულ ჯარში და თუ არა დარჩენილიყვნენ გვარდიაში ჯარისკაცის უფლებებით.[250] 1921 წლის თებერვლის გაწვევის პროცესში რესპუბლიკა თავის უკანასკნელ თავდაცვით ომში ჩაება საბჭოთა რუსეთთან და სამხედრო უწყებას ახალწვეულები გვარდიის მუდმივ ნაწილებში არ გაუგზავნია.[251]

გვარდია კიდევ უფრო იკრებდა ძალას და მეტი მოთხოვნებიც უჩნდებოდა. 1920 წლის ივლისში ბრიტანეთის მიერ ბათუმის ოლქის საქართველოსადმი დაბრუნების დროს, მთავარსარდალ გიორგი კვინიტაძის მიერ ბათუმში შესვლის დროს გვარდიის ნაწილებისადმი გამოჩენილმა უყურადღებობამ, როგორც ეს ვალიკო ჯუღელმა ჩათვალა, გვარდიის შტაბს 1920 წლის 30 ივლისს მიაღებინა გადაწყვეტილება რომ, რადგანაც საბრძოლო მოქმედებები ქვეყანაში აღარ მიმდინარეობდა მთავარსარდალს აღარ დაემორჩილებოდნენ და ყველა განკარგულებას მობილიზაციისა თუ დემობილიზაციის შესახებ გასცემდა მხოლოდ მთავარი შტაბი.[252] შტაბის ეს გადაწყვეტილება სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ, მთავარსარდალს თვითონ აჩვენა და სიცილით დაამატა, ამ ბავშვურ გამოხტომას ყურადღებას ნუ მიაქცევო, თავდაცვის საბჭომაც არ მიაქცია ყურადღება გვარდიის შტაბის ამ გადაწყვეტილებას.[253] შტაბის ამ გადაწყვეტილებამდეც და ამის შემდეგაც გვარდია მთავარსარდლისადმი ურჩობას არ იშლიდა. მაგალითად ამავე წლის 16 ივლისს მთავარსარდალმა კვინიტაძემ გვარდიის შტაბს თხოვა გვარდიის განკარგულებაში არსებული 500 შაშხანის დათმობა რომელიც არსენალში იყო შენახული, შტაბმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ თვითონ აპირებდნენ ქალაქის დამცველთა 1000 კაციანი

[249] სახალხო გვარდიის დელეგატთა მესამე კონფერენციის სხდომის დადგენილებები (1920 წლის 8 აგვისტო).ჟურნ. *,,სახალხო გვარდიელი“.* N4, 1921 წ. 1 თებერვალი. გვ.9.
[250] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე35. ფურც.34.
[251] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 173. ფურც.169-170.
[252] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე26. ფურც.81-82.
[253] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С. 235-236

რაზმის შექმნას.[254] 1921 წლის საბჭოთა რუსეთთან ომის წინ 8 თებერვალს, გენერალური შტაბი გვარდიის მთავარი შტაბს თბილისში მყოფი გვარდიის ნაწილების პირადი შემადგენლობის შესახებ ცნობა მოსთხოვა, გვარდიის შტაბმა კი საკითხი ღიად დატოვა და არ უპასუხა გენერალური შტაბს ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში.[255] 1920 წლის 24 ნოემბერს თავდაცვის საბჭომ დაადგინა (თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებამდეც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ყოველთვის თითქმის ასე იყო), რომ ყველა ფრონტზე მყოფი სახალხო გვარდიელები დაექვემდებარებოდნენ სათანადო ფრონტის უფროსს და ყველა განკარგულებაა სათანადოდ აღესრულებდნენ, ხოლო ფრონტის უფროსებს კი უნდა ემოქმედათ გვარდიის საველე შტაბის ან გვარდიის წარმომადგენელთან შეთანხმებით.[256] ფაქტობრივად ეს ქმნიდა საფრთხეს, რომ ფრონტის სარდალი საკუთარ გადაწყვეტილებაში შეზღუდულიყო და გვარდიის წარმომადგენელთან თანხმობის გარეშე გადაწყვეტილების მიღება გასჭირვებოდა. გვარდიის საველე შტაბთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეს იყო ამა თუ იმ ფრონტზე გვარდიის მთავარი შტაბის მიერ შექმნილი ორგანო, რომელსაც უშუალოდ ემორჩილებოდა იმ ფრონტზე მდგომი სახალხო გვარდიის ნაწილები.[257] დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი საკუთარ დღიურში 1920 წლის 23 აგვისტოს ჩანაწერში იხსენებდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასთან პირად საუბარს, სადაც თითქოს ჟორდანიამ სხვა თემიდან უცებ საუბარი გადაიტანა ჯარზე და თქვა, იგი უნდა გავაუქმოთ, დავტოვოთ გვარდია და საერთოდ ნუ იქნება საყოველთაო სამხედრო ბეგარაო. ჩხენკელი უგნურებად აფასებდა ჟორდანიას ამ აზრს, თავად კი იმავე წლის 27 ოქტომბერს დღიურში წერდა, რომ დაესწრო გვარდიის ყრილობას , გვარდიას დიდი ამაგი მიუძღოდა რესპუბლიკის წინაშე, ის უნდა დარჩენილიყო, მაგრამ შედუღაბებულიყო ჯართან, გვარდია კი იმ მომენტში მისი აზრით მოსჩანდა როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში, ხალხი გრძნობდა მის პრივილეგიებს, მისივე აზრით საჭირო იყო ახალწვეულები და რეზერვისტები 25 წლამდე ჯარში გაეწვიათ, ხოლო 25

[254] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 26. ფურც.39.
[255] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 35. ფურც.48.
[256] სცსა. ფოდნი 1969. აღწერა 4. საქმე 14. ფურც.15.
[257] სახალხო გვარდიის მეორე ყრილობის რეზოლუციები. ჟურნ. *„სახალხო გვარდიელი“.* N4, 1921 წ. 1 თებერვალი. გვ.12.

წლის ზემოთ გვარდიაში.[258] ემიგრაციაში ყოფნისას ჟორდანია გვარდიის შესახებ ამბობდა, რომ ეს იყო ძალა რომელსაც განსხვავებით გლეხებისგან დაკომპლექტებული ჯარისა რუსების არ ეშინოდა და პირველ რიგში სწორედ ასეთი მორალური ,,შეიარაღება“ იყო მნიშვნელოვანი.[259] ასევე ემიგრაციაში, 1921 წლის დეკემბერში პარტიათაშორის სხდომებზე ის ამბობდა, რომ დამოუკიდებლობის დროს როგორც მთავრობის თავმჯდომარე წინააღმდეგი იყო გვარდიის გაფართოების , მაგრამ განსაკუთრებული პირობების გამო ეს სტიქიურად ხდებოდა, სწორედ გვარდიის დამსახურება იყო, რომ საქართველო შიგნიდან ვერ ააფეთქეს და რომ არა გვარდია საქართველო არათუ 1921 წლამდე, არამედ შეიძლება 1918-1919 წლების მიჯნაზე დაცემულიყო, გვარდიის საქმე რევოლუციურ პერიოდში ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება უნდა ყოფილიყო და არა გარეშე მტერთან ბრძოლა, ასე უნდა ყოფილიყო საქართველოშიც თუ მას ძლიერი რეგულარული ჯარი რომ ეყოლებოდა, მომავალში კი როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგებოდა და ქვეყნის შიგნით ბოლშევიზმი საფრთხე არ იქნებოდა, დარჩებოდა მხოლოდ ერთი ჯარი და აუცილებლად რეგულარული.[260] ემიგრაციაში იგივე აზრზე დადგა ვალიკო ჯუღელიც, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჯარი ერთი იქნებოდა და უაღრესად დემოკრატიული.[261] რთულია მტკიცება, თავის დროზე აკაკი ჩხენკელმა ჟორდანიასთან პირადი საუბარში მთავრობის თავმჯდომარის აზრი არასწორად გაიგო ?; მიაწერა ის რაც მთავრობის თავმდჯომარეს არ უთქვამს ?; ან კი შესაძლოა ეს უბრალოდ მთავრობის თავმჯდომარის ,,ხმამაღალი“ ფიქრებიდან ერთ-ერთი იყო რომელიც აბასთუმანში სამკურნალოდ მყოფმა, მეგობართან პირად საუბარში გამოთქვა?; თუ უბრალოდ აზრი შეიცვალა საქართველოს ოკუპაციის შემდეგ?. ფაქტი ის იყო, რომ გვარდიას მართლაც დიდი დამსახურება ჰქონდა იმაში, რომ სახელმწიფო შიგნიდან ვერ ააფეთქეს , ასევე იზრდებოდა მისი ძალა და პარალელური სისტემების არსებობა თავდაცვის საქმეში კოორდინაციას ხელს ნამდვილად არ უწყობდა.

---

[258] აკაკი ჩხენკელი. დღიურები. წიგნი პირველი 1918-1921.. თბილისი: ,, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2021, გვ.284; 308-310.
[259] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 88. ფურც.4.
[260] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 44. ფურც.3, 32.
[261] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 64. ფურც.14.

1919 წლის დეკემბერში დამტკიცებული შტატების თანახმად გვარდიის შტაბებში სხვადასხვა პროფესიის 1096 ადამიანი მსახურობდა.[262] სახალხო გვარდია შედგებოდა: ა) მუდმივი ნაწილებისა და ბ) რეზერვისაგან. სანამ გვარდიის ქვედანაყოფების მუდმივი და სარეზერვი ნაწილების ზუსტ სახელწოდებებსა, ბატალიონების რაოდენობასა და შტატების შესახებ ვისაუბრებდე, მანამდე უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის ირგვლივ ძალიან განსხვავებული მონაცემები არსებობს მემუარულ ლიტერატურაში, რუსული დაზვერვის მასალებსა თუ ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ასახელებს 4 მუდმივ და 12 სარეზერვო ბატალიონს.[263] გვარდიის იმერეთის მეორე ბატალიონის მეთაური აკაკი კვიტაიშვილი კი ერთმანეთისაგან გამოყოფდა რეგულარულ ნაწილებს: საგანგებო ბატალიონი; სატყვიამფრქვევო ბატალიონი; საპიორთა (მესანგრეთა) ერთეული, საარტილერიო ბრიგადა (ექვსი ბატარეა); ჯავშან ავტომობილთა ერთეული, საბარგო ავტომობილთა ერთეული და ცხენოსანი პოლკი (ექვსი ესკადრონი) და 20 სარეზერვო ბატალიონს.[264] საქართველოს რეგულარული არმიის გენერალური შტაბის უფროსს ალექსანდრე ზაქარიაძეს კი გვარდიის მხოლოდ 24 სერეზერვო ბატალიონზე აქვს საუბარი საკუთარ მოგონებებში.[265] გენერალი ილია ოდიშელიძე კი წერდა, რომ გვარდიას მხოლოდ 17 ბატალიონის (თითოეულში არა უმეტეს 500კაცისა) და ცხენოსანთა სამი ესკადრონის მობილიზება შეეძლო.[266] საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის 1921 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, სახალხო გვარდია შედგებოდა: ერთი მუდმივი და 23 სარეზერვო ქვეითი ბატალიონისაგან. ცხენოსანი პოლკისაგან, რომელსაც ომის დროს მეორე ცხენოსანი პოლკი დაემატებოდა. ასევე სამი დივიზიონისაგან შემდგარი საარტილერიო ბრიგადისა (სულ 7 ბატარეა) და ტექნიკური ნაწილები: საინჟინრო, სარკინიგზო და ჯავშანავტომობილთა ასეულები.[267] საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში პავლე სიტინი კი თავის საიდუმლო მოხსენებაში სათაურით –

[262] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1.საქმე365. ფურც.91-93;101-106.
[263] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. გვ.149.
[264] აკაკი კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. ჟურნ: ,,განთიადი", ქუთაისი, N2 ,1990, გვ. 177.
[265] ალექსანდრე ზაქარიაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921). გვ. 242.
[266] ილია ოდიშელიძე. საქართველოს დამარცხების მიზეზები. გვ. 384.
[267] Материалы стратегической разведки РСФСР. Грузия. Данные о вооруженных силах и краткой обзор политического, економического и международного положения Грузии (По состоянию к 1 Января 1921 Г). с. 27-28.

,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები“ ქვეით ბატალიონების რიცხვს, საგანგებო ქვეითი და სარეზერვო ბატალიონების ჩათვლით 16 ერთეულით განსაზღვრავს. თითო ბატალიონის პირადი შემადგენლობის რაოდენობას კი 800-1000 კაცით, ხოლო სრულ სამობილიზაციო შესაძლებლობებს 15 000 გვარდიელით.[268] რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაწილი კი, ყოველგვარი წყაროს მითითების გარეშე განსაზღვრავს სახალხო გვარდიელთა მხოლოდ რიცხვს 34 400 ქვეითითა და 500 ცხენოსნით.[269] ქართული მხრიდან გვარდიის ორგანიზაციას პირველად ოფიცერი რომან მკურნალი შეეხო ნარკვევში – ,,მიზეზნი ჩვენი დამარცხებისა“, რომელიც 1934 წელს ბერლინში გამომავალ ქართულ პეიოდულ გამოცემა კლდის 2-6 ნომრებში დაიბეჭდა. ქართული ჯარის ყოფილი ოფიცერი წერდა, რომ გვარდიაში იყო 18 ქვეითი ბატალიონი (18 000 ხიშტი, თუმცა, მისი მონაცემებით, ქვეითი ნაწილები საბჭოთა რუსეთთან ომის დროს მხოლოდ 7000-8000 კაცს ითვლიდა), ცხენოსანი დივიზიონი (500 ხმალი, რეალურად კი 300), 1 საარტილერიო ბრიგადა, (2 დივიზიონი, 16 ზარბაზანი), ჯავშანმატარებელთა 1 დივიზიონი.[270] ისტორიკოსი მიხეილ ბახტაძე, ნაშრომში - ,,ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს“ გვარდიის ქვედანაყოფთა ჩამოთვლისას იმოწმებს აკაკი კვიტაიშვილის მონაცემებს, თუმცა ფრჩხილებში უთითებს, რომ სხვა მონაცემებით სარეზერვო ბატალიონების რაოდენობა 23-ს აღწევდა და არა ოცს.[271] ისტორიკოსი გიორგი ანჩაბაძე კი აღნიშნავს, რომ გვარდიაში იყო რეგულარული ნაწილების: ერთი ქვეითი ბატალიონი, ცხენოსანი პოლკი, საარტილერიო ბრიგადა,

---

[268] სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 5. ფურც.24-25; 32 - აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი საქართველოს შიარაღებული ძალების შესახებ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. გარდა რუსეთის სამხედრო ატაშეს ფონდისა ეს საქმე დაცულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ფონდში 1969. აღწერა 1. საქმე 670. უცნობია ეს არქივარიუსის შეცდომაა, თუ თავის დროზე ქართულმა დაზვერვამ ჩაიგდო ხელში ეს დოკუმენტი და ამიტომაც არის მოთავსებული სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის საქაღალდეში. ჩემი აზრით ამ დოკუმენტის მოკლე შინაარსი, გამოქვეყნებული აქვს მალხაზ მაცაბერიძეს. მართალია ის არ მიუთითებს საარქივო მონაცემს, მაგრამ წერს, რომ ქართული არმიის ხარვეზებზე მიუთითებდა საბჭოთა რუსეთის დაზვერვა . იხ: მალხაზ მაცაბერიძე. 1921 წლის გაკვეთილები: არმიის ბრძოლისუნარიანობა მის მშენებელთა გონიერებასა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. რუსეთ - საქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები. თბილისი: *,,პოლიტოლოგიის ინსტიტუტი“,* 2009, გვ. 5.

[269] А. Б Кадишев. Интервенция и гражданская война в Закавказе. . Москва: ,,Военное издателсьтво Министерства обороны Союза СССР“, 1960, с. 386.

[270] რომან მკურნალი. მიზეზნი ჩვენი დამარცხებისა. გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. VI, თბილისი: ,,მეცნიერება“ , 2005, გვ. 329.

[271] მიხეილ ბახტაძე. ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს. თბილისი: ,,უნივერსალი“, 2009, გვ. 17.

ტექნიკური ნაწილები და 23 სარეზერვო ქვეითი ბატალიონი.[272] ანჩაბაძე არ უთითებს, მისი მონაცემების წყაროს, თუმცა მისი მონაცემები ზუსტად ემთხვევა საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზრვერვის მონაცემებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორი სწორედ ამ წყაროს უნდა დაყრდნობოდა. რეალურად კი 1919 წლის დეკემბერში დამტკიცებული შტატების თანახმად სახალხო გვარდიის მუდმივ ნაწილებში ითვლებოდა: საგანგებო ქვეითი ბატალიონი; ცხენოსანი დივიზიონი; საგანგებო ტყვიისმფრქვეველთა რაზმი; ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდი; საინჟინრო გუნდი; ჯავშანმატარებელთა რაზმი და საარტილერიო ბრიგადა.

გვარდიის მუდმივი ნაწილების შტატი:

ქვედანაყოფები	პირადი შემადგენლობა
საგანგებო ქვეითი ბატალიონი (3 ქვეითი გუნდი; ტყვიისმფრქვეველთა მცირე გუნდი; მეკავშირეთა მცირე გუნდი)	538 კაცი; 47 ცხენი; 23 საზიდარი და 16 ტყვიამფრქვევი.
ცხენოსანი დივიზიონი (შტაბი; 2 ცხენოსანი ასეული; ტყვიისმფრქვეველთა მცირე გუნდი; მესანგრეთა მცირე გუნდი; ცხენოსან არტილერიის მწყობრი)	456 კაცი; 432 ცხენი; 18 საზიდარი; 12 ტყვიამფრქვევი და 2 ქვემეხი
საგანგებო ტყვიისმფრქვევლთა რაზმი	157 კაცი; 90 ცხენი; 7 საზიდარი და 20 ტყვიამფრქვევი
ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდი (გუნდის შტაბი; 2 ჯავშნოსან ავტომობილთა მწყობრი; მოტოციკლეტიან ტყვიისმფრქვეველთა მწყობრი; გარაჟი და სახელოსნო)	89 კაცი. 4 ჯავშანავტომობილი.; 4 საბარგო ავტომობილი და 12 მოტოციკლი
საინჟინრო გუნდი	77 კაცი; 6ცხენი და 5 საზიდარი
ჯავშნიანმატარებელთა რაზმი	114 კაცი. 2 ჯავშანმატარებელი.
საარტილერიო ბრიგადა - ხუთი ბატარეა (შტაბი; პარკი; ორი მსუბუქი;ერთი მორტირების და ორი სამთო ბატარეა)	612 კაცი; 471 ცხენი; 72 საზიდარი და 20 ქვემეხი
სულ:	**2043 კაცი; 1047 ცხენი; 4 ჯავშანმანქანა, 4 საბარგო ავტომობილი; 120 საზიდარი; 12 მოტოციკლი; 48 ტყვიამფრქვევი; 2 ჯავშანმატარებელი და 22 ქვემეხი**

273

1920 წელს გვარდიის მუდმივი ნაწილების პირად შემადგენლობაში მცირე ცვლილება მოხდა: საარტილერიო ბრიგადაში შემავალ ორ სამთო ბატარეის შტატს დაემატა 35-35 კაცი. იმის გამო, რომ საარტილერიო ბრიგადამ მიიღო ორი ახალი ჰაუბიცა და შეიქმნა ერთი ახალი საარტილერიო მწყობრი, ჯავშანმატარებელთა რაზმს კი მიემატა კიდევ ერთი ჯავშანმატარებელი.[274] ამავე წლის 10 დეკემბერს გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა მეოთხე ჯავშანმატარებლის აგების აუცილებლობა. მეორე დღესვე

[272] გიორგი ანჩაბაძე. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე).თბილისი: ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2010, გვ. 180-181.
[273] სცსა. ფონდი.1833. აღწერა.1. საქმე.365. ფურც. 95-100.
[274] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1036. ფურც. 18.

რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კიდევ ერთი ჯავშანმატარებელი მიეღო რაზმს შეიარაღებაში. ორი დღის შემდეგ გვარდიის მთავარმა შტაბმა, ვალოდია გოგუაძეს დაავალა თავი მოეყარა ყველა დაჯავშნული ვაგონისათვის და შეედგინა დროებითი ჯავშანიანი მატარებელი; ასევე შეემუშავებინა შტატი ამ მატარებლისათვის; გოგუაძეს მთავარი შტაბის წევრ ვარდოიანთან ერთად დაევალა დაუყოვნებლივ შედგომოდნენ მე-4 ჯავშნიანი მატარებლის გაკეთებას თავისი ორთქმავლით, ამავდროულად კიდევ ერთი ორთქმავალი უნდა გაეკეთებინათ სათადარიგოდ ყველა დანარჩენი ჯავშნიანი მატარებლისათვის.[275] შტატის პროექტის თანახმად ოთხივე მატარებელზე შტაბთან ერთად უნდა ყოფილიყო 336 კაცი.[276] 1920 წლის გაზაფხულზე, გვარდიას რუსეთის სამოქალაქო ომში დამარცხებული და საქართველოს ტერიტორიაზე ინტერნირებული „თეთრებისგან“ ხელში ჩაუვარდა ორი ამორტიზებული ორი ინგლისური ტანკი Mark-V. აღნიშნული ტექნიკა, შევიდა ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდში, რომელიც გადაიქცა ჯავშნოსან-საავტომობილო სატანკო დივიზიონად.[277] ამავე დივიზიონში ახალი პროექტის მიხედვით ჯავშანავტომობილების რაოდენობა გაიზარდა 6-მდე რადგანაც დაემატა ახალი მწყობრი, გაიზარდა სატვირთოებისა და მოტოციკლების რაოდენობაც.[278] 1920 წლის ნოემბრის ბოლოს გვარდიის შტაბმა გამოიტანა გადაწყვეტილება, ცხენოსან დივიზიონს დამატებოდა ერთი ასეული.[279]

სარეზერვო ბატალიონების მშვიდობიანობის პერიოდის კადრებისა და ომის დროის შტატები

ოლქები	რაიონები	ბატალიონის სახელწოდება	მშვიდობიანობის დროის შტატი	მობილიზებული ბატალიონების შტატი
თბილისის	ნაძალადევ-ერობის უბანი	1-ლი თბილისის	11 კაცი	600 კაცი
თბილისის	სადგურ-რკინიგზის და ვერის	მე-2 თბილისის	11 კაცი	600 კაცი
თბილისის	სართიჭალის, ავლაბრის და ნავთლუღის	მე-3 თბილისის	11 კაცი	600 კაცი

[275] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 29. ფურც.146; 155; სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე14.ფურც.26.
[276] სცსა. ფონდი 1970. არწერა 3. საქმე 14. ფურც.31.
[277] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 28. ფურც.160 - დივიზიონის პირადი შემადგენლობის ზუსტი შტატის შესახებ ინფორმაცია ვერ მოიძებნა, დამოწმებულ დოკუმენტში მხოლოდ ასეთი დივიზიონის არსებობაა დაფიქსირებული.
[278] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 14. ფურც.34-35.
[279] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 28. ფურც.176.

თბილისის	ბორჩალო, მანგლისის	მე-4 თბილისის	71 კაცი	750 კაცი
გარეკახეთის	საგარეჯო, მარტყოფის	გარეკახეთის	61 კაცი	არ არის ინფორმაცია
თელავის	თელავის, ალაზნის გაღმა, თიანეთის	1-ლი კახეთის	71 კაცი	600 კაცი
სიღნაღის	სიღნაღის, ერეთის და გურჯაანის	მე-2 კახეთის	71 კაცი	450 კაცი
დუშეთის	დუშეთის და ყაზბეგის	დუშეთის	81 კაცი	600 კაცი
გორის	გორის , ცხინვალის და ქვემოჭალის	1-ლი ქართლის	81 კაცი	750 კაცი
?	ხაშურის, ბროჯომის	მე-2 ქართლის	71 კაცი	600 კაცი
ახალციხის	ახალციხის და ახალქალაქის	ახალციხის	71 კაცი	450 კაცი
ქუთაისის	ქუთაისის, რაჭის, ჭრეხალოს და ლეჩხუმის	1-ლი იმერეთის	163 კაცი	750 კაცი
სამტრედიის	სამტრედიის, ხონის	მე-2 იმერეთის	71 კაცი	750 კაცი
შორაპნის	შორაპნის, ჭიათურის	მე-3 იმერეთის	61 კაცი	450 კაცი
სენაკის	სენაკის, აბაშა, ზანძა-ფოთის	1-ლი სამეგრელოს	83 კაცი	600 კაცი
?	ზუგდიდის და წალენჯიხის	მე-2 სამეგრელოს	59 კაცი	600 კაცი
სოხუმის	სოხუმის, გუდაუთის და საზმურზაყანოს	სოხუმის	71 კაცი	450 კაცი
ოზურგეთის	ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის	გურიის	18 კაცი	750 კაცი
სულ		18 ბატალიონი	1200 კაცი	10 350 კაცი

280

[280] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 365. ფურც 94 - აქ მოცემულია, მშვიდობიანობის დროის კადრები და ბატალიონების სახელწოდებები; სცსა. ფონდი.1970. აღწერა 2. საქმე 8. ფურც.12; ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 365. ფურც 4. - ამ ორ საქმეში მოცემულია ომის პერიოდის შტატები.

გვარდიის შტაბის სხვა პროექტის მიხედვით განსაზღვრული იყო სახალხო გვარდიის როგორც რეგულარული, ისე სარეზერვო ნაწილების მინიმალური სამობილიზაციო შესაძლებლობა ომის შემთხვევაში და ეს შეადგენდა 7750 ხიშტსა და 250 ხმალს.[281]

1920 წელს ბათუმის ოლქში ქართველების შესვლისა და ბრიტანელების გასვლის შემდეგ, გვარდიის სარეზერვო ბატალიონების სიაში შევიდა კიდევ ერთი რიგით მეცხრამეტე - ბათუმის ბატალიონი. ბათუმის სარეზერვო ბატალიონის მშვიდობიანი პერიოდის კადრი 1920 წლის სექტემბრის დასაწყისიდან განისაზღვრა 150 კაცითა და ერთი ტყვიისმფრქვეველთა რაზმით.[282] საინტერესოა, რომ ბათუმში გვარდიას ბატალიონი საიდუმლოდ ჯერ კიდევ ბრიტანელების იქ ყოფნისას ყავდა და როდესაც ოლქში ქართული ჯარი შევიდა გვარდიამ ბრიტანელების თვალწინ რამოდენიმე საათში 500-600 ხიშტი შეკრიბა, ბათუმის ოლქის ბრიტანელი სამხედრო გუბერნატორი გენერალი კუკ-კოლისი ფრიად გაკვირვებული დარჩა თუ როგორ გამოეპარა ეს ყველაფერი.[283] 1920 წლის 26 სექტემბერს, გვარდიის შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება ყველა სარეზერვო ბატალიონის მშვიდობიანი პერიოდის კადრი გაზრდილიყო 84 კაცამდე, ქუთაისის ანუ იმერეთის პირველი ბატალიონის კადრი კი 187 კაცამდე, ხოლო ბათუმის დარჩენილიყო 150 კაცის შემადგენლობით.[284] 1920 წლის დეკემბერში ბათუმის გვარდიის კადრს დაემატა ერთი საარტილერიო მწყობრი.[285] 1920 წლის სექტემბრის დასაწყისში, ხაშურისა და ზუგდიდის სარაიონო შტაბები საოლქო შტაბებად გადაკეთდა, სოხუმის ოლქში დაარსდა კიდევ ერთი გაგრის სარაიონო შტაბი, ქუთაისის ოლქში კი ტყიბულის სარაიონო შტაბი, ასევე დამატებითი სარაიონო შტაბი დაარსდა სამტრედიის ოლქში.[286] მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურის სარაიონო შტაბი ლამის ულტიმატუმის ფორმით ითხოვდა მთავარ შტაბს საოლქო შტაბის სტატუსს და შოროპნის საოლქო შტაბისაგან გამოყოფას,[287] მათი ეს მოთხოვნა სრულად არ დაკმაყოფილდა, მაგრამ ამავდროულად მიეცათ უფლება პირდაპირი კავშირი დაემყარებინათ მთავარ შტაბთან, საოლქო შტაბის გვერდის ავლით.[288] როგორც 1918

[281] სცსა.ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 14. ფურც.117.
[282] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე27 ფურც.46.
[283] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С. 208.
[284] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე27 ფურც.99.
[285] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე28 ფურც.176.
[286] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე27 ფურც.36.
[287] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე26 ფურც.51 ჭიათურელები საერთოდ გვარდიიდან წასვლით იმუქრებოდნენ.
[288] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე27 ფურც.36.

წელს, 1919 წლიდანაც გვარდიის სარეზერვო ბატალიონები ტერიტოროიული პრინციპით კომპლექტდებოდა, სათადარიგო გვარდიელებს შტაბისგან იარაღი ჰქონდათ მიბარებული და მობილიზაციის გამოცხადებიდან სწრაფადვე 24-48 საათში უნდა გამოცხადებულიყვნენ საკუთარ ბატალიონებში.

აღსანიშნავია, რომ ქართველ სამხედრო პირთა მემუარებში ხშირ შემთხვევაში, გვარდიის ბატალიონებს მოიხსენიებენ არა ოფიციალური სახელწოდებით არამედ გასაწვევი ადგილის მიხედვით, იგივე შეიძლება ითქვას რუსული დაზვერვის შესახებ. მაგალითად აკაკი კვიტაიშვილი სამეგრელოს მეორე ბატალიონს უწოდებდა – ზუგდიდის ბატალიონს, ხოლო ქართლის პირველ და მეორე ბატალიონებს – გორისა და ხაშურის ბატალიონებად მოიხსენიებდა, ისევე როგორც გენერალი მაზნიაშვილი.[289] გვარდიის ბატალიონებს არაოფიციალურ თუ ოფიციალურ საუბარსა და მიმოწერაში ზოგჯერ ორნაირი სახელწოდებითაც მოიხსენიებდნენ ხოლმე. ალბათ სწორედ ამან შეიყვანა რუსული სტარატეგიული დაზვრევა შეცდომაში, როდესაც იმერეთის II და სამტრედიის ბატალიონები ცალ-ცალკე აქვთ შეტანილი ჩამონათვალში, ისევე როგორც: იმერეთის III და შორაპნის, კახეთის I და თელავის, კახეთის II და სიღნაღის. ხოლო გურიის ერთი ბატალიონის ნაცვლად, ჩამონათვალში შეტანილია ორი ბატალიონი.[290] რუსეთის სამხედრო ატაშე კი მის მიერ ჩამოთვლილი ბატალიონების უმრავლესობას გაწვევის რაიონის მიხედვით მოიხსენიებდა.[291] მთლიანობაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გვარდიის სამობილიზაციო შესაძლებლობები დაახლოებით 15 000 კაცის მიდამოებში ტრიალებდა.

1920 წლის 27 აპრილს განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, რაშიც წითელი არმიის ამიერკავკასიაში , კერძოდ აზერბაიჯანში შეჭრა იგულისხმებოდა მთავრობის გადაწყვეტილებით დაარსდა - ,,რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო". საბჭოს დაარსების მიზანი იყო, სამხედრო ზომების ერთიანი სახით ცხოვრებაში დაუყოვნებლივ გატარების უზრუნველყოფა. საბჭოს დებულების თანახმად მისი მიზანი იყო,

---

[289] აკაკი კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ, გვ. 125; გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 160.

[290] Материалы стратегической разведки РСФСР. Грузия. Данные о вооруженных силах и краткой обзор политического, економического и международного положения Грузии (По состоянию к 1 Января 1921 Г). стр. 28.

[291] სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 5. ფურც. 24. პავლე სიტინი ჩამონათვალში მოიხსენეიებს შულავერის ბატალიონს, რომელიც სინამდვილეში თბილისის მეოთხე ბატალიონია, რადგანაც მეოთხე ბატალიონში გვარდილებს იწვევდნენ მანგლისისა და ბორჩალოს გვარდიის რაიონებიდან, ბორჩალოს რაიონში კი შულავერიც შედიოდა.

შეიარაღებულ ძალთა და საშუალებათა გასაძლიერებლად საერთო ზომების შემუშავება, სამხედრო თავდაცვის საფუძველთა დადგენა და საომარი გეგმის დამტკიცება. საბჭოს თავმჯდომარეობდა მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო წევრები იყვნენ სამხედრო მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, გარეშე საქმეთა მინისტრი, ჯარის სარდალი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე და კიდევ ერთი გამოცდილი სამხედრო პირი. საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღებოდა ხმათა უმრავლესობით, თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავმჯდომარის ხმას.[292] აპრილში შექმნილი საბჭო აგვისტოს ბოლოს დაიშალა, მაგრამ იმავე წლის 11 ნოემბრიდან აღდგა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვამდე ფუნქციონირებდა.[293] თავდაცვის საბჭო , ქვეყნის თავდაცვის ზოგადი პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანო გამოდიოდა, რომელიც ამ მიზნით უწყებების კოორდინირებულად მუშაობა უნდა უზრუნველეყო. რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებდა საბჭო, მისი სხდომების ლაკონური ოქმები სადაც ძირითადად დასმული საკითხია ფორმულირებული და მიღებული გადაწყვეტილებებია მოკლედ მოცემული, არ იძლევა დარწმუნებით ბევრი რამის თქმის საშუალებას, თავად გენერალი კვინიტაძე კი , საკუთარ ტენდენციურ მემუარებში უარყოფითად აფასებდა საბჭოს მუშაობას და წერდა, რომ ეს ორგანოს სამხედრო მოქმედებების წარმართვაში ჩარევას ცდილობდა. კვინიტაძისავე აზრით სამხედრო საბჭო დირექტივების შეემუშავებელ და გამცემი ორგანოს ნაცვლად, გადაიქაც ისეთ ორგანოთ რომელიც ყველა დეტალში ჩაჭვრეტას ცდილობდა და ამით კოორდინაციაც ირღვეოდა, საბჭოს სხდომებზე არცთუ იშვიათი იყო უმიზნო კამათი და ქვეყნის უმაღლეს სამხედრო და პოლიტიკურ პირთა შორის ურთიერთობის დაძაბვის შემთხვევებიც.[294]

ერთია შტატები და სამობილიზაციო რესურსი, მაგრამ საინტერესო და მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა სინამდვილეში რა რაოდენობის სამხედრო ირიცხებოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1919 წლის მეორე ნახევრიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.

---

[292] სცსა. ფონდი1861. აღწერა 3. საქმე 20. ფურც.130-131 .
[293] სცსა. ფონდი1861. აღწერა 3. საქმე 20. ფურც.271-272; 349.
[294] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С.230-235.

1919 წლის საშემოდგომო გაწვევის დროს გასაწვევთა სიაში შეტანილი იყო 21 000 ახალგაზრდა, აქედან მიმღებ კომისიებში გამოცხადდა მხოლოდ 15 000, საიდანაც 3 000 1919 წლის 20 მაისის კანონის ძალით ანუ ოჯახის ერთადერთი მარჩენალის სტატუსის გამო გათავისუფლდა, ამდენივე კი სხვადსხვა ავადმყოფობის მიზეზით, რეალურად კი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში 9 000 კაცი გაიწვიეს.[295] ამას თან ერთვოდა დეზერტირობის დიდი პრობლემა. საქმე ისე რთულად იყო, რომ 1920 წლის თებერვალში ჯარის შტატს 8 000-მდე კაცი ანუ თითქმის ნახევარი აკლდა.[296]

1920 წლის გაზაფხულზე არმიას საომარი დროის შტატზე გადასვლა მოუწია , ამის მიზეზი , საბჭოთა რუსეთის მიერ დენიკინის განადგურება, ჩრდილოკავკასიისა და ყუბანისპირეთის დაკავება და რაც მთავარია აპრილის ბოლოს მეთერთმეტე წითელი არმიის შემოსვლა ამიერკავკასიაში და აზერბაიჯანის გასაბჭოება , აზერბაიჯანის შემდეგ კი საქართველოს დაპყრობის მცდელობა იყო. მოახლოებულ საფრთხეს საქართველოში სათანადოდ აფასებდნენ, 18 აპრილს სამხედრო სამინისტროს შიდა დოკუმენტაციით ირკვევა, რომ იგეგმებოდა ნაწილობრივი მობილიზაცია რაც რეგულარული ჯარის 30 000 კაცამდე და გვარდიის 10 000 კაცზე აყვანას გულისხმობდა.[297] 21 აპრილს კი გვარდიის შტაბი სამხედრო საბჭოს აცნობდა, რომ საომარი მდგომარეობისა და გვარდიის ფართო მობილიზაციის გამო იგეგმებოდა ტანსაცმლისა და კარვების მომზადება 15 000 გვარდიელისათვის.[298] 27 აპრილს გამოცხადდა 1888; 1889; 1894 და 1895 წლებში დაბადებულ სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცთა მობილიზაცია.[299] მაისის დასაწყისში აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე დაიწყო შეტაკებები წითელ არმიასა და ქართულ ჯარს შორის. 5 მაისს სრული მობილიზაცია გამოაცხადა გვარდიამ.[300] ქართულმა ჯარმა მოწინააღმდეგის შეჩერება და დამარცხება მოახერხა. იმდროინდელი მთავარსარდლის , გენერალ კვინიტაძის მოგონების თანახმად მობილიზაციის შემდეგ მის განკარგულებაში იყო 40 000-ზე მეტი ხიშტი.[301] კვინიტაძე არ აკონკრეტებს ამ რიცხვიდან რამდენი კაცი იყო რეგულარული ჯარიდან და რამდენი სახალხო გვარდიიდან, თუმცა ამას არსებითი

[295] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 101. ფურც.12
[296] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 144. ფურც. 91
[297] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 395. ფურც.33.
[298] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 57. ფურც.207.
[299] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 20. ფურც.131.
[300] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 32. ფურც.109-112.
[301] გიორგი კვინიტაძე. ჩემი პასუხი. პარიზი: „არჩილ მეტრეველის სტამბა“, 1954, გვ.14.

მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 40 000-ზე ხიშტი არ ნიშნავდა, რომ შეიარაღებული ძალების სრული რიცხვი მხოლოდ 40 000-ზე მეტი იყო, ,,ხიშტებში" არ იგულისხმებოდნენ არტილერისტები, ცხენოსნები, საინჟინრო და სხვა ტექნიკური ნაწილები, ზურგის სამსახურები და ა.შ., რაც სრულად მობილიზებული სამხედრო ძალის რიცხვს კიდევ უფრო გაზრდიდა. 1920 წლის 16 აგვისტოს გენერალური შტაბის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრთან გაგზავნილი ცნობით ირკვევა, რომ ბოლშევიკებთან ომში სულ 75 000 კაცი იყო მობილიზებული.[302] ბუნებრივია ჯარის ამ რაოდენობაში ყველა სამწყობრო ნაწილის ჯარისკაცი არ იყო და აქ ზურგის ნაწილებიც იგულისხმება. მთლიანობაში ეს იყო სამხედროთა ყველაზე დიდი რიცხვი, რაც კი ოდესმე შეუკრიბავს საქართველოს რესპუბლიკას. თუმცა ასევე ეს იყო დროის მონაკვეთი როდესაც ქართულ ჯარს მისი არსებობის სამწლიან პერიოდში ყველაზე მეტად აკლდა იარაღი და საბრძოლო მასალა. ქართული ჯარი მობილიზებულ მდგომარეობაში მთელი ზაფხულის განმავლობაში იმყოფებოდა, გორის მაზრაში საბჭოთა რუსეთის მიერ ორგანიზებული ოსი ბოლშევიკების აჯანყებისა და ბათუმიდან ბრიტანელების გასვლისა და იქ ქართული ნაწილების შესვლის გამო. გენერალური შტაბის მონაცემებით, 1920 წლის 25 აგვისტოსათვის ქართულ არმიაში (ოფიცრების, სამხედრო სასწავლებლისა და ზურგის ნაწილების გამოკლებით) ირიცხებოდა - 37 800, ხოლო სახეზე იყო – 25 891 ჯარისკაცი.[303] რეალურად ამ სიაში შეყვანილი ჯარისკაცების ნაწილი, კერძოდ 1888 და 1889 წელს დაბადებული სათადარიგო ჯარისკაცები 5 აგვისტოდან ორთვიან შევულებაში იყვნენ წასულნი.[304] აგვისტოს ბოლოდან რეგულარული არმიიდან დაიწყო სათადარიგო ჯარისკაცთა დემობილიზაციის პროცესი. რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ 1920წლის 27 აგვისტოს დაადგინა, რომ 1894-1895 წლებში დაბადებული სათადარიგო ჯარისკაცები, 5 სექტემბრიდან ორთვიან შვებულებაში გაეშვა.[305] მოგვიანებით,

---

[302] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 238. ფურც.28.

[303] სცსა. ფონდი.1969 აღწერა.2 საქმე 146 ფურც.3; მიხეილ ბახტაძე, ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს. გვ.20, 94-95. მიხეილ ბახტაძეს უწერია, რომ არმიაში სიით ირიცხებოდა 37 667 ჯარისკაცი. რამ გამოიწვია ეს უმნიშვნელო ცდომილება? საქმე იმაშია, რომ დოკუმენტში, მეორე ათასეულის ჯარისკაცთა საერთო გრაფაში ჩაწერილია 1967 კაცი, რაც შეცდომაა, რადგანაც ამ ათასეულში ჩარიცხული სხვადასხვა ასაკის ჯარისკაცთა ჯამი უდრის 2176-ს. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში ზოგიერთი შენაერთის მონაცემი ბუნდოვნადაა აღნიშნული და ზოგიერთი მათგანი გადასწორებულია, ამიტომაც მათგან ნამდვილი რიცხვის დადგენა მხოლოდ თითოეულ ამ ქვედანაყოფში შემავალ სხვადასხვა ასაკის ჯარისკაცთა რიცხვის შეკრებითაა შესაძლებელი.

[304] სამობილიზაციო განცხადება. გაზ. *,,ერთობა".* N171, 1920წ. 31ივლისი.გვ.3.

[305] თავდაცვის საბჭოში. გაზ. *,,საქართველოს რესპუბლიკა".* N195, 1920წ. 29აგვისტო. გვ.3.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წლის ნოემბერში 1894-95 წლებში დაბადებულთ შვეულების ვადა გაუგრძელა, მანამდე სანამ სამხედრო სამინისტრო ამ ასაკში დაბადებულთა გაწვევის საჭიროებას დააყენებდა.[306] ოქტომბერში - 1888-1889 წლებში დაბადებულთ შვებულების ვადა კიდევ ორი თვით გაუგრძელდათ, ხოლო 8 ოქტომბერს გენშტაბის უფროსი ზაქარიაძე მიუთითებდა, რომ ამ წლებში დაბადებულ ჯარისკაცთა შვებულების ვადა უნდა გაგრძელებულიყო განსაკუთრებულ განკარგულებამდე.[307] 1920წლის 1 დეკემბრიდან თადარიგში გადაირიცხნენ 1896 წელს დაბადებული სათადარიგო ჯარისკაცებიც.[308]

სამხედრო უწყება ემზადებოდა 1920 წლის 15 ნოემბერს დაეწყო, 1900 წელს დაბადებულ ახალგაზრდათა გაწვევა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. გასაწვევთა სიაში შეყვანილი იყო 18 924 წვევამდელი, აქედან 3288 იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, ხოლო 472 სკოლის მოსწავლე. გაწვევას ექვემდებარებოდა – 15 164 ახალგაზრდა. ჯარს კი გენშტაბის მონაცემებით ჭირდებოდა 17 121 ახალი ჯარისკაცი.[309] ახალგაწვეულთა ხარჯზე თადარიგში უნდა გადაერიცხათ ის ჯარისკაცები, რომელთაც სავალდებულო სამსახური უკვე დასრულებული ჰქონდათ, მაგრამ მათი შემცვლელებისა არყოფნისა და საომარი საფრთხის გამო ჯერ კიდევ ვერ უშვებდნენ სახლში. ახალგაზრდების გაწვევა სომხეთის რესპუბლიკაზე, მუსტაფა ქემალის თურქეთის შეტევის ახალმა ფაზამ და ალექსანდროპოლის აღებამ ჩაშალა. საქართველოს საზღვრების სიახლოვეს თურქების აქტიური საბრძოლო მოქმედებები საფრთხეს უქმნიდა საქართველოსაც, რომელსაც მეზობელ სახელმწიფოში რეალური ძალაუფლების მქონე მუსტაფა ქემალთან საზღრების საკითხი არ ჰქონდა შეთანხმებული. მოკლევადიან პერსპექტივაში ასევე არსებობდა საბჭოთა რუსეთის შემოჭრის საფრთხე და ამიტომ ახალწვეულთა ნაცვლად რომელთა გაწრთვნასაც 6 კვირა ჭირდებოდა, გადაწყვიტეს გაეწვიათ 1890-1893 წლებში დაბადებული სათადარიგო ჯარისკაცები და გვარდიელები.[310] 1920 წლის აპრილიდან აგვისტოს ჩათვლით მობილიზებულმა შეიარაღებულმა ძალამ, რესპუბლიკას დიდი რესურსი წაართვა და სახელმწიფოს 1920 წლის ნოემბერში ახალწვეულთა და სათადარიგოთა

[306] სცსა. ფონდი1969. აღწერა2. საქმე84. ფურც.419.
[307] სცსა. ფონდი1969. აღწერა2. საქმე84. ფურც. 350; 355.
[308] სცსა. ფონდი1969. აღწერა.2.საქმე.84. ფურც.454.
[309] სცსა. ფონდი1969. აღწერა.2. საქმე.173. ფურც.113.
[310] მობილიზაცია. გაზ. *„ერთობა“*. N257, 1920 წ.11 ნოემბერი. გვ.1-2.

ერთდროულად გაწვევა შესაბამისი რაოდენობის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, იარაღის , მოუწესრიგებული ყაზარმებისა თუ ფინანსური პრობლემების გამო არ შეეძლო. მობილიზაციისათვის გამოიყო 2 მილიარდი მანეთი.[311]

გენერალური შტაბის ცნობით მობილიზაციის გამოცხადებიდან 6 დეკემბრამდე სამხედრო ნაწილებს სამხედრო აღიცხვის ნაწილების უფროსებისაგან მიღებული ყავდათ 17 199 ჯარისკაცი, სამხედრო აღიცხვის ნაწილების უფროსებს ჯარის ნაწილებში გადაგზავნილი ყავდათ 20 278 ჯარისკაცი და 66 ოფიცერი.[312] თუ ნაწილებში გაგზავნილ ჯარისკაცთა სრული რაოდენობა ვერ მივიდა სამხედრო ნაწილებამდე, ეს გასაკვირი არ არის, რადგანაც გაუმართავი სისტემის გამო ასეთი შემთხვევები არ იყო უცხო საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის, აღსანიშნავია, რომ მეორე მონაცემი - რიცხვი გადაგზავნილი ჯარისკაცებისა, 6 დეკემბრის შემდეგი პერიოდისაა, მაგრამ რადგანაც მობილიზაცია 25 ნოემბერს დასრულდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ გადაგზავნილი ჯარისკაცების მხოლოდ მცირე ნაწილი თუ დაემატა 6 დეკემბრის შემდეგ სამხედრო ნაწილებში მიღებულთა რიცხვს. საბჭოთა რუსეთთან ომის დასაწყისისათვის სათადარიგო ჯარისკაცთა ამ რაოდენობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა, რადგანაც ნოემბრიდან 1921 წლის იანვრის პირველი ნახევრის ჩათვლით ჯარიდან გაიქცა 2134 მობილიზაციით გაწვეული სათადარიგო ჯარისკაცი.[313] დეზერტირობა იანვრის მეორე ნახევარსა და თებერვლის დასაწყისშიც არ შემწყდარა, რამაც კიდევ უფრო შეამცირა მათი რიცხვი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა რუსეთთან 1921 წლის ომის დაწყების წინ 1890-1893 წლებში დაბადებულ სათადარიგო ჯარისკაცთაგან დაახლოებით 15 000-მდე ირიცხებოდა რეგულარულ ჯარში.

1921 წლის სამ იანვარს, მთავარსარდალმა გენერალმა ილია ოდიშელიძემ და გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ალექსანდრე ზაქარიაძემ მთავრობას და თავდაცვის საბჭოს წარუდგინეს მოხსენება, სადაც წერდნენ რომ იმ დროისათვის ქართულ ჯარში 25 000 ხიშტი იყო,[314] ამას თუ ჩვენ დავუმატებთ არტილერისტებს, ცხენოსნებს, ტექნიკურ და ზურგის ნაწილებს მთლიანი ჯარის რაოდენობა 30 000 კაცს

[311] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 20. ფურც.349.
[312] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 148. ფურც.509.
[313] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 173. ფურც.87.
[314] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 18. ფურც.7.

მნიშვნელოვნად აცდება. მოხსენებაში პირდაპირ არ ჩანს გენერლები მხოლოდ რეგულარულ ჯარს გულისხმობდნენ, თუ ჯარს და გვარდიას ერთად. საბჭოთა რუსეთთან და ქემალისტურ თურქეთთან მოსალოდნელი ომის გამო, გენერლები საკუთარ მოხსენებაში საჭიროდ მიიჩნევდნენ არმიის რიცხვის გაზრდას 60 000 მებრძოლამდე, ხოლო ზურგის ნაწილების ჩათვლით - 75 000 კაცამდე. მათი აზრით ამისათვის საჭირო იყო იყო 1920 წლის ნოემბერში ვერგაწვეული 1900 წელს დაბადებულ ახალგაზრდათა კონტიგენტის , სათადარიგო ჯარისკაცთა და გვარდიის სრულ მობილიზება.[315] რეალურად მოხდა საწინააღმდეგო რამ და საქართველოს თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებით, ყველა ის ნამდვილი სამხედრო სამსახურის ჯარისკაცი, რომელიც არმიაში შევიდა 1918 წლის 15 ნოემბრამდე, გადაირიცხა სათადარიგოდ და ჯარიდან დაითხოვეს, ხოლო ისინი ვინც 1918 წლის 15 ნომებრის შემდეგ ჩაირიცხნენ ჯარში , იმსახურეს დადგენილი დროის განმავლობაში - ფორმალურად გადაირიცხებდნენ სათადარიგოებად, მაგრამ რჩებოდნენ ჯარში.[316] თავდაცვის საბჭოს სხდომის 3 იანვრის ლაკონური ოქმის გარდა, ამ სხდომის შესახებ საკუთარ მემუარებში, იმ დროისათვის თბილისის გარნიზონის მეთაური გენერალი გიორგი მაზნიაშვილი წერს: ,,სხდომა გახსნა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, რომელიც სამხედრო კომისიის თავმჯდომარეც იყო. მან წარუდგინა კრებას სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოთხოვნილება, რათა დათხოვნილ იყოს უვადო შვებულებაში ყველა ჯარისკაცი, რომელმაც იმსახურა ჯარში ორი წელიწადი და მეტი. გვარდია თავის მოთხოვნილებას ასაბუთებდა იმით, რომ ადგილებიდან, ე.ი. რაიონებიდან შემოდის დაჟინებითი თხოვნები დათხოვნილ იქნენ ყველანი ვინც კი ზემოაღნიშნული ვადა შეასრულაო.”[317]

ორ წელს ნამსახურები ჯარისკაცების დათხოვნის წინააღმდეგ გამოვიდნენ გენერლები. ისინი თვლიდნენ, რომ ამით არმია უნტერ-ოფიცრების გარეშე დარჩებოდა, რაც დასწევდა არმიის ბრძოლისუნარიანობას. სახალხო გვარდიის წარმომადგენლებმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვალმა საკუთარი გაიტანეს და გადაწყდა არმიაში ორ წლის ან უფრო მეტი დროით ნამსახურები პირები გაეთავისუფლებინათ შეიარაღებული ძალებიდან. ნოე რამიშვილი ამ გადაწყვეტილებას ასაბუთებდა იმით, რომ მას გააჩნდა ცნობები, თუ ამ კატეგორიის

[315] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 18. ფურც.7-12.
[316] სცსა.ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 14. ფურც.38-39.
[317] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. გვ.152.

ჯარისკაცებს არ გაუშვებდნენ უვადო შვებულებაში, ჯარებში გაჩნდებოდა მღელვარება და მაშინ იგი ამაზე პასუხისმგებლობას ვეღარ აიღებდა. ჯარში მღელვარების არსებობა ჯარისკაცებს შორის გენერლებმა უარყვეს, თუმცა ამით არაფერი შეიცვალა.[318] მღელვარების ნიშნები მართლაც არსებობდა ჯარში, რისი დასტურიც გახლდათ ის ფაქტი, რომ 1920 წლის 10 ნომებრიდან 1921 წლის იანვრამდე ჯარიდან გაიქცა 2707 ჯარისკაცი.[319] თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნე ამ დეზერტირთაგან 2134 სათადარიგო ჯარისკაცი იყო. მღელვარების არსებობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 1920 წლის თებერვალში, ის ჯარისკაცები, რომელთაც იმსახურეს დადგენილი ვადით რეგულარულ ჯარში, კითხულობდნენ თუ რატომ არ უშვებდნენ მათ ჯარიდან და მშობლებთან ერთად აცხადებნენ უკმაყოფილებას ამის გამო. [320] კიდევ ერთი და ალბათ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თუ რატომ დაითხოვეს რამდენიმე ათასი ჯარისკაცი მოახლოებული საფრთხის წინ კარგად აქვს ახსნილი საკუთარ მემუარებში გენერალური შტაბის უფროსს გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძეს. ზაქარიაძის ინფორმაციით, ნოემბრის დასაწყისიდან სარწმუნო წყაროებიდან ქონდათ ინფორმაცია, რომ საქართველოზე რუსული არმია იერიშს მიიტანდა დეკემბრის შუა რიცხვებამდე, 10-12 დეკემბერს მიიღეს ცნობა, რომ იერიში შესაძლოა გადადებულიყო, ხოლო 28 დეკემბერს მათ ხელში ჩაუვარდათ მეთერთმეტე წითელი არმიის სარდლის ანატოლი ჰეკერის გეგმა. ზაქარიაძე წერს, რომ ჰეკერი 1920 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში სხვა ღონისძიებებთან ერთად ითხოვდა დამატებითი დივიზიების მიღებას, რასაც მისი აზრით 2-3 თვე დასჭირდებოდა ამასობაში გაზაფხულიც მოვიდოდა, გზებიც გაშრებოდა. ამ მოხსენებიდან ქართველმა გენერლებმა დაასკვენს, რომ იერიში დაიწყებოდა დაახლოებით 1921 წლის 1 აპრილს .[321] მართლაც მე-11 ამრიის სარდალი ანატოლი ჰეკერი საქართველოს წინააღმდეგ ომისთვის ითხოვდა 6 ქვეით და 5 საკავალერიო დივიზიას , რაც მას იმ დროისათვის არ ყავდა თუმცა მის მოხსენებაში საუბარი არაა არც დროზე და არც გზების გაშრობაზე,[322] ეს ალბათ თავად ქართველმა სამხედროებმა დაასკვნეს და ზაქარიაძეს

[318] მაზნიაშვილი. გვ.153.
[319] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 173. ფურც.87.
[320] სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 104. ფურც.204.
[321] ალექსანდრე ზაქარიაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921 წწ). გვ.274-277.
[322] გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება. მიხეილ რეხვიაშვილი. რუსეთ- საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი. ჟურნ. *,,განთიადი“.* ქუთაისი. N2,1990 გვ. 137 - ჰეკერი გენერალი არ ყოფილა, ამ პერიოდის საბჭოთა

ემიგრაციაში მთლად ზუსტად არ ახსოვდა ეს ჰეკერის ,,პლანში“ ეწერა თუ თავად დაასკვნეს მისი მოთხოვნებიდან გამომდინარე. გენერალ ზაქარიაძეს ეს ახსნა თავის გასამართლებლად ემიგრაციაში , რომ არ მოუგონია აკაკი ჩხენკელის დღიურის 1921 წლის 14 მარტის ჩანაწერიც მოწმობს, სადაც იგი წერს, რომ თბილისიდან ევროპაში წასვლის წინ, რაც იანვრის ბოლოს მოხდა, გენერალმა ზაქარიაძემ მას უთხრა, რომ ორი თვე მშვიდად ძილი შეიძლებოდა, რადგანაც ბოლშევიკებს აზერბაიჯანსა და სომხეთში მცირე ძალები ჰყავდათ.[323] ქართველი გენერლების გათვლით წითლებს შეტევისთვის საჭირო ძალები მხოლოდ აპრილის დასაწყისისთვის თუ ეყოლებოდათ. ეს გათვლა ერთი მხრივ სწორი იყო, რადგანაც ჰეკერს თებერვლისთვის როდესაც საბჭოთა რუსეთის ჯარები საქართველოში შეიჭრა არ ჰყავდა დეკემბერში მის მიერ მოთხოვნილი ძალა, მაგრამ მეორე მხრივ არასწორი გამოდგა, რადგანაც ჰეკერის ეს მოთხოვნა არ გამოდგა გადამწყვეტი ფაქტორი ომის დაწყება-არდაწყებისთვის.

ამ მიზეზების გამო გადაწყდა არმიიდან იმ ჯარისკაცთა დათხოვნა, ვინც სამხედრო სამსახურში შევიდა 1918წლის 15 ნოემბრამდე, სამაგიეროდ 6-დან 15-თებერვლის ჩათვლით სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაეწვიათ 1900 წელს დაბადებულთა კონტიგენტი, მათ შორის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი პირებიც.[324] მობილიზაციისათვის დამატებით გამოიყო 3 მილიარდი მანეთი.[325] ამ ახალგაზრდათა გაწვევა დაგვიანებული აღმოჩნდა, რადგანაც მათ გაწრთვნას ექვსი კვირა სჭირდებოდა, რაც სრულიად საკმარისი და გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ ომი მართლაც აპრილში დაიწყებოდა, მაგრამ ომი დაიწყო თებერვალში. სამხედროთა გათვლების გარდა უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რესპუბლიკას 60 – 75 000-იანი ჯარის შენახვის არანაირი რესურსი აღარ ჰქონდა. 1920 წლის ნოემბრის სათადარიგოთა მობილიზაციისა და 1921 წლის თებერვალში ახალწვეულთა მობილიზებისთვის და ზოგადად ჯარების შესანახად ჯამში 5 მილიარდი მანეთი გამოიყო, მაშინ როდესაც

ჯარში სამხედრო წოდებები გაუქმებული იყო და მეთაურები თანამდებობის მიხედვით მოიხსენიებოდნენ. ჰეკერი კი იყო ,,კომანდარმი“, ანუ არმიის მეთაური.

[323] აკაკი ჩხენკელი . დღიურები .გვ.373

[324] სცსა. ფონდი1969. აღწერა2. საქმე.173. ფურც.120.

[325] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები და დამატებები. ტომი VIII. იდეის ავტორი და შემდგენელი ირაკლი იაკობაშვილი. თბილისი: ,, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“, 2019, გვ. 38-39.

1920-1921 წლების სამხედრო უწყების სრული ბიუჯეტი 1.8 მილიარდი მანეთი იყო განსაზღვრული, რაც თავის მხრივ სრული ბიუჯეტის 21.7 პროცენტს შეადგენდა.[326]

მაინც რამდენი ჯარისკაცი იყო ქართულ ჯარში, მისი ბოლო ომის წინ. გაწვეული სათადარიგოების რიცხვის გარდა , რამდენი ,,ნამდვილ" სამსახურში მყოფი ჯარისკაცი დარჩა არმიაში 3 იანვრის შემდეგ? გენშტაბის არასრული მონაცემებით (აკლია მეხუთე ათასეულის, ცხენოსანი პოლკის, 4 სანაპირო რაზმის, საარმიო არტილერიის ერთი ბატარეის; სანაპირო და საინჟინრო ძალების შტაბის მონაცემები) იანვრის მეორე ნახევრიდან არმიაში სიით დარჩა 9262 სამხედრო-სავალდებულო სამსახურის ჯარისკაცი, ხოლო რეალურად კი სახეზე იყო 8004 კაცი.[327] არმიაში სახეზე მყოფ 8004 სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მყოფ ჯარისკაცს თუ დავუმატებთ ზემოთ ნახსენე 15 000-მდე სათადარიგო ჯარისკაცს, ასევე 1500-მდე ოფიცერს და იმ ქვედანაყოფების სამხედრო-სავალდებულო სამსახურში დარჩენილ მცირერიცხოვან კონტიგენტს რომლის შესახებაც ინფორმაცია არ გვაქვს, გამოვა , რომ 1921 წლის თებერვლის დასაწყისში საქართველოს რეგულარულ ჯარში დაახლოებით 26 000-მდე კაცი ირიცხებოდა. გამოდის , რომ რეგულარული არმია ომის წინ არ იყო საომარი დროის შტატებზე გადასული, მაგრამ პირადი შემადგენლობის რაოდენობა აღემატებოდა მშვიდობიანი პერიოდის შტატებით გათვალისწინებულ რაოდენობას. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1921 წლის 14 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მეოცე მსროლელი დივიზიის შტაბში დაიკითხა, ტყვედ ჩავარდნილი ქართული არმიის მერვე ათასეულის მეთაური , რომლის ინფორმაციის თანახმადაც ქართული ათასეულების პირადი შემადგენლობა იმ დროისათვის მერყეობდა 1200-1400 კაცს შორის.[328]

 რამდენი ჯარისკაცი ირიცხებოდა სახალო გვარდიაში ომის წინ, ამის შესახებ საარქივო დოკუმენტები არაფერს გვეუბნება. ვიცით, რომ მინიმალური სამობილიზაციო პოტენციალი განისაზღვრებოდა 8000, ხოლო მაქსიმალური კი 15 000 კაცით. ასევე საარქივო დოკუმენტებიდან ვიცით, რომ გვარდია ომის წინ სრულად არ

[326] კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო და მისი ეკონომიკური მდგომარეობა. გვ. 174,180.
[327] მიხეილ ბახტაძე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან. თბილისი: ,,არტანუჯი“, .2013 გვ.127-128; სცსა.ფონდი1969. აღწერა2. საქმე170. ფურც.38.
[328] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287*. ფურც.43.

ყოფილა მობილიზებული. როგორც ზემოთ ვნახეთ გენერალი ილია ოდიშელიძე 1921 წლის 3 იანვარს ითხოვდა გვარდიის სრულ მობილიზებას . გვარდიის შტაბს სამობილიზაციო ხარჯებისათვის მართლაც გადაცეა 300 მილიონი მანეთი 1921 წლის 10 იანვარს, [329] მაგრამ ომის დაწყებამდე გვარდიის სრული მობილიზაცია მაინც არ მომხდარა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1921წლის 31 იანვრის სხდომაზე, ერთ-ერთ საოლქო შტაბმა გამოგზავნა კითხვა, თუ რა ექნათ მობილიზაციით მოგროვებული 300 კაცისათვის. მთავარმა შტაბმა უპასუხა, რომ დაეტოვებინათ მხოლოდ 1890-1893 წლებში დაბადებული გვარდიელები დანარჩენები კი გაეშვათ სახლში.[330] გვარდია, რომ სრულად არ იყო მობილიზებული ამას ასევე ადასტურებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ გასცა გვარდიის შტაბმა განკარგულება 3 სარეზერვო ბატალიონის (გარეკახეთის , სიღნაღის და ბათუმის) მობილიზაციისა , ხოლო კიდევ ერთი ბატალიონის (ახალციხის) მობილიზაცია დროებით გადადო.[331] ყოველივე ზემოთქმული, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ გვარდია ომის წინ სრულად არ იყო მობილიზებული და სავარაუდოდ მინიმალური სამობილიზაციო პოტენციალის , 8000-10 000 კაცის ფარგლებში მერყეობდა. მთლიანობაში კი საბჭოთა რუსეთთან ომის წინ სრული შეიარაღებული ძალები, რეგუალური ჯარი და სახალხო გვარდია, სამწყობრო ნაწილებისა თუ ზურგის ჩათვლით 34 000-36 000-მდე მებრძოლსა თუ დამხმარე სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს მოითვლიდა. ახალწვეულთა დაგეგმილი გაწვევა კი 1921 წლის 6 თებერვალს დაიწყო, ამასობაში ომიც დაიწყო და 6-დან 13 თებერვლამდე მხოლოდ 6106 ახალგაზრდა გამოცხადდა ჯარის ნაწილებში.[332] ბუნებრივია ეს ახალგაზრდები ომში მონაწილეობისათვის არ გამოდგებოდნენ, რადგანაც სრულიად გაუწრთვნელნი იყვნენ. მიუხედავად ამისა მათმა მცირე ნაწილმა ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო.[333] საერთოდ რამდენი , სათადარიგო ჯარისკაცი და

---

[329] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 14. ფურც.40.

[330] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 34. ფურც.156.

[331] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 35. ფურც.62.

[332] სცსა. ფონდი1969. აღწერა2. საქმე.173. ფურც.120.

[333] ამ ახალგაზრდებისაგან 487 საუკეთესო ფიზიკური და გონებრივი მონაცემების მქონე ჩაირიცხა ნაცვალთა ათასეულში იხ: სცსა. ფონდი1969. აღწერა.2 საქმე173. ფურც.169-170 - მათ იუნკრების გვერდით ვაჟკაცური ბრძოლა გაუმართეს საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე წითელი არმიას, მათი ბრძოლით აღფრთოვანებას ვერ მალავდა სამხედრო სკოლის მეთაური პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე. იხ: ალექსანდრე ჩხეიძე. სამხედრო სკოლა. ჟურნ. *,,მხედარი“,* N13, პარიზი, 1933, გვ.58. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს მეცხრე ათასეულში ჩარიცხულებმა, ოღონდ მათ იბრძოლეს თურქების წინააღმდეგ ბათუმში, მარტის მეორე ნახევარში. ამ ინფორმაციას გვაწვდის ცნობილი ქართველი მსახიობი აკაკი ვასაძე, რომელიც იმ დროს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მაგრამ იგი

გვარდიელი გაიწვიეს ომის დროს ამ საკითხზე საარქივო მასალები თუ სხვა ტიპის წყაროები ძალიან ფრაგმენტულია და მობილიზებულთა ზუსტ ოდენობასაც ვერ განვსაზღვრავთ. მაგრამ რა იმ მცირერიცხოვანი საარქივო ცნობებისა და მემუარების მიხედვით კარგათ ჩანს, რომ მობილიზაცია ბევრი ობიქტური სირთულის გამო ნელი ტემპით და მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობდა.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ 1919-1921 წლებში რეგულარული ჯარის შემცირებული შტატები მშვიდობიანობის პერიოდში ვერ ივსებოდა, ხოლო ომისათვის მზადების და ომებისას, ჯარის შემადგენლობა აჭარბებდა მშვიდობიანი დროის შტატებს , მაგრამ ვერ ადიოდა ომის დროის შტატებზე, გარდა 1920 წლის მაისისა როდესაც შეივსო საომარი დროის შტატები და გადააჭარბა კიდეც. რაც შეეხება სახალხო გვარდიას, ომებისას ან კიდევ ომის სამზადისისას ის მინიმუმ ივსებოდა მინიმალურ სამობილიზაციო პოტენციალამდე, ხოლო მაქსიმუმ ითვისებდა სრულ სამობილიზაციო პოტენციალს. მთლიანობაში კი, რესპუბლიკა 1918-1919 წლებში საკუთარ სამობილიზაციო შესაძლებლობების დაახლოებით 20-25%-ს იყენებდა, 1920-1921 წლებში კი ერთ შემთხვევაში თითქმის მიუახლოვდა 50%-ს, მაგრამ ამან ძალიან დიდი რესურსი წაიღო და მეტჯერ ეს ვეღარ მოხერხდა, რესპუბლიკას უბრალოდ ამის ფინანსური შესაძლებლობა არ ჰქონდა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მემკვიდრეობით სუსტად განვითარებული და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ერგო. დაირღვა მსოფლიო ომამდე და რევოლუციამდე არსებული ეკონომიკური კავშირები, როგორც რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულებთან, ისე მის გარეთ. გასაღების ბაზრების დაკარგვამ შეამცირა ბუნებრივი წიაღისეულისა (მაგ. მანგანუმისა და ქვანახშირის) მოპოვება და ექსპორტი. ყოველივე ამას თან ერთვოდა რუსეთის სამოქალაქო ომისა და მსოფლიო ომის თანამდევი პოლიტიკური მოვლენების შემაფერხებელი გავლენა ქართული სახელმწიფოს ეკონომიკაზე. ვერ ივსებოდა ხაზინა. მსგავსად მეზობელი სახელმწიფოებისა, მაღალი იყო ინფლაციის დონე. ბოლშევიკების მიერ ბაქოს დაკავების შემდეგ, საქართველოს თითქმის აღარ მიეწოდებოდა ნავთობი. ჯერ თეთრების, ხოლო შემდეგ ბოლშევიკების მიზეზით,

---

შეცდომით ანაც განგებ ჯარში გაწვევის თარიღს 12 თებერვლის ნაცვლად 12 იანვარს ასახელებს. იხ:აკაკი ვასაძე. მოგონებები,ფიქრები. თბილისი: ,,საქართველოს თეატრალური საზოგადოება“, 1977, გვ.99;108

ქვეყანაში აღარ შედიოდა ხორბალი ყუბანისპირეთიდან, საქართველოს კი საკუთარი პური არ ჰყოფნიდა. ქართულ ეკონომიკას მძიმედ ტვირთად დააწვა ყოფილი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა სალიკვიდაციო ხარჯები. მიუხედავად არაერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმისა, თითქმის მუდმივი სამხედრო მდგომარეობა და განუწყვეტელი მობილიზაცია-დემობილიზაციის პროცესი ქვეყანას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

ჯარისკაცები მართალია, არ შიმშილობდნენ, მაგრამ მათი მდგომარეობა არაერთგვაროვანი და მთლიანობაში არადამაკმაყოფილებელი იყო. ზოგიერთი სამხედრო ნაწილის ძირითადი რაციონი უხარისხო პურის, მჭადის, ლობიოსა და ჩაისაგან შედგებოდა, ხორცს კი იშვიათად მიირთმევდნენ. ზოგიერთი ნაწილისთვის, სადაც შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ, ხორცეული მაინც ფუფუნების საგანს წარმოადგენდა.[334] სურსათ-სანოვაგის კრიზისი შესამჩნევი იყო, ამიტომ, 1920 წლის 5 აპრილს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სამხედრო საბჭომ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ჯარის ერთეულთა უფროსებს ნება დართო, გაეშენებინათ დროებითი ბოსტნები, სადაც დაქირავებულებს ან უკიდურეს შემთხვევაში არასამწყობრო სამხედრო მოსამსახურეებს ამუშავებდნენ.[335] ჯარისკაცთა საცხოვრებელ პირობებს მოუწყობელი და სარემონტო ყაზარმები მეტად ამძიმებდა. კეთილმოუწყობელ ყაზარმათა დიდ ნაწილს ხშირად კარ-ფანჯარაც არ ჰქონდა, ზოგან არც საკმარისი საწოლები იყო და ჯარისკაცებს თივაზე ეძინათ. აკლდათ საჭირო ავეჯი, ზამთარში ი ჭირდა გათბობა, რაც საერთო ჯამში ჯარისკაცთა ავადმყოფობისა და დეზერტირობის მიზეზი ხდებოდა.[336] ესპანურმა გრიპმა, ქოლერამ, მალარიას და სხვა უბედურებებთან ერთად არც მსოფლიო ომით დაუძლურებულ, გადაღლილ, ცუდად ნაკვები ქართველების სხეულებს აუარა გვერდი. ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენტები წარმოუდგენლად მძიმე სურათს გვიხატავს. სიღნაღის მაზრაში, სადაც 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის

---

[334] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 363. ფურც.108; სცსა.ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1075. ფურც. 1; სცსა.ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1076. ფურც. 4-5; სცსა.ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1082. ფურც. 69; სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1083. ფურც. 19, 59; სცსა.ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1085. ფურც. 1; აკაკი ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, გვ. 101; იოსებ მამაცაშვილი. მოგონებები (1921 წლის თებერვალი-ივლისი), თბილისი: ,,საქართველოს ეროვნული არქივი",2014, გვ.11.

[335] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 71. ფურც 2.

[336] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1083.ფურც. 59-61; Дмитрий Силакадзе, Материальное положение Грузинской армии перед войной с большевистской Россией 1921 г, *Nowy Prometeusz . Numer 7.* Warshava 2015 ,C. 172-173.

მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სულ რაღაც 4.9 % ცხოვრობდა,[337] 1918 წლის მხოლოდ სამ თვეში: აგვისტო, სექტემბერ, ოქტომბერში 1348 ადამიანი გარდაიცვალა ესპანური გრიპით.[338] ასეთ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები ავსებდნებ ჯარს , სადაც კიდევ უფრო მძიმე სოციალური პირობები ხვდებოდათ, რაც მათ შორის ავადმყოფობების გავრცელებას კიდევ უფრო უწყობდა ხელს. რეგულარულ ჯარში მარტოოდენ 1920 წლის იანვრის თვეში 1417 ოფიცერი და ჯარისკაცი გახდა ავად , რომელთაგან 132 გარდაიცვალა, მათ შორის ყველაზე მეტი - 84 ,,ისპანკით.“[339]

საინტერესოა როგორ ფინანსდებოდა არმია ბიუჯეტიდან. რისი ბრალი იყო ჯარში არსებული მძიმე პირობები, ჯარის დაუფინანსებლობის და პრობლემა სხვა რამეში იყო. 1918-1919 წლების ბიუჯეტის გასავალმა 663 507 169 მანეთი შეადგინა. ამ თანხიდან სამხედრო სამინისტროს 201 021 373 მანეთი ანუ სრული თანხის 30.29% გადაეცა.[340] 1919-1920 საბიუჯეტო წლის (1 ივნისიდან 1 ივნისამდე) განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმილი გასავალი 1 960 490 798 მანეთს შეადგენდა. ამ თანხიდან სამხედრო უწყებას ეკუთვნოდა 538 791 632 მანეთი, აქედან რეგულარულ არმიას – 379 176 786 მანეთი და გვარდიას – 159 614 846 მანეთი.[341] რეალურად ბიუჯეტის გასავალმა, ინფლაციის, მუდმივი საომარი მდგომარეობის, სახელმწიფო უწყებებში ახალი შტატების შექმნის გამო, დაგეგმილს დიდად გადააჭარბა და 3 252 813 000 მანეთი შეადგინა. ამ თანხიდან სამხედრო სამინისტროს 1 196 511 000 მანეთი ანუ სრული თანხის 36,56% მოხმარდა.[342] 1920-1921 წლების ბიუჯეტის გასავალი 8 552 414 700 მანეთით დაიგეგმა. აქედან სამხედრო უწყების კუთვნილი თანხა შეადგენდა 1 862 279 000 მანეთს (რეგულარული ჯარისა –1 443 880400 მანეთს, სახალხო გვარდიისა – 419 089 000 მანეთს) ანუ ბიუჯეტის 21.7%-ს. შეიქმნა მომარაგების სამინისტრო, რომელსაც გადაეცა მთელი ბიუჯეტის 30.1% ანუ 2

---

[337] გიორგი ფერაძე. საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით (დემოგრაფიული სურათი). საქართველოს სსრ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო. საქართველოს სტატისტიკური მოამბე. 1921 წლის 15 სექტემბერი N1. გვ.14.

[338] ესპანური ეპიდემია ქიზიყში. გაზეთი საქართველო. 1919 წლის 9 ივლისი. N4. გვ.3-4.

[339] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 323. ფურც.15.

[340] კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო და მისი ეკონომიკური მდგომარეობა, გვ. 170-171.

[341] სცსა. ფონდი 1891. აღწერა 1. საქმე 491. ფურც. 9, 12-13.

[342] კონსტანტინე კანდელაკი, გვ. 174,180. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1919-1920 წლების რეალურმა საბიუჯეტო შემოსავალმა 771 059 121 მანეთი შეადგინა, ანუ სახელმწიფომ სამხედრო სამინისტროს დაფინანსებას 1919-1920 წლების საბიუჯეტო შემოსავალზე თითქმის ორჯერ მეტი დაახარჯა. იხ. კონსტანტინე კანდელაკი, გვ. 178.

579 414 700 მანეთი. მომარაგების სამინისტრო ამ თანხის თითქმის მესამედს ისევ თავდაცვის საქმეს ახმარდა.[343] ქვეყანაში არსებული საომარი მდგომარეობა, გამუდმებული მობილიზაცია და დემობილიზაცია, ისევე, როგორც მზარდი ინფლაცია, მთავრობას აიძულებდა, თავდაცვისათვის დაგეგმილზე კიდევ უფრო მეტი თანხა გამოეყო. 1920-1921 წლებში დაფინანსება განსაკუთრებით გაიზარდა. მაგალითად, 1920 წლის 15 ივნისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი თავდაცვის ფონდისათვის დამატებით 400 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. ამავე წლის აგვისტოში დამფუძნებელმა კრებამ თავდაცვის ფონდს კვლავ 400 მილიონი მანეთი გამოუყო. 1920 წლის 12 ნოემბერს, დამფუძნებელი კრების დეკრეტით, თავდაცვის ფონდისათვის 2 მილიარდი მანეთი გამოიყო, 1921 წლის დასაწყისში კი თავდაცვის ფონდს კიდევ სამი მილიარდი მანეთი გადაეცა.[344] გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, სახელმწიფოში არსებობდა ფრონტის დამხმარე კომიტეტი, სადაც ჯარისათვის შემოწირულობა გროვდებოდა. შემომწირველთა შორის იყვნენ ამხანაგობები, პოლიტიკოსები, გენერლები, უბრალო მოქალაქეები. ფონდისათვის ფული იკრიბებოდა დღესასწაულებზე, ამა თუ იმ სადღესასწაულო საღამოზე, ქორწილებში, ნათლობებზე და ა.შ.[345] სტატისტიკური მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ ქვეყანაში სამხედრო უწყებას ხმარდებოდა ბიუჯეტის გასავლის თითქმის მესამედი, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. იმავდროულად, ეს მონაცემი ზუსტად ასახავს ქვეყნის ურთულეს ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგანაც შეიარაღებულ ძალების ნორმალურ ფუნქციონირებას ქვეყნის ბიუჯეტის თითქმის მესამედიც კი ვერ უზრუნველყოფდა.

დიდ პრობლემას ქმნიდა მორალური ხასიათის პრობლემები: მსოფლიო ომით გადაღლილი მოსახლეობა, სამხედრო-სავალდებულო სამსახურის არაპოპულარულობა, ბოლშევიკური პროპაგანდა. რას აკეთებდა სახელმწიფო ამ

---

[343] კონსტანტინე კანდელაკი, გვ. 177-180.

[344] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები . ტომი VI. იდეის ავტორი და შემდგენელი ირაკლი იაკობაშვილი. თბილისი: ,, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა", თბილისი .2019. გვ 481-493; საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები . ტომი VII. იდეის ავტორი და შემდგენელი ირაკლი იაკობაშვილი. თბილისი: ,, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა", თბილისი .2019. გვ 283-284; სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 20. ფურც349 ; საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები და დამატებები. ტომი VIII. გვ. 38-39; სცსა. ფონდი 1938. აღწერა 1. საქმე 840. ფურც. 1-2.

[345] დამოუკიდებლობის 1028 დღე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე (1918-1921). გვ.392; ფრონტისთვის. გაზ. *,,ერთობა".* N13, 1921 წ. 19 იანვარი. გვ. 3; თავდაცვის ფონდი , შემომწირველტა სია; ფრონტის ფონდი. გაზ. *,,ერთობა".* N22, 1921 წ. 30 იანვარი. გვ. 3-4.

პრობლემათა აღმოსაფხვრელად? უპირველესი საშუალება პროპაგანდა იყო, ყველაზე ქმედითი იარაღი კი – პრესა, განსაკუთრებით, ჯარისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული სამხედრო გაზეთები: „ჯარი და ერი“, „ჯარისკაცი“, „რესპუბლიკის ჯარი“, „მხედარი“ და „სახალხო გვარდიელი“. მათში გამოქვეყნებული სტატიებში ჯარისკაცებს უხსნიდნენ, თუ რით განსხვავდებოდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს არმიაში სამსახური მეფის რუსეთის არმიაში სამსახურისაგან. მეფის არმიისათვის საზარბაზნე ხორცად ქცეულ ჯარისკაცს დედ-მამას აგინებდნენ, თავ-პირში ურტყამდნენ და აიძულებდნენ, „ტოჩნო ტაკ“ და „ნიკაკ ნეტ“ ეძახა, ახლა კი ის საკუთარ სამშობლოს სჭირდებოდა და მთავრობა მუდამ იმას ფიქრობდა, რომ მისი ცხოვრება უკეთესად მოწყობილიყო. თუკი ადრე საომრად ცხრა მთას იქით უშვებდნენ, ახლა ჯარისკაცს სხვათა დასაჩაგრად და დასარბევად აღარ გაგზავნიდნენ და მხოლოდ საკუთარი ქვეყნის დასაცავად გამოიყენებდნენ. ჯარისკაცებს უხსნიდნენ, რომ ქვეყნის ნათელი მომავალი სწორედ მათზე იყო დამოკიდებული. თუკი წინათ დახვრეტის შიშით მოქმედებდა, ახლა მეომარი მისივე შეგნებასა და ადამიანობას უნდა გაეძლიერებინა.[346] გაზეთებში ოფიცრებსაც განუმარტავდნენ, რომ ყაზარმა ჯარისკაცთათვის „საფრთხობელიდან" ღირსეულ ადგილად ექციათ: „მოვლენ თუ არა, ახალი ჯარისკაცები ყაზარმაში, მაშინვე შეხვდით და თბილის გულით მიიღეთ ისინი. ხამი ჯარისკაცებისათვის ყაზარმა რაღაც საფრთხობელაა, მათ სამხედრო სამსახურზე ანუ „სალდათობაზე“ როგორც თითონ ეძახიან და აგრეთვე ყაზარმაზე მეტად ცუდი წარმოდგენა აქვთ. თქვენი მოვალეობა არის, ეს წარმოდგენა პირველ დღესვე გაუქარწყლოთ მათ და დაარწმუნოთ ისინი, რომ ყაზარმა არ არის ციხე ანუ ისეთი სახლი, სადაც ჯარისკაცები საწვალებლად მოჰყავთ და „სალდათობა“ ანუ ჯარის კაცობა საპატიო წოდებაა, ეს სამშობლოსადმი სავალდებულო სამსახურია ყველა ახალგაზრდა ქართველისათვის“.[347] სახელმწიფომ მიზნად დაისახა, რომ განათლებული მოქალაქე-ჯარისკაცი ჰყოლოდა. 1918 წლის დეკემბერში სამხედრო სამინისტროში შეიქმნა დროებითი კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია,[348] რომელიც 1919 წლის ივლისში უკვე სამინისტროს სრულფასოვან სტრუქტურულ

---

[346] ივანე გომართელი. საუბარი ჯარის-კაცთან I. ჟურნ. *„რესპუბლიკის ჯარი“.* N3, 1918 წ. 15 დეკემბერი. გვ.5-8; ივანე გომართელი. საუბარი ჯარის-კაცთან II ჟურნ. *„რესპუბლიკის ჯარი“.* N4, 1918 წ. 22 დეკემბერი. გვ.7-11; ივანე გომართელი ივანე. საუბარი ჯარის-კაცთან V. ჟურნ. *„რესპუბლიკის ჯარი“.* N7, 1919 წ. 15 იანვარი.გვ.5-8; ივანე გომართელი ივანე. საუბარი ჯარის-კაცთან VI. ჟურნ. *„რესპუბლიკის ჯარი“.* N8, 1919 წ. 22 იანვარი.გვ3-6.

[347] ავქსენტი აბესაძე ავქსენტი. მოკლე რჩევა ახალი ჯარის-კაცების მასწავლებელ ოფიცრებს. ჟურნ. *„რესპუბლიკის ჯარი“.* N 1, 1918 წ. 1 დეკემბერი.გვ.5-6

[348] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 152. ფურც 2.

ერთეულად იქცა.[349] სხვადასხვა პერიოდში სექცია ზემოთ ჩამოთვლილ სამხედრო გაზეთთაგან გამოსცემდა ორს – „რესპუბლიკის ჯარსა“ და „მხედარს“. მისი საქმიანობა და ჯარისკაცთა კულტურულ განვითარებაზე ზრუნვა მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. სამხედრო ნაწილებში არსდებოდა სამკითხველოები, ტარდებოდა ლექციები, ჯარისკაცები დაჰყავდათ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე, თეატრებში, მუსიკალურ წარმოდგენებზე და მათ სინემატოგრაფსაც უჩვენებდნენ.[350] ამავე სექციის კერძო ინიციატივით 1919 წელს თბილისში, ქუთაისსა და ფოთში დაარსდა ე.წ. „ჯარისკაცთა უნივერისტეტები“,[351] 1920 წლიდან კი სამხედრო სამინისტროს ეს პროექტი მეტად დაიხვეწა – აპრილის თვეში მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო შტატებისა და თანხის ოდენობა დამფუძნებელმა კრებამ კანონით განსაზღვრა.[352] საგანმანათლებლო პროექტი სამი საფეხურისგან შედგებოდა: საგუნდო სკოლის, ათასეულის სკოლისა და ჯარისკაცთა უნივერსიტეტისაგან. საგუნდო სკოლაში ჯარისკაცთათვის წერა-კითხვა და ანგარიში უნდა ესწავლებინათ, ათასეულის სკოლა ერთგვარი მოსამზადებელ ეტაპი იყო უნივერსიტეტისათვის, ჯარისკაცთა უნივერსიტეტში კი ლექტორები სამხედროებს პოპულარული, მარტივად აღსაქმელი ენით უკითხავდნენ ლექციებს თანამედროვე საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების, რესპუბლიკის კანონმდებლობის, ეკონომიკური მდგომარეობის, ქვეყნის ისტორიის, მსოფლიოსა და საქართველოს გეოგრაფიის, ქართული ლიტერატურის, სამხედრო საქმისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.[353] ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჯარისკაცთა წრეებში პროპაგანდის წარმოება, მოქალაქე-ჯარისკაცის იდეის დანერგვა, სამხედრო მოსამსახურეთა განათლება და მათი თვალსაწიერის გაფართოება. მართალია, ამის მეოხებით, შეიარაღებულ ძალებში ბოლშევიკთა გავლენა ძალზე შემცირდა, მაგრამ ეს პოლიტიკა ვერც ნახევრად მშიერ ჯარისკაცებს დააპურებდა, ვერც ყაზარმებს გაათბობდა და ვერც აღკაზმულობას გააუმჯობესებდა. სწორედ ამიტომ ჯარისათვის თავის არიდებისა და

---

[349] ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ. თბილისი, 1919 წლის 1 აგვისტო. №162. გვ.11.

[350] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 152. ფურც. 6.

[351] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 239. ფურც. 285-286.

[352] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1072. ფურც. 5-18, 35, 37, 40.

[353] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1072. ფურც. 19-24; ნატო სონღულაშვილი, ქართული ერთობა და ეროვნული იდენტობა XX ს-ის პირველ ოცწლეულში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2012, გვ. 79-83 (ხელნაწერის უფლებით).

დეზერტირობის მასობრივი შემთხვევები ხელს უშლიდა არმიის შევსებას. ამ სირთულეებს კი კიდევ უფრო ამძიმებდა შეიარაღებისა და საბრძოლო მასალათა დეფიციტი, რომელთა გარეშეც ჯარი მხოლოდ ადამიანთა ერთად შეკრებილი დიდი ჯგუფი იქნებოდა.

თავი 2 - რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის შეიარაღება

2.1 შაშხანები, ტყვიამფრქვევები, არტილერია და იარაღის შოვნის მცდელობები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო კვირებში, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში მოხალისედ წასული გიმნაზიის მოსწავლე გივი ღამბაშიძე საკუთარ დღიურში წერდა, რომ მას და მასავით მოხალისედ წასულ 250 ახალგაზრდას ბრძოლის ველზე გასვლამდე ინგლისური შაშხანები მისცეს. ამ ფაქტმა მოხალისეები დააღონა, რადგანაც მისი ხმარება არცერთმა არ იცოდა, იქვე ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა მათი განწყობა კიდევ უფრო დაამძიმეს როდესაც უთხრეს, რომ ეს შაშხანა არაფრად ვარგოდა ბრძოლის დროს, იყო მძიმე, იოლად ფუჭდებოდა და ხიშტიც არ უვარგოდა. გივი იქვე წერდა, რომ თოფის დაწუნება სისულელე იყო და თურმე მთავრობას საკმარისი თოფ-იარაღი არ ჰქონდა. ფრონტის ხაზზე გასვლისას, მან ნახა რომ პოზიციებზე ქართველებს დიდი რაოდენობით ტყვიამფრქვევები ჰქონდათ, მათთან ახლოს 4 სამთო ქვემეხისგან შემდგარმა საარტილერიო ბატარეამ 5 საათის განმავლობაში მოწინააღმდეგეს 200-მდე ჭურვი ესროლა, იმ მომენტში კი როცა ბრძოლის ველზე სროლა წყდებოდა და სიჩუმე ჩამოწვებოდა, ქართველი ჯარისკაცები სანგრებიდან ამოდიოდნენ, სისხლიან ბრძოლის ველს მოედებოდნენ და გასროლილი ვაზნების ჰილზებს კრეფდნენ და თბილისში აგზავნიდნენ თავიდან დასატენად, რაც ვაზნების კატასტროფულ დეფიციტზე მიუთითებდა.[354] საიდან აღმოჩნდა ინგლისური შაშხანები ქართველი ჯარისკაცების ხელში, რა ტიპის და რა რაოდენობის შაშხანები, ტყვიამფრქვევები თუ საარტილერიო დანადგარები და მათი საბრძოლო მასალა გააჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარს ეს ის კითხვებია, რომელიც გარკვეულწილად პასუხსაც სცემს ქართული ჯარის ფუნქციონირების ხარისხს .

[354] გივი ღამბაშიძე, ომის დღიური. მოგონებები რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ. თბილისი: ,,საქართველოს ეროვნული არქივი“, 2017, გვ.15, 20-21, 36-38.

ქართული არმიის ქვეითი ნაწილების ინდივიდუალურ შეიარაღებას ძირითადად რუსული წარმოების 1891 წლის მოდელის მოსინის სისტემის სამხაზიანი 7.62-მმ კალიბრის შაშხანა წარმოადგენდა, რომელიც იმ ხანად ერთ-ერთ თანამედროვე და საიმედო შაშხანად ითვლებოდა.[355] ქართული არმიის შეიარაღებაში და საწყობებში ინახებოდა მცირე რაოდენობით სხვადასხვა ქვეყნის წარმოებისა და კალიბრის შაშხანები და კარაბინები: ფრანგული ლებელის სხვადასახვა მოდიფიკაცია; რუსული წარმოების ბერდანა; შვეიცარიულ-იტალიური ვეტერლი; იაპონური არისაკა; გერმანული მაუზერი; პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე ოსმალური არმიისათვის წართმეული მანლიხერი; პიბოდი-მარტინი; გრა-იურგენსონი და სხვა. თუმცა, როგორც 1918 წლის 21 ივლისის საარტილერიო საწყობების ანგარიშიდან ჩანს მათი რიცხვი რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულზე ადიოდა.[356] ის, რომ ქართული არმიის ძირითად შაშხანას მოსინის 1891 წლის მოდელი წარმოადგენდა, კარგად მოსჩანს თუნდაც 1918 წლის 28 სექტემბერს ქართული არმიის მე-5 ქვეითი პოლკის საბრძოლო საშუალებების და მასალების ცნობაში, ცნობის მიხედვით იმ დროისათვის პოლკის შეიარაღებაზე იყო 864 სამხაზიანი შაშხანა და ყველა სხვა დანარჩენი სისტემის კი 168. სხვა დანარჩენში, როგორც ეს ვაზნების შესახებ ცნობიდან სჩანს ლებელი და ბერდანი უნდა იგულისხმებოდეს, პოლკს ჰქონდა სამხაზიანი მოსინის 32 800, ლებელის 1702 და ბერდანის 1270 ვაზნა.[357]

ოფიცერთათვის დამატებით შეიარაღებას ძირითადად ნაგანის 1895 წლის მოდელის რევოლვერები წარმოადგენდა , თუმცა ოფიცერთა ნაწილს კოლტის, მაუზერის, სმიტ-ვესონისა და ბრაუნინგის პისტოლეტები და რევოლვერებიც ჰქონდათ.[358] რაც შეეხება ტყვიამფრქვევებს, ქართული ჯარი ძირითადად შეიარაღებული იყო მსოფლიო ომამდელი 1910 წლის ნიმუშის მაქსიმის (7.62მმ) დაზგისა და მსოფლიო ომის პერიოდის ბრიტანული ლუისის (7.71მმ)[359] ტიპის მსუბუქი ხელის

---

[355] არჩილ ჩაჩხიანი.სომხეთ-საქართველოს ომი. ნაწილი I. ,,სომხური საკითხის" დასმიდან დაპირსპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე. გვ.431.

[356] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა). ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურცელი 22.

[357] სცსა. ფონდი 1990. აღწერა1. საქმე 1. ფურც.32-33. დოკუმენტებში მოსინის შაშხანის სინონიდამ ხშირად სამხაზიანი შაშხანა გვხდება ხოლმე, ამ კონკრეტული დოკუმენტის შემთხვევაშიც ასეთი მდგომარეობაა.

[358] არჩილ-ჩაჩხიანი.სომხეთ-საქართველოს ომი. ნაწილი I. გვ.432; სცსა. ფონდი 1836. აღწერა1. საქმე 184. ფურც.24; სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 5. ფურც.12; თემურ ჩაჩანიძე. საქართველოს რესპუბლიკის არმიის შეიარაღება 1920 წელს. ჟურნ. *,,არსენალი".* N4 , 2005, გვ.45.

[359] არსებობდა 7.62 და 7.92 კალიბრისაც. თუმცა რუსულ არმიას, რომლისგანაც დარჩა მემკვიდრეობით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარს, უფრო მეტად ლუისების 7.71მმ-იანი და შედარებით

ტყვიამფრქვევებით.[360] მაგალითად, ზემოთ ნახსენებ მე-5 ქვეით პოლკს 1918 წლის 28 სექტემბრისათვის შეიარაღებაზე 18 ,,მაქსიმკა“ და 3 ხელის მსუბუქი ტყვიამფრქვევი გააჩნდა,[361] გვარდიის საგანგებო ქვეითი ბატალიონისთვის გათვალისწინებული იყო 12 ლუისი და 4 მაქსიმი, გვარდიისავე საგანგებო ტყვიისმფრქვეველთა რაზმისთვის კი 16 მაქსიმი და 4 ლუისი და ა.შ.[362] ,,მაქსიმიცა“ და ,,ლუისიც“ იმ დროისათვის თანამედროვე და ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და საიმედო ტყვიამფრქვევებს წარმოადგენდნენ. ამ მოდელების გარდა, ქართული ჯარის შეიარაღებაში იყო მცირე რაოდენობის ბრიტანული ვიკერსის, ფრანგული ჰოჩკისის და ამერიკული კოლტის ტყვიამფრქვევები. პირველმა მსოფლიო ომმა ტყვიამფრქვევების როლის საბრძოლო მოქმედებებში წარმოუდგენლად გაზარდა, შეიძლება ეს ნაკლებად ითქვას რუსულ ქვეით დივიზიაზე სადაც ტყვიამფრქვევთა რიცხვი მხოლოდ გაორმაგდა და 36-დან 72-ზე ავიდა,[363] მაგრამ თუ მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ფრანგული და გერმანულ დივიზიაში შტატით მხოლოდ 24-24 დაზგვის ტყვიამფრქვევი იყო განსაზღვული, ომის ბოლოს ფრანგულ დივიზიას 133 დაზგის და 441 ხელის ტყვიამფრქვევი ჰქონდა შეიარაღებაზე, გერმანულს კი 124 დაზგვის და 216 ხელის , თან ეს იმ ფონზე როდესაც ფრანგული დივიზიის შტატით განსაზღვრული პირადი შემადგელობის რაოდენობა ომის დასაწყისიდან მის ბოლომდე 15 578 ჯარისკაციდან 12 462-მდე შემცირდა, გერმანულის კი უფრო მეტადაც 16 650-დან 9550-მდე.[364] ტყვიამფრქვევების როლის ზრდის გამო, მათ რაოდენობას და საბრძოლო მასალის მარაგებს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა რესპუბლიკის ჯარის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

არტილერიამ პირველ მსოფლიო ომში წარმოქმნილი ე.წ ,,პოზიციური ჩიხის“ დაძლევა ვერ მოახერხა, მაგრამ მისი გამოყენების მასშტაბები ძალიან გაიზარდა. თუ რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში ჯარისკაცებისათვის მიყენებული ჭრილობების 16.4% მოდიოდა არტილერიის ცეცხლზე, მსოფლიო ომში ეს

ნაკლებად 7.62მმ-იანი მოდელები ჰქონდა შეიარაღებაში. ამ უკანასკნლეთა ძირითადი ნაწილი რუსულ არმიაში აეროპლანებზე იყო დამონტაჟებული.

[360] არჩილ ჩაჩხიანი..სომხეთ-საქართველოს ომი. ნაწილი I. გვ.433.

[361] სცსა. ფონდი.1990. აღწერა1. საქმე1. ფურც.33.

[362] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 365. ფურც.95-100.

[363] С. Л. Федосеев. Пулемёты России. Шквальный огонь. Москва: ,,Ексмо“- ნანახია წიგნის ვებ-გვერდზე განთავსებული ვერსია -https://coollib.net/b/284572-semyon-leonidovich-fedoseev-pulemetyi-rossii-shkvalnyiy-ogon/read

[364] Мировая Война В Цифрах. Москва-Ленинград : ,,Государственное военное издательство“. 1934, С. 17.

მაჩვენებელი 54-64-%-ზე ავიდა.[365] არტილერიას სამართლიანად უწოდებდნენ ომის ღმერთს და თუ ეს ღმერთი რომელიმე ეპოქაში განსაკუთრებით ბობოქრობდა და სრული მრისხანებით ატყდებოდა მოწინააღმდეგეს, ერთ-ერთი ასეთი ეპოქა ნამდვილად იყო მეოცე საუკუნის პირველი ოცწლეული. ქართულ ჯარს კი, რუსეთის კავკასიური არმიისაგან მემკვიდრეობით 1900 და 1902 წლების ნიმუშის 3 დუიმიანი (76,2მმ) მსუბუქი საველე ქვემეხები; 1904 და 1909 წლის ნიმუშის სამ დუიმიანი (76,2მმ) სამთო ქვემეხები; 1904,1905 და 1909 წლის ნიმუშის 48 ხაზიანი (122მმ) ჰაუბიცები და 1910 წლის მოდელის ბრიტანული ვიკერსისი, 45 ხაზიანი (114მმ) ჰაუბიცები დარჩა.[366]

ქართული ჯარის საარტილერიო დანადგარების ძირითადი ტექნიკური და საბრძოლო მახასიათებლები[367]

საარტილერიო სისტემა	კალიბრი (მმ)	ჭურვის წონა (კგ)	ასაფეთქებელი მასალის წონა (კგ)	სროლის მაქსიმალური მანძილი (კმ)	სწრაფს როლა წუთში	ჭურვის საწყისი სიჩქარე მ/წმ
1902 წლის ნიმუშის საველე ქვემეხი	76,2	6,5	0.78	8.5	10	588
1904 წლის ნიმუშის სამთო ქვემეხი	76,2	6,5	0.8	4.3	6	290
1909 წლის ნიმუშის სამთო ქვემეხი	76,2	6,5	0.78	7	10	381
1909 წლის ნიმუშის საველე ჰაუბიცა	122	23,3	4.7	7.7	2	335
1910 წლის ვიკერსის ბრიტანული საველე ჰაუბიცა	114	15,9	2.7	6.4	2-4	308

საბრძოლო საშუალებების მრავალფეროვნებაზე მეტად მნიშვნელოვანი მათი რაოდენობა და საბრძოლო მასალების მარაგი იყო, რადგანაც ეს იარაღი რესპუბლიკის დასაცავად იყო საჭირო და არა სამხედრო მუზეუმის ექსპოზიციისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი გამორჩეული გენერალი , გიორგი მაზნიაშვილი, მოგვიანებით საბჭოთა ხანაში თბილისში გამოცემულ მემუარებში წერდა, რომ იარაღი, მოკაზმულობა და სურსათი იმდენი იყო საწყობებში, რომ შესაძლებელი იყო ქართული ჯარისთვის თუნდაც 50 000 კაცის შეიარაღება, მოკაზმვა და გამოკვება ათი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს არ მოხერხდა რადგანაც

[365] ალექსანდრე გედევანიშვილი, ლავრენტი სლინკო, ლევან გარსიაშვილი. ტაქტიკა. ნაწილი I. ელემენტარული ტაქტიკა. წიგნი მეორე. არტილერია. ტფილისი: ,, სამხედრო-სარედაქციო საგამომცელო კოლეგია, 1924. გვ.1-2. 54% მსოფლიო ომის საწყის, მანერვულ ეტაპზე, ხოლო 64% კი პოზიციური ომის განმავლობაში.

[366] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184; ფურც.22;26.

[367] Е. З. Барсуков. Артиллерия Русской Армии (1900-1917гг.). Том I. . Москва : ,,Воениздат“ , 1942. С. 210; 248-249 ; Артилерия и Минометы XX Века. Описания. Характеристики. Схемы. Фотографии. Составители Р. Исмагилов, Г. Корнюхин, Б. Проказов. Смоленск; ,,Русич“, 2001 Стр.7; 15.

,,მენშევიკური“ მთავრობა ჯარის შედგენის საკითხს გულგრილად ეკიდებოდა და მისგან საფრთხეს მოელოდა.[368] მეორე მხრივ გვარდიის იმერეთის მეორე ბატალიონის მეთაური, აკაკი კვიტაიშვილი ემიგრაციაში ყოფნისას წერდა, რომ არსენალში დარჩენილი იყო 18 000 შაშხანა, რომელიც ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ჯარს თანაბრად გაუნაწილდა.[369] როგორი ვითარება იყო სინამდვილეში? ამ საკითხსი გასარვევად , მემუარების სუბიქტურობის გათვალისწინებით, სჯობს მათ ნაკლებად ვენდოთ და კითხვაზე პასუხი, საარქივო დოკუმენტებსა და ისტორიული პროცესის ანალიზში ვეძებოთ.

1917 წლის 1 იანვრის მონაცემებით კავკასიის ფრონტზე რუსული არმიის შეიარაღებასა და საწყობებში 610 516 (365 178 მოსინის სამხაზიანი , 133 276 ბერდანის 4.2 ხაზიანი , 72 714 ფრანგული ლებელი, 15 621 მაუზერი , 11 396 ვინჩესტერი, 4568 მანლიხერი, 4498 იაპონური არისაკა და 3265 პიბოდი-მარტინი) სხვადასხვა კალიბრისა და სისტემის შაშხანა და კარაბინი[370] და 1200 ტყვიამფრქვევი იყო. [371] რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მაის-ივნისში პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე მყოფი რუსული არმიის სამხედრო შენაერთების მარაგში, ფრონტის რეზერვსა და ზურგის საწყობებში 776 განსხვავებული კალიბრისა და დანიშნულების საარტილერიო დანადგარი; [372] 1 249 897 ჭურვი და 160 მილიონამდე სხვადასხვა კალიბრის ვაზნა იყო დარჩენილი.[373] იარაღის და საბრძოლო მასალის ასეთი რაოდენობა , პატარა საქართველოს არმიას რომ დარჩენოდა მისთვის ალბათ წლების განმავლობაში იკმარებდა და მაზნიაშვილის მემუარიც მართალი იქნებოდა, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ამ იარაღის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული. კავკასიის სამხედრო ოლქის იარაღი და საბრძოლო მასალა მშვიდობიანობის პერიოდში ოთხ მთავარ: თბილისის, ალექსანდროპოლის , ყარსის და გიორგიევსკის საწყობებში ინახებოდა.[374] პირველი მსოფლიო ომის დროს,

---

[368] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. გვ.6.
[369] აკაკი კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი და საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. გვ.115.
[370] Семен Федосеев. „Пушечное мясо“ Первой Мировой, Пехота В бою. Москва: ,,Ексмо“, 2009 с.79-80.
[371] А. П. Залюбовский. Снабжение Русской Армии вь Великую войну Винтовками, пулеметами, револьверами, и патронами кь нимь. Белград: ,,Издание Центральнаго правления обшества Русскихь офицеров-артиллеристов за рубежом“, 1936. С.89.
[372] А. А. Маниковский. Боевое снабжение Русской Армии в Мировую Войну. Переработал и дополнил Е. З. Барсуков. Москва: ,,Государственное военное издательство“, 1937. Стр.420-421.
[373] Российский Государственный Военно-исторический архив (Ргвиа), Фонд 2003, Опись 1, Дело 548, Лист 327. პირველი მსოფლიო ომის რუსული საარქივო დოკუმენტების მოძიება ვეგ-გვერდ - gwar.mil.ru-ზეა შესაძლებელი.
[374] А. А. Маниковский. Боевое снабжение Русской Армии в Мировую Войну. С.459-462.

1916 წლის მარტის მონაცემებით, როდესაც რუსულ არმიას ერზერუმი უკვე აღებული ჰქონდა, ტრაპიზონის ასაღებად იბრძოდა და ერზინჯანის ოპერაცია ჯერ დაწყებული არ ჰქონდა, არტილერიისა და სხვა საბრძოლო მასალების ზემოთ ჩამოთვლილ 4 ,,პარკს", მეხუთე სარიყამიში დაემატა, ამის გარდა ერზინჯანის, ბაიბურთის, დიარბექირის და ტრაპიზონის მიმართულებაზე მოქმედ ჯარებს მოწინავე და შუალედური 27 საწყობი ემსახურებოდა და ამ საწყობებიდან მხოლოდ ერთი იყო საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი ბათუმში.[375] 1916 წლის აპრილში რუსებმა ტრაპიზონი აიღეს, იმავე წლის ივლისში კი ერზინჯანი და 1917 წელს დაგეგმილი ოპერაციებისათვის რომელიც ერთი მხრივ ანატოლიისა და მეორე მხრივ მესოპოტამიის სიღრმეში შეჭრას ითვალისწინებდა იარაღი და საბრძოლო მასალები მომავალი ოპერაციებისათვის ფრონტების სიახლოვეს მიზიდეს.[376] თბილისი ფრონტის ხაზიდან უკვე ძალიან შორს იყო და ჯარისათვის იარაღის მიწოდება გართულდებოდა, განსაკუთრებით იმ ფონზე როცა სარკინიგზო კვანძი თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით სარიყამიშთან ახლოს სრულდებოდა და ოსმალეთის ომამდელ ტერიტორიაზე აღარ გადადიოდა. კავკასიის დიდი საწყობებიდან კი სარიყამიშს , ყარსაც და ალექსანდროპოლსაც თბილისზე გაცილებით მოხერხებული მდგომარეობა ეკავათ ფრონტის მომარაგების თვალსაზრისით. ის, რომ ალექსანდროპოლში გაცილებით დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა ინახებოდა სჩანს თუნდაც საწყობების 1918 წლის 12 თებერვლის მონაცემებით: თბილისში ინახებოდა ლებელის 8მმ-იანი 228 871 ვაზნა და ფრანგული შოშას ტყვიამფრქვევისათვის განკუთვნილი იგივე 8 მმ-იანი 7.2 მილიონი ვაზნა, რომელიც შოშას ტყვიამფრქვევების არქონის გამო ლებელის შაშხანებზე გამოდგებოდა , ალექსანდროპოლში კი ლებელის ვაზნების გაცილებით დიდი მარაგი იყო - 43,9 მილიონი, თბილისში ლუისის ტყვიამფრქვევისთვის არცერთი ვაზნა არ იყო გადანახული, ალექსანდროპოლში კი მისი მარაგი 39,8 მილიონი იყო, რაც შეეხება სამ ხაზიანი მოსინისა და 4.2 ხაზიანი ბერდანის ვაზნებს ამ მხრივ თბილისში უკეთესი მდგომარეობა იყო - მთლიანობაში 17,1 მილიონი ალექსანდროპოლში კი მხოლოდ 504

[375] Ргвиа. Фонд 2003. Опись 1. Дело 1640. Лист 28.
[376] არჩილ ჩაჩხიანი. სომხეთ-საქართველოს ომი. ნაწილი I გვ. 434.

050.[377] როგორც საქართველოს რესპუბლიკის ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაური ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე მემუარებში ირწმუნება, თბილისის საწყობში 900 ლუისის ტყვიამფრქვევი იყო, მაგრამ არც მისი ვაზნები და არც არტილერიის ჭურვების ნასახი იქ არ ინახებოდა, მან კი წითელი გვარდიის აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით 1918 წლის მარტში, არცთუ იოლი თავგადასავლის ფასად ალექსანდროპოლიდან თბილისში 6 ვაგონით 6 მილიონი ვაზნა ჩამოიტანა, ხოლო სარიყამიშიდან კი 24 ვაგონი ქვემეხის ჭურვები.[378] ამის მიუხედავად 1918 წლის 24 მარტის მონაცემებით თბილისის საწყობში ბევრად ნაკლები - 52 041 სამთო ქვემეხის ჭურვი იყო შენახული, ვიდრე ალექსანდროპოლში - 156 448.[379]

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, კავკასიის ფრონტზე ფაქტობრივად დიდი სამხედრო ოპერაციები აღარ ჩატარებულა, ამავე წლის შემოდგომიდან ფრონტზე დაიწყო კავკასიური ეროვნული სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბება, რომელთაც ნელ-ნელა უნდა ჩენაცვლებინათ რუსული კავკასიური არმია, რომელიც ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ უკვე სწრაფი ტემპებით ტოვებდა ფრონტს და იარაღთან ერთად რუსეთში ბრუნდებოდა. კავკასია , სამხედრო გადატრიალების შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულ ბოლშევიკურ ცენტრს არ დაემორჩილა და 1917 წლის ნოემბერში შეიქმნა დროებითი მმართველობის ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატი. 1918 წლის იანვრის ბოლოს როდესაც ოსმალურმა არმიამ კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებები განაახლა, იმ დროს ეროვნული სამხედრო ნაწილები მცირერიცხოვან და სუსტ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და 1918 წლის მაისამდე ოსმალებმა დაიკავეს ერზინჯანი, ერზერუმი, ტრაპიზონი, სარიყამიში, ბათუმი, ყარსი, ალექსანდროპოლი და ყოფილი კავკასიის არმიის იარაღის მარაგების მნიშვნელოვანი ნაწილი მათ ხელში აღმოჩნდა. კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებების განახლების პარალელურად, იკლებდა თითქმის ყველა

---

[377] სცსა. ფონდი.1967. აღწერა 1. საქმე 8. ფურც.47 - რუსეთმა ფრანგული 8მმ-იანი ტყვიამფრქვევი - შოშა 1917 წელს მიიღო საფრანგეთისგან, თუმცა როგორც სჩანს კავკასიის ფრონტზე მხოლოდ ვაზნების გამოგზავნა მოასწრეს, რადგანაც თავად ასეთი ტყვიამფრქვევების არსებობა კავკასიის ფრონტზე, მინიმუმ კი დამოუკიდებელ ქართულ არმიაში არ ფიქსირდება. თბილისის საწყობებში ამავე პერიოდში ასევე ინახებოდა, სხვადასხვა ნიმუშისა და კალიბრის შაშხანის 7 მილიონამდე ვაზნა, რომელთა ნაწილი შესაბამისი შაშხანის მინიმალური ოდენობის გამო მაკლებად წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამხედრო ქონებას.

[378] ვალოდია გოგუაძე. მოგონებები. გვ. 432-435. 1918 წლის თებერვლისათვის თბილისის საწყობებში მართლაც ინახებოდა 997 ტყვიამფრქვევი (მათ შორის 794 ლუისი), დაახლოებით ის რაოდენობა რასაც გოგუაძე იგონებდა - სცსა.ფონდი 1968. აღწერა 1. საქმე 25. ფურც.65.

[379] სცსა. ფონდი.1967. აღწერა 1. საქმე 9. ფურც.55.

სახეობის იარაღიც თბილისის საწყობებშიც თუ 1918 წლის 7 თებერვალს იქ მოსინის 6525 და ბერდანის 728 შაშხანა და სხვადასხვა ტიპის 997 ტყვიამფრქვევი ინახებოდა[380], ორი თვის შემდეგ 9 აპრილს მხოლოდ მოსინის 7, ბერდანის 1535 და 311 ტყვიამფრქვევი იყო დარჩენილი.[381] ფრონტზე გაგზავნილი იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილი კი გამარჯვებულ ოსმალურ არმიას უვარდებოდა ხელში, ამავდროულად მთელი ამ დროის განმავლობაში კავკასიური ეროვნული სამხედრო შენაერთები, მუდმივად ცდილობდნენ ერთმანეთის საწყობებისაგან მიეღოთ იარაღი და საბრძოლო მასალები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იურიდიულად ერთი სარდლობის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი და საერთო მიზანი ჰქონდათ, ფაქტობრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იურიდიულისაგან. იარაღის და საბრძოლო მასალების გაბნევას, ასევე ხელს უწყობდა პოსტრევოლუციური დროის ანარქიული გარემო, თუმცა სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია ნაწილობრივ ახერხებდა ამ გაფანტული იარაღის და საბრძოლო მასალის ამოღებას მოსახლეობისა თუ სხვადასხვა ორგანიზებული ჯგუფებისაგან და საწყობებში აბრუნებდა. 1918 წლის აპრილში ამერიკავკასიის კომისარიატი, რომელსაც უკვე თებერვლიდან საკუთარი საკონანომდებლო ორგანო სეიმი მართავდა, ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკად გადაკეთდა, თუმცა ამ სახელმწიფომ რომლის სუბიექტები საკუთარ მომავალს განსხვაბებულად ხედავდნენ, სულ რაღაც ერთი თვე იარსება , იქამდე სანამ საქართველომ 1918 წლის 26 მაისს, ოსმალური ექსპანციის შესაჩერევლად გერმანიის იმპერიის დაცვის გარანტიის ქვეშ კავკასიური ფედერაციის დაშლა და ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ დროისათვის ქართული საარმიო კორპუსი, რეალურად ერთი დივიზიის ზომის საბრძოლო შენაერთს თუ წარმოადგენდა, მის პარალელურად კი არსებობდა წითელი გვარდია რამდენიმე ათასი მებრძოლით. 1917-1918 წლების ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების გათვალისწინებით იოლი მისახვედრია, რომ სამხედრო მარაგები რაც რესპუბლიკას შეხვდა საკმაოდ მწირი იქნებოდა. საარქივო დოკუმენტები მაქსიმალურად ზუსტი რიცხვების დასახელების საშუალებასაც გვაძლევს.

[380] სცსა. ფონდი 1968. აღწერა1.საქმე 25. ფურც.65.
[381] სცსა, ფოდნი 1967. აღწერა 1. საქმე.9. ფურც.75.

რეულარულ ჯარისა და გვარდიასათვის იარაღი და საბრძოლო მასალების გადაცემა, ჩამოყალიბების პარალელურად ჯერ კიდევ 1917 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო და დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე თუ მის მერეც არ შეწყვეტილა. ჯარის ნაწილებისათვის დარიგებული იარაღის გარდა, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან თვენახევარის შემდეგ 1918 წლის 15 და 21 ივლისის მონაცემებით, რესპუბლიკის საარტილერიო საწყობებში 4796 შაშხანა და კარაბინი, 223 ტყვიამფრქვევი და 24 მილიონზე ცოტა მეტი სხვადასხვა კალიბრის ვაზნა ინახებოდა.[382] იარაღის და საბრძოლო მასალების ამ რაოდენობიდან, მხოლოდ 2812 იყო ქართული ჯარის მთავარი ინდივიდუალური საბრძოლო საშუალება - მოსინის სამხაზიანი შაშხანა (7.62მმ) და მისთვის განკუთვნილი იყო მხოლოდ 2 037 880 ვაზნა.[383] დანარჩენილი 14 განსხვავებული სისტემისა და კალიბრის შაშხანების რაოდენობა რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე მერყეობდა.[384] მაგალითად საწყობში ინახებოდა 157 იაპონური არისაკა (6.5მმ) 3 686 900 ვაზნით; 218 რუსული 4,2 ხაზიანი (10.75მმ) ბერდანი 7 881 819 ვაზნით; 190 შვეიცარიულ-იტალიური ვეტერლის შაშხანა (10.35მმ) 857 520ვაზნით; ფრანგული 8მმ-იანი ლებელის 1 322 698 ვაზნა; ფრანგული 8მმ-იანი ტყვიამფრქვევ შოშას 7 464 041ვაზნა.[385] შოშას ტყვიამფრქვევები ქართულ არმიას არ გააჩნდა, ამიტომ ამ ვაზნების გამოყენება ლებელის შაშხანებზე შეიძლებოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბერდანის, ლებელის და არისაკას ვაზნების მოზრდილი მარაგები ამ იარაღების მცირე ოდენობის ფონზე ჯარისთვის შეღავათის მიმცემი არ იყო, რადგანაც ჯარის ძირითად შაშხანას მოსინი წარმოადგენდა. დანარჩენი შაშხანებით კი ჯარისა და გვარდიის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო შეიარაღებული. განა რას შეცვლიდა არისაკებით ან ბერდანებით შეიარაღებული რამდენიმე ასეული, საბრძოლო მასალების კარგი მარაგით? ვერც ვერაფერს. მეტიც ინდივიდუალური საბრძოლო საშუალებების მრავალფეროვნება, ომის დროს მებრძოლი ნაწილების მომარაგებასაც კიდევ უფრო ართულებდა. რაც შეეხება ტყვიამფრქვევებს, საარტილერიო საწყობში იმ დროისათვის ინახებოდა 222 ლუისი ტყვიამფრქვევი , ძალიან ცოტა - 203 768 ვაზნით და 1 კოლტის ტყვიამფრქვევი 8000 ვაზნით.[386]

---

[382] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.22-27.
[383] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.22.
[384] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.22.
[385] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.22-27.
[386] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.22-23.

იარაღის და საბრძოლო მასალის მცირე რაოდენობა შეუძლებელს ხდიდა ჯარის ჩამოყალიბებას, რაშიც დახმარების პირობა საქართველოს ჯერ კიდევ მსოფლიო ომში დაუმარცხებელმა გერმანიამ მისცა. 1918 წლის აგვისტოში საქართველომ გერმანიაში 1 366 908 მარკად შეიძინა 20 000 რუსული წარმოების შაშხანა, 250 რუსული ტყვიამფრქვევი და 4 მილიონი ვაზნა, ეს იარაღი გერმანულ არმიას ომის დროს ალაფად ჩაუვარდა და ქალაქ დანცინგში[387] ინახებოდა, იარაღი გერმანიიდან საქართველოში 21 აგვისტოს გამოიგზავნა და სექტემბერ-ოქტომბერში უკვე საქართველოში იქნებოდა. როგორც ჩანს ქართულმა მხარემ, მალევე მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიას იარაღის საფასური არ გადაუხადა, გერმანია კი 1919 წლის დასაწყისში საქართველოს იარაღის საფასურის გადახდას დარიცხულ პროცენტთან ერთად (1 708 635 მარკას) სთხოვდა .[388]

დოკუმენტში იარაღის ტიპი დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ რადგანაც მითითებულია რომ ეს ალაფად აღებული რუსული იარაღია, უნდა იგულისხმებოდეს მოსინის შაშხანები და მაქსიმის ტყვიამფრქვევები. გამოდის, რომ გერმანიაში ნაყიდ იარაღთან ერთად, ლუისის და მაქსიმის ტყვიამფრქვევების რაოდენობა საწყობებში 472-ზე ავიდა, მოსინის სამ ხაზიანი შაშხანების მარაგი 22 812-ზე, მისი ვაზნების კი 6 037 880-მდე. გერმანელებმა კავკასიიდან ევაკუაციის დროს, მძიმე ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები და მანქანები ქართველებს გადასცეს, შაშხანები წყალში გადაყარეს რათა მათი დამმარცხებელი ბრიტანელებისთვის არ მიეცათ და ფოთიდან გამგზავრების წინ განიარაღებისას ბრიტანელებს მხოლოდ მსუბუქი ტყვიამფრქვევები და ვაზნები მისცეს.[389]

საინტერესოა რამდენად კმაროდა შაშხანების, ტყვიამფრქვევებისა და ვაზნების ეს რაოდენობა არმიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. როგორც ზემოთ ვნახეთ ქართული არმიის პირადი შემადგელობა 1918 წლის შტატებით 41 260 კაცისგან უნდა

---

[387] დღეს პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქი გდანსკი.

[388] Giorgi Astamadze. Deutch-georgische Zusammenarbeit 1918. Georgiens Unabhängigkeit und das deutsch-georgische Bündnis im Südkaukasus. Brill Schöningh. 2022. S.172-173; PA AA, R7316. Band 9. Forderungsnachweise - გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივის დოკუმენტების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი ისტორიკოს გიორგი ასტამაძეს.

[389] MUGGENTHALER, Hans; PFLÜGEL, Hugo Ritter v.; SCHEURING, Martin (Hrsg.): Das K. B. Reserve-Jäger-Bataillon Nr. 1 (K. B. Jäger-Regiment Nr. 15): Nach den amtlichen Kriegstagebüchern. München 1935 = Erinnerungsblätter deutscher Regimenter. Auszüge aus den amtlichen Kriegstagebüchern. Hrsg. vom Bayerischen Kriegsarchiv. Bayerische Armee. Band 85 S.519; 523-524.

შემდგარიყო, ხოლო გვარდიის იმავე პერიოდის სამობილიზაციო რესურის დაახლოებით 6 000-8 000 კაცისგან შედგებოდა, 1919 წლის რეორგანიზაციის შედეგად არმიაში მშვიდობიანობის დროს 16 950 კაცი უნდა ყოფილიყო, ხოლო მობილიზაციის შემთხვევაში 45 820 , გვარდიის სამობილიზაციო რესურსი კი ამავე პერიოდში 15 000 კაცამდე ავიდა. საორიენტაციოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგ შემთხვევაში შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა 50 - 60 000 კაცის ფარგლებში იგულისხმებოდა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი ამოცანა იყო ხოლმე და რეალური რიცხვი ჯარისა და გვარდიისა როგორც ზემოთ ვნახეთ ძირითადად ორჯერ ნაკლები იყო. ასევე არსებობდა გათვლები 100 -150 000-იანი არმიის შექმნის შესახებ. რამდენად საკმარისი იყო 50 -60 000 კაცის შეიარაღებისთვის ის იარაღი და საბრძოლო მასალა რაც 1918 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გააჩნდა ქვეყანას? როგორც ვნახეთ გერმანული იარაღის ჩამოსვლის შემდეგ მოსინის შაშხანების რაოდენობა საწყობებში 22 812-ზე ავიდა. 1918 წლის 15 ივლისის მიახლოებითი გათვლებით , (რადგანაც ყველა სამხედრო ნაწილს ინფორმაცია არ გადაუცია სამინისტროსთვის) რეგულარულ ჯარს შეიარაღებაში ჰქონდა 9045 მოსინის შაშხანა.[390] რამდენი ათასი მსგავსი ტიპის შაშხანა იყო გვარდიის განკარგულებაში რთული სათქმელია. 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის 14 მაისამდე , საწყობებში არსებული 30 000-მდე სხვადასხვა სისტემის შაშხანიდან 25 000 გადაეცა ჯარებს,[391] ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე გადაცემული შაშხანების ზუსტი რიცხვი უცნობია. მთლიანობაში უხეში გათვლით ქართულ ჯარს დაახლოებით 40 000-მდე მოსინის შაშხანა ექნებოდა, ხოლო სხვა ტიპის შაშხანების საერთო რიცხვი მოსინებზე რამდენჯერმე ნაკლები იქნებოდა.

ტყვიამფრქვევების ზუსტად განსაზღვრული საშტატო რაოდენობა 1918 წლის დოკუმენტებში არ ჩანს, მაგრამ 1919 წლის შტატებით მშვიდობიანობის პერიოდში რეგულარულ არმიის თითო ბატალიონში 8 ტყვიამფრქვევი იყო გათვალისწინებული , ყველა ქვეით ბატალიონს, კავალერიასა თუ სხვა ნაწილებში ერთად კი მთლიანობაში დაახლოებით 130-მდე ტყვიამფრქვევი გამოდიოდა.[392] თუ გავითვალისიწნებთ იმ ფაქტს, რომ საომარი შტატით სამანევრო ნაწილები სამჯერ გაიზრდებოდა, ასეთი გაშლის შემთხვევაში ჯარს დაახლოებით 380-390 ტყვიამფრქვევი დასჭირდებოდა. რაც

[390] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.27.
[391] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც.707.
[392] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.8-37.

შეეხება სახალხო გვარდიას, გვარდიის მუდმივ ქვედანაყოფებში 1919 წლის შტატით 38 ტყვიამფრქვევი იყო გათვალისწინეული, [393] ხოლო თითო სარეზერვო ბატალიონში კი - 12.[394] 1919 წლის ბოლოს გვარდიაში 18, ხოლო 1920 წლის შუა პერიოდში უკვე 19 სარეზერვო ბატალიონი ირიცხებოდა, შესაბამისად შტატით მათ 228 ტყვიამფრქვევი უნდა ჰქონოდათ, გვარდიის რეგულარული ქვედანაყოფების ჩათვლით კი - 266. მთლიანობაში არმიისა და გვარდიის მობილიზაციის შემთხვევაში შეიარაღებულ ძალებს შტატით ჭირდებოდა - 650-მდე ტყვიამფრქვევი. გერმანიიდან ჩამოტანილი მაქსიმების ჩათვლით საწყობებში ტყვიამფრქვევების რაოდენობა - 472-ზე ავიდა, თუმცა ამის გარდა რამდენი ტყვიამფრქვევი იყო უკვე სამხედრო ნაწილებში დარიგებული ამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს, გამონაკლისია მე-5 ქვეითი პოლკი, რომელსაც როგორც ზემოთ ვნახეთ 1918 წლის სექტემებრში შეიარაღებაზე 18 ტყვიამფრქვევი ჰქონდა.[395] არც იმის შესახებ არის ინფორმაცია თუ რამდენი ტყვიამფრქვევი დაუტოვეს ქვეყნიდან გასვლისას გერმანელებმა ქართველებს, მაგრამ გვაქვს ინფორმაცია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 1919 წლის 14 მაისამდე ჯარებს საწყობებში არსებული 500-დან - 400-მდე ტყვიამფრქვევი გადაეცა შეიარაღებაში,[396] რამდენი ტყვიამფრქვევი ჰქონდათ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიღებული ჯარებს უცნობია. გარდა ქვეითი და საკავალერიო ნაწილებისა, ტყვიამფრქვევები დამონტაჟებული იყო ჯავშანმატარებლებზე, ჯავშანმანქანზე, კატარღებსა და აეროპლანებზე.

შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების არსებული რაოდენობა მეტწილად აკმაყოფილებდა 1918 წლის მშვიდობიანი დროის შტატებს და სრულად 1919 წლის მშვიდობიანი პერიოდის შტატებს, მაგრამ საომარ შტატებზე გადასვლის შემთხვევაში რომელიც არმიასა და გვარდიაში 60 000-მდე მებრძოლს უდრიდა, განსაკუთრებით შაშხანების და ნაწილობრივ ტყვიამფრქვევების დანაკლისი აშკარა იყო.

შაშხანების და ტყვიამფრქვევების რაოდენობა აზრს კარგავს, თუ არმიას საბრძოლო მასალების შესაბამისი მარაგები არ გააჩნია. რუსეთ-იაპონიის გამოცდილებიდან გამომდინარე, პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთის იმპერიის ჯარების მარაგები

[393] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 365. ფურც.95-100.
[394] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 2. საქმე 8. ფურც.12.
[395] სცსა. დონდი 1990. აღწერა 1. საქმე 1.
[396] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც.707.

შემდეგნაირად იყო გათვლილი : 1 ქვეითი მებრძოლის შაშხანისთვის გათვალისწინებული იყო - 1000 ვაზნა; ხოლო 1 ტყვიამფრქვევისათვის კი - 75 000.[397] მსოფლიო ომის დაწყებისას, მობილიზაციის შემდეგ რუსულ ჯარის მარაგები გათვალისწინებულზე ნაკლები აღმოჩნდა , ომის მიმდინარეობისას კი ვაზნების ,,კრიზისი" არცთუ უმნიშნელო გამოდგა. ომის მოთხოვნებს ბოლომდე ვერ აკმაყოფილებდა ვერც 22 საათიან სამუშაო რეჟიმზე გადასული რუსული ქარხნების გამოშვებული პროდუქცია და ვერც უცხოური შესყიდვები. მსოფლიო ომის მიმდინარეობისას რუსული არმიის ქვეითი თვეში საშუალოდ 100-ზე ცოტა მეტ ვაზნას ხარჯავდა, დღეში დაახლოებით 3-5-ს; როცა მათი ფრანგი მოკავშირეები დღეში საშუალოდ - 30-ს; ბრიტანელები კი - 50-ს.[398] ეს იყო საშუალო მოხმარება, რადგანაც ომის ყოველი დღე დიდი სამხედრო ოპერაციისაგან არ შედგებოდა და ზოგჯერ სიჩუმეც ჩამოწვებოდა ხოლმე ფრონტის ხააზზე, ზოგიერთ მეომარს კი შესაძლოა მისთვის დაკისრებული სამსახურის გამო თვეების განმავლობაში არც დასჭირვებოდა სროლა. დიდი სამხედრო ოპერაციის დროს კი, შეიძლება ერთ მეომარს ერთ დღეში იმაზე ბევრად მეტი ვაზნა დაეხარჯა, ვიდრე საშუალოდ მთელი თვის განმავლობაში ხარჯავდა. რუსეთის სამოქალაქო ომი შედარებით მცირე მასშტაბის იყო, ვიდრე თუნდაც მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის აღმოსავლეთ ფრონტი. მცირე მასშტაბები არ გამოიხატებოდა მხოლოდ ჯარის მასების სიმცირეში, არამედ იარაღისა და საბრძოლო მასალების შეზღუდულ რაოდენობაში, შეზღუდულად მომუშავე სამხედრო საწარმოებში და ა.შ. რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, 1918 წლის შემოდგომაზე წითელ არმიას, რუსეთის საიმპერატორო არმიის საბრძოლო მასალების ხარჯვის 50 პროცენტი დაუწესეს ნორმად, თითო შაშხანაზე თვიურად გათვალისწინებული იყო 50 ვაზნა; ხოლო ტყვიამფრქვევზე კი 5000.[399] 1918 წლის დეკემბრიდან ერთ მსროლელზე დივიზიის, არმიის და საფრონტო საწყობებში მთლიანობაში 448 ვაზნა იყო გათვალისწინებული.[400] პრაქტიკაში კი გაცილებით ნაკლები ვაზნა მიეწოდებოდა წითელი არმიის მებრძოლ ნაწილებს, მაგალითად 1919

[397] А. А. Маниковский. Боевое снабжение Русской Армии в Мировую Войну. С.427.
[398] А. П. Залюбовский. . Снабжение Русской Армии вь Великую войну Винтовками, пулеметами, револьверами, и патронами кь нимь С. 114.
[399] С. М. Кляцкин. На защите октября. Организация регуларной Армии и милиционное строительство в Советской республике 1917-1920. Москва: ,,Наука", 1965 с. 313.
[400] С. М. Кляцкин. с. 315-316.

წლის იანვარში მათ თვიური ნორმის მხოლოდ 60 პროცენტი მიიღეს.[401] წითელი არმია ვაზნების დეფიციტის მიუხედავად, უკეთეს მდგომარეობაში იყო ვიდრე მისი მოწინააღმდეგე თეთრი ძალები, რომლებიც რეალურად მხოლოდ ანტანტისგან მიწოდებული იარაღის იმედზე იყვნენ. ისევე როგორც პირველ მსოფლიო ომში, რუსეთის სამოქალაქო ომშიც ზოგადი საშუალო დღიური და თვიურად განსაზღვული გასასროლი ვაზნების ოდენობა, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა კონკრეტული ოპერაციებისას დახარჯული ვაზნების რაოდენობას. მაგალითად თუ თვეში მსროლელისთვის საშუალოდ განკუთვნილი იყო 50 ვაზნა, 1920 წლის აგვისტოში წითლებსა და თეთრებს შორის ქვემო დნეპრზე მიმდინარე ბრძოლის დროს წითელი არმიის მსროლელის დღიური ნორმა 30-მდე ადიოდა.[402] ეს მსოფლიო ომთან შედარებით ცოტა, თუმცა რუსეთის სამოქალაქო ომის მასშტაბებით ნორმალური მაჩვენებელი იყო.

რა შეგვიძლია ვთქვათ ქართული ჯარის მარაგების შესახებ, თუ რამდენიმე ასეული არისაკას 3 მილიონზე მეტ ვაზნას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ მარაგი საკმარისზე მეტი გამოვა, მაგრამ რამდენიმე ასეული ან თუნდაც ათასი შაშხანა ამოსავალ წერტილად არ გამოგვადგება. მთავარია სამ ხაზიანი ვაზნების (7.62მმ) შეფარდება მოსინის შაშხანებსა და მაქსიმის ტყვიამფრქვევებთან. როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩვენთვის ცნობილია მათი რაოდენობა 1918 წლის ივლისის საწყობების და გერმანიიდან ჩამოტანილი იარაღის მონაცემებით, მაგრამ არ ვიცით ზუსტად რა რაოდენობით ჰქონდათ გადაცემული ჯარებს, თუმცა ნიმუშად და მეტნაკლები განზოგადებებისათვის მეხუთე პოლკის მაგალითი გამოგვადგება. მეხუთე პოლკს, რომელიც რეალურად უფრო გაძლიერებული ბატალიონის ზომის ქვედანაყოფი იყო ვიდრე პოლკი 1918 წლის სექტმებრის მონაცემებით 864 მოსინის შაშხანა და 15 მაქსიმის ტყვიამფრქვევი გააჩნდა, მათთვის განკუთვნილი 32 800 ვაზნით.[403] როგორც წესი, ერთი კალიბრის ვაზნები შაშხანებსა და ტყვიამფრქვევებისთვის იყოფოდა, თუ მათ შორის 80/20-ზე შეფარდებას ავიღებთ ასეთ შემთხვევაში მე-5 პოლკს 1 შაშხანაზე - 30, ხოლო 1 ტყვიამფრქვევზე კი 473 ვაზნა ექნებოდა. განზოგადება მაქსიმალურად

[401] С. М. Кляцкин. с. 316.
[402] Н. Е. Какурин. И. И. Вацетис. Гражданская Война 1918-1921. Под ред. А. С. Бубнова и др. Санкт-Петербург: ,, Полигон“, 2002 с. 590-591.
[403] სცსა. ფონდი 1990. აღწერა 1. საქმე 1. ფურც.32-33.

ზუსტი არ გამოვა, თუმცა უხეში, მაგრამ ზუსტთან მიახლოებული გათვლით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხედრო ნაწილებში პროპორციულად ვაზნების ეს რაოდენობა ინახებოდა. ამ მონაცემს უნდა დავუმატოთ ცენტრალურ საწყობებში არსებული 22 812-ი მოსინის შაშხანა, 250 მაქსიმის ტყვიამფრქვევი და 6 037 880 ვაზნის საშუალო მონაცემი, რომელიც ვაზნების შაშხანებისა და ტყვიამფრქვევებისათვის 80/20-ზე განაწილების შემთხვევაში 1 შაშხანაზე - 211 ვაზნა, ხოლო 1 მაქსიმის ტყვიამფრქვევზე კი 4830 გამოდის. მთლიანობაში მოქმედ ჯარებსა და საწყობებში, 1 მოსინის შაშხანაზე დაახლოებით - 241 და 1 მაქსიმის ტყვიამფრქვევზე -5303 ვაზნა უნდა ყოფილიყო. საწყობებში არსებული ლუისის (222) ტყვიამფრქვევების და მისი ვაზნების (203 768) შეფარდება კი 1 ტყვიამფრქვევზე კიდევ უფრო ცოტა - 917 ვაზნას გვაძლევს, თუმცა ვალოდია გოგუაძის მიერ 1918 წლის მარტში ალექსანდროპოლიდან ჩამოტანილი ლუისის 6 მილიონი ვაზნა, სრულად ვერც დაიხარჯებოდა და ვერც ოსმალურ არმიას ჩაუვარდებოდა ალაფად, ამიტომ მოქმედი ჯარების განკარგულებაში დარჩენილი ლუისის ვაზნების რაოდენობის ცოდნა, თითო ტყვიამფრქვევეზე უკეთეს შედეგს მოგვცემდა. როგორც ვხედავთ, ქართული ჯარის ვაზნების მარაგები თითო შაშხანასა და ტყვიამფრქვევზე გადათვლით, არათუ რუსული საიმპერიო არმიის მარაგებს ჩამორჩებოდა ბევრად, არამედ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა წითელი არმიის მარაგებს და ამ ყველაფერს ის გარემოებაც ართულებდა, რომ საბჭოთა რუსეთისგან განსხვავებით საქართველოში იარაღის და საბრძოლო მასალების ქარხნები არ არსებობდა. ვაზნებისგან განსხვავებით , საარტილერიო საწყობებში დიდი რაოდენობით ხელყუმბარები ინახებოდა, მათი მარაგი სხვადსხვა მონაცემებით 57 584-დან[404] - 200 000-მდე მერყეობდა.[405] დამოუკიდებლობის პირველი წლის განმავლობაში მხოლოდ 3 000 ხელყუმბარის დახარჯვა მოახერხეს ჯარისკაცებმა, რაც პარლამენტის სამხედრო კომისიის მიერ მთავრობის წინაშე წარდგენილი მოხსენებას თუ ვენდობით ჯარისკაცთა მოუმზადებლობას შეიძლება მიეწეროს.[406] მთლიანობაში ხელყუმბარების მარაგი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო.

---

[404] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.27.

[405] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც.702.

[406] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 4. ფურც.14 - უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის რეგულარული არმიის პოლკებში შტატით არსებობდა „ნაღმ-ყუმბარების“ მსროლელთა კომანდები, ხოლო ,,საპიორთა“ ბატალიონში კი ასეული - იხ. სცსა . ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 173. ფურც.2-8; სცსა. ფონდი 1836. აღწერა1. საქმე 192. ფურც.4.

რა შეიძლება ითქვას ომის ღმერთის - არტილერიის , ამ შემთხვევაში კი ქართული ჯარის არტილერიის რაოდენობის და საბრძოლო მასალების შესახებ. 1918 წლის 15 და 21 ივლისის მონაცემებით საწყობებში 82 ქვემეხი და ჰაუბიცა და 112 492 ჭურვი ინახებოდა.[407] ამ რაოდენობიდან ყველა ჭურვი როდი გამოდგებოდა რესპუბლიკის ჯარისთვის. მაგალითად ამ რაოდენობაში შედიოდა იაპონური ქვემეხის, არისაკაც 75მმ-იანი 30 058 ჭურვი,[408] ამ ტიპის ქვემეხები კი ქართულ არმიას კავკასიის ფრონტისგან მემკვიდრეობით არ დარჩენილა. უფრო მეტად რომ დავაზუსტოთ 1918 წლის ივლისში საარტილერიო საწყობებში ინახებოდა: 1900 წლის ნიმუშის 3 დუიმიანი (76.2მმ) 1 მსუბუქი საველე ქვემეხი და 1902 წლის ნიმუშის 3 დუიმიანი (76.2მმ) 11 მსუბუქი საველე ქვემეხი - მათთვის განკუთვნილი 27 788 ჭურვით; 1904 წლის ნიმუშის 3 დუიმიანი (76.2მმ) 11 სამთო ქვემეხი - 4083 ჭურვით; 1909 წლის ნიმუშის 3 დუიმიანი (76.2მმ) 45 სამთო ქვემეხი -42 029 ჭურვით; 1904 და 1905 წლის ნიმუშის 48 ხაზიანი (122მმ) 3 ჰაუბიცა ჭურვების გარეშე; 1909 წლის ნიმუშის 48 ხაზიანი (122მმ) 2 ჰაუბიცა - 737 ჭურვით და 1910 წლის ნიმუშის 45 ხაზიანი 2 ბრიტანული ჰაუბიცა 4000 ჭურვით.[409] 15 ივლისისავე მონაცემებით, საარტილერიო საწყობების გარდა, საქართველოს რეგულარული ჯარის შეიარაღებაზე მიღებული იყო 70 ერთეული 1909 წლის ნიმუშის 3 დუიმიანი 70 სამთო ქვემეხი და 1909 წლის ნიმუშის 48 ხაზიანი 4 ჰაუბიცა.[410] მთლიანობაში 1918 წლის ივლისისათვის, ქართული რეგულარული არმიისა შეიარაღებასა და საწყობებში 156 საარტილერიო დანადგარი იყო, ამ მონაცემში არ შედის სახალხო გვარდიის საარტილერიო დანადგართა რაოდენობა, რომელიც 1918 წლის ზაფხულისთვის ზუსტად არ იყო განსაზღვრული, მაგრამ 1919 წლის დასაწყისისა და შუა ხანების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ 20-22-ს შორის მერყეობდა. გვარდიის არტილერიის ჩათვლითაც მთლიანი ქართული შეიარაღებული ძალების საარტილერიო დანადგართა რაოდენობა 170-180-ს შორის მერყეობდა. საარტილერიო საწყობებში ასევე ინახებოდა 99 ერთეული 9

---

[407] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.22; 27 - ჭურვების საერთო რაოდენობაში შედის როგორც ჩვეულებრივი ჭურვები, ისე შრაპნელები, რომლებიც დოკუმენტებში ცალ-ცალკეა გამოყოფილი. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1904 და 1909 წლის სამთო ქვემეხების ჭურვები, მიუხედავად მსგავსი კალიბრისა, სროლის საწყისი სიჩქარის სხვაობის გამო უნივერსალური არ იყო და ორივე ქვემეხზე არ გამოიყენებოდა -იხ. Е. З. Барсуков. Артиллерия Русской Армии (1900-1917гг.). Том I .С. 147.

[408] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.27.

[409] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.22;27.

[410] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.27.

სანტიმეტრიანი ბომბსატყორცნი 94 906 ჭურვით.[411] ეს ბომბსატყორცნები თავისი 3 კილოგრამიანი ჭურვებით ახლო მანძილზე 500 მეტრამდე რადიუსში პოზიციური ბრძოლებისას იყო განკუთვნილი და მათი მასობრივი წარმოება რუსეთში მხოლოდ 1916 წელს დაიწყეს . ამ „სათამაშოებს“ რუსი სამხედროები განსაკუთრებული აღფრთივანებით არ შეხვედრიან და დიდად არ იყენებდნენ. ქართულ არმიაშიც ეს ბომბსატყორცნები ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა. თბილისის საარტილერიო საწყობში ასევე ინახებოდა 8 ნაღმსატყორცნი, სულ რაღაც 230 ჭურვითურთ.[412]

ჩამოთვლილი რიცხვების მიღმა საჭიროა განვსაზღვროთ არტილერიის და მისი საბრძოლო მასალების რომელი ტიპები და რა რაოდენობა ჭირდებოდა საქართველოს ჯარს და რამდენად საკმარისი იყო ის მარაგები რაც მას გააჩნდა. 1918 წლის 20 აგვისტოს მიღებული საქართველოს რეგულარული არმიის ორგანიზაციის კანონის მიხედვით ჯარს შეიარაღებაზე უნდა ჰყოლოდა ორ დივიზიასთან არსებული ორი საარტილერიო ბრიგადა , თითოში 92-92 საარტილერიო დანადგარი, ერთი ცალკეული საარტილერიო ბრიგადა - 48 საარტილერიო დანადგარი და ცხენოსანი არტილერიის დივიზიონი რომლის საარტილერიო დანადგართა რაოდენობა დაკონკრეტებული არ იყო.[413] მთლიანობაში - 232 საარტილერიო დანადგარი. 1918 წლის შემოდგომაზე, რეგულარული ჯარის უფრო ზუსტი შტატები მთავრობამ დაამტკიცა, მართალია საკანონმდებლო ორგანომ მისი დამტკიცება ვერ მოასწრო , მაგრამ მთავრობის მიერ დამტკიცებული შტატების გათვალისწინებით დაიწყო სამხედრო ნაწილების ორგანიზება. ამ შტატების თანახმად , რეგულარულ ჯარში იქმნებოდა 2 დივიზიასთან არსებული 2 საარტილერიო ბრიგადა - თითოში 63/90[414] ქვემეხი და ჰაუბიცა, 1 ცალკეული საარმიო არტილერიის ბრიგადა - 30/48[415] ქვემეხი და ჰაუბიცა და ცხენოსანი არტილერიის 1 ბატარეა - 4 ქვემეხი, მთლიანობაში არტილერიის სამივე ბრიგადაში ცხენოსანი ბატარეის ჩათვლით უნდა ყოფილიყო უნდა ყოფილიყო 18 საარტილერიო დივიზიონი, 47 საარტილერიო ბატარეა, მშვიდობიანობის პერიოდში - 160, ხოლო ომის დროს 232 საარტილერიო დანადგარით. 47 საარტილერიო ბატარეიდან 26 უნდა ყოფილიყო სამთო ქვემეხებით დაკომპლექტებული (86/108

[411] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.22.
[412] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184. ფურც.22.
[413] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. გვ.53-54.
[414] 63 მშვიდობიანობის პერიოდში, ხოლო 90 ომისას.
[415] 30 მშვიდობიანობის პერიოდში, ხოლო 48 ომისას.

ქვემეხი); 7 მსუბუქი საველე ბატარეა (28 ქვემეხი); ჰაუბიცების 6 ბატარეა (24 ქვემეხი); 6 დუიმიანი (152მმ) და 42 ხაზიანი (107მმ) მძიმე ჰაუბიცებისა და მძიმე საველე ქვემეხების 9 ბატარეა (18/36 ქვემეხი და ჰაუბიცა) და 1 ცხენოსანი ბატარეა (4ქვემეხი).[416] როგორც 1918 წლის 15-21 ივლისის რეგულარულ ჯარსა და საწყობებში არსებული საარტილერიო სისტემების ტიპებითა და რაოდენობით (156 ერთეული) ვასკვნით, ქართულ ჯარს არც ამ რაოდენობის არტილერია გააჩნდა და არც ასეთი მრავალფეროვანი. ჯარს გააჩნდა - 115 ერთეული 1909 წლის ნიმუშის 3 დუიმიანი (76.2მმ) სამთო ქვემეხი რომლითად ნამდვილად დაკომპლექტდებოდა 26 სამთო ბატარეა, 12 მსუბუქი საველე 3 დუიმიანი ქვემეხი რომლითაც მხოლოდ სამი ბატარეა დაკომპლექტებოდა და მთლიანობაში 2 ბატარეისთვის სამყოფი 48 (122მმ) და 45 (114მმ) ხაზიანი ჰაუბიცები. არც 6 დუიმიანი ჰაუბიცები თუ საველე ქვემეხები და არც 42 ხაზიანი სწრაფმსროლელი მძიმე ქვემეხები მძიმე არტილერიის დასაკომპლექტებლად ქვეყანას არ გააჩნდა და შტატების გათვლისას მხოლოდ მომავლის ოპტიმისტური მოლოდინის იმედად თუ იქნებოდნენ.

1919 წლის ზაფხულში რეგულარული არმიის შტატების შემცირების შედეგად, რეგულარულ ჯარში დარჩა სამ ბრიგადასთან არსებული თითო-თითო საარტილერიო დივიზიონი 12-12 და ცალკეული საარტილერიო დივიზიონი - ასევე 12 საარტილერიო დანადგარით. მთლიანად მშვიდობიანი პერიოდის შტატის მიხედვით რეგულარულ ჯარში 4 საარტილერიო დივიზიონი ირიცხებოდა, მასში შემავალი 12 საარტილერიო ბატარეით, საიდანაც 9 იყო სამთო ბატარეა (36 ქვემეხი); 1 მსუბუქი საველე ბატარეა (4ქვემეხი); 1 ჰაუბიცების ბატარეა (4 ჰაუბიცა) და 1 მძიმე 6 დუიმიანი (152მმ) საველე ქვემეხების ბატარეა (4ქვემეხი); სულ - 48 საარტილერიო დანადგარი.[417] არტილერიის ამ რაოდენობა 1920 წელს დარიალის სანაპირო რაზმის ორი სამთო და ორი საველე ქვემეხი დაემატა. [418] აღნიშნული რაოდენობის სამთო, მსუბუქი და ჰაუბიცების ბატარეების დაკომპლექტება გარდა 6 დუიმიანი მძიმე საველე ქვემეხებისა სრულიად შესაძლებელი იყო. თუმცა არმიის მობილიზაციის შედეგად 4 დივიზიონი 4 ბრიგადად უნდა გაშლილიყო და შესაბამისად არტილერიის რიცხვიც

[416] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 174. ფურც.4-15.
[417] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც. 1; 11-14.
[418] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1044. ფურც.1-3; 52-54.

გასამმაგებულიყო, რაც მხოლოდ სამთო და საველე ქვემეხების შემთხვევაში მოხერხდებოდა.

რეგულარული არმიის გარდა 1919 წლისავე შტატების მიხედვით სახალხო გვარდიის საარტილერიო დივიზიონში 2 სამთო ბატარეა (8 ქვემეხი); 2 საველე ბატარეა (8ქვემეხი) და 1 ჰაუბიცების ბატარეა (4 ჰაუბიცა) ირიცხებოდა, ხოლო გვარდიის ცხენოსან დივიზიონში კი 2 ჰოჩკისის ქვემეხი.[419] 1920 წლის აპრილიდან კი ამ რიცხვს 2 45 ხაზიანი (114მმ) ჰაუბიცაც მიემატა.[420] მთლიანობაში 1919-1920 წლებში არმიის მშვიდობიანი პერიოდის შტატებსა და გვარდიაში ერთად გათვალისწინებული იყო 70-76[421] ქვემეხი და ჰაუბიცა. საარტილერიო დანადგარების ეს რაოდენობა ქართულ ჯარს გააჩნდა, თუმცა საომარი დროის შტატზე გადასვლის შემთხვევაში მხოლოდ სამთო ქვემეხების რაოდენობა აკმაყოფილებდა შტატს, მსუბუქი საველე ქვემეხები ზღვარზე იყო, ჰაუბიცები ცოტა და მძიმე საველე ქვემეხები კი საერთოდ არ იყო. ისევე როგორც შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს ფაქტორს მათი ,,საკვები", ჭურვების რაოდენობა წარმოადგენდა.

პირველი მსოფლიო ომის წინ, რუსეთ-იაპონიის ომის გამოცდილებიდან გამომდინარე, რუსული არმიაში თითოეულ ქვემეხზე გათვალისწინებული იყო 1000-1200 ჭურვი, არტილერიის გენერალ-ინსპექტორთან არსებული კომისია თვლიდა, რომ ეს რაოდენობა 1 წლიანი ან უკიდურეს შემთხვევაში ნახევარწლიანი ომისთვის იქნებოდა საკმარისი, ამავე პერიოდში ფრანგულ ჯარში 1 ქვემეხზე 1300-1500 , ხოლო გერმანულში კი - 1500 ჭურვი მოდიოდა.[422] პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებისას მეომარ მხარეებს ეგონათ შობამდე სახლში დაბრუნდებოდნენ, გადარჩენილები მხოლოდ ომის დაწყებიდან მეხუთე შობას შეხვდნენ სახლში, შესაბამისად მათ მიერ გათვლილი საბრძოლო მასალების მარაგი საკმარისი არ გამოდგა. არტილერია უფრო და უფრო დიდი რაოდენობით ,,საკვებს" ითხოვდა. ომის საწყის ეტაპზე 1914 წლის სექტემბერში, რუსულ არმიაში 76მმ-იან ქვემეხებზე რომელიც ყველაზე მასიურ საარტილერიო დანადგარს წარმოადგენდა, თითო ქვემეხზე ჭურვების ხარჯვა

[419] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 365. ფურც.95-100.
[420] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1036. ფურც.18.
[421] 1919 წელს -70 და 1920 წელს - 76.
[422] А. А. Маниковский. Боевое снабжение Русской Армии в Мировую Войну. Переработал и дополнил Е. З. Барсуков С.444-446; А. А. Строков. Вооруженные силы и военное искусство в первой мировой войне. Москва; ,,Воениздат". 1974 С.147.

თვიურად 250-ს შეადგენდა, 1915 წლის ნოემბერში ეს რიცხვი 400-ზე ავიდა ,1916 წლის ივნისში კი თითო ქვემეხზე 650-ზე.[423] აღმოსავლეთის ფრონტთან შედარებით სადაც რუსები გერმანელებს და მათ მოკავშირეებს ებრძოდნენ, კიდევ უფრო მეტს 5-7-ჯერ მეტს ისროდნენ დასავლეთის ფრონტზე, თუ ამ შეფარდებას 1917 წლის მეორე ნახევრიდან ომის ბოლომდე არსებულ პერიოდს მოვაკლებთ როცა აღმოსავლეთის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებები თითქმის აღარ მიმდინარეობდა სხვაობა მაინც 3-4-ჯერ მეტი გამოვა.[424] ქვემეხზე საშუალო თვიური ხარჯვას მშვიდი დღეები და პერიოდები აბალანსებდა თორემ მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციების დროს ხარჯვა კიდევ უფრო მასშტაბური იყო. მაგალითად 1916 წლის გაზაფხულზე რუსული არმიის თითოეული ქვემეხი ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ დღეში 60-ჯერ ისროდა; ვერდენის ოპერაციის დროს 1916 წლის 21 თებერვლიდან 16 ივნისამდე პერიოდში, თითო ფრანგული ქვემეხი დღეში საშუალოდ 87 ჭურვს ისროდა; 1916 წლის ივლისში სომას ბრძოლის პირველი ერთი თვის განმავლობაში გერმანული არმია სხვადასხვა კალიბრის ქვემეხიდან დღიურად საშუალოდ 50-170-ჯერ ისროდა; 1915 წლის შემოდგომაზე შამპანის მეორე ბრძოლის დროს მესამე გერმანული არმია ყოველდღიურად თითო მსუბუქ საველე ჰაუბიცებზე - 320 და საველე ქვემეხებზე კი 350 ჭურვს ხარჯავდა.[425]

რუსეთის სამოქალაქო ომში 1918 წლის მეორე ნახევრიდან წითელი არმიის არტილერიისთვის საბრძოლო მასალების ხარჯვის შემდეგი ნორმები იყო დაწესებული: თითოეული 3 დუიმიანი საველე ქვემეხებისათვის - 436 გასროლა; 48 ხაზიანი ჰაუბიცისათვის -250; 42 ხაზიანი მძიმე სწრაფმსროლელი ქვემეხისთვის - 197 და 6 დუიმიანი მძიმე ჰაიბიცისათვის კი - 111.[426] იმ დროისათვის წითელი არმიის მარაგები არ იყო ძალიან დიდი, მაგრამ სამხედრო წარმოება მათ საშუალებას აძლევდათ მარაგები შეევსოთ და თითქმის დადგენილი ნორმებით ეხარჯათ ჭურვები სამოქალაქო ომის პერიოდში.[427] 1920 წლის აგვისტოში ქვემო დნეპრზე მიმდინარე ხუთდღიანი ბრძოლების დროს, წითელი არმია თითო მსუბუქ ქვემეხზე დღეში 57

---

[423] А. А. Маниковский. С.498-501

[424] А. А. Маниковский. С.613

[425] А. А. Маниковский. С.610-612 ავტორს 1915 წლის შამპანის მეორე ბრძოლის ნაცვლად, უწერია 1915 წლის შემოდგომის ბრძოლების სომაზე.

[426] С. М. Кляцкин. На защите октября. Организация регулярной Армии и милиционное строительство в Советской республике 1917-1920. с. 313.

[427] С. М. Кляцкин. с. 317-318.

ჭურვს ხარჯავდა , როცა მათი მოწინააღმდეგე თეთრების შესაძლებლობები დღიურად თითო ქვემეხზე 20-ს არ აღემატებოდა.[428]

ქართულ ჯარს კი კიდევ უფრო რთული მემკვიდრეობა ერგო წილად. როგორც ზემოთ ვნახე 1918 წლის ივლისში ჯარსა და საწყობებში არსებულ 115 1909 წლის ნიმუშის 3 დუიმიან სამთო ქვემეხებზე 42 029 ჭურვი მოდიოდა, ანუ 1 ქვემეხზე მარაგი მხოლოდ 365 იყო; 1919 წლის მარტში სამთო ჭურვების ოდენობა 33 023 იყო ჩამოსული[429], თითო ქვემეხზე 287 ჭურვი. ასევე მძიმე მდგომარეობა იყო 1909 წლის მოდელის 48 ხაზიან ჰაუბიცებზე, 1918 წლის ივლისში 6 ჰაუბიცაზე[430] სულ 737 ჭურვი მოდიოდა, თითოზე 123 (დამრგვალებით); 1919 წლის მარტში კი მათი მარაგი 636-ზე იყო ჩამოსული,[431] თითო ჰაუბიცაზე - 106. 1918 წლის ივლისიდან 1919 წლის მარტამდე , საქართველოს თუნდაც სხვა მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაციები რომ არ ჩავთვალოთ 1918 წლის დეკემბერში 3 კვირიანი ომი ჰქონდა სომხეთის რესპუბლიკასთან და 48 ხაზიანმა ჰაუბიცებმა ამ დროის განმავლობაში საბრძოლო მასალების დიდი დეფიციტის გამო სულ რაღაც 101 ჭურვის გაისროლეს. შედარებით ნორმალური მდგომარეობა იყო 3 დუიმიანი საველე ქვემეხების შემთხვევაში. 1918 წლის ზაფხულზე როგორც ვნახეთ საწყობებში ასეთი ტიპის 12 ქვემეხი იდგა, ორიოდე თვით ადრე აღნიშნული ტიპის 8 ქვემეხი ჰქონდა სახალო გვარდიას აფხაზეთში ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო ოპერაციისას,[432] ესეიგი დაახლოებით 20 ასეთი ქვემეხისთვის 1918 წლის ივლისში საარტილერიო საწყობებში 27 788 ჭურვი ინახებოდა, თითო ქვემეხზე - 1389. 1919 წლის მარტის დასაწყისში მათი მარაგი 17 294-ზე იყო ჩამოსული, [433] თითო ქვემეხზე - 865. კიდევ უკეთესი მდგომარეობა იყო 45 ხაზიან ჰაუბიცებზე, 2 ჰაუბიცაზე -4 000, შესაბამისად თითოზე - 2 000 ჭურვი იყო საწყობში, თუმცა თავის თავად 2 ჰაუბიცა ფაქტობრივად არაფერს წარმოადგენდა და ეს დანადგარებიც მხოლოდ 1920 წლის აპრილში მიიღო გვარდიამ შეიარაღებაზე.[434] როგორც საერთო სტატისტიკა

---

[428] Н. Е. Какурин. И. И. Вацетис. Гражданская Война 1918-1921 С. 590-591.
[429] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც. 422.
[430] იმ დროისათვის როგორც ზემოთ ვნახეთ 4 ერთეული ჯარს ყავდა, 2 კი საწყობში იყო.
[431] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც. 422.
[432] Валико Джугели. Тяжелый Кресть. Записки народногвардейца. Тифлис: ,,Государственная Типография“. 1920 с. 11; 15 - ვალიკო პირდაპირ არ წერს, რომ მათ 8 საველე ქვემეხი ჰქონდათ, მაგრამ ორი სხვადასხვა დღის ჩანაწერის შეჯერებით ასე გამოდის. 1918 წლის 11 მაისის ის წერს, რომ მათ რაზმს 8 ქვემეხი ჰქონდა, ხოლო 17 მაისს წერს , რომ არტილერიის ბრძოლაში ჩართვის ბრძანებამ გააღვიძა და საკუთარი არტილერიის, კერძოდ 1902 წლის საველე ქვემეხის გამკივანი ხმა გაიგო.
[433] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც. 422.
[434] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1036. ფურც.18.

გვაჩვენებს ქართული არმიის ძირითადი საარტილერიო დანადგარისთვის, 1909 წლის სამთო ქვემეხების საბრძოლო მასალების მარაგი საკმაოდ მცირე იყო, მაგრამ არცთუ საგანგაშო მდგომარეობა იყო საველე ქვემეხების ჭურვებთან მიმართებაში, თუმცა თავად ამ ქვემეხების რაოდენობა იყო ცოტა. მდგომარეობას კი როგორც ტყვიამფრქვევების, შაშხანების და ვაზნების შემთხვევაში, არტილერიისა და მისი ჭურვების შემთხვევაშიც სამხედრო ქარხნების არარსებობა ამძიმებდა. ამავდროულად ქართული არმიის არტილერია 10-მდე ჰაუბიცის გამოკლებით, მცირე კალიბრის, 76.2 მმ-იანი დანადგარებით იყო დაკომპლექტებული რაც მისი საცეცხლე შესაძლებლობების სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებდა.

გენერალ მაზნიაშვილის საბჭოური პერიოდის მემუარების მტკიცებას, 50 000-იანი არმიის შესანახი 10 წლიანი მარაგების შესახებ დოკუმენტურისა წყაროები არ ადასტურებენ და პირიქით ამ მტკიცებისა და რეალობას შორის საკმაოდ დიდ სხვაობას გვაჩვენებენ.

ქართული ჯარის საბრძოლო მარაგების მდგომარეობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების მხოლოდ პირველი წლის განმავლობაში რეგულარული არმია და გვარდია ფაქტობრივად განუწყვეტლად იყვნენ ჩართულნი საბრძოლო მოქმედებებში. 1918 წლის თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში ტარდებოდა სამხედრო ოპერაცია რუსული ბოლშევიკურ სამხედრო რაზმების წინააღმდეგ: აფხაზეთში, სოჭსა და ტუაფსეს ოლქებში. რესპუბლიკამ ჩაახშო დუშეთის მაზრის და სხვა შედარებით მცირე მასშტაბის ბოლშევიკური აჯანყებები, 1918 წლის ივლისში დაუპირსპირდა ქვემო ქართლში ოსმალური სამხედრო რაზმების შემოტევას; გადაიხადა სრულმასშტაბიანი ომი სომხეთის რესპუბლიკასთან; 1919 წელს ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იბრძოდა ე.წ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის იგივე ყარსის რესპუბლიკის ჯარებსა და მათ მიერ აჯანყებულ სამცხის მოსახლეობის ნაწილთან; 1919 წლის თებერვალსა და აპრილში გაიმართა საომარი მოქმედებები რუსეთის თეთრი მოძრაობის, გენერლის დენიკინის ჯარებთან სოჭსა და აფხაზეთში და ა.შ. ჩამოთვლილი საბრძოლო მოქმედებების მასშტაბები, ძირითადად მცირე ან საშუალო იყო, მაგრამ ბუნებრივია, რომ რესპუბლიკის ჯარების საბრძოლო მასალების მარაგს მაინც აცარიელებდა. სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის დროს, მთავრობის 20 დეკემბრის სხდომაზე პარლამენტის სამხედრო კომისიის მოხსენებაში

აღინიშნა, რომ სამხედრო მასალა ცოტა იყო და საჭირო იყო ზომების მიღება მათ შესაძენად.[435] მართლაც საბრძოლო მასალის მარაგები მცირდებოდა. 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომში, დეკემბრის სამკვირიანი სამხედრო კამპანიის დროს საწყობებიდან ჯარებს გადასცეს - 3 995 920 სამხაზიანი შაშხანის ვაზნა და სხვადასხვა კალიბრის 13 347 ჩვეულებრივი ჭურვი და შრაპნელი.[436] სომხეთ-საქართველოს ომის დასრულებიდან ორი თვის თავზე, მაშინ როდესაც საომარი მოქმედებები ე.წ ყარსის რესპუბლიკასთან მიმდინარეობდა 1919 წლის 11 მარტის მონაცემებით რესპუბლიკის საწყობებში დარჩენილი იყო - 8771 შაშხანა; 97 მაქსიმის ტყვიამფრქვევი; 2 992 600 3 ხაზიანი შაშხანი ვაზნა; სამთო ქვემეხის -33 023 ჭურვი; საველე ქვემეხების - 17 294 და 48 ხაზიანი (122მმ) ჰაუბიცის -636 ჭურვი.[437] თუ 1918 წლის ივლის-სექტემბრის[438] მონაცემებს შევადარებთ 1919 წლის მარტის მონაცემებს, გამოდის რომ ამ პერიოდში, სულ რაღაც 6-8 თვის განმავლობაში დაიხარჯა საწყობში არსებული 3 ხაზიანი შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების ვაზნების - 50.4%; სამთო ქვემეხების ჭურვების 28.3%; საველე ქვემეხების ჭურვების - 37.7 % და 48 ხაზიანი ჰაუბიცის ჭურვების - 13.7%. უფრო გართულებულ და დამძიმებულ სიტუაციას ასახავს გვარდიის მთავარი შტაბის 1919 წლის ნოემბრის შტაბის ბრძანება. მთავარი შტაბის დადგენილებით თითოეულ შაშხანაზე ნორამდ განისაზღვრა სულ რაღაც 120 ვაზნა, აქედან 60 საოლქო ან სარაიონო შტაბის საწყობში უნდა შენახულიყო, ხოლო დანარჩენი 60 კი გვარდიელებს ხელზე უნდა ჰქონოდათ.[439]

1920 წლის 7 თებერვალს თბილისის არსენალის უფროსმა, პოლკოვნიკმა გიორგი გედევანიშვილმა,[440] პარიზში მყოფ ქართულ დიპლომატიურ მისიასთან წარდგენილ

---

[435] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 4. ფურც.14.

[436] არჩილ ჩაჩხიანი. სომხეთ-საქართველოს ომი. ნაწილი I. გვ.542-544 - ავტორი ამ ინფორმაციის წყაროდ შეცდომით უთითებს საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის 1878-ე ფონდის, მეორე აღწერის მე-19გ საქმის 48-ე ფურცელს. სინამდვილეში აღნიშულ ფონდს მხოლოდ ერთი აღწერა აქვს და ავტორის მიერ მითითებული აღწერა და საქმე არ არსებობს, სტატისტიკა კი დაცულია სულ სხვა საქმეში , კერძოდ - სცსა. ფონდი 1878. აღწერა 1. საქმე1. ფურც.50-53. ავტორს საარქივო დოკუმენტიდან ნაშრომში რიცხვების გადმოტანაში მექანიკური შეცდომა აქვს დაშვებული რაც მცირე ცდომილებას იწვევს. მას თბილისის საწყობიდან გაცემული ვაზნების რიცხვი 2 320 650-ის ნაცვლად 2 368 650-ად აქვს მიწერილი. ამის გამომწვევი მიზეზი ისაა, რომ მან მეორე ცხენოსანი პოლკისადმი გადაცემული 12 000 ვაზნის ნაცვლად შეცდომით 120 000 დაწერა, ასევე გამოტოვებული აქვს ბათუმის პარტიზანული პოლკი რომელსაც 175 000 ვაზნა გადასცეს და ეს 175 000 ვაზნა მიწერილი აქვს ქართული ლეგიონისთვის, რომელსაც თავის მხრივ 60 000 ვაზნა გადასცეს და ეს მონაცემი კი უკვე მის ცხრილში აღარ ჩანს.

[437] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც 422.

[438] გერმანული იარაღის პარტიის საქართველოში ჩასვლის დრო.

[439] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 12. ფურც.77.

[440] დოკუმენტში სამხედრო წოდება და სახელი სრულად არ წერია, მითითებულია გ. გედევანიშვილი. ეს შეიძლება გავიგოთ როგორც გენერალი გედევანიშვილი ან გიორგი გედევანიშვილი. ქართულ ჯარში იყო ორი გენერალი

მოხსენებაში განაცხადა, რომ მძიმე არტილერია საერთოდ არ ჰქონდა რესპუბლიკას, ყუმბარები ძალიან ცოტა, ვაზნები კი სულ რაღაც 2.5 მილიონამდე დარჩენილიყო, მისი თქმით მდგომარეობა კატასტროფული გახლდათ და საჭირო იყო 100 მილიონი ვაზნა.[441] ეს იმ დროს, როცა წითელი არმია დენიკინის ჯარის ნარჩენების განადგურებას შესდგომოდა ჩრდილო კავკასიაში და უკვე სამხრეთ კავკასიაში შეჭრის პოლიტიკურ და სამხედრო ნიადაგსაც ამზადებდა. 1920 წლის მაისისთვის, როცა საბჭოთა რუსეთის ჯარებს აზერბაიჯანი დაკავებული ჰქონდათ და მისი მე-11 წითელი არმიის ნაწილები ქართულ ჯართან არგამოცხადებულ საბრძოლო მოქმედებებში იყვნენ ჩაბმულნი, თუ იმ დროინდელი ქართული არმიის გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის მოგონებებს ვერწმუნებით რესპუბლიკის ვაზნების მარაგი 1.8 მილიონზე იყო ჩამოსული.[442] დამფუძნებელი კრების წევრმა, აკაკი ჩხენკელმა 19 მაისს საკუთარ დღიურში ჩაწერა, რომ წინა დღით მთავრობის თავმჯდომარეს საბჭოს სხდომაზე შეუტანეს ცნობა, რომ საწყობში 700 000 ვაზნა იყო დარჩენილი.[443] ეს უკვე კატასტროფაზე მეტი იყო, რადგანაც მაგალითად იმავე წლის 14 ივნისს მხოლოდ გვარდიის შტაბი, ცხინვალის ფრონტზე ბოლშევიკური აჯანყების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დასასრულებლად 1 მილიონ ვაზნას ითხოვდა.[444] წითლები ამ დროის კავკასიაში ჯერ საკმაოდ სუსტები იყვნენ და ქართული ჯარის წარმატებულმა კონტრშეტევამ და საბჭოთა რუსეთისთვის პოლონეთთან ომმა , სამოქალაქო ომში წარმოქმნილმა სირთულეებმა , ბრიტანეთის ნოტამ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებების შეჩერების შესახებ ვაზნების დეფიციტის

გვარად გედევანიშვილი. ძმები ალექსანდრე და იოსები, იმ დროისათვის ალექსანდრე იყო სამხედრო მინისტრის მოადგილე, ხოლო იოსები კი მეორე ქვეითი ბრიგადის მეთაური. მათი მესამე ძმა , პოლკოვნიკი გიორგი გედევანიშვილი თბილისის არსენალის სათავეში იდგა, მეოთხე ძმა პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი კი გენერალურ შტაბში მსახურობდა. ლოგიკურია, რომ გ.გედევანიშვილი შეიძლება იყოს გენერალი გედევანიშვილიც (ალექსანდრე ან იოსები) ან გიორგი გედევანიშვილი, მაგრამ ალექსანდრე და იოსების შემთხვევაში ეს შეუძლებელია, რადგანაც ალექსანდრე თბილისში 1920 წლის 9 თებერვალს დაესწრო სამხედრო საბჭოს სხდომას (იხ. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 57. ფურც.1), ხოლო იოსები კი დაესწრო იმავე საბჭოს სხდომას 1920 წლის 5 თებერვალს (იხ.სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 56. ფურც.1). შესაბამისად ისინი 7 თებერვალს პარიზში ვერ იქნებოდნენ. რჩება მათი ძმა, პოლკოვნიკი გიორგი გედევანიშვილი, რომელიც 1919 წლის 1 სექტემბრიდან არსენალის უფროსი იყო (იხ. სცსა. ფონდი 1969. აღწერა2. საქმე 98. ფურც.128) და მისი ყოფნა პარიზში ლოგიკურიც იყო. ასევე ცნობილია, რომ სამხედრო საბჭოს 1919 წლის 18 სექტემბრის დადგენილებით პოლკოვნიკი გედევანიშვილი იტალიაში გაიგზავნა იარაღის შესაძენად (იხ. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 23. ფურც.1), საიდანაც ის პარიზში ჩავიდა და იქ მყოფ ქართულ დიპლომატიურ დელეგაციას წაუკითხა მოხსენება იარაღის მარაგებისა და მისი შეძენის მცდელობის საკიტხზე იტალიაში.

[441] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 129. ფურც.189.

[442] ალექსანდრე ზაქარიაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. გვ.260

[443] აკაკი ჩხენკელი. დღიურები. გვ. 211.

[444] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 32. ფურც.161.

ამბავი იმ ეტაპზე გადაფარა და სახელმწიფოს როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ძალიან მცირე დრო მისცა იარაღისა და საბრძოლო მასალების მარაგის შექმნისათვის.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რა რაოდენობის იარაღი და საბრძოლო მასალა სჭირდებოდა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს დეფიციტის შესავსებად. ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი სერ ოლივერ უორდროპი 1920 წლის 7 იანვარს საკუთარი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს სწერდა, რომ სანდო თანამდებობის პირისგან გაიგო თუ რა რაოდენობის იარაღი სჭირდებოდათ ქართველებს ბოლშევიკებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. იმისათვის რომ ჩამოეყალიბებინათ 60 000-იანი არმია, რომელიც სამომავლოდ 100 000-მდე გაიზრდებოდა საჭირო იყო 25 000 რუსული წარმოების შაშხანა; 50 მილიონი ვაზნა (მინიმუმ 12 მილიონი); 200 ტყვაიმფრქვევი (მინიმუმ 60); 44 საარტილერიო დანადგარი (აქედან 12 სამთო ქვემეხი); თითო სამთო ქვემეხზე 2000 ჭურვი, ხოლო დანარჩენზე კი 1000-1000,[445] რაც საერთო ჯამში 56 000 ჭურვი გამოდიოდა. როგორც ჩანს, უორდროპს, ქართველმა მაღალჩინოსანმა იარაღის აუცილებელი და სასწრაფო მინიმუმის სია მიაწოდა. ეს რომ ასე იქნებოდა, კარგად ჩანს 1920 წლის დეკემბერში საქართველოს გენერალური შტაბის მიერ შედგენილ დეტალურ ჩამონათვალში რომელიც 1921 წლის იანვარში საფრანგეთს გადაეცა და ბევრად უფრო დიდი რაოდენობის იარაღია დასახელებული. თან ეს იმ ფონზე, როდესაც საქართველომ 1920 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე იარაღის გარკვეული პარტიები მიიღო და გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო ვიდრე 1920 წლის დასაწყისში. 1920 წლის დეკემბერში შედგენილი სიის მიხედვით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ჯარის პირველი ნაწილის საჭიროების შესავსებად და დამატებით 75 000 კაცის მობილიზებისათვის სჭირდებოდა: 60 -75 000 შაშხანა; 450 ლუისის ტყვიამფრქვევი; 160 მაქსიმის ტყვიამფრქვევი; 100-150 მილიონი 3 ხაზიანი ვაზნა ; 25 მილიონი ვაზნა ლუისის ტყვიამფრქვევებისათვის; აეროპლანის 1000 ბომბი; 132 სხვადასხვა კალიბრის და დანიშნულების საარტილერიო დანადგარი - 342 500 ჭურვით.[446] ჯარის პირველ ნაწილში იგულისხმება 1920 წლის დეკემბრისთვის მობილიზებული 45-50 000-მდე ჯარისკაცი და სახალხო გვარდიელი, გამოდის რომ მეორე ნაწილის 75 000 კაცის

[445] F.O. 371/3666/1015/169118/58 .
[446] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 534. ფურც.2,5.

დამატებით რესპუბლიკა ამ იარაღით გეგმავდა დაახლოებით 120 000-იანი ჯარის შექმნას.

საიდან შეიძლება შეევსო საქართველოს თავისი სამხედრო არსენალი? არსებობდა რამდენიმე გზა: საკუთარი სამხედრო წარმოება; იარაღის შეძენა; იაფიანი კრედიტით ან უფასოდ მიღება ; ბრძოლაში მოპოვებული ალაფი და მოსახლეობაში სხვადასხვა გზით გაბნეული იარაღისა და საბრძოლო მასალის ამოღება. რუსეთის იმპერიის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ქარხნები არ არსებობდა, იყო თბილისის არსენალი და რკინიგზის სახელოსნოები სადაც საბრძოლო საშუალებების რემონტი თუ შეიძლებოდა, რასაც ორივე დაწესებულება წარმატებით ართმევდა თავს. დამოუკიდებლობის პირველი წლის განმავლობაში თბილსის არსენალში 9000 შაშხანა, 340 ტყვაიმფრქვევი, 90 ქვემეხი , 12 საბარგო ავტომობილი და სხვა სამხედრო თუ ორმაგი დანიშნულების მქონე ტექნიკა გარემონტდა.[447] არსენალში იარაღის და საბრძოლო მასალის დამზადება ქარხნული წესით არ ხდებოდა, მაგრამ გაჭირვებამ კერძოდ კი ვაზნების ,,შიმშილმა“ რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მათი კუსტარული წესით დატენვის გადაწყვეტილება მიაღებინა. 1920 წლის 5 იანვარს ამ ტიპის დროებითი სახელოსნოს შექმნის იდეა და პროექტი მოიწონა სამხედრო სამინისტროს სამხედრო საბჭომ და მის მოსაწყობად ავანსად 1 470 000 მანეთი ითხოვა სამხედრო ფონდიდან.[448] სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ მთავრობის 1920 წლის 24 თებერვლის სხდომაზე სახელოსნოების მოწყობისთვის 9 440 000 მანეთი მოითხოვა, მთავრობა მის წინადადებას დათანხმდა, მაგრამ ხარჯთაღრიცხვიდან გარკვეული თანხები ამოიღო და დამფუძნებელი კრებისთვის შესაბამისი დეკრეტი შეიმუშავა.[449] დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 2 აპრილს დაამტკიცა დეკრეტი არსენალის თოფის და ტყვიამფრქვევების სახელოსნოების გაფართოებისა და ვაზნების აღსაჭურვი დროებით სახელოსნოს მოწყობის შესახებ, რისთვისაც ბიუჯეტიდან 7 689 200 მანეთი გამოიყო.[450] ქართული არმიის კონტრდაზვერვის ოფიცრის, რომან მკურნალის მოგონება/ნარკვევის თანახმად სახელოსნოში რუსული ჯარის მიერ დატოვებულ სავარჯიშო ვაზნებს

[447] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126. ფურც.714.
[448] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 50. ფურც.1.
[449] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 20. ფურც.69-70.
[450] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 771ა. ფურც.128.

ცლიდნენ, მასში თოფის წამალს ყრიდნენ და ოსმალური ვაზნებიდან ამოღებულ და შემდეგ პრესით შეკუმშულ ტყვიებს უყენებდნენ.[451] რომან მკურნალის ცნობით არსენალში ასეთი ტიპის ვაზნა მილიონობით იყო, გენერალი ზაქარიაძე კი წერდა, რომ მასალა არ იყო უსაზღვრო.[452] ეს ორი ინფორმაცია ერთმანეთს სულაც არ ეწინააღმდეგება, რადგან ქართულ ჯარს სჭირდებოდა არა მილიონობით, არამედ მინიმუმ ათეულ მილიონობით ვაზნა. დასატენი ვაზნების რაოდენობის დეფიციტი ნათლად არის ასახული დამფუძნებელი კრების 1920 წლის 23 ივნისს სამხედრო უწყებისადმი გაცემულ ტრაგიკომიკურ რეკომენდაციაშიც. კომისიის აზრით საჭირო იყო ბრძოლის ველზე გასროლილი ვაზნების მოგროვება და შენახვა , ვაზნების მოგროვების პროცესი ნაყოფიერი რომ ყოფილიყო მომგროვებლებს უნდა დანიშვნოდათ პრემია.[453] საქართველოში საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე და ამავდროულად რუსული სადაზვერვო ქსელის მეთაური, ყოფილი მეფის არმიის გენერალ-მაიორი პავლე სიტინი 1920 წლის 23 დეკემბრის საიდუმლო ანგარიშში წერდა, რომ იმ დროისათვის ქართველების ვაზნების მარაგი 7 მილიონი იყო, რისი ნახევარიც - 3,5 მილიონი ვაზნა არსენალის სახელოსნოში იყო აწყობილი, მისივე ინფორმაციით სახელოსნოში თავიდან დღიურად 3 000 ვაზნა იწყობოდა , ბოლო პერიოდში კი დღიური ნორმა 20 000-ზე ავიდა.[454] გენერალ ზაქარიაძის ცნობით კი 1920 წლის შემდეგ დღიური ნორმა 30 000-ზე ავიდა.[455] ის, რომ სახელოსნოში მუშაობა უფრო ინტენსიური ხდებოდა დოკუმენტური წყარეობითაც დასტურდება. 1920 წლის 12 ნოემბერს სამხედრო სამინისტრომ რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსაგან დამატებით 7,7 მილიონი მანეთი მოითხოვა შტატს ზემოთ 30 მუშის დაქირავებისათვის, რათა ორი თვის განმავლობაში გაერემონტებინათ 5000 შაშხანა და 50 ტყვიამფრქვევი და ნორმის ზემოთ დაეტენათ 1,5 მილიონი ვაზნა.[456] რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ მეორე დღესვე დააკმაყოფილა სამხედრო უწყების ეს მოთხოვნა.[457]

---

[451] რომან მკურნალი. მიზეზნი ჩვენი დამარცხებისა. გვ.333 - სავარაუდოდ არა მხოლოდ ოსმალური, არამედ ყველა იმ ვაზნიდან იღებდნენ ტყვიებს, რომელიც ქართულ ჯარს შესაბამისი იარაღის არქონის ან მინიმალური ოდენობის არსებობის გამო არ გამოადგებოდა. რომან მკურნალი ასევე წერს, რომ სახელოსნო 1919 წელს შეიქმნა, თუმცა დოკუმენტებით მისი შექმნა 1920 წელს დასტურდება. ამასვე ადასტურებს გენერალ ზაქარიაძის მემუარი - იხ. ალექსანდრე ზაქარიაძე. გვ.260

[452] რომან მკურნალი. გვ.333; ალექსანდრე ზაქარიაძე. გვ.260.

[453] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1081. ფურც.10.

[454] სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 3. ფურც. 149.

[455] ალექსანდრე ზაქარიაძე. გვ.260

[456] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 160. ფურც.9.

[457] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 14. ფურც.5.

სახელოსნოს მეშვეობით ვაზნების რაოდენობა იზრდებოდა, თუმცა ეს სწორედ ის შემთხვევა იყო როდესაც რაოდენობა და ხარისხი ერთმანეთისგან საკმაოდ შორს დგას. კუსტარული წესით დამზადებული ვაზნები ცუდი ბალისტიკური თვისებებით ხასიათდებოდა და შაშხანებშიც იჭედებოდა. 1921 წლის 13 იანვარს, დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის წევრებმა ვაზნების ,,ქარხნის" რევიზიის ანგარიში მოისმინეს. ერთადერთი დადებითი ის იყო, რომ ქარხანაში ღამის 11:30-ზეც მუშაობდნენ. ამის გარდა აღმოჩნდა, რომ ვაზნები ცუდად იყო მოჭერილი, რადგანაც ქარხანაში ,,ტისკებთან" მოხუცი კაცი იჯდა, რომელსაც ასაკიდან გამომდინარე საქმისათვის საჭირო ფიზიკური ძალა არ შერჩენოდა. სამხედრო ნაწილებისათვის დარიგებული ვაზნები უვარგისი გამოდგა, რადგანაც ხშირად იჭედებოდა შაშხანებში. ქართველი სპეციალისტების ნაკლებობის გამო, მომუშავეთა უმრავლესობა არაქართველი იყო რაც რევიზორთა აზრით საიდუმლოების გარანტიას არ იძლეოდა, ამავდროულად არსებობდა ცნობები მათი არასაიმედოობის შესახებ.[458] ეს შეიძლება მართალიც იყო, რადგანაც რუსულმა დაზვერვამ როგორც ვნახეთ კარგად იცოდა რამდენი და როგორი ვაზნები მზადდებოდა არსენალში. პავლე სიტინს ეს ინფორმაცია კონკრეტულად სახელოსნოს თანამშრომლებისგან ჰქონდა თუ არა ზუსტად არ ვიცით, თუმცა ის ვიცით რომ სიტინს 1920 წლის დეკემბერში სამხედრო სამინისტროში 3 აგენტი ჰყავდა.[459]

იარაღისა და საბრძოლო მასალების მარაგის შესაქმნელად მთავრობა მოსახლეობაში გაბნეულ იარაღსაც აგროვებდა. 1919 წლის 30 ოქტომბერს სამხედრო სამინისტროს სამხედრო საბჭომ რეკომენდაცია გასცა მოსახლეობიდან ამოეღოთ სამ ხაზიანი და ლებელის სისტემის შაშხანები ვაზნებითურთ, ეს რეკომენდაცია ეხებოდა ყველა იმ პირს ვისაც იარაღის ტარების უფლება არ ჰქონდა, იარაღის ამოღების პროცესის ორგანიზებისა და ამოღებული იარაღის შესაკეთებლად სამხედრო ფონდიდან უნდა გამოყოფილიყო 500 000 მანეთი.[460] ვაზნებთან დაკავშირებით მთავრობამ რეკომენდაცია გაიზიარა და იმავე წლის 23 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება მოსახლეობისთვის მიეცა ორ კვირიანი ვადა ვაზნების ჩასაბარებლად, თითო ვაზნაში კომპენსაციის სახით სახელმწიფო გადაიხდიდა 2 მანეთს. ამ ვადის გასვლის შემდეგ

[458] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1074. ფურც.4.
[459] სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 3. ფურც.52.
[460] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 36. ფურც.1.

ვაზნაზე ასევე 2 მანეთი მიეცემოდათ იმ პირებს, ვინც სახელმწიფოს ინფორმაციას მიაწოდებდნენ იმათ შესახებ რომელთაც ვაზნები ჰქონდათ და სახელმწიფოს უმალავდნენ. ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფოს ჰქონდა უფლება ვაზნები უფასოდ ამოეღო მოსახლეობიდან, ხოლო პირი ვინც დადგენილ ვადაში არ ჩააბარა ვაზნები სახელმწიფოს შეეძლო 3 დღიდან - 3 თვემდე ვადით ადმინისტრაციული წესით დაეპატიმრებინა.[461] 1919 წლის მაისში აფხაზეთის სომხური სოფლების 2 000 კაციანი სამხედრო რაზმის წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ გვარდიელებმა მათ 800-მდე სხვადასხვა სისტემის შაშხანა ჩამოართვეს.[462] იმავე წლის ნომებერ-დეკემბერში სახალხო გვარდიამ მცირე მასშტაბის ბოლშევიკური აჯანყებისას განაიარაღა გორის მაზრის ბარისა და მთის სოფლების მოსახლეობა და მათგან ამოიღეს 5000-ზე მეტი სხვადასხვა სისტემის შაშხანა.[463] თუმცა ამ აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი მათე სანაკოევი მოგვიანებით იხსენებდა, რომ მათ მთავრობას უვარგისი იარაღი ჩააბარეს, ხოლო კარგი და გამოსადეგი კი გადამალეს.[464] 1920 წლის 5 ივნისსა და 20 ივლის რესპუბლიკის მთავრობამ ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება სვანეთის მშვიდობიანი, ნებაყოფლობითი გზით განიარაღების შესახებ.[465] აგვისტოში ლეჩხუმის გვარდიის 200 კაციანმა რაზმმა რუბენ ყიფიანის მეთაურობით სვანეთის სოფლებიდან იარაღის ამოღების ოპერაცია დაიწყო, საქართველოს ამ მაღალმთიან კუთხეზე რესპუბლიკის რეალური მმართველობა საკმაოდ სუსტად ვრცელდებოდა და ზოგიერთი იქაური სოფლების ყაჩაღური ჯგუფები მეზობელი კუთხეების მოსახლეობას ესხმოდნენ თავს და ქონებას ართმევდნენ. სვანეთის სოფლების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გვარდიას ცეკვა-სიმღერით და პურ-მარილით შეეგება, ნაწილი კი მოლაპარაკების, სოფლების ავტორიტეტებისა და ხატზე დაფიცების შემდეგ აბარებდა გვარდიას იარაღს, მთლიანად სვანეთში მოსახლეობიდან 1500 შაშხანა ამოიღეს, მაგრამ ამ იარაღის ნაწილი, ძირითადად ბერდანები ტყიდან ნადირის თავდასხმის საფრთხის გამო ხალხს უკან დაუბრუნეს .[466]

[461] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 14. ფურც.413
[462] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 6. ფურც.58.
[463] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 1. საქმე 7. ფურც.9.
[464] Известия Юго-Осетинского научно-исследовательцкого института краеведения. Выпуск II. Сталинир 1935.. С. 94.
[465] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 20. ფურც.175; 230.
[466] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 40. ფურც.15-19.

მოსახლეობიდან იარაღის ამოღებისთან ერთად, მისი მოპოვების კიდევ ერთი, არასტაბილური და არასაიმედო გზა იყო ომების შედეგად ხელში ჩაგდებული ალაფი. ამ გზით იარაღი შეიძლება მოგეპოვებინა ან დაგეკარგა და ასეც ხდებოდა . სახელმწიფო სამხედრო ალაფის იმედზე ვერ იქნებოდა, თუმცა ამ გზით მოპოვებილი იარაღი არცთუ ურიგო დანამატი იყო ღარიბული სამხედრო საწყობებისათვის. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ივლის-აგვისტოში სოჭი-ტუაფსეს სამხედრო ოპერაციის სხავდასხვა ეტაპზე ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისას ქართულმა ჯარმა ალაფის სახით მთლიანობაში 30 ქვემეხი და 50 ტყვიამფრქვევი ჩაიგდო ხელში.[467] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ოპერაციისას ხელში ჩაგდებული იარაღის ოდენობის შესახებ ინფორმაციის წყარო იმ პერიოდის ქართული გაზეთებია, რაც მისი გაზვიდების ეჭვს აჩენს. ალაფს დანაკარგიც მოსდევდა. 1918 წლის სექტემბრის დასაწყისში ქართული ჯარი ტუაფსესთან დამარცხდა და ამჯერად ტუაფსეში შესულმა ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს - 16 ქვემეხი , 10 ტყვიამფრქვევი და 800 000 ვაზნა.[468] 1918 წლის ზაფხულშივე , ქართულმა გვარდიამ დუშეთის მაზრის ბოლშევიკების აჯანყებისა და მათ დასახმარებლად ვლადიკავკაზის მხრიდან შემოსული ბოლშევიკური რაზმის დამარცხების შემდეგ , დარიალის ხეობაში ხელში ჩაიგდო ბოლშევიკების 2 ქვემეხი.[469] 1918 წლის დეკემბერში კი სომხეთ-საქართველოს ომის პირველ ეტაპზე ქართველებმა, ვორონცოვკა-პრიველნოეს ბრძოლაში საკუთარი სამი ქვემეხი დააზიანეს მოწინააღმდეგეს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, ალავერდი-ახტალის ბრძოლებში კი დამატებით კიდევ რამდენიმე ქვემეხი და ტყვიამფრქვევები დაკარგეს , ქართული ჯარის კონტრშეტევაზე გადასვლის შემდეგ კი ქართველებმა დანაკლისი აინაზღაურეს და ეკატერინენფელდის დაბრუნებისას 11 ტყვიამფრქვევი

---

[467] არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები). გვ.144; 152-153.

[468] ენდრიუ ანდერსენი. აფხაზეთი და სოჭის კონფლიქტის ფესვები 1918-1921. ინგლისურიდან თარგმნა მერი ბიწაძემ. თბილისი: ,, Eaglehead Publishing“, გვ.52 - ანდერსენი ამ ინფრომაციის წყაროდ იმოწმებს იმ დროისათვის ,,ტამანის“ 30 000-იანი წითელი არმიის მეთაურის მოადგილის და შემდეგში მეთაურის ეპიფან კოვტიუხის წიგნს რომელიც წერს ,რომ ქართველების დამარცხების შემდეგ ტუაფსეში მათ ხელში ჩაიგდეს 16 ქვემეხი, 10 ტყვიამფრქვევი , 6 000 ჭურვი , 800 000 ვაზნა და სხვა სამხედრო ქონება (იხ. Е. Ковтюх. ,,Железный поток“ В военном изложении. თბილისი: ,, Eaglehead Publishing“, 1935, с.45-47). თუმცა კოვტიუხი წერს, რომ მათ 7000 კაციანი ქართული დივიზია დაამარცხეს, რაც სიმართლისგან შორსაა ტუაფსესთან იმ დროისათვის ქართველებს ბევრად უფრო ნაკლები მებრძოლი ჰყავდათ. ეს აჩენს ეჭვს, რომ სხვა მონაცემებიც გაზვიადებულია, თუმცა როგორც სჩანს ეს მხოლოდ ეჭვია, რადგანაც საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე ტუაფსეს დაკარგვის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას დეპეშით აცნობებდა, რომ ტუაფსეში დარჩა 800 000 ვაზნა და უამრავი ჭურვი. იხ- სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 16. ფურც.7.

[469] სცსა. ფონდი 1831. აღწერა 1. საქმე 10. ფურც.4.

და 300 შაშხანა , ხოლო შულავერის გათავისუფლებისას კი 4 ქვემეხი და 15 ტყვიამფრქვევი ჩაიგდეს ხელში.[470]

რუსეთის სამოქალაქო ომში 1919 წლის შუა ოქტომბრამდე თეთრები, გენერალ ანტონ დენიკინის მეთაურობით წითლებთან ომში უპირატესობას ფლობდნენ და მოსკოვისკენ მიიწევდნენ, იქამდე კი 1919 წლის დასაწყისში მათ წითლებისგან გაწმინდეს ჩრდილო კავკასია. ზოგიერთმა ბოლშევიკურმა რაზმმა თავის გადარჩენის მიზნით თავი საქართველოს შეაფარა და ტყვედ ჩაბარდა. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის დროს ისინი განაიარაღეს და სამხედრო ქონება ჩამოართვეს. საქართველოს ამ გზით მათგან ერგო: 6 ქვემეხი; 200 ცხენი; შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების გაურკვეველი რაოდენობა[471] და 250 000 ვაზნა.[472] იმავე წლის 25 აპრილს , დამფუძნებელ კრებას სამხედრო მინისტრმა ნოე რამიშვილმა სასიხარულო ინფორმაცია გააცნო, ქართულმა ჯარებმა თვითაღიარებული სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის, ე.წ ყარსის რესპუბლიკის ჯარებთან გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწია და არტაანი (არდაგანი) აიღო, ნადავლად არტაანის აღებისას 1 ქვემეხი და 16 ყუთი ყუმბარა ჩაიგდო, ქალაქის ციხეში დამატებით ოთხი ციხესიმაგრის ჰაუბიცა, ქალაქის საწყობებში კი 33 ქვემეხი თავისი ყუმბარებით.[473] ამათგან ციხესიმაგრის 6 ერთეული, 6 დუიმიანი (152მმ) ჰაუბიცა ახალციხეში გადმოიტანეს, მოგვიანებით დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის 1920 წლის სექტემბრის რევიზიამ აღმოაჩინა ეს საარტილერიო დანადგარები ახალციხის ციხესიმაგრეში დამონტაჟების ნაცვლად, ქუჩაში დაედგათ და მათ არავინ უვლიდა, საწყობში კი მათთვის განკუთვნილი 20 000-მდე ჭურვი ინახებოდა.[474] სავარაუდოდ ეს ჭურვებიც არდაგანიდან იყო წამოღებული. გიორგი კვინიტაძე იგონებდა, რომ ამავე ოპერაციის ფარგლებში ახალციხის რაიონის მოსახლეობამ მათ 3-დან 4 000-მდე შაშხანა ჩააბარეს.[475]

თუ 1919 წლის დასაწყისში რუსეთის სამოქალაქო ომში უპირატესობა თეთრების მხარეს იყო და საქართველომ ჩრდილო კავკასიაში მოქმედი წითლების სამხედრო

---

[470] არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპასიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გვ.323; 336; 363; 400.
[471] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 4. ფურც .72.
[472] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 15. ფურც.1.
[473] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები ტომი I . გვ.304.

[474] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1081. ფურც.119.
[475] Генерал Г. И. Квинитадзе. Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. С.102

რაზმები გადაარჩინა ფიზიკურ განადგურებას, 1920 წელს სურათი შეიცვალა და ამჯერად წითლებისგან დევნილი თეთრების მაშველი რგოლი გახდა საქართველოს რესპუბლიკა. 1920 წლის გაზაფხულზე წითელმა არმიამ ჩრდილო კავკასია დაიკავა, დენიკინის გენერლებმა ივან ერდელმა და დანილ დრაცენკომ და მათმა სამხედრო ნაწილებმა საქართველოს ტერიტორიაზე ინტერნირებით უშველეს თავს. საქართველოს ტერიტორიაზე ინტერნირებულთა რაოდეონობა სხვადასხვა წყაროს მიხედვით 8 000-13 000 კაცს შეადგენდა.[476] მათ ისევე როგორც წინა წელს წითლებს, ქართველმა სამხედროებმა იარაღი ჩამოართვეს. ზუსტად რა რაოდენობით იარაღი ჩამოერთვათ თეთრებს უცნობია, ამის შესახებ ორ საკმაოდ განსხვავებულ ცნობას გვაწვდის რუსეთის სამხედრო ატაშე პავლე სიტინი. მისი 1920 წლის 23 ივნისის მონაცემებით, რომელიც მას მე-10 წითელმა არმიამ მიაწოდა, გენერლების ერდელისა და დრაცენკოს ნაწილებს უნდა ჰქონდათ - 2880 შაშხანა, 58 ტყვიამფრქვევი, 49 ქვემეხი, 18 ავტომობილი, 4 რადიოსადური, 5 აეროპლანი, 4 ტანკი, 80 საზიდარი და 1300 ხმალი.[477] იმავე წლის 31 ივლისის საიდუმლო მოხსენებაში კი წერდა, რომ მისი ცნობებით ყაზბეგიდან შემოსულმა ნაწილებმა ქართულ არმიას გადასცეს არტილერიის სრული კომპლექტი, ორი ტანკი, 1600 ცხენი, სამი ჯავშანმანქანა და მასთან ერთად დამხმარე საბარგო ავტომობილები, ორასი საზიდარი, 40 ტყვიამფრქვევი, მსუბუქი ავტომობილი და 20 000-მდე შაშხანა.[478] კავკასიაში ფრანგული სამხედრო მისიის 1920 წლის 20 აპრილის ცნობით კი ქართველებმა თეთრებს - 7 000 შაშხანა, 150 ტყვიამფრქვევი, 10 ჰაუბიცა, 2 ტანკი, 21 სატვირთო ავტომობილი, 6 ავტომობილი, 13 მოტოციკლი , 1 რადიოტელეგრაფი, 3 000-მდე ცხენი და ასეულობით საზიდარი ჩამოართვეს.[479] ქართული დოკუმენტებით ჩამოთვლილ საბრძოლო საშუალებათაგან მხოლოდ ერთი ვიცით ზუსტად - ქართველებს თეთრებისაგან ორი სარემონტო ტანკი დარჩათ, ხოლო დანარჩენი ჩამორთმეული

[476] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 434. ფურც.45 - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გგეჭკორი, მის რუს კოლეგის გიორგი ჩიჩერინისადმი 1920 წლის 29 აპრილს გაგზავნილ ნოტაში საუბრობს 8 000 კაცის განიარაღებაზე. სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 25. ფურც.73 -გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის დოკუმენტში საუბარია 10 000 კაცზე, ხოლო რუსეთის სამხედრო ატაშის ინფორმაციით საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა ერდელისა და დრაცენკოს 12-13 000 კაციანი შენაერთი და ყუბანის კაზაკთა ნაწილები. იხ: სცსა. ფონდი1874. არწერა1. საქმე 1. ფურც.5.

[477] სცსა. ფონდი1874. არწერა1. საქმე 1. ფურც.5.

[478] სცსა. ფონდი1874. არწერა1. საქმე 1. ფურც.114.

[479] Mission Militaire Francaise au Caucasus . La situation au Caucase au 20 avril 1920. Service Historique de l'Armée de Terre (SHAT) 7N 3117 EMA/2 URSS - საფრანგეთის სამხედრო არქივის დოკუმენტების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი ბექა კობახიძეს.

იარაღის რაოდენობა ზუსტად უცნობია. რუსეთის სამხედრო ატაშის დასახელებული 20 000 შაშხანა კი, ფრანგული სამხედრო მისიის ცნობისაგან განსხვავებით საკმაოდ გადაჭარბებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასევე საფიქრებელია, რომ ერდელისა და დრაცენკოს ნაწილებს საბრძოლო მასალები წითლებთან ბრძოლების შემდეგ მინიმალური რაოდენობით დარჩებოდათ ხოლო იარაღი კი სარემონტო იქნებოდა. თეთრებისთვის ჩამორთმეული იარაღის ფლობას 1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დადებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ საფრთხე შეუქმნა. ხელშეკრულების მეხუთე მუხლი საქართველოს ავალდებულებდა, დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინა და განეიარაღებინა ხელშეკრულების დადების მომენტში საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, მათთვის ჩამორთმეული სამხედრო ქონება კი საბჭოთა რუსეთისთვის გადაეცა.[480] მეხუთე მუხლის პუნქტები, თითქოს ორაზროვანი არ იყო და არ ეხებოდა ხელშეკრულების დადებამდე ჩამორთმეული იარაღის გადაცემას, თუმცა ამ საკითხზე 1920 წლის აგვისტოში რუსულ-ქართული სამხედრო გარანტიების კომისიის სხდომებზე დიდი დისკუსია გაიმართა. რუსები მოითხოვდნენ სხვადასხვა დროს თეთრებისთვის ჩამორთმეული იარაღის დაბრუნებას საბჭოთა რუსეთისთვის. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მართალია საქართველო თეთრებთან მშვიდობიანი ურთიერთობა არ ჰქონდა, მაგრამ არც საომარ მდგომარეობაში იყო, თეთრებისგან საქართველოს მართალია განადგურების საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ომი არ ყოფილა. აქედან გამომდინარე ჩამორთმეული იარაღი სამხედრო ნადავლად ვერ ჩაითველობა, ამიტომ რუსული დელეგაციის აზრით საერთაშორისო სამართლის ნორმებით ეს იარაღი საბჭოთა რუსეთს უნდა გადასცემოდა. ქართული მხარე ამტკიცებდა, რომ დენიკინს მათთვის ომი ჰქონდა გამოცხადებული, მაგალითად მოჰყავდათ კონკრეტული სამხედრო მოქმედებები თუ საზღვაო ბლოკადა და ამ მდგომარეობას პერმანენტულ ომს უწოდებდნენ. ქართული დელეგაციის საბოლოო პოზიცია იყო, რომ 7 მაისამდე თეთრებისათვის ჩამორთმეული იარაღი საქართველოს ომში სამხედრო ნადავლად ჰქონდა მოპოვებული და მას არ გადასცემდა საბჭოთა რუსეთს, ამავდროულად ქართველები მიიჩნევდნენ, რომ ეს იარაღი იყო სამართლიანი კომპენსაცია თეთრების

[480] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2.საქმე 244. ფურც.1-2.

მიერ საქართველოსთვის მიყენებული ზიანისა, ქართული მხარე ასევე თვლიდა, რომ 7 მაისის ხელშეკრულებაც არ სთხოვდა მათ ხელშეკრულებამდე ხელში ჩაგდებული იარაღის გადაცემას წითლებისთვის.[481] ქართული დელეგაცია დენიკინთან დაკავშირებით სიმართლეს ამბობდა, თეთრი მოძრაობის სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობას არ ცნობდა და მომავალი რუსეთის ფარგლებში მოიაზრებდა. დენიკინის მთავარი მიზანი წითლების დამარცხება იყო და მისი ჯარებიც მოსკოვისკენ მიიწევდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად ის მაინც ახერხებდა მცირემასშტაბიანი საომარი მოქმედებების წარმოებას საქართველოსთან. იმავეს ვერ ვიტყვით დენიკინის შემცვლელზე და 1920 წლის მაისიდან ნოემბრის ჩათვლით, რუსეთის თეთრი მოძრაობის მთავარსარდალ პიოტრ ვრანგელისა და საქართველოს ურთიერთობაზე. საქართველოსადმი ვრანგელის ნორმალური დამოკიდებულება იმ ფაქტს ნამდვილად არ გამოუწვევია, რომ ის და ქართული ჯარის მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე გენერალური შტაბის აკადემიაში ერთად სწავლობდნენ,[482] არამედ საერთო მოწინააღმდეგის მარტივ და პრაგმატულ პრინციპს. მართალია ურთიერთობა ოფიციალური არ ყოფილა, მაგრამ წითლებისგან განსხვავებით საქართველოს ვრანგელისგან არანაირი საფრთხე არ დამუქრებია და მათ შორის საერთო მოწინააღმდეგის ფაქტორიდან გამომდინარე, შეზღუდული მასშტაბის, არაფორმალური თანამშრომლობისა თუ მცირე გაუგებრობების შემთხვევებიც ფიქსირდება ისტორიულ წყაროებში.

---

[481] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 435. ფურც.75-77; სცსა. ფონდი 2030. აღწერა 1. საქმე1. ფურც.3;82-83.

[482] ორივე გენერალი 1907 წელს ჩაირიცხა გენერალური შტაბის აკადემიაში, აკადემიის ძირითადი კურის ორივემ დაამთავრა პირველი თანრიგით, აკადემიის დამატებითი კურსი კი 1910 წელს ორივემ წარჩინებით, მეცნიერებაში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებისთვის, ასევე ორივე დააჯილდოვეს , მათი ჩინის სარგო ხელფასის ერთი წლის ოდენობით - იხ სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661. ფურც.1-3; Гришаева Оксана Анатольевна. Жизнь и деятельность П.Н. Врангеля. 1878-1917гг. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. Ростов-на-Дону 2018. с. 129-132. საინტერესოა რომ მათივე ჯგუფელი იყო და ზუსტად იგივე წარმატებით დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია, დამატებითი კურსითურთ, მომავალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა, მეორე მსოფლიო ომის, სხვადასხვა პერიოდში უმაღლესი მთავარსარდლობის ე.წ ,,სტავკის“ წევრმა, გენერალური შტაბის უფროსმა, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ და სტალინის უახლოესმა მრჩეველმა ბორის შაპოშნიკოვმა - Б.М.Шапошников. Воспоминания о службе. Москва: „Вече“, 2013, с.131-132;159;169-172. მარშალ შაპოშნიკოვს აკადემიაში ჩაბარების მსურველ ოფიცერთა შესახებ საინტერესო სტატისტიკა აქვს გამოკვლეული. 1907 წელს აკადემიაში მისაღები გამოცდა სამხედრო ოლქებში 300-მა ოფიცერმა სცადა ბედი, აქედან პეტერბურგში გაიგზავნა 150, მათგან მხოლოდ 124 მოხვდა აკადემიაში, პირველი წლის შემდეგ აკადემიის უფროს კურსზე გადასვლა მოახერხა მხოლოდ 95-მა, აკადემია მეორე თანგირით დაასრულა 33-მა, პირველი თანრიგით დაასრულა და დამატებით კურსზე ჩაირიცხა 62, დამატებით8ი კურსის შემდეგ კი, მხოლოდ 48 ჩაირიცხა გენერალურ შტაბში - Б.М.Шапошников. с.131; 143;159,169.

მოპოვებული ალაფისა თუ დანაკარგის აბსოლუტური არითმეტიკული სიზუსტის მონაცემი არ არსებობს , თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები მაქსიმალური სიზუსტით ასახავს მოპოვება-დანაკარგის მასშტაბს. ალაფი დანაკარგს აღემატებოდა მაგრამ ჯარის საჭიროებებთან შედარებით ის მაინც მცირე იყო და რესპუბლიკა მის იმედად ვერ იქნებოდა. ქვეყანაში არ არსებობდა არც სამხედრო ქარხნები, გარდა ნახევრად კუსტარული ვაზნების სახელოსნოსი, ამიტომ იარაღისა და ამუნიციის მოპოვების ერთადერთ გზად სხვა ქვეყნებიდან მათი შეძენა ან გარკვეული ინტერესების სანაცვლოდ მიღება შეიძლებოდა. ერთი შეხედვით გზა მარტივი იყო, მაგრამ ამ გზას ეკლიანს და ძნელად გასავალს ხდიდა, უფულობაზე მეტად ის ხდიდა, რომ იარაღის უფასოდ მიღება თუ შეძენა წმინდა პოლიტიკური საკითხი იყო და პირველ რიგში საჭირო იყო იმ ქვეყნის თუ ქვეყნების პოლიტიკური ნება, რომლებიც საქართველოსთვის იარაღის გადაცემას გადაწყვეტდნენ. რაც მეტად რთული იყო და მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული, იქნებოდა ეს რუსეთის სამოქალაქო ომის მსვლელობა, კავკასიის სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება, ანტანტის სახელმწიფოების მთავრობათა წევრების განსხვავებული ხედვები კავკასიის რეგიონის მიმართ, ამ დიდ სახელმწიფოთას შიდა პოლიტიკური დღის წესრიგი, საზოგადოებრივი განწყობები თუ მთავრობათა ცვლილებები. დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე საქართველოსთვის იარაღის მიღების საკითხი ასე რთულად არ იდგა, მსოფლიო ომი ჯერ არ დასრულებულიყო და საქართველოს მოკავშირე გერმანია ქართული ჯარის აღჭურვა-მომარაგების საქმეში დახმარების გაწევას პირდებოდა, რისი მაგალითიც 1918 წლის სექტემბერში საქართველოში შეღავათიან ვალად შეტანილი იარაღისა და ამუნიცია იყო. 1918 წლის ნოემბერში გერმანიის კაპიტულაციით მსოფლიო ომი დასრულდა, კავკასიაში კი გერმანელების ნაცვლად 1917 წლის 23 დეკემბრის ფრანგულ-ბრიტანული შეათნხმებისა და 1918 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის დროებითი ზავის თანახმად ბრიტანული ჯარი შევიდა, ოღონდ ზუსტად განსაზღვრული სამომავლო გეგმის გარეშე.[483] იწყებოდა ახალი ხანა, ხანა როდესაც პარიზში შეკრებილ გამარჯვებულ დიდ სახელმწიფოებს უნდა განესაზღვრათ მომავალი მსოფლიოს ბედი. ამ არეოპაგის

[483] ბექა კობახიძე. საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.თბილისი. 2015, გვ.25-43.

წინაშე უნდა წარმდგარიყო პატარა საქართველო, რომელსაც მსოფლიო ომის ბოლო თვეებში დამარცხებული გერმანიის მფარველობაში ყოფნა მოსდევდა უსიამოვნო ამბად , გამარჯვებულებს კი კავკასიისა და საქართველოსადმი ჩამოყალიბებული და შეთანხმებული ერთიანი ხედვა და პოლიტიკა ფაქტობრივად არ ჰქონიათ. პარიზის საზავო კონფერენციაზე არცთუ მარტივი გზებით ჩასულ ქართულ დელეგაციას, პირველ და უმთავრეს მიზნად გამარჯვებულთაგან საქართველოს როგორც სახელმწიფო აღიარება და მათგან უსაფრთხოების გარანტიების მიღება იყო. აღიარების გარეშე იარაღის მიღების საკითხის დაყენება და საქართველოსთვის სასარგებლოდ გადაწყვეტა სამართლებლივადაც და პრაქტიკულადაც თითქმის გადაუჭრელ ამოცანას წარმოადგენდა.

1919 წლის განმავლობაში საქართველოსთვის ბრიტანელებისგან იარაღის გადaცემის საკითხი არასდროს დამდგარა დღის წესრიგში, მეტიც ბრიტანულმა ჯარებმა ბათუმის ოლქის გარდა მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიიდან გავიდნენ, ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრომ კი გასცა ინსტრუქცია, რომ სამხედროებს ევაკუაციის შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის იარაღი არ დაეტოვებინათ, რომელიც ამ უკანასკნელთ შეიძლება მეზობლების ან ბრიტანელთა მეგობრების წინააღმდეგ აღემართათ.[484] 1919 წელს ბრიტანელებისათვის პრიორიტეტს რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმატებულად მებრძოლი თეთრების იარაღითა თუ სხვა რესურსებით დახმარება წარმოადგენდა. ამავდროულად ისინი თეთრებსა და ქართველებს შორის მშვიდობის ჩამოგდებას ცდილობდნენ, ხოლო საქართველოს აღიარების საკითხში მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ. საფრანგეთს კავკასია ფაქტობრივად არც აინტერესებდა, აშშ-ში კი მართალია პირველ მსოფლიო ომისას სხვადასხვა მონაცემებით ოსმალების მიერ 500 000-1 500 000-მდე მოკლული სომეხის გამო სომხური საკითხი მეტად პოპულარული იყო და აშშ-ს მიერ სომხეთზე მანდატის აღებაზეც მიდიოდა საუბარი, მაგრამ ამაზე უფრო მეტად პოპულარული ამერიკულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტაში იზოლაციონიზმის პოლიტიკისკენ დაბრუნება გამოდგა. საბოლოო ჯამში, არათუ სომხეთი და კავკასია, არამედ

[484] ბექა კობახიძე. გვ.84-85

ამერიკელებმა საკუთარ კონტინენტზე ჩაკეტვა აირჩიეს და მათივე პრეზიდენტის, ვუდრო უილსონი ქმნილებაში, ერთა ლიგაში შესვლაზეც კი უარი თქვეს.

1919 წლის 15 მარტს, იმ დროს როცა ბრიტანელებს კავკასიიდან გასვლის გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდათ, მაგრამ გადაწყვეტილების აღსრულებამდე ჯერ კიდევ თვეები იყო დარჩენილი ბრიტანეთის პრემიერმა ლოიდ-ჯორჯმა, იტალიის პრემიერ-მინისტრს ვიტორიო ორლანდოს , იმ ქვეყნის მეთაურს რომელსაც მსოფლიო ომში გამარჯვებიდან ფაქტობრივად არაფერი ერგო კავკასიაზე მანდატის აღება შესთავაზა. იტალიის მეფის ვიტორიო-ემანუელ III-ის სკეპტიციზმისა და პოლიტიკური ელიტის ნაწილის უარყოფითი პოზიციის მიუხედავად , პრემიერმა ორლანდომ, იტალიის სამხედრო და ფინანსურმა წრეებმა ეს იდეა სიხარულით აიტაცეს. 1919 წლის აპრილ-მაისში პარიზის საზავო კონფერენციის ,,ოთხთა საბჭოზე“[485] იტალიის კავკასიური მანდატი საკითხი იტალიელთათვის დადებითად გადაწყდა, იმავე თვეში საქართველოში პოლკოვნიკ მელკიადე გაბას მეთაურობით იტალიელთა სამხედრო მისია ჩავიდა, იტალიურ ჯარებს კი უბრძანეს ივნისის მეორე ნახევრიდან კავკასიისკენ დაძრულიყვნენ , მაგრამ ამ პროცესის დაწყებამდე დღეებით ადრე სხვადასხვა მიზეზის მათ შორის წარუმატებელი საგარეო პოლიტიკის გამო ვიტორიო ორლანდოს და მის მთავრობას იტალიის პარლამენტმა იმპიჩმენტი გამოუცხადა. მისმა შემცვლელმა, ფრანჩესკო ნიტიმ , მომავალში რუსეთის მხრიდან საქართველოზე შეტევის შემთხვევაში საქართველოსთვის დამოუკიდებლობის დაცვის პირობის მიცემის შეუძლებლობისა თუ სხვა სამხედრო-პოლიტიკური და ფინანსური მიზეზების გამო მანდატსა და შესაბამისად კავკასიაში ჯარების შეყვანაზე უარი განაცხადა და პრიორიტეტად რეგიონთან ეკონომიკური კავშირი დასახა.[486] მანდატის საკითხზე მოლაპარაკების პარალელურად და მისი ჩავარდნის შემდეგაც საქართველოს მთავრობა იტალიის სამხედრო მისიის მეთაურის პოლკოვნიკ გაბას მეშვეობით იტალიისგან იარაღის შეძენას შეეცადა. პოლკოვნიკი გაბა 1919 წლის 7 სექტემბერს საკუთარ მთავრობას ატყობინებდა, რომ ქართველები და აზერბაიჯანელები იტალიელებისგან ითხოვდნენ - 124 საარტილერიო დანადგარს;

[485] პარიზის საზავო კონფერენციაზე, ოთხთა საბჭო შედგებოდა მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების დიდი 4-ეულის: საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშს და იტალიის დელეგაციების მეთაურებისგან.

[486] ბექა კობახიძე. საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. გვ. 81-93; დაზმის ჯოჯუა. საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში. თბილისი: ,,საქართველოს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, 1997, გვ.46-109.

4400 რევოლვერს; 450 ტყვიამფრქვევს; 8000 კარაბინსა და 40 000 შაშხანას , იგი სრულიად უჭერდა მხარს კავკასიელთა მოთხოვნას, ისევე როგორც საგარეო საქმეთა მინისტროს მოადგილე კარლო სფორცა, რომელიც 17 სექტემბერს პრემიერ ნიტის იარაღის გადაცემის მნიშვნელობას კავკასიაში მომავალში იტალიური კაპიტალის რუსული ექსპანსიისაგან დაცვის არგუმენტით უსაბუთებდა.[487] ამავე პერიოდში საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა იტალიაში მიევლინა სპეციალური დიპლომატიური მისია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კონსტანტინე საბახტარაშვილის ხელმძღვანელობით. 23 სექტემბერს საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დელეგაცია იარაღის შესაძენად უზრუნველეყოთ შემდეგი ოდენობის სავალუტო საქონლით: 50 000 ფუთი[488] თუთუნი; 20 000 ფუთი მატყლი; 700 ფუთი აბრეშუმის პარკი და 1 მილიონი ფუთი მარგანეცი (მანგანუმი).[489] ქართული დელეგაცია რომში 1919 წლის ოქტომბერში ჩავიდა, მაგრამ იარაღის საკითხის დადებითად გადაწყვეტას სამართლებრივმა და რამდენიმე პოლიტიკურმა ფაქტორმა შეუშალა ხელი. სამართლებლივი ფაქტორი 1919 წლის 10 სექტემბერს 22 სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი სენ-ჟერმენის კონვენცია გამოდგა, რომელიც იარაღითა და ამუნიციით ვაჭრობის საკითხებს არეგულირებდა. კონვენცია კრძალავდა იარაღის მიყიდვა/გადაცემას არაღიარებული სახელმწიფოებისათვის, კონვენციის მეექვსე მუხლში განსაზღვრული იყო რეგიონები სადაც იარაღის შეტანა იკრძალებოდა და ამ რეგიონების ჩამონათვალში იყო ამიერკავკასიაც.[490] კონვენციის ხელისმომწერ 22 სახელმწიფოთა შორის იყვნენ: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია რუმინეთი , საბერძნეთი, პოლონეთი - ის ქვეყნები საიდანაც საქართველოში იარაღის შეტანის შესაძლებლობა, ზოგიერთის შემთხვევაში კი მინიმალური, მაგრამ თეორიული შანსი არსებობდა. სამართლებრივი აკრძალვის მიუხედავად მთავარი მაინც პოლიტიკური საკითხები და შესაბამისად პოლიტიკური ნება გახლდათ, რაც სენ-ჟერმენის კონვენციას ხან გადაულახავს ხან კიდევ გადალახვადს ხდიდა.

---

[487] ბექა კობახიძე.გვ.96.
[488] 1 ფუთი უდრის 16.32კგ-ს.
[489] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 224. ფურც.2.
[490] Papers Relating to the Foreighn relations of the United States 1920. Volume I. Washington: „Unated States Government Printing Office“. 1935. P.,180-196

1919 წლის შემოდგომაზე საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის საკითხი ძირითადად ორმა პოლიტიკურმა ფაქტორმა ჩაშალა, ერთი ეს იყო პარიზის საზავო კონფერენციაზე მყოფი რუსეთის მოხალისეთა თეთრი მოძრაობის არაოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ იტალიელების გაფრთხილება, რომ მოსკოვისკენ წარმატებით მოლაშქრე დენიკინი, რომელსაც მოსკოვამდე მხოლოდ 300-იოდე კილომეტრი აშორებდა, ქალაქის დაკავების შემდეგ კავკასიას მიუბრუნდებოდა და იტალიელების მხრიდან კავკასიის რესპუბლიკების დახმარებას დენიკინი მტრულ აქტად აღიქვამდა. მეორე მხრივ დიდი ბრიტანელები დენიკინის წარმატებულ ლაშქრობასვე უწევდა ანგარიშს და იტალიელების მხრიდან ქართველებთან იარაღით ვაჭრობის საკითხს უარყოფითად შეხვდნენ. ბრიტანელები შიდაუწყებრივ მიმოწერებში იარაღის კონვენციის თანახმად არაღიარებული სახელმწიფოებისათვის იარაღის მიყიდვის აკრძალვასაც იშველიებდნენ არგუმენტად.[491] საბახტარაშვილს იტალიაში ბრიტანეთის ელჩის მოტყუების მცდელობაც ჰქონდა, თითქოს საქართველოს იარაღი არ სჭირდებოდა, თუმცა ბრიტანეულმა დაზვერვამ ყველაფერი კარგად იცოდა. საბოლოო ჯამში 1919 წელს იტალიაში იარაღის შეძენის საკითხი უარყოფითად გადაწყდა, იტალიელები თავიანთ პოზიციას, თავდაპირველად იმით ხსნიდა, რომ წინა მთავრობის დანაპირების შესახებ არაფერი იცოდნენ და არც პოლკოვნიკ გაბას ჰქონდა იარაღის შეძენაზე მოლაპარაკების უფლებამოსილება, ხოლო მოგვიანებით ყველაფერი ბრიტანელთა პროტესტს და უარყოფით პოზიციას დააბრალეს და ქართველებს განუმარტეს რომ ბრიტანელები რომელთაც მაშინ კონსტანტინოპოლი ეკავათ, იარაღს სრუტეებში[492] არ გაატარებდნენ.[493]

მოსკოვისკენ დენიკინის წარმატებული ლაშქრობა 1919 წლის ოქტომბრის შუა პერიოდში შეჩერდა, წითლების სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტის ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. წითლების კონტრშეტევა ოქტომბერ-ნოემბერში თეთრებისთვის გამანადგურებელი არ ყოფილა, მაგრამ უკვე 1919 წლის 18 დეკემბრიდან 1920 წლის 3 იანვრამდე პერიოდში წითლებმა 180-200 კილომეტრით

[491] ბექა კობახიძე. გვ.94-97.

[492] იგულისხმება ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები.

[493] ბექა კობახიძე. გვ. 96-98; დაზმირ ჯოჯუა , ნაშრომში - ,,ფრანჩესკო ნიტის რუსული პოლიტიკა და საქართველო“ წერს, რომ იტალიელებმა 1919 წლის დეკემბერში საქართველოში იარაღის პირველი პარტია შემოიტანეს თუმცა ის ამ ინფორმაციას კონკრეტული წყაროს არ უთითებს, რაც ნაკლებად სარწმუნოს ხდის ცნობას - იხ. დაზმირ ჯოჯუა. ფრანჩესკო ნიტის რუსული პოლიტიკა და საქართველო. თბილისი: ,,უნივერსალი“, .2001. გვ. 76.

წაიწიეს წინ , 10 იანვრამდე მათ ტყვედ აიყვანეს დენიკინის 61 000 ჯარისკაცი, ხელში ჩაიგდეს თეთრების 2000-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 1000-ზე მეტი საარტილერიო დანადგარი, ჯავშანმატარებლები, ტანკები , დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალები,[494] შესაბამისად 1919-1920 წლების მიჯნაზე დენიკინის საბოლოო მარცხი უეჭველი და მოკლე დროის საკითხი გახდა, ბოლშევიკები კი კავკასიას უახლოვდებოდნენ. დენიკინის ჯარების მოახლოებულმა აღსასრულმა პირდაპირი გავლენა მოახდინა ანტანტის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკაზე საქართველოსადმი, რისი ნაწილსაც წარმოადგენდა იარაღის საკითხიც. ბოლშევიკების მოახლოებამ ქართველებსაც გაუხსნა ხელ-ფეხი კიდევ უფრო აქტიურად მოეთხოვათ მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთაგან აღიარება , იარაღი და სხვა ტიპის დახმარება.

მოვლენების განვითარების ამ ახალ ეტაპზე, განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა, ქართველებსა და საქართველოზე შეყვარებულმა ოლივერ ოურდროპმა, რომლისთვისაც შეიძლება ითქვას, რომ თანაბრად მნიშვნელოვანი იყო ბრიტანეთის ინტერესები კავკასიაში და საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა ბრიტანელების მიერ. უორდროპი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რომლის სათავეშიც კავკასიის საკითხში მისი თანამოაზრე მინისტრი, ლორდი ჯოჯრ ნათანიელ კერზონი იდგა - კავკასიას მომდგარ ბოლშევიკურ საფრთხეზე, ბოლშევიკებისა და თურქების შესაძლო ალიანსზე, კავკასიის ბოლშევიკების ხელში ჩაგდებით ბრიტანეთის ინტერესების დაზიანებაზე სპარსეთსა და ინდოეთში უმახვილებდა ყურადღებას. უორდროპს მუდმივად ხვდებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე და აღიარებას, იარაღით, სურსათით და სხვა რესურსებით დახმარებას თხოვდნენ წითლებთან მომავალ თავდაცვით ომში, უორდროპი კი იგივეს საკუთარი მთავრობისგან ითხოვდა. უორდროპის აქტივობას მხარი აუბა კერზონმაც, რომელსაც ისედაც იგივე დამოკიდებულება ჰქონდა საკითხისადმი და მისი ინიციატივით 1920 წლის 10 იანვარს - დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ საქართველოსა და

[494] Гражданская Война СССР в Двух томах. Том второй. Москва: ,,Воениздат“, 1986, С. 167-182; 193-198.

აზერბაიჯანის რესპუბლიკების დე-ფაქტო დამოუკიდებლობა აღიარეს. [495] მთავარი მაინც სამხედრო დახმარება გახლდათ, დე-ფაქტო აღიარება კი ამისათვის პოლიტიკურ ნიადაგს ამზადებდა. საქართველოს მსგავსად საბრძოლო მასალების , განსაკუთრებით კი იარაღის დიდი დეფიციტი ჰქონდა აზერბაიჯანსაც. 1920 წელს შტატით განსაზღვრული 122-ის ნაცვლად მათ გააჩნდათ 60 საარტილერიო დანადგარი; 416 ტყვიამფრქვევის ნაცვლად - 116; 40 000 ბრიტანული შაშხანის ნაცვლად - 14 000; 20 ჯავშანმანქანის ნაცვლად -2; 364 000 საარტილერიო ჭურვის ნაცვლად - 79 500; შაშხანებისა და ტყვიამფრქვევის 88 მილიონი ვაზნის მაგივრად მხოლოდ 8 მილიონი.[496] აღსანიშნავია ისიც, რომ ამ იარაღის ნაწილი მათ ქართველებისგან მიიღეს.[497]

1920 წლის 7-დან 19 იანვრის ჩათვლით საქართველოსთვის სამხედრო დახმარების საკითხის განხილვა გაიმართა - ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტში, ანტანტის სამხედრო და უმაღლეს საბჭოებში, სადაც მიწვიეს პარიზში მყოფ ქართულ დელეგაცია. საკითხის გამწევი ძალა მაინც დიდი ბრიტანეთი იყო, რეალურად მხოლოდ ბრიტანეთი თუ გააგზავნიდა ჯარებს კავკასიის დასაცავად. ბრიტანეთის მთავრობაში კავკასიურ რესპუბლიკების დახმარებასთან დაკავშირებით ორი ან კიდევ შეიძლება ითქვას რომ სამი ხედვა არსებობდა. დახმარებას უაზროდ მიიჩნევდა სამხედრო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი და საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი ჰენრი უილსონი, ისინი ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ როგორც ბრიტანული ჯარების მიერ ამიერკვაკვასიის უსაფრთხოების საკუთარ თავზე აღებას, ისე ადგილობრივი რესპუბლიკებისთვის იარაღის მიწოდების იდეას, მათ არ სწამდათ კავკასიური რესპუბლიკების მიერ ბოლშევიკებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარის და თვლიდნენ რომ ამ რესპუბლიკებისთვის გაგზავნილი იარაღი მათი დამარცხების შემდეგ ბოლშევიკებს ჩაუვარდებოდათ ხელში. გენერალური შტაბის უფროსს კავკასიის დაკარგვით არც ბრიტანული აღმოსავლეთისთვის საფრთხის შექმნის სჯეროდა, ჩერჩილი კი ბოლშევიკებთან ბრძოლაში ფსონს პოლონეთზე, ფინეთსა და დამარცხების პირას მყოფ დენიკინზე დებდა. ჩერჩილიცა და უილსონიც ბათუმის ოლქში დარჩენილი ბრიტანული ჯარის დროულად გამოყვანას ითხოვდნენ.

[495] ბექა კობახიძე. გვ. 178-185
[496] А. Стеклов. Армия Мусаватского Азербайджана. Баку: „АЗГИЗ“, 1928. с. 63-64.
[497] А. Стеклов. Стр.39

საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი კასპიის ზღვის დაკარგვას და კავკასიაში ბოლშევიკების გაბატონებას დიდი შიშით უყურებდა და მიაჩნდა, რომ ბოლშევიკები ამის შემდეგ გაბატონდებოდნენ სპარსეთში, ხორსანსა და ავღანეთში და ბრიტანულ ინდოეთსაც შეუქმნიდნენ საფრთხეს, ამიტომ საჭიროდ მიიჩნევდა, როგორც იარაღის გაგზავნას საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის, ასევე კასპიის ზღვასა და კავკასიაში ბრიტანული ჯარების ყოფნას . იგივე აზრზე იყო ზღვის პირველი ლორდი ადმირალი, გრაფი დევიდ ბიტი. პრემიერი ლოიდ ჯორჯი კი კავკასიაში იარაღის გაგზავნის იდეას ემხრობოდა. ანტანტის სამხედრო საბჭოს სამხედრო მეთაურები, პირველი მსოფლიო ომის გმირის მარშალი ფოშის ლიდერობით, კავკასიას საბჭოთა ექსპანსიის შემაჩერებელ მცირე ანტანტაში ათავსებდნენ და ადგილზე საკორდონო ხაზის შესაქმნელად პირველ ეტაპზე მოკავშირეთა ორი დივიზიის გაგზავნას მიიჩნევდნენ საჭიროდ, რათა მათ ადგილობრივი ჯარები აღეჭურვათ და ჩანაცვლებისთვის მოემზადებინათ. საკითხის გენერალური განხილვა ანტანტის უმაღლესი საბჭოს 19 იანვრის სხდომაზე გაიმართა სადაც კავკასიაში ჯარების გაგზავნის საკითხი ჩავარდა, ხოლო იარაღის გაგზავნის საკითხზე კი ბრიტანელებმა, ფრანგებმა და იტალიელებმა დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს, ფოშსა და უილსონს უნდა განეხილათ კონკრეტულად რისი გაგზავნა იყო საჭირო.[498] იმავე დღის მეორე ნახევარში ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, ისევ კავკასიის საკითხზე გაგრძელდა მსჯელობა. ამ სხდომაზე უკვე სამხედრო და საგარეო საქმეთა მინისტრები კასპიის ზღვის დაკარვის საფრთხის მნიშვნელობაზე თანხმდებოდნენ, ადმირალი ბიტი თვლიდა, რომ კასპიის ზღვაზე ბრიტანული ფლოტის უზრუნველსაყოფად შესაძლებელი იყო ქართველებს ბაქო-ბათუმის ხაზი დასავლეთ ნაწილი ეკონტროლებინათ , ხოლო ბაქო ერთ ბრიტანულ დივიზიას დაეცვა, გენერალური შტაბის უფროსმა ჰენრი უილსონმა ეს იდეაც ჩააგდო, ბაქოს დაცვისთვის თავისუფალი დივიზიის არქონისა და აზერბაიჯანელებისა და ქართველებისადმი უნდობლობის მოტივით.[499]

---

[498] ბექა კობახიძე. საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. გვ.189-216; ილია ტაბაღუა. საქართველოს საგარეო ურთიერთობატა ისტორიიდან (ლექციების კურსი). თბილისი:,,ნიკიფორე ირბახის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი“. 1994. გვ.72-85.

[499] ბექა კობახიძე.გვ.217-220.

კავკასიის რესპუბლიკებისთვის იარაღის დროულად გადაცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ საქმის აღსრულება ბრიტანელი სამხედროების ხელში იყო, რომელთა მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი და კონსტანტინოპოლში მყოფი შავი ზღვის ძალების სარდალი იმ დროისათვის გენერალი, მოგვიანებით კი ფელდმარშალი და გენერალური შტაბის უფროსი ჯონ მილნი საკითხს უარყოფითად უყურებდნენ. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ პროცესის გაწელვისათვის, რაშიც ხელს ზოგ შემთხვევაში ობიექტური გარემოებებიც უწყობდათ ხელს. ბრიტანელებმა როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში ოლივერ უორდროპისგან იცოდნენ თუ რა ჭირდებოდათ ქართველებს, ამავდროულად პარიზში ბრიტანული სამშვიდობო დელეგაციის წევრმა პოლკოვნიკმა გიბონმა 20 იანვარს ქართული დელეგაციის წევრს ზურაბ ავალიშვილს, ამ უკანასკნელის ცნობით უთხრა, რომ წინა საღამოს ტექნიკურ კომისიაში დაადგინეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებისთვის გადასაცემი იარაღის - შაშხანების, არტილერიის, ყუმბარებისა და ვაზნების სია , საიდანაც ქართველებისთვის განკუთვნილი იყო 25 000 კაცის აღჭურვისთვის საკმარისი იარაღი, ეს მასალა გაგზავნილი იქნებოდა კონსტანტინოპოლიდან და მას თან ერთი გენერალი გაყვებოდა ზედამხედველად.[500] თითქოს გადაწყვეტილი საქმე უკვე აღსრულების გზაზე იდგა, მაგრამ 20 იანვარს ჰენრი უილსონმა კერზონს მისწერა, რომ კავკასიელების იარაღის საჭიროების გასარკვევად ოფიცერი უნდა გაეგზავნათ, შესაბამისი ცნობა იმავე დღეს შავი ზღვის სარდალმა გენერალმა მილნიმაც მიიღო.[501] იმის თავიდან გარკვევა, რაც ისედაც ცნობილი იყო ძვირფასს დროს ფლანგავდა. იმავე პერიოდში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სამართლის ექსპერტ შაირმენს სთხოვა დასკვნის მომზადება რამდენად შეესაბამებოდა დე ფაქტოდ აღიარებული კავკასიური რესპუბლიკებისათვის იარაღის მიწოდება იარაღის ტრანზიტის კონვენციას. როგორც შაირმენის დასკვნიდან სჩანს, ბრიტანეთის მთავრობა ამერიკელებს უხსნიდნენ, რომ ისინი კონვენციის ფარგლებში მოქმედებდნენ, რადგანაც დახმარებას უწევდნენ სახელმწიფოებს რომლებიც მოკავშირეთა ინტერესებიდან გამომდინარე უწესრიგო ძალებს ებრძოდნენ. შაირმენი ამ ფორმულირებას არ ეთანხმებოდა და მისი აზრით საქართველოსა და

[500] სცსა. ფონდი 1864. აღწერა2. საქმე 129. ფურც.172.
[501] ბექა კობახიძე. გვ.220.

აზერბაიჯანისათვის იარაღის მიწოდება პოლიტიკის საქმე იყო და შესაბამისობაში არ მოდიოდა სამართლებლივ ასპექტებთან , ხოლო თუ ამ სახელმწიფოებს კონვენციას მიუერთებდნენ ეს უკვე მათ დე იურედ აღიარებას ნიშნავდა.[502] ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როდესაც პოლიტიკური ნება სენ-ჟერმენის კონვენციას გადალახვადს ხდიდა, თუმცა მისი აღსრულება ჯერ კიდევ არ იყო ფაქტი.

1920 წლის თებერვალში, თბილისის არსენალის უფროსი პოლკოვნიკი გიორგი გედევანიშვილი იტალიიდან პარიზში ჩავიდა და 7 თებერვალს იქ მყოფ ქართულ იტალიაში იარაღის შეძენის მცდელობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. პოლკოვნიკმა ამბობდა , რომ თავიდან იტალიის გენერალური შტაბის უფროსმა უთხრა, რომ რუსული სისტემის შაშხანების 9 მილიონი ვაზნა ჰქონდათ, შემდეგ კი საკუთარი ნათქვამი გადათქვა და - ისიც არ ვიცი საერთოდ გვაქვს თუ არაო, ხან ეუბნებოდა ვაზნების მოცემა ძალიან გაგვიძნელდება რადგანაც არ ვიცით ბრიტანელები დაგვრთავენ ამის ნებას თუ არა, ან კიდევ ჩვენი მუშები რას იტყვიან ამაზეო, გედევანიშვილი ბოლოს დასძენდა - ხუთ თვიანი მცდელობის შედეგად ბოლოს და ბოლოს 1 მილიონი ვაზნა გააგზავნეს ტარანტოს პორტში საქართველოში გასაგზავნადო. ქართულმა მისიამ გადაწყვიტა, 9 თებერვალს პოლკოვნიკი გედევანიშვილი, დიპლომატ ზურაბ ავალიშვილთან ერთად პარიზში მყოფ ბრიტანულ მისიაში მისულიყო, ხოლო შემდეგ კი იმავე დღეს ლონდონში გამგზავრებულიყო, იქ მისულიყო სამხედრო სამინისტროში რათა მიეწოდებინა დამატებითი ცნობები საქართველოს მდგომარეობაზე და იარაღის საჩქაროდ მოწოდების საკითხი დაესაბუთებინა მათთვის.[503] თებერვლის მეორე ნახევარში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ , ლორდ კერზონს გადასცა ნოტა იარაღის და სურსათის საკითხთან დაკავშირებით, მას განუცხადეს რომ ორ-სამ დღეში ექნებოდათ ცნობები საკითხის შესახებ.[504] პოლკოვნიკ გედევანიშვილს ლონდონში თან საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე და პარიზში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ კარლო ჩხეიძე ახლდა, მათ ეუბნებოდნენ, რომ საკითხი პრინციპულად გადაწყვეტილი იყო, თუმცა სხვადასხვა

[502] F.O. 371/3666/1015/168836/58.
[503] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 129. ფურც.189.
[504] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 129. ფურც.197.

ტექნიკური მოსაზრებით მისი განხორციელება ჯერჯერობით შეუძლებელი იყო.[505] 1920 წლის აპრილში საქართველოდან ევროპაში იარაღის საკითხის გასარკვევად დამატებით ორი გენერალი, სამხედრო მინისტრის მოადგილე და სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ილია ოდიშელიზე და სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ალექსადრე ერისთავი გაიგზავნენ, ორივე მათგანს მსოფლიო ომში გარკვეული ავტორიტეტისა და ცნობადობისთვის მიეღწიათ,[506] სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე გულუბრყვილოდ ვარაუდობდა , რომ მათი გაცნობა ევროპულ სამხედრო წრეებისათვის საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხელს შეუწყობდა.[507]

ბრიტანელი სამხედროები დროის გაწელვის პოლიტიკას აგრძელებდნენ და ამაში მათ ხელი ობიექტურმა ფაქტორებმაც შეუწყვეს, ერთ-ერთი ასეთი საკითხი ბათუმის ოლქის ირგვლივ წარმოქმნილი პრობლემა გამოდგა. ქალაქი ბათუმი და ბათუმის ოლქი ერთადერთი ადგილი იყო ამიერკავკასიაში სადაც ისევ ბრიტანული ჯარი იდგა, ბრიტანელი სამხედროები მის გაყვანას ჩქაროდნენ და 1920 წლის თებერვალში, საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდი კერზონის შვებულებით ისარგებლეს და ჯარების გაყვანის გადაწყვეტილება მიიღეს, შვებულებიდან დაბრუნებულმა კერზონმა მთავრობას გადაწყვეტილება შეაცვლევინა და ბათუმში ბრიტანული ბრიგადის ნაცვლად, ერთა ლიგის მანდატით თითო-თითო ბრიტანულ-ფრანგულ-იტალიური ბატალიონის განთავსების შეყვანის გადაწყვეტილება მიიღეს, რაც პოლიტიკური თვალსაზრისით ბოლშევიკებისგან კავკასიის დაცვის გარკვეულ სიგნალს გზავნიდა.[508] ამ პროცესების პარალელურად, ქართველებმა თებერვლის შუა რიცხვებში გაიგეს, რომ ბრიტანელები ოლქს ტოვებდნენ და მიიღეს გადაწყვეტილება ჯარი ოლქის ტერიტორიაზე შეეყვანათ, ქართული ჯარები ოლქის ტერიტორიას მიადგნენ , ზოგიერთ ადგილას ოლქის ტერიტორიაზე შევიდნენ კიდეც . ამასობაში

---

[505] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 312. ფურც.5.

[506] ორივე გენერალს პირველ მსოფლიო ომში, რუსულ არმიაში გენერალ ლეიტენანტის წოდებას მიენიჭათ. სხვა მრავალ ორდენთან ერთად ორივე იყო წმინდა გიორგის იარაღისა და მეოთხე ხარისხის ორდენის მფლობელი, თავად ალექსანდრე ერისთავს კი მსოფლიო ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენიც ჰქონდა მიღებული. მსოფლიო ომის წლებში, ილია ოდიშელიძე თავიდან მცირე ხნით მეათე და შემდეგ კი ორ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე რუსეთის პირველი არმიის შტაბის უფროსი იყო, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კი სხვადასხვა არმიას მეთაურობდა. ალექსანდრე ერისთავი კი რევოლუციამდე ძალზე პრესტიჟულ გვარდიულ კავალერიის პოლკს და ბრიგადას , ხოლო რევოლუციის შემდეგ კი პირველ გვარდიულ საკავალაერიოდ დივიზიას და ბოლოს კი საარმიო კორპუსს მეთაურობდა.

[507] სცსა. ფონდი 2115. აღწერა 1. საქმე 114. ფურც.3.

[508] ბექა კობახიძე. ,,ბრიტანული“ კავკასია 1918-1920. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ - მოდელი ევროპისათვის? საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი. თბილისი: ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცელობა“, 2018, გვ.141-142.

ბრიტანელებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და ქართველებს ჯარების შეჩერება სთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ამ ყველაფერს ქართველებსა და ბრიტანელებს შორის საბრძოლო მოქმედებების დაწყებაც გამოეწვია, გენერალმა მილნიმ ბათუმში განლაგებული ბრიტანული ბრიგადა საბრძოლო მზადყოფნაზე გადაიყვანა.[509] საქართველოს მთავრობას არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია თუ რეალურად რა ხდებოდა ბათუმის საკითხის ირგვლივ, მარტის შუა პერიოდში საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს საკითხის ირგვლივ სხვადასხვა ცნობა ჰქონდა, დაწყებული ბათუმის დროებითი ოკუპაციით და დამთავრებული ბათუმის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით.[510] მაშინ როცა ბრიტანელ სამხედროებს ერთი სული ქონდათ ბათუმიდან გასულიყვნენ, საქართველოს მმართველი პარტიის თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი სურათს სულ სხვაგვარად ხედავდა და 29 მარტს პარიზში მყოფი ქართული დელეგაციის ლიდერებს ჩხეიძეს და წერეთელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით წერდა, რომ ეჭვგარეშე იყო ბრიტანული სამხედრო წრეების მცდელობა ამიერკავკასია საკუთარ ბრჭყალებში ჩაეჭირათ, განსაკუთრებით კი ბათუმის ოლქი საიდანაც ისინი გაიყვანდნენ რკინიგზას არტაანისა და ყარსის მიმართულებით სპარსეთის ყურესა და ინდოეთთან დასაკავშირებლად, რამიშვილის აზრით ბათუმის დაკარგვა გამეორება იქნებოდა ძველი ისტორიისა, როდესაც საქართველომ ძველად სამცხე-საათაბაგოს დაკარგვით დაკარგა ჯერ ეკონომიკური ძალა და შემეგ სუვერენიტეტი, ამიტომ გამოვიდა საქართველოს ხალხი ერთსულოვნად ბათუმის საკითხის გამო და დაგმო კარიკატურული სახელწმიფოს შექმნის იდეა. რამიშვილი თანაპარტიელ ლიდერებს მოუწოდებდა დაემტკიცებინათ ბრიტანელებისთვის, რომ ძლიერი საქართველო მათ ინტერესებში იყო.[511] ბრიტანელების მხრიდან კავკასიაში წითლების შემოსვლის წინააღმდეგ გადადგმული სუსტი ნაბიჯი, სწორი ინფორმაციის არქონის გამო საქართველომ მტრულ ნაბიჯად აღიქვა. აპრილში დაძაბულობა ნელ-ნელა მცირდებოდა და საკითხს თითქოს ნათელი ეფინებოდა, მაგრამ ბრიტანელი სამხედროები ქართველებისთვის იარაღის გადაცემის

---

[509] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. VI. თბ.2019 გვ.20-22 ბექა კობახიძე. „ბრიტანული“ კავკასია. 1918-1920. გვ.143

[510] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტ. VI.თბ.2019 გვ.23.

[511] სცსა. ფონდი 2115. აღწერა 1. საქმე 119. ფურც.1-2.

დაბლოკვას უკვე ,,ლეგიტიმური“ მიზეზით ახერხებდნენ. მაისის დასაწყისში, პოლკოვნიკმა სტოქსმა რომელიც მალე თბილისში უნდა ჩასულიყო ავადმყოფობის გამო თბილისიდან წასული უმაღლესი კომისრის უორდორპის შემცვლელად, ლონდონში მყოფ გვარჯალაძეს განუცხადა, რომ ის თავად ძალიან ცდილობდა იარაღის საკითხის მოგვარებას, მაგრამ ბათუმის ოლქის ამბებმა საქმე შეაფერხა, გენერალ მილნის ბათუმში გაგზავნილი ჰქონდა იარაღით დატვირთული გემი, მაგრამ ერთი მხრივ ქართველების ბათუმში შეჭრის საფრთხის გამო, ხოლო მეორე მხრივ რადგანაც არ იყო დარწმუნებული რომ ქართველები ბოლშევიკებს შეებრძოლებოდნენ - ამ იარაღს არ იძლეოდა.[512] საქართველოს მხრიდან ბრიტანელებთან ომის დაწყების შანსი განსაკუთრებით კი აპრილ-მაისში მართალია თეორიულადაც გამორიცხული იყო, მაგრამ გაურკვევლობა ბათუმის ოლქის ირგვლივ ბრიტანელი სამხედროებისთვის საქართველოსთვის იარაღის გადაცემის შესაფერხებლად კარგ საბაბს წარმოადგენდა.

სანამ ბრიტანული იარაღის საკითხი ჰაერში იყო გამოკიდებული, 27 მარტს იტალიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკმა კარლეტიმ პოლკოვნიკ გედევანიშვილს შეატყობინა, რომ 20 მარტს ბრინდიზის პორტიდან აღმოსავლეთისკენ დაიძრა საქართველოსთვის განკუთვნილი 1 095 000 ვაზნით დატვირთული საესკადრო ნაღმოსანი ,,რაკია“, უახლოეს ხანში კი ტარანტოს პორტიდან ხომალდ ,,მერანით“ კიდევ ერთი მილიონი ვაზნა გაიგზავნებოდა საქართველოსკენ, კარლეტი იმასაც ამატებდა, რომ ბოლონიის პიროტექნიკის საარტილერიო არსენალის საწყობში იქ არსებული დიდი რაოდენობის ვაზნების დახარისხება მიმდინარეობდა და თუ ქართველებისთვის საჭირო ნიმუშებს ნახავდნენ, შეძლებისდაგვარად სწრაფად გააგზავნიდნენ საქართველოში.[513] იტალიაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელ ნიკოლოზ ჯაყელს 5 მაისს არ ჰქონდა ცნობა ჩავიდა თუ არა საქართველოში ვაზნების მეორე პარტია,[514] 11 მაისის მოხსენებაში ის წერდა, რომ იტალიიდან გაგზავნილი 2 მილიონი ვაზნის გარდა კიდევ ამდენივე იყო შესაძლებელი, ოღონდ არა დაუყოვნებლივ.[515] რამდენიმე დღით ადრე იტალიის

[512] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 296. ფურც.6.
[513] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 295. ფურც.54.
[514] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 224. ფურც.32.
[515] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 344. ფურც.11 - შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ 1920 წლის მარტსა და აპრილში საქართველოში იტალიიდან 2 მილიონი ვაზნა შემიტანეს, რამდენად სარწმუნოა გენერალ ზაქარიაძის მოგონება

საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტორიო სკიალოიამ მას განუცხადა რომ მუშათა კლასის განწყობის გათვალისწინებით ის ვერ მოახერხებდა იტალიური გემების სამხედრო მასალით დატვირთვას , ფრანგულ ან ბრიტანულ გემზე კი ეს შესაძლებელი იქნებოდა.[516] მოგვიანებით ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და დამატებითი ვაზნები საქართველოს იტალიიდან აღარ მიუღია. საქართველომ იტალიიდან, რომ 2 მილიონი ვაზნა მიიღო ამ ფაქტს ასევე ადასტურებს ოლივერ უორდროპის შემცვლელის, ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ახალი უმაღლესი კომისრის პოლკოვნიკ სტოქსის 1920 წლის 15 ივლისს შედგენილი ანგარიში ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.[517]

სანამ ბრიტანელი სამხედროები სუბიექტური თუ მეტ-ნაკლებად ობიექტური საბაბით, საქართველოსთვის იარაღის გადაცემის საკითხს აფერხებდნენ, მოხდა ისეთი რამ, რამაც საკითხის დადებითად გადაწყვეტას უარყოფითი წერტილი დაუსვა. 27 აპრილს საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ აზერბაიჯანის საზღვარი გადაკვეთა, აზერბაიჯანის ისედაც ძალიან სუსტი არმიის დიდი ნაწილი სომხეთთან სამხედრო კონფლიქტში იყო ჩართული , ამიტომ მე-11 არმიას ბაქოსკენ მსვლელობისას თითქმის არანაირი დაბრკოლება არ შეხვედრია. ბაქოსკენ წითელი ჯარის მსვლელობის პარალელურად, ბაქოში ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ხელისუფლება დაამხეს და 28 აპრილის ღამით აზერბაიჯანის პარლამენტს ძალაუფლება მათთვის გადააცემინეს, ორ საათში კი ქალაქში რუსული ჯავშანმატარებლებიც შევიდნენ. რამდენიმე დღეში მთელ აზერბაიჯანს უკვე საბჭოთა ჯარები აკონტროლებდნენ. ბრიტანეთში, კავკასიური პოლიტიკის მომხრეებს აზერბაიჯანის დაცემამ ყოველგვარი საფუძველი გამოაცალათ. კერზონის ხედვით ამის შემდეგ ამიერკავკასიის დანარჩენი ორი რესპუბლიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უკვე შეუძლებელი იყო და ბათუმიდან ბრიტანული ჯარების ევაკუაციის გადაწყვეტილებაც მიიღეს .[518] ცხადი

მაისის დასაწყისში საწყობებში დარჩენილი 1.8 მილიონი, ხოლო აკაკი ჩხენკელის დღიურის 19 მაისის ჩანაწერის მიხედვით 700 000 ვაზნის შესახებ. იტალიიდან საქართველოში 2 მილიონი ვაზნის შეტანა და საწყობში დარჩენილი ვაზნების ზემოთ ნაჩვენები მონაცემი სულაც არ მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში, ბუნებრივია რომ მობილიზებულ , ფრონტზე გაგზავნილ ჯარებს ვაზნებს გადასცემდნენ , მათ შორის იტალიიდან ჩამოტანილს და საწყობებში დარჩენილი ვაზნების მონაცემებში ეს არ აისახებოდა.

[516] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 225. ფურც.17 ეს მართლაც პრობლემური საკითხი იყო და 1920 წლის ზაფხულში როდესაც ქართველებმა იტალიაში, ტურინში აეროპლანები შეიძინეს, მათი ტრანსპორტირება მხოლოდ საფრანგეთიდან , მარსელის პორტის საშუალებით მოახერხეს.

[517] F.O. 371/4944/1/ E9429/58.

[518] ბექა კობახიძე. „ბრიტანული“ კავკასია. 1918-1920 გვ.143.

გახდა, რომ თუ იქამდე ბრიტანელი სამხედროები ბლოკავდნენ 1920 წლის 19 იანვრის გადაყვეტილებას, ამის შემდეგ უკვე აღარც გადაწყვეტილების გამტანი პოლიტიკოსები იღონებდნენ რაიმეს მის აღსასრულებლად. ევროპაში გაგზავნილი ქართველი დიპლომატები და სამხედროები კი, იარაღის საკითხს როგორც თავად ამბობდნენ ყველაგან ,,დასდევდნენ", მაგრამ უიმედოდ. ისინი დაჟინებით აგრძელებდნენ შეპირებული იარაღის მოთხოვნას. დადიოდნენ ბრიტანელი მაღალჩინოსანი პოლიტიკოსებისა და სამხედროების კაბინეტებიდან კაბინეტებში, ხან მათ დაპირებებს ისმენდნენ , ხანაც კიდევ შეფერხების სხვადასხვა მიზეზს, საქმე წინ არ მიდიოდა. ,,აბეზარ" ქართველებს ლონდონური კაბინეტებიდან გენერალ მილნისთან ამისამართებდნენ კონსტანტინოპოლში, ხოლო გენერალი მილნი კი ისევ ლონდონში უშვებდა მათ.[519] საქართველომ ბრიტანული იარაღის ერთი პარტია, მაინც მიიღო 1920 წლის ზაფხულზე, თუმცა ეს იარაღი არც საქართველოსთვის იყო განკუთვნილი და არც მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს 19 იანვრის გადაწყვეტილებასთან ჰქონდა საერთო. პირველი მსოფლიო ომის წლებში საშინლად დაზარალებული სომეხი ხალხის დახმარება დასავლური სახელმწიფოების საზოგადოებები და პოლიტიკური ელიტები საკუთარ მორალურ ვალად მიიჩნევდნენ, მსოფლიო ომის შემდეგ წლებში დასავლეთი სომხეთს მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ და სასურსათო დახმარებას უწევდა, მაგრამ რესპუბლიკის უსაფრთხოება ვერ უზრუნველყვეს. ამ მორალური ვალდებულებისა და რეალური დახმარების ვერ გაწევის ფონზე, ბრიტანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება სომხეთისთვის ვალად იარაღი და საბრძოლო მასალები გადაეცათ. სომხეთს იარაღი საქართველოს გავლით უნდა გადასცემოდა და შესაბამისად საქართველო, საკუთარ ტერიტორიაზე ტრანზიტის საფასურად იარაღისა და საბრძოლო მასალის 27%-ს მიიღებდა. 1920 წლის ივლისში საქართველოში შევიდა ბრიტანელების მიერ სომხეთისთვის გაგზავნილი : 25 000 კანადური წარმოების როსის MK II და MKIII ტიპის 7.7მმ-იანი შაშხანები; ვიკერსის ფირმის 7.7მმ-იანი 400 ტყვიამფრქვევი; 57,5 მილიონი ბრიტანული 303 ტიპის იგივე 7.7-მმიანი ვაზნა და 40 000 ჯარისკაცის აღკაზმულობა.[520] ტრანზიტის

[519] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 340. ფურც.1-3.

[520] Artsrun Hovhannisyan. Historical notes on the Armenian-British Militay collaboration 1918-1920. *Journal of Armenian studies. N3.* Eerevan. 2019. Pp.20-26; ავტორი ასევე წერს, რომ იარაღის პარტიაში შედიოდა 48 საველე ქვემეხი, თუმცა დოკუმენტში რომელსაც ის უთითებს წყაროდ და ასევე სხვა ბრიტანულ დოკუმენტში რომელშიც მოცემულია ინფორმაცია იარაღის პარტიის საქართველოში ჩასვლის შესახებ, ქვემეხებზე საუბარი არ არის. ჰოვანესიანი

წილად კი აქედან საქართველოს დარჩა: 6750 კანადური შაშხანა; 96 ვიკერსის ტყვამფრქვევი, 15 525 000 ვაზნა და 10 800 ჯარისკაცის აღკაზმულობა. ეს სწორედ ის ,,ბრიტანული“ შაშხანები იყო, რომელიც როგორც ზემოთ ვნახეთ გივი ღამბაშიძეს და მის თანამებრძოლებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ. შაშხანების, ტყვიამფრქვევებისა და განსაკუთრებით კი ვაზნების ეს მოზრდილი პარტია, რომელთა გამოყენება კანადურ შაშხანებზე, ვიკერსისა და ლევისის ტყვიამფრქვევებზე იყო შესაძლებელი ქართული ჯარისთვის გარკვეული შეღავათი იყო. 1920 წლის ივლისში ქართველებმა სხვა გზითაც იშოვეს დამატებით კიდევ 4 მილიონი ვაზნა. 1920 წლის 11 ივლისს კონტრ-ადმირალი სეიმური, ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის მეთაურს ადმირალ ჯონ დე რობეკს აცნობდა ბათუმის ოლქიდან ბრიტანელების ევაკუაციის და ოლქის ქართველებისთვის გადაცემის ამბებს, სადაც წერდა, რომ დავით ღამბაშიძემ[521] მას კონფიდენციალურად მიაწოდა ინფორმაცია, ვრანგელის მიერ ცოტა ხნის წინ საქართველოსთვის 3 მილიონი ვაზნის გადაცემის შესახებ. სეიმური ასევე თავად იყო თვითმხილველი ქართველების მიერ ოლქში შესვლისთანავე, ვრანგელის გემ ,,მარგარიტაზე“ არსებული 1 მილიონი ვაზნა შეძენისა, რის შემდეგაც 7 ივლისს ,,მარგარიტამ“ ფეოდოსიისკენ გასცურა.[522]

ქართველები აგრძელებდნენ ბრიტანელებისთვის იარაღის თხოვნას და ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ახალი უმაღლესი კომისარი პოლკოვნიკი სტოქსიც განაგრძობდა ქართველების ლობირებას . 1921 წლის 20 იანვარს პოლკოვნიკმა სტოქსმა საკუთარ მთავრობას საქართველოს მიერ მოთხოვნილი იარაღის ნუსხა კიდევ ერთხელ გაუგზავნა: 75 000 ჯარისკაცის უნიფორმა და აღჭურვილობა; 75 000 შაშხანა; 150 მილიონი ვაზნა; 470 ან 550 ტყვაიმფრქვევი; ტყვიამფრქვევის 8 მილიონი ვაზნა; 96 ქვემეხი - 444 000 ჭურვით, საქართველოს მთავრობა ამ იარაღის მესამედის სასწრაფოდ მიღებას ითხოვდა, სტოქსი საკუთარ მთავრობას არწმუნებდა, რომ საქართველოს დახმარება ბრიტანეთის ინტერესებში შედიოდა და ქართველი ხალხი სადაც მაღალი ეროვნული და ანტიბოლშევიკური განწყობა იყო იბრძოლებდა დამოუკიდებლობის

საკუთარ სტატიაში არ აკონკრეტებს ტყვიამფრქვევის მოდელს, თუმცა ბრიტანული დოკუმენტიდან ჩანს რომ საუბარი ვიკერსის ტყვიამფრქვევებზე. იხ: F.O. 371/4957/1/ E6745/58; F.O.371/4945/1/ E10762/58.

[521] დიდ ბრიტანეთში საქართველოს რესპუბლიკის არაოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენელი.

[522] The Mediterranean Fleet, 1919-1929. Edited by Paul Halpern. *Publications of the Navy records society. Vol.158.* ,,Ashgate“, 2011, pp.254-257.

დასაცავად, ამ ბრძოლაში დახმარებას კი დიდი მორალური ეფექტიც ექნებოდა.[523] ბრიტანელმა პოლკოვნიკმა 2 თებერვალს საკუთარ მთავრობას საქართველოზე რუსეთის თავდასხმის საშიშროების საილუსტრაციოდ, საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის სარდლის ანატოლი ჰეკერის მიერ შემუშავებული საქართველოში შეჭრის გეგმაც გაუგზავნა.[524] წითელი არმიის საქართველოში შეჭრის შემდეგ სტოქსი აგრძელებდა შეტყობინებების გაგზავნას ბრიტანეთში, წერდა, რომ ქართველები იბრძოდნენ და მდგომარეობა უიმედო არ იყო, სასწრაფოდ გაგზავნილ დახმარებას შეიძლება ქვეყანა გადაერჩინა, პასუხად კი მას საგარეო საქმეთა სამინისტროდან 25 თებერვალს აცნობეს , რომ მიუხედავად სიმპათიებისა ქართველი ხალხის მიმართ, მათ საკუთარი რესურსებით უნდა ებრძოლათ.[525] ბრიტანეთი 1920 წლის დეკემბრიდან ინტენსიურად მუშაობდა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებაზე, ამ დროს დენიკინი და უკვე ვრანგელიც დამარცხებული იყო, კავკასიურ პოლიტიკას ბაქოს, კასპიის ზღვისა და ერევნის დაკარგვის შემდეგ მათთვის აზრი აღარ ჰქონდა, 1921 წლის თებერვალში ბრიტანულ-საბჭოურ ხელშეკრულებაში უკანასკნელი კორექტივები შედიოდა, რომელიც 16 მარტს გაფორმდა კიდეც და კავკასია ფაქტობრივად რუსეთის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული.[526] რაც ხელშეკრულების ხელმოწერის დროისათვის უკვე მომხდარი ფაქტიც იყო. შესაბამისად იარაღის საქართველოში გაგზავნაზე საუბარი ზედმეტი გამოდგა, ამავდროულად ბრიტანელი სამხედროები რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას ფიქრობდნენ, რომ გაგზავნილი იარაღი საბოლოოდ მაინც ბოლშევიკებს ან თურქებს ჩაუვარდებოდათ ხელში.[527] ქართველები, ბრიტანეთის მთავრობის გარდა კერძო ბრიტანულ ფირმებთანაც ცდილობდნენ მოლაპარაკებას. 1921 წლის 2 თებერვალს ბირმინგემულმა იარაღის კომპანიამ B.S.A Guns Limited-მა პარიზის ქართულ ლეგაციაში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს მისწერა, რომ ისინი მზად იყვნენ მიეყიდათ ქართველებისთვის იარაღი თუ ამ უკანასკნელთ ბრიტანეთის მთავრობის ნებართვა ექნებოდათ, კომპანია მხოლოდ

---

[523] გია გელაშვილი. რამდენიმე დოკუმენტი ბრიტანეთის ნაციონალური არქივიდან.*ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები N1 (14).* თბილისი: ,,უნივერსალი", 2014, გვ.365-366.

[524] F.O. 371/6268/1/E2304/58.

[525] ბექა კობახიძე. საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. გვ.221.

[526] ბექა კობახიძე. გვ.221; რამაზ ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921წწ. თბილისი: *,,მერიდიანი"*, 1995, გვ.115.

[527] გია გელაშვილი. რამდენიმე დოკუმენტი ბრიტანეთის ნაციონალური არქივიდან. გვ.379.

40 000 სამხაზიან შაშხანასა და 60 მილიონ ვაზნაში 620 000 ფუნტ-სტერლინგს ითხოვდა.[528] დასახელებული ფასი ქართული მხარისთვის ასტრონომიული იყო. 1921 წლის იანვარში 1 ბრიტანული ფუნტ-სტერლინგი 17 900 , ხოლო უკვე თებერვალში 18 500 მანეთი ღირდა.[529] შესაბამისად 1921 წლის თებერვალში 620 000 ფუნტი 11.4 მილიარდ ქართული მანეთს უდრიდა, ეს კი ქართული სახელმწიფოსთვის უზარმაზარი თანხას წარმოადგენდა. თუ რამდენად დიდი და წარმოუდგენელი თანხა იყო საქართველოსთვის 11.4 მილიარდი მანეთი ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითიც საკმარისია - 1918 წლიდან 1921 წლის თებერვლის ჩათვლით, საქართველოს მიერ გამოცემული ქართული ბონები და ამიერკავკასიის ის ბონები რომელზეც საქართველოს კუთვნილებას შეადგენდა და პასუხისმგებლობა ჰქონდა აღებული სულ 17.5 მილიარდ მანეთს შეადგენდა;[530] 1919-1920 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბიუჯეტის სრული შემოსავალი მხოლოდ 771 მილიონი მანეთი იყო, გასავალი კი 3.2 მილიარდი; 1920-1921 წლების ბიუჯეტის დაუმტკიცებელი პროექტით წლიური ხარჯები 8.5 მილიარდ მანეთად იყო ნაანგარიშევი.[531]

კიდევ ერთი სახელმწიფო რომელიც 1920 წლის 19 იანვარს მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანამონაწილე იყო გახლდათ საფრანგეთი. ქართველები უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულებას მართალია ბრიტანელებისგან ელოდნენ და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ პროცესის გაწელვის გამო პარიზში მყოფის ქართული დელეგაციის წევრები, სამხედრო მისიის გენერლები და ეკონომიკური კომისიის წევრები ფრანგებსაც სთხოვდნენ გადაწყვეტილების შესრულებას, ეს პროცესი განსაკუთრებით 1920 წლის მაის-ივნისში გააქტიურდა. ქართველები ხვდებოდნენ ფრანგ სამხედრო და პოლიტიკურ ლიდერებს, ფრანგები მათ ეუბნებოდნენ რომ საკითხი პრინციპულად გადაწყვეტილი იყო, ასახელებდნენ შეფერხების სხვადასხვა მიზეზს, ქართველები თუ უფასოდ ვერ მიიღებდნენ შეპირებულ იარაღს მზად იყვნენ 1.5 მილიონი ფრანკის ღირებულების

[528] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 534. ფურც.24-25 დოკუმენტში ფასი ერთიანად არ არის მოცემული. 1 შაშხანის ფასი უდრის -40 შილინგს (2 ფუნტ-სტერლინგი) და 1000 ვაზნის ფასი კი 9 ფუნტ სტერლინგს.

[529] სტატისტიკური კრებული 1909-1921. ტფილისი: ,, საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო“ , 1923 გვ.169.

[530] სტატისტიკური კრებული 1909-1921.გვ.165.

[531] კონსტანტინე კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა. გვ.177-178.

იარაღი შეეძინათ, მათ მართლაც ეუბნებოდნენ რომ იარაღის შეძენა შეიძლებოდა, მაგრამ როდესაც საქმე-საქმეზე მიდგებოდა აღმოჩნდებოდა, რომ არც ეს იყო მარტივი და ასეთ შემთხვევაშიც პოლიტიკური ნება იყო გადამწყვეტი. ქართველებს თავიანთ სამსახურს სთავაზობდა კონკრეტული კომერსანტიც, რომელსაც კარგი კავშირები ჰქონდა პოლიტკურ წრეებთან და მისი საქონლის შეძენის შემთხვევაში იარაღის საკითხის მოგვარებას ჰპირდებოდა, ქართველებმა ის საქმეში ჩართეს, თუმცა მისდამი ნდობა დაბალი იყო .[532] ქართული დელეგაციის გარდა, საქართველოს მთავრობა იარაღის საკითხზე მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოში მყოფ ფრანგულ მისიასთან, 1920 წლის 20 ივნისს ფრანგებმა მიიღეს გადაწყვეტილება უმაღლესი საბჭოს 19 იანვრის გადაწყვეტილების შესაბამისად, რომ იარაღის ერთ პარტიას კერძოდ კი 5 000 შაშხანას და 10 მილიონ ვაზნას საქართველოს უფასოდ მისცემდნენ. ეს იარაღი მსოფლიო ომში დამარცხებულ ბულგარეთს ეკუთვნოდა, რომლის სამხედრო ქონებას გამარჯვებულები განკარგავდნენ და იარაღს ფრანგები ვარნიდან საკუთარი გემით ჩაიტანდნენ ფოთში , ხოლო ამის შემდეგ კიდევ გაგრძელდებოდა მოლაპარაკებები იარაღის შესყიდვაზე.[533] ბულგარეთიდან საქართველოში იარაღის შეტანის პროცესი საკმაოდ გაიწელა. პარიზში მყოფ ქართულ დელეგაციას, ივლისის ბოლოს ფრანგებმა უთხრეს, რომ გემი ვარნიდან ბათუმისკენ უკვე გავიდა,[534] მაგრამ ეს სიმართლე არ გამოდგა. 21 აგვისტოს კავკასიაში ფრანგული სამხედრო მისიის მეთაური პოლკოვნიკი კორბელი საქართველოს მთავრობას უხსნიდა მიზეზს რამაც დააბრკოლა ფრანგული იარაღის გამოგზავნა ბულგარეთიდან, კორბელი ირწმუნებოდა, რომ ვარნის ნავსადგურის მუშებმა უარი განაცხადეს გემი ,,ბორისი" ქართველებისა და სომხებისათვის გასაგზავნი იარაღით დაეტვირთათ.[535] საბოლოოდ იარაღის ნაჩუქარი პარტია 1920 წლის 1-3 ნოემბერს ჩავიდა ფოთში, ოღონდ განსხვავებული რაოდენობით - 6200 შაშხანა (მათგან მხოლოდ 5315-ს ქონდა ხიშტი) და 6 005 400 ვაზნა, ამასთანავე ეს იარაღი განკუთვნილი იყო როგორც ქართველებისათვის ისე სომხებისათვის, მაგრამ რადგანაც იმ პერიოდში თურქებმა ყარსი აიღეს და ალექსანდროპოლისკენ მიიწევდნენ, ფრანგებმა იარაღის ის ნაწილი

[532] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 312. ფურც.5;9-12; 16-20; 22-25; 31; 36-41; 44-47; 52; 55-56.
[533] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 210. ფურც.118-120; სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 312. ფურც.60-62; 66-67.
[534] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 370. ფურც.65.
[535] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 67. ფურც. 137.

რომელიც სომხებისთვის იყო განკუთვნილი დაცვის ქვეშ აიყვანეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.[536] მთლიანობაში 1920 წლის განმავლობაში საქართველომ მოახერხა, ძირითადად საჩუქრად მიეღო ან შეეძინა 10 000-ზე მეტი შაშხანა, 100-მდე ტყვიამფრქვევი და 25 მილიონამდე სხვადასხვა კალიბრის ვაზნა, რაც 1920 წლის დასაწყისში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით შეიარაღებული ძალების უკეთ ფუნქციონირების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ იარაღისა და საბრძოლო მასალების ეს რაოდენობა არც 60 000 ჯარისკაცისა და გვარდიელის მობილიზებისთვის იყო საკმარისი და მითუმეტეს, სრული ადამიანური სამხედრო რესურსის ასათვისებლად. განსახვავებით შაშხანების, ტყვიამფრქვევებისა და ვაზნებისა, საქართველოს არ მიუღია არც არტილერია და არც საარტილერიო ჭურვები, რისი დეფიციტიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდშიც თვალსაჩინო იყო და 1920 წლის ბოლოსთვის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ იდგა. 1921 წლის სამ იანვარს, ქართული არმიის მთავარსარდალმა გენერალმა ილია ოდიშელიძემ და გენერალური შტაბის უფროსმა ალექსანდრე ზაქარიაძემ მთავრობისადმი წარდგენილ საიდუმლო მოხსენებაში, რომელიც საბჭოთა რუსეთთან მოსალოდნელი და თურქეთთან შესაძლო ომისთვის მზადებას და ეხებოდა, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ საარტილერიო ჭურვების ნაკლებობაზე გაამახვილეს.[537]

საფრანგეთსა და საქართველოს შორის გრძელდებოდა მოლაპარაკება იარაღის დიდი პარტიის შესყიდვის თაობაზე, ზუსტდებოდა იარაღის რაოდენობა, ტიპი, ფასები, გადახდის წესი - იქნებოდა ეს ფულადი თუ ნედლეულის სახით და ამ ყველაფერს დრო სჭირდებოდა. ამავდროულად ფრანგები არ ჩქარობდნენ და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ვრანგელის ბრძოლაზე ამყარებდნენ იმედს, რომელიც 1920 წლის ნოემბერში დამარცხდა. კავკასიაში საფრანგეთის უმაღლესი კომისარი შევალიე და სამხედრო მისიის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი კორბელი საკუთარ მთავრობას ქართველების დახმარებისაკენ მოუწოდებდნენ.[538] 1921 წლის 12 იანვარს საქართველოს

---

[536] Lieutt.-Colonel Corbel a Guerre, Tiflis 14.11.1920, no.471 et 472.. Service Historique de l'Armée de Terre (SHAT) 7N 3118, EMA/2, URSS.

[537] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4.საქმე 18. ფურც.8-9; ილია ოდიშელიძე. საქართველოს დამარცხების მიზეზები. გვ.370.

[538] Георгий Мамулиа. Рамиз Абуталыбов. Страна Огней. В борьбе за свободу и независимость. Политическая история Азербайджанской емиграции. 1920- 1945 гг. Париж- Баку: ,,CBS", 2014, с.88-91.

საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი პარიზში საფრანგეთის პრეზიდენტ მილეირანს შეხვდა. მილეირანი ქართველებს ნივთიერ დახმარებას შეპირდა სამხედრო და სასურსათო საქონლის კერძო მოწოდების გზით, ასევე სახელმწიფო იურიდიულ ცნობას. სამაგიეროდ ითხოვდა საქართველოში საფრანგეთის მოქალაქეების ქონებრივი ინტერესების დაცვას და იარაღის სანაცვლო საქონლის სიაში მარგანეცის შეტანას, გეგეჭკორის თქმით პრეზიდენტი მას არწმუნებდა, რომ მისი დაპირება მშრალი სიტყვები არ იყო.[539]

მომდევნო დღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ფილიპ ბერტელომ საქართველოს სამხედრო დახმარების შესაძლებლობებთან დაკავაშირებით სპეციალური ბარათი შეადგინა, რომელიც გაუგზავნა შევალიეს და საფრანგეთის შესაბამის უწყებებს. ბარათში აღნიშნული იყო რომ საქართველოსთვის შესაზლებელი იყო ბარტერის სახით გადაეცათ ვრანგელის ყოფილი იარაღი, რაც შეეხება საფრანგეთიდან ახალი იარაღის შეძენას, ამაში ქართველებს დაუყოვნებლივ უნდა გადაეხადათ ფული. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელი იყო უსასყიდლოდ გადაცემა, მაგრამ ამას დასჭირდებოდა პარლამენტში შესაბამისი კრედიტის დამტკიცება , ასეთი შემთხვევისთვის კი საჭირო იყო იარაღის ოდენობის მინიმუმამდე შემცირება.[540]

16 იანვარს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის პორტფელი ჩაიბარა სოციალისტმა არისტიდ ბრიანმა, რომელიც კავკასიელი ხალხებისადმი დადებითად იყო განწყობილი. ბრიანი ბოლშევიკთა შესაჩერებლად მხარს უჭერდა ე.წ სანიტარულ კორდონის ჩამოყალიბებას იმ ქვეყნების შემადგენლობით რომლებიც ადრე რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ, დაწყებული ბალტიისპირეთიდან დამთავრებული კავკასიით. ბრიანისავე ინიციატივით 1921 წლის 26-27 იანვარს[541] საქართველო დე-იურედ ცნო ანტანტის უმაღლესმა საბჭომ.[542] სრული იურიდიულ აღიარებას იარაღის მიღების საკითხში დადებითი როლი უნდა ეთამაშა. აღიარებამდე, სამი დღით ადრე 23 იანვარს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია შეხვდა შევალიესა და

---

[539] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 413. ფურც.18.
[540] Георгий Мамулиа. Рамиз Абуталыбов. С.93.
[541] . 26 იანვარს ბრიანის ინიციტივით მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო დე-იურედ ეღიარებინათ, ამისათვის საჭირო იყო ქართველების ოფიციალური მიმართვა, ეს ფორმალობა შესრულდა მეორე დღეს, 27 იანვარს.
[542] Георгий Мамулиа. Рамиз Абуталыбов. с. 91-92.

კორბელს და საფრანგეთს კიდევ ერთხელ სთხოვა დახმარება საბჭოთა რუსეთთან მოსალოდნელი ომის წინ. მთავრობის თავმჯდომარე მათ ეუბნებოდა, რომ ქვეყანას ჭირდებოდა ორი 75 000 კაციანი არმია, უკიდურეს შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება დასულიყო 100 000 კაცზე. ჟორდანიას თქმით იმ დროისათვის ქართული არმია შედგებოდა 50 000 კაცისაგან (სინამდვილეში დაახლოებით 34-36 000 კაცისაგან)[543] და დამატებით 50 000 კაცზე ითხოვდა დაუყოვნებლივ იარაღის მიღებას. შევალიე ჟორდანიას შეპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა პარიზში დადებითი გადაწყვეტილება მიეღოთ, მაგრამ ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყდებოდა , ტექნიკურ მიზეზებიდან გამომდინარე იარაღი მარტამდე ვერ ჩააღწევდა საქართველოში. კავკასიაში საფრანგეთის უმაღლესი კომისარი პრემიერ-მინისტრ ბრიანს სწერდა, რომ ჟორდანიას შეპირდა საკუთარ მთავრობას მისცემდა რეკომენდაციას საქართველოს დახმარებოდნენ მინიმუმ 100 000 კაციანი არმიის ფორმირებაში.[544] 4 თებერვალს შევალიე ბრიანს სთავაზობდა ნებისმიერ შემთხვევაში 50 000 კაციანი ქართული არმიის შეიარაღებას და საჭირო სამხედრო მასალის მიწოდებას.[545]

საქართველოს დე-იურედ აღიარების შემდეგ პარიზში იარაღის შესყიდვის საქმის დაგვირგვინებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ცდილობდა, 13 თებერვალს მას საფრანგეთში საქართველოს ოფიციალურ დიპლომატიურ წარმომადგენელი აკაკი ჩხენკელი შეუერთდა და მისგან საქმე გადაიბარა. ამასობაში კი, 11-12 თებერვლის ღამეს საბჭოთა რუსეთის ჯარების სანახევროდ ფარულმა და 16 თებერვლიდან კი ღია თავდასხმამ საქართველოზე იარაღის დროულად შეძენის და საქართველოში ჩატანის საჭიროება კიდევ უფრო სასიცოცხლოდ აუცილებელი გახადა პატარა რესპუბლიკისთვის. საფრანგეთიდან საქართველოში იარაღის ჩატანა მანძილის გამო ძალიან დაგვიანდებოდა, ამიტომ საქართველოს მთავრობამ შევალიეს სთხოვა, რომ კონსტანტინოპოლში ვრანგელის არმიის ყოფილი იარაღი, რომელიც ფრანგების განკარგულებაში იყო ქართველებისთვის გამოეგზავნათ, ეს საკითხი ევგენი გეგეჭკორსაც ჰქონდა

[543] Дмитрий Силакадзе. К вопросу о численности вооруженных сил Грузии перед началом войны с Советской Россией в 1921г. *Кавказский Сборник. Том №8 (40).* Москва 2014. С.239.
[544] Георгий Мамулиа. Рамиз Абуталыбов. С.96-97.
[545] Георгий Мамулиа. Рамиз Абуталыбов. С.93-95.

დაყენებული საფრანგეთის მთავრობასთან. შევალიემ საკუთარ მთავრობას მისწერა, რომ კონსტანტინოპოლში ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთის უმაღლესი კომისრის, გენერალ პელესათვის მიეცათ განკარგულება ქართველებისთვის იარაღი დაკლებულ ფასებში გადაეცა, იარაღის მისაღებად საქართველოს მთავრობამ 14 თებერვალს კონსტანტინოპოლში გენერალი კირილე ქუთათელაძე და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ნაპოლეონ კახიანი გააგზავნა.[546] პარიზიდან კონსტანტინოპოლშივე გამეგზავრა ევგენი გეგეჭკორიც, პარიზში კი მოლაპარაკებები აკაკი ჩხენკელმა განაგრძო. თბილისზე რუსების პირველი შტურმის ჩავარდნისა და ქართველების წარმატებული მოგერიებითი ბრძოლების შემდეგ, 21 თებერვალს აბელ შევალიე საკუთარ მთავრობას სთხოვდა დაეჩქარებინა იარაღის და განსაკუთრებით საბრძოლო მასალის მიწოდება ქართველებისთვის, რაც აუცილებელი იყო ქართველების კონტრშეტევაზე გადასასვლელად.[547] 22 თებერვალს ფრანგებმა რონის საწყობებიდან იარაღის პირველი პარტია 900 000 ვაზნა და 20 ტყვიამფრქვევი მარსელში გააგზავნეს რათა იქიდან ზღვით გაეგზავნათ საქართველოში. 25 თებერვალს, თბილისის დაცემამ კი საფრანგეთის მთავრობას გადაწყვეტილება შეაცვლევინა და საფრანგეთიდან იარაღის გაგზავნის გადაწყვეტილება შეაცვლევინა.[548] იმავე დღეს ჩხენკელმა კონსტანტინოპოლში ჩასულ გეგეჭკორს მიწერა, რომ ფრანგები კონტრაქტის ხელის მოწერისთანავე იძლეოდნენ 10 მილიონი ფრანკის[549] ღირებულების შეიარაღებას, ამავდროულად საფრანგეთის მთავრობა იძლეოდა 300 000 ფრანკად[550] კონსტანტინოპოლში არსებულ იარაღს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, საფასური უნდა გადახდილიყო სამი თვის ვადაში. ჩხენკელი წერდა, რომ იარაღი რეალურ ფასთან შედარებით ოცჯერ უფრო იაფად იყო შეფასებული.[551] 24 თებერვალს მაშინ როდესაც წითელი არმიამ თბილისზე ახალი

---

[546] სცსა. ფონდი1864. აღწერა 2. საქმე483. ფურც.9; შოთა ვადაჭკორია.ევროპული დაპირებები და ვაზნების გარეშე დარჩენილი საქართველო (1919-1921წლები). ახალი საარქივო დოკუმენტები. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 1 (14)* . თბილისი: ,,უნივერსალი".2014 , გვ.409.

[547] Георгий Мамулиа. Рамиз Абуталыбов. с.101-102.

[548] Георгий Мамулиа. Рамиз Абуталыбов. С.102-103.

[549] 1921 წლის თებერვალში 1 ფრანგული ფრანკი 330 ქართულ მანეთს უდრიდა, შესაბამისად მთელი პარტია 3,3 მილიარდი მანეთი დაჯდებოდა . ფრანკის კურსი იხ. სტატისტიკური კრებული 1909-1921წწ. გვ. 169.

[550] რეალურად ხელშეკრულების მიხედვით კონსტანტინოპოლური იარაღის ფასი 264 000 ფრანკი იყო (იხ.სცსა.ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 453. ფურც18). ხელშეკრულების გაფორმების მომენტში 1 ფრანგული ფრანკი 330 ქართულ მანეთს უდრიდა და იარაღის მთლიანი პარტია 87 მილიონი ღირდა, 1921 წლის მარტში კი 1 ფრანკის შეძენას ომის შედეგად კიდევ უფრო გაუფასურებული ქართული 1000 მანეთი სჭირდებოდა, შესაბამისად იარაღის პარტიის ფასი 264 მილიონ მანეთზე ავიდოდა.

[551] სცსა. ფონდი1864. აღწერა 2. საქმე484. ფურც.12.

შტურმი დაიწყო და ქალაქის მისადგომებთან 40 კილომეტრიან ფრონტზე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა, ჩხენკელმა კონსტანტინოპოლში მყოფ გეგეჭკორს მისწერა, რომ საფრანგეთის მთავრობა 25 თებერვალს გასცემდა ბრძანებას იარაღის გაცემაზე, მისი თქმით კონსტანტინოპოლში ფრანგებს ჰქონდათ 40 000 შაშხანა, 550 ტყვიამფრქვევი და 2 მილიონი ვაზნა.[552] გახარებულმა ჩხენკელმა საკუთარ დღიურში ჩაწერა - ,,ფრანგები უკვე გვეუბნებიან იარაღს მოგცემთ სტამბოლში იაფათ და სამი თვის შემდეგ უნდა გადაუხადოთ. კარგია ეს გამარჯვება, უნდა ვეცადო საჩქაროთ გაგზავნონ.“[553]

ჩხენკელის სიხარული მოკლეხნიანი გამოდგა, 25 თებერვალს თბილისში წითელი არმია შევიდა, ამის მიუხედავად ომი გრძელდებოდა, მაგრამ კონსტანტინოპოლში არსებული ვრანგელის ნაქონი ფრანგული იარაღი ფაქტობრივად ჯართის გროვას წარმოადგენდა და საომრად არ გამოდგებოდა. ამ იარაღის უმეტესი ნაწილი დაჟანგული და მწყობრიდან გამოსული იყო. ფრანგები კონსტანტინოპოლში ქართველებს ეუბნებოდნენ, რომ იარაღი არ ჰქონდათ, რადგანაც რაც იქაურ საწყობებში ჰქონდათ იმდენად გამოუსადეგარი იყო , რომ ნაგავს ეძახდნენ. ეს იარაღი მათ თავის დროზე ვრანგელს მიაწოდეს და მისი დამარცხების და ევაკუაციის შემდეგ კონსტანტინოპოლის საწყობებში შეინახეს. ქართველები დაჟინებით ითხოვდნენ იარაღს და ბოლოს ფრანგებმაც გაასაღეს უვარგისი იარაღი. ქართველების გათვლით იარაღი მაინც უნდა შეეძინათ, რადგანაც შეკეთების შემდეგ გამოიყენებდნენ, ამასთან ერთად კი იარაღის მიღების ფაქტსაც კი მორალური მნიშვნელობა ექნებოდა ბრძოლაში მყოფი ხალხისთვის.[554] მართლაც, ომის დასრულებისთანავე დაწერილ მოგონებაში მოხალისე, ინჟინერი იოსებ მამაცაშვილი იხსენებდა, რომ თებერვლის ბოლოს, თბილისის დაცემის შემდეგ მიუხედავად ჯარის დემორალიზების შემთხვევებისა , მებრძოლებს სჯეროდათ, რომ დასავლეთ საქართველოს დაიცავდნენ და თუ ევროპაც დაეხმარებოდათ დაკარგულსაც დაიბრუნებდნენ, ჯარისკაცები ლაპარაკობდნენ ევროპიდან მოსალოდნელი დახმარების შესახებ და ბრძოლის

---

[552] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 484. ფურც.13. საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო კიდევ უფრო აზუსტებდა იარაღის ჩამონათვალს: 40 000 შაშხანა (აქედან 16 500 რუსული სისტემის; 19 500 მაუზერი; 2500 ინგლისური და 1500 სხვადასხვა სისტემის), 550 ტყვიამფრქვევი (აქედან 200 მაქსიმის; 250 კოლტის და 100 სხვადასხვა სისტემის) და 2 მილიონი ვაზნა (აქედან რუსული სისტემის შაშხანების მხოლოდ 70 000; 1 000 000 ავსტრიული და 950 000-მდე სხვადასხვა სისტემის). - იხ.სცსა,ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 533. ფურც.59.

[553] აკაკი ჩხენკელი. გვ.351.

[554] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 534. ფურც.78-82; სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 587. ფურც.7-8. საინტერესოა, რომ ამ იარაღს ვრანგელის ხალხი თავისად თვლიდა და ისინიც ითხოვდნენ მის საფასურს ქართველებისგან.

გასაგრძელებლად მზად იყვნენ, თუმცა რუსეთის დამოუკიდებლად დამარცხების აღარ სწამდათ.[555] კონსტანტინოპოლიდან საქართველოში გაგზავნილი ფრანგული იარაღის პირველი პარტია ბათუმში მარტს პირველ რიცხვებში ჩავიდა, ამ პარტიაში რა რაოდენობის და რამდენად გამოსადეგი იარაღი იყო ამაზე წყაროებში ერთმანეთისგან მცირედით განსხვავებული მონაცემებია. კონსტანტინოპოლში საქართველოს საკონსულოს 6 მარტის ინფორმაციით ბათუმში გაიგზავნა: 16 000 შაშხანა; 148 ტყვიამფრქვევი და მილიონი ვაზნა. იარაღი დაჟანგული იყო და შეკეთება ჭირდებოდა, საბრძოლოდ გამოდგებოდა იარაღის მხოლოდ ¾.[556] 6 მარტსვე ბათუმის სამხედრო კომენდანტმა გენერალმა გიორგი ფურცელაძე, ზურგის ჯარების სარდალს, ქუთაისში მყოფ გენერალ ვარდენ წულუკიძეს შეატყობინა, რომ ბათუმის პორტში მიიღეს 15 000 სამხაზიანი შაშხანა და კარაბინი, სათადარიგო ნაწილებისა და ხიშტების გარეშე, 250 მაქსიმის ტყვიამფრქვევი და მხოლოდ 15 000-მდე ვაზნა; ბევრი შაშხანა საერთოდ არ გამოდგებოდა, ხოლო რაც გამოდგებოდა მხოლოდ რემონტის შემდეგ თუ გამოიყენებდნენ ჯარისკაცები, იგივეს თქმა შეიძლებოდა ტყვიამფრქვევებზე, საერთო ჯამში ფურცელაძის შეფასებით ეს იარაღი კი არა ხარახურა (,,ხლამი“) იყო.[557] გენერალი გიორგი მაზნიაშვილი კი თავის მემუარში წერს, რომ ბათუმში ჩამოტანილი 9000 შაშხანიდან მხოლოდ 183 გამოდგა ვარგისი.[558] რუსეთ-საქართველოს ომის ბოლო დღეებში, როდესაც ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილი იყო კონსტანტინოპოლიდან ბათუმში ფრაგული იარაღის მეორე, კიდევ უფრო უარესი პარტია ჩავიდა, რომელთა უდიდესი ნაწილი ქართველებმა გემიდან არც გადმოტვირთეს და უკანვე გაგზავნეს, რა დროსაც კონსტანტინოპოლში იარაღის კიდევ უფრო უარესი მესამე პარტიით გემი ,,მინგრელი“ იტვირთებოდა, მაგრამ საქართველოს დამარცხების შემდეგ ,,მინგრელიდან“ იარაღი უკანვე გადატვირთეს და საქართველოს სახელზე შეინახეს.[559] ფაქტობრივად 1921 წლის მარტში შეძენილი ფრანგული იარაღი, ქართველებს არ გამოუყენებიათ, ამის საშუალებას არც იარაღის

[555] იოსებ მამაცაშვილი.მოგონებანი (1921 წლის თებერვალი -ივლისი). გვ.20-24.
[556] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 483. ფურც.17.
[557] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 2. საქმე 211. ფურც.12 - დოკუმენტში ვაზნების რიცხვი დაკონკრეტებული არ არის, თუმცა საუბარში რომელიც ,,პირდაპირი მავთულით“ შედგა, ფურცელაძე საუბრობს ვაზნებით სავსე 30 ყუთზე, წულუკიძე კი იქვე აზუსტებს რომ ყუთში 500 ვაზნაზე მეტი არ იყო.
[558] გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი. გვ.154-155.
[559] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 587. ფურც.7.

მდგომარეობა იძლეოდა და არც დრო აღმოჩნდა საკმარისი თუნდაც მათი ნაწილის გასარემონტებლად და მწყობრში ჩასაყენებლად.

1921 წლის მარტშივე, კონსტანტინოპოლში მყოფი ქართველი დიპლომატები და სამხედროები ცდილობდნენ, ვაზნები და საარტილერიო ყუმბარები ფრანგების ნებართვით ბულგარეთიდანაც მიეღოთ, რომლის როგორც მსოფლიო ომში დამარცხებულის იარაღი ფრანგებს ეკუთვნოდათ, ასევე შეეძინათ იარაღი და საბრძოლო მასალები რუმინეთში.[560] რუმინეთს დიდი რაოდენობით იარაღი ჰქონდა და მზად იყო მათი ნაწილი გაეყიდა,[561] საქართველო 1921 წლის 18 თებერვლიდან რუმინეთის მიერ იურიდიულად აღიარებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა,[562] რაც იარაღის შეძენის საკითხს ამარტივებდა, მაგრამ ხელის შემშლელი ფაქტორი ფულის[563] ნაკლებობა და მცირე დრო იყო, რამაც საქმის წარმატებით დაგვირგვინება შეუძლებელი გახადა.

სკოლის მოსწავლემ, მოხალისე გივი ღამბაშიძემ თავის დღიურში დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო ომში, ქართული ჯარის იარაღისა და საბრძოლო მასალების ამბები ძირითადად ობიექტურად აღწერა. მან ნახა ინგლისური, სინამდვილეში კი ბრიტანელების მიერ სომხეთისთვის გაგზავნილი კანადური შაშხანები, რომელთა ნაწილი ტრანზიტის საფასურად საქართველოს დარჩა, მან ნახა დიდი რაოდენობით ტყვიამფრქვევები, რომელთა რაოდენობა ქართულ ჯარში არცთუ მცირე იყო, მაგრამ ამასთანავე საკუთარი თვალით იხილა ვაზნების დეფიციტი, რაც შეეხება ერთი საარტილერიო ბატარეის მიერ 5 საათის განმავლობაში 200-მდე ჭურვის გასროლას, ან ღამბაშიძემ ვერ დაითვალა გასროლილი ჭურვების რიცხვი რაც მისი საქმე არც იყო , შესაძლოა კონკრეტული ბატარეის არტილერისტები ცოტა დაუდევრად

[560] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 584. ფურც.3;5. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 587. ფურც.5.
[561] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 584. ფურც.5.
[562] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 479. ფურც.7.
[563] დოკუმენტში მოცემული ფასების მიხედვით თუ საქართველოს მთავრობა რუმინეთში შეიძენდა 10 ათას შაშხანას, 10 მილიონ ვაზნას, 10 ათას სამთო და 10 ათას საველე ქვემეხის ჭურვს მას ამისათვის დასჭირდებოდა 4 575 000 ფრანკი, რაც 1921 წლის მარტის ვალუტის კურსის მიხედვით 4,575 მილიარდი მანეთი გამოდიოდა. დოკუმენტშივე სჩანს, რომ გენერალ მდივანს კონსტანტინოპოლში თან ჰქონდა იარაღის და საბრძოლო მასალის სია რისი ყიდვაც რუმინელებთან 1 მილიონი თურქული ლირა დაჯდებოდა, 1921 წლის მარტის კურსის მიხედვით კი ეს 9.5 მილიარდი მანეთი იყო. რუმინელები ნაღდ ფულს ითხოვდნენ, ამ თანხის ¼-ი გემის დატვირთვის დაწყებისას, ხოლო ¾-ს კი მაშინ უნდა მიეღოთ როდესაც ტვირთი გადაზიდვისას მზად იქნებოდა. ქართველები ვარაუდობდნენ, რომ შესაძლებელი იყო რაიმე საქონლის ნაცვლად ბანკებს მათთვის საჭირო თანხა მიეცათ. იხ. სცსა. ფონდი 1864. აღწერა2. საქმე 584. ფურც5; ოსმალური ლირისა და ფრანგული ფრანკის კურსი - სტატისტიკური კრებული 1909-1921. გვ.169.

ეკიდებოდნენ, ან უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ომი მათ არჩევანის საშუალებას არ უტოვებდა მეტად გაფრთხილებოდნენ ქართული ჯარისთვის ყველაზე დეფიციტურ საბრძოლო მასალას - საარტილერიო ჭურვებს.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს პირველი მსოფლიო ომის შედეგად თითქმის გამოცარიელებული სამხედრო საწყობები დარჩათ მემკვიდრეობით, დამოუკიდებლობის მთელი დროის განმავლობაში ჯარს და გვარდიას აკლდა იარაღი და საბრძოლო მასალები, 1920 წლის პირველ ნახევარში კი ვაზნების დეფიციტმა კატასტროფული სახე მიიღო, რისი ნაწილობრივი გამოსწორება იმავე წელს მოხერხდა , რასაც ვერ ვიტყვით საარტილერიო ჭურვების შესახებ, რაც რესპუბლიკის ჯარების არტილერიის, ,,ომის ღმერთის" ეფექტურობას მნიშვნელოვნად ამცირებდა.[564] იარაღის საჩუქრად მიღება თუ სხვადასხვა პირობით შეძენა, რომელზეც თუ პირველი რესპუბლიკის მთავრობის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პირების მემუარების მიხედვით ვიმსჯელებთ, ძალიან იოლ საქმედ მოსჩანს, სინამდვილეში კი მინიმალურად იყო დამოკიდებული ქართველების მონდომებაზე, რაც მათ არ აკლდათ. საკითხის დადებითად გადაწყვეტა მსოფლიო ომში გამარჯვებული დიდი სახელმწიფოების ნებაზე იყო დამოკიდებული, რაზეც თავის მხრივ ამ ქვეყნებში არსებული უამრავი შიდა პოლიტიკური, პიროვნული, გლობალური თუ რეგიონალური ფაქტორი მოქმედებდა. ამ ყველაფერს თან ერთვოდა რესპუბლიკის სუსტი ეკონომიკა და უფულობა. იარაღის ის ნაწილი რაც საქართველომ საჩუქრად მიიღო თუ შეიძინა, მისი საჭიროებებს მხოლოდ მცირედით აკმაყოფილებდა.

იარაღისა და საბრძოლო მასალების ნაკლებობის მიუხედავად, მათი რაოდენობა საკმარისი იყო მცირე ზომის სამხედრო ძალებთან საბრძოლველად, იქნებოდა ეს ბოლშევიკური აჯანყებები ქვეყნის შიგნით თუ რუსეთიდან შემოსული ბოლშევიკური სამხედრო რაზმებთან ბრძოლა 1918-1920 წლებში, ეს იარაღი საკმარისი იყო თეთრების იმ ძალებთან საომრად რომელიც საქართველოსკენ იყო გადმოსროლილი, საკმარისი იყო სომხეთის რესპუბლიკასთან საომრად და ე.წ ყარსის რესპუბლიკის

[564] გენერალი ილია ოდიშელიძე, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შემდგომ მოხსენებაში, რომელიც საქმიანზე მეტად უფრო თავის მართლებას, საკუთარი შეცდომების სხვებზე გადაბრალების და ფაქტევის გაზვიადების ხასიათი ჰქონდა არტილერიასთან დაკავშირებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ თითო ბატარეას რვის ნაცვლად ორი ყუთი ჭურვი ჰქონდა, რამაც ცეცხლის წარმოების სიმძლავრე, ხანგრძლივობა და სისწრაფე მნიშვნელოვანდ შეამცირა - იხ. მიხეილ ბახტაძე. გენერალი ილია ოდიშელიძე. თბილისი: ,,არტანუჯი", 2017. გვ.91-92.

დასამარცხებლად. იარაღისა და საბრძოლო მასალების ის რაოდენობა რაც რესპუბლიკას გააჩნდა, საკმარისი იყო მოკლე ვადით თუნდაც ისეთ დიდ ძალასთან საომრად როგორიც იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გადმოსროლილი წითელი არმიები, თუმცა შეუძლებელს ხდიდა ამ დიდ სამხედრო ძალასთან თვეების ან ერთი წლის განმავლობაში გამუდმებული ომის წარმოებას. სხვა ფაქტორებთან ერთად იარაღისა და საბრძოლო მასალის დეფიციტი საქართველოს არ აძლევდა 60 000 კაციანი შეიარაღებული ძალების სრულყოფილი მობილიზაციის, აღჭურვის და გამოყენების საშუალებას , რომ აღარაფერი ვთქვათ სრული ადამიანური სამხედრო რესურსის გამოყენებაზე და 150 000 კაციანი არმიის შექმნაზე.

იარაღის და საბრძოლო მასალების დეფიციტის მიუხედავად, რესპუბლიკა საკუთარი თავდაცვითი მიზნებისა და უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ჯერ დენიკინის საფრთხის წინააღმდეგ, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა რუსეთისაგან თავის დასაცავად მთიელთა რესპუბლიკასა და აზერბაიჯანს უგზავნიდა იარაღის მცირე პარტიებს. დენიკინის ჯარების, აზერბაიჯანსა და საქართველოში შემოჭრის საფრთხის გამო 1919 წლის 16 ივნისს ორ რესპუბლიკას შორის სამი წლის ვადით დაიდო თავდაცვითი ხასიათის ხელშეკრულება , რომლის პირველი მუხლი მხარეებს მტრის თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთდახმარებას ავალდებულებდა, მუხლი არ ეხებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ჯერ კიდევ გაუმიჯნავი საზღვრების გამო გამოწვეულ მოქმედ თუ შესაძლო კონფლიქტებს.[565] ურთიერთდახმარების პოლიტიკის ფარგლებში ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში, დენიკინის საფრთხიდან გამომდინარე საქართველოს სამხედრო საბჭომ 2 ივნისს გასცა რეკომენდაცია, აზერბაიჯანის საშველად გამოყოფილიყო მცირე რაოდენობით იარაღი, იარაღის სამი დარგიდან.[566] ხელშეკრულების დადების შემდეგ საქართველომ აზერბაიჯანს ბარტერული წესით მიჰყიდა 12 სამთო და 12 საველე ქვემეხი, მაქსიმის 24 ტყვიამფრქვევი , 3000 შაშხანა, 211 ხმალი და 795 ხიშტი.[567] იმავე წლის 16 ოქტომბერს სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანისთვის კიდევ 4 ქვემეხი

---

[565] გრიგოლ ბოგვერაძე. საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წლებში. ქუთაისი: „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2005, გვ.67-77.

[566] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 1. ფურც.1-2.

[567] А. Стеклов.С.39; გრიგოლ ბოგვერაძე. გვ.97; Азербайджанская Демократическая Республика (1918-1920). Армия (Документы и материалы). Баку; „Азербайджан“, 1998. С.342 -სტეკლოვის ნაშრომში ვხდებით სრულ ინფორმაციას ჩამოთვილი იარაღის შესახებ, ბოგვერაძესთან შაშხანების, ხმლების და ხიშტების რიცხვის გამოკლებით, ხოლო აზერბაიჯანული არმიის დოკუმენტების კრებულში კი მხოლოდ ქვემეხების რაოდენობაა მოცემული.

გადაეცა,[568] 28 ნოემბერს კი ლებელის 250 შაშხანა.[569] საქართველო 1919 წლის განმავლობაში ფულით, არაოფიციალურად გაგზავნილი სამხედრო რაზმით, სამხედრო ინსტრუქტორებით და იარაღით, მათ შორის გადაცემული ორი აეროპლანითაც ეხმარებოდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკას დენიკინის წინააღმდეგ თავდაცვით ბრძოლაში.[570] 1920 წლის ნოემბერში როცა ჩრდილო კავკასიელები უკვე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ, ბოლშევიკური დაზვერვის ინფორმაციით საქართველომ აჯანყებულებს 2400 შაშხანა; 4 ტყვიამფრქვევი და საბრძოლო მასალები გადასცა.[571]

2.2 ჯავშანტექნიკა - ჯავშანმატარებლების რაზმი

ჯავშანმატარებლების გამოყენება სამხედროებმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყეს და ამ ,,მოძრავმა ციხესიმაგრეებმა" მონაწილეობა მიიღეს აშშ-ს სამოქალაქო ომში (1861-1865წწ), საფრანგეთ-პრუსიისა (1870-1871წწ) და სხვა ომებში. ჯავშანმატარებლებს განსაკუთრებულად აქტიურად იყენებდნენ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ჯავშნოსანი მატარებლები დიდი სახელმწიფოების არმიების, მათ შორის რუსეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების შეირაღებაშიც ირიცხებოდა. რუსეთის იმპერიის კავკასიის არმისაათვის 1914 წლის ბოლოს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში 4 ჯავშანმატარებელი აიგო. საბრძოლო ტექნიკა შედგებოდა ნახევრად შეჯავშნული ორთქმავლის, ორი საბრძოლო პლატფორმის და საბრძოლო მასალის შესანახი შეჯავშნული ვაგონისაგან. ორივე საბრძოლო პლატფორმაზე ერთად დაყენებული იყო ორი 76,2მმ-იანი 1904 წლის მოდელის სამთო ქვემეხი და 4 ტყვიამფრქვევი, ტყვიამფრქვევთა რაოდენობის გაზრდა 12-მდეც შეიძლებოდა. ბორტზე იყო გაკეთებული ამბრაზურები შაშხანების მსროლელთათვის, ორთქმავლის კოშკურაზე კი მეთაურის სადამკვირვებლო პოსტი იყო მოწყობილი. მებრძოლთათვის გამოყოფილი იყო ცალკე საცხოვრებელი ვაგონები.

---

[568] გრიგოლ ბოგვერაძე. გვ.97.

[569] სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 43. ფურც.1-2.

[570] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 135. ფურც.138; მიხეილ ბახტაძე, გიორგი მამულია. მასალები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან. გვ.39-41; 47; М. М. Вачагаев. Союз горцев северного кавказа и горская республика. История несостоявшегося государства. С.174-181; Георгий Мамулиа. Забытый Газават. Горцы Северного Кавказа в борьбе за свободу и независимость 1919-1921 гг. Часть I В борьбе с добровольческой армией. *Nowy Prometeusz. Numer 7.* Warszawa 2015, С.115- 116; 130-136.

[571] Георгий Мамулиа. Рамиз Абуталыбов. стр.56.

ქვემეხების სროლის სექტორი ჰორიზონტალურად მხოლოდ 110 გრადუსს უდრიდა. კავკასიის ფრონტის რუსული ჯავშანმატარებლები შემდეგი სახელებით მოინათლა: N1 - ყარსი; N2- ალექსანდროპოლი; N3-ნახჭევანი და N4 თბილისი. ოთხივე ჯავშნოსანი ირიცხებოდა კავკასიის პირველი ცალკეული სარკინიგზო ბრიგადის დაქვემდებარებაში. მათი ძირითადი ფუნქცია რკინიგზის დაცვა, ეშელონების გაცილება, რკინიგზაზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, მუშათა რაზმების დაცვა და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა იყო.[572] ჯავშნოსანი შედგებოდა ამერიკული ვაგონებისაგან, რომლებიც დაჯავშნილი იყო 12-16 მმ-იანი ფოლადის ფურცლებისაგან, რაც მას შაშხანის ტყვიებისა და შრაპნელისაგან იცავდა, ამერიკულ ვაგონებს რუსულზე მეტი ტვირთამწეობა და სიგრძე ქონდა, მეტ შეიარაღებასაც ატარებდა, მაგრამ ვაგონის ტამბურში დაყენებული ქვემეხი მხოლოდ წინა მხარეს ისროდა და ისიც მხოლოდ 110-გრადუსიან სექტორს ფარავდა. ვაგონებს ამბრაზურებთან ერთად ორივე მხარეს ჩაყენებული ჰქონდათ სამ-სამი დარაბა ტყვიამფრქვევებისათვის, ზოგ ვაგონს კი სახურავზეც ჰქონდა ტყვიამფრქვევებისათვის წრიულად მბრუნავი ჯავშანკოშკურა.[573] ჯავშანმატარებლების დიდ პლიუსს - მანევრულობა, სისწრაფე, მძლავრი შეიარაღება, ჯავშანი, მორალური ეფექტი, ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში მოქმედების თავისუფლება წარმოდგენდა, ხოლო მინუსი რემონტის სირთულე, დიდი რაოდენობით საწვავი მასალების საჭიროება, დიდი ზომა რაც მას არტილერიისთვის კარგ სამიზნედ აქცევდა, სხვადასხვა დარგის სამხედრო და რკინიგზის ტექნიკოსების საჭიროება, რკინიგზის ხაზზე მოძრაობის გამო მოქმედების შეზღუდული არეალი წარმოადგენდა.[574] თუმცა საბრძოლო მოქმედებები მაგისტრალების გასწვრივ ვითარდებოდა და ჯავშანმატარებლები რკინიგზის ხაზებზე და მის ირგვლივ დიდ ძალას წარმოადგენდნენ. ჯავშნოსნის ეკიპაჟს გარდა უშუალოდ მატარებლიდან ბრძოლისა შეეძლო დესანტირება, ქვეითად ბრძოლა და დივერსიული ოპერაციების ჩატარება.

---

572 Максим Коломиец. Броня русской Армии. Москва: ,,Ексмо“, 2008, стр. 372; დიმიტრი სილაქაძე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჯავშანმატარებელთა რაზმი. ჟურნ. *,,ისტორიანი".* N5, 2013 გვ.55; თემურ ჩაჩანიძე. ჯავშანმატარებლები საქართველოს ომებში 1918-1921წწ. ჟურნ. *,,არსენალი".* N4 (206), 2015, გვ.54-55.

573 თემურ ჩაჩანიძე .გვ.54.

574 В. А. Поцелуев Бпоненосцы железных дорог. Москва: ,,Молодая Гвардия“. 1982. С.26.

მსოფლიო ომის კავკასიის რუსული ფრონტის ჩამოშლის პარალელურად და შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში ჯავშნოსნები საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დარჩათ. თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში ამ ტექნიკის რემონტი და ახლის აგებაც შესაძლებელი იყო. დამოუკიდებელ საქართველოში კავკასიის ფრონტის ჯავშანმატარებლებს ახალი პატრიოტულ-რევოლუციური ელფერის სახელები: რესპუბლიკელი; მუშა; სიკვდილი ან გამარჯვება და თავისუფლების სიმაგრე დაარქვეს.[575] სხვადასხვა პერიოდში შეიარაღებულ ძალებში, სხვადასხვა რაოდენობის ჯავშანმატარებელი ირიცხებოდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ რესპუბლიკას ოთხი ჯავშნოსანი ყავდა, 1918 წლის მაისში ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაურმა ვლადიმერ გოგუაძემ ამიერკავკასიის სეიმს მეხუთე ჯავშნოსნის აგების თხოვნით მიმართა. გოგუაძის მიმართვა სეიმში 23 მაისს განიხილეს და 80 000 მანეთი გამოყვეს ახალი ჯავშანმატარებლის ასაგებად. ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გოგუაძე აღნიშნულ საკითხს უკვე რესპუბლიკის მთავრობის წინაშე აყენებდა და ახსენებდა თანხის გამოყოფის ამბავს, მიუხედავად ამისა მეხუთე ჯავშნოსნის აგება 1918 წელს ვერ მოხერხდა.[576] 1918 წლის დეკემბერში სომხეთ-საქართველოს ომში გვარდიის ჯავშანმატარებელთა რაზმმა სამი ჯავშნოსანი: N1, N2 და N3 დაკარგა, აქედან ერთი მოწინააღმდეგეს რომ არ ჩავრდნოდა ხელში ქართულმა ეკიპაჟმა ააფეთქა, ხოლო ორი დაზიანებული დატოვა.[577] ომის შემდეგ შეიარაღებულ ძალებში ეულად დარჩენილ ჯავშნოსან N4-ს, რკინიგზის სახელოსნოებში აგებული ახალი ჯავშანმატარებელი 1919 წლის მარტის დასაწყისში შეუერთდა.[578] 1919 წლის დეკემბერში, როდესაც სახალხო გვარდიის ახალი კანონი დამტკიცდა და ქვედანაყოფების ზუსტი შტატები გაიწერა. ჯავშანმატარებელთა რაზმში ირიცხებოდა 2 ჯავშნოსანი, რომელთა პირადი შემადგენლობა რაზმის შტაბის ჩათვლით შტატის მიხედვით 114 კაცს შეადგენდა (შტაბი 10 კაცი, თითოეული ჯავშნოსანი 52 კაცი) . მატარებლებზე დაყენებული იყო 2 სამთო ქვემეხი და 10

---

[575] სცსა. ფონდი1874. აღწერა1. საქმე 5. ფურც.38; თემურ ჩაჩანიძე. საქართველოს რესპუბლიკის არმიის შეიარაღება 1920 წელს. ჟურნ. *,,არსენალი".* N4 , 2005. გვ.46.

[576] შოთა ვადაჭკორია. ქართული ეპოსიდან ამოზიდული ლეგენდა (ვალოდია გოგუაძე). თბილისი: ,,პარნასი", 2014 გვ.202-203.

[577] შოთა ვადაჭკორია. გვ.182-183; სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 14. ფურც.29.

[578] შოთა ვადაჭკორია გვ.203 .

ტყვიამფრქვევი.[579] 1919 წელსვე მუშაობა დაიწყო მესამე ჯავშანმატარებლის ასაგებად, გვარდიის მთავარი შტაბის 11 ნოემბრის სხდომაზე განიხილეს ახალი ჯავშანმატარებლის შეიარაღების ორი პროექტი, სხდომაზე უარყვეს შტაბის წევრის ვარდოაიანის პროექტი რომლის მიხედვით მატარებლის სახურავზე უნდა დამონტაჟებულიყო ჰაუბიცა, შტაბმა გადაწყვიტა რომ გენერალ ტარასი ვაშაკიძის პროექტის საფუძველზე განეგრძოთ მუშაობა, რომლის მიხედვითაც სამთო ქვემეხები უნდა დაეყენებინათ ჩვეულ ადგილზე, ამ აზრს ეთანხმებოდნენ არტილერიის გენერალი კირილე ქუთათელაძეც და სხვა არტილერისტებიც, ორი კვირის შემდეგ ვაშაკიძის პროექტი საბოლოოდ დამტკიცდა.[580] 1920 წლის დასაწყისში სახალხო გვარდიამ მესამე ჯავშნოსანი მატარებელი ააგო , შეაიარაღა და მისი შტატიც გაწერა, ჯავშნოსანზე შტატით განსაზღვრული იყო 2 ქვემეხი და 10 ტყვიამფრქვევი, ახალი ჯავშნოსანი სათადარიგო უნდა ყოფილიყო, მშვიდობიანობის პერიოდში მასზე 15 კაცს უნდა ემსახურა, ხოლო ომის შემთხვევაში კი 66-ს.[581] გვარდიაში აგრძელებდნენ მუშაობას ჯავშნოსნების რიცხვის გასაზრდელად, გვარდიის მთავარი შტაბის 1920 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე გადაწყვიტეს , რომ 20 სექტემბერს გამოეცადათ ოთხი პლატფორმა რომელზეც ქვემეხები დააყენეს და სამხედრო საბჭოს წინაშე აღეძრათ შუამდგომლობა მეოთხე ჯავშნიანი ორქთმავლის შესაკეთებლად.[582] როგორც სჩანს იმ ეტაპზე ეს არ მოხდა და სამი თვის შემდეგ 1920 წლის 10 დეკემბერს გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აუცილებელი იყო მეოთხე ჯავშანმატარებლის აგება და საკითხის დაყენება რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოში დაევალათ ვალიკო ჯუღელსა და ალექსანდრე დგებუაძეს.[583] თავდაცვის საბჭომ 11 დეკემბერს გვარდიელების მიერ დაყენებული საკითხი დადებითად გადაწყვიტა .[584] ორი დღის შემდეგ, 13 დეკემბერს, გვარდიის მთავარმა შტაბმა ვალოდია გოგუაძეს დაავალა თავი მოეყარა ყველა დაჯავშნული ვაგონისათვის და შეედგინა დროებითი ჯავშნიანი მატარებელი, ასევე დაუყოვნებლივ შესდგომოდა მე-4 ჯავშანმატარებლის გაკეთებას თავისი ორთქმავლით, ასევე უნდა გაეკეთებინათ დამატებით ერთი საერთო

[579] სცსა. ფონდი1833. აღწერა1. საქმე 365. ფურც.98.
[580] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 10. ფურც.54;118.
[581] სცსა. ფონდი1833. აღწერა1. საქმე 1036. ფურც.18; 21.
[582] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 27. ფურც.63.
[583] სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 29. ფურც.146.
[584] სცსა. ფონდი1969. აღწერა4. საქმე 14. ფურც.26.

ორთქმავალი.[585] თავდაცვის საბჭომ 18 დეკემბერს 5 მილიონი მანეთი გამოყო ახალი ჯავშანმატარებლის ასაგებად.[586] 1921 წლის 8 თებერვალს, გვარდიის მთავარმა შტაბმა გასცა ბრძანება , რომ ახალ ჯავშნიან მატარებელზე დადგმულიყო სამთო ქვემეხები.[587]

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს ქართულ ჯარს მინიმუმ 4 ჯავშანმატარებელი გააჩნდა და შესაძლოა ხუთიც კი, აქედან ოთხი სრულფასოვანი და ერთი ის რომლის დროებით შედგენაც დაევალა გოგუაძეს 1920 წლის დეკემბერში. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ხაშურის აღმოსავლეთით განლაგებულ ძალებს გენერალმა კვინიტაძემ 1 მარტს უბრძანა, რომ 3 ჯავშანმატარებელს ემოძრავა ქარელის ხიდამდე და თუ შესაძლებელი იქნებოდა იმის იქითაც, ხოლო მეოთხე კი მის განკარგულებაში დარჩენილიყო.[588] ამასთან ერთად მე-11 წითელი არმიის მებრძოლებისადმი 15 მარტს გაცემული ბრძანებიდან სჩანს, რომ მათ სადგურ ვაზიანში ხელში ჩაიგდეს ქართველების მიერ მიტოვებული ჯავშანმატარებელი ,,რესპუბლიკელი“ , მას საბჭოთა საქართველო უწოდეს და მისი ფორმირება დასრულდა 15 მარტს.[589] თუ რუსებმა ვაზიანში მიტოვებული ჯავშნოსანი ჩაიგდეს ხელში, ეს თბილისის დაცემის წინ 1 მარტამდე , 25 თებერვლამდე პერიოდში მოხდებოდა . შესაბამისად თუ პირველ მარტს კვინიტაძის განკარგულებაში 4 ჯავშანმატარებელი იყო და 1 კი ალაფის სახით წითლებს ჩაეგდოთ ხელთ , მაშინ ქართული ჯავშნოსნების რიცხვი ომის დროს ხუთი გამოდის. 23 თებერვალს წითელი არმიის მე-18 ცხენოსანი დივიზიის მიერ ვაზიანში ქართული ერთ ქვემეხიანი

---

585 სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 29. ფურც.155.

586 სცსა. ფონდი1969. აღწერა4. საქმე 14. ფურც.31. რუსეთის სამხედრო ატაშის ანგარიშში ქართული არმიის შესახებ ჩანს, რომ თითქოს 1920 წლის შემოდგომაზე გვარდიას 4 ჯავშანმატარებელი ყავდა და იქვე ჩამოთვლის კიდეც ჯავშნოსნების სახელებს. იხ. სცსა. ფონდი1874. აღწერა1. საქმე 5. ფურც.38 ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სადაზვერვო ინფორმაციასთან რომელიც ყოველთვის ზუსტი ვერ იქნება და ჯავშნოსნების სახელების ჩამონათვალი მოცემულია 1918 წელს კავკასიის ფრონტის ჯავშნოსნების გადარქმეული სახელების მიხედვით. პავლე სიტინს ნაკლებად ექნებოდა ინფორმაცია ჯავშნოსნების დანაკარგისა და შემდეგ შევსების შესახებ და უბრალოდ ჩამოთვლის კავკასიის ფრონტის ყოფილი რუსული ჯავშნოსნებს გადარქმეული ქართული სახელებით; ასევე შეცდომაში შეიძლება შეგვიყვანოს გვარდიის მთავარი შტაბის 1920 წლის 28 ივნისის სხდომის დოკუმენტმა სადაც ჯავშნოსნებს N1 და N4-ს დავალებას აძლევენ, იხ. სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 26. ფურც.83 ეს არ ნიშნავს იმას, რომ გვარდიას იმ დროისათვის 4 ჯავშანმატარებელი ყავდა, რადგანაც აქ მოცემულია მხოლოდ ნომრები ჯავშნოსნების და როგორც ვიცით სომხეთთან ომს N4 ჯავშნოსანი გადაურჩა, ამიტომ აქ უბრალოდ ჯავშნოსნის საბორტე ნომერია დასახელებული და არა რიგით მეოთხე მატარებელი. ის, რომ 1920 წელს სახალხო გვარდიას მხოლოდ სამი ჯავშნოსანი ყავდა, გარდა 1920 წლის დეკემბრის იმ დოკუმენტებისა სადაც თავდაცვის საბჭომ მიიღო მეოთხე ჯავშნოსნის აგების გადაწყვეტილება, კარგად ჩანს გვარდიის მთავარი შტაბის 1920 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებაში სადაც ჯავშანმატარებელთა რაზმის სამივე ჯავშნოსანს აძლევენ დავალებას და იქ მეოთხე ჯავშანმატარებელი არ სჩანს. იხ. სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 28. ფურც.100.

587 შოთა ვადაჭკორია.გვ.204-205.

588 ისტორიული დოკუმენტები. ჟურნ. *,,მხედარი“.* N17, პარიზი.1937. გვ.78-83.

589 სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფურც.94.

ჯავშნოსანი მატარებლის ხელში ჩაგდებას და ტყვეების აყვანის ფაქტს ასევე ადასტურებს 24 თებერვლის 0:35 წუთზე კავკასიის ფრონტის სარდლის ვლადიმერ გიტისის და ამავე ფრონტის რევოლუციური საბჭოს წევრის სერგო ორჯონიკიძის საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი წითელი არმიის მთავარსარდალ სერგეი კამენევთან.[590] მე-11 არმიის ჯავშანძლების მეთაური ვ. ზუნი კი მოგვიანებით წერდა, რომ ქართველების მიერ მიტოვებული და რელსებიდან გადასული ჯავშანმატარებელი რესპუბლიკელი 2 მარტს თბილისში მიიყვანეს, მას ,,საბჭოთა საქართველო“ უწოდეს და ქართულ წითელ არმიაში ჩარიცხეს,[591] რომლის შექმნაც ბოლშევიკებმა დაიწყეს. არც ის არის გამორიცხული, რომ ბოლშევიკებმა რეალურად ,,რესპუბლიკელის“ ერთი საბრძოლო პლატფორმა ჩაიგდეს ხელში, რადგანაც შესაძლოა ბრძოლის მსვლელობისას დროის სიმცირის გამო სავარაუდოდ რელსებიდან გადასული ერთი პლატფორმა ჩახსნეს ჯავშნოსანს და მეორე კი ორთქმავალმა წაიყვანა და უკან დაბრუნდა. ამის ვარაუდის საშუალებას იძლევა , გიტისის და ორჯონიკიძის საუბარი კამენევთან, სადაც საუბარი მიდის სწორედ 1 ქვემეხიან ჯავშნოსანზე და ჩვენთვის ცნობილია, რომ თითო პლატფორმაზე თითო ქვემეხი იყო განთავსებული. ასპროცენტიანი სიზუსტით რაიმეს თქმის საშუალებას დოკუმენტები არ იძლევა, თუმცა ის კი ნათელია, რომ დამოუკიდებლობის ბოლო კვირეებში ქართულ ჯარს მინიმუმ 4, ხოლო მაქსიმუმ 5 ჯავშნოსანი მატარებელი ყავდა.

შესაძლოა, რომ ჯავშანმატარებლებზე შტატით განსაზღვრულზე უფრო დიდი რაოდენობით შეიარაღებაც კი იყო დაყენებული. ამის ვარაუდის საშუალებას იძლება უკვე დაპყრობილ საქართველოს წითელ არმიაში ჩარიცხული ჯავშანმატარებლების შეიარაღების აღწერა 1921 წლის ივნისში. დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ N 1 ჯავშანმატარებელზე დაყენებული იყო 3 ქვემეხი და 14 ტყვიამფრქვევი, ასევე გათვალისწინებული იყო 70 შაშხანა, N 2 ჯავშნოსანზე - 3 ქვემეხი, 17 ტყვიამფრქვევი

590 Директивы Командования фронтов Красной Армии (1917-1922гг), Сборник Документов в 4 томах, Том III. Москва: ,,Военное издателсьтво Министерства обороны СССР“, 1974. С.377-378.

591 В. Зун. Бронесилы 11-й армии в борбе за освобождение Грузии. *Механизациа и моторизациа РККА.* 1936г. N2 с.23.

და 59 შაშხანა; N 3 ჯავშნოსანზე - 4 ქვემეხი, 23 ტყვიამფრქვევი და 45 შაშხანა და N 4 ჯავშნოსანზე კი - 4 ქვემეხი, 25 ტყვიამფრქვევი და 45 შაშხანა.[592]

ჯავშანმატარებელთა რაზმი საქართველოს შეიარაღებული ძალების გამორჩეულ საბრძოლო ქვედანაყოფს წარმოადგენდა. რაზმის მეთაური ვალოდია გოგუაძე ემიგრაციის წლებში წერდა, რომ თუ ევროპაში ჯავშნიანი მატარებლები ითვლებოდნენ დამხმარე ტექნიკურ ძალად და მათი მოქმედება სრულიად განსაზღვრული იყო, საქართველოში ჯავშნოსნებს უმეტეს შემთხვევაში სხვის დაუხმარებლად უხდებოდათ ბრძოლა.[593] რაზმის საბრძოლო ისტორია ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ამიერკავკასიის კომისარიატის პერიოდში იწყება. 1917 წლის ოქტომბრის რუსეთის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, კავკასიის ფრონტზე მდგომი რუსული ნაწილები მასიურად ტოვებდნენ ფრონტს და რუსეთში ბრუნდებოდნენ. ამით ისინი ბევრს თავსატეხს უჩენდნენ ამიერკავკასიის ხალხებს და ჯავშანმატარებელთა რაზმს. იყო საშიშროება უკანდახეული ჯარისკაცები მარადიორებად ქცეულიყვნენ და მშვიდობიანი მოსახლეობა გაეძარცვათ, საფრთხე მოსახლეობის მხრიდანაც მოდიოდა და ჯავშანმატარებელთა რაზმს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამავალი რუსული ეშელონების დაცვა ადგილობრივი შეიარაღებული ჯგუფებისაგანაც უწევდათ, ჯავშნოსნები ასევე ცდილობდნენ კავკასიის ფრონტიდან რუსეთში მიმავალი ეშელონების განიარაღებას. მსგავსი სახის, ფაქტობრივად სამმხრივ შეტაკებას შეეწირა 1918 წლის იანვარში შამქორში რაზმის პირველი მეთაური ევგენი აფხაზავა, მაგრამ ჯავშანმატარებელთა ეკიპაჟმა 5 რუსული ეშელონი განაიარაღა.[594] ევგენი აფხაზავა კი რუსეთის საიმპერიო არმიაში სამხედრო სავალდებულო სამსახურ გავლილმა სერჟანტმა , ხოლო ჯარის დამთავრების შემდეგ მეფის რეჟიმისა და პარალელურად ყაჩაღების წინააღმდეგ ერთ-ერთმა თავზეხელაღებულმა მებრძოლმა

[592] სუიცა. ფონდი 536. აღწერა 1. საქმე 16. ფურც.14 ეს მხოლოდ ვარაუდია და არ არის გამორიცხული, იარაღის შტატს ზემოთ გათვალისწინებული რაოდენობა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ მიემატა ჯავშნოსნებს, თუმცა უფრო საფიქრებელია, რომ ეს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედროებმა გააკეთეს მოსალოდნელი ომის წინ.

[593] ვალოდია გოგუაძე. გენ.ჩხეიძის წერილის გამო. გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ.VI თბილისი: ,,მეცნიერება“, 2005, გვ.100.

[594] შოთა ვადაჭკორია. გვ.46-52 -შოთა ვადაჭკორია წერს, რომ ეკიპაჟმა განიარაღებული ეშელონისთვის ჩამორთმეული 15 000 შაშხანა , 70 ტყვიამფრქვევი და 20 ქვემეხი თბილისის არსენალში გააგზავნეს, რის წყაროდაც იმოწმებს საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეექვსე ტომს, თუმცა ნარკვევების მეექვსე ტომში, წერია, რომ ეს იარაღი მუსლიმთა ნაციონალური კომიტეტის ,,ბანდებმა“ დაიტაცეს. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად. ტომი VI. საქართველო 1900-1921 წლებში. ტომის რედაქტორი აკაკი სურგულაძე. თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“, 1972. გვ.550

რევოლუციონერმა და მოგვიანებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგენდარულმა სამხედრო მეთაურმა ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძემ ჩაანაცვლა. ჯავშანმატარებელზე მასთან ერთად იბრძოდნენ მისი ძმებიც: ნოე, მელენტი და ალფესი. თბილისის ყველაზე პოპულარულ თეატრისა და სალიტერატურო ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრების“ 1918 წლის 5 მაისის ნომერის გარეკანზე, ჯავშანმატარებლთან რაზმთან მდგარი 4 ძმის ფოტო დაიბეჭდა, დავით ჭანჭათელის იგივე დავით გოგუაძის ლექსითურთ, რომელიც სამშლობლოს დამცველ 4 გმირ ძმას მარჯვენას ულოცავდა, ხოლო ფოტოს აღწერა მკითხველს აცნობდა ამიერკავკასიის ჯავშნოსანი რაზმის უფროსს ვალოდიას, N4 ჯავშნოსნის ,,კომანდირ“ ალფესს, არტილერისტ ნოეს და ტყვიისმფრქვეველ და ხელყუმბარის მხროლელ მელენტის. აღწერაში მოთხრობილი იყო რევოლუციისა და სამშობლოს დამცველი ძმების გაკეთებული საქმეები, მათი საბრძოლო ჭრილობები და აღნიშნული იყო, რომ 8 აპრილს ჩოლოქის ბრძოლისას ვალოდიას დაცხრილული შინელი უკვე მუზეუმში ინახებოდა.[595] ,,გოგუაძეთა რაზმს" მოგვიანებით ვალოდიას მეუღლე ნამეტია[596] (ივლიტე) ბერძენიშვილიც კი შეუერთდა, ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაურის მეგობრის და, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელმაც სტუდენტობა რევოლუციის პირველი მხედრის ცოლობაზე გაცვალა და ჯავშნოსანზე გადასახლდა, ვალოდიას კი თავისი ძმისა და ნათესავებისთვის მკაცრი ბრძანება ჰქონდა მიცემული, ბრძოლის დროს ნამეტიასთან ახლოს ყოფილიყვნენ და თუ ქალს ტყვედ ჩავარდნის საფრთხე დაემუქრებოდა მოეკლათ კიდეც.[597]

აფხაზავას გარდაცვალების შემდეგ 1918 წლის იანვარ-თებერვალში გოგუაძე აგრძელებდა რუსული ეშელონების გაცილებას, რიგ შემთხვევებში ამ ეშელონებისგან თბილისის აღების საფრთხის თავიდან აცილებას , ეშელონების დაცვას შეიარაღებული ბრბოების თავდასხმისაგან, ეშელონების ძალით განიარაღებაზე კი

---

[595] დ. ჭანჭათელი. ოთხი ძმანი გოგვაძენი. ჟურ. *,,თეატრი და ცხოვრება“.* N7, 1918 წ. 5 მაისი. გვ.1; ჩოლოქის ბრძოლაში დაიღუპა ჯავშნოსან მატარებელთ რაზმის წევრი, ვალოდიას ბიძაშვილი მეტყვიამფრქვევე ბარნაბ გოგუაძე. იხ. ვალოდია გოგუაძე. მოგონება გვ. 443; ბარნაბ ფოკას-ძე გოგუაძე. ჟურნ. *,,თეატრი და ცხოვრება“.* N12, 1919 წ. 9 ნოემბერი . გვ.5.

[596] ივლიტე მისი მშობლების მეცხრე შვილი იყო, ამიტომ მას მეტსახელად ნამეტიას და ნამეტის ეძახდნენ, მოგვიანებით კი ნამოს. მისი ნამდვილ სახელს მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტები თუ ინახავდა.

[597] გოგი წერეთელი. ლევილის დიდედის გარდაცვალება. ივლიტე (ნამო, ნამეტია გოგუაძის ხსოვნას). ჟურნ. *,,გუშაგი“,* N7, 1988, პარიზი ,გვ.86 ; გურამ შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი მეორე. თბილისი: ,,მერანი“, 1993. გვ. 160; ვალოდია გოგუაძე. მოგონებები.გვ.447.

შამქორის შეტაკებების შემდეგ უარი თქვეს .[598] ჯავშნოსნის გამოჩენამ და ზოგ შემთხვევაში ერთი-ორმა გასროლამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1918 წლის იანვარ-თებერვალში ქუთაისში, გორსა და თელავში მდგარი ქართული ნაციონალური პოლკების გაბოლშევიკებული და გამორადიორებული ჯარისკაცების დაშოშმინებაში.[599] საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე განსაკუთრებით აღსანიშნავია რაზმის ეფექტური მოქმედება მდინარე ჩოლოქზე ოსმალური არმიის შეჩერების საქმეში. ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატული ზავისა და ტრაპიზონის მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ, ოსმალური არმია უკვე ოფიციალურად დაიძრა ამიერკავკასიისაკენ რამოდენიმე მიამრთულებით. 1918 წლის 1(14) აპრილს თურქულმა 37-ე დივიზიამ ბათუმი ძალიან მარტივად, მცირე ბრძოლით აიღო და ქალაქის დაცველთა ერთი ნაწილი, 3000-მდე ოფიცერი და ჯარისკაცი ტყვედ ჩაიგდო.[600] უკანდახეულებზე ქართულ ნაწილებზე კი პირდაპირი ნადირობა დაიწყო, ამ ნაწილების სამშვიდობოს გამოყვანაში დიდი სამუშაო ჩაატარა ჯავშანმატარებელთა რაზმმა.[601] ამასობაში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით მდინარე ჩოლოქზე ქართველი ჯარისკაცების, გვარდიელების და სხვა მოხალისეებისაგან თავდაცვითი პოზიციები ეწყობოდა. ვალოდია გოგუაძის მემუარების მიხედვით, ამ დროს მის რაზმში კარაბინებით შეიარაღებული პოლიტიკოსები ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი და ვლასა მგელაძე მისულან და ჯავშნოსანზე მიღება უთხოვიათ. გენერალმა მაზნიაშვილმა, ოსმალებთან ბრძოლის სამზადისში მთავარი აქცენტი ჯავშნოსან მატარებელზე გააკეთა, ამიტომ ჩოლოქის ხიდთან გაკეთდა სპეციალური ჩიხი მატარებლისათვის რომელიც ტყეში შედიოდა. 8 აპრილს გამთენიისას ჯავშნოსანი საბრძოლველად მომზადდა, გოგუაძემ კი პირად შემადგენლობას სიტყვით ლექსად მიმართა:

,,სამშობლოს დროშა ავმართოთ, საქვეყნოდ ავაფრიალოთ,

გავიდეთ ბრძოლის ველზედა, ბომბები დავაგრიალოთ,

---

[598] შოთა ვადაჭკორია. გვ.52-60;60-65; 139-141.

[599] შოთა ვადაჭკორია. გვ.131-132; ვალიკო ჩუბინიძე. მოგონება 1905წლიდან 1921 წლის 15 მარტამდინ. პარიზი 1938. გვ.41-44.

[600] W.E.D Allen. Paul Muratoff. Caucasian Battlefields. A History of the wars on the Turco-Caucasian border. 1828-1921. P. 30.

[601] შოთა ვადაჭკორია. გვ.88-92.

სამშობლოს დროშა ავმართოთ, წინ-წინ გავსწიოთ მტრებზედა

მას უყვარს დედა სამშობლო, ვინც მიდის ბრძოლის ველზედა."

დილით ჯავშანმატარებელი N4 ტყიდან ბრძოლის ველზე გაიჭრა და მტრის განლაგებაში შევიდა და გაჩერდა, მოწინააღმდეგემ ჩათვალა , რომ ისინი ნებდნებოდნენ და მატარებელს შემოეხვინენ, ამ დროს კი ჯავშნოსნის ეკიპაჟმა ერთდროულად ყველა ტყვიამფრქვევიდან და შაშხანიდან გახსნა ცეცხლი, რამაც ადგილზევე მოცელა მრავალი ოსმალო ასკერი. გარკვეული ხნის შემდეგ მოწინააღმდეგემ შეძლო პირველი საბრძოლო ვაგონის ლიანდაგიდან გადაგდება, რის გამოც დაიღუპა სამი და დაიჭრა 25-მდე მებრძოლი, თუმცა დაჭრილები მაინც აგრძელებდნენ ტყვიამფრქვევებიდან სრულად, ამასობაში ქართველი ქვეითები სანგრებიდან ამოვიდნენ მოწინააღმდეგე შეუტიეს და დაამარცხეს.[602] მდინარეებს ჩოლოქსა და ოჩხამურს შორის არსებული ველი ასკერების გვამებით გაივსო. ამ გამარჯვებას დიდი გამოძახილი მოყვა და ბათუმის იოლად დაკარგვის შემდეგ ქართველმა მებრძოლებმა საკუთარი საბრძოლო შესაძლებლობები ირწმუნეს. ვალოდია გოგუაძეს კი 13 აპრილს კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ რევოლუციის პირველი მხედრის სიმბოლური და საპატიო წოდება მიანიჭა.[603] დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამმა ჯავშანმატარებელმა ჯარის სხვა ნაწილებთან ერთად 1918 წლის 13-14 ივნისს ბორჩალოს მაზრაში შეაჩერა და უკან განდევნა ოსმალური ჯარის ნაწილები , ქართველებმა ტყვედ აიყვანეს რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი.[604] რესპუბლიკის არსებობის არასრული სამი წლის განმავლობაში ჯავშანმატარებელთა რაზმი წარმატებით ებრძოდა არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოთა ჯარებს, არამედ დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარებაში - გაბოლშევიკებული ან კიდევ ყაჩაღთა დაჯგუფებების ალაგმვაში.

სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის ყველა ეტაპზე ჯავშანმატარებლები საბრძოლო მოქმედებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ჯერ კიდევ ოქტომბრის მეორე

---

[602] ვალოდია გოგუაძე. ჩოლოქის ხიდთან. გაზ. *„ერთობა“.* N84, 1918 წ. 12 აპრილი. გვ.2; ვალოდია გოგუაძე. მოგონებები. გვ.440-443; შოთა ვადაჭკორია. გვ.112-115;; გიორგი მაზნიაშვილი. გვ.39-41;

[603] ვენ-სონ. მუშათა , ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრში. გაზ. *„ერთობა“.* N88,1918 წ. 17აპრილი. გვ.1.

[604] შოთა ვადაჭკორია.გვ.143-146;

ნახევარში როდესაც სიტუაცია გამწვავდა, ორმა ჯავშნიანმა მატარებლებმა 20 ოქტომბერს უბრძოლველად გაწმინა ქოლაგერანისა და დებედა ჩაის ხიდები და ქობერის სადგური დაიკავეს.[605] ჯავშანმატარებლებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს 25-27 ოქტომბერს , სოფლების ქორინჯისა და წათერისათვის ბრძოლაში მოწინააღმდეგის დამარცხებასა და ამ სოფლების დაკავებაში. თუ ვალოდია გოგუაძის მიერ სამხედრო მინისტრისა და გვარდიის მთავარი შატბისადმი გაგზავნილ შიფროგრამას დავუჯერებთ ამ ბრძოლაში ჯავშნოსნების გამოყენებას ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და თან ფსიქოლოგიური ეფექტი მოჰყოლია, რომ ბრძოლის შემდეგ სომხური ქვედანაყოფები პირდაპირ იხვეწებოდნენ , რომ ქართველებს ჯავშნოსნები აღარ გამოეყვანათ ბრძოლის ველზე.[606] საბრძოლო მოქმედებების მეორე ეტაპზე რომელიც დეკემბერში განახლდა, სომხურმა დანაყოფებმა ალღო აუღეს ჯავშნოსნებთან ბრძოლის ტაქტიკას და მათი დივერსიული რაზმები აზიანებდნენ რკინიგზის ლიანდაგებს, ხიდებს, ბამბაკის ხეობაში მთებიდან აგორებდნენ ლოდებს და ხერგავდნენ გზას, სიმაღლეებიდან ხსნიდნენ ტყვიამფრქვევის და საარტილერიო ცეცხლს.[607] მოულოდნელად დაწყებული ომის გამო ვიწრო ხეობაში ჯავშნოსნებს მინიმალური რაოდენობით ქვეითები ეხმარებოდნენ, რაც მათ რელიეფის გათვალისწინებით მოწინააღმდეგისთვის მოწყვლად სამიზნედ აქცევდა. დეკემბრის პირველ ნახევარში სანაინი-ალავერდის ბრძოლების შემდეგ ქართულმა მხარემ სამი ჯავშანმატარებელი დაკარგა. ქართული ნაწილების მცირერიცხოვნებამ ომის ამ ეტაპზე რკინიგზის დაცვა ვერ უზრუნველყო და სომხურ დივერსიულ რაზმებს თავისუფლად მოქმედების საშუალებას მიეცათ, რამაც გამოიწვია სანაინში, ერთი ჯავშნოსნის ალყაში ჩარჩენა, როდესაც მისმა ეკიპაჟმა სრულად დახარჯა საბრძოლო კომპლექტი, თავად ააფეთქეს N1 ჯავშანმატარებელი. აფეთქებამდე კი, სანამ საბრძოლო მასალა არ გაუთავდათ დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ სომხურ ნაწილებს და მცირერიცხოვანი ქართული ქვედანაყოფების უკანდახევას უწყობდნენ ხელს, თავად ეკიპაჟმა ქვეითად გააღწია სამშვიდობოს. მსგავსი ბედი ეწიათ N2 და N3 ჯავშნოსნებსაც. 15-16 დეკემბერს ახტალის სადგურის მიდამოებში გამართული

[605] შოთა ვადაჭკორია. გვ.160-161; არჩილ ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპასიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გვ235-236.
[606] არჩილ ჩაჩხიანი.გვ.249-251.
[607] არჩილ ჩაჩხიანი. გვ.294.

ბრძოლის შემდეგ, საბრძოლო მასალის ამოწურვისას ამ ჯავშნოსნების მიტოვებაც მოუწია ეკიპაჟს ზურგში რკინიგზის ლიანდაგის აყრის გამო. ჯავშნოსნების მებრძოლებმა და მათთან ერთად მყოფმა მცირერიცხოვანმა ქვეითებმა ფეხით განაგრძეს გზა სადახლოსკენ, აირუმთან მათ გამოსაყვანად ბრძოლით მივიდა N4 ჯავშანმატარებელი ალფეს გოგუაძის მეთაურობით და 17 დეკემბერს გადარჩენილები სადგურ სადახლოში ჩაიყვანა.[608] ამის შემდეგ ეულად დარჩენილი ქართული ჯავშანმატარებელი წარმატებულად იბრძოდა სადახლოს, პატარა შულავერსა და აშაგა-სერალისათვის წარმოებულ ბრძოლებში. [609] ომის შემდეგ 1919 წლის მარტს, გაბრაზებული გოგუაძე გვარდიის შტაბის სხდომაზე ჯავშნოსნების დაკარგვას გენერლების დაქვემდებარებაში გადასვლას აბრალებდა და რაზმის მეთაურობის დატოვებით იმუქრებოდა თუ მსგავსი რამ ისევ განმეორდებოდა, გოგუაძის მოხსენების შემდეგ გვარდიის შტაბმა დაადგინა, რომ ეთხოვათ მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასთვის, რომ ჯავშანმატარებლებისთვის ბრძანების გაცემის უფლება მხოლოდ სახალხო გვარდიის მთავარი შტავის გავლით მომხდარიყო.[610] იგივეს ამბობდა თავის მოხსენებაში გვარდიის მთავარი შტაბის წევრი დავით საღირაშვილი , სანამ ჯავშნოსნები გვარდიის ხელში იყო პროდუქტიულად მოქმედებდნენ, ხოლო როგორც კი უცხო ხელში გადავიდა მაშინვე დავკარგეთ სამი ერთადო.[611] გოგუაძის ამ მოთხოვნის გამოძახილია, თუნდაც გვარდიის მთავარი შტაბის 1920 13 დეკემბერის დადგენილება, როდესაც გენერალ სუმბათაშვილის განკარგულებაში გაგზავნილ ჯავშნიან მატარებელ N2-სთვის საველე შტაბის

---

[608] შოთა ვადაჭკორია. გვ.180-183; დიმიტრი სილაქაძე. აირუმის ბრძოლა - პოლკოვნიკ ვაჩნაძის რაზმის ტყვედ ჩავარდნის ისტორია (სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომი). *Scientia I.* თბილისი: ,,კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი" ,2020. გვ.313-314; 322-323; არჩილ ჩაჩხიანი საკუთარ ნაშრომში ეყრდნობა რა ომიდან რამოდენიმე ათწლეულის მერე ვალოდია გოგუაძის მიერ დაწერილ მემუარს წერს, რომ ქართველებმა ორი ჯავშნოსანი დაკარგეს იხ. არჩილ ჩაჩხიანი. გვ.331-332; ჩაჩხიანი იმოწმებს რიჩარდ ჰოვანესიანის ნაშრომს რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა სომხეთის ცენტრალური საისტორიო არქივის დოკუმენტს და წერს, რომ სომხებმა ხელთ იგდეს ქართველების ორი ჯავშნოსანი მატარებელი. იხ. არჩილ ჩაჩხიანი. გვ. 451. სომხებმა ორი ქართული ჯავშანმატარებელი რომ ჩაიგდეს ხელში, არ ეწინააღმდეგება იმ ცნობას, რომ ქართველებმა სამი ჯავშნოსანი დაკარგეს, რადგანაც ერთი თავად ეკიპაჟმა ააფეთქა და ორი დაზიანებული კი სომხებს ჩაუვარდათ ხელთ. შოთა ვადაჭკორია საკუთარ ნაშრომში წერს, რომ ქართველებმა სამი ჯავშნოსანი დაკარგეს. იგი ეყრდნობა ომის დასრულებიდან ერთ თვეში რაზმის მეთაურის ვალოდია გოგუაძის მიერ გაზეთ ერთობაში დაბეჭდილ სტატიას სომხეთ-საქართველოს ომში ჯავშნოსნების როლის შესახებ. ამასთანავე სამი ჯავშნოსნის დაკარგვას ადასტურებს ის ფაქტი, რომ როგორც ზემოთ ვნახეთ ომის შემდეგ ქართველებს ოთხიდან მხოლოდ ერთი ჯავშანმატარებელი ყავდათ დარჩენილი და მეორე კი 1919 წლის მარტში მიიღეს შეიარაღებაზე. ამასთანავე გვარდიის შტაბისადმი დავით საღირაშვილის მიერ წარდგენილ მოხსენებაში პირდაპირ სამი ჯავშნოსნის დაკარგვაზეა საუბარი. იხ. სცსა.1970,აღწერა3. საქმე 14. ფურც.29.

[609] შოთა ვადაჭკორია.გვ. 186-188; არჩილ ჩაჩხიანი. გვ.341; 376-377.

[610] შოთა ვადაჭკორია.გვ.203-204.

[611] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 14. ფურც.29.

დაარსებამდე სადაც წესისამებრ გვარდიის წარმომადგენელიც შედიოდა, გენერალს ეკიპაჟისთვის განკარგულებები ვალოდია გოგუაძესთან შეთანხმებით უნდა მიეცა.[612]

სახალხო გვარდიის ჯავშანმატარებელთა რაზმისათვის, უკანასკნელი გამოცდა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი გამოდგა. მოწინააღმდეგის დაზვერვა ომის წინა სადაზვერვო შეტყობინებებში გამუდმებით აღნიშნავდა ქართული ჯავშანმატარებლების მოძრაობის მიმართულებებს. თავად რუსებმა 5 ჯავშანმატარებელი (N5; N7; N61; N77; N94) მიაყენს საქართველოს საზღვრებს.[613] მეწინავე რუსულ N 7 ჯავშანმატარებელს მეთაურობდა ეროვნებით ქართველი წითელი მეთაური სიმონ ხმალაძე.[614] ხმალაძემ საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოლა და უნარიანად გაუძღვა ჯავშნოსანს, ამისათვის კი წითელი დროშის რიგით მესამე ორდენიც დაიმსახურა.[615] რუსული ჯავშანმატარებლები, უკეთესი საბრძოლო მონაცემებით გამოირჩეოდნენ, მათზე დაყენებული იყო მსხვილკალიბრიანი შორსმსროლელი და საზენიტო არტილერია. ომის დაწყებიდან მალევე 16 თებერვალს, როდესაც რუსულმა მე-11 არმიამ აზერბაიჯანის მხრიდანაც გახსნა ფრონტი ქართველებმა მწყობრიდან გმოიყვანეს ფოილოს სარკინიგზო ხიდი, რამაც დროებით შეაჩერა საქართველოსკენ მომავალი რუსული ჯავშნოსნები. მიუხედავად ამისა, პირველი დუელი რუსული და ქართული ჯავშანმატარებლებისა მაინც ამ დღეს შედგა. აფეთქებულ ფოილოს ხიდთან მდგარმა რუსულმა ჯავშნოსანმა N94-მა შორსმსროლელი არტილერიით ცეცხლი გაუხსნა ქართულ ჯავშნოსანს, რომელიც სადგურ სალოღლის მხრიდან ცდილობდა რუსი ქვეითების წინააღმდეგ შეტევის დაწყებას, ქართულმა ჯავშანმატარებელმა უკან დაიხია.[616] ფოილოს ხიდის საბრძოლო უბანი 16 თებერვალს ქართველების ხელში დარჩა, მაგრამ საღამოს ათ საათზე საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით მთავარსარდალმა კვინიტაძემ კოლონას თბილისისაკენ უკანდახევა უბრძანა.[617] დიდი წვლილი შეიატანა ჯავშანმატარებლის მოქმედებამ 19 თებერვლის ღამეს თბილისის

---

[612] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 29. ფურც.155.

[613] В. Зун. Бронесилы 11-й армии в борбе за освобождение Грузии. *Механизация и моторизация РККА. 1936г. N2* с.18; И. Г. Дроговоз Крепости на колесах: История бронепоездов. Минск: ,,Хервест“: 2002, стр. 186.

[614] В. Зун. с.21.

[615] მარკ ტრასკუნოვი. საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები. თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“, 1962. გვ. 77-78.

[616] В. Зун. стр.20.

[617] აკაკი კვიტაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. ჟურნ. *,,განთიადი”.* გვ.124.

თავდაცვის ცენტრალ სექტორში მოპოვებულ გამარჯვებაში. რაზმმა, სხვა ქვედანაყოფებთან ერთად მოწინააღმდეგეს არ მისცა თბილისის თავდაცვის ცენტრალური სექტორის გარღვევის საშუალება, იერიშის მოგერიების შემდეგ ქართული ნაწილები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და დაატყვევეს 1000-მდე,[618] ხოლო სხვა ცნობით კი 1600 წითელარმიელი.[619] საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიხედვით იმ ღამით რუსულმა 58-ე მსროლელმა ბრიგადამ 530 კაცი დაკარგა,[620] სულ კი ბრიგადამ დაკარგა წითელარმიელთა სამი მეოთხედი და თითქმის სრული სამეთაურო შემადგენლობა.[621] ამ ბრძოლაში სამი ქართული ჯავშნოსანი მატარებელი მონაწილეობდა, აქედან ერთი უშუალოდ სოღანლუღის რკინიგზის სადგურთან იბრძოდა, ხოლო ორი კი მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროდან, აზერბაიჯანისკენ მიმავალი რკინიგზის ხაზიდან მდინარის მარჯვენა ნაპირზე მებრძოლ წითლებს ზურგიდან ესროდა.[622] 58-ე ბრიგადის საბრძოლო უბანი ზუსტად ექცეოდა მტკვრის მეორე ნაპირზე მოქმედი ჯავშანმატარებლების 1904 წლის სამთო ქვემეხების 4.3 კილომეტრიანი სროლის რადიუსში.

ქართულმა ჯავშანმატარებელმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 21 თებერვალს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე თბილისის თავდაცვის მარცხენა სექტორში მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიებაში. გიმნაზიის მოსწავლემ გივი ღამბაშიძემ, რომელიც მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სიახლოვეს არსებული გორაკებიდან გადასცქეროდა მდინარის გაღმა რამდენიმე კილომეტრის ფრონტზე მიმდინარე ბრძოლას, ომის დასრულებისთანავე საკუთარ დღიურში ჩაწერა: ,, სამაგალითოდ იმუშავა ჩვენმა ჯავშნიანმა მატარებელმა, ამოფარებულიყო პატარა გორაკს უკან ისე, რომ არც მოსჩანდა და არც ყუმბარები მოხვდებოდა ადვილად. როგორც გველი, გამოსცურდა იგი თავისი საფარიდან და გაექანა კახეთისაკენ საშინელი სიჩქარით. ისე შორს შევიდა მტრიდ ზურგს უკან, რომ ბოლითღა ვამჩნევდით მას. ამ დროს მოისმა ყურების გამჭექავი, პანტასავით სროლა. ჩვენი ჯავშნოსანი ზურგში ესროდა მტერს, მტერი კი გააფთრებით ესროდა რკინის გზის ლიანდაგს და სცდილობდა ლინადაგის განადგურებას, მაგრამ ამაოდ. ... უნდა ვაღიარო, რომ ჯავშნოსანმა მატარებელმა დააკეთა თითქმის ყველაზე მეტი საქმე, ზურგში ტყვიის მფრქვეველების დაცხებით."[623] 23 თებერვალს ვაზიანის რკინიგზის

[618] სცსა. ფონდი 1872. აღწერა 1. საქმე 22. ფურც.61.
[619] მიხეილ ბახტაძე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან. გვ.49.
[620] А. Б . Кадишев. Интервенция и гражданская война в Закавказе. с. 391.
[621] მარკ ტრასკუნოვი. გვ.108.
[622] А. Б Кадишев. с. 390; სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფურც.49.
[623] გივი ღამბაშიძე. ომის დღიური. გვ.24-26.

სადგურზე წითლების მე-18 ცხენოსანმა დივიზიამ რელსებიდან გადასული, ჯავშანმატარებელი რესპუბლიკელი ჩაიგდო ხელში, თუმცა როგორც ზემოთ ვნახეთ რთული სათქმელია ეს იყო რესპუბლიკელის სრული შემადგენლობა თუ მხოლოდ ერთი პლატფორმა, რომლის ჩახსნაც და მიტოვებაც შესაძლოა ეკიპაჟს სიჩქარეში მოუწია.

22-23 თებერვლის ღამით, რუსებმა ფოილოს ხიდი აღადგინეს და 24 თებერვალს 4 ჯავშანმატარებელი ჩართეს თბილისისათვის ბრძოლაში, მეხუთე კი ზურგის დასაცავად აღსტაფაში დატოვეს.[624] 24 თებერვალს რუსული ჯავშანმატარებლები ბაქო-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყოლებაზე უტევდნენ ქართველების პოზიციებს თუმცა უშეედგოდ. ქართული ჯავშანმატარებელი კი ნავთლუღის მხრიდან თბილისი-კახეთის რკინიგზის ხაზზე მოქმედებდა და ორხევი - ლილოს დამცველ ქვეითებს ეხმარებოდა მოწინააღმდეგის მე-12 ცხენოსანი დივიზიის მოგერიებაში, რაც მოახერხეს კიდეც.[625] 24 თებერვლის დღის მეორე ნახევარში სხვადასხვა ცნობით ერთმა ან ორმა ჯავშანმატარებელმა ქართული არმიის ზურგში გასული რუსი კავალერისტების მცირე ჯგუფისაგან გაწმინდა ავჭალის რკინიგზის სადგური.[626] 24 თებერვალს რუსებმა თბილისის თავდაცვის სექტორები ვერ გაარღვიეს, თუმცა წითელმა კავალერიამ თავდაცვის სექტორებს მიღმა, დაუცველი ცარიელი სივრცეები აღმოაჩინა რაც მომდევნო დღეს ქალაქს ალყაში მოქცევას უქადდა, ამიტომ დღის ბოლოს მთავარსარდალმა, გენერალმა კვინიტაძემ, თბილისიდან უკანდახევის და მცხეთის ვიწრობებში გამაგრების გადაწყვეტილება მიიღო. თბილისიდან უკანდახევის პროცესში, რომელიც ღამის 12 საათზე დაიწყო, ჯავშნოსან მატარებლებზე მყოფ დივერსიულ რაზმს მოწინააღმდეგის სვლის შესაფერხებლად თბილისთან და თბილისში არსებული სარკინიგზო ხიდების აფეთქება დაევალათ რაც შეასრულეს კიდეც, ჯავშნოსანმა დილის 10 საათზე უკანასკნელმა დატოვა თბილისი, შუადღის 1 საათზე კი თბილისიდან მცხეთისკენ მიმავალი ავჭალის ხიდიც ააფეთქეს და მცხეთაში მივიდნენ.[627] თბილისიდან უკანდახევის შემდეგ , მორალურად

---

[624] В. Зун. стр.21.

[625] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფურც.7; А. Б. Кадишев. стр.396.

[626] მიხეილ ბახტაძე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან. გვ.79; 100 წლის შემდეგ 2021 წლის 16 თებერვალს თბილისის საკრებულოს განკარგულებით ავჭალის რკინიგზის სადგურს ვალოდია გოგუაძის სახელი ეწოდა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულება N 64, 16 თებერვალი 2021წ. http://tbsakrebulo.gov.ge/uploads/2/2021/64-2021.PDF.

[627] იოსებ მამაცაშვილი.მოგონებანი . გვ.15-20.

გატეხილი ქართული ჯარი ვერც მცხეთის პოზიციებზე გამაგრდა, რომელიც წინასწარ არც იყო მოწყობილი და ერთი დღის შემდეგ გორი-ხაშურის მიმართულებით მოუწია უკანდახევა. 25-26 თებერვლის ღამეს ჯავშნოსანმა მატარებელმა მცხეთასთან ცეცხლი გაუხსნა რკინიგზის სადგურის მახლობელ სიმაღლეებს. ქართული არმიის პოლკოვნიკი და შემდეგ პოლონური არმიის ბრიგადის გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე ირონიულად აღნიშნავდა, რომ ჯავშნოსანი არარსებულ მოწინააღმდეგეს ებრძოდა და ტყუილი იყო თითქოს ვინმემ სიმაღლეებიდან ისროლა ან ხელყუმბარა გადმოაგდო. მისი აზრით ჯავშნოსნის მიერ ტყუილად გახსნილმა ცეცხლმა გამოიწვია დიდი არევ-დარევა და სრულიად მოსპო ისედაც დეზორგანიზებული ნაწილების მოწესრიგებისა და გორისკენ მწყობრად უკანდახევის იმედი.[628] ვალოდია გოგუაძემ ემიგრანტული პრესის ფურცლებზე გასცა ჩხეიძეს პასუხი ,,მოყვარე ხომ არ გვესვრიდა და ხელყუმბარებს არ გადმოგვაყრიდა მთის მწვერვალებიდან? " ,,მცხეთაში ფრონტი არ ყოფილა და მაშასადამე არც მოშლა შეიძლებოდა. რომ ყოფილიყო ვერც ჯავშ. მატარებლის სროლა მოშლიდა, რადგანაც ისინი მტერს უშენდნენ და არა მოყვარეს! პირიქით, გაამაგრებდა კიდეც !".[629] მოწინააღმდეგემ რომ მართლაც გახსნა ცეცხლი ტყვიაფრქვევებიდან სადგურის მიმართულებით და მცხეთის სადგურზე ხალხიც დაიჭრა ადასტურებს ინჟინერი იოსებ მამაცაშვილი. მისი მოგონების მიხედვით მოწინააღმდეგის ტყვამფრქვევების ცეცხლს ჯავშანმატარებლებმა უპასუხეს და მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შეწყდა სროლა. მართალია ამ ყველაფერმა არეულობა გამოიწვია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჯავშნოსნები ესროდნენ ცარიელ სიმაღლეებს, არამედ იმიტომ რომ მოწინააღმდეგის სროლის დროს სამხედროებით დატვირთული ერთი მატარებელი მეორეს დაეჯაახა და ორი ვაგონი რელსებიდან გადავარდა.[630] მცხეთიდან - ხაშურამდე უკანდახევისას ჯავშანმატარებლის ეკიპაჟი აგრძელებდა ხიდების აფეთქებას,[631] ზურგში მიყვებოდა და იფარავდა გორისა და მერე ხაშურისაკენ უკანდახეულ ჯარებს და ამ გზაზე წითელ კავალერიას მეწინავე ნაწილებთან არიერგარდულ ბრძოლებში იყო ჩართული.[632]

თბილისის დაცემის, ხაშურთან, ოსიაურის ბრძოლაში მარცხის შემდეგ კი ქუთაისის დაკარგვის მიუხედავად ჯავშანმატარებლები ბრძოლას არ წყვეტდნენ - 11 მარტს

[628] ალექსანდრე ჩხეიძე. სამხედრო სკოლა. გვ.62-63.
[629] ვალოდია გოგუაძე. გენ ჩხეიძის წერილის გამო. გვ.98.
[630] იოსებ მამაცაშვილი. მოგონებანი. გვ.21-22.
[631] იოსებ მამაცაშვილი .მოგონებანი. გვ. 22-23.
[632] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფურც.7-8.

ქუთაისის სადგურზე ალფეს გოგუაძის მეთაურობით შეიჭრა ჯავშანმატარებელი N4, იქ მყოფი მოწინააღმდეგის ერთნახევარი ასეული დაამარცხა და იმ ნივთების ევაკუაცია მოახერხს, რაც ქუთაისიდან უკანდახევისას მთავრობას დარჩა. მთავარსარდალმა კვინიტაძემ მატარებლის პირად შემადგენლობას მადლობა გამოუცხადა: ,, შეურყევლობა მატარებლის პირადი შემადგენლობისა და მის მიერ თავისი პირადი მოვალეობის შეგნება სამშობლოს წინაშე არის ის, რასაც უნდა ეცადოს ყველა ჩვენგანმა მიჰბაძოს. ალფეს გოგვაძეს და N4 ჯავშნოსან მატარებლის პირად შემადგენლობას ვუცხადებ სამსახურის სახელით ჩემ ღრმა მადლობას. ამასთან ერთად ვსარგებლობ შემთხვევით აღვნიშნო მუშაობა საერთოდ ამ ომში განსაკუთრებულ მძიმე პირობებში ყველა ჩვენი ჯავშნოსანი მატარებლებისა ვლადიმერ გოგვაძის მეთაურობით, რაიც შედეგად მიმაჩნია ზემო აღნიშნული მეთაურის დაუღალავი მუშაობისა."[633] ჯავშანმატარებელმა მთავარი როლი შეასრულა სენაკთან მდინარე ცივას ნაპირებზე გამართულ მცირე ბრძოლაში. აფხაზეთის ფრონტიდან სამგრელოს ტერიტორიაზე შესული რუსული ჯარები სენაკი-აბაშა-სამტრედიისკენ მიიწევდნენ, ამ დროს კი ქართული ქვედანაყოფები ალყაში მოხვედრის საფრთხის გამო, სამტრედიიდან ევაკუაციას, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე გადასვლას და საჯავახოს ხაზზე გამაგრებას აპირებდნენ, ამიტომ საჭირო იყო დასავლეთიდან წამოსული მტრის მცირე ხნით შეკავება მაინც. მდინარე ცივასთან მოწინააღმდეგე შეჩერებულ იქნა და ამაში მთავარი როლი ჯავშნოსანმა მატარებელმა ითამაშა. ბრძოლის მონაწილე მეექვსე ათასეულის ჯარისკაცი ილია რამიშვილი წერდა: ,, მდინარე ცივას ნაპირზე გაიმართა მოკლე ხანის ბრძოლა, ჩვენ ავუტეხეთ სროლა გაღმა ჩასაფრებულ მოწინააღმდეგეს. ამ ბრძოლაში ჩვენი მთავარი ძალა იყო ჯავშნიანი მატარებელი გოგუაძის მეთაურობით. ის თამამად გაიჭრა წინ და დაუშინა მოწინააღმდეგეს ქვემეხებით და ტყვიაფრქვევებით. მოწინააღმდეგეს ჩვენთვის პასუხი არ გაუცია, როგორც სჩანს უკან დაიხიეს."[634] სამტრედიიდან უკანდახევის და რიონის მარცხენა სანაპიროზე გადასვლის შემდეგ, საჯავახოს ხაზზე მოწინააღმდეგის არტილერიამ ერთი ჯავშანმატარებლის სასაწყობე ვაგონი დააზიანა.[635] რაზმის წევრები იხტიბარს არ იტეხდნენ და 16 მარტს როდესაც ომის ბედი უკვე სრულად იყო გადაწყვეტილი ვალოდია გოგუაძე ნიგოეთიდან , ბათუმში მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი შინაარსის დეპეშას უგზავნიდა: ,,ჯავშნოსანი მატარებლებით მოგესალმებით. რაზმი

[633] ვალოდია გოგუაძე. გენ.ჩხეიძის წერილის გამო. გვ.101 - ვალოდია გოგუაძეს ამ წერილში სრულად აქვს დაბეჭდილი მთავარსარდლის , გენერალ კვინიტაძის 12 მარტის ბრძანება N 11, სადაც მადლობას უცხადებს რაზმის წევრებს.

[634] სცსა. ფონდი2112. აღწერა1. საქმე 42. ფურც.25.

[635] პორფილე გორგოშიძე. რამდენიმე სურათი გურული კაცის ცხოვრებიდან. თბილისი: ,,ცის ნამი“, 2013, გვ.79.

ფიცსა სდებს თქვენს წინაშე, რომ იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდის."[636] სულ მალე ომიც დასრულდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯავშანმატარებლები, მხოლოდ ქაღალდზე არსებულ ,,დამოუკიდებელი" საბჭოთა საქართველოს წითელი არმიის შემადგენლობაში ჩაირიცხნენ.

ომის დასრულებისას მძიმედ დაჭრილი ვალოდია გაუჩინარდა, ის მეგობრებმა თურქეთში გადაიყვანეს და სტამბულის ფრანგულ საავადმყოფოში დააწვინეს, მას მალევე ჩააკითხა ნამეტიამაც, გამოჯანმრთელების შემდეგ წყვილი მცირე ხნის განმავლობაში პოლონეთში ცხოვრობდა , 1923 წელს კი საფრანგეთში გადავიდნენ და ემიგრაციაში გახიზნული საქართველოს მთავრობის მიერ შეძენილ ლევილის მამულში დასახლდნენ და სოფლის მეურნეობას მიჰყვეს ხელი. წყვილს შვილი არ ჰაყვდა, მათი ოჯახი განსაკუთრებული შრომისა და სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა და გაჭირვებული ემიგრანტების ხშირი შეკრების ადგილს წარმოადგენდა. ვალოდიას ცხოვრების მანძილზე მიღებული ჭრილობები ხშირად ახსენებდა თავს, თუმცა 74 წელი იცოცხლა და 1954 წელს გარდაიცვალა, ქმრის გარდაცვალების შემდეგ ნამეტია მრავალ საქმეს ედგა სათავეში, იქნებოდა ეს ლევილის ქართული სასაფლაოს შეძენის საქმის მეთაურობა, ემიგრაციაში გაფანტული ქართველების ერთგვარი შემკრები და შემაკავშირებელი როლის შესრულება თუ დიდი ავტორიტეტი ქართველებსა და ლევილის ფრანგებს შორის, ამ ყველაფრის გამო ნამოს ემიგრანტები ,,ლევილის ადგილის დედას“ უწოდებდნენ, მან ქმრის გარდაცვალების შემდეგ კიდევ 34 წელი იცოცხლა და 1988 წელს 97 წლის ასაკში გარდაიცვალა.[637] ვალოდიას ძმები საქართველოში დარჩნენ და თავიდანვე ჩაებნენ ანტისაოკუპაციო მოძრაობაში. 1924 წელს ტყეში გავარდნილი ალფესს ცოლი და შვილი ავად გაუხდა, მათ სანახავად მალულად შეიპარა სოფელში, თუმცა ბოლშევიკებს ეს წინასწარ განსაზღვრული ჰქონდათ და სოფელ ჭანჭათში რამდენიმე ჩასაფრება მოუწყვეს, ღამით სახლში მისულს გარიჟრაჟზე სროლა აუტეხეს, N4 ჯავშნოსნის ყოფილმა მეთაურმა თითქმის მოახერხა თავდამსხმელებს გასხლტომოდა, მაგრამ სოფლის განაპირას როცა უკვე თითქოს სამშვიდობოს გავიდა და ტყეში უნდა

[636] სცსა. ფონდი2113. აღწერა1. საქმე 70. ფურც.1.
[637] გოგი წერეთელი. ლევილის დიდედის გარდაცვალება. გვ.83-87; გურამ შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი მეორე. გვ. 156-162.

შესულიყო, ზუსტად ტყეში ჩასაფრებულმა ბოლშევიკებმა მოკლეს.[638] ბოლშევიკებმა კიდევ ერთი ძმა, ნოე რუსეთში გადაასახლეს და წამებით მოკლეს, გოგუაძეების კარმიდამო კი დაანგრიეს.[639] მებრძოლი ძმებიდან მხოლოდ მელენტი გადარჩა, თუმცა რეპრესიებს ისიც ვერ აცდა და მცირე ხნით გადასახლებაში მოუწია ცხოვრება. .

2.3 ჯავშანტექნიკა - ჯავშანმანქანები

რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შეიარაღებაში სხვა ტიპის ჯავშანტექნიკასთან ერთად ჯავშანმანქანებიც შედიოდა. 1918 წელს დამტკიცებული შტატების მიხედვით რეგულარული არმიის ჯავშანავტომობილთა ასეულს შეიარაღებაზე უნდა ჰყოლოდა 6 ჯავშნოსანი. ასეულის დანიშნულებას ბრძოლის ველზე ქვეითი ჯარის ტყვიამფრქვევებით და არტილერიის ცეცხლით დახმარებას წარმოადგენდა.[640] ჯავშნოსანი ავტომობილების ქვედანაყოფი ჩამოყალიბდა სახალხო გვარდიაშიც.[641] 1919 წლის 1 აგვისტოს რეგულარული არმიის რეორგანიზაციის შემდეგ ცალკეულ საავტომობილო გუნდში შტატით განისაზღვრა 4 ჯავშნოსანი ავტომობილი.[642] 1919 წლის პირველ ივლისს სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაამტკიცა სამხედრო დროის შტატი 6 ჯავშანავტომობილით.[643] იმავე წლის დეკემბერში საბოლოოდ დამტკიცდა სახალხო გვარდიის რეგულარური ქვედანაყოფების შტატები, რომლის მიხედვითაც გვარდიის ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდს შეიარაღებაზე უნდა ჰყოლოდა 4 ჯავშნოსანი, გუნდს ასევე შეიარაღებაზე ჰყავდა 12 მოტოციკლი საიდანაც 4 ტყვიაფრქვევით იყო შეიარაღებული.[644] შტატის მიხედვით სხვადასხვა პერიოდში შეიარაღებულ ძალებს უნდა ჰყოლოდა 8-12 ჯავშანავტომობილი, თუმცა საინტერესოა რამდენი ჯავშანმანქანა იყო რეალურად შეიარაღებაზე. საარქივო დოკუმენტების მიხედვით ირკვევა შვიდი ჯავშნოსნის სახელი. 1918 წლის 25 ნოემბერს სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა ჯავშნოსან N1-ს დაარქვა ,,სახალხო გვარდიელი" , ხოლო

---

[638]წულაძე ზაქარია. ალფესი გოგუაძე. ჟურნ. *„ბრძოლა”*. პარიზი. N7, 1936წ. გვ.30.
[639] შოთა ვადაჭკორია. გვ.226.
[640] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 192. ფურც.3;11.
[641] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 3. ფურც.221.
[642] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.218.
[643] სცსა. ფონდი1970. აღწერა 3. საქმე 7. ფურც.46-47.
[644] სცსა. ფონდი.1833. აღწერა.1. საქმე.365. ფურც. 97; როგორც იმ პერიოდის ფოტოებზე ჩანს მოტოციკლზე ლუისის მსუბუქი ტყვიაფრქვევი იყო დამონტაჟებული. იხ: საქართველოს პირველი რესპუბლიკა. საქართველოს ეროვნული არქივის მასალები. ავტორ-შემდგენლები: ბექა კობახიძე; დიმიტრი სილაქაძე; ანტონ ვაჭარაძე. თბილისი: ,,საქართველოს ეროვნული არქივი“, 2015 გვ.86.

N4-ს ,,ინტერნაციონალი".[645] ამავე წლის 27 დეკემბრის შტაბის სხდომაზე ნახსენებია ჯავშნოსანი ,,პროლეტარი".[646] 1919 წლის 17 თებერვალს გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე ნახსენებია რეგულარული ჯარის ჯავშნოსანი ავტომობილი ,,სამშობლო".[647] 1919 წლის 19 სექტემბერს ბოლშევიკებისათვის წართმეული ჯავშანავტომობილი Napier ჩაირიცხა რეგულარული ჯარის ავტოასეულში ,,საქართველოს" სახელით.[648] 1919 წლის 14 ოქტომბერს სახალხო გვარდიაში ახლად გარემონტებულ ჯავშანმანქანას უწოდეს - ,,გლეხი"[649] ამავე წლის ნოემბერში კი გვარდიის შტაბმა კიდევ ერთ უსახელო ჯავშნოსანს ,,ბრძოლა" უწოდა.[650]

საინტერესოა რამდენი ჯავშნოსანი ავტომობილი გააჩნდა შეიარაღებულ ძალებს სხვადასხვა პერიოდში . როგორც 1918 წლის ნოემბერ-დეკემბრის გვარდიის შტაბის დოკუმენტებიდან ჩანს, გვარდიას წლის ბოლოსათვის 3 ჯავშნოსანი ყავდა მწყობრში: ,,სახალხო გვარდიელი"; ,,პროლეტარი" და ,,ინტერნაციონალი".[651] 1919 წლის თებერვლის დასაწყისში, რეგულარული არმიის რიგებში ირიცხებოდა Austin-ის ფირმის ჯავშნოსანი.[652] რეგულარული ჯარის ეს ერთადერთი ჯავშანმანქანა, როგორც გვარდიის მთავარი შტაბის 1919 წლის 17 თებერვლის სხდომიდან ირკვევა იყო ,,სამშობლო" და გვარდიელები სამხედრო სამინისტროს მის გადაცემასაც სთხოვდნენ, იმ არგუმენტით, რომ მხოლოდ 1 ჯავშნოსანი არაფერს წარმოადგენდა.[653] როგორც ჩანს, სამხედრო სამინისტრომ გვარდიის ეს თხოვნა უარით გაისტუმრა, რადგანაც ,,სამშობლო" 1919 წლის სექტემბერშიც რეგულარული ჯარის რიგებში ირიცხებოდა.[654] ვალიკო ჯუღელის დღიურის მიხედვით ცნობილია, რომ 1919 წლის 21 მარტს ფოთთან, გაგრის ფრონტისაკენ დენიკინის წინააღმდეგ ბარჟით (კარჭაპი) ჯავშნოსანი ავტომობილიც მიჰქონდათ, რომელიც ძლიერი ქარიშხალის გამო ზღვაში გადავარდა და ჩაიძირა.[655] ზღვაში გადავარდნილი მანქანა ფსკერიდან მაისის დასაწყისში

[645] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 3. ფურც.221.
[646] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 3. ფურც.290.
[647] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 4. ფურც.72.
[648] თემურ ჩაჩანიძე. ქართული არმიის შეიარაღება.ბორბლებიანი ჯავშანტექნიკა. ჟურნ. *,,არსენალი".* N5(207), 2015 გვ.36-37; სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 687. ფურც.3.
[649] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 9. ფურც.137.
[650] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 28. ფურც.160.
[651] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 3. ფურც.221;290.
[652] სცსა. ფონდი 1969. აღწერა2. საქმე 135. ფურც.285.
[653] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 4. ფურც.72.
[654] სცსა.ფონდი.1969. აღწერა 1. საქმე 687. ფურც.3.
[655] Валико Джугели. Тяжелый крест: с.135.

ამოიღეს .[656] 1919 წლის 19 სექტემბრის მონაცემებით რეგულარულ ჯარში ირიცხებოდა Austin-ის ფირმის ჯავშნოსანი ,,სამშობლო“ და ბოლშევიკებისათვის წართმეული Napier-ი ,,საქართველო, კიდევ ერთი Austin-ის ფირმის ჯავშნოსანი კი სახალხო გვარდიას გადასცეს.[657] სწორედ ეს მანქანა უნდა იყოს გვარდიის რიგით მეოთხე ჯავშნოსანი რომელსაც 1919 წლის 14 ოქტომბერს ,,გლეხი“ უწოდეს.[658] 1919 წლის ბოლოს ქართულ ჯარში სულ 6 ჯავშნოსანი ავტომობილი ირიცხებოდა, აქედან 4 გვარდიაში და 2 რეგულარულ ჯარში.

რუსეთის სამხედრო ატაშის სადაზვერვო ინფორმაციით 1920 წლის გაზაფხულზე ვლადიკავკაზიდან თეთრების საქართველოში ინტერნირების დროს გენერალ ივან ერდელს ქართველებმა 3 ჯავშნოსანი მანქანა ჩამოართვეს.[659] რთული სათქმელია ეს ინფორმაცია რამდენად ზუსტია, საარქივო დოკუმენტების მიხედვით 1920 წლის აგვისტოს[660] და შემდეგ უკვე ოქტომბრის მონაცემებითან რეგულარულ ჯარს ისევ ორი ჯავშანმანქანა ჰყავდა.[661] გვარდიელებმა კი იმავე წლის 26 ნოემბერს უსახელო ჯავშნოსანს ეწოდა სახელი ,,ბრძოლა“.[662] ეს კი გვარდიის მინიმუმ მეხუთე ჯავშნოსანი მანქანა გამოდიოდა, შესაბამისად 1920 წლის ბოლოს შეიარაღებულ ძალებს მინიმუმ 7 ჯავშნოსანი ჰყავდა შეიარაღებაზე აქედან 5 გვარდიას და 2 კი რეგულარულ ჯარს. რუსული სტრატეგიული დაზვერვა კი ცდებოდა როდესაც მიიჩნევდა, რომ 1921 წლის დასაწყისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს 17 ჯავშნოსანი მანქანა ყავდა.[663]

---

[656] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 6. ფურც 51.
[657] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 687. ფურც.3.
[658] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 9. ფურც.137.
[659] სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 1. ფურც.114; რუსეთის სამხედრო ატაშე საიდუმლო მოხსენებებში ქართული არმიის ჯავშნოსანი მანქანების სხვადასხვა რაოდენობას ასახელებს, რაც სრულიად ბუნებრივია სადაზვრევო ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე. 1920 წლის 28 ივნისის ანგარიშში წერს რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ყავდა 5 ჯავშანმანქანა: იხ. სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 1. ფურც.10 ; 5 ივლისისა და 23 ივლისის კი წერს რომ სახალხო გვარდიას ყავს სამი ჯავშანავტომობილი: იხ. სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 1. ფურც.18,84; ამავე წლის 30 დეკემბერს კი წერდა, რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს გააჩნდათ 15 ჯავშნოსანი და აქედან მხოლოდ ორი იყო რეგულარული არმიის დაქვემდებარებაში დანარჩენი კი გვარდიას ექვემდებარებოდა: იხ. იხ. სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 3. ფურც.185
[660] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 52. ფურც.48.
[661] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1083. ფურც.49.
[662] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 28. ფურც.160.
[663] Материалы стратегической разведки Р.С.Ф.С.Р . Грузия. С17; განსხვავებულია რუსული სამხედრო დაზვრევის მონაცემებიც მათი ინფორმაციით 1920 წლის ივლისში გვარდიას ყავდა ხუთიდან ათამდე ჯავშნოსანი ავტომობილი, ხოლო 1920 წლის ოქტომბრის ბოლოს არსებული ინფორმაციით ქართველებს ჰყავდათ 8 ჯავშანმანქანა და ტანკი. იხ: Алексей Безугольный. Демократическая Республика Грузия и ее вооруженные сили 1918-1921 гг. с.93, 100.

მნიშვნელოვანია იმისა განსაზღვრა თუ რომელი მოდელის ჯავშანმანქანა გააჩნდა ქართულ არმიას. როგორც ზემოთ ვნახეთ ზოგიერთ დოკუმენტში მოხსენიებულია Napier-ი და Austin-ის ფირმის ჯავშანავტომობილი, თუმცა არ არის დაკონკრეტებული Austin-ის მოდელის რომელ სერიაზეა საუბარი. ჯავშნოსნების მოდელების უკეთ დასადგენად ძალიან დამეხმარა ქართული არმიის ჯავშანავტომობილების შემორჩენილი ფოტოსურათები და კინოქრონიკის ერთი კადრი. პირველ ფოტოზე მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრებთან ერთად ჯავშანავტომობილის ,,სახალხო გვარდიელის" ფონზე პოზირებს, ხოლო მეორე ფოტოზე კი ორი ჯავშნოსანი ,,პროლეტარი" და ,,ინტერნაციონალი" გადაადგილდება გვარდიის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმზე.[664] კინოქრონიკის კადრში ჩანს ჯავშნოსანი ,,სამშობლო".[665] ფოტოებზე კარგად განირჩევა, რომ ,,სახალხო გვარდიელი" და ,,ინტერნაციონალი" მეორე სერიის Austin-ია; კინოქრონიკის კადრში აღბეჭდილი ,,სამშობლო" კი მესამე სერიის Austin-ი, რისი გარჩევაც შეიძლება მანქანის უკანა ნაწილით რომელიც საკმაოდ განასხვავებდა პირველი და მეორე სერიის ოსტინებისაგან.[666] მეორე ფოტოზე აღბეჭდილი ჯავშნოსანი ,,პროლეტარი" სრულად არ ჩანს, თუმცა მიუხედავად ამისა მშვენივრად გაირჩევა , რომ ეს არის ტყვიაფრქვევებითა და ქვემეხით შეიარაღებული მძიმე ჯავშნოსანი Garford-ი.[667] Garford-ი ჩანს 1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, თებერვლის თვეში რუსების ხელში ჩავარდნილ 4 ჯავშანმანქანის სიაში, სადაც ასევე ვხდებით Piers-Arrow-ს ჯავშნოსან მანქანას.[668] ამრიგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 1918-1921

---

[664] საქართველოს პირველი რესპუბლიკა. საქართველოს ეროვნული არქივის მასალები. ავტორ-შემდგენლები: ბექა კობახიძე; დიმიტრი სილაქაძე; ანტონ ვაჭარაძე. გვ.81; გვ.93 წიგნში დაბეჭდილ ზომით დაპატარავებულ ფოტოზე რთულად გაირჩევა წარწერა ,,პროლეტარი“ და ,,ინტერნაციონალი“ , თუმცა ორიგინალში რომელიც საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონო არქივშია დაცული ჩანს ჯავშნოსანთა სახელები - იხ. კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივი, ფოტოს საიდენტიფიკაციო ნომერი - 64.2-14288.

[665] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კინოქრონიკა - https://www.youtube.com/watch?v=aayfkwW9scY&t=2762s

[666] Максим Коломиец. Броня русской Армии.Бронеавтомобили и бронепоезда в Первой Мировой войне. Москва: ,,Ексмо“,2008. с.134-136 - აქ ნაჩენებია Austin-ის მოდელის სხვადასხვა სერიის ჯავშანმანქანის სქემატური გამოსახულებები.

[667] Г. Холявский. Энциклопедия бронетанкого вооружения и техники. Колесные и полугусеничные бронеавтомобили и бронетранспортеры. Минск: ,,Хервест“ , 2004 с.258 - აქ ნაჩვენებია მოდელის სქემატური გამოსახულებები.

[668] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფურც.94.

წლებში ყავდა: მძიმე ჯავშნოსანი Garford -ის; მეორე და მესამე სერიის Austin -ის , Piers-Arrow-ს და Napier-ის მოდელის ჯავშნოსანი ავტომობილები.

პირველ მსოფლიო ომში რუსული არმიის ჯავშნოსანი მანქანების პარკს ძირითადად ბრიტანული ფირმის Austin-ის სხვადასხვა სერიის მანქანები შეადგენდა. 1914 წლიდან ბრიტანეთმა დაიწყო რუსეთისათვის Austin-ის ფირმის პირველი სერიის ჯავშნოსნების აგება და მიწოდება, ჩვენთვის საინტერესო მეორე და მესამე სერიის Austin-ები კი 1915-1917 წლებში გადაეცა რუსეთს. მეორე და მესამე სერიის ჯავშნოსნები, პირველი სერიის გაუმჯობესებულ ვარიანტს წარმოდგენდნენ, უფრო სქელი ჯავშნით, გაძლიერებული შასით, მძლავრი ძრავით, გაზრდილი კლირენსით , ბორტის მარჯვენა მხარეს დამატებული კარით და სხვა ტექნიკური პარამეტრებით.[669] მეორე და მესამე სერიის Austin-ის ეკიპაჟი 5 კაცისგან შედგებოდა, საბრძოლო მასა 5,3 ტონას შეადგენდა, ჯავშნის სისქე - 5-8 მმ., მეორე სერიის შეიარაღებაში ორ საბრძოლო კოშკურაზე იდგა ორი 7.62მმ. კალიბრის ,,მაქსიმის" ტყვიაფქრვევი, ხოლო მესამე სერიის Austin-ის საბრძოლო კოშკურებზე კი 8მმ. კალიბრის ,,ჰოჩკისის" ტყვიაფრქვევი, საბრძოლო კომპლექტი შედგებოდა 6000 ვაზნისაგან, ორივე სერიაზე ეყენა ოთხ ცილინდრიანი 36.8 კილოვატის (50ცხ.ძალის) სიმძლავრის მქონდე ძრავა, მანქანის სიჩქარე - 60კმ/სთ-ს, ავტონომიური სვლის მანძილი კი 200 კილომეტრს აღწევდა. ყველა Austin-ის აქილევსის ქუსლს კონუსის მექანიზმის პრობლემატურობა წარმოდგენდა.[670] ქვემეხით და ტყვიაფრქვევებით აღჭურვილი მძიმე ჯავშნოსნის Gargford-ის წარმოება, ამერიკული სატვირთო ავტომობილის ბაზაზე რუსეთში, პუტილოვის ქარხანაში 1915 წელს დაიწყო. ჯავშნოსანის ეკიპაჟი 8-9 ადამიანისაგან შედგებოდა, მანქანის საბრძოლო მასა 8,6 ტონამდე ადიოდა. ჯავშნოსანი შეიარაღებული იყო სამი 7.62მმ. კალიბრის მაქსიმის ტყვიაფრქვევით და 1910 წლის მოდელის 76.2 მმ. კალიბრის ქვემეხისაგან. ორი ტყვიამფრქვევი დამონტაჟებული იყო ბორტის მარჯვენა და მარცხენა მხარეს და მათი სროლის არეალი 110 გრადუსს არ აღემატებოდა, ერთი ტყვიამფრქვევი დამონტაჟებული იყო ბორტის უკანა ნაწილში ქვემეხის გვერდით, ქვემეხის სროლის არეალი კი 260 გრადუსს შეადგენდა. ქვემეხის საბრძოლო კომპლექტი 44 ჭურვისაგან, ხოლო ტყვიამფრქვევების კი 5000 ვაზნისაგან

[669] Г. Холявский. стр .44-46.
[670] Г. Холявский. стр.46-47.

შედგებოდა. ავტომობილი დაჯავშნული იყო 6.5 მმ-იანი ჯავშანფურცლებით, რაც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ მისი ჯავშანს შაშხანის ტყვია 75-150 ნაბიჯის დისტანციიდან ვერ გახვრეტდა, საბრძოლო გამოცდილებამ აჩვენა რომ ჯავშანი რიგ შემთხვევებში უფრო ახლოდანაც უძლებდა შაშხანის ტყვიებს.[671] Garford-ის ოთხცილინდრიანი ძრავის სიმძლავრე 30 ცხენის ძალას აღწევდა, სრული დატვირთვის შემთხვევაში სიჩქარე კმხოლოდ 18/სთ-ს შეადგენდა, ხოლო უკუსვლის შემთხვევაში კი 3კმ/სთ-მდე ვარდებოდა, ავტონომიური სვლის მანძილი 120 კილომეტრს აღწევდა. მთლიანად 1915-1916 წლებში ააგეს 48 (აქედან 18 საზღვაო ვერსია) მანქანა , ჯავშნოსანს აქტიურად იყენებდნენ პირველ მსოფლიო ომსა და რუსეთის სამოქალაქო ომში. ჯავშნოსნის ძლიერი და სუსტი მხარეები პირველ მსოფლიო ომშივე გამოჩნდა: მშვენივრად მუშაობდა ქვემეხი, თუმცა საჭირო იყო ჯავშნოსნის მასის შემცირება , ძრავის გაძლიერება და სიჩქარის მომატება, ასევე აუცილებელი იყო ძრავა გამხარიყო უფრო მარტივად გასამართი და შესამოწმებელი.[672] Piers-Arrow-ს მძიმე ჯავშნოსან ავტომობილებს პირველი მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთი აწარმოებდა, ჯავშნოსნისთვის იყენებდნენ იმავე სახელწოდების ამერიკული ფირმის 5 ტონიანი სატვირთო ავტომობილის შასის, ჯავშნის სისქე 9მმ-ს აღწევდა, მანქანაზე დაყენებული იყო 3 ფუნტიანი (47მმ) ქვემეხი, მანქანის საერთო მასა 9 ტონას აღწევდა, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ბრიტანეთმა რუსეთის იმპერიას 4 ასეთი მოდელის ჯავშნოსანი გაუგზავნა.[673]

Napier-ი არ აწარმოებდა ჯავშნიან ავტომობილებს, ის ძირითადად სამოქალაქო დანიშნულების მსუბუქი ავტომობილების წარმოებით იყო დაკავებული. ამ ფირმის ავტომობილი ქართველებმა ბოლშევიკებს ჩამოართვეს, სავარაუდოდ 1919 წელს ჩრდილოკავკასიიდან ინტერნირებულებს, რომლებიც რეგიონში თეთრების გაბატონების შემდეგ საქართველოს მთავრობის ნებართვით განიარაღების პირობით შემოვიდნენ საქართველოში. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ფირმა ჯავშნოსან ავტომობილებს არ აწარმოებდა შეგვიძლია ვიფიქრით, რომ Napier-ის მსუბუქი

[671] Г. Холявский. стр.256-257; Максим Коломиец .стр.141.
[672] Г. Холявский. стр.256;260.
[673] Максим Коломиец .стр.290-291; Brian Terence White. Tanks and other Armoured Fighting Vehicles 1900 to 1918. London: ,,Blandford Press“, 1970. Pp.161-162.

ავტომობილი კუსტარულად იყო დაჯავშნული ბოლშევიკების მიერ ჯავშანფურცლებით და მასზე დაყენებული იყო ტყვიამფრქვევი ან ტყვიამფრქვევები.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ჯავშანავტომობილები რუსეთის იმპერიის კავკასიური არმიის შეიარაღებიდან დარჩათ მემკვიდრეობით, თუმცა ეს ასე არ ყოფილა. პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე 1915 წელს გაგზავნილი ჯავშნოსნები მთავარსარდლობის ბრძანებით 1917 წლის გაზაფხულზე სამხრეთ-დასავლეთის ფორნტის ჯარებს გადაეცა.[674] სამაგიეროდ 1918 წელს საქართველოში შემოსულ გერმანელთა საექსპედიციო კორპუსს ჰყავდა ჯავშნოსნები. გერმანულ არმიამ პირველ მსოფლიო ომში აღმოსავლეთის ფრონტზე ალაფის სახით ხელში ჩაიგდო რუსული არმიის ჯავშნოსანი ავტომობილების გარკვეული ნაწილი. სწორედ გერმანელებმა დაუტოვეს ქართველებს რამდენიმე ჯავშნოსანი და ამას ქართული და გერმანული წყაროები ადასტურებენ. 1918 წლის 16 ნოემბერს, ბორჯომში მყოფ გენერალ აბელ მაყაშვილს თბილისიდან ატყობინებდნენ, რომ გერმანელებს საქართველოს მთავრობისთვის ჯავშნიანი ავტომობილები ჯერ კიდევ არ გადაეცათ.[675] თუმცა ეს იმას ნიშნავდა, რომ მსგავსი შეთანხმება უკვე არსებობდა და როგორც ზემოთ ვნახეთ 1918 წლის 25 ნოემბერს გვარდიის განკარგულებაში უკვე ორი ჯავშნოსანი იყო. გერმანელებმა, რომ ქართველებს დაუტოვეს საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები ეს გერმანულ წყაროებში სჩანს.[676] რამდენიმე ჯავშნოსანი კი ქართულმა არმიამ 1919-1920 წლებში ბოლშევიკებისა და თეთრგვარდიელებისგან ჩაიგდეს ხელში.

პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები საბრძოლო მანქანებს აქტიურად იყენებდნენ. სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის მიმდინარეობისას გვარდიის მთავარმა შტაბმა 27 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება სარემონტოდან

---

[674] Максим Коломиец .с.307; 316; 323-324; თემურ ჩაჩანიძე. როგორ ვიცავდით თბილისს რუსებისგან ჯავშანმანქანებით.ჟურნ. *„არსენალი“.* N8(198), 2014 გვ.77.

[675] არჩილ ჩაჩხიანი. კიდევ ერთხელ სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ - ახალქალაქის მაზრაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები საარქივო დოკუმენტებში.*ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 2 (13).* თბილისი: ,,უნივერსალი“, 2013, გვ.349.

[676] MUGGENTHALER, Hans; PFLÜGEL, Hugo Ritter v.; SCHEURING, Martin (Hrsg.): Das K. B. Reserve-Jäger-Bataillon Nr. 1 (K. B. Jäger-Regiment Nr. 15): Nach den amtlichen Kriegstagebüchern. München 1935 = Erinnerungsblätter deutscher Regimenter. Auszüge aus den amtlichen Kriegstagebüchern. Hrsg. vom Bayerischen Kriegsarchiv. Bayerische Armee. Band 85. S.519.

გამოსვლისთანავე სამი ჯავშნოსანი გაეგზავნათ ფრონტზე .[677] ომი რამდენიმე დღეში დასრულდა და ჯავშოსნები ბრძოლაში არ ჩაბმულან, სამაგიეროდ ქართველებმა ჯავშნოსნები გამოიყენეს 1919 წლის თებერვალ-მარტში ახალციხის ფრონტზე, ე.წ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. თებერვლის წარუმატებელი სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობისას N4 ჯავშნოსნის მეთაურმა ჯალალოვმა უკანდახევისას მიატოვა საკუთარი და სხვა ჯავშნოსანი.[678] ჯავშნოსნები სავარაუდოდ მტერს არ ჩავარდნია ხელთ, ან კიდევ მალევე გამოიხსნეს ქართველებმა , რადგანაც 1919 წლის მარტში ახალციხესთან საბრძოლო მოქმედებებში ჩანს ორი ქართული ჯავშნოსანი ავტომობილი. 1919 წლის აპრილში კი აფხაზეთის ფრონტზე დენიკინის ნაწილების წინააღმდეგ განხორციელებულ შეტევაში მონაწილეობა მიიღო ჯალალოვის მიერ მიტოვებულმა ჯავშნოსანმა N4-მა ,,ინტერნაციონალი"-მა და კიდევ ერთმა ჯავშანმანქანამ.[679] გენერალმა გიორგი კვინიტაძემ ახალციხის ფრონტზე 1919 წლის მარტში კონტშეტევაზე გადასვლისას გამოიყენა ჯავშნოსნები. 5 მარტს დილით ქართული ჯარი შეტევაზე გადავიდა და 1 საათში აწყური დაიკავა, შეტევის მარჯვენა ფლანგზე მოქმედებნენ გვარდიის ქვედანაყოფების და მათ განკარგულებაში იყო ჯავშანავტომობილებიც. აწყურის აღების შემდეგ, შეტევის გაგრძლებისგან გვარდია თავს იკავებდა, მაგრამ ორი ჯავშნოსანი ავტომობილი მაინც გადავიდა შეტევაზე, მოწინააღმდეგემ უკან დაიხია. ამ ბრძოლაში ჯავშნოსანი ავტომობილების რაზმის მეთაური ზაქარია ორჯონიკიძე მსუბუქად დაიჭრა. 6 მარტს შეტევა გაგრძელდა და უკვე 7 მარტს ორი შეჯავშნული ავტომობილი უბრძოლველად შევიდა მოწინააღმდეგის მიერ მიტოვებულ ახალციხეში. გენერალმა კვინიტაძემ 7 მარტს ერთი ჯავშნოსანი ქალაქის შესასვლელთან დატოვა გზატკეცილზე და მათ უბრძანა, რომ ქალაქში არავინ შეეშვათ.[680] 1919 წლის ოქტომბერში სოხუმში მდგარი მეორე პოლკის ბოლშევიკურად განწყობილმა ერთმა ასეულმა ამბოხება დაიწყო, დაიკავა პოლკის ყაზარმები, მაგრამ მათ წინააღმდეგ პოლკოვნიკმა ხიმშიაშვილმა გამოიყენა ჯავშნოსანი მანქანა და არტილერია , რამაც ამბოხებულების დამარცხება განაპირობა.[681] 1920 წლის მაისში

[677] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 3. ფურც.290.
[678] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 4. ფურც.70-71.
[679] Валико Джугели. с.139.
[680] Генерал Г. И. Квинитадзе. Воспоминания 1917-1921. с .94-98.
[681] Гиоргий Дзидзария. Очерки истории Абхазии 1910 -1921. Тбилиси: ,,Сабчота Сакартвело“, 1963, с.264-268.

საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის საქართველოზე შეტევის დროს, 5 მაისს გვარდიის შტაბმა ორი ჯავშანავტომობილი გაგზავნა წითელ ხიდზე პოლოვნიკ ხიმშიაშვილის დაქვემდებარებაში.[682] იმავე პერიოდში, 2 მაისის ღამეს თბილისელმა ბოლშევიკებმა აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე დაწყებული რუსული არმიის შეტევის პარალელურად თბილისის სამხედრო ნაწილების განიარაღება სცადეს და თავს დაესხნენ სამხედრო სკოლას, ქართველებმა სკოლის დასახმარებლად გამოიძახეს ჯავშნოსანი ავტომობილები, მაგრამ სანამ ისინი სკოლასთან მივიდნენ კურსანტებმა და მათმა ოფიცრებმა ბოლშევიკები დაამარცხეს და განაიარაღეს.[683] ბოლშევიკთა გეგმის ერთ-ერთ საკვანძო წერტილს სამხედრო სკოლის აღების შემდეგ წარმოადგენდა იქ განთავსებული მეტყვიამფრქვევეთა გუნდის ჯარისკაცების გადაბირება და მათი საშულებით სხვა რამდენიმე ამოცანასთან ერთად ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდის დაპატიმრება იყო, თუმცა მათ ეს გეგმა ჩაეშალათ.[684] ქართული არმია ჯავშანავტომობილებს აქტიურად იყენებდა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში. ომის დასაწყისში ორი ავტომობილი განლაგებული იყო ვორონცოვკა-ჯალალოღლის მიმართულებაზე, უკანდახევის დროს ეს კოლონა 17 თებერვალს სანდართან მოხვდა მტრის რკალში და იქიდან გამოსვლისას ჯავშნოსნების გაფუჭება და მიტოვება მოუწიათ.[685] რუსული დოკუმენტებით ირკვევა, რომ ორი ჯავშანმანქანიდან ერთი მძიმე Garford-ი, ხოლო მეორე კი Austin-ი იყო.[686]

ჯავშნოსნებს იყენებდა მე-11 წითელი, არმია კერძოდ 16 თებერვალს წითელი ხიდის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ომში რუსებმა ჩააბეს N 55 ჯავნოსან ავტომობილთა ქვედანაყოფი.[687] ქართული ჯარის ჯავშნოსანი ავტომობილები 19 თებერვლის ღამეს, სოღანლუღის ბრძოლაში თბილისზე წითლების პირველი შეტევისას აქტიურად ეხმარებოდნენ გორის გვარდიის ბატალიონს, შემდეგ კი მათთან ერთად გაწმინდეს რკინიგზა და მისი მიდამოები მოწინააღმდეგისაგან.[688] 20 თებერვალს კოჯორ-ტაბახმელას სექტორში ქართულმა ჯარმა ხელში ჩაიგდო

---

682 სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 32. ფურც.108.
683 Генерал Г. И. Квинитадзе. с.174-180.
684 ტრისტან ლაბარტყავა. გვ.161; ალექსანდრე ჩხეიძე. სამხედრო სკოლა. გვ.19-20.
685 აკაკი კვიტაიშვილი. რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს. საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. გვ.118-119; ჟურნ. *,,განთიადი“,* 122-123.
686 სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287*. ფურც.94 - რუსულ დოკუმენტში სანდარის ნაცვლად, რომელიც დღევანდელი მარნეული რაიონია ჯანდარი წერია, რაც შეცდომაა.
687 В. Зун. стр.18
688 აკაკი კვიტაიშვილი. გვ.126.

მოწინააღმდეგის ერთი პატარა ჯავშნოსანი ავტომობილი.[689] თბილისის დატოვების შემდეგ, მცხეთიდან გორისკენ უკანდახევისას ქართულმა ჯარმა ტალახში ჩაფლული ჯავშანმანქანა, რომელიც გზას ვერ აგრძელებდა, გამართული მდგომარეობაში რომ არ ჩაეგდო მოწინააღმდეგეს განგებ დააზიანეს და ისე დატოვეს გზაში .[690] რუსული არმიის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ეს იყო მძიმე ჯავშნოსანი Piers-Arrow, მანამდე კი მათ თბილისში შესვლისას ქალაქში ქართველების დატოვებული Napier-იც დახვდათ.[691]

რუსული მხარის მონაცემების მიხედვით აფხაზეთის ფრონტზე ქართული არმია ორ ჯავშნოსან ავტომობილს იყენებდა რუსული მეცხრე არმიის 31-ე მსროლელი დივიზიის წინააღმდეგ.[692] ომში დამარცხების შემდეგ მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე დადებითად აფასებდა ჯავშნოსანი ავტომობილების მოქმედებას და აღნიშნავდა, რომ ისინი არა მხოლოდ თავდაცვის საქმეს უწყობდნენ ხელს, არამედ ხშირად სადაზვერვო მისიებსაც ასრულებდნენ.[693]

2.4 ჯავშანტექნიკა - ტანკები

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან მოკლე ხანში ბრძოლები ,,პოზიციურ ჩიხში" შევიდა. ომის საწყის ეტაპზე, დაპირისპირებული მხარეები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის ფლანგიდან შემოევლოთ და მოწინააღმდეგის ზურგში გასულიყვნენ , ამის გამო ფრონტის ხაზი უსაშველოდ გაიწელა და საბოლოოდ ატლანტიკის ოკეანესთან დასრულდა. ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო მოწინააღმდეგისათვის შემოვლა. ფრონტები - მავთულხლართებით, სანგრებით, საცეცხლე წერტილებით თუ უფრო ძლიერი სასიმაგრო სისტემებით დაისერა. შემტევი მხარის იერიში მოწინააღმდეგის სანგრებიდან წამოსული ძლიერი ცეცხლის გამო საწყის ეტაპზევე იფუშებოდა. სამხედრო სტრატეგები ,,პოზიციური ჩიხის" დაძლევას სხვადასხვა მეთოდით ცდილობდნენ. იქნებოდა ეს ფრონტის მოკლე მონაკვეთზე გარღვევისათვის დიდი რაოდენობით არტილერიის თავმოყრა, მომწამლავი აირის გამოყენება და ა.შ. მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის პრობლემის დაძლევა

[689] მიხეილ ბახტაძე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან.გვ.60.
[690] გივი ღამბაშიძე. ომის დღიური. გვ.56-57.
[691] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 287. ფურც.94.
[692] Гиоргий Дзидзария. Очерки истории Абхазии 1910 -1921. с.367
[693] Генерал Г. И. Квинитадзе. стр.303.

ბრიტანელებმა, სქელი ჯავშნით შეჯავშნული ახალი საბრძოლო მანქანის - ტანკის შექმნით სცადეს. შეჯავშნულ, მუხლუხებიან საბრძოლო მანქანაზე მუშაობა ბრიტანელებმა ჯერ კიდევ 1915 წელს დაიწყეს. შეიქმნა ყუთის მსგავსი ორი საექსპერიმენტო მოდელი Little Willy (პატარა ვილი) და Mother (დედა). ამ მოდელების საფუძველზე მომავალში კოშკურის არმქონე მძიმე ტანკები ააწყვეს . შეიქმნა ტანკ Mark I-ის ორი მოდელი: მამალი და დედალი. მათ შორის განსხვავება ის იყო, რომ ,,მამალი" ოდნავ უფრო მეტს იწონიდა და შეიარაღებული იყო ტყვიამფრქვევებით და ორი 57მმ-იანი ქვემეხით, ხოლო დედალს მხოლოდ ტყვიამფრქვევები ჰქონდა. საბრძოლო მანქანა 28 ტონას იწონიდა, ეკიპაჟი 8 წევრისაგან შედგებოდა, ტანკის ,,დაიმლერის" ძრავის სიმძლავრე შეადგენდა 105 ცხენის ძალას. ტანკის მაქსიმალური სიჩქარე 6კმ/სთ, სვლის მარაგი კი 38კმ.ს შეადგენდა. საბრძოლო მანქანის 57მმ-იანი ქვემეხების ეფექტური სასროლი მანძილი 1800 მეტრს აღწევდა, ტანკს შეეძლო 3,5 მეტრის სიგანის თხრილისა და 1.3 მეტრის სიმაღლის კედლის გადალახვა, 0.45 მეტრის სიღმრის ფონის დაძლევა და 22 გრადუსის დახრილობის ფერდობზე ასვლა. [694] ახალ საბრძოლო მანქანას უპრობლემოდ უნდა გადაელახა მოწინააღმდეგის პოზიციების წინ არსებული მავთულხლართები და სანგრებიდან გახსნილ ცეცხლს ის ვერ უნდა დაეზიანებინა.

ბრიტანელებმა ახალი , საიდუმლო და ამავდროულად მრისხანე საბრძოლო მანქანა პირველად 1916 წლის 15 სექტემბერს, პირველი მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე, სომის მრავალთვიანი ბრძოლის მიმდინარეობისას, ფრონტის ვიწრო 9 კილომეტრიან მონაკვეთზე გამოიყენეს. მიუხედავად ტექნიკური ხარვეზებისა რის გამოც , ოპერაციაში ჩართული 49 ტანკიდან ყველამ ვერ მიაღწია შეტევის საწყის პოზიციებამდე, შედეგი განსაცვიფრებელი იყო. გერმანელი ჯარისკაცები პანიკაში ჩააგდო ახალი მონსტრის გამოჩენამ, ერთ-ერთს ისიც კი მოეჩვენა, რომ მათკენ ნამდვილი ეშმაკი მიემართებოდა. შეშინებული ჯარისკაცის სიტყვები უმალ მოედო ახლომდებარე სანგრებს. სოფელი ფლერი კი ბრიტანელებმა ერთი ტანკით აიღეს და 300 გერმანელი ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს . სოფლის აღებისას ბრიტანელების რიგებში მსხვერპლი არ ყოფილა. მთლინობაში,

[694] Семен Федосеев. Самые первые Танки ,, Дьявол идет". ,,Самци" и ,,Самки" Первой Миравой. Москва: ,,Ексмо", 2011, с.29.

რამდენიმე საათში, ბრიტანელებმა მნიშვნელოვანი პუნტქები დაიკავეს. მიუხედავათ წარმატებისა, 15 სექტემბრის ბრძოლები მხოლოდ ტაქტიკური ხასიათის გამარჯვების მომტანი გამოდგა.[695] ტანკები მოწინააღმდეგეზე დამთრგუნველ ფსიქოლოგიურ ეფექტს ახდენდნენ, თუმცა მათ გამოყენებას პირველ მსოფლიო ომში პოზიციური ჩიხის პრობლემა არ გადაუჭრია, ამის მიზეზი ახალი საბრძოლო მანქანების ტექნიკური გაუმართაობა, დაბალი სიჩქარე, მცირე რაოდენობა, ექსპლუატაციის მძიმე პირობები და მოქმედების ტაქტიკის დაუმუშავებლობა იყო, თუმცა ნათლად გამოჩნდა, რომ ტაქტიკური ჩიხის დაძლევის პერსპექტივის ერთ-ერთი მთავარი გასაღები ტანკების ტექნიკურ განვითარებასა და გამოყენების ტაქტიკის დახვეწაში იდო. მსოფლიო ომის ბოლო წლებში ბრიტანულმა ტანკები მცირედით გაუმჯობესდა, რაოდენობა გაიზარდა, ბრიტანელების პარალელურად ტანკების აწყობა დაიწყეს მათმა მოკავშირე ფრანგებმა და მტრებმა გერმანელებმა. რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, ბრიტანელები და ფრანგები სხვა სახის იარაღთან ერთად თეთრებს ტანკებითაც ამარაგებდნენ , თეთრებს კი ამ ახალ საბრძოლო ტექნიკას წითლები ართმევდნენ. ორი Mark V ტიპის ბრიტანული ტანკი კი 1920 წელს საქართველოს რესპუბლიკის ხელშიც აღმოჩნდა. ტანკები დიდი ბრიტანეთს არ გადაუცია საქართველოსთვის, ისინი ქართველებმა წითლებთან დამარცხებულ თეთრ გენერალს, ივან ერდელს 1920 წლის მარტში სხვა იარაღთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე ინტერნირების სანაცვლოდ ჩამოართვეს. ვალიკო ჯუღელმა 1920 წლის 25 მარტს საკუთარ დღიურში ჩაწერა : ,, ტანკები კი, ეს ახალი ურჩხულები , ნელ-ნელა მოცოცავენ. მათ გველეთის[696] ხიდი მშვიდობიანად გადმოიარეს და ღამე იქ გაათიეს. სიმაღლის რეკორდის[697] დამყარებას აპირებენ....“[698] 26 მარტს უკვე დუშეთიდან თბილისში გაიგზავნა ტანკების კომანდის ქონებით დატვირთული ურმები.[699] თავად ტანკები კი მწყობრიდან გამოვიდნენ და გაჩერდნენ. თბილისამდე მათ ჩამოყვანას მაღალმთიანი რეგიონებიდან თვეები დასჭირდა. სანამ ტექნიკას თბილისში ჩამოიტანდნენ, მათ კუთვნილებაზე დიპლომატიური ნოტებიც გაიცვალა , გვარდიის შეიარაღებაზეც ჩაირიცხა და ეკიპაჟიც დაკომპლექტდა.

---

[695] А. А. Строков. Вооруженные силы и Военное искусство в Первой Миравой Войне. с.376-378 .

[696] სოფელი საქართველოში, მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, დარიალის ხეობაში .

[697] სოფელი გველეთი ზღვის დონიდან 1560 მეტრზე მდებარეობს.

[698] Валико Джугели. стр.201; ნინო შარვაშიძის თარგმანი, აღებულია მძიმე ჯვარის ქართულად ნათარგმნი გამოცემიდან. იხ. ვალიკო ჯუღელი. მძიმე ჯვარი. სახალხო გვარდიელის ჩანაწერები. თბილისი: ,,ზიარი“, 2022 გვ.284.

[699] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 32. ფურც.81.

აპრილის დასაწყისში, კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესმა სამხედრო კომისარმა ოლივერ უორდროპმა საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს ბათუმის ბრიტანული სამხედრო მმართველობის მიერ მისთვის გაგზავნილი ტელეგრამა გაუგზავნა. სამხედროები წერდნენ, რომ მათი ინფორმაციით ქართველებს მოხალისეთა ორი ტანკი ჰყავდათ დაკავებული თავისი კომანდითურთ, ასევე მათ კაპიტან ზოლოტარიოვს ჩამოართვეს 4 მილიონი მანეთი და სატვირთო ავტომობილის 4 საბურავი. ბრიტანელი სამხედროებით ითხოვდნენ სატანკო კომანდის გათავისუფლებას და მათთვის გადაცემას საბურავებთან ერთად , რადგანაც ისინი სასწრაფოდ ჭირდებოდათ ყირიმში სამსახურისთვის.[700] საგარეო უწყებამ უორდროპის წერილი სამხედრო სამინისტროს გაუგზავნა, 8 აპრილს სამხედრო სამინისტრომ საგარეო საქმეთა სამინისტროს უპასუხა, რომ დიდთოვლობის გამო ტანკები და ,,შინები“ ჯერ არ ჰქონდათ მიღებული და რომც ჰქონოდათ, მათი გადაცემა მოხალისეთათვის გამორიცხული იყო, ვინაიდან ტანკები და ,,შინები“ სამხედრო იარაღს წარმოადგენდა. სატანკო კომანდა კი ჯერ არ იყო ჩამოსული, ჩამოსვლისთანავე კი გაიგზავნებოდნენ ქალაქ ფოთში მოხალისეთა საერთო ბანაკში. მათ საქართველო ყირიმში ვერ გააგზავნიდა, რადგანაც ეს იქნებოდა ნეიტრალიტეტის დარღვევა, ხოლო თუ ბრიტანელები დააპირებდნენ მოხალისეთა ჯარის ევაკუაციას, სამხედრო სამინისტრო ამის წინააღმდეგი არ იქნებოდა, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ბრიტანელებისაგან იქნებოდა ოფიცალური გარანტია, რომ ეს ხალხი არ გაიგზავნებოდა მოხალისეთა ფრონტის გასაძლიერებლად. ზოლოტარიოვისათვის კი 4 მილიონის ჩამორთმევაზე სამინისტრო ინფორმაციას არ ფლობდა.[701] 10 დღის შემდეგ სამხედრო სამინისტრომ საგარეო უწყებას აცნობა, რომ ზოლოტარიოვისათვის მართლაც ჩამოურთმევიათ 4 მილიონი მანეთი რადგანაც ეს თანხა ეკუთვნოდა მოხალისეთა ჯარის ხაზინას და კაპიტანი კი ამ თანხის საზღვარგარეთ გატანას ცდილობდა.[702] მოხალისეთათვის ჩამორთმეული თითქმის 30 ტონიანი ტანკები, რომელიც საქართველოში შემოსვლისთანავე რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ გაჩერდა, მთის გზებისა და უღელტეხილების გამო რთული ჩასატანი იყო თბილისში. გვარდიის მთავარი შტაბი 29 აპრილს ინჟინერ კორინთელს ავალებდა,

[700] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 67. ფურც.49.
[701] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 67. ფურც.46.
[702] სცსა. ფონდი1969 აღწერა2. საქმე67 ფურც.54.

ყველაფერი ეღონა ტანკების ყაზბეგიდან ჩამოსაყვანად.[703] ივნისის ბოლოს სამხედრო სამინისტროს ჟურნალის ,,მხედარის“ კორესპოდენტმა , რომელიც დარიალის ხეობასა და ყაზბეგში ახლდა ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის თავმჯდომარესა და დამფუძნებელი კრების წევრს, ნახა ტანკები რომლებიც თბილისისკენ მოჰქონდათ.[704] 9 სექტემბერს ტანკები ჯერ კიდევ არ იყო თბილისში ჩატანილი, თუმცა ისინი გვარდიის შეიარაღებაზე უკვე მიღებული იყო, ჯავშნოსან ავტომობილთა ასეული კი ჯავშნოსან საავტომობილო სატანკო დივიზიონად გადაკეთებულიყო, დივიზიონის მეთაური ზაქარია ორჯონიკიძე კი 2 აგვისტოდან დუშეთში იყო მივლინებით გაგზავნილი ტანკების თბილისში ჩასატანად.[705] სანამ ტანკებს ყაზბეგიდან თბილისში ჩაიტანდნენ, გვარდიის შტაბმა რამდენიმე ტანკისტის დანიშვნაც მოასწრო. 30 ივნისიდან ერთი ტანკის ,,უფროსად" დაინიშნა ოფიცერი სერგო გაბელაშვილი, მალევე კი მეორე ხარისხის ,,დამტარებლებად" ოფიცერები ივანე მაისურაძე და ანატოლი იმნაძე.[706] 1920 წლის 3 ნოემბერს გვარდიის მთავარმა შტაბმა შექმნა სპეციალური კომისია: ფარქოსაძის, ფარნიევის, ჭიაბრიშვილის და ჯიბლაძის შემადგენლობით. მათ ყურადღება უნდა მიექციათ და მიეღოთ ყოველგვარი ზომა რათა ტანკები დროულად ჩამდგარიყვნენ მწყობრში. ამ საქმისთვის დამატებით გადაიდო 300 000 მანეთი.[707] თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში ქართველმა ტექნიკოსებმა ბევრი ,,უჩხიკინეს“ ტანკებს თუმცა მათი მწყობრში ჩაყენება და ამოძრავება ვერაფრით მოახერხეს. თბილისში ჩატანილმა ტანკებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია სამხედროებში. მაგალითად 1921 წლის იანვარში პირველი ათასეულის მეთაურმა გვარდიის შტაბისგან ნებართვა ითხოვა და მიიღო კიდეც, რომ მთელ ათასეულის პირად შემადგენლობას დაეთვალიერებინა და გაცნობოდა ამ უახლეს საბრძოლო მანქანებს.[708] საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ტანკები წითელმა არმიამ ჩაიგდო ხელში , საიდანაც ქართველების Mark V მოდელის ტანკების საბორტე ნომრებიც არის ცნობილი - N 9146 და N 9330.[709] მძიმე ტანკ Mark V-ზე მუშაობა ბრიტანეთში 1917 წელს დაიწყეს და 1918 წელს უკვე ის მასობრივ წარმოებაში ჩაეშვა ,

[703] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 32. ფურც.96.
[704] დარიალი ფრონტი. ჟურნ. *,,მხედარი“.* N5, 1920წ. 27 ივნისი. გვ.14.
[705] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 30. ფურც.91.
[706] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 30. ფურც.72; 79; 83.
[707] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 28. ფურც.19.
[708] სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 34. ფურც.125.
[709] Максим Коломиец. Танки в Гражданской Войне. Москва: ,,Ексмо“, 2014, с.103;118;140.

წლის ბოლომდე 400 ერთეული, 200 მამალი და 200 დედალი ეგზემპლარი გამოუშვეს. მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში ტანკის მართვა მის წინა მოდელებთან შედარებით გაცილებით გამარტივებული იყო. ტანკის ეკიპაჟი 8 კაცისგან შედგებოდა, ,,მამალის" წონა 29.4, ხოლო ,,დედალის" წონა 28,4 ტონას შეადგენდა, ტანკის სიგრძე 8 მეტრს, სიმაღლე კი 2.6 მეტრს შეადგენდა, მამალი სიგანეში 4.1, დედალი კი 3.3 მეტრი იყო. მამალის შეიარაღებაში იყო ორი 57 მმ-იანი ქვემეხი და 4 7.7მმ-იანი ჰოჩკისის ტყვიამფრქვევი, დედლის შეიარაღებაში კი 6 ,,ჰოჩკისის" ტყვიამფრქვევი; ტანკის ჯავშანი სხვადასხვა ადგილას 6-14მმ-ს სისქის იყო; ტანკზე ეყენა რიკარდოს[710] ფირმის 6 ცილინდრიანი 150 ცხენის ძალის მქონე ძრავა, საბრძოლო მანქანის სიჩქარე სხვადასხვა ტიპის გზაზე 4-7.5კმ.სთ-მდე მერყეობდა, სვლის მანძილი - 72 კილომეტრს შეადგენდა, ყოველი 80 კილომეტრის გავლის შემდეგ კი ტანკის მუხლუხები შესაცვლელი ხდებოდა, საბრძოლო მანქანას შეეძლო გაევლო ერთი მეტრის სიღრმის ფონზე, გადაელახა 3 მეტრის სიგანის თხრილი , გადაელახა 1.5 მეტრის სიმაღლის კედელი და სხვადასხვაგვარ ნიადაგზე ასულიყო მაქსიმუმ 35-45 გრადუსის დახრილობის მქონე ფერდობზე. ზოგიერთ ,,დედალ" ვერსიაზე დაყენებული იყო 1 ქვემეხი და 5 ტყვიამფრქვევი , ასეთ მოდელებს ,,კომპოზიტებს" ან კიდევ ,,ჰერმაფროდეტებს" უწოდებდნენ.[711] ცნობილია, რომ ტანკები საბორტე ნომრით 9001-9200 მამალი, ხოლო 9251-9450 კი დედალი Mark V-ები იყო.[712] შესაბამისად ქართველების ტანკი საბორტე ნომრით 9146 მამალი, ხოლო 9330 დედალი გახლდათ. თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც ქართული არმიის ტანკები უბრალოდ ვერ მოძრაობდნენ და თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში მათი ამოძრავება შეუძლებელი საქმეს წარმოადგენდა, მათი ყოფნა ქართული ჯარის რიგებში არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია და მხოლოდ სიმბოლურ, თავშესაქცევ ისტორიული ფაქტს წარმოადგენს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის სახალისო თავგადასავალი აქ არ სრულდება . სამაგიეროდ ზუსტად იგივე მოდელის ტანკები გამოიყენა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ 1921 წლის 24 თებერვალს თბილისზე შტურმის დროს ქართველების წინააღმდეგ. ეს ტანკების საბრძოლო გამოყენების პირველი ფაქტია სამხრეთ კავკასიაში.

---

[710] რიკარდოს ძრავის გამო ზოგჯერ ამ ტანკებს, რიკარდოებსაც უწოდებდნენ ხოლმე.
[711] Семен Федосеев. Самые первые Танки ,, Дьявол идет". ,,Самци" и ,,Самки" Первой Миравой с.30-43.
[712] David Fletcher. Mark V Tank. *New Wanguard 178*. ,,Osprey Publishing", 2011, P.7.

1921 წლის 24 თებერვალს რუსებმა სამი Mark V ტიპის ტანკით, თბილისის დამცველთა მარცხენა სექტორის ერთი მონაკვეთის გარღვევა განიზრახეს. 1936 წელს მე-11 არმიის ჯავშნოსანი ნაწილების მეთაური ზუნი, ჟურნალ წითელი არმიის მექანიზაცია მოტორიზაციისიის მეორე ნომერში ,,საუკეთესო“ საბჭოთა პროპაგანდისტული ტრადიციებით აღწერდა საქართველოს ,,განთავისუფლებისათვის“ ბრძოლაში სატანკო რაზმ N2-ის გმირულ მოქმედებას თბილისზე იერიშისას. მისი აღწერით ტანკები 78-ე მსროლელ პოლკთან ერთად მივიდნენ მდინარე საცხენისთან (იგივე ლოჭინი) იუნკერთა წრიული სანგრების წინ, 14:00 საათზე ამინდი გაფუჭდა, ჩამოწვა ნისლი, 17:00 საათზე ტანკებმა და 78-ე პოლკმა გადალახეს მდინარე, ერთ-ერთი ტანკი დაწინაურდა, შეიჭრა იუნკერთა სანგრებში და ორივე ბორტის ტყვიამფრქვევებიდან გახსნა ცეცხლი, ქვეითებმა ტყვედ აიყვანეს 150 ტყვე, ქართველების ჯავშანმანქანამ კონტრშეტევა სცადა, მაგრამ ტანკების დანახვისთანავე უკან დაიხია, ქართველებმა მიატოვეს სანგრები, დაყარეს იარაღი და უწესრიგოდ დაიხიეს თბილისისკენ, ზუნის თანახმად მათ კვალში მიყვებოდნენ რუსული ტანკები და ქვეითები, ღამის სვლისას ერთ-ერთი ტანკი მეტსახელას ,,ვჩიომ დელო“ ღამის სიბნელეში ნავთლუღის მახლობლად 50 გრადუსიანი დახრილობის მქონე 20 მეტრის სიმაღლის ფერდობიდან გადავარდა, ეკიპაჟის წევრები დაზიანდნენ , ორი ტანკი ,,ბ-5“ და ,,ბ-9“ კი დილით ნავთლუღში შევიდნენ, სადაც მათ აჯანყებული რკინიგზელები შეეგებნენ, ზუნი ამასაც არ სჯერდებოდა და წერდა, რომ მიუხედავად ადრიანი დილისა ქუჩებში მათ ათასობით ადამიანი ხვდებოდათ და ტანკისტებს და ტანკებს ყვავილებს ესროდნენ.[713] რეალურად რუსული ტანკები მდინარე ლოჭინზე ვერაფრით შეეჯახებოდნენ იუნკრებს, რომლებიც იმ დროს 20 კილომეტრის მოშორებით თელეთის ქედზე სოფელ ტაბახმელად მიდამოებს იცავდნენ, თბილისიდან უკანდახევა ქართულ ჯარს არა ტანკების იერიშმა არამედ დაუცველ ფლანგებზე მოწინააღმდეგის კავალერიის მოქმედებამ აიძულა. ამავდროულად 25 თებერვლის გამთენიას ზუნი თბილისში ვერ ნახავდა ვერც ამბოხებულ რკინიგზელებს და ვერც ათასობით ადამიანს რომლებიც ყვავილების სროლით ხვდებოდნენ რუსულ ტანკებს. თუმცა ესეც რომ არ იყოს ქართულ წყაროებშიც არის

[713] В. Зун. с. 21-23.

აღწერილი ქართველი ქვეითებისა და რუსული ტანკების შეტაკების ამბავი , რაც სრული სურათის დადგენაში დაგვეხმარება. იმერეთის გვარდიის მეორე ბატალიონის მეთაური აკაკი კვიტაიშვილი, რომელიც 24 თებერვალს ორხევთან თბილისის თავდაცვის მარცხენა ფლანგის რეზერვში იდგა მოგვიანებით იხსენებდა, რომ შუადღის 3-4 საათზე ნისლი ჩამოწვა და მალევე ბაქოსა და კახეთისკენ მიმავალ რკინიგზების შუაში მყოფ სანგრებიდან გაისმა საშინელი სროლის ხმა, თუმცა ნისლი არ იძლეოდა იმის გარჩევის საშუალებას თუ რა ხდებოდა, მალე ნისლი გაიფანტა და გამოჩნდა, რომ ზედ ზუგდიდის და სენაკის გვარდიის ბატალიონების სანგრებთან მოწინააღმდეგის ტანკები და ქვეითები მოიწევდნენ, გვარდიელები იქამდე ესროდნენ მოწინააღმდეგეს ტყვაიმფრქვევებიდან და შაშხანებიდან სანამ ერთი ტანკი სანგარში არ აძვრა და უკნიდან არ დასცხო გვარდიელებს. ნისლის გამო ქართულმა არტილერიამ მოწინააღმდეგის ტანკების მიახლოება ვერ შენიშნა . ზუგდიდელმა და სენაკელმა გვარდიელებმა ბოლოს უკან დაიხიეს, ამასობაში უკანდახეული გვარდიელების მარჯვნიდან პავლიას გორის მიდამოებიდან, იქ სადაც დღეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტია ახალციხის გვარდიის ბატალიონმა ფლანგიდან ძლიერი ცეცხლი გაუხსნა ტანკების მიმყოლ რუსულ მსროლელ პოლკს და შეაჩერა. სექტორის მეთაურმა გენერალმა არტემ ჯიჯიხიამ, აკაკი კვიტაიშვილს უბრძანა მის დაქვემდებარებაში მყოფი, იმერეთის მეორე ბატალიონით პოზიციები დაებრუნებინა, ბატალიონი ორხევიდან დაიძრა, მას გზაში შეურთდნენ უკანდახეული ზუგდიდელი და სენაკელი გვარდიელები და უკვე ღამის სიბნელეში ყიჟინით შეუვარდნენ რუსებს სანგრებში, საღამოს ცხრის ნახევრისთვის სანგრები სრულად გაწმინდეს , ერთ-ერთი ტანკი ,,ვჩიომ დელო“ კი ხრამში გადავარდა და ძლიერ დაზიანდა. გენერალმა ჯიჯიხიამ დაათვალიერა დაბრუნებული პოზიცია და პოზიციის დაბრუნების შესახებ მთავარსარდლის შტაბს აცნობა.[714] ამ ფაქტს ადასტურებს მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას ადიუტანტი კოტე იმნაძეც. იგი 24 თებერვალს მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად მთავარსარდლის შტაბში იმყოფებოდა, სააპარატო ოთახიდან მან საკუთარი ხელით მიუტანა მთავარსარდალ კვინიტაძეს გენერალ ჯიჯიხიას პატაკი - ბოლშევიკების ტანკები იძულებული გავხადეთ ჩვენი სანგრები

[714] აკაკი კვიტაიშვილი. ზოგი რამ ისტორიულ ფაქტებზე. ჟურნ. *,,მხედარი“*. პარიზი. N14-15, 1933, გვ.104-105; აკაკი კვიტაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. გვ.128.

მიეტოვებინათ , გარღვეული ხაზი აღდგენილია და გვარდიელთა სულისკვეთება მტკიცეო.[715] თბილისის თავდაცვის მარცხენა სექტორში 25 თებერვლის ღამის 1 საათის შემდეგ მოძრაობდა ინჟინერი იოსებ მამაცაშვილი, რომელიც დივერსანტთა რაზმის წევრებთან ერთად თბილისიდან უკანდახევის წინ ხიდებს აფეთქებდა, იმ დროისთვის როგორც მისი მოგონებით სჩანს, ქართველების თავდაცვის ხაზი გარღვეული არ ყოფილა და სანგრებს აწესრიგებდნენ. მხოლოდ დილის 5-6 სააათზე, როცა კახეთის გზატკეცილით თბილისისკენ უკანასკნელი , ფეხით მოსიარულე ჩამორჩენილი ჯარისკაცები იხევდნენ , ისინი კახეთის გზატკეცილიდან ბოლშევიკების ტანკის შესაძლო მოახლოებას უფრთხოდნენ.[716] მამაცაშვილის ცნობაც ირიბად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ წითლების ტანკები ქართველებმა მოიგერიეს და 25 თებერვალს საკუთარი პოზიციების მოწესრიგებით შეხვდნენ, ქართველები ტანკების შესაძლო მოახლოებას მხოლოდ მას შემდეგ უფრთხოდნენ რაც ქალაქის დატოვების ბრძანება მიიღეს და პოზიციებს უკანასკნელი ჯარისკაცები ტოვებდნენ.

წითლების ტანკები თბილისში მაინც შევიდნენ, ოღონდ მას შემდეგ რაც ქართულმა ჯარმა ალყაში მოხვედრის საფრთხის გამო თბილისი თავად დატოვა. რუსული ტანკების ეკიპაჟის წევრები კი მაინც დაჯილდოვდნენ წითელი დროშის ორდენებით.[717] რუსებმა თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში ქართული არმიის გაუმართავი ტანკები იპოვეს. 1921 წლის 20 მარტს მე-11 არმიის ჯავშანძალების მეთაური ზუნი, საბჭოთა საქართველოს სამხედრო და საზღვაო ძალების კომისარს სწერდა, რომ ტანკ N9330-ის გარემონტება მხოლოდ ცენტრის დიდი ქარხნებში შეიძლებოდა, ამიტომ სთხოვდა ნებართვას ტანკი მოსკოვში გაეგზავნათ , როგორც რუსეთისადმი საქართველოს მთავრობის საჩუქარი , საბოლოოდ ორივე ქართული ტანკი რუსულ არმიას გადაეცა.[718] მათგან ერთ-ერთს N 9146-ს, საოცარი ისტორია გადახდა თავს. 1921 წლისათვის ამ ტანკს უკვე მოესწრო სამსახური ბრიტანეთის არმიაში, პირველი მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე. 1919 წელს ბრიტანელებმა ტანკი თეთრებს გადასცეს და საბრძოლო მანქანას რუსეთის სამოქალქო ომში მოუხდა ჩართვა, 1920 წელს დამარცხებულმა თეთრებმა ის ქართველებს გადასცეს. ტანკი

[715] კოტე იმნაძე. თბილისის დატოვება. მასალა ისტორიისთვის. ჟურნ. *,,განთიადი“*. ქუთაისი. N2, 1990.. გვ.138-139
[716] იოსებ მამაცაშვილი. გვ.15-18.
[717] В. Зун. с.23.
[718] Максим Коломиец. Танки в Гражданской Войне. с.118; 140.

საკუთარი სვლით შევიდა დარიალის ხეობაში, ხოლო შემდეგ კი ქართველები თვეების განმავლობაში ცდილობდნენ მის ჩატანას მაღალმთიანი რეგიონიდან თბილისში. თბილისში ჩატანილი ტანკი ვერაფრით გაარემონტეს, 1921 წელს თბილისში წითელი არმია შევიდა და N 9146-ი ,,დასთან" N 9330-თან ერთად რუსეთის გზას გაუყენეს. 1920-იან წლებში ტანკი საბორტე ნომრის 9146-ი წითელი არმიის რიგებში ირიცხებოდა, იყო შემთხვევები როდესაც შიმშილობის პერიოდში მას ტრაქტორის ფუნქციასაც ასრულებინებდნენ მიწის მოხვნის მიზნით. 1920-იანი წლების ბოლოს 1930-იანი წლების დასაწყისში წითელმა არმიამ, პირველი მსოფლიო ომის პერიოდის მოძველებული ტანკები ახლებით ჩაანაცვლა. 1938 წელს გადაწყვიტეს, რომ წითელი არმიის საწყობებში შენახული ჩამოწერილი ტანკები, მათ შორის 10-ზე მეტი Mark V სხვადასხვა ქალაქში გამოეფინათ, როგორც სამოქალაქო ომის პერიოდის სამახსოვრო ექსპონატი. ტანკი N 9146-ი, კიდევ ერთ Mark V-თან ერთად , რომლის კამუფლირებაც შეცვლილი იყო და ძველი საბორტე ნომერი არ ეტყობოდა, ქალაქ სმოლენსკში უსპენსკის კათედრალის წინ გამოფინეს, თავად კათედრალში კი ანტირელიგიური მუზეუმი იყო მოწყობილი. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, 1941 წლის ზაფხულში გერმანელებმა სმოლენსკი აიღეს . ქალაქში მყოფი გერმანელი ოფიცრების და ჯარისკაცების ერთ-ერთ გასართობს პირველი მსოფლიო ომის პერიოდის ორ ტანკთან მათ შორის N 9146-თან ფოტოების გადაღება წარმოადგენდა. მალე მათ ეს ორი ტანკი ბერლინში გააგზავნეს, სადაც ისინი ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე ლიუსტერგარტენის პარკში გამოფინეს ძველი მუზეუმისა (Altes Museum) და ბერლინის კათედრალის წინ . 1945 წელს, ბერლინზე საბჭოთა არმიის შტურმის დროს უნომრო ტანკი ძლიერ დაზიანდა, ხოლო N 9146-ს არაფერი მოხვედრია და ბერლინის აღების შემდეგ ამჯერად მასთან ჯერ საბჭოთა ჯარისკაცები, ხოლო მოგვიანებით მოკავშირეები იღებდნენ ფოტოებს.[719]

Mark V-მა საბორტე ნომრით 9146-ი, იმსახურა ბრიტანულ არმიაში, თეთრებთან, ქართულ ჯარში, წითელ არმიასა და ბოლო ნაცისტურ გერმანიაში ამოყო თავი. მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში, რუსეთის სამოქალაქო ომში, რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომს თვალს ,,ადევნებდა"თბილისის რკინიგზის

[719] Александр Целуев. Судьба ,,Смолннского" Танка. *Музейный вестккник, Выпуск X.* Смолннск 2019. С.244-249; Максим Коломиец. Танки в Гражданской Войне. с.125.

სახელოსნოებიდან, იმსახურა წითელ არმიაში, რიგ შემთხვევებში ასრულებდა ტრაქტორის ფუნქციას, სამუზეუმო ექსპონატად შეხვდა ჯერ 1941 წელს გერმანელების მიერ სმოლენსკის აღებას , ხოლო 1945 წელს კი ბერლინში , ბერლინის აღებას საბჭოთა ჯარების. გამარჯვების შემდეგ მოკავშირეები ,,მოხუცის“ ფონზე ერთხანს ფოტოებს იღებდნენ, შემდეგ კი ბევრის მნახველი ტანკი ჯართად დაჭრეს.

2.5 რესპუბლიკის ავიაცია

ძმები რაიტების გენიალურმა გამოგონებამ სამხედრო სტრატეგებს წინ ახალი ჰორიზონტი გადაუშალა და ძალიან მალე იტალია-ოსმალეთისა (1911-1912 წწ.) და ბალკანეთის ომებში (1912-1913 წწ.) , შემდეგ პირველ მსოფლიო ომში საბრძოლო მოქმედებებს კიდევ ერთი - საჰაერო განზომილება დაემატა. თავდაპირველად თვითმფრინავების დანიშნულება მოწინააღმდეგის დაზვერვა და საარტილერიო ცეცხლის კორექტირებას წარმოადგენდა. მალევე მათ გამანადგურებლის, მოიერიშისა და ბომბდამშენის მოკრძალებული თვისებებიც შეიძინეს. პირველი მფრინავები ერთმანეთს რევოლვერებით უპირისპირდებოდნენ და მოწინააღმდეგის პოზიციებს ბომბებს ხელით უშენდნენ, შემდეგ კი აეროპლანებზეე ტყვიამფრქვევებიც დააყენეს და ბომბსაკიდებიც. ბომბდამშენებს 1916 წლიდან უკვე ღამის პირობებშიც შეეძლო მოწინააღმდეგის დაბომბვა. მსოფლიო ომის 4 წლის განმავლობაში საკმაოდ სწრაფად და საგრძნობლად გაიზარდა ავიაციის საბრძოლო-ტექნიკური პარამეტრები: ძრავის სიმძლავრე, სიჩქარე, ფრენის რადიუსი, ფრენის ხანგრძლივობა, სიმაღლე, საბრძოლო დატვირთვა და სხვა საბრძოლო თუ ტექნიკური მახასიათებელი.[720] ავიაციის როლის ზრდაზე მეტყველებს თვითმფრინავების რაოდენობის ზრდა პირველი მსოფლიო ომის დროს. თუ ომის საწყის პერიოდში, 1914-1915 წლებში, ომში ჩართულმა ქვეყნებმა ერთად 12 649 აეროპლანი გამოუშვეს, 1917-1918 წლებში გამოშვებული აეროპლანთა რიცხვი 143 286-მდე გაიზარდა, 1914 წელს ომის დასაწყიში მეომარ მხარეებს

[720] А. А. Строков. Вооруженные силы и военное искуство в Первой мировой войне . С.593-594.

საბრძოლო მწყობრში მთლიანობაში 600-მდე აეროპლანი ჰყავდათ, რეზერვში კი 1000-მდე, 1918 წელს კი მწყობრში 10 000 ხოლო ზურგში კი დამატებით 50 000. [721]

საფრენოსნო საქმის განვითარებას ყურადღებას აქცევდა რუსეთის იმპერიაც, მაგრამ ის ამ მხრივ მნიშვნელობნად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებს. იმპერიაში საავიაციო სასწავლებლების დაარსებასთან ერთად, საავიაციო მრეწველობასაც ჩაეყარა საფუძველი. გამოჩნდნენ მფრინავები და მფრინავ-კონსტრუქტორები, მათ შორის ქართველები: ბესარიონ ქებურია, ალექსი შიუკაშვილი, მიხეილ გრიგორაშვილი და სხვები.[722] რუსეთის საიმპერიო არმია ავიაციას პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზეც იყენებდა და შემდეგში ამ ფრონტზე არსებული საავიაციო ტექნიკა ძირითადად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დარჩა. მსოფლიო ომის დასაწყისისათვის კავკასიის ფრონტზე მხოლოდ ერთი - ყარსის ავიარაზმი იყო ჩამოყალიბებული, 1916 წლისათვის კი კავკასიის ფრონტზე რუსულ არმიის ოთხი ავიარაზმი ჰყავდა. 1916 წელს თბილისში ამოქმედდა საავიაციო სკოლა.[723] 1917 წლის მარტში სკოლამ მფრინავების პირველი პარტია გამოუშვა, მათ შორის ორი ქართველიც იყო - დავით სეხნიაშვილი და გრიგოლ მოლაშხია.[724] 1917 წლის პირველი ივნისისათვის ოთხივე ავიარაზმში 104 აეროპლანი ირიცხებოდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი საფრენად აღარ გამოდგებოდა, ამავე წლის 11 ოქტომბრისათვის კი ოთხივე ავიარაზმში მხოლოდ ათამდე ,,Nieuport XXI", ,,Caudron 3", და ,,Caudron 4" საფრენი აპარატი იყო გამართულ მდგომარეობაში.[725]

რუსეთის 1917 წლის რევოლუციების შემდეგ, კავკასიის ფრონტის ნაწილების ნაციონალიზაციის პარალელურად , საავიაციო ნაწილების გაეროვნულების პროცესი დაიწყო. კავკასიის ფრონტის სარდლის ბრძანებით ქართული კორპუსის

---

[721] Мировая Война В Цифрах. С. 41-45.

[722] იური ავალიანი. საქართველოს ავიაცია, წარსული-აწმყო-მომავალი. თბილისი: ,,თობალისი", 2001, გვ. 8-10. ალექსი შიუკაშვილი 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკების სამსახურში ჩადგა და რუსეთის სამოქალაქო ომში მეთაურობდა სხვადასხვა ფრონტის ავიაციას. იხ. მარკ ტრასკუნოვი, საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები. გვ.76.

[723] С. В. Аверченко, В.В. Кушнерёв, Российская авиация на Кавказском фронте в годы Первой мировой войны (1914-1918г.г) *Военно-исторический журнал, N8 2014*, с.10-18.; თემურ ჩაჩანიძე. საფრენოსნო საქმისა და ავიაციის დასაწყისი საქართველოში.ჟურნ. *„არსენალი“.* N3(20), 2006. გვ.43.

[724] Кушнерёв Валерий Владимирович. История становления отечественной Авиации в Кавказском регионе в 1914–1930-е гг. Диссертация на соискание учёной степени кандидата исторических наук. Краснодар . 2020. с.48

[725] თემურ ჩაჩანიძის . საფრენოსნო საქმისა და ავიაციის დასაწყისი საქართველოში. გვ.44.

შემადგენლობაში მყოფ ქართულ საავიაციო რაზმს 1918 წლის იანვარში გადაეცა 5 მზვერავი აეორპლანი შესაბამისი აღჭურვილობით.[726] 1917-1918 წლების მიჯნაზე, დაშლის პირას მყოფი კავკასიის ფრონტიდან აეროპლანების უდიდესი ნაწილი, თბილისში გადაიტანეს.[727]

ქართული ავიაცის შექმნის საქმეს სათავეში ჩაუდგა კავკასიის ფრონტის გამორჩეული მფრინავი, მეორე საავიაციო რაზმის მეთაური , 1917 წლის 19 სექტემბრიდან ახალგაზრდულ 29 წლის ასაკში უკვე პოდპოლკოვნიკის წოდების მქონე[728] მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც მფრინავებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა . მის ანგარიშზე კავკასიის ფრონტზე ბევრი წარმატებული საბრძოლო გაფრენა იყო და, ამავდროულად, ის იყო ერთადერთი მფრინავი, ვინც კავკასიის ფრონტზე მოწინააღმდეგის აეროპლანის ჩამოგდება შეძლო საჰაერო ბრძოლაში.[729] მან ერზინჯანის სიახლოვეს საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდო იმხანად დამწყები მფრინავი,

---

[726] ნუგზარ გელოვანი. სამხედრო-საჰაერო ძალები 1918-1921 წლების საქართველოში. გვ.42-43.

[727] Кушнерёв Валерий. История становления отечественной Авиации в Кавказском регионе в 1914–1930-е гг. с.68.

[728] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 671. ფურც.27.

[729] მაჭავარიანმა ჩამოაგდო ლეგენდარული თურქი მფრინავი და თურქული ავიამშენებლობის ფუძემდებელი ვეჩიჰი ჰურკუში. საინტერესოა, რომ აუგუსტ ბლუმი, მაჭავარიანს მეორე ოსმალური აეროპლანის ჩამოგდებასაც მიაწერს, რომელსაც მართავდნენ მფრინავი ვედიგი ფეგამი და ვეჩიჰი ვახნესი. იხ. August G. Blume. The Russian Military Air Fleet in World war one. Vol I, „Schiffer Publishing“, 2010, p.330. ის, რომ მაჭავარიანმა მოწინააღმდეგის მხოლოდ ერთი აეროპლანი ჩამოაგდო, მისივე მემუარებითაა ცნობილი. ქართველი მფრინავი აღწერს სამ საჰაერო ბრძოლას, რომელიც თავს გადახდა. ორ დაპირისპირებაში მას მოწინააღმდეგე გაექცა, ხოლო მესამეში მან მოწინააღმდეგე ჩამოაგდო. მაჭავარიანი წერს, რომ ჩამოგდებული თვითმფრინავის დატყვევებული მფრინავები იყვნენ ვედიგი ფეგამი და ვეჩიჰი ვახნესი. იხ. Михаил Мачавариани, Глаза - На Юг. Тбилиси: ,,Мерани“, 1969, с.116-122. სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე? რეალურად ვინ ჩამოაგდო მაჭავარიანმა - ჰურკუში თუ ფეგამი? საქმე ისაა, რომ ერთადერთ ოსმალური თვითმფრინავს, რომელიც კავკასიის ფრონტზე საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს 1917 წლის 25 სექტემბერს (ახ. სტილით 7 ოქტომბერს) მართავდა ვეჩიჰი ჰურკუში და მფრინავ-დამკვირვებელი ლეიტენანტი ბახატინი. რა გვაძლევს ამის თქმის საშუალებას? პირველ რიგში დატყვევებული მფრინავების ფოტოები, რომელზე თურქული ავიაციის ლეგენდა ვეჩიჰი ჰურკუშია გამოსახული. ასევე ის ფაქტი, რომ იმ დროისათვის კავკასიის ფრონტის ოსმალურ საავიაციო შენაერთებში არ ირიცხებოდა მფრინავი ვედიგი ფეგამი, ხოლო ჰურკუში კი ამ დროისათვის მეშვიდე საავიაციო ასეულში ირიცხებოდა. ამ ასეულმა 25 სექტემბერს საჰაერო ბრძოლისას ერთი აეროპლანი დაკარგა. დატყვევებულმა მფრინავმა ვეჩიჰი ჰურკუშმა, ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ კი სტამბულში გამოაქვეყნა სტატია, სადაც მან საჰაერო ბრძოლის დეტალები აღწერა. იხ. Эрджан Четинерлер, Турецкая Авиация на Кавказском Фронте, Перевод С Турецкого Сергей Николаев. - **აღებულია საიტიდან** - http://www.retroplan.ru/encyclopaedia.html?sobi2Task=sobi2Details&sobi2Id=985. სახელები კი როგორც სჩანს, თურქმა მფრინავებმა ტყვედ ჩავარდნისას რუსებს არასწორად უთხრეს და მაჭავარიანმაც ასე დაიმახსოვრა ისინი. ამ ვარაუდს ადასტურებს მათი დაკითხვის ოქმიც, სადაც ვეჩიჰი ჰურკუში, ვეჩიხი ფახალად, ხოლო მისი მეწყვილე კი ბოღატი ბაირამ-ოღლითაა დასახელებული - იხ. Российский Государственный архив Военно-морского флота. Фонд 353. Опись 2. Дело 16. Л.22 - სამწუხაროდ ჩემი კვლევა მიხეილ მაჭავარიანის და ვეჩიჰი ჰურკუშის საჰაერო ბრძოლის შესახებ, რომელიც პოპულარული ხასიათის ჟურნალ ისტორიანში დაიბეჭდა (დიმიტრი სილაქაძე, ერთი საჰაერო ბრძოლის ისტორია. მიხეილ მაჭავარიანი თურქული ავიაციის ლეგენდის, ვეჩიჰი ჰურკუშის წინააღმდეგ, ჟურნ. *„ისტორიანი“* N12(36), 2013, გვ.50-54.) თითქმის სიტყვასიტყვით გადაიწერეს ერთ-ერთ სტატიაში - ლატავრა ბუკია.პირველ მსოფლიო ომში (1914-1918) ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი სამხედრო მფრინავები. *ქართველური მემკვიდრეობა. XXIII.* ქუთაისი. 2019. გვ.50-52

ხოლო მოგვიანებით კი თურქული ავიამრეწველობის „მამა“, ლეგენდარული ავიაკონსტრუქტორი და მფრინავი ვეჩიჰი ჰურკუში.[730]

1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ქართველებმა რამდენიმე აეროპლანი წყობრში ჩააყენეს, რომლებითაც ქართველი მფრინავები სადაზვერვო ფრენებს ახორციელებდნენ კავკასიაში შემოჭრილი ოსმალური ნაწილების წინააღმდეგ.[731] დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართული არმიის სამსახურში ჩადგენენ ყოფილი კავკასიის ფრონტის რუსეთის არმიის არა მხოლოდ ეროვნებით ქართველი, არამედ არაქართველი მფრინავები და ძრავის სპეციალისტები: რუსანოვი, კუკურეჩკინი, ეგოროვი, ვიტუხინი, ამოსოვი, შტორი და სხვა. რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდნენ გამოცდილი ქართველი მფრინავები: ნიკოლოზ და ალექსანდრე მაყაშვილები; ავალიანი; დავითაშვილი; ახალბედა მფრინავები სტროევ-რატიშვილი; სეხნიაშვილი; თოხაძე, ხეჩინაშვილი და სხვა.[732] ყველა მათგანს საკუთარი მოვალეობა პირნათლად არ შეუსრულებია. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამოდენიმე კვირაში სამხედრო მფრინავი, კაპიტანი რუსანოვი, რომელსაც ერთ-ერთი რაიონის დაზვრევა ჰქონდა დავალებული ჩრდილო კავკასიაში გადაფრინდა.[733]

საავიაციო ქვედანაყოფი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 1918 წლის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურაში საინჟინრო-სატექნიკო ძალების შემადგენლობაში შევიდა და სამმართველოს, ორი რაზმის, თითოეულ რაზმთან რადიოტელეგრაფის განყოფილების, საავიაციო სკოლისა და საავიაციო პარკისაგან შედგებოდა.[734] 1919 წლის ზაფხულში მომხდარი რეორგანიზაციის დროს კი, საავიაციო ქვედანაყოფის შემადგენლობა საავიაციო გუნდითა (ასეული) და სკოლით განისაზღვრა.[735] 1919 წლის 31 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი, მფრინავთათვის ფრენის გამო დამატებითი გასამრჯელოს მიცემის შესახებ. მფრინავი გამომცდელი აეროპლანის გამოცდისთვის იღებდა 400 მანეთს, ასევე ძირითადი

---

[730] Эрджан Четинерлер, Турецкая Авиация на Кавказском Фронте, Перевод С Турецкого Сергей Николаев. - **აღებულია საიტიდან** - http://www.retroplan.ru/encyclopaedia.html?sobi2Task=sobi2Details&sobi2Id=985

[731] Михаил Мачавариани. Глаза - На Юг. с.145-146.

[732] Михаил Мачавариани. с. 144.

[733] დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანი (1918-1921), გვ.24. გენერალი კვინიტაძე პრესაში გამოქვეყნებულ ბრძანებაში წერს, რომ რუსანოვს დავალებული ჰქონდა ერთ-ერთი რაიონის დაზვერვა, ხოლო საკუთარ მოგონებებში აღნიშნავს, რომ რუსანოვი სავარჯიშო ფრენას ახორციელებდა. ix. Генерал Г. И. Квинитадзе. с.44.

[734] სცსა. ფ.1836, აღ.1, ს.192. ფურც.12-15.

[735].სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.1.

ხელფასის გარდა, მფრინავებს უნაზღაურდებოდათ თვეში მაქსიმუმ 15 ნაფრენი საათი. თვეში ნახევარი საათი იყო ფრენის მინიმალური ხანგრძლივობა რომელზედაც ავიატორებს დამატებითი თანხა 70 მანეთი ეძლეოდათ , ხოლო პირველ ერთ საათ ფრენაზე გასამრჯელო 130 მანეთი იყო, ყოველ შემდეგ საათზე ერთი საათის საპრემიო თანხა ათი მანეთით მცირდებოდა, მეათედან-მეთხუთმეტე საათის ჩათვლით კი თანაბარ 40-40 მანეთს შეადგენდა.[736] გამოდიოდა, რომ მფრინავს თვიური 15 საათის ფრენის შემთხვევაში დამატებით 1050 მანეთის გამომუშავება შეეძლო. ფრენის ხანგრძლივობისთვის დამატებითი ანაზღაურების თანხა, მოგვიანებით კიდევ რამდენჯერმე გაიზარდა თუმცა ხელფასისა თუ დანამატის ეს ზრდა, ახლოსაც ვერ მივიდოდა ინფლაციის და ფასების ზრდის ტემპთან.

1921 წლის იანვარში სამხედრო სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა, საავიაციო გუნდის საავიაციო დივიზიონად გაფართოების პროექტი. პროექტი მთავრობამ მოიწონა და დაადგინა, რომ დამფუძნებელი კრებისთვის მომზადებულიყო სათანადო დეკრეტი შტატების გადიდებისთვის საჭირო თანხის მისაღებად.[737] რისი განხორციელებაც საქართველოში საბჭოთა რუსეთის შეჭრის გამო ვერ მოესწრო.

თბილისის საავიაციო სკოლა მფრინავებსა და მფრინავ-მეთვალყურეებს ამზადებდა. სკოლაში არსებობდა 9-თვიანი თეორიული კურსი, რის შემდეგაც იწყებოდა სასწავლო ფრენები. მოგვიანებით, მფრინავ-მეთვალყურეთა მოსამზადებელი დაჩქარებული ოთხთვიანი კურსებიც გაიხსნა. ქართველი მფრინავები დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე არა მხოლოდ აღლუმებზე დაფრინავდნენ, არამედ: სომხეთთან ომში, შავიზღვისპირეთში დენიკინის წინააღმდეგ თუ ახალციხის ფრონტზე სერვერ-ბეგის წინააღმდეგ მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში, რთულ პირობებში დაფრინავდნენ და ასრულებდნენ სამხედრო დავალებებს.[738] ავიაციის ქვეით ნაწილებთან და არტილერიასთან ერთად კოორდინირებული და კომბინირებული მოქმედების კარგი მაგალითია სომხეთ-საქართველოს ომში შულავერის მისადგომებთან 1918 წლის 25 დეკემბერს ქართველი ქვეითების შეტევაზე გადასვლის წინ, მოწინააღმდეგის პოზიციები დაბომბვა აეროპლანებისა და არტილერიის

[736] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.5.
[737] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1392. ფურც.9-13; 15-16.
[738] ნუგზარ გელოვანი. გვ.44-45.

ცეცხლის საშუალებით.[739] 2 აგვისტოს დაწესდა ქართული ავიაციის სადღესასწაულო დღე, იგივე ავიაციის დღე, მაგალითად 1920 წლის 2 აგვისტო შემდეგნაირად აღინიშნა - საავიაციო გუნდის აეროდრომზე თავი მოიყარეს მთავრობისა და შეიარაღებული ძალების მაღალჩინოსნებმა; 12 აეროპლანი მაყურებელთა თვალწინ ასრულებდა უმაღლესი პილოტაჟის რთულ ფიგურებს, დღის ბოლოს გაიმართა ბანკეტი.[740] მფრინავების საფრენ პრაქტიკაზე წარმოდგენას გვიქმნის, 1920 წლის ზაფხულის ორი სხვადასხვა თვის ფრენის საერთო ხანგრძლივობის მონაცემები. საინჟინრო-სატექნიკო ძალების 15 ივლისის დოკუმენტით ჩანს, რომ ერთი თვის მანძილზე საავიაციო გუნდს 506 საათი და 15 წუთი უფრენია, ხოლო 23 აგვისტოს მონაცემებით კი ბოლო თვის მანძილზე მფრინავებს ჯამში 436 საათი უფრენიათ.[741]

ქართულ შეიარაღებულ ძალებს კავკასიის ფრონტის საავიაციო ტექნიკიდან მემკვიდეობით რამდენიმე ათეული ფრანგული, ბრიტანული და რუსული წარმოების საფრენი აპარატი დარჩა. მიხეილ მაჭავარიანის მოგონების თანახმად ეს აპარატები ძირითადად მოძველებულ: ,,Farman 7", ,,Farman 16", ,,Morane-parasole", ,,Voisin", ,,Lebed XII", ერთძრავიან და ორძრავიან ,,Caudron"-ს და ,,Nieuport-XXI"-ს ტიპს წარმოადგენდა.[742] ,,Farman"-ების კონკრეტული მოდელი მაჭავარიანს სავარაუდოდ არასწორად ახსოვდა , 1917 წლის 1 ივნისის მონაცემებით კავკასიის ფრონტის შეიარაღებაში 1912 წელს გამოშვებული ,,Farman 7", ,,Farman 16" არ ყავდა, მაგრამ ყავდა 1913 წელს გამოშვებული ,,Farman 27" და 1915 წლის ,,Farman 30".[743] მიუხედავად ამისა ეს ,,Farman"-ები და სხვა აეროპლანებიც უკვე საკმაოდ მოძველებული იყო, რადგანაც მათი ნაწილი ან პირველ მსოფლიო ომამდე აიგო, ან კიდევ პირველი მსოფლიო ომის საწყის წლებში. ამ აპარატებზე დამონტაჟებული იყო მოძველებული ,,გნომის", ,,რონისა" და ,,სალსონის" ტიპის ძრავები, რომელთა საფრენოსნო რესურსი არათუ ამოწურული იყო, არამედ პრაქტიკაში მათი გამოყენება რამდენჯერმე აღემატებოდა ძრავების საათობრივად განსაზღვრულ შესაძლებლობას.[744] ამ საფრენი აპარატების

---

[739]არჩილ ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. გვ.389-390.

[740] ავიაციის დღესასწაული. *გაზ. „ერთობა“,* N175, 1920 წ. 5 აგვისტო. გვ.2.

[741] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 52. ფურც.34-35; ფურც.48

[742] Михаил Мачавариани. с.145. ,,Morane-parasole" ,,Morane-Saulnier"-ის არაოფიციალური სახელია და მიხეილ მაჭავარიანიც ასე მოიხსენიებდა საკუთარ მემუარში.

[743] П.Д. Дузь. История воздухо-плавания и Авиации в России. Москва: ,,Машиностроение" , 1986, с.103.

[744] ნუგზარ გელოვანი. სამხედრო-საჰაერო ძალები 1918-1921 წლების საქართველოში.გვ.46.

სიძველის შემხედვარე ბრიტანელმა მფრინავმა, რომელსაც ქართველმა კოლეგებმა შესთავაზეს ქართული აეროპლანით გაფრენილიყო, მტკიცე უარი განაცხადა და ქართველ კოლეგებს უთხრა - ,,მე ისეთი გმირი არა ვარ , რომ ვიფრინო თქვენ აპარატებზე."[745] ცუდ მდგომარეობაში იყო ნავთლუღის აეროდრომი, რომლის არასაკმარისი სიგანე, უსწორმასწორო ზედაპირი, მდებარეობის გამო თითქმის მუდმივად მქროლავი ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარები აეროპლანების ,,უხერხულ" დაჯდომებს და ავარიებს იწვევდა.[746] მოძველებულ აეროპლანებსა და აეროდრომის პრობლემებთან ერთად, საინჟინრო-სატეხნიკო ძალების მეთაური, გენერალი თაყაიშვილი მფრინავების მდგომარეობის შესახებ 1921 წლის იანვარში გაკეთებულ მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებდა იმ რთულ გარემოზე რაშიც მფრინავებს უწევდათ სამსახური. გენერალი აღნიშნავდა, რომ მფრინავების სულიერი სიმშვიდე, საკუთარი საფრენი აპარატის სანდოობის რწმენა, დასვენებული სხეული და გონება წარმატებული ფრენისათვის ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. ქართველი მფრინავები კი ამ ყველაფერს მოკლებულნი იყვნენ, მათი აეროპლანები გაუმართავი იყო , მფრინავების ორგანიზმი ზედმეტი მუშაობითა და ცუდი კვების გამო დასუსტებულიყო, რაც ხანგრძლივი ფრენის დროს თავბრუსხვევას იწვევდა, გარდა პირდაპირი მოვალეობისა მფრინავებს ადმინისტრაციული საქმეების შესრულებაც უწევდათ და სარემონტო თუ დამტვრეული აეროპლანების აწყობა-შეკეთებაც მათ კისერზე გადადიოდა.[747]

მოძველებული და გაუმართავი საფრენი აპარატები, ნავთლუღის აეროდრომის ცუდი მდგომარეობა, მფრინავთა მძიმე სამუშაო გარემო ხშირ საავიაციო კატასტროფებს იწვევდა. 1918 წელს ფრენისას ავარია განიცადა 18-მა აპარატმა, საიდანაც 4 მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. 1919 წელს მოხდა 32 ავარია და 6 აეროპლანი ვეღარ აღადგინეს. 1920 წლის იანვრიდან-სექტემბრამდე კი 29 საავიაციო შემთხვევის შემდეგ 7 საფრენი აპარატი ვეღარ აღდგა. საავიაციო შემთხვევებს ემსხვერპლნენ მფრინავები: საავიაციო ასეულის მეთაურის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი მაიორი ნიკოლოზ მაყაშვილი; ლეიტენანტი პროკლე კილტავა; პოდპორუჩიკი გრიგოლ მალაშხია.[748]

---

[745] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1392. ფურც.6.
[746] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1392. ფურც.7.
[747] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1392. ფურც.7-8.
[748] ნუგზარ გელოვანი. სამხედრო-საჰაერო ძალები 1918-1921 წლების საქართველოში.გვ.46.

საავიაციო პარკის განახლების მიზნით 1919 წლის 28 ივნისს საინჟინრო-სატექნიკო ძალების სარდალმა - თაყაიშვილმა გენერალური შტაბის უფროსს მისწერა, რომ ქართული ავიაციის არსებობის ერთი წლის მანძილზე დაიმტვრა 27 აეროპლანი. მართალია დამტვრეული აეროპლანების შეკეთება მიმდინარეობდა, მაგრამ მათი გამოყენება მხოლოდ სასწავლო მიზნით თუ შეიძლებოდა. მოძველებული საფრენი აპარატების ჩასანაცვლებლად თაყაიშვილი ითხოვდა, რომ დასავლეთ ევროპაში გაეგზავნათ მფრინავები, რათა მათ აერჩიათ 2-4 ,,Caudron''-ის სისტემის აეროპლანი. თითო საფრენი აპარატი ღირდა 18 000 ფრანკი, ერთი ფრანკი კი იმ დროისათვის 15 მანეთის ტოლფასი იყო, ორი აეროპლანისათვის საჭირო იქნებოდა 640 000 მანეთი, თაყაიშვილი საკითხის სწრაფად გადაჭრას ითხოვდა.[749] რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ ამავე წლის 4 ივლისს განიხილა საკითხი და დაადგინა, რომ მთავრობისათვის მოეთხოვათ საჭირო თანხა, რათა სამხედრო უწყებას შეეძინა 4 ,,Caudron''-ის სისტემის აეროპლანი.[750] მთავრობის სხდომაზე კი გადაწყდა, რომ იტალიელების შემოსვლის გამო[751] არსებობდა ხელსაყრელი მდგომარეობა იტალიელებისაგან შეეძინათ იტალიური წარმოების საფრენი აპარატები, და თან ეთხოვათ, თავად იტალიელებს ჩამოეტანათ საფრენი აპარატები თავიანთი ეშელონებით საქართველოში. ამით დაიზოგებოდა ტრანსპორტირების ხარჯები და ქართულ შეიარაღებულ ძალებს ეყოლებოდათ უახლესი კონსტრუქციის, ზუსტად მთიანი პირობებისათვის შექმნილი საფრენი აპარატები. სახელმწიფო კონტროლმა მთავრობას ნება მისცა აღნიშნული საქმისათვის გამოეყოთ გენერალ თაყაიშვილის მოთხოვნილზე ორჯერ მეტი, თანხა, მაგრამ არაუმეტეს 1 300 000 მანეთისა.[752] იტალიაში, 1919 წლის ივნისში ხელისუფლების ცვლილებამ აღნიშნული გეგმა ჩაშალა. 1919-1920 წლების სახელმწიფო ბიუჯეტში, სამხედრო სამინისტროს ხარჯებში 10 979 640 მანეთი გადაიდო სამხედრო-საჰაერო ფლოტის შენახვისა და ახალი აეროპლანების შესაძენად.[753]

[749] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 289. ფურც. 1.
[750] სცსა. ფონდი 2037. აღწერა.1. საქმე 10., ფურც. 1.
[751] საქართველოში ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ იტალიაში მთავრობის ცვლილების გამო საქართველოზე მანდატის აღებაზე უარი თქვეს.
[752] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 289. ფურც. 3-6.
[753] სცსა. ფონდი 1891. აღწერა 1. საქმე 491. ფურც.18.

სანამ ქართველი პოლიტიკოსები და სამხედროები ახალი თვითმფრინავების შეძენას ცდილობდნენ, რუსეთის სამოქალაქო ომს გამოქცეული ბრიტანული წარმოების ლეგენდარული 4 ,,Sopwith Camel" ტიპის აეროპლანი საქართველოს პირდაპირი გაგებით ციდან მოევლინა. 1920 წლის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა დაიკავეს ჩრდილო კავკასია, მოხალისეთა არმიის მეექვსე ავიარაზმის მფრინავებმა 1920 წლის მარტის თვეში თავს თბილისში გადაფრენით უშველეს. ახალი გამანადგურებლები ქართული არმიის საავიაციო პარკს შეუერთდა.[754] რუსული ისტორიოგრაფიის მონაცემებით რუსი მფრინავები ქართული არმიის საავტომობილო ქვედანაყოფში ჩაირიცხნენ მძღოლებად.[755] ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც ერთ-ერთი ,,თეთრი" რუსი მფრინავი პიშვანოვი საავიაციო ქვედანაყოფის მფრინავების სიაში გვხდება როგორც ქართულ დოკუმენტებში, ისე რუსეთის სამხედრო ატაშეს მიერ შედგენილ დოკუმენტებში.[756] ,,გაქართულებული" ,,აქლემების" შემორჩენილი ორი ფოტოს მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ არმიას თეთრებისგან ,,Sopwith Camel F.1" მოდელის აეროპლანები ერგო. [757] ბრიტანული გამანადგურებლის პირველი პროტოტიპი 1916 წლის ბოლოს აფრინდა ჰაერში, ხოლო შეიარაღებაზე 1917 წლის პირველ ნახევარში მიიღეს. თვითმფრინავს ჰქონდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ,,ქემალებმა" პირველ მსოფლიო ომში 1917-1918 წლებში მოწინააღმდეგის 1294 თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რაც გამანადგურებლებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. მანევრირებას და სიჩქარეში, 4000 მეტრ სიმაღლემდე თითქმის ომის ბოლომდე მას კონკურენტი არ ყავდა, მაგრამ მფრინავი ,,აქლემები" გამოუცდელი მფრინავებისათვის საკმაოდ რთული სამართავი გახლდათ. ამისი ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას, ,,ქემალის" 385 მფრინავი არასაბრძოლო ვითარებაში გარდაიცვალა, მაშინ, როცა ბრძოლისას ოდნავ მეტი 415 კაცი დაიღუპა. აეროპლანის მართვისას პრობლემას წარმოადგენდა მანევრირების ასიმეტრიულობა, კერძოდ უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა ,,კასრის" შესრულების

[754] В. К. Хечинов, История летания в Грузии, Часть 1-я. Тифлис : ,,Госиздат'' 1935, с.105; Вячеслав Кондратьев, Марат Хайрулин, Авиация Гражданской Войны. Москва: ,,Техника-Молодежи", 2000, с. 67.

[755] Вячеслав Кондратьев, Марат Хайрулин. с. 67.

[756] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 208. ფურც.246; სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 2. ფურც. 237.

[757] Вячеслав Кондратьев, Марат Хайрулин. с.155. პირველ ფოტოზე ქართული არმიის ,,Sopwith Camel"-ი ანგარის წინ დგას, ხოლო მეორე ფოტოზე ნახევრად დამსხვრეული, ჩამოვარდნილი ,,Sopwith Camel"-ია ასახული. პირველ ფოტოზე თვითმფრინავის ფიუზელაჟზე, ხოლო მეორე ფოტოზე კი ფრთებზე კარგად ჩანს ქართული ავიაციის განმასხვავებელი ნიშანი - წმინდა ნინოს ჯვარი.

სირთულე მარცხენა მხარეს. ასევე, მოხვევა მარცხნივ უფრო სწრაფად სრულდებოდა ვიდრე მარჯვნივ, ხოლო დაბალ სიჩქარეზე ფრენისას ,,ქემალი" ხშირად ვარდებოდა ,,შტოპორში“. პირველი მსოფლიო ომის ცნობილი ,,ასი", ამერიკელი მფრინავი ელიოტ სპრინგსი ამბობდა, რომ მას არ სურდა ,,ქემალებით" ფრენა.[758] რაც შეეხება გამანადგურებლის საბრძოლო და ტექნიკურ პარამეტრებს: ეკიპაჟი - 1 კაცი; ძრავი - კლარჯეტის, ბენტლის, რონის სხვადასხვა მოდიფიკაციის ძრავი სიმძლავრე 110-170 ცხ.ძ; თვითმფრინავის ზომები - 8,5X5,7X2,6მ.; ცარიელი თვითმფრინავის წონა - 403-475 კგ.; მაქსიმალური ასაფრენი წონა - 645-711 კგ; მაქსიამლური სიჩქარე - 168-182კმ/სთ; ფრენის სიმაღლე- 5480-6550 მეტრი; ფრენის ხანგრძლივობა - 2,5 სთ; შეიარაღება - ორი შეწყვილებული 7,7 მმ. ,,ვიკერსის' ტყვიამფრქვევი და 4X18 კგ. ბომბი.[759]

ბრიტანულმა ,,ქემალებმა" არც ქართულ არმიაში სამსახურისას უღალატეს ,,ტრადიციას" და 1920 წლის 11 აგვისტოს მომხდარ საავიაციო შემთხვევას შეეწირა საავიაციო გუნდის მეთურის მოვალეობის შემსრულებელი მაიორი ნიკოლოზ მაყაშვილი. მაიორი მაყაშვილი ძრავის გასინჯვის მიზნით აფრინდა აეროდრომიდან და იქვე, მანევრის შესრულების დროს, 25 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა, საფრენი აპარატი წინა ნაწილით დაენარცხა მიწას, მფრინავს ორივე ფეხი მოსტყდა და გულის ფიცარი შეენგრა, იგი ჩამოვარდნიდან ხუთიოდე წუთში გარდაიცვალა ისე, რომ გონებაზე არც მოსულა.[760] მაყაშვილის დასაკრძალად სახელმწიფომ 100 000 მანეთი გამოყო.[761] სამხედრო მფრინავი 14 აგვისტოს სრული სამხედრო პატივით დაკრძალეს დიდუბის სასაფლაოზე, მანამდე დაღუპული მფრინავების - მალაშხიასა და გრიგორაშვილის გვერდით.[762] პოეტი სიკო ფაშალიშვილი მფრინავის გარდაცვალების შესახებ წერდა: ,,სწუხს ყველა - ნაცნობი და მეგობარი, სწუხს ყველა, ვისაც ხელში იარაღი აუღია საქართველოს დასაცავად, ვისაც უნახავს ან გაუგონია მაყაშვილის რაინდობა, ვისაც უგრძვნია მათი დანაკლისის სიმძიმე - ერისა და მხედრობისათვის. ახალციხის ფრონტზე გავიცანი ის. მტრის ცეცხლის რკალი გვერტყა გარს, გასაჭირი კარს გვიკაკუნებდა, თოვლიან სივრცეს ჰსერავდა ზარბაზნების ცეცხლი, გზები გადაჭრილი გვქონდა და სასოწარკვეთილება ღრუბელივით შემოდიოდა სულში. ახალციხის მახლობლად პროპელერის ღმუილი გავიგონეთ. ჩვენი ჰაეროპლანები მოფრინავდნენ. მაყაშვილიაო - გვითხრეს. გაგვიხარდა. ვიცოდით მისი რაინდული სახელი, იმედი მოგვეცა და მორალური სიმტკიცე დაეშვა ჩვენში მის ჰაეროპლანთან ერთად. მეორე დღეს შევხვდი მას ... გაგვაცნეს, ისეთი ცეცხლოვანი

---

[758] В. Обухович, А . Никифоров, Самолеты Первой Мировой Войны. Минск: ,,Хервест“, 2003, с.80-81.

[759] H. F. King, Sopwith Aircraft 1912-1920, London: ,,Putnam“. 1981. p.162. В. Обухович, А. Никифоров, Самолеты Первой Мировой Войны. с.80.

[760] მფრინავ მაყაშვილის დაღუპვა. გაზ. *,,ერთობა”*, N182, 1920 წ. 13 აგვისტო. გვ.3.

[761] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 20. ფურც.253.

[762] მაიორ მაყაშვილის დაკრძალვა. გაზ. *,,ერთობა”*, N185, 1920 წ. 17 აგვისტო. გვ.2. მფრინავი გრიგორაშვილი საავიაციო კატასტროფაში არ დაღუპულა, იგი მოკლა მფრინავ-მეთვალყურე აკაკი კალანდარიშვილმა, თუმცა 1920 წლის დეკემბერში ეს უკანასკნელი სასამართლომ გაამართლა, რადგანაც მკვლელობის მომენტში თავს იცავდა. იხ: დამოუკიდებლობის 1028 დღე. გვ. 382.

თვალები ჰქონდა, ისე გატაცებით ლაპარაკობდა იმდენი რწმენა ჰქონდა სიტყვაში, მიმოხვრაში, ცქერაში, რომ მოგვხიბლა, თავი მოგვაწონა, თავი შეგვაყვარა, ერთ საღამოს. თითქმის ყველა ფრონტზე მომიხდა ყოფნა, ყველგან ვხდებოდით მაყაშვილს - არწივსავით მონაფრენს, მაყაშვილის გამანადგურებელს, როცა იგი დინამიტის საჩუქრებს უგზავნიდა მტერს ღრუბლებიდან. ყველგან სახელიანი იყო და საყვარელი, პატიოსანი, დინჯი და იმედიანი, ყველგან ნახა გასაჭირი - ყველგან თავი ისახელა და პატივისცემა მოიხვეჭა. ასე იყო საზოგადოთ, მაგრამ სულ სხვა იყო აქ, ჩვენს საავიაციო ბანაკში - მას ენდობოდნენ, ის უყვარდათ, მასზე ამყარებდნენ იმედს. ის სულის ჩამდგმელი იყიო ჩვენი ეროვნული ავიაციისა."[763]

საინჟინრო-სატეხნიკო ჯარების მეთაური გენერალი თაყაიშვილი, 14 აგვისტოს მისდამი დაქვემდებარებული ნაწილებისადმი გაცემულ ბრძანებაში საუკეთესოდ ახასიათებდა მაიორ მაყაშვილს და ბოლოს საავიაციო გუნდის პირად შემადგენლობას მიმართავდა – ,,ძალაუნებურად გვეპარება ეჭვი, ნუთუ ავიაცია ღირსი არის , რომ მისთვის დაიღუპოს არა მარტო ასეთი გამოჩენილი მფრინავი, აგრეთვე კეთილი და სპეტაკი ადამიანი, ნამდვილი უშიშარი და დაუმდურავი რაინდი. ბატონო ოფიცრებო და ჯარის-კაცნო საავიაციო გუნდისა! მწუხარეობა თქვენი ძალიან მძიმეა, თქვენ დაჰკარგეთ განსაკუთრებითი გამოჩენილი პირი. თქვენთან ერთად მწუხარეობს მთელი საქართველო. თქვენთან ერთად მწუხარეობს მთელი ქართული ჯარი, მთელი საქართველო. მაგრამ ნუ შეკრთება გული თქვენი; თქვენმა წრემ დაჰკარგა საუკეთესო პირი მაგრამ ჩაჰკიდეთ ერთი მეორეს ხელი და განახორციელეთ განსვენებულ ბ-ნ ნიკოლოზის წამოწყებული მძიმე და საშიში საქმე."[764]

კატასტროფის მიზეზებზე მოკვლევა ჩაატარა სპეციალურმა კომისიამ სამხედრო მფრინავის კაპიტან სეხნიევის ხელმძღვანელობით. კომისიის აზრით: ჰაერში მაყაშვილის აეროპლანის გარდა კიდევ ორი საფრენი აპარატი დაფრინავდა, იმავდროულად მიწაზეც მუშაობდა ძრავები, აქედან გამომდინარე ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ძრავის ხმა არ ისმოდა, ამიტომ მისი გაჩერების ზუსტი მიზეზების დადგენა შეუძლებელი გახდა. ძრავა შეიძლება გაჩერებულიყო თავად, ან მფრინავის შეცდომის შედეგად. დასკვნაში ასევე დაიწერა, რომ კატასტროფის დროს აპარატი უხვევდა მარცხნივ, ,,Sopwith Camel"-ს კი, მარცხენა მხარეს მანევრირების ასიმეტრიულობის პრობლემა გააჩნდა, განსაკუთრებით კი ძრავის ცუდი მუშაობის პირობებში, მითუმეტეს არასაკმარისი სიმაღლის გამო მფრინავს საშუალება არ ჰქონდა გაესწორებინა აპარატი და მიწაზე დაენარცხა.[765] ჩამოვარდნილი საფრენი აპარატის აღდგენა, როგორც ჩანს მოხერხდა, რადგანაც 1921 წლის იანვარში სამხედრო სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა პროექტი ავიაციის ახალი შტატების შესახებ, რომლის მიხედვითაც საავიაციო გუნდი უნდა გადაკეთებულიყო ორ რაზმიან

[763] გიორგი საითიძე, სამშობლოს ჯარისკაცი /გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი/,თბილისი: ,, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი". 2008. გვ.34-35.

[764] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 52.ფურც.52.

[765] სცსა. ფონდი.1969. აღწერა.2. საქმე.208, ფურც.246.

საავიაციო დივიზიონად, სადაც, თითოეულ რაზმში ოთხ-ოთხ SVA-სთან ერთად ორ-ორი ,,Sopwith Camel"-ი უნდა ყოფილიყო.[766] 1920 წლის აგვისტოში კიდევ ერთი მფრინავი, ლეიტენანტი - პროკლე კილტავა დაიღუპა საავიაციო კატასტროფაში. 28 აგვისტოს დილის 6 საათზე მისი აეროპლანი 20 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. მფრინავი ადგილზე არ დაღუპულა, იგი საღამოს 7 საათზე, საავადმყოფოში გარდაიცვალა.[767] რაც შეეხება საფრენი აპარატის ტიპს, კილტავა ჩამოვარდა ,,Morane-parasole"-ის სისტემის აეროპლანით.[768] მფრინავ კილტავას დაღუპვის შემდეგ შექმნილმა ახალმა სამხედრო კომისიამ, რომელსაც გენერალი არჯევანიძე ხელმძღვანელობდა და მასში სამხედრო მფრინავებთან ერთად, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორი წარმომადგენელი შედიოდა, მაყაშვილის დაღუპვის საკითხიც თავიდან განიხილეს. საბოლოო დასკვნაში ჩაიწერა, რომ ორივე შემთხვევაში ავიაკატასტროფის მიზეზი თავად სამხედრო მფრინავები იყვნენ. ამ დასკვნის ძირითადი არგუმენტი გამოდგა ის ფაქტი, რომ გაფრენის წინ, მიწაზე გასინჯვისას ორივე აეროპლანის ძრავა ბრწყინვალედ მუშაოდა.[769]

1920 წლის მარტიდან საავიაციო გუნდის მეთაური პოლკოვნიკი მიხეილ მაჭავარიანი იტალიაში იმყოფებოდა, სადაც იგი, თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფ იტალიელი სენატორის ეტორე კონტის სამოქალაქო მისიას გაყვა. საქართველოში მყოფ იტალიურ მისიაში ცნობილი მფრინავებიც შედიოდნენ და მაჭავარიანმა მათთან საუბრის შემდეგ გაარკვია, რომ იტალიაში საფრენი აპარატების ხელსაყრელ ფასში შეძენა შეიძლებოდა. საკითხის სიმწვავის გამო მაჭავარიანმა სამხედრო მინისტრს წარუდგინა მოხსენება და მოითხოვა იტალიაში გაგზავნა. მისი თხოვნა დაკმაყოფილდა და მეორე დღესვე, 13 მარტს კონტის მისიასთან ერთად იტალიაში გაემგზავრა. კონტიმ მისცა მაჭავარიანს წერილი, რომლის საშუალებითაც მას შეეძლო დაეთვალიერებინა საავიაციო ქარხნები და აერჩია აეროპლანები.[770] იტალიაში ჩასულმა მაჭავარიანმა საავიაციო ქარხნების დათვალიერებასა და აეროპლანების შერჩევასთან ერთად კავშირი დაამყარა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფ ქართულ დელეგაციასთან. 4 ივნისს პარიზში ჩასული მაჭავარიანი ქართულ

[766] ნუგზარ გელოვანი. გვ.48.
[767] მფრინავის დაღუპვა. ჟურნ. *,,მხედარი“*. N14. 1920 წ. 5 სექტემბერი. გვ.11.
[768] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 208. ფურც.246.
[769] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 208. ფურც.245-246.
[770] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 312. ფურც.42; Михаил Мачавариани, с.148.

დელეგაციას მოხსენებით წარუდგა და დაასაბუთა, რომ ყველაზე უპრიანი იქნებოდა იტალიური აეროპლანების შეძენა, რადგანაც ფრანგული არ იყო ღირებული, ხოლო იტალიურის მსგავსი მონაცემების მქონე ბრიტანული აეროპლანები იტალიურთან შედარებით სამჯერ ძვირი ჯდებოდა. მას ანსალდოს ქარხანაში უკვე შერჩეული ჰქონდა აეროპლანები და იგეგმებოდა 9-10 საფრენი აპარატის შეძენა. ფირმა თავად კისრულობდა აეროპლანების გადატანას თბილისში. თუმცა გარკვეულ პრობლემას ქმნიდა იტალიური ტრანსპორტის საზოგადოება. [771] საქმე ძალიან ნელა მიიწევდა წინ და მაჭავარიანის ენთუზიაზმიც იცვლებოდა, ივნისის ბოლოს იმედგადაწურული და სასოწარკვეთილი პარიზში მყოფ ქართულ დელეგაციას სწერდა, რომ მას არაფერი გამოუვიდა, რადგანაც ფირმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო გადაზიდვაზე, ვერ იძლეოდა ვერანაირ გარანტიას, რომ შეძენილ საქონელს საქართველოში ჩაიტანდა და დელეგაციას თხოვდა ეშუამდგომლა საფრანგეთის მთავრობასთან, რათა საფრანგეთში შეეძინათ აეროპლანები.[772] მაჭავარიანის პესიმიზმი არ გამართლდა და 9 ივლისს ანსალდოს ფირმასთან ხელშეკრულებაც გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად საქართველომ შეიძინა ანსალდოს ქარხნის ,,SVA“ ტიპის 10 ორადგილიანი თვითმფრინავი, 250 ცხ.ძ-ის მქონე ძრავით, ფოტოგრაფიული სადაზვერვო მოწყობილობით, თუმცა შეიარაღების გარეშე. თვითმფრინავს მოყვებოდა სათადარიგო ნაწილების ორი კომპლექტი. შენაძენის საერთო ფასი შეადგენდა 690 000 იტალიურ ლირას, საიდანაც ქართული მხარე თანხის 50%-ს იხდიდა თვითმფრინავების შეძენისთანავე, 40%-ს მარსელის პორტში ჩატანის, ხოლო დარჩენილ 10 %-ს კი საავიაციო ტექნიკის თბილისში ჩატანის შემდეგ. კომპანია იღებდა ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით გაეგზავნა თბილისში ორი კვირით მფრინავი და ძრავის ამწყობი, რათა მათ აეწყოთ თვითმფრინავები და მოეწყოთ საცდელი ფრენები. კონტრაქტში, ასევე, განსაზღვრული იყო აეროპლანების მიღების და მარსელის პორტში ჩატანის ვადები, ფორსმაჟორი და ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევები.[773] სირთულეები ხელშეკრულების გაფორმების შემდეგაც არ

[771] სცსა. ფონდი.1864, აღწერა.2. საქმე.312, ფურც.42-47.
[772] სცსა. ფონდი.1864. აღწერა 2, საქმე.312, ფურც.68-69.
[773] სცსა, ფონდი.1864, აღწერა. 2, საქმე.430, ფურც.52-54. რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება თითქოს ქართველებმა იტალიაში 20-25 აეროპლანი შეიძინეს (იხ: В. Б. Шавров, История Конструкций В СССР до 1938. Москва: ,,Машиностроение“. 1986. с. 351). რაც რეალობას არ შეესაბამება, რადგანაც ხელშეკრულებაში ზუსტადაა განსაზღვრული შეძენილი საფრენი აპარატების რიცხვი - 10.

დასრულებულა. პრობლემა შეიქმნა ტრანსპორტირების საკითხში. იტალიიდან პირდაპირ ტრანსპორტირება გემით, იტალიელი მუშების პროტესტის გამო შეუძლებელი გახდა (იტალიელი მუშები ზოგადად აპროტესტებდნენ აღმოსავლეთში საომარი იარაღის გაგზავნას), ამიტომ ყუთებში ჩაწყობილი აეროპლანები სახმელეთო გზით საფრანგეთში, მარსელის პორტში გადაიტანეს. ამ საქმეებს ხელმძღვანელობდა იტალიური გადამზიდავი კომპანია ,,მანჯილი", რომელმაც მარსელში ტვირთის ჩატანის შემდეგ საქმის დასრულება მიანდო საზოგადოება ,,ნატურალს". ეს უკანასკნელი კი საკუთარი კომერციული მოსაზრებიდან გამომდინარე საქმეს აჭიანურებდა. ამასობაში, ქართველების მიერ შეძენილი აეროპლანები მარსელის პორტში ყუთებში ჩაწყობილი, ბარჟებზე იდგა, თავზე კი უბრალო ქაღალდი ჰქონდა გადაკრული, რაც ტექნიკის დაზიანების საფრთხეს ქმნიდა. პოლკოვნიკმა მაჭავარიანმა შექმნილი ვითარება იმდენად განიცადა, რომ ნერვიული შეტევა დაემართა და მარსელის კლინიკაში სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს. მას საავადმყოფოში თითქმის ერთი თვის გატარება მოუწია. მაჭავარიანის გასაკეთებელი საქმე, ქართული დელეგაციის მიერ პარიზიდან მარსელში გაგზავნილმა დიპლომატმა, სოსიპატრე ასათაინმა დიდი ძალისხმევის შედეგად წარმატებით დაასრულა და აგვისტოს ბოლოს აეროპლანების საქართველოსკენ გაგზავნაც მოახერხა.[774] აეროპლანები საქართველოში მიხაილ მაჭავარიანთან ერთად 1920 წლის 15 სექტემბერს ჩავიდა, საინჟინრო-სატეხნიკო ჯარების სარდალი გენერალი თაყაიშვილი, სამხედრო მინისტრს წერდა, რომ აეროპლანების ჩამოტანა მაჭავარიანის გამოჩენილი ენერგიულობის დამსახურება იყო, თავად პოლკოვნიკი მაჭავარიანი ძლიერ დაავადმყოფებულიყო და ხანგრძლივი მკურნალობა ჭირდებოდა, გენერალი თავაყაიშვილი მინისტრს ურჩევდა რესპუბლიკის ჯარებისადმი გამოცემულ ბრძანებაში მადლობა გადაეხადა მაჭავარიანისთვის, დოკუმენტზე წაწერილი რეზოლუციით ირკვევა, რომ მინისტრმა ეს რჩევა გაითვალისწინა .[775] სამხედრო მინისტრის მაჭავარიანისადმი გადახდილი ოფიციალური მადლობა დაიბეჭდა პრესაშიც, კერძოდ მთავრობის ოფიციალურ გაზეთში საქართველოს რესპუბლიკაში.[776] ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად

[774] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 341. ფურც.7-69,74; სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 342. ფურც.1-18.
[775] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 288. ფურც.31.
[776] სამხედრო მინისტრის მიერ მადლობის გამოცხადება. გაზ. *,,საქართველოს რესპუბლიკა".* N221, 1920 წ. 1 ოქტომბერი. გვ.3.

გადაღლილ მაჭავარიანს მთავრობამ - 1920 წლის 7 დეკემბერს ერთდჯერადი დახმარების სახით 61 144 მანეთი გამოუყო.[777]

მაჭავარაინის მიერ ჩამოტანილი იტალიური ,,SVA-10“ ტიპის აეროპლანები იმ დროისათვის საავიაციო ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენდა. ანსალდოს ქარხნის მიერ ამ ტიპის მზვერავ-ბომბდამშენი თვითმფრინავის გამოშვება 1918 წელს დაიწყო და პირველი მსოფლიო ომის ბოლოს მათ არაერთხელ დაზვერვეს, დაბომბეს და პროპაგანდისტული შინაარსის ბარათები ჩაყარეს ავსტრიული ქალაქებში. 1920 წელს SVA-ს სხვადასხვა მოდიფიკაციის ექვსი აეროპლანი მონაწილეობდა ტოკიო-რომის ცნობილ 15 200 კილომეტრიან გადაფრენაში. ,,SVA-10“-ის საბრძოლო და ტექნიკური პარამეტრები: ეკიპაჟი - 2 კაცი; ძრავი Issota-Fraschini, სიმძლავრე 220-250 ცხ.ძ; თვითმფრინავის ზომები -9.1X8,1X2.9; ცარიელი თვითმფრინავის წონა - 730 კგ.; მაქსიმალური ასაფრენი წონა - 1065 კგ; მაქსიმალური სიჩქარე - 200-220 კმ/სთ; ფრენის პრაქტიკული სიმაღლე - 6000 მეტრი; ფრენის ხანგრძლივობა - 5,4 სთ; ფრენის სიშორე - 600 კმ; შეიარაღება - 1-3 ტყვიამფრქვევი და 90 კგ. ბომბები.[778]

ქართული არმიის მიერ შესყიდულ ,,ანსალდოებზე", როგორც ზემოთ ვნახეთ, იმ დროისათვის საკმაოდ მძლავრი Issota-Fraschini 250 ცხენის ძალის ქმონე ძრავა იყო დამონტაჟებული, თუმცა აეროპლანი მხოლოდ სადაზვერვო დავალებისათვის გამოდგებოდა, რადგანაც ის ქართველებმა შეიარაღების გარეშე შეიძინეს. ქართველმა ავიატორებმა გამოსავალი მოძებნეს და იტალიურ ტექნიკაზე მაინც დააყენეს საკუთარი ტყვიამფრქვევები, ხოლო იტალიელი ინსტრუქტორების დახმარებით ერთ თვეზე ნაკლებ დროში აითვისეს ახალი ტექნიკა.[779] საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ორგანოს, საქართველოს რესპუბლიკის ფურცლებიდან მოსახლეობას ახარებდა, რომ იტალიიდან ჩამოტანილი აეროპლანები ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენდა, იყო ყველაზე სწრაფი , მათი ჩამოტანა რესპუბლიკის ავიაციისთვის დიდი დღესასწაული იყო , საინჟინრო სამმართველო კი იმედს გამოთქვამდა, რომ

---

[777] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 20. ფურც.377.

[778] А. С. Шепс. Самолеты Первой Мировой войны, Страны Антанты, Санкт-Петербург: ,,Полигон“, 2002, ст.220-221; В. Обухович, А. Никифоров. Самолеты Первой Мировой Войны с.238-239; Авиационная энциклопедия „Уголок неба“ - http://www.airwar.ru/enc/other1/sva10.html#camo.

[779] Михаил Мачавариани. с.149.

ასეთი გაუმჯობესებული აეროპლანებით საქართველო მალე შევიდოდა ევროპის ავიაციის ოჯახში სრულფასოვან წევრად.[780]

საქართველოში რუსეთის სამხედრო ატაშე პავლე სიტინი თავის საიდუმლო ანგარიშებში საინტერესო ინფორმაციებს გვაწვდის იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში ხვდებოდა პირველი რესპუბლიკის ავიაცია მისი არსებობის უკანასკნელი წლის დადგომას და ომს საბჭოთა რუსეთთან. ქართულ არმიას 1920 წლის ნოემბერში შეიარაღებაზე ჰყავდა 48 აეროპლანი. აქედან

- 19 გამოდგებოდა საბრძოლოდ: 10 ახალი იტალიური აეროპლანი, 3 ,,Sopwith Camel", 1 ,,Nieuport 21", 2 ,,Morane-parasole", 1 ,,Morane Jeronim", 1 ,,Voisin", 1 ,,Lebed"; 6 სასწავლოდ: 2 ,,Vuazen", 3 ,,Farman", 1 ,,Morane".
- 9 აეროპლანი იყო სათადარიგოდ სხვადასხვა მდგომარეობაში: 6 ,,Lebed", 2 ,,Voisin", 1 ,,Nieuport".
- 14 კი საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს: 6 ,,Voisin", 5 ,,Morane"; 1 ,,Farman 27", 1 ,,Nieuport 10", 1 - ,,Marchet".

ავიატორებს ჰქონდათ მხოლოდ 31 სათადარიგო ძრავა.[781] სიტინისავე 1920 წლის 30 დეკემბრის ანგარიშის თანახმად წლის ბოლოსათვის ქართველებს მწყობრში 29 აეროპლანი ჰყავდათ, აქედან 6 რუსული და 23 ახალი, მათ შორის ანსალდოები.[782] აღსანიშნავია, რომ საავიაციო ქვედანაყოფში ბევრი რუსი ეროვნების მფრინავი და ძრავის სპეციალისტი მსახურობდა. რუსეთის სამხედრო ატაშე რუსი ძრავის სპეციალისტების შესახებ წერდა, რომ მცირედი გამონაკლისის გარდა ყველანი პრორუსულად იყვნენ განწყობილები. იგი დაბალი აზრის იყო ქართველი მფრინავების შესაძლებლობებზე, ხოლო პოლკოვნიკ მიხეილ მაჭავარიანზე წერდა, რომ ის დიდი რუსოფილი გახლდათ.[783] ერთ ანგარიშში კი მაჭავარიანს ძალიან ნიჭიერ პოლკოვნიკად მოიხსენებიებდა.[784] თავად მიხეილ მაჭავარიანის 1921 წლის 15 იანვარს გენერალური შტაბის სამობილიზაციო განყოფილების უფროსისადმი გაგზავნილი საიდუმლო ტელეფონოგრამით ირკვევა, რომ იმ დროისათვის საავიაციო გუნდში 17 აეროპლანი იყო.[785]

ერთი დიდი პრობლემა, რაც ქართულ ავიაციას 1921 წლის ომის წინ ედგა, ეს იყო საწვავ-საპოხი მასალის დიდი ნაკლებობა. ომის წინ და ომის შემდეგაც ამას

---

[780] ავიაცია. გაზ. *,,საქართველოს რესპუბლიკა".* N 222, 1920 წლის 2 ოქტომბერი. გვ.4.
[781] სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 2. ფურც.237.
[782] სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 3. ფურც.185.
[783] სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1, საქმე 2. ფურც.164, 237.
[784] სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1, საქმე3 . ფურც.185.
[785] სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 193. ფურც. 289.

აღნიშნავდნენ გენერლები ილია ოდიშელიძე,[786] გიორგი კვინიტაძე,[787] გიორგი მაზნიაშვილი,[788] პოლკოვნიკი რომან მკურნალი[789] და მთავრობას ფულის უაზრო ეკონომიაში დებდნენ ბრალს. ომის შემდეგ ისინი წერდნენ, რომ მთავრობამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად არაფერი გააკეთა. საწვავ-საპოხი მასალების ნაკლებობაზე ასევე წერდა რუსეთის სამხედრო ატაშე სიტინი საკუთარ საიდუმლო ანგარიშში საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ.[790] გენერალი ოდიშელიძე ომამდე ერთი თვით ადრე, რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში ბომბდამშენი აეროპლანების შეძენის აუცილებლობაზეც ამახვილებდა ყურადღებას.[791]

ქართველ გენერლებს და პოლკოვნიკ მკურნალს თუ დავუჯერებთ, იტალიაში შეძენილი ანსალდოები რუსეთთან 1921 წლის ომის დროს ვერ აფრინდნენ და ამის მთავარ მიზეზად ზეთის უქონლობას ასახელებენ, რომლის შეძენის აუცილებლობაში, გენერლების თქმით, მთავრობის მეთაური ვერაფრით დაარწმუნეს. [792] მიუხედავად გენერლების ბრალდებისა, ქვეყნის იმდროინდელ ხელისუფლებას უმოქმედობაში ვერ დავდებთ ბრალს. ჯერ კიდევ 1920 წლის 16 დეკემბერს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ სამხედრო მინისტრს დაავალა საინჟინრო-სატექნიკო ძალების საჭიროებისათვის საავიაციო ბენზინი შეეძინა.[793] თავდაცვის საბჭომ 1921 წლის 4 იანვარს სამხედრო სამინისტროს თავდაცვის ფონდიდან აეროპლანების სათადარიგო ნაწილების შესაძენად გადასცა 148 მილიონი მანეთი.[794] 1921 წლის 8 თებერვალს სამხედრო სამინისტრომ, საფრანგეთის მისიის საშუალებით შეიძინა 22 კასრი საავიაციო ბენზინი და გაიცა განკარგულება ადგილობრივ ინჟინერს მიეღო ეს ბენზინი.[795]

---

[786] სცსა, ფონდი.1969, აღწერა.4, საქმე.18, ფურც.11-12. ილია ოდიშელიძე, საქართველოს დამარცხების მიზეზები. გვ.373-374.

[787] Генерал Г. И. Квинитадзе.. Стр. 303.

[788] მაზნიაშვილი. მოგონებანი. გვ.151-152.

[789]რომან მკურნალი, მიზეზი ჩვენი დამარცხებისა. გვ.333.

[790] სცსა. ფონდი1874, აღწერა1. საქმე5. ფურც.4.

[791] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 18. ფურც.11.

[792] Квинитадзе С. 303, ილია ოდიშელიძე, გვ.374; რომან მკურნალი, გვ.333.

[793] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 14. ფურც.29.

[794] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 14. ფურც.48.

[795] სცსა. ფონდი 1969 აღწერა 2. საქმე 96. ფურც.90.

ქართული ავიაციის როლის შესახებ 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში, საინტერესო ინფორმაცია აქვს მოყვანილი იმხანად საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმიის საავიაციო რაზმში მყოფ და შემდგომში საბჭოთა კავშირის ავიაციის მარშალს სტეპან კრასოვსკის 1976 წელს გამოცემულ მემუარებში. იგი წერს, რომ ქართველთა საავიაციო გუნდში შეუღწევია კომუნისტ მფრინავს ლეონტიევს. მან ძრავების სპეციალისტ მობოლაშვილთან ერთად, წყობიდან გამოიყვანა საქართველოს არმიის კუთვნილი საფრენი აპარატების ძრავები და ქართულმა აეროპლანებმა ვერ შეძლეს აფრენა.[796] კრასოვსკის მემუარის ის ინფორმაცია, რომ ქართულ ავიაციას ამ ომში მონაწილეობა არ მიუღია არ შეესაბამება სიმართლეს, ხოლო კომუნისტი მფრინავისა და ძრავის სპეციალისტის მოქმედებას რაც შეეხება, ამის გამორიცხვა რთულია, მაგრამ პირდაპირი, დამამტკიცებელი დოკუმენტები არ სჩანს.

რუსეთთან 1921 წლის ომის დროს, ქართულმა ავიაციამ წარმატებული საბრძოლო გაფრენა 19 თებერვალს განახორციელა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ინფორმაციით ორმა ქართულმა აეროპლანმა დაბომბა მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები.[797] გენერალ გიორგი კვინიტაძის მოგონების თანახმად, ამ დღეს უკანდახეულ რუსულ ნაწილებს ქართველებმა ჯერ საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს, ხოლო შემდეგ აეროპლანებმა დაბომბეს მოწინააღმდეგე.[798] რუსული წყაროების ინფორმაციით, 23 თებერვალს რუსულმა აეროპლანმა, თბილისის დაზვერვის დროს ერთ ქართულ აეროპლანს შეუტია და ნავთლუღის აროდრომამდე დაედევნა.[799]

1921 წლის თებერვალ-მარტის ომში ქართული ავიაციის მოქმედების შესახებ ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეთერთმეტე რუსული არმიის ჯავშანძალების მეთაური ზუნი. იგი წერს, რომ 24 თებერვალს რუსული ჯავშანმატარებლების ჯგუფს ჰაერიდან შეუტია ოთხმა ქართულმა აეროპლანმა, რომელთაც 30-მდე ბომბი ჩამოაგდეს. ამ ბომბებიდან რკინიგზას მხოლოდ ერთი მოხვდა მიზანში, ერთ-ერთმა რუსულმა ჯავშანმატარებლებმა ქართულ აეროპლანებს საზენიტო ქვემეხებიდან

---

[796] С. А. Красовский, Жизнь в авиации: Минск: ,,Воениздат“. 1976. с . 39.

[797] А. Б Кадишев, Интервенция и гражданская война в Закавказье. с .390.

[798] Генерал Г. И. Квинитадзе. С.287. ქართულ თარგმანში ავიაციის გამოყენების ეპიზოდი გამოტოვებულია. იხ. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობა 1917-1921 წლებში. რუსულიდან თარგმნეს ნინო ქაჯაიამ და ნონა გოგიჩაიშვილმა. წ.2. თბილისი: ,,ლომისი“, 1998 გვ.67.

[799] Кушнерёв Валерий Владимирович. История становления отечественной Авиации в Кавказском регионе в 1914–1930-е гг. Стр.107

ცეცხლი გაუხსნა, ერთი თვითმფრინავი დაიხარა და სწრაფად დაქანდა ქვემოთ, ხოლო დანარჩენებმა სწრაფად აკრიფეს სიმაღლე და თბილისისაკენ გაფრინდნენ.[800] გენერალი გიორგი კვინიტაძე საკუთარ მოგონებებში ავიაციის და მფრინავების მოქმედებას რუსეთთან ომის დროს მაღალ შეფასებას აძლევდა . იგი აღნიშნავდა, რომ იმ პირობებში რა პირობებშიც მათ უწევდათ მუშაობა მათზე უკეთ დაკისრებულ მოვალეობას ვერავინ შეასრულებდა, მფრინავები მუდმივად საბრძოლო დავალებას ითხოვდნენ და მათი მოწოდებული სადაზვერვო ცნობები დიდ სამსახურს უწევდა სარდლობას. ისინი გამუდმებით ბომბავდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს, მფრინავები თავდადებით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი აეროპლანი ჩამოვარდა, მსხვერპლი არც ერთს არ მოჰყოლია. მაგალითად, ერთ-ერთ მფრინავს სტროევს ძრავამ უმტყუნა ჰაერში, მან საფრენი აპარატი ქართველებისა და რუსების პოზიციებს შორის დასვა, თავიდან აამუშავა და ისევ აფრინდა ჰაერში.[801] საბოლოოდ კი 1921 წლის ომი საბჭოთა რუსეთის გამარჯვებით დასრულდა და საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. მასთან ერთად არსებობა დაასრულა მისმა სამხედრო ავიაციამაც.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, პოლკოვნიკი მიხეილ მაჭავარიანი, 1929 წლამდე საბჭოთა სამხედრო ავიაციაში მსახურობდა, რის შემდეგაც ჯანმრთელობის პრობლემის გამო სამოქალაქო ავიაციაში გადავიდა და იქ 1960 წლამდე სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა. 1969 წელს გამოცემულ მოგონებებში, იგი წერდა, რომ აქტიური მონაწილეობდა და დაჯილდოვდა კიდეც 1924 წლის ზაფხულში ,,მენშევიკების“ კონტრრევოლუციური აჯანყებისას გამოჩენილი სტოიციზმისა და მის ჩახშობაში შეტანილი წვლილისთვის.[802] რაც სინამდვილეში სხვა არაფერი იყო თუ არა საქართველოს განმანთავისუფლებელი, ანტისაოკუპაციო მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელშიც მაჭავარიანის ბევრი ყოფილი თანამებრძოლი იღებდა მონაწილეობას.

2.6 რესპუბლიკის სამხედრო ფლოტილია

---

[800] В. Зун. Бронесилы 11-й армии в борьбе за освобождение Грузии. с .22.

[801] Квинитадзе С. 303; სამხედრო მფრინავი მაიორი სტროევი იყო საავიაციო გუნდის მეთაურის თანაშემწე. იხ. სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 2. ფურც.237.

[802] Михаил Мачавариани, с.150,154.

პირველი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს ჰყავდა თავისი პატარა სამხედრო ფლოტი. ფლოტის ძირითადი ძალას წარმოადგენდა ,,გრინპორტის" ფირმის პატარა, სწრაფმავალი კატარღები, იმ პერიოდის კლასიფიკაციით გამანადგურებლები. რომლებიც საქართველომ ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატის არსებობის ხანაში, 1918 წლის 5/18 მარტს ჩაიგდო ხელში ბათუმის პორტში. ამის გარდა არსებობის არასრული სამი წლის მანძილზე რესპუბლიკა სამხედრო საჭიროებისათვის სხვადასხვა დანიშნულებისა სამოქალაქო უწყებათა გემებს იყენებდა.

1917 წლის 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა დიდი ნაწილი ბოლშევიკურად იყო განწყობილი და კავკასიის კომისარიატსა და სეიმს ნაკლებად ემორჩილებოდნენ. განსაკუთრებით კი, ბათუმის პორტში მყოფი სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების ხომალდების ეკიპაჟი გამოირჩეოდნენ ბოლშევიკებისადმი სიმპათიით. ისინი აცხადებდნენ , რომ არ ცნობდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას და მხოლოდ სევასტოპოლის რევოლუციური ფლოტი ცენტრალურ კომიტეტს (ცენტროფლოტი) და ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ემორჩილებოდნენ.[803] პორტში მდგომი გემების ეკიპაჟი არ ემორჩილებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას და იღებდნენ თვითნებურ გადაწყვეტილებებს: არღვევდნენ კანონს ; ლოთობდნენ; ქურდობდნენ; ყაჩაღობდნენ და მრავალ უწესობას სჩადიოდნენ.[804] ბათუმში მდგომ ფლოტთან შეიქმნა ბოლშევიკთა საზღვაო ასეული[805] და მათ დაიწყეს მზადება შეიარაღებული გამოსვლისა და ქალაქის დაკავებისათვის, ბათუმის ბოლშევიკურმა კომიტეტმა დახმარებისათვის ,,ცენტროფლოტსაც" მიმართა.[806] მართალია 1918 წლის იანვრიდან ამიერკავკასიის სამხედრო-საზღვაო კომისარიატმა , საქართველოს ეროვნული საბჭოს მოთხოვნით ფლოტის მეთაურად ალექსანდრე ჭავჭავაძე დანიშნა,[807] მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლიდა. კავკასიის ფრონტზე ოსმალური ნაწილების წინსვლის

---

[803] რევაზ უზუნაძე. ნაოსნობა ბათუმის ოლქში.ბათუმი: ,, აჭარა“, 2001. გვ. 323.

[804] რევაზ უზუნაძე. ნაოსნობა ბათუმის ოლქში. გვ.326-327 ; მალხაზ სიორიძე. კიდევ ერთხელ 1918 წლის 5 /18/ მარტის მოვლენების შესახებ ბათუმში. *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომები. III. (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია).* ბათუმი 1999. გვ. 171; თემურ ჩაჩანიძე. ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან. ჟურნ. *,,არსენალი“.* N3, 2004. გვ..38-39.

[805] საზღვაო ასეულს ოფიციალურად უწოდეს ,,ცენტროფლოტის დამცავი რაზმი" იხ. მალხაზ სიორიძე. კიდევ ერთხელ 1918 წლის 5 /18/ მარტის მოვლენების შესახებ ბათუმშიგვ. 169.

[806] რევაზ უზუნაძე. ნაოსნობა ბათუმის ოლქში. გვ.326-327.

[807] ნუგზარ გელოვანი. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან. გვ.30.

პარალელურად ბათუმის ბოლშევიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ქალაქის ხელში აღება და ქალაქის ოსმალთაგან დაცვა, სევასტოპოლიდან მიღებული ბრძანების თანახმად კი ფლოტის ნაწილმა ბათუმი დატოვა. დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკთა ბიურომ ბათუმის ოსმალთაგან დაცვის გადაწყვეტილება უარყო, ხელისუფლებამ კი გაბოლშევიკებულ ფლოტს ბათუმის დაცვაში მონაწილეობისათვის ფლოტის დიდი მნიშვნელობის გამო ფულიც შესთავაზა , მაგრამ მათ განაცხადეს, რომ ქალაქის დატოვებას აპირებდნენ.[808] ნოე რამიშვილისა და სამხედროების თათბირის შემდეგ გადაწყდა ბოლშევიკ მეზღვაურთა განიარაღება და შემუშავდა შესაბამისი გეგმა. 1918 წლის 5/18 მარტის დილით წითელი გვარდიის ნაწილებმა , ბათუმის ფორტების არტილერიის ცეცხლის დამხარებით ბათუმში მდგარი გემები და ბოლშევიკთა საზღვაო ასეული განაიარაღეს. დააპატიმრეს 400-მდე მეზღვაური, დაატყვევეს ათამდე გემი, გემებიდან ამოიღეს იარაღი და ტყვია-წამალი.[809] ქართველებმა ხელში ჩაიგდეს დამხმარე ჰიდროკრეისერი ,,კაროლ კარლი"; ,,გრინპორტის" ტიპის 7 კატარღა საბორტე ნომრებით: N521, N523, N524, N525, N526, N527, N545, N547, ასევე რამდენიმე სატრანსპორტო და დამხარე გემი. პორტიდან გასვლა სულ რამდენიმე მცურავმა საშუალებამ მოახერხა მათ შორის ნაღმოსანმა ,,სტრემიტელნიმ", რომელიც ბათუმის სანაპირო ბატარეის არტილერიის ცეცხლის ქვეშ მოყვა.[810] დატყვევებული გემებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი დამხმარე კრეისერი ,,კაროლ კარლი" იყო. ეს რუმინული გემი თავდაპირველად სულაც არ იყო სამხედრო დანიშნულების ხომალდი და რომ არა მსოფლიო ომი, ბოლომდე სამგზავრო გემად დარჩებოდა. ხომალდი ბრიტანეთში აიგო და ნაოსნობა 1898 წელს დაიწყო, გემის წყალწყვა 4200 ტონა, სიგრძე 106.7 მეტრს და სიჩქარე 18 კვანძს შეადგენდა.[811] 1916 წელს ანტანტის წევრმა რუმინეთმა თავისი სამგზვარო გემები დროებით რუსეთის იმპერიას გადასცა. ეს გემები ქვემეხებით აღიჭურვა და დამხმარე კრეისერების მოვალეობას ასრულებდნენ. ,,კაროლ კარლზე" ოთხი 152მმ-იანი ქვემეხი და ერთი 75 მმ-იანი საზენიტო ქვემეხი დაიდგა. გემს ჰიდროკრეისერადაც იყენებდნენ

---

[808] მალხაზ სიორიძე. გვ.172.

[809] რამაზ უზუნაძე. გვ. 328; მალხაზ სიორიძე. გვ.173.

[810] Р. В. Лапшин. Сторожевие Катера Фирми ,,Гринпорт". Част 2. Морская Коллекция. Приложение к журналу *,,Моделист-Конструктор"* N7 (142) Москва. 2011 с. 13 თემურ ჩაჩანიძე ქართულ წყაროებზე დაყრდნობით საუბრობს 6 კატარღის N521, 523, 524, 525, 526, 527, 545 ხელში ჩაგდების შესახებ. იხ. თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 1. ჟურნ. *,,არსენალი"* N22 (143) . 2011. გვ.39.

[811] თემურ ჩაჩანიძე. ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან. გვ.39.

და მასზე პერიოდულად ჰიდროთვითმფრინავებიც იყო განთავსებული.[812] ,,კაროლ კარლი" შავი ზღვის სხვა სახაზო ხომალდებთან , შეჯავშნულ თუ მსუბუქ კრეისერებთან შედარებით უმნიშვნელო საბრძოლო ძალასაც არ წარმოადგენდა , მაგრამ ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკის ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფლოტში ფლაგმანის ადგილს ვერცერთი ხომალდი ჩამოართმევდა. ბათუმის პორტში ხელში ჩაგდებული ,,გრინპორტის" სწრაფმავალი კატარღები კი რუსეთის იმპერიის დაკვეთით აშშ-ში აიგო და პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაში ამ ტიპის 31 კატარღა ჩაირიცხა. კატარღის წყალწყვა 14,5 ტონას, სიგრძე 18,29 მეტრს, სიგანე 3,05 მეტრს და წყალჯდომი კი 0,76 მეტრს შეადგენდა. კატარღებზე დაყენებული იყო შიდაწვის სამი ძრავა საერთო სიმძლავრით 450 ცხ.ძ. , კატარღების სიჩქარე კი 24,4-26,6 კვანძს შეადგენდა. ფორსირების შემთხვევაში თითო ძრავის ძალა 165 ცხ.ძ-მდე ადიოდა. საწვავის მარაგი 22,5 კვანძით ცურვისას საკმარისი იყო 600 მილის (1111კმ.) დასაფარად, ხოლო 10 კვანძით ცურვისას კი კატარღას 1300 მილის (2407კმ.) გავლაც შეეძლო. კატარღის საშტატო შეიარაღება შედგებოდა ჰოჩკისის 47 მმ-იანი სწრაფმსროლელი ქვემეხისა (საბრძოლო კომპლექტი 50 ჭურვი) და მაქსიმის 7.62 მმ-იანი (საბრძოლო კომპლექტი 2500 ვაზნა) ტყვიამფრქვევისაგან შედგებოდა. მოგვიანებით რუსეთში კატარღების ნაწილზე დამატებით დამონტაჟდა ჰოჩკისის კიდევ ერთი 37 მმ-იანი ქვემეხი და მაქსიმის მეორე ტყვიამფრქვევი. [813] განახლებული, უფრო ზუსტად კი ფლოტზე რეალური კონტროლის დაწესების შემდეგ სარდლად ისევ ალექსანდრე ჭავჭავაძე დაინიშნა, რომელსაც მეორე რანგის კაპიტნის წოდება მიანიჭეს, კატარღების დივიზიონის მეთაურად კი ეროვნებით ლატვიელი მეზღვაური თეოდორ სპადე დაინიშნა.[814] დაიწყო კაროლ კარლისა და კატარღების ეკიპაჟის დაკომპლექტება და წრთვნები. ქართველი მეზღვაურების ნაკლებობის გამო, ეკიპაჟის დაკომპლექტება ძალიან რთული გამოდგა. ამიტომ, ,,კაროლ კარლის" ეკიპაჟის ნაწილი, ძირითადად კი რუმინელი მატროსები ისევ დატოვეს სამსახურში, მათ

---

[812] თემურ ჩაჩანიძე. კრეისერ ,,კარლოსის" ქართველი არტლერისტები. ჟურნ. *,, არსენალი"* N3 (205). 201.5 გვ.58.

[813] М. И. Приданников. Сторожевие Катера Фирми ,,Гринпорт". Част 1. Морская Коллекция. Приложение к журналу *,,Моделист-Конструктор*" N5 (140) Москва. 2011, стр.8-12; თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 1. გვ.40.

[814] თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 1. გვ.39-40; აღსანიშნავია, რომ თეოდორ სპადე 1920 წლიდან მსახურობდა ლატვიის შეიარაღებულ ძალებში. მან ადმირალის რანგს მიაღწია და 1938-1940 წლებში მეთაურობდა ლატვიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

დაემატნენ ქართველი არტილერისტები და ბათუმის საზღვაო სასწავლებლის უფროსკლასელები.[815] ქვეითი ჯარის, არტილერიის თუ ცხენოსანი ჯარის ოფიცრების დიდი რაოდენობისგან განსხვავებით, ქართველებს მეზღვაურები ძალიან ცოტა ჰყავდათ, რუსეთის იმპერიაში ყოფნის პერიოდში საქართველოს ერთი ადმირალიც კი არ ჰყოლია, განსხვავებით ასეულობით გენერლისაგან. იმპერიის პერიოდში ერთი ქართველიც კი არ მეთაურობდა, მნიშვნელოვანი საბრძოლო შესაძლებლობების მქონე დიდი ზომის ხომალდს.

ქართველებმა ,,გრინპორტებს“ სიმბოლურად საქართველოს კუთხეების მცხოვრებთა სახელები - ,,აჭარელი", ,,აფხაზი", ,,გურული", ,კახელი" და ,,მეგრელი“ უწოდეს. დამხმარე კრეისერის და კატარღების ახალმა ეკიპაჟმა დაკომპლექტებისთანავე დაიწყეს წრთვნა და ოსმალთა მიერ ბათუმის აღებამდე და შემდეგ დღეებშიც , თურქული ფელუგებისა თუ სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ რამდენიმე მცირე მასშტაბის, მაგრამ წარმატებული ოპერაციაც კი ჩაატარეს.[816] ფლოტის მეთაური ჭავჭავაძე 24 და 27 მარტს დეპეშით იტყობინებოდა ,,მმუსრავების“ (ასე უწოდებდა ,,გრინპორტის“ ტიპის გამანადგურებლებს) : ,,აჭარელის“, ,,გურულის“ და ,,მეგრელის“ ჩატარებული ოპერაციების , კერძოდ კი ოსმალური ფელუგებისა და გონიოსა და ლიმანთან სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის შესახებ, ,,ნაღმის მკრეფავმა“[817] N320-მა კი საარტილერიო ცეცხლი ,,დაუნთო“ ჭოროხის მარცხენა ნაპირზე მოწინააღმდეგის დაკავებულ სიმაღლეებსო.[818] 28 მარტს , ბათუმის შტაბის განკარგულებით, ,,კაროლ კარლის“ ეკიპაჟის 70 ჯარისკაცი და ოფიცერი გემიდან მოიხსნა, რათა ედარაჯათ საზღვაო შტაბისათვის, აღეკვეთად ბოლშევიკებიდან მომდინარე საფრთხე და ქალაქსა და პორტში წესრიგი დაეცვათ.[819] 1918 წლის 1 აპრილს ოსმალთა მიერ ბათუმის აღების დროს არეულობით ისარგებლა ,,კაროლ კარლის" რუმინულმა ეკიპაჟმა , გემი და მასზე დარჩენილი ქართველი არტილერისტები გაიტაცეს რუმინეთის მიმართულებით, ასე დაკარგა ამიერკავკასიის

[815] თემურ ჩაჩანიძე. კრეისერ ,,კარლოსის" ქართველი არტილერისტები. გვ.60.
[816] თემურ ჩაჩანიძე. კრეისერ ,,კარლოსის" ქართველი არტილერისტები. გვ.60; თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. გვ.40.
[817] გამნაღმველი გემი, იგივე ტრალერი.
[818] შავ ზღვაზე. გაზე. *,,საქართველო“*, N69, 1918 წ.29 მარტი . გვ.3.
[819] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 223. ფურც.2 - დოკუმენტში 28 მარტის ნაცვლად შეცდომით 28 აპრილია , რაც შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც ამ დროისათვის უკვე არც გემი და აღარც ამიერკავკასიის მთავრობა ბათუმში აღარ იმყოფებოდა.

ფლოტმა თავისი ფლაგმანი, ხოლო საბრძოლო კატარღებმა ბათუმიდან ფოთის საზღვაო ბაზას შეაფარეს თავი. [820]

საქართველოს შეიარაღებული ძალები ფლოტს, მათ შორის სამოქალაქო დანიშნულების გემებს, წარმატებით იყენებდა 1918 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე აფხაზეთში, სოჭსა და ტუაფსში ბოლშევიკებთან ბრძოლისას. მართალია 1918 წლის 28 მაისის საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის იმპერიას შორის დადებული ფოთის ხელშეკრულების თანახმად ქართული სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების გემები მსოფლიო ომის პერიოდში გერმანელთა კონტროლქვეშ გადავიდა,[821] მაგრამ ეს უკანასკნელნი ქართულ არმიას მისთვის საჭირო მცურავი საშუალებების გამოყენებაში ხელს არ უშლიდნენ და საჭიროების შემთხვევაში ქართველებს შეეძლოთ გემების გამოყენება.[822] ქართული კატარღები და მცირე სადესანტო გემები, დესანტს სხავდნენ სანაპიროზე და ქვემეხებიდან საარტილერიო ცეცხლს უხსნიდნენ მოწინააღმდეგის არტილერიასა და ქვეით ნაწილებს, ატარებდნენ სადაზვერვო ოპერაციებს და გადაჰქონდათ ჯარებისათვის იარაღი და სურსათ-სანოვაგე. დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდისათვის ფოთის პორტში სამოქალაქო დანიშნულების 58 მცურავი საშუალება იდგა.[823] 1918 წლის 9 მაისს ფოთიდან გასულმა მცირე ზომის სამგზავრო-სატვირთო გემების ,,დიდებულმა არმადამ" როგორც მას გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი საკრაზმით უწოდებდა , წარმატებული დესანტირება განახორციელა აფხაზეთში, ოჩამჩირის სანაპიროზე. ,,დიდებულ არმადას" ესკორტირებას საარტილერიო კატარღები უწევდნენ.[824] დესანტირებიდან რამდენიმე დღის შემდეგ 15 მაისის საღამოს, ორმა ქართულმა კატარღამ , დაზვერვის მიზნით ბოლშევიკების პოზიციები დაბომბა სანაპირო ზოლში სოხუმიდან - მდინარე კოდორის შესართავამდე.[825] ქართულმა ფლოტმა მოწინააღმდეგის პოზიციები დაბომბა 16 მაისის საღამოსაც მდინარეებს კოდორსა და

[820] თემურ ჩაჩანიძე. კრეისერ ,,კარლოსის" ქართველი არტილერისტები. გვ.61 ; თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 1. გვ.40.
[821] სცსა. ფონდი 1864. აღწ.2. საქმე.13 ფურც.4.
[822] ნუგზარ გელოვანი. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან. გვ.31
[823] სცსა. ფონდი 2081. აღწ.1. ნაწ.2 საქმე.637 ფურც.1-2.
[824] Валико Джугели. Тяжелый крестстр. 9-11; თემურ ჩაჩანიძე. ომი სამოქალაქო გემებით. ჟურნ. *,,არსენალი"*, N12 (17). 2005. გვ.42-43; თემურ ჩაჩანიძე. სადესანტო ოპერაციები საქართველოს სანაპიროზე. ჟურნ. *,,არსენალი"* N21 (116). 2010. გვ.19-20.
[825] Валико Джугели. Тяжелый крест. стр.15

მაჭარას შესართავებს შორის არსებულ სანაპირო ზოლში.[826] რასაც 17 მაისს, გვარდიის წარმატებული შეტევა, მდინარე კოდორის პოზიციების გადალახვა და სოხუმის დაკავება მოყვა. [827] 1918 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე შავი ზღვისპირეთში ქართული ჯარის ჩატარებული ოპერაციის დროს, ფლოტის ფლაგმანს სატრანსპორტო გემი ,,მიხეილი“ წარმოადგენდა. სამოქალაქო დანიშნულების ორთქმავალზე, ორი 3,5 დუიმიანი (87მმ)[828] მოძველებული დგუშიანი და ორიც 37მმ-იანი ჰოჩკისის სწრაფმსროლელი ქვემეხი იყო დაყენებული.[829] ბათუმის დაცემის დროს, მიხეილი ბოლო გამოვიდა ბათუმის პორტიდან და მასზე მობმული ბარჟით ადამიანები გამოიყვანა, კოდორის პოზიციების დაბომბვისას კი ხომალდმა ბოლშევივიკების ქვემეხი გამოიყვანა მწყობრიდან. წარმატებით გახარებული ქართველები მიხეილს ქართულ ყაიდაზე, მოფერებით მიხაკოს ეძახდნენ, გემი არა მხოლოდ ბომბავდა მოწინააღმდეგის პოზიციებს, არამედ ხმელეთზე გადაჰყავდა დესანტი, ჯარებისთვის შეუსვენებლივ გადაჰქონდა საბრძოლო მასალები და სურსათ-სანოვაგე.[830] ,,მიხეილმა" სოხუმთან მწყობრიდან გამოიყვანა ბოლშევიკების ერთ ქვემეხი და ააფეთქა მოწინააღმდეგის ჭურვების საწყობი.[831] 5-6 ივლისს სოჭის აღების ოპერაციისას ხოსტის ბრძოლაში ,,მიხეილის" ქვემეხებმა მწყობრიდან გამოიყვანა წითლების ხუთი შორსმსროლელი ქვემეხისაგან შემდგარი ბატარეა. იგივე განმეორდა 25-26 ივლისს ტუაფსეს აღებისას , როდესაც ,,მიხეილმა" მოწინააღმდეგის ბატარეა დაბომბა და ხელი შეუწყო ქართული ნაწილების წინსვლას.[832] ხოსტის ბრძოლისა და სოჭის აღებაში შეტანილი წვლილისთვის ,,მიხეილის“ მთელი ეკიპაჟი გიორგის ჯვრებით დაჯილდოვდნენ, ხოლო ქალაქ სოჭის ეროვნული საბჭოსაგან კი სიმბოლურად აბრეშუმის დროშაც მიიღეს.[833] გარდა საბრძოლო ოპერაციებისა, მიხეილი წარმატებით ასრულებდა სანაპირო დაცვის ფუნქციებს, მონაწილეობდა 1918 წლის ზაფხულში აფხაზეთში გადასხმული ოსმალური დესანტის განადგურებაში, ეწეოდა

---

[826] Гиоргий Дзидзария. Очерки истории Абхазии 1910 -1921. с.173

[827] Валико Джугели. Тяжелый крест. с.15-17.

[828] დოკუმენტში მითითებულია 3,5 დუიმი , რაც 88 მილიმეტრს უდრის, თუმცა აქ უნდა იგულისხმებოდეს 3,42 დუიმიანი 1877 წლის მოდელის 87მმ-იანი ქვემეხები.

[829] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 6. ფურც.41.

[830] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 6. ფურც.41.

[831] არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920წლები). გვ.124.

[832] არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920წლები).გვ.145.

[833] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 6. ფურც.41.

სატრანსპორტო სამსახურს. თუმცა თითქმის განუწყვეტელმა მუშაობამ, გემის მრავალი ხელსაწყო მწყობრიდან გამოიყვანა და სერიოზული რემონტი სჭირდებოდა, სარემონტო ხომალდი კი ცურვას მაინც აგრძელებდა , იქამდე სანამ 1918 წლის 21 სექტემბერს ჭურვებითა და 760 გვარდიელით დატვირთული გემი შტორმმა გაგრასთან არ გარიყა მეჩეჩზე.[834] დეკემბერის დასაწყისში საინჟინრო სამუშაოების შემდეგ , გარიყული ხომალდი ისევ ზღვაში შეაბრუნეს და ფოთში დააბრუნეს,[835] გემი კიდევ უფრო დაზიანებულიყო და კაპიტალურ რემონტს ითხოვდა. აქტიური გამოყენების გამო, გარემონტება სჭირდებოდა ,,გრინპორტებსაც“.

ტუაფსეს აღების შემდეგ , ქალაქის ნავსადგურში ქართველებს სამოქალაქო დანიშნულების 28 ერთეული მცირე ზომის მოტორიანი, მოტორიან-იალქნიანი და იალქნიანი ხომალდი დახვდათ, ისტორიკოსი არჩილ ჩაჩხიანი ასკვნის, რომ ყველა მცურავი საშუალება ქართველებმა ფოთში გააზავნეს, თუმცა თუ ერთმანეთს შევადარებთ ტუაფსეს პორტში მდგარი მცურავი საშუალებების სიას და 1918 წლის ოქტომბრის მონაცემებით საქართველოს რესპუბლიკის გემების სახელობით სიას, ვნახავთ, რომ ქართველებმა ტუაფსედან ფოთში 14-15 მცურავი საშუალება წაიყვანეს.[836] 1918 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის საქართველოს რესპუბლიკის ფლოტი 89 ერთეულ ორთქმავალს, მოტორიან თუ იალქნიან მცურავ საშუალებას ითვლიდა, აქედან 6 სამხედრო კატარღა იყო N521; N523; N524: N525; N526 და N545.[837] ერთი გამანდგურებელი N 547 1918 წლის 7 ივნისს ნოვოროსიისკენ გავიდა , როგორც ჩანს კატარღის რუსულმა ეკიპაჟმა არეულობით ისარგებლა და ფოთში აღარ დაბრუნებულა. [838] 1918 წლის გაზაფხულის შემდეგ ქართველებმა საბრძოლო კატარღებს სიმბოლური სახელები კიდევ ერთხელ შეუცვალეს და დოკუმენტებში საქართველოს კუთხეების მცხოვრებთა ნაცვლად - მედგარი, სწრაფი, ელვა, მეხი და მებრძოლი გვხვდება.[839] ეს სახელებიც დროებითი გამოდგა და 1919 წლებში ქართველებმა კატარღებს ვეფხისტყაოსნის გმირებისა და მე-18 საუკუნის ქართლ-

[834] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 6. ფურც.34; 42-45.
[835] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 6. ფურც.47.
[836] არჩილ ჩაჩხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920წლებიგვ.145; სცსა. ფონდი 2081. აღწ.1. ნაწ.2 საქმე.637 ფურც.3; 50-52; 89-91.
[837] სცსა. ფონდი 2081. აღწ.1. ნაწ.2 საქმე.637 ფურც89-91.
[838] Р. В. Лапшин. Сторожевие Катера Фирми ,,Гринпорт". Част 2. с.14.
[839] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 87. ფურც.190.

კახეთის მეომარი მეფის, ერეკლე მეორის ხალხში გავრცელებული სახელი, პატარა კახი უწოდეს. გენერალური შტაბის სამხედრო-საზღვაო სექციის ანგარიშის მიხედვით 1918 წლის ბოლოსთვის ფლოტს 5 გამანადგურებელი და 2 ნაღმოსანი გემი ჰყავდა, თუმცა მათგან 3 გამანადგურებელი ბრიტანელებმა ქართველებს ჩამოართვეს და თეთრებს გადასცეს, ნაღმოსნები კი შტორმმა გარიყა ნაპირზე.[840] ნაღმოსნებში არ იგულისხმებოდა კლასიკური გაგებით ნაღმოსანი ხომალდები, არამედ არტილერიით გაძლიერებული სამოქალაქო დანიშნულების ხომალდები, მათ შორის ერთ-ერთ სწორედ ზემოთ ნახსენები მიხეილი იყო. რაც შეეხება ბრიტანელების მიერ თეთრებისთვის გადაცემულ ქართული ჯარის გამანადგურებლებს, რთულია ზუსტად ითქვას, რომელი კატარღები გადასცეს ბრიტანელებმა თეთრებს. გენერალური შტაბის სამხედრო-საზღვაო სექციის 1919 წლის მაისის ანგარიშში უბრალოდ დასახელებულია სამი გამანადგურებლის გადაცემის ფაქტი,[841] რუსული ისტორიოგრაფიის ცნობით თეთრებმა 1919 წლის ივლისის ბოლოს საქართველოდან მიიღეს ორი ,,გრინპორტი“ საბორტე ნომრით - 525 და 545, ხოლო იმავე წლის აგვისტოში კი დამატებით კიდევ ერთი - საბორტე ნომრით 521.[842] ეს ინფორმაცია სწორი არ უნდა იყოს, რადგანაც საქართველოს არმიის გენერალური შტაბის ინფორმაციით, ხომალდები ბრიტანელებმა მათ 1919 წლის ზაფხულამდე დიდი ხნით ადრე ჩამოართვეს, კატარღა საბორტე ნომრით 545 კი ქართველებმა 1919 წლის ივნისში გაარემონტეს და შემდეგაც მუდამ ქართული ჯარის რიგებში ირიცხებოდა. 1920 წლის 26 აპრილის მონაცემებით კი სხვებთან ერთად, ზემოთ დასახელებული სამივე კატარღა (521, 525 და 545) ქართული ფლოტის რიგებში იყო.[843] შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დენიკინის დამარცხების შემდეგ კატარღები უკან დაუბრუნეს ქართველებს, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 1920 წლის 18 აპრილს, ბერნში მყოფ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართვეოლოში მიმდინარე პოლიტიკურ ამბებს აცნობდა, მიმდინარე ამბებთან კავშირში მყოფ ძველ ამბებსაც იხსენებდა და სწერდა, რომ ბრიტანელებმა თავის დროზე ქართველებს 4 გამანადგურებელი ჩამოართვეს და თეთრების კასპიის ზღვის ფლოტს გადასცეს,

[840] ნუგზარ გელოვანი. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან (1918-1920წწ). გვ.32.
[841] ნუგზარ გელოვანი. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან (1918-1920წწ). გვ.32.
[842] Р. В. Лапшин. Сторожевие Катера Фирми ,,Гринпорт". Част 2. с.11,14.
[843] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 330. ფურც.27.

შემდეგ კი ეს ხომალდები ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში.[844] მთლიანობაში ის, რომ ბრიტანელებმა თეთრებს ქართველების 3 ან 4 გამანადგურებელი ან სხვა ტიპის გემი გადასცეს, დადასტურებულ ფაქტად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა ეს ხომალდები ვერ იქნებოდა რუსულ ისტორიოგრაფიაში დასახელებული ,,გრინპორტები" საბორტე ნომრებით: 521, 525 და 545.

საქართველოს რესპუბლიკის გემები სხვადასხვა სტრუქტურაში იყო განაწილებული, იქნებოდა ეს სატრანსპორტო საზოგადოება, ფოთის პორტის სამმართველო და ა.შ. გენერალურ შტაბში არსებობდა სამხედრო-საზღვაო სექცია, რომელიც ფლოტის საქმეებს ორგანიზებას უწევდა და კურირებდა, მაგრამ 1918 წელს ფლოტს თავისი გაწერილი შტატები და ზუსტი ორგანიზაცია არ გააჩნდა . სამხედრო ფლოტილიის დროებითი საშტატო სტრუქტურა 1919 წლის იანვარში დამტკიცდა,[845] ხოლო ოფიციალური კი 1919 წლის ივლისში.[846]

სამხედრო ფლოტის შექმნას ზოგიერთი მოხელე სკეპტიკურად უყურებდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილების უფროსი, ინჟინერი ალიშბაია, რომელმაც 1919 წლის 12 თებერვალს მთავრობის თავმჯდომარეს , ნოე ჟორდანიას მოხსენება წარუდგინა, რომელშიც სამხედრო ფლოტის ყოლის მიზანშეუწონლობას თავგამოდებით ამტკიცებდა. ალიშბაიას ავანტურისტულ ნაბიჯად მიაჩნდა სამხედრო ფლოტის ყოლა და სამხედრო პორტის მოწყობას ფოთში, მისი აზრით ეს მხოლოდ სახაზინო ქონების განიავებას გამოიწვევდა, ფოთის სამხედრო ნავსადგურად გადაქცევა მას როგორც კომერციულ ნავსადგურს მნიშვნელობას დაუკარგავდა და მაგალითად, რუსეთში რეველის ნავსადგური მოჰყავდა, რომლის სამხედრო ნავსადგურად გადაქცევამ სავაჭრო გემების ნაკადი შეამცირა. სამხედრო ნავსადგურს უფრო მკაცრი წესები ჰქონდა და სავაჭრო გემები საზოგადოდ ცდილობდნენ ყოველთვის კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე გვერდი აევლოთ მისთვის. ალიშბაია სამხედრო საზღვაო ფლოტის შექმნის მცდელობას ,,ნაცარქეიქიობას" უწოდებდა. მისი აზრით ბუტაფორიულ ფლოტს არანაირი სამხედრო მნიშვნელობა არ ექნებოდა, ხარჯები კი

[844] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 393. ფურც.48.
[845] ნუგზარ გელოვანი. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან (1918-1920წწ). გვ.33.
[846] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.25.

დიდი დასჭირდებოდა და ფინანსურ ზარალს მოუტანდა რესპუბლიკას. ამ არგუმენტების გარდა, ალიშბაია მკაცრად აკრიტიკებდა ფლოტის მეთაურს, კაპიტან ალექსანდრე ჭავჭავაძეს და მის ერთგულ პირებს, ბოცმან მარჯანოვს და სამხედრო ნავსადგურის მცველების უფროსს მიტუშა აბაშიძეს. ალიშბაიას ბრალდებით ამ უკანასკნელს პორტში ეტლებით მსუბუქი ყოფაქცევის ქალები მიჰყავდა და თავის ,,ძმა-ბიჭებთან" ერთად ერთობოდა, ჭავჭავაძე კი ხაზინას როგორც საწველ ფურს ისე უყურებდა. ალიშბაია, ჭავჭავაძეს საკუთარ შტაბში საეჭვო რუსების მოგროვებას აბრალებდა, ის ასევე უკმაყოფილო იყო კაპიტნის ორგანიზატორული საქმიანობით. ალიშბაია ითხოვდა, რომ გაუქმებულიყო ფოთის პორტის სამხედრო მმართველობა და ჭავჭავაძეს თუ არ გაიწვევდნენ მისთვის მეთვალყურე მაინც დაენიშნათ. ალიშბაია საკუთარ მოხსენებას უწოდებდა მოქალაქის აჯანყებულ სინდისს, რომელიც ხედავდა ბრძოლის ველის ყორნებს ზურგში , რომელთა მიზანი ხაზინის განიავება და საკუთარი კუჭის გაპოხიერება იყო.[847] ინჟინერ ალიშბაიას მოხსენებას ყური არავინ ათხოვა, ამაში თავისი როლს პატარა რესპუბლიკის, კიდევ უფრო პატარა ფლოტის მოქმედების წარმატებული ეპიზოდებიც ითამაშებდა. 1919 წლის 15 მარტს წყალში ჩაუშვეს, ,,გრინპორტის" ტიპის ახლად გარემონტებული კატარღა, რომელსაც პატარა კახი უწოდეს. კატარღის კაპიტანი გოგავამ ცერემონიის დროს ,,მამა მეზღვაურის", ანუ ფლოტის სარდლის, უკვე პირველი რანგის კაპიტნის ჭავჭავაძის დალოცვას ითხოვდა და მზადყოფნას გამოთქვამდა დაეცვა ძვირფასი რესპუბლიკა. ,, მამა მეზღვაურის", ალქსანდრე ჭავჭავაძის დალოცვამაც არ დააყოვნა: ,,მოგილოცავთ მხურვალე გულით ეროვნულ გემის წყალში ჩაშვების დღეს. ვარ, ღრმათ დარწმუნებული , რომ პატარა, ახლად შობილი ფლოტი გაამართლებს მასზედ დამყარებულ ჩვენ ძვირფას სამშობლოს შვილთა იმედებს. მაქვს სრული იმედი, რომ ჩვენ მიერ პირველად აღმართული დროშა ახალ გემზე არასდროს ჩამოეშვება ძირს მტრის წინაშე, როგორც არ ჩამოშვეულა იგი მის სეხნიის ერეკლე მეორის რაინდულსა და ძლევამოსილს ეპოხაში." [848] პატარა კახთან ერთად სამხედრო უწყება იყენებდა შეიარაღებული ორთქმავალ ჭოროხს.[849] რეალურად ჭოროხი, საბაგირე გემი (ბუქსირმზიდი) იყო რომელზეც ქართველებმა ერთი 47მმ-იანი ქვემეხი და 3 ტყვიამფრქვევი დააყენეს.[850] კიდევ ერთი ,,გრინპორტი" საბორტე ნომრით 545, ფოთის პორტის სახელოსნოების

[847] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 257. ფურც.25-28.
[848] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 121. ფურც.24.
[849] ნუგზარ გელოვანი. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან (1918-1920წწ). გვ.33.
[850] Гражданская Война. Боевые действия на морях, речных и озерных системах. Том III. юго-запад. Ленинград: ,,Морская Историческая Комиссия", 1925, с.68.

გადატვირთვის გამო ახალ ათონში გააგზავნეს სარემონტოდ.[851] გამანადგურებელი 1919 წლის 3 ივნისს წყალში ჩაუშვეს და ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირთაგან ერთ-ერთის ,,ტარიელის“ სახელი უწოდეს, კაპიტანი გოგავა მთავრობის თავმჯდომარეს და სამხედრო მინისტრს აცნობებდა, რომ ,,ტარიელი“ ,,პატარა კახზე“ სწრაფიც იყო და მძლავრიც.[852]

1919 წლის 29 ივლისს დამტკიცებული შტატების მიხედვით, სამხედრო ფლოტილიის სამმართველო და ფლოტილია, შედიოდა სანაპირო, იგივე სასაზღრო ჯარის შემადგენლობაში. პირადი შემადგენლობა სულ 35 კაცისაგან შედგებოდა, ფლოტილიის შეამდგენლობაში იყო 3 კატარღა - ,,პატარა კახი", ,,ტარიელი" და N 526.[853] გამანდგურებელი N526 სარემონტო იყო, 1919 წლის 19 ივლისს გენერალური შტაბი რესპუბლიკის მთავრობას წერდა, რომ მარტო ,,პატარა კახი“ და ,,ტარიელი“ ვერ აუდიოდნენ საქმეს და ვერ ახერხებდნენ სანაპიროს დაცვას კონტრაბანდისგანაც კი, ამიტომ სასწრაფოდ ითხოვდნენ 100 000 მანეთს კატარღის კაპიტალური რემონტისთვის.[854] გარემონტებული N526, ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთი მთავარი გმირის სახელით ,,ავთანდილით“ ფლოტმა 1920 წელს მიიღო , ფლოტილიის შტატს დაემატა საზღვაო ,,გუნდი“ , იგივე ასეული 119 კაცის შემადგენლობით და საზღვაო სკოლა.[855]

საზღვაო ინციდენტებით იყო დატვირთული ქართველებისა და დენიკინის ფლოტის ურთიერთობა 1918-1920 წლებში. თეთრების ფლოტის სახაზო ხომალდებს, კრეისერებსა თუ ჯავშნოსნებს, ქართული ფლოტილიის განადგურება და პორტების დაბომბვა მარტივად შეეძლოთ, თუმცა გარდა იმისა, რომ ისინი პირველ რიგში წითლებს ებრძოდნენ, შავ ზღვაზე გაბატონებული ანტანტის ქვეყნების საზღვაო ფლოტი მათ ამის საშუალებას არ მისცემდა, ისინი ყოველთვის ცდილობდნენ ერთმანეთს გადაკიდებული თეთრები და ქართველები როგორმე დაეშოშმინებინათ და თეთრებს თავიანთი ძალები სრულად მიემართათ წითლების წინააღმდეგ. ამის

[851] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 347. ფურც.6-7.
[852] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 390. ფურც.232-234.
[853] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328. ფურც.25.
[854] სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 297. ფურც.2.
[855] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 288. ფურც.55-65; სცსა. ფონდი 1833. აღწერა1.საქმე 1054. ფურც.14-26 - აღნიშნულ საქმეებში მოცემულია შტატების გადიდების პროექტებუ, ხოლო ის, რომ 1920 წლის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგელობის შტატები გაიზარდა დასტურდება შემდეგ საქმეში - სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 17. ფურც.8.

მიუხედავად საზღვაო ინციდენტები მაინც ხდებოდა, ყველაფერი კი 1918 წლის 3 დეკემბერს დაიწყო როდესაც თეთრების, ქვემეხებით შეიარაღებულმა ხომალდმა, სროლის მუქარით სოხუმიდან გაგრისაკენ მიმავალი სატვირთო ორთქმავალი ,,საქართველო" და მასზე ჩბმული ბარჟა N133 დააკავეს , გემებს გაგრისკენ გადაჰყავდათ 120 ჯარისკაცი და 4 ცხენი, ასევე მიჰქონდა 1500 ფუთი სიმინდი. დაკავებული მცურავი საშუალებები, თავისი ჯარისკაცებიან სიმინდიან-ცხენებიანად რუსებმა ტუაფსეში გადაიყვანეს, რომელსაც იმ დროისათვის უკვე ისინი აკონტროლებდნენ.[856] მალევე თეთრებმა ძალის გამოყენებით დააკავეს ფოთის პორტის გემი ,,ფიოდორ ფეოფანი".[857] ქართველები ფლოტს იყენებდნენ დენიკინის წინააღმდეგ 1919 წლის აპრილში გაგრაზე განხორციელებული შეტევითი ოპერაციის დროს, როდესაც ფოთიდან აფხაზეთში გადაყავდათ ჯარი და შესატევად ემზადებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი მცდელობა , კინაღამ მთელი ბატალიონის დაღუპვით დასრულდა. 1919 წლის 21 მარტს შავ ზღვაზე საშინელი შტორმი ამოვარდა, ზღვაში გასული გემები და გვარდიის მთელი ბატალიონი დაღუპული ყველას ეგონა, თუმცა მეზღვაურებმა იმარჯვეს და მაინც მოახერხეს გემების უკან, ფოთის პორტში მშვიდობიანად დაბრუნება, დაიღუპა მხოლოდ რამდენიმე კაცი და ზღვაში ერთი ჯავშანმანქანა გადავარდა . თავად პორტში კი სამი გემი ჩაიძირა.[858] 1919 წლის 2 დეკმებერს, ერთი წლის წინანდელი შემთხვევა განმეორდა და ამჯერად თეთრებმა გემი ,,ჭოროხი“ და მასზე მიბმული ბარჟა დააკავეს 150 ჯარისკაცით და 2000 ფუთი ტვირთით.[859] 5 დღის შემდეგ, 7 დეკემბერს ფოთს ჩრდილოეთიდან 5 ვერსზე მიუახლოვდა თეთრების ფლოტის ნაღმგადამღობი ,,დუნაი“, მასთან შესახვედრად გაემართა ქართული ფლოტის გამანადგურებელი კატარღა ,,ტარიელი“, ხომალდებს შორის საზღვაო ბრძოლა გაიმართა , ,,დუნაის“ 19 გასროლას, ,,ტარიელის“ 25 ზალპი მოჰყვა, საიდანაც სამი მიზანს მოხვდა და დაზიანებული ,,დუნაი“ ბრძოლის ველს გაეცალა, ჯერ სრული სვლით ბათუმის მიმართულებით წავიდა, ხოლო შემდეგ კი ჩრდილოეთისკენ მოუხვია.[860] დატყვევებული ჭოროხის ეკიპაჟი თეთრებმა 20 დღეში გაათავისუფლეს, ერთ-ერთმა მათგანმა გაზეთ საქართველოს ფურცლებზე თავს

---

[856] სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 324. ფურც.5.
[857] თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 2. ჟურნ. *,,არსენალი“* N23 (144), 2011. გვ.39.
[858] Валико Джугели. Тяжелый крест. стр. 134.
[859] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 11. ფურც.2.
[860] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 11. ფურც.2.

გადახდენილი ამბები აღწერა და ისიც აღნიშნა, რომ ტუაფსეში მისი ტყვეობის დროს პორტში შევიდა ,,ტარიელის“ მიერ დაზიანებული რუსული გემი, ორი მოკლული მეზღვაურითურთ.[861] მეზღვაურები სავარაუდოდ ,,ტარიელთან“ შეტაკებამ იმსხვერპლა.

ქართველებმა, დენიკინს გემების წართმევისათვის სამაგიერო 1920 წელს გადაუხადეს და მარტში თეთრების რამდენიმე გემი დააკავეს. 1920 წლის გზაფხულზე დენიკინი დამარცხდა და მისი მებრძოლები ოჯახებით და მომხრეებით ნოვოროსიიკს ტოვებდნენ. დენიკინელების ერთმა ნაწილმა თავი ბათუმს შეაფარა , რომელიც იმ დროისათვის ბრიტანელებს ეკავათ. რანგული ხომალდის ,,ანსეი რუჟ“-ის მეთაურის ინფორმაციით 1920 წლის 25 მარტს სწორედ ნოვოროსიისკიდან ბათუმისკენ მიმავალი 4 რუსული სამგზავრო გემი, ფოთთან 6.5 მილში ქართულმა გამანდგურებელმა კატარღამ ქვემეხის სროლით გააჩერა და პორტში ძალით შეიყვანა.[862] ქართველთა ვერსიით ეს გემები თავად შევიდნენ ფოთში და მოხალისეთა დელეგაციამ სამხედროებით, ლტოლვილებითა და სხვადასხვა საქოლნით დატვირთული გემების საკუთარი საჭიროებისთვის ფოთში დატოვება თხოვეს იმ დროს ზღვისპირა ქალაქში ჩასულ საქართველოს სამხედრო მინისტრს, თუმცა შემდეგ აზრი შეიცვალეს, მაგრამ ქართულმა მხარემ ისინი პორტიდან აღარ გაუშვა, ეკიპაჟის ნაწილის ბოლშევიკური განწყობისა და იმის გამო რომ მანამდე ბრიტანელებმა ქართული კატარღები გადასცეს მოხალისეებს და ასევე თეთრების მიერ წართმეული გემის ,,თეოფანეს" გამო.[863] რამდენიმე დღის შემდეგ, 30 მარტს ქართველებმა სოხუმთან ხელში ჩაიგდეს დენიკინელების კიდევ ერთი ხომალდი, კერძოდ გამანადგურებელი - ,,უფროსი ლეიტენანტი მაკაროვი". კატარღის მეთაური, პირველი რანგის კაპიტნის ლებედევის გაფრთხილების მიუხედავად, რომ ქართველებთან ფრთხილად ყოფილიყო , ეკიპაჟის დიდი ნაწილთან ერთად ხმელეთზე, სოხუმში სასეირნოდ გადავიდა, ისინი ქალაქში დააკავეს, ხოლო ბორტზე დარჩენილ ოთხ მეზღვაურს ორი ქართული კატარღა და 20-მდე ქართველი ჯარისკაცი მიადგა , ეკიპაჟი განაიარაღა და კატარღა ფოთში

[861] ჭოროხის ტყვეობის ისტორიიდან. გაზ. *,, საქართველო“* N10 1920 წ. 15 იანვარი . გვ.3.
[862] სცსა. ფონდი 1864. აღწერა.2. საქმე.373 ფურც.131.
[863] სცსა. ფონდი 1864. აღწ.2. საქმე.393 ფურც.48 თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 2. გვ.40; თემურ ჩაჩანიძე. საზღვაო დესანტი აფხაზეთში. ჟურნ. *,,არსენალი“*, N12 (17). 2005. გვ.41.

გადაიყვანა.[864] სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ბერნში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლისადმი 18 აპრილს გაგზავნილი წერილი, დოკუმენტის მიხედვით 4 რუსული გემიცა და გამანადგურებელიც ფოთის პორტში საკუთარი ნებით შევიდნენ.[865] მიუხედავად იმისა ქართველებმა სოხუმთან შეიპყრეს თუ ფოთში თავისი ნებით შევიდა და ამის მერე დააკავეს ,,მაკაროვი", თეთრები ძალიან განარისხა ქართველების საქცეილმა და პირველი რანგის კაპიტანმა ლებედევმა ფოთისაკენ დაძრა ორი საესკადრო ნაღმოსანი : ,,ჟივოი" და ,,დერზკი". მათ მიზანი რუსული კატარღის განთავისუფლება და ფოთის პორტის დაბომვა იყო. ლაშქრობა შტორმისა და ცუდი ამინდის გამო შეწყდა და კატარღა ქართველებს დარჩათ. [866] თეთრებისათვის ჩამორთმეულ გამანადგურებელს კი ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთი გმირის სახელი - ,,ფრიდონი" უწოდეს, კატარღა თავისი მონაცემებით საუკეთესო იყო სამხედრო ფლოტილიის სხვა კატაღებს შორის (ბრიტანული ML-405, წყალწყვა-37 ტონა, სიჩქარე - 19კვანძი) ,[867] მაგრამ 1920 წლის ოქტომბერში ჯერ კიდევ დოკში იდგა სარემონტოდ.[868] რაც შეეხება ოთხ სამგზავრო გემს, ბრიტანელების და ფრანგების დიპლომატიური გზებით მოსთხოვეს ქართველებს გემების განთავისუფება, თუმცა სანამ ქართული მხარე მათ პასუხს გასცემდა 6 აპრილს ფოთს მიადგა ბრიტანული კრეისერი, რომლის კაპიტანმაც გემების გასაშვებად 12 საათი მისცა ფოთის ქალაქის მმართველობას, კრეისერმა ასევე შეაჩერა ერთი ქართული გემი, რომელსაც ჯარისკაცები უნდა გადაეყვანა გაგრაში. საქართველოს მთავრობამ დაუშვებლად მიიჩნია კრეისერის მეთაურის მიერ ქალაქისათვის ულტიმატუმის წაყენება და ფოთის გარნიზონის უფროსს უბრძანა არ შეესრულებინა მოთხოვნა და ძალის გამოყენების შემთხვევაში ძალითვე გაეცათ პასუხი. 12 საათის გასვლის შემდეგ ბრიტანული კრეისიერი ერთი ნაღმოსნის თანხლებით ფოთის პორტში შევიდა , საინტერესოა რომ ამ დროს კრეისერზე იმყოფებოდნენ ბათუმიდან გაგრის პოზიციების დასათვალიერებლად წასული ბათუმის ოლქის ბრიტანელი გენერალ-გუბერნატორი

---

[864] Гражданская война в России: Черноморский флот. Составитель В. Доценко. Москва: ,,АСТ". 2011 с. 222-223; თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 2. გვ.41;

[865] სცსა. ფონდი 1864. აღწერა.2. საქმე.393 ფურც.48.

[866] Гражданская война в России: Черноморский флот. с. 222-225; თემურ ჩაჩანიძე. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 2. გვ.41;

[867] Гражданская война в России: Черноморский флот. с.150.

[868] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1083. ფურც.18.

კუკ-კოლისი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. პორტში შესულმა კრეისერმა ნახევარ საათიანი ვადა მისცა ფოთის ქალაქის მმართველობას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმუქრნენ, რომ ძალით წაიყვანდნენ გემებს, ქართულმა მხარემ ბრიტანელების ეს მოთხოვნაც უარყო , რის შემდეგაც კრეისერი კაპიტანმა განაცხადა, რომ ამ ყველაფერს ბრიტანულ საზღვაო მმართველობას გააცნობდა და ბათუმში გაბრუნდა. საბოლოოდ ინციდენტი ბათუმის ოლქში საქართველოს წარმომადგენელის მუხრან ხოჭოლავასა და გენერალ-გუბერნატორ კუკ-კოლისის მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა. ქართველებმა ოთხიდან სამი სამგზავრო გემი გაანთავისუფლეს, ერთი კი დროებით დაიტოვეს, ხოლო გამანადგურებელი კი სამუდამოდ დაიტოვეს.[869] მეოთხე სამგზავრო გემი ,,კაზაკი"[870] კერძო ფირმას ,,სამხრეთ-რუსეთის საზოგადოებას" ეკუთვნოდა, ქართველებმა მას ,, მერანი" დაარქვეს, საქართველოს სამხედრო უწყებამ მოგვიანებით ხომალდი არენდით აიღო და ჯარისკაცების და სამხედრო ტრანსპორტის გადასატანად იყენებდა, ასევე გადაჰყავდა მგზავრები და ასრულებდა კერძო შეკვეთებს.[871]

1920 წლის 26 აპრილის მონაცემებით საქართვლოს რესპუბლიკის განკარგულებაში 57 სხვადასხვა დანიშნულების, მწყობრში მყოფი თუ სარემონტო მცურავი საშუალება იყო, მათ შორის 5 გამანადგურებელი კატარღა საბორტე ნომრებით: N521; N523; N525; N526; N545, მათგან ორს კი კაპიტალური რემონტი სჭირდებოდა.[872] 1920 წლის ივლისში ბათუმიდან ბრიტანელების გასვლის შემდეგ მალევე ქართული სამხედრო ფლოტილიამ, ფოთიდან ბათუმში გადაინაცვლა. 1920 წლის ოქტომბერში დამფუძნებელი კრების მცირე სამხედრო კომისიამ სამხედრო ფლოტილიაში რევიზია ჩაატარა. რევიზიის შემდეგ გაირკვა, რომ ფლოტილიაში შედიოდა ოთხი გამანდგურებელი კატარღა (აქედან ერთი , ,,ფრიდონი" რემონტდებოდა), რომელთა ეკიპაჟი შეადგენდა 54 კაცს, ადგილზე კი 44 კაცი იყო. პირადი შემადგენლობიდან 7 კაცს ნამსახურები ჰქონდა რუსულ სამხედრო და სავაჭრო ფლოტში, 6 კაცს ფოთის საზღვაო სკოლა დაემთავრებინა, 16 მეზღვაურს ჰქონდა მიღებული საშუალო

[869] სცსა. ფონდი 1864. აღწერა.2. საქმე.393 ფურც.43; 48.
[870] ზოგიერთ დოკუმენტში გემს ,,კაზაკის" ნაცვლად შეცდომით ,,ყაზანს" უწოდებენ. იხ: სცსა. ფონდი 1864. აღწ.2. საქმე.373 ფურც.135-137.
[871] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1083. ფურც. 18; თემურ ჩაჩანიძე. საზღვაო დესანტი აფხაზეთში.გვ.41.
[872] სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 330. ფურც. 27-28.

განათლება , ხოლო დანარჩენს განათლება სხვადასხვა სამოქალაქო სასწავლებელში ჰქონდათ მიღებული, სამხედრო-სავალდებულო სამსახურს გადიოდა 4 კაცი, წერა-კითხვა მათაც იცოდნენ. ფლოტილიის მეზღვაურებს ფოთისგან განსხვავებით ბათუმში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ბინა და ამიტომ ისინი მცირე ზომის გემებზე ატარებდნენ დროს და იქვე ეძინათ ან კიდევ სახელოსნოებსა და საწყობებში ათევდნენ ღამეს, მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საკუთარი სამზარეული და საჭმელს ღია ცის ქვეშ ხარშავდნენ, მეზღვაურები ითხოვდნენ ახალ ფორმებს , ჩიოდნენ ხელფასების დაგვიანებას თუმცა საკუთარი ოფიცრებისა მოპყრობისა და სარდლის, კაპიტან თაყაიშვილის ზრუნვის მადლიერნი იყვნენ.[873] კომისიამ დაათვალიერა სამხედრო უწყების მიერ არენდით აღებული გემი ,,მერანი“ და მისი ეკიპაჟი, გემის ეკიპაჟი 34 კაცისგან შედგებოდა , მათ შორის 7 რუსი იყო. გემის კაპიტანმა, ლეიტენანტმა სიხარულიძემ კომისიას განუცხადა, რომ ,,მერანს“ დიდი რემონტი სჭირდებოდა, მატროსები კი სიხარულიძისგან უდიერ მოპყრობას ჩიოდნენ, მათ შორის ცემასაც, რაც თავად სიხარულიძემაც დაადასტურა და თქვა, რომ მატროსი ფარცვანია დისციპლინის დარღვევის გამო სცემა. მატროსები ასევე უჩიოდნენ ტანსაცმლის და კვების პრობლემებს.[874] 1920 წლის ოქტომბრისათვის ფლოტილიას მეთაურობდა პირველი რანგის კაპიტანი თაყაიშვილი ; გამანადგურებელ ,,ფრიდონს“ ლეიტენანტი ჩიკვაიძე; ,,ავთანდილს“ ლეიტენანტი ჭითანავა; ,,ტარიელს“ ლეიტენანტი ღომბერიძე; პატარა კახს ლეიტენანტი ღოღობერიძე , სამხედრო-სატრანსპორტო გემ ,,მერანს“ კი ლეიტენანტი სიხარულიძე.[875] პირველი რანგის კაპიტანი ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დროისათვის უკვე ფოთის ნავსადგურის უფროსის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ 1918 წლის 18 იანვარს იგი ამ თანამდებობიდან დაითხოვეს დაუდევრობისა და თვითნებობის ბრალდებით. მისი უყურადღებობის გამო 1920 წლის 28 დეკემბერს გემმა ,,პრინციპმა“ ნებართვის გარეშე დატოვა ფოთის პორტი და გაიპარა, ნავსადგურის სამმართველოსთან არსებული კოოპერატივიდან კი დაიკარგა 16 ტომარა ფქვილი, სალაროს წიგნებში ამოხეული იყო ფურცლები , ციფრები გადაკეთებილი და ანგარიშები არეულ-დარეული.[876] გენერალი გიორგი კვინიტაძე კი

[873] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1083. ფურც.17-18.
[874] სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1083. ფურც.18.
[875] ნუგზარ გელოვანი. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან (1918-1920წწ).გვ.35.
[876] სცსა. ფონდი 1880. ფურც.1. საქმე 159. ფურც.1-18.

საკუთარ მოგონებებში წერდა, რომ 1921 წლის მარტში თურქებთან კავშირის ბრალდებით,,ბედნავსი“ კაპიტანი ჭავჭავაძე დააკავეს , რომელსაც სინამდვილეში არანაირი ბრალი არ მიუძროდა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა, კვინიტაძის შუამდგომლობით ჭავჭავაძე პატიმრობიდან გაათავისუფლა.[877]

ქართული საზღვაო ფლოტილია ბევრი მიზეზის გამო უმნიშვნელო საბრძოლო ძალას წარმოადგენდა , იქნებოდა ეს მცურავი საშულებების ნაკლებობა, არსებული ხომალდების მცირე შესაძლებლობები, მათი სარემონტო მდგომარეობა თუ მეზღვაურთა კატასტროფული სიმცირე. თუმცა ქართველ ზღვაოსნებს, ჰქონდათ წარმატებული საბრძოლო ეპიზოდებიც, ჯარების დესანტირების, საბრძოლო მასალისა და სურსათ-სანოვაგის გადატანის მაგალითებიც. რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ რესპუბლიკის ფლოტი, თავის მწირ შესაძლებლობებს ეფექტურად იყენებდა.

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში, საქართველოს საბჭოთა რუსეთის მეცხრე არმიის 31-ე მსროლელი დივიზია აფხაზეთის მხრიდანაც შეიჭრა, ასევე გაჩნდა საფრთხე , რომ ბოლშევიკები საქართველოს წინააღმდეგ ფლოტსაც გამოიყენებდნენ. მართალია იმ დროისათვის შავ ზღვაში ბოლშევიკებს სუსტი ფლოტი ყავდათ, მაგრამ არც ისე სუსტი, რომ ქართული ფლოტილიის წინააღმდეგობა ვერ დაეძლიათ. ქართველებს მშველელად, შავ ზღვაში მყოფი ფრანგული საზღვაო ესკადრა მოევლინათ, ჯავშნოსანი კრეისერის ,,ვალდეკ რუსოს" ფლაგმანობით. მართალია პირველ მსოფლიო ომში და მის შემდგომ პერიოდში ჯავშნოსანი კრეისერები, სახაზო ხომალდებთან (დრედნოუტების), სახაზო კრეისერებთან (საბრძოლო კრეისერი) და საესკადრო ჯავშნოსნებთან (პრედრედნოუტი) შედარებით, მოძველებულ და არაეფექტურ საბრძოლო ხომალდებს წარმოადგნენდნენ, მაგრამ ფრანგული ჯავშნოსანი კრეისერი მისი ამალით შავი ზღვის სუსტი საბჭოთა ფლოტის წინააღმდეგ მრისხანე საბრძოლო ძალას წარმოადგენდნენ. ,,ედგარ კინეს" კლასის და ამავე სახელწოდების მქონე ჯავშნოსანი კრეისერის ტყუპისცალის ,,ვალდეკ რუსოს" მშენებლობა ლორიანის ვერფზე 1906 წელს დაიწყეს და გემი 1911 აგვისტოდან უკვე საფრანგეთის სამხედრო ფლოტის შემადგენლობაში ჩაირიცხა. ხომალდის ტექნიკური და

[877] Генерал Г. И. Квинитадзе. Воспоминания. С.337.

საბრძოლო პარამეტრები: წყალწყვა- 13774ტონა; გაბარიტები -158.9X21.51X8.41 მეტრი; ძრავის სიმძლავრე -35286 ცხ.ძ; სიჩქარე -23.1 კვანძი; ცურვის სიშორე - 6560 მილი; ჯავშანი - 30მმ-200მმ; შეიარაღება - 14X194მმ.ქვემეხი; 20X64მმ. ქვემეხი; 2X457მმ. სატორპედო აპარატი; მთავარი კალიბრის ქვემეხების სროლის მანძილი -18 კილომეტრი; სწრაფგასროლა წუთში -4ჭურვი; ეკიპაჟი -859 კაცი.[878] ფრანგულმა ფლოტმა, რუსებს ომის დროს ფლოტის გამოყენების და ზღვიდან ქართული ნაწილების დაბომბვის, ან კიდევ დესანტის გადმოსხმის საშუალება არ მისცეს, ამასთანავე ზღვიდან ქართული ნაწილებს საარტლერიო მხარდაჭერას უწევდნენ და ბომბავდნენ რუსული ქვედანაყოფების პოზიციებს. 1921 წლის 19 თებერვალს მას შემდეგ რაც რუსულმა არმიამ, იერიში მიიტანა აფხაზეთში განლაგებულ ქართულ ნაწილებზე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ იმხანად ბათუმში ევაკუირებულ საფრანგეთის უმაღლეს კომისარს, აბელ შევალიეს ბათუმის ოლქში საკუთარი რწმუნებულის პირით ადრე დადებული პირობა შეახსენა და სთხოვა ფრანგული ესკადრის გაგზავნა გაგრისაკენ . გაირკვა , რომ შევალიე ელოდა ადმირალს[879] და მის განკარგულებას , ადმირალმაც მალევე გასცა განკარგულება და 19-20 თებერვლის ღამეს ესკადრა ,,ვალდეკ რუსო"-ს ფლაგმანობით გაგრისაკენ დაიძრა, ესკადრის მეთაურმა ქართულ მხარეს მაზუთით მომარაგება მოსთხოვა. [880]

20 თებერვალს, 17:00 საათზე , ორმა ფრანგულმა ხომალდმა სოფელ ვესელოესთან 80-მდე ჭურვი ესროლა რუსულ ნაწილებს,[881] მეორე დღის 11:00 საათზე კი ორმა გემმა პილენკოვოში მყოფ რუსულ ნაწილებს გაუხსნა ცეცხლი მსხვილკალიბრიანი ქვემეხებიდან. [882] 22 თებერვალს 00:20 წუთზე სამმა ფრანგულმა გემმა, შორსმსროლელი ქვემეხების ცეცხლით დაბომბა სოფელი ვესელოე, შემდეგ ერთი ხომალდი მიუახლოვდა პილენკოვოს სანაპიროდან ერთ კილომეტრზე რამდენიმე ჭურვი ისროლა რუსული 273-ე პოლკის განლაგებაში და გახსნა ტყვიამფრქვევების ცეცხლიც, დილის ცხრა საათზე კი სამმა ხომალდმა დაბომბა რუსული 91-ე მსროლელი ბრიგადის საველე შტაბი და 273-ე მსროლელი პოლკის განლაგება.[883] ფრანგული

---

[878] Федор Лисицын. Крейсера Первой Мировой. Москва: ,,Ексмо“. 2015 с. 384-385.

[879] კონტრ-ადმირალი შარლ-ჰენრი დიუმენილი (1868-1946წწ).

[880] სცსა. ფონდი 1872. აღწერა 1. საქმე 22. ფურც.51-53, 57, 99; საბჭოთა ისტორიოგრაფია ავრცელებდა ინფორმაციას თითქოს ზოგიერთი ცნობით ქართველები ფრანგებს ერთი ჭურვის გასროლაში 40 ფუთ თამბაქოს უხდიდნენ. იხ: Гиоргий Дзидзария. Очерки истории Абхазии 1910 -1921. с.355.

[881] Гиоргий Дзидзария. стр.355.

[882] Борба за Советскую власт в Авхазии . Сборник Документов и Материалов 1917-1921. Сухуми : ,,Абгосиздат“. 1957 с.178-179.

[883] Борба за Советскую власт в Авхазии . с.179; Гиоргий Дзидзария. с.355; თემურ ჩაჩანიძე. ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან. ჟურნ. ,,*არსენალი*“, N6(23), 2006. გვ.41.

ხომალდები შემდეგ დღეებშიც: 23-24, 27 თებერვალს; 2-3 მარტს პილენკოვოსთან, გაგრასთან გუდაუთასთან და ახალ ათონთან ზღვიდან საარტილერიო მხარდაჭერას უწევდნენ ქართულ ნაწილებს, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა და რუსულმა ჯარმაა 4 მარტს სოხუმი აიღო.[884] ქართული ჯარის გენერალური შტაბი 2 მარტის ინფორმაციით, რომელიც მთლად ზუსტი ვერ იქნებოდა და ალბათ განგებ გაზვიადების ელემენტებსაც შეიცავდა, მოსახლეობას ამცნობდა, რომ ფრანგულმა ფლოტმა წითლების 4 ქვემეხი და 2 ჯავშნოსანი მანქანა გაანადგურა და მოკლა 100-ზე მეტი წითელარმიელი.[885] საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ შემდეგ ფრანგულმა ხომალდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობის, სამხედრობის და ძვირფასი ნივთების ევაკუაციაში. საქართველოს მთავრობამ ბათუმიდან თან წაიყვანა რამდენიმე გემი, მათ შორის გამანდგურებელი კატარღები - ,,ტარიელი" და ,,ავთანდილი."[886]

ბოლოსიტყვაობა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში შეიარაღებული ძალებს და მისი საჭიროებებს სახელმწიფოს პრიორიტეტებში მთავარი ადგილი ეკავა. რესპუბლიკას, რომელიც იმ დროისათვის გამორჩეულად პროგრესული ხასიათის იყო გადარჩენა ჭირდებოდა, გადარჩენისათვის ბრძოლა კი ფაქტობრივად ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა, აქედან გამომდინარე არ არის გასაკვირი, რომ ქვეყნის ბიუჯეტის მესამედი სწორედ შეიარღებულ ძალებს ხმარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის მესამედი თავდაცვას ხმარდებოდა, ეს საკმარისი არ იყო და ადამიანური რესურსის მხოლოდ ნაწილობრივ გამოყენების საშუალებას იძლეოდა, რაც თავის მხრივ გვიჩვენებს იმ მძიმე ეკონომიკურ გარემოს რაშიც უწევდა ქვეყანას არსებობა. ეკონომიკური კრიზისი კი ახლად დასრულებული მსოფლიო ომისა და რუსეთის სამოქალაქო ომის ფონზე სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ადამიანური რესურსის სრულად ათვისების საშუალებას, ფინანსების ნაკლებობასთან ერთად არც იარაღის და საბრძოლო მასალის დეფიციტი არ იძლეოდა, რესპუბლიკის

[884] Борба за Советскую власт в Авхазии . с.183; 185; 187; 189-191. Гиоргий Дзидзария. с.356; 366-369; თემურ ჩაჩანიძე. ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან. 41-42.
[885] გენერალური შტაბის ცნობა. 2 მარტი. გაზ. ,,ერთობა“ N47 1921 წ. 4 მარტი. გვ.2.
[886] ალექსანდრე ხაბურზანია. ქართულ ემიგრაციაში (1921-1927). მანქანაზე ნაბეჭდი. თბილისი.1962, გვ.37-38.

არსენალი მხოლოდ მცირე და საშუალო მასშტაბის სამხედრო პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას ტოვებდა. იარაღის შეძენისა თუ უფასოდ მიღების საკითხი კი გლობალურ ფაქტორებს უკავშირდებოდა და დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ ხედვებსა თუ შიდა პოლიტიკიდან ნასაზრდოებ სამოქმედო პროგრამებზე ეკიდა, რაზეც ბუნებრივია თავად საქართველო ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა, ამის მიუხედავად ვნახეთ თუ როგორ ცდილობდნენ ქართველები იარაღის მიღებას, რა გზებით არ ცდილობდნენ ამას და იარაღის შეზღუდული პარტიების მიღება მაინც მოახერხეს. თუმცა ესეც არ იყო საკმარისი ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად თუნდაც თვეების განმავლობაში. მიუხედავად საკითხის პრიორიტეტულობისა, რიგ შემთხვევაში ხალხის სურვილი, პოლიტიკოსების ხედვა და პროფესიონალ სამხედროთა სურვილები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. მოსახლეობისა და პოლიტიკური ძალების დიდი ნაწილის სურვილი მილიციური ჯარი იყო, სამხედროები კი რეგულარულ ჯარზე აკეთებდნენ აქცენტს, რთული დროება მათ შორის ერთგვარ პაქტს ამყარებდა და პოლიტიკოსები მილიციურ ჯარზე მომავალ დროში საუბრობდნენ. სამხედრო და პოლიტიკური ლიდერები ცდილობდნენ ჯარისკაცთათვის სამხედრო-სავალდებულო სამსახური რთული მატერიალური პირობების მიუხედავად შესაგუებელი ყოფილიყო და ჯარისკაცთაგან კარგი, შეგნებული მოქალაქე-ჯარისკაცები დაეყენებინათ. ეპოქის სირთულის გამოძახილი იყო ორი პარალელური სტრუქტურის რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის თანაარსებობა, რომელიც ხშირად პრობლემებს ქმნიდა, თუმცა თუ არ იქნებოდა გვარდია, იქნებოდა თუ არა რესპუბლიკა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მიუხედავად მცელობისა, რომ ეს ორი სტრუქტურა ნელ-ნელა უფრო კოორდინირებული ყოფილიყო, დაახლოების ტემპი სასურველს ჩამორჩებოდა, ხოლო ანტაგონიზმის ობიექტური და ძალით გამოგონილი მიზეზი კი ბევრი ჩნდებოდა. ფინანსებისა და იარაღის ნაკლებობა, სავალდებულო-სამსახედრო სამსახურის არაპოპულარობა, რასაც თავისი ისტორიული ფესვები გააჩნდა, არ იძლეოდა საშუალებას სამხედროთა მიერ განსაზღვრული და პოლიტიკოსთა დამტკიცებული საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა ჯარისა მშვიდობიანობის დროს შევსებულიყო, მეტიც ომის ან საომარი საფრთხის გამო გამოცხადებული მობილიზაციისასაც კი ძნელად თუ ივსებოდა ეს შტატები და თუ ივსებოდა ისიც

მცირე დროით, დიდი დრო - დიდ ფულს საჭიროებდა. ამ სირთულეებთან ერთად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარმა და გვარდიამ როგორც კოლექტიურმა სხეულმა, ისე ცალკეულმა პოლიტიკოსებმა, სარდლებმა, ოფიცრებმა თუ რიგითმა მეომრებმა საინტერესო სამხედრო ოპერაციების, გმირობების, ხედვების, დიდი შეცდომებისა თუ ომთან და სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ყველანაირი ამბავი დაგვიტოვეს. მაგალითები, უკეთ რომ ვთქვათ გამოცდილება, რომელიც უბრალო ადამიანური ცნობისმოყვარეობის მიღმა, რაც ალბათ ისტორიკოსთა ძირითადი ინსტიქტია - რის გამოც ისინი მზად არიან წლების განმავლობაში უკანმოუხედავად გადაეშვან ძებნისა და ფიქრის მრავალფეროვან , სიხარულითა თუ იმედგაცრუებებით სავსე სამყაროში, პრაქტიკული დანიშნულებაც გააჩნია. საქართველოს დღესაც ჰყავს თავისი ჯარი, ეგებ ეს მაგალითები დღესაც გამოდგეს, როგორც სარგებლის ისე შეცდომების არგამეორების თვალსაზრისით. გამოცდილება, კი რაც ამ კვლევის შედეგად ბევრად დეტალურად და ზუსტად წარმოჩინდა ვიდრე აქამდე ცნობილი იყო შემდეგია: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის ფორმირების სრული სურათი; ფორმირების ადამიანური, ფინანსური, მორალური წინაპირობები; შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესში მიმდინარე დისკუსია; ჯარისა და გვარდიის შტატები და ჯარისკაცთა რაოდენობის რეალური სურათი სხვადასხვა დროს; ჯარის მართვის და შევსების პრინციპები; რესპუბლიკის ჯარების იარაღისა და საბრძოლო მასალების ზუსტი ოდენობა; იარაღის შეძენის მცდელობები და ამ მიზნით წარმოებული დიპლომატიური მოლაპარაკებები და სხვადასხვა ტიპის საბრძოლო საშუალების გამოყენების მაგალითები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა :

საარქივო მასალა

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი:

1. სცსა. ფონდი 1087. აღწერა 1. საქმე.797

2. სცსა. ფონდი 1087. აღწერა 1. საქმე 808.

3. სცსა. ფონდი 1087. აღწერა 1. საქმე 994.

4. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 327

5. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 328

6. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 332

7. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 362

8. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 363

9. სცსა. ფონდი.1833. აღწერა.1. საქმე.365

10. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 368

11. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 682

12. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 771ა.

13. სცსა. ფონდი1833. აღწერა1. საქმე 1036

14. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1044.

15. სცსა.ფონდი1833. აღწერა1.საქმე 1054

16. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1072

17. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1074

18. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1075

19. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1076

20. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1081

21. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1082

22. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1083

23. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1085

24. სცსა. ფონდი 1833. აღწერა 1. საქმე 1392

25. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 5

26. სცსა.ფონდი 1836. აღწერა.1 საქმე.42

27. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 43

28. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1.საქმე 82

29. სცსა. ფონდი 1836. აღწერა1. საქმე 97

30. სცსა. ფონდი1836. აღწერა.1. საქმე.169

31. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 171

32. სცსა . ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 173

33. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 174

34. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 175

35. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 176

36. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 178

37. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 183

38. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 184

39. სცსა. ფონდი1836. აღწერა1. საქმე 187

40. სცსა. ფონდი.1836, აღწერა.1, საქმე.192

41. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 193

42. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 368

43. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე 394

44. სცსა. ფონდი 1836. აღწერა 1. საქმე412

45. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 223

46. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 257

47. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 289

48. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 297

49. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 308

50. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 347

51. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 1. საქმე 390

52. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 2. საქმე 18

53. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 2. საქმე 211

54. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 1

55. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 4

56. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 13

57. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 14

58. სცსა, ფონდი.1861, აღწერა.3, საქმე.20

59. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 44

60. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 64

61. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 80

62. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 88

63. სცსა. ფონდი 1861. აღწერა 3. საქმე 347

64. სცსა. ფონდი 1863. აღწერა 1. საქმე 661

65. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 6

66. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 11

67. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 1. საქმე 16

68. სცსა. ფონდი 1864. აღწერა.2. საქმე.13

69. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 129

70. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 210

71. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 224

72. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 225

73.სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 238

74. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2.საქმე 244

75. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 295

76. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 296

77. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 312

78. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 330

79. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 340

80. სცსა, ფონდი.1864, აღწერა.2, საქმე.341

81. სცსა, ფონდი.1864, აღწერა.2, საქმე.342

82. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 344

83. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 370

84. სცსა. ფონდი 1864. აღწერა.2. საქმე.373

85. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 393

86. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 413

87. სცსა, ფონდი.1864, აღწერა. 2. საქმე.430

88. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 434

89. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 435

90. სცსა.ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 453

91. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 479

92. სცსა. ფონდი1864. აღწერა 2. საქმე483

93. სცსა. ფონდი1864. აღწერა 2. საქმე484

94. სცსა,ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 533

95. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 534.

96. სცსა. ფონდი 1864. აღწერა 2. საქმე 587

97. სცსა. ფონდი 1872. აღწერა.1. საქმე.8

98. სცსა. ფონდი 1872. აღწერა 1. საქმე 22

99. სცსა. ფონდი 1874. აღწერა 1. საქმე 1

100. სცსა, ფონდი.1874, აღწერა.1, საქმე.2

101. სცსა, ფონდი.1874, აღწერა.1, საქმე.3

102. სცსა. ფონდი1874, აღწერა1. საქმე5

103. სცსა. ფონდი 1878. აღწერა 1. საქმე1.

104. სცსა. ფონდი 1880. ფურც.1. საქმე 159

105. სცსა, ფონდი.1891, აღწერა.1, საქმე.491

106. სცსა, ფონდი. 1938, აღწერა 1, საქმე 840

107. სცსა. ფონდი.1967. აღწერა 1. საქმე 8.

108. სცსა. ფონდი.1967. აღწერა 1. საქმე 9.

109. სცსა. ფონდი 1968. აღწერა1.საქმე 25.

110. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 87

111. სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 104

112. სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 152

113. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 288

114. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 323

115. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 324

116. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 395

117. სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661

118. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 670

119. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 671

120. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 687

121. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 52

122. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 57

123. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 67

124. სცსა. ფონდი1969. აღწერა2. საქმე84

125. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 92

126. სცსა. ფონდი 1969 აღწერა 2. საქმე 96

127. სცსა. ფონდი 1969. აღწერა2. საქმე 98

128. სცსა. ფონდი1969. აღწერა 2. საქმე 101

129. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 121

130. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 126.

131. სცსა. ფონდი 1969. აღწერა2. საქმე 135

132. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 144

133. სცსა. ფონდი.1969 აღწერა.2 საქმე 146

134. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 148

135. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 160

136. სცსა.ფონდი1969. აღწერა2. საქმე170

137. სცსა. ფონდი 1969. აღწერა2. საქმე.173

138. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 179

139. სცსა, ფონდი.1969. აღწერა.2, საქმე.208

140. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 238

141. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 239

142. სცსა. ფურც 1969. აღწერა 2. საქმე 273

143. სცსა, ფონდი.1969. აღწერა.2, საქმე.287

144. სცსა, ფონდი.1969, აღწერა.4 საქმე.14

145. სცსა. ფონდი 1969. აღწერა 4. საქმე 17

146. სცსა, ფონდი.1969, აღწერა.4, საქმე.18

147. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 1. საქმე 7

148. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 1. საქმე.34

149. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 2. საქმე 8

150. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 3

151. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 4

152. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 6

153. სცსა. ფონდი1970. აღწერა 3. საქმე 7

154. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 9

155. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 10

156. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 12

157. სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 14

158. სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 25

159. სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 26

160. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 27

161. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 28

162. სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 29

163. სცსა. ფონდი1970. აღწერა3. საქმე 30

164. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 32

165. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 34

166. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 35

167. სცსა. ფონდი 1970. აღწერა 3. საქმე 40

168. სცსა. ფონდი 1990. აღწერა1. საქმე 1.

169. სცსა. ფონდი 2030. აღწერა 1. საქმე1

170. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 1.

171. სცსა. ფონდი 2037. აღწერა.1. საქმე 10

172. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 14

173. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 15

174. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 23

175. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე. 32

176. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 35

177. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 36

178. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე. 42

179. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 43

180. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 45

181. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 50

182. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 56

183. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 57

184. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 69

185. სცსა. ფონდი 2037. აღწერა 1. საქმე 71

186. სცსა. ფონდი 2081. აღწ.1. ნაწ.2 საქმე.637

187. სცსა. ფონდი2112. აღწერა1. საქმე 42.

188. სცსა. ფონდი2113. აღწერა1. საქმე 70

189. სცსა. ფონდი 2115. აღწერა 1. საქმე 114

190. სცსა. ფონდი 2115. აღწერა 1. საქმე 119.

191. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 94. აღწერა 1. საქმე 44.

192. სუიცა. ფონდი536. აღწერა 1. საქმე 16. ფურც.14

193. Российский Государственный архив Военно-морского флота. Фонд 353. Опись 2. Дело 16.

194. Российский Государственный Военно-исторический архив (Ргвиа), Фонд 2003, Опись 1, Дело 548

195. Ргвиа. Фонд 2003. Опись 1. Дело 1640

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი

196. F.O. 371/3666/1015/169118/58

197. F.O. 371/3666/1015/168836/58

198. F.O. 371/4944/1/ E9429/58

199. F.O. 371/4957/1/ E6745/58

200. F.O.371/4945/1/ E10762/58

201. F.O. 371/6268/1/E2304/58

საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს არქივი

202. Mission Militaire Francaise au Caucasus . La situation au Caucase au 20 avril 1920. Service Historique de l'Armée de Terre (SHAT) 7N 3117 EMA/2 URSS

203. Lieutt-Colonel Corbel a Guerre, Tiflis 14.11.1920, no.471 et 472.. Service Historique de l'Armée de Terre (SHAT) 7N 3118, EMA/2, URSS

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი

204. PA AA, R7316. Band 9. Forderungsnachweise

გამოქვეყნებული დოკუმენტური წყაროები

205. ბახტაძე მიხეილ, მამულია გიორგი. მასალები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან. არტანუჯი. თბილისი: ,,არტანუჯი".2005.

206. ბახტაძე მიხეილ. ორი დოკუმენტი ქართული არმიის ჩამოყალიბებისა და მდგომარეობის შესახებ (1918-1919წლები). *საქართველოს ეროვნული არქივის 2018 წლის საერთაშორისო კონფერენციის მასალები.* თბილისი. 2019.

207. ბრძანება რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ. 15 იანვარი 1919 წ. N6. ჟურნ. *,,რესპუბლიკის ჯარი".* N9, 1919 წ. 26 იანვარი.

208. ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ. 1 აგვისტო 1919წ. ქ.ტფილისი N162. დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

209. გელაშვილი გია. რამდენიმე დოკუმენტი ბრიტანეთის ნაციონალური არქივიდან. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები N1 (14).* თბილისი: ,,უნივერსალი". 2014

210. გენერალური შტაბის ცნობა. 2 მარტი. გაზ. *,,ერთობა".* N47, 1921 წ. 4 მარტი.

211. გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება. მიხეილ რეხვიაშვილი. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი. ჟურნ. *,,განთიადი".* ქუთაისი. N2,1990

212. გურული ვახტანგ. ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან. (ქართული ჯარის რეორგანიზაციის პროექტი). ისტორიული ნარკვევი. დოკუმენტები (1917-1918). თბილისი: ,,მერიდიანი“. 1998.

213. დამატებითი ბრძანება რესპ. ჯარების მიმართ N119 17 დეკემბერი. დროებითი შტატი საქართველოს რესპუბლიკის ჯარის საველე შტაბისა. ჟურნ. *,,რესპუბლიკის ჯარი“.* N5, 1918 წ. 29 დეკემბერი.

214. ვადაჭკორია შოთა.ევროპული დაპირებები და ვაზნების გარეშე დარჩენილი საქართველო (1919-1921წლები). ახალი საარქივო დოკუმენტები. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 1 (14)* . თბილისი: ,,უნივერსალი“.2014.

215. ისტორიული დოკუმენტები. ჟურნ. *,,მხედარი“.* N17, პარიზი.1937.

216. კანონი მობილიზაციის შესახებ. გაზ. *,,ერთობა“.* N71, 1918 წ. 28 მარტი.

217. კედია სპირიდონ: მასალები კ პირადი არქივიდან. შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ. თბილისი: ,,ბონა კაუზა“.2007

218. მამულია გიორგი. ლეო კერესელიძის Curriculum Vitae. ჟურნ. *,,თანამემამულე“.* N3(24), 2007.

219. ოქმი ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომისა, 17 ივნისი 1918 წელი. სამხედრო-ისტორიული ჟურნალი *,,მხედარი“.* N1. თბ.1991.

220. რესპუბლიკის მთავრობის ბრძანება , რესპუბლიკის ჯარების მიმართ. ჟურნ. *,,რესპუბლიკის ჯარი“.* N8, 1919 წ. 26 იანვარი.

221. სამობილიზაციო განცხადება. გაზ. *,,ერთობა“.* N171, 1920წ. 31ივლისი.

222. სამხედრო სამინისტროს სამხედრო საბჭოს სხდომის ოქმები. გამოცემის, წინასიტყვაობის და კომენტარების ავტორები დიმიტრი სილაქაძე. თბილისი: ,,საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს ეროვნული არქივი“ .2021.

223. საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები ტომი I. იდეის ავტორი და შემდგენელი ირაკლი იაკობაშვილი. თბილისი: ,, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“.2019.

224. საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები . ტომი VI. იდეის ავტორი და შემდგენელი ირაკლი იაკობაშვილი. თბილისი: ,, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“. 2019.

225. საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები . ტომი VII. იდეის ავტორი და შემდგენელი ირაკლი იაკობაშვილი. თბილისი: ,, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“. 2019.

226. საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები და დამატებები. ტომი VIII. იდეის ავტორი და შემდგენელი ირაკლი იაკობაშვილი. თბილისი: ,, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“. 2019.

227. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. თბილისი: ,,ივერთა მხარე“.1990.

228. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილ-ნოემბერი) დოკუმენტები და მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ზაირა გერგედავა-ჭელიძემ. თბილისი: ,,მერიდიანი“.1999

229. საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო სექცია. სახალხო მილიციის დებულება საქართველოში. გაზ. *,,ერთობა“.* N18, 1918 წ. 24 იანვარი.

230. საქართველოს პირველი რესპუბლიკა. საქართველოს ეროვნული არქივის მასალები. ავტორ-შემდგენლები: ბექა კობახიძე; დიმიტრი სილაქაძე; ანტონ ვაჭარაძე. თბილისი: ,,საქართველოს ეროვნული არქივი“.2015

231. საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918წ. ტფილისი: ,,იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა“. 1919.

232. სახალხო გვარდიის დელეგატთა მესამე კონფერენციის სხდომის დადგენილებები (1920 წლის 8 აგვისტო).ჟურნ. *,,სახალხო გვარდიელი“.* N4, 1921 წ. 1 თებერვალი.

233. სახალხო გვარდიის მეორე ყრილობის რეზოლუციები. ჟურნ. *,,სახალხო გვარდიელი“.* N4, 1921 წ. 1 თებერვალი.

234. სტატისტიკური კრებული 1909-1921. ტფილისი: ,, საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო“ .1923

235. ქართველ-მაჰმადიანთა ცხენოსანი დივიზიონის შტატების პროექტი. ჟურნ. *,,რესპუბლიკი ჯარი“.* N11, 1919წ.

236. ქართული დიპლომატიის ისტორია. ქრესტომათია. როინ მეტრეველი რედაქტორობით. თბილისი: ,, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.2004

237. ჩაჩხიანი არჩილ. კიდევ ერთხელ სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ - ახალქალაქის მაზრაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები საარქივო დოკუმენტებში. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 2 (13).* თბილისი: ,,უნივერსალი“. 2013.

238. Азербайджанская Демократическая Республика (1918-1920). Армия (Документы и материалы). Баку; ,,Азербайджан“. 1998.

239. Борба за Советскую власт в Абхазии . Сборник Документов и Материалов 1917-1921. Сухуми : ,,Абгосиздат“. 1957

240. Гражданская Война. Боевые действия на морях, речных и озерных системах. Том III. юго-запад. Ленинград: ,,Морская Историческая Комиссия“. 1925.

241. Гражданская война в России: Черноморский флот. Составитель В. Доценко. Москва: ,,АСТ“. 2011.

242. Директивы Командования фронтов Красной Армии (1917-1922гг), Сборник Документов в 4 томах, Том III. Москва: ,,Военное издателсьтво Министерства обороны СССР“. 1974.

243. Известия Юго-Осетинского научно-исследовательцкого института краеведения. Выпуск II. Сталинир 1935

244. Материалы для описания Русско-Турецсой Войни 1877-1878 г. г. На Кавказско-Малоазиатскомь театрь. Сь Планами. Томь I. Составлень Вь Военно-Историческомь

отдель Кавказскаго Военнаго округа подь редакцией Генерал-лейтенанта Чернявскаго. Санкт-Петербургь .1904.

245. Материалы стратегической разведки Р.С.Ф.С.Р . Грузия . Данные о вооруженных силах и краткой обзор политического економического и международного положения Грузии. (По состоянию к 1 Января 1921 Г). Тбилиси: ,,CIPDD“. 1995.

246. Мировая Война В Цифрах. Москва-Ленинград : ,,Государственное военное издательство“. 1934.

247. Население Кавказа какь источникь комплектования Армии. по Даннымь десятилетия 1892-1901гг. Секретно. Составиль Генеральнаго штаба Капитань Андриевский. Тифлись: ,,Типография штаба Кавказскаго военнаго округа“. 1906.

248. Papers Relating to the Foreighn relations of the United States 1920. Volume I. Washington: ,,Unated States Government Printing Office“.1935.

249. The Mediterranean Fleet, 1919-1929. Edited by Paul Halpern. *Publications of the Navy records society. Vol.158*. ,,Ashgate“.2011

მემუარები, დღიურები, მოგონებები

251. გაბაშვილი რევაზ. რაც მახსოვს. დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. გურამ შარაძის საერთო რედაქციით. ტომი III . თბილისი: ,,გულანი“.1992

252. გოგუაძე ვალოდია. გენ.ჩხეიძის წერილის გამო. გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ.VI. თბილისი: ,,მეცნიერება“.2005.

253. გოგუაძე ვალოდია. მოგონებები.დაბრუნება . ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. გურამ შარაძის საერთო რედაქციით. ტომი III. თბილისი: ,,გულანი“.1992.

254. გორგოშიძე პორფილე. რამდენიმე სურათი გურული კაცის ცხოვრებიდან. თბილისი: ,,ცის ნამი“. 2013.

255. გურული ზაქარია. მოგონება. თბილისი: ,,არტანუჯი“.2005.

256. ვასაძე აკაკი. მოგონებები, ფიქრები..თბილისი: ,,საქართველოს თეატრალური საზოგადოება“. 1977.

257. ზაქარიაძე ალექსანდრე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. გურამ შარაძე.ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ.IV. თბილისი: ,,მეცნიერება“.2003

258. იმნაძე კოტე. თბილისის დატოვება. მასალა ისტორიისთვის. ჟურნ. *,,განთიადი“*. ქუთაისი. N2, 1990.

259. კვინიტაძე გიორგი. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობა 1917-1921 წლებში. რუსულიდან თარგმნეს ნინო ქაჯაიამ და ნონა გოგიჩაიშვილმა. წიგნი1 თბილისი: ,,ლომისი“. 1998.

260. კვინიტაძე გიორგი. მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობა 1917-1921 წლებში. რუსულიდან თარგმნეს ნინო ქაჯაიამ და ნონა გოგიჩაიშვილმა. წიგნი2. თბილისი: ,,ლომისი“. 1998.

261. კვინიტაძე გიორგი . ჩემი პასუხი. პარიზი:,,არჩილ მეტრეველის სტამბა“. 1954

262. კვიტაიშვილი აკაკი. ზოგი რამ ისტორიულ ფაქტებზე. ჟურნ. *,,მხედარი“*. პარიზი. N14-15, 1933.

263. კრესენშტაინი ფრიდრიხ კრეს ფონ. ჩემი მისია კავკასიაში. გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა. ქუთაისი: ,,მოწამეთა“ 2002.

264. მაზნიაშვილი გიორგი. მოგონებანი. ტფილისი: ,,სახელგამი“.1927

265. მამაცაშვილი იოსებ.მოგონებანი (1921 წლის თებერვალი-ივლისი). თბილისი: ,, საქართველოს ეროვნული არქივი“.2014.

266. ოდიშელიძე ილია. საქართველოს დამარცხების მიზეზები, გურამ შარაძე. „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“. ტ.VI. თბილისი: ,,მეცნიერება“ 2005.

267. ჩუბინიძე ვალიკო . მოგონება 1905წლიდან 1921 წლის 15 მარტამდინ. პარიზი. 1938.

268. ჩუბინიძე ვალიკო. მოგონება. წიგნი 2. პარიზი.1953.

269. ჩხეიძე ალექსანდრე. სამხედრო სკოლა. ჟურნ. *,,მხედარი".* პარიზი. N13,1933.

270. ჩხენკელი აკაკი. დღიურები. წიგნი პირველი 1918-1921. თბილისი: ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცელობა". 2021.

271. ღამბაშიძე გივი. ომის დღიური. მოგონებები რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ. თბილისი: ,,საქართველოს ეროვნული არქივი".2017.

272. ხაბურზანია ალექსანდრე. ქართულ ემიგრაციაში (1921-1927). მანქანაზე ნაბეჭდი. თბილისი.1962

273. ჯუღელი ვალიკო. მძიმე ჯვარი. სახალხო გვარდიელის ჩანაწერები რუსულიდან თარგმნა ნინო შარვაშიძემ. თბილისი: ,,ზიარი".2022.

274. Генерал Квинитадзе Г. И. . Мои Воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921. Париж: ,,Ymca-Press". 1985.

275. Джугели Валико. Тяжелый крест: (Записки народногвардейца). Тифлис: ,,Государственная Типография". 1920.

276. Зун. В. Бронесилы 11-й армии в борьбе за освобождение Грузии. *Механизация и моторизация РККА.* N2. 1936г.

277. Красовский С. А. Жизнь в авиации. Минск: ,,Воениздат". 1976

278. Ковтюх Е. ,,Железный поток" В военном изложении. Москва: ,,Государственное военное издательство" . 1935.

279. Мачавариани Михаил. Глаза - На Юг. Тбилиси: ,,Мерани". 1969.

280. Шапошников Б.М.. Воспоминания о службе. Москва: ,,Вече". 2013

281. ავალიანი იური. საქართველოს ავიაცია, წარსული-აწმყო-მომავალი. თბილისი: ,,თობალისი“. 2001.

282. ანდერსენი ენდრიუ. აფხაზეთი და სოჭის კონფლიქტის ფესვები 1918-1921. ინგლისურიდან თარგმნა მერი ბიწაძემ. თბილისი: ,, Eaglehead Publishing“.2016.

283. ანდერსენი ენდრიუ. საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918-1921 წლებში. ინგლისურიდან ქართულად თარგმნა მერი ბიწაძემ. თბილისი: ,,მწიგნობარი“.2020.

284. ანჩაბაძე გიორგი. საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე). თბილისი: ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“. 2010.

285. ბაქრაძე ლაშა. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. საქართველოს ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918წწ. თბილისი: ,,პეგასი“2010.

286. ბახტაძე მიხეილ. ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს. თბილისი: ,,უნივერსალი“. 2009.

287. ბახტაძე მიხეილ. გენერალი ილია ოდიშელიძე. თბილისი: ,, არტანუჯი“.2017.

288. ბახტაძე მიხეილ. გენერალ ლუდენდორფის ერთი წერილის შესახებ. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები III.* თბილისი: ,,მერიდიანი“.2011.

289. ბახტაძე მიხეილ. ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭო (1917 წლის დეკემბერი - 1918 წლის თებერვალი). *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნებათმცოდნეობის სერია. თბილისი. N1. 2019.*

290. ბახტაძე მიხეილ . 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან. თბილისი: ,,არტანუჯი“.2013.

291. ბერიძე დოდო. საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია (1917 წლის ნოემბერი -1919 წლის იანვარი). სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნიევრსიტეტი. სადოქტორო დისერტაცია. ახალციხე 2017

292. ბოგვერაძე გრიგოლ. საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წლებში.ქუთაისი: ,,ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. 2005

293. ბუკია ლატავრა. პირველ მსოფლიო ომში (1914-1918) ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი სამხედრო მფრინავები. *ქართველური მემკვიდრეობა. XXIII.* ქუთაისი: ,,აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 2019.

294. ბურჭულაძე ერმილე. ყირიმის ომი და საქართველო. თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“.1960.

295. გედევანიშვილი ალექსანდრე, სლინკო ლავრენტი, გარსიაშვილი ლევან. ტაქტიკა. ნაწილი I. ელემენტარული ტაქტიკა. წიგნი მეორე. არტილერია. ტფილისი: ,, სამხედრო-სარედაქციო საგამომცელო კოლეგია“. 1924.

296. გელოვანი ნუგზარ. სამხედრო-საჰაერო ძალები 1918-1921 წლების საქართველოში. ჟურნ. *„მხედარი“.* თბილისი. N1-4, 1994.

297. გელოვანი ნუგზარ. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან. ჟურნ. *,,მხედარი“.* N2, 1992.

298. გოგიტიძე მამუკა, ჯაფარიძე ზაზა. სამხედრო კადრების სამჭედლო.. თბილისი: ,, საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“. 2018.

299. გოცირიძე გიორგი. პირველი მსოფლიო ომი და ქართველები. თბილისი: ,,უნივერსალი“.2009.

300. დამოუკიდებლობის 1028 დღე. საქართველოს რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანი (1918-1921), დიმიტრი შველიძის რედაქციით. თბილისი:,, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.2013.

301. ვადაჭკორია შოთა. საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ქრონიკა (1921 წელი). თბილისი: ,,ირიდა“. 2021.

302. ვადაჭკორია შოთა. ქართული ეპოსიდან ამოზიდული ლეგენდა (ვალოდია გოგუაძე). თბილისი: ,,პარნასი“.2014.

303. თოდაძე ხათუნა. ქართული სამხედრო ფორმირებები XIX საუკუნეში. თბილისი: ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“ .2013.

304. კანდელაკი კონსტანტინე. საქართველოს ეროვნული მეურნეობა. წიგნი მეორე. დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. პარიზი: ,,სსრკ შემსწავლელი ინსტიტუტი“. 1960.

305. კვიტაიშვილი აკაკი. რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. ჟურნ. *,,განთიადი“.* ქუთაისი. N2, 1990.

306. კობახიძე ბექა. ,,ბრიტანული“ კავკასია 1918-1920. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ - მოდელი ევროპისათვის? საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი. თბილისი: ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცელობა“. 2018.

307. კობახიძე ბექა. საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.2015.

308. ლაბარტყავა ტრისტან. რევოლუციური მოძრაობა ჯარის ნაწილებში საქართველოში 1917-1921წწ. თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“.1977.

309. მკურნალი რომან. მიზეზი ჩვენი დამარცხებისა. გურამ შარაძე „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ.VI. თბილისი: ,,მეცნიერება“. 2005.

310. მაცაბერიძე მალხაზ. 1921 წლის გაკვეთილები: არმიის ბრძოლისუნარიანობა მის მშენებელთა გონიერებასა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. რუსეთსაქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები. თბილისი: ,, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი“. 2009.

311. პაიჭაძე დავით. 1918 წლის 28 მაისის ფოთის შეთანხმებანი გერმანიასა და საქართველოს შორის. საქართველოს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. საქართველო ევროპა-ამერიკა. *ინსტიტუტის ყოველწლიური ორგანოს (,,საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან") დამატება. IV*. თბლისი.2000.

312. საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად. ტომი VI. საქართველო 1900-1921 წლებში. ტომის რედაქტორი აკაკი სურგულაძე. თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“, 1972.

313. საითიძე გიორგი. სამშობლოს ჯარისკაცი /გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი/, *“მეომრის ბიბლიოთეკა” N3.* თბილისი: ,, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი“. 2008.

314. სილაქაძე დიმიტრი. აირუმის ბრძოლა - პოლკოვნიკ ვაჩნაძის რაზმის ტყვედ ჩავარდნის ისტორია (სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომი). *Scientia I.* თბილისი: ,,კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“ .2020.

315. სილაქაძე დიმიტრი. ოსიაურის ბრძოლა. (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი). *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. I.* თბილისი: ,,მერიდიანი“.2011.

316. სიორიძე მალხაზ. კიდევ ერთხელ 1918 წლის 5 /18/ მარტის მოვლენების შესახებ ბათუმში. *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომები. III.* (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია). ბათუმი 1999.

317. სონღულაშვილი ნატო. ქართული ერთობა და ეროვნული იდენტობა XX ს-ის პირველ ოცწლეულში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი. 2012.

318. ტაბაღუა ილია. საქართველოს საგარეო ურთიერთობატა ისტორიიდან (ლექციების კურსი). თბილისი:,,ნიკიფორე ირბახის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი“. 1994.

319. ტაბიძე ტიციან. პოეზია , თარგმანები. სამტომეული. წიგნი 1. თბილისი: ,, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი“.2015.

320. ტრასკუნოვი მარკ. საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები. თბილისი: ,,საბჭოთა საქართველო“. 1962.

321. უზუნაძე რევაზ. ნაოსნობა ბათუმის ოლქში. ბათუმი: ,, აჭარა“. 2001

322. ფერაძე გიორგი. საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით (დემოგრაფიული სურათი). საქართველოს სსრ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო. ჟურნ. ,,საქართველოს სტატისტიკური მოამბე“, N1, 1921 წ. 15 სექტემბერი.

323. შარაძე გურამ. უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი მეორე. თბილისი: ,,მერანი“. 1993.

324. ჩაჩხიანი არჩილ . დაშნაკთა ნაციონალ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი: ,,არადანი“. 2007.

325. ჩაჩხიანი არჩილ . რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920წლები). თბილისი: ,,საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“. 2014.

326. ჩაჩხიანი არჩილ. სომხეთ-საქართველოს ომი. ნაწილი I. ,,სომხური საკითხის“ დასმიდან დაპირსპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე. თბილისი: ,,საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“. 2022.

327. ცუხიშვილი რამაზ . ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921წწ. თბილისი: ,,მერიდიანი“.1995

328. ჭანტურია ნონა. ეროვნული საბჭო და მისის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის. თბილისი: ,,უნივერსალი“.2006.

329. ჯანელიძე ოთარ. გენერალ ფონ-კრესის მემუარები და 1918-1921 წლების ქართული სინამდვილე. *ანალები. 2011 N7.* თბილისი: ,,უნივერსალი“.2011.

330. ჯაოშვილი ვახტანგ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბილისი: ,,მეცნიერება“.1984.

331. ჯოჯუა დაზმირ. საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში. თბილისი: ,,საქართველოს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“. 1997.

332. ჯოჯუა დაზმირ. ფრანჩესკო ნიტის რუსული პოლიტიკა და საქართველო. უნივერსალი. თბილისი : ,,უნივერსალი“.2001.

333. Аверченко С. В., Кушнерёв В.В. Российская авиация на Кавказском фронте в годы Первой мировой войны (1914-1918г.г). *Военно-исторический журнал, №8, 2014*.

334. Артилерия и Минометы XX Века. Описания. Характеристики. Схемы. Фотографии. Составители Р. Исмагилов, Г. Корнюхин, Б. Проказов. Смоленск; ,,Русич“ . 2001.

335. Безугольный Алексей. Демократическая Республика Грузия и ее вооруженные сили 1918-1921 гг. *Вопроси Истории. N10*. Москва .2009.

336. Барсуков Е. З. Артиллерия Русской Армии (1900-1917гг.). Том I. Москва : ,,Воениздат“. 1948

337. Богданович Модест. Восточная Война 1853-1856 годов. Том IV. Санкт-Петербургь: ,,Вь Типографии Ф. Сушинскаго“. 1876

338. Вачагаев М. М. Союз горцев северного кавказа и горская республика. История несостоявшегося государства. 1917-1920. Москва: ,,Центрполиграф“ 2018.

339. Волков С. В. Русский Офицерский корпус. Москва: ,,Центрполиграф“. 2003.

340. Гогитидзе М. Д.. Военная елита Кавказа. Т I. Генералы и Адмиралы из Грузии. Тбилиси: ,, Научно-исследовательский центр истории грузино-кавказских отношений'' 2007.

341. Гогитидзе М., Михайлов В. Генералы-Грузины Русской Армии в Первой Мировой Войне 1914-1918гг. Санкт-Петербург: ,,Полторак“. 2020.

342. Гришаева Оксана Анатольевна. Жизнь и деятельность П.Н. Врангеля. 1878-1917гг. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. Ростов-на-Дону 2018.

343. Гражданская Война СССР в Двух томах. Том второй. Москва: ,,Воениздат“. 1986.

344. Дерябин А, Пласиос-фернандес Р. Гражданская война в России 1917-1922. Национальные армии. Москва: ,,АСТ“. 2000.

345. Дзидзария Гиоргий. Очерки истории Абхазии 1910 -1921. Тбилиси: ,,Сабчота Сакартвело“. 1963.

346. Дроговоз И.Г. Крепости на колесах: История бронепоездов. Минск: ,,Хервест“. 2002.

347. Дузь П.Д.. История воздухоплавания и Авиации в России. Москва: ,,Машиностроение“. 1986.

348. Залюбовский А. П.. Снабжение Русской Армии вь Великую войну Винтовками, пулеметами, револьверами, и патронами кь нимь. Белград: ,,Издание Центральнаго правления обшества Русскихь офицеров-артиллеристов за рубежом“. 1936.

349. Кадишев А. Б. Интервенция и гражданская война в Закавказье. Москва: ,,Военное издателсьтво Министерства обороны Союза СССР“. 1960.

350. Казин Владимир. Казачьи Войско. Санкт-Петербургь: ,,Типография В. Д. Смирнова“. 1912.

351. Какурин Н. Е., Вацетис И. И. Гражданская Война 1918-1921.Под ред. А. С. Бубнова и др.. Санкт-Петербург: ,, Полигон“. 2002.

352. Кляцкин С. М. На защите октября. Организация регуларной Армии и милиционное строительство в Советской республике 1917-1920. Москва: ,,Наука“. 1965.

353. Кондратьев Вячеслав, Хайрулин Марат. Авиация Гражданской Войны. Москва: ,,Техника-Молодежи“.2000.

354.Коломиец Максим. Броня русской Армии.Бронеавтомобили и бронепоезда в Первой Мировой войне. Москва: ,,Ексмо“. 2008.

355. Коломиец Максим. Танки в Гражданской Войне. Москва: ,,Ексмо“. 2014.

356. Кушнерёв Валерий Владимирович. История становления отечественной Авиации в Кавказском регионе в 1914–1930-е гг. Диссертация на соискание учёной степени кандидата исторических наук. Краснодар 2020.

357. Лапшин Р. В.. Сторожевие Катера Фирми ,,Гринпорт". Част 2. Морская Коллекция. Приложение к журналу *,,Моделист-Конструктор" N7 (142)* Москва. 2011.

358. Лисицын Федор . Крейсера Первой Мировой. Москва: ,,Ексмо“. 2015.

359. Мамулиа Георгий , Абуталыбов Рамиз. Страна Огней. В борьбе за свободу и независимость. Политическая история Азербайджанской емиграции. 1920- 1945 гг. Париж- Баку: ,,CBS“. 2014

360. Мамулиа Георгий. Забытый Газават. Горцы Северного Кавказа в борьбе за свободу и независимость 91919-1921 гг. Часть I В борьбе с добровольческой армией. *Nowy Prometeusz. Numer 7.* Warszawa 2015

361. Маниковский А. А.. Боевое снабжение Русской Армии в Мировую Войну. Переработал и дополнил Е. З. Барсуков. Москва: ,,Государственное военное издательство“. 1937.

362. Мегрелидзе Шамше. Грузия В Русско-Турецкой Войне 1877-1878 г. г. Батуми: ,,Госиздат Адж. АССР“. 1955.

363. Обухович В., Никифоров А . Самолеты Первой Мировой Войны. Минск: ,,Хервест“. 2003.

364. Силакадзе Дмитрий. К вопросу о численности вооруженных сил Грузии перед началом войни с Советской Россией в 1921г. *Кавказский Сборник. Том №8 (40).* Москва. 2014.

365. Силакадзе Дмитрий. Материальное положение Грузинской армии перед войной с большевистской Россией 1921 г. *Nowy Prometeusz . Numer 7.* Warshava 2015

366. Стеклов А. Армия Мусаватского Азербайджана. Баку: ,,АЗГИЗ“. 1928.

367. Строков Александр Александрович. Вооруженные силы и военное искуство в Первой мировой войне. Москва; ,,Воениздат“. 1974.

368. Поцелуев В. А. Бпоненосцы железных дорог. Москва: ,,Молодая Гвардия“. 1982.

369. Приданников М. И. Сторожевие Катера Фирми ,,Гринпорт". Част 1. Морская Коллекция. Приложение к журналу *,,Моделист-Конструктор" N5 (140)* . Москва .2011.

370. Федосеев Семен. „Пушечное мясо“ Первой Мировой, Пехота В бою. Москва: ,,Ексмо“ . 2009.

371. Федосеев Семен . Самые первые Танки ,, Дьявол идет". ,,Самци" и ,,Самки" Первой Миравой. Москва: ,,Ексмо“. 2011.

372. Хечинов В. К. История летания в Грузии.Часть 1-я. Тифлис : ,,Госиздат”.1935.

373. Холявский Г. Энциклопедия бронетанкого вооружения и техники. Колесные и полугусеничные бронеавтомобили и бронетранспортеры. Минск: ,,Хервест“ 2004.

374. Целуев Александр. Судьба ,,Смолннского“ Танка. *Музейный весткник, Выпуск X.* Смоленск. 2019.

375. Шавров В. Б. История Конструкций В СССР до 1938. Москва: ,,Машиностроение“. 1986.

376. Шепс А. С. Самолеты Первой Мировой войны, Страны Антанты. Санкт-Петербург: ,,Полигон“. 2002.

377. Allen W.E.D. Muratoff Paul . Caucasian Battlefields. A History of the wars on the Turco-Caucasian border. 1828-1921. ,,Cambridge University Press“ 1953.

378. Blume August G. The Russian Military Air Fleet in World war one. Vol I. ,, Schiffer Publishing“ 2010.

379. Fletcher David . Mark V Tank. New Wanguard 178. ,,Osprey Publishing“. 2011.

380. King H. F. Sopwith Aircraft 1912-1920. London: ,,Putnam“. 1981.

381. Hovhannisyan Artsrun . Historical notes on the Armenian-British Militay collaboration 1918-1920*. Journal of Armenian studies. N 3*. Eerevan. 2019.

382. White Brian Terence. Tanks and other Armoured Fighting Vehicles 1900 to 1918. London: ,,Blandford Press“. 1970.

383. Astamadze Giorgi . Deutch-georgische Zusammenarbeit 1918. Georgiens Unabhängigkeit und das deutsch-georgische Bündnis im Südkaukasus. ,,Brill Schöningh“. 2022.

384. MUGGENTHALER, Hans; PFLÜGEL, Hugo Ritter v.; SCHEURING, Martin (Hrsg.): Das K. B. Reserve-Jäger-Bataillon Nr. 1 (K. B. Jäger-Regiment Nr. 15): Nach den amtlichen

Kriegstagebüchern. München 1935 = Erinnerungsblätter deutscher Regimenter. Auszüge aus den amtlichen Kriegstagebüchern. Hrsg. vom Bayerischen Kriegsarchiv. Bayerische Armee. Band 85. S.519

პერიოდული პრესა

385. აბესაძე ავქსენტი. მოკლე რჩევა ახალი ჯარის-კაცების მასწავლებელ ოფიცრებს. ჟურნ. *„რესპუბლიკის ჯარი“.* N 1, 1918 წ. 1 დეკემბერი.

386. ავიაცია. გაზ. *,,საქართველოს რესპუბლიკა“.* N 222, 1920 წლის 2 ოქტომბერი.

387. ავიაციის დღესასწაული. *გაზ. „ერთობა“,* N175, 1920 წ. 5 აგვისტო.

388. ახალი ამბები. გაზ. *,,ერთობა“.* N48 , 1918 წ. 1 მარტი.

389. ბარნაბ ფოკას-ძე გოგუაძე. ჟურნ. *,,თეატრი და ცხოვრება“.* N12, 1919 წ. 9 ნოემბერი

390. გოგუაძე ვალოდია. ჩოლოქის ხიდთან. გაზ. *,, ერთობა”.* N84, 1918 წ. 12 აპრილი.

391. გომართელი ივანე. საუბარი ჯარის-კაცთან I. ჟურნ. *„რესპუბლიკის ჯარი“.* N3, 1918 წ. 15 დეკემბერი.

392. გომართელი ივანე. საუბარი ჯარის-კაცთან II. ჟურნ. *„რესპუბლიკის ჯარი“.* N4, 1918 წ. 22 დეკემბერი.

393. გომართელი ივანე. საუბარი ჯარის-კაცთან V. ჟურნ. *„რესპუბლიკის ჯარი“.* N7, 1919 წ. 15 იანვარი.

394. გომართელი ივანე. საუბარი ჯარის-კაცთან VI . *ჟურნ. „რესპუბლიკის ჯარი“.* N8, 1919 წ. 26 იანვარი.

395. დარიალი ფრონტი. ჟურნ. *,,მხედარი“.* N5, 1920წ. 27 ივნისი.

396. ესპანური ეპიდემია ქიზიყში. გაზ. *,,საქართველო”.* N4, 1919 წ. 9 ივლისი.

397. ვენ-სონ. მუშათა , ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრში. გაზ. *,,ერთობა“.* N88,1918 წ. 17აპრილი.

398. თავდაცვის საბჭოში. გაზ. *,,საქართველოს რესპუბლიკა“.* N195, 1920წ. 29აგვისტო.

399. თავდაცვის ფონდი - შემომწირველტა სია; ფრონტის ფონდი. გაზ. *,,ერთობა“.* N22, 1921 წ. 30 იანვარი.

400. თელავის ამბები. გაზ. *,,ერთობა“.* N45, 1918 წ. 24 თებერვალი.

401. მაიორ მაყაშვილის დაკრძალვა. გაზ. *,,ერთობა”,* N185, 1920 წ. 17 აგვისტო.

402. მდგომარეობა გორში. გაზ. *,,ერთობა“.* N31, 1918 წ. 8 თებერვალი.

403. მობილიზაცია. გაზ. *,,ერთობა“.* N257, 1920 წ.11 ნოემბერი.

404. მფრინავ მაყაშვილის დაღუპვა. გაზ. *,,ერთობა”,* N182, 1920 წ. 13 აგვისტო.

405. მფრინავის დაღუპვა. ჟურნ. *,,მხედარი“.* N14. 1920 წ. 5 სექტემბერი.

406. ჟურნ. *,,ეშმაკის მათრახი“.* N106, 1918 წ. 26 მაისი.

407. სამხედრო მინისტრთან. გაზ. *,,საქართველოს რესპუბლიკა“.* N39, 1918 წ. 11 სექტემბერი.

408. სამხედრო მინისტრის გ. გიორგაძის წასვლის გამო. გაზ. *,,საქართველოს რესპუბლიკა“.* N69. 1919 წ. 27 მარტი.

409. სამხედრო მინისტრის მიერ მადლობის გამოცხადება. გაზ. *,,საქართველოს რესპუბლიკა“.* N221, 1920 წ. 1 ოქტომბერი.

410. სახალხო მილიცია . გაზ. *,,ერთობა“.* N25, 1918 წ. 1 თებერვალი.

411. სილაქაძე დიმიტრი. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჯავშანმატარებელთა რაზმი. ჟურნ. *,,ისტორიანი”.* N5 (29), 2013

412. სილაქაძე დიმიტრი. ერთი საჰაერო ბრძოლის ისტორია. მიხეილ მაჭავარიანი თურქული ავიაციის ლეგენდის, ვეჩიჰი ჰურკუშის წინააღმდეგ. ჟურნ. *,,ისტორიანი“* N12(36), 2013.

413. უწესობა თელავში. გაზ. *,,ერთობა“.* N42, 1918 წ. 21 თებერვალი.

ფრონტისთვის. გაზ. *,,ერთობა“.* N13, 1921 წ. 19 იანვარი.

414. ფურცხვანიძე ევგენი. ბათომის გმირები . ჟურნ. *,,თეატრი და ცხოვრება“.* N8, 1918. 2 ივნისი.

415. ქუთაისის ამბები; ბოლშევიკების პროვოკაციული გამოსვლა გორში. გაზ. *,,ერთობა“.* N32, 1918 წ. 9 თებერვალი.

416. ქუთაისის ამბები. გაზ. *,,ერთობა“.* N36,1918 წ. 14 თებერვალი.

417. ქუთაისის ამბები. გაზ. *,,ერთობა“.* N43, 1918 წ. 22 თებერვალი.

418. წერეთელი გოგი. ლევილის დიდედის გარდაცვალება. ივლიტე (ნამო, ნამეტია გოგუაძის ხსოვნას). ჟურ. *,,გუშაგი”.* პარიზი. N17. 1988.

419. წითელი გვარდია. გაზ. *,,ერთობა“.* N63, 1918 წ. 18 მარტი.

420. წულაძე ზაქარია. ალფესი გოგუაძე. ჟურნ. *,,ბრძოლა”.* პარიზი. N7, 1936წ.

421. ჭანჭათელი დ. ოთხი ძმანი გოგვაძენი. ჟურ. *,,თეატრი და ცხოვრება“.* N7, 1918 წ. 5 მაისი.

422. ჭოროხის ტყვეობის ისტორიიდან. გაზ. *,,საქართველო”.* N10, 1920 წ. 15 იანვარი.

423. შავ ზღვაზე. გაზ. *,,საქართველო”.* N69, 1918 წ. 29 მარტი.

424. ჩაჩანიძე თემურ. კრეისერ ,,კარლოსის" ქართველი არტლერისტები. ჟურნ. *,,არსენალი“.* N3 (205), 2015.

425. ჩაჩანიძე თემურ. ომი სამოქალაქო გემებით. ჟურნ. *,,არსენალი“.* N12 (17), 2005.

426. ჩაჩანიძე თემურ. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 1. ჟურნ. *,,არსენალი”.* N22 (143), 2011.

427. ჩაჩანიძე თემურ. პირველი ქართული საბრძოლო კატარღები. ნაწილი 2. ჟურნ. *,,არსენალი“.* N23 (144),2011.

428. ჩაჩანიძე თემურ. როგორ ვიცავდით თბილისს რუსებისგან ჯავშანმანქანებით. ჟურნ. *,,არსენალი“.* N8(198), 2014.

429. ჩაჩანიძე თემურ . სადესანტო ოპერაციები საქართველოს სანაპიროზე. ჟურნ. *,,არსენალი“.* N21 (116), 2010.

430. ჩაჩანიძე თემურ. საზღვაო დესანტი აფხაზეთში. ჟურნ. *,,არსენალი". N12 (17),* 2005.

431. ჩაჩანიძე თემურ. საფრენოსნო საქმისა და ავიაციის დასაწყისი საქართველოში. ჟურნ. *„არსენალი".* N3(20), 2006.

432. ჩაჩანიძე თემურ. საქართველოს რესპუბლიკის არმიის შეიარაღება 1920 წელს. ჟურნ. *,,არსენალი".* N4 , 2005.

433. ჩაჩანიძე თემურ. ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან. ჟურნ. *,,არსენალი".* N6(23), 2006.

434. ჩაჩანიძე თემურ. ქართული არმიის შეიარაღება. ბორბლებიანი ჯავშანტექნიკა. ჟურნ. *,,არსენალი".* N5(207), 2015

435. ჩაჩანიძე თემურ . ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან. ჟურნ. *,,არსენალი".* N3, 2004.

436. ჩაჩანიძე თემურ. ჯავშანმატარებლები საქართველოს ომებში 1918-1921წწ. ჟურნ. *,,არსენალი".* N4 (206), 2015.

437. ჯავახიშვილი შაქრო. ქართული პოლკის მოღვაწეობა ქ. გორში. გაზ. *,,ერთობა".* N53, 1918 წ. 7 მარტი.

ელექტრონული რესურსები

438. გოგუა გიორგი. იპოვე შენი გვარი 1907 წლის პეტიციაში რუსეთის წინააღმდეგ. https://www.radiotavisupleba.ge/a/ipove-sheni-gvari-peticiashi-rusetis-cinaagmdeg/29127639.html

439. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კინოქრონიკა - https://www.youtube.com/watch?v=aayfkwW9scY&t=2762s

440. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულება N 64, 16 თებერვალი 2021წ. http://tbsakrebulo.gov.ge/uploads/2/2021/64-2021.PDF

442. ხვადაგიანი ირაკლი. 12 დეკემბრის ანდერძი - http://liberali.ge/articles/view/3821/12-dekembris-anderdzi

443. Авиационная энциклопедия „Уголок неба“ - http://www.airwar.ru/enc/other1/sva10.html#camo

444. Федосеев С. Л . Пулемёты России. Шквальный огонь. Москва: ,,Ексмо“ 2009. ნანახია წიგნის ვებ-გვერდზე განთავსებული ვერსია -https://coollib.net/b/284572-semyon-leonidovich-fedoseev-pulemetyi-rossii-shkvalnyiy-ogon/read

445. Четинерлер Эрджан. Турецкая Авиация на Кавказском Фронте, Перевод С Турецкого Сергей Николаев. - აღებულია საიტიდან http://www.retroplan.ru/encyclopaedia.html?sobi2Task=sobi2Details&sobi2Id=985.